

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

ვუკოლ ბერიძე

ვეფხისტყაოსნის კომენტარი

ტექსტი გამოცემად მოაწაღეს
სარგის ცაიშვილმა და გურამ შარაძემ

სარგის ცაიშვილის
წინასიტყვაობითა და რედაქციით



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1974

ცნობილი რუსთველოლოგის, პროფესორ ეუკოლ ბერიძის „ვეფხისტყაოსნის კომენტარი“ წარმოადგენს განსვენებული მეცნიერის დღემდე გამოუქვეყნებელ ნაშრომს, რომელშიც მკვლევარი ბევრ საყურადღებო მოსაზრებას და დაკვირვებას გვთავაზობს პოემის ამა თუ იმ ადგილის გარშემო.

პროფ. ე. ბერიძის „ვეფხისტყაოსნის კომენტარი“ კარგ სამსახურს გაუწევს რუსთაველის პოემის მეცნიერული შესწავლით დაინტერესებულ სპეციალისტთა წრეებს.



წინასიტყვაობა

ვუკოლ ბერიძე ღრმად განსწავლული ფილოლოგი იყო. მაღალ ნიჭიერებასთან ერთად ეს განაპირობა სამეცნიერო სკოლამ, რომელიც ახალგაზრდობაში გაიარა. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1908—1912 წლებში, იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა. აღსანიშნავია, რომ მან წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია, მაგრამ ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელება უმაღლეს ვერ შეძლო და ერთხანს სახალხო მასწავლებლობას ეწეოდა.

პეტერბურგში ჩასული 25 წლის ვუკოლ ბერიძე გატაცებით ჩაება სწავლასა და მეცნიერულ საქმიანობაში. ამ მხრივ ფასდაუდებელია გამოჩენილი მეცნიერის ნიკო მარის ღვაწლი, რომელმაც შემოიკრიბა მომავალ ქართველოლოგთა საიმედო ძალები. ახალგაზრდობასთან მუშაობის მრავალფეროვან ფორმებთან ერთად, ნიკო მარისათვის დამახასიათებელი იყო ისიც, რომ იგი თავის მოწაფეებს სტუდენტობიდანვე აბამდა მეცნიერულ საქმიანობაში, ინდივიდუალურ მიდრეკილებათა შესაბამისად ეძებდა მათთვის საკვლევ ობიექტებსა და პრობლემებს. სწორედ ნიკო მარის ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებშივე დაამუშავა ვუკოლ ბერიძემ ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, როგორცაა „სიტყვის კონაიმერულ და რაქულ თქმთა“, რომელიც 1912 წელსვე გამოიცა პეტერბურგში. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ნაშრომი ერთ-ერთი პირველთაგანია საერთოდ ქართული დიალექტოლოგიის ისტორიაში.

ნიკო მარისავე თაოსნობით და ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოამზადეს მომავალი მუშაობისათვის ისეთი საჭირო ნაშრომი, როგორცაა „Грузинская бнблиография“ (დაიბეჭდა 1916 წელს), რომლის ერთ-ერთი ავტორი ვუკოლ ბერიძეც იყო. ერთი სიტყვით, პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლა ღონიერი ნაბიჯებით მიიწევედა წინ. და, მართლაც, როგორც ცნობილია, აქ გამოიწრთო და კვლევის სრულიად ახალი მეთოდებით აღიჭურვა მეცნიერთა მრავალრიცხოვანი თაობა, რომელსაც ამშვენებენ ისეთი სახელები, როგორცაა დიდი ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე. სწორედ ამ თაობამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ეროვნული მეცნიერების აღორძინების საქმეში. ვუკოლ ბერიძე ამ ბრწყინვალე პლეადის ერთი ღირსეული წარმომადგენელი იყო.

ვუკოლ ბერიძის, როგორც მეცნიერის, დახასიათების დროს, არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ერთი შესაშური თვისება: ძველ ქართველ მოღვაწეთა მსგავსად იგი არ იღბუდებოდა ერთი რომელიმე დარგით და კვლევა-ძიებას

ფართო თვალთახედვით წარმართავდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დილექტანტიზმის სახიფათო გზა მისთვის სრულიად გამორიცხული იყო. მკაცრი მეცნიერული სკოლა და შესაფერისი ერუდიცია ამის საიმედო გარანტია იყო.

ვუკოლ ბერიძემ 80 წელი იცოცხლა (გარდაიცვალა 1963 წელს). მისი ცხოვრება არ იყო ია-ვარდებით მოფენილი, იყო უმძიმესი წლებიც, მაგრამ იგი სულიერ მხნეობას არასოდეს არ ჰკარგავდა, თავის ხალხის მომავალს რწმენით შეჰყურებდა. ცხოვრების დიდ გზაზე მას ერთი წუთითაც არ გაუგდია ხელიდან მეცნიერის კალამი, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ფიქრი და ზრუნვა ქართველი ხალხის კულტურული აღორძინების ნათელ პერსპექტივებზე.

ახლა როდესაც თვალს ვავლებთ მის ნაღვაწს, ეს არის მართლაც დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც ყოველმხრივსა და დაკვირვებულ შესწავლას მოითხოვს.

მაგრამ მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მრავალმხრივობისა, მეცნიერის გატაცების განსაკუთრებული საგანი მაინც ქართული ლექსიკოლოგია და ქართული კულტურის ყველაზე დიდი ნიშანსვეტი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ იყო.

დაწყებული 1912 წლიდან ვუკოლ ბერიძემ არა ერთი საგულისხმო ნაშრომი გამოაქვეყნა ქართველური ენების შესწავლის ხაზით, დიალექტოლოგიაში და განსაკუთრებით კი ტერმინოლოგიაში. როგორც ცნობილია, ტერმინოლოგიური დარგის შესაფერ მეცნიერულ დონეზე ამოზიდვა აღორძინებულ ქართული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი ამოცანა იყო. ქართული ტერმინოლოგიის განახლების გარეშე საერთოდ შეუძლებელიც კია რაიმე სერიოზული საუბარი ზოგადად ქართული მეცნიერების განვითარებაზე. მით უფრო ჩვენს საუკუნეში, რომელიც ახალ-ახალი მეცნიერებათა წარმოქმნისა და ინფორმაციის მოზღვაების ნიშნით ვითარდება.

ვუკოლ ბერიძე ამ საშვილიშვილო საქმის ერთ-ერთი აღიარებული ფუძემდებელია ჩვენში. დაუფასებელია მისი წვლილი ტერმინოლოგიის მოუგვარებელი საკითხების როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ გადაწყვეტაში.

ახალ ტერმინთა შექმნა-დამკვიდრების დროს მრავალი ცდუნება წამოყოფს, თავს: ერთ-ერთი მათგანია ყოვლად მიუღებელი, შეზღუდული თვალსაზრისი, როცა ამა თუ იმ ენაზე ახალი ტერმინების საგანძურად მხოლოდ საკუთარი ენობრივი წიაღია მიჩნეული, რაც ხელოვნურობასთან ერთად ფაქტიურად მსოფლიო ცივილიზაციისაგან იზოლაციას თუ უწყობს ხელს. ვუკოლ ბერიძე პრინციპულად ემიჯნებოდა საკითხის ასეთ დასმას და ფართო პროგრამას სახავდა ამ მიმართებით: „ინტერნაციონალური ტერმინების თარგმნა — წერდა იგი ჭერ კიდევ 1926 წელს — საჭირო არაა, უცხოური ფუძეების შემოტანა უფრო ამდიდრებს ქართულ ენას, ვინემ მათი თარგმნა“. რასაკვირველია, ეს სრულიად არ გამორიცხავდა ძველ ქართულ უნიკალურ ტერმინთა აღდგენას, თუ ახალ ტერმინთა შექმნის შესაძლებლობას. ტაქტი და ზომიერება ყველაზე საჭირო იარაღი იყო ამ დარგში წარმატებული მუშაობისათვის.

თვითონ ვუკოლ ბერიძე ერთი პირველთაგანი იძლეოდა ასეთი მუშაობის სამაგალითო ნიმუშებს და დღეს დამკვიდრებული არაერთი, უკვე საყოველთაოდ აღიარებული ტერმინი მეცნიერების სრულიად სხვადასხვა დარგებში სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული: „ვუკოლ ბერიძის სტიქია —

წერს ამის გამო შოთა ძიძიგური — ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედება. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში სხვადასხვა დარგის მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნა, და, საერთოდ, ლექსიკოლოგიის დისციპლინის მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დამყარება. ვუკოლ ბერიძეს ჰქონდა უტყუარი ენობრივი ალღო და დაჯილდოებული იყო სიტყვის ფაქიზი, შეუმცდარი ანალიზის იშვიათი უნარით“. ვუკოლ ბერიძე პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა ჩვენში ამ მუშაობას და წლების მანძილზე იყო ამ დარგში მომუშავე კომისიისა თუ სპეციალური განყოფილების მეთაური. იშვიათია დღეს მრავალრიცხოვან ტერმინოლოგიურ ლექსიკონთაგან რომელიმე, რომელსაც მისი მზრუნველი ხელი არ ეტყობოდეს. მართო ეს ღვაწლიც დაამშვენებდა ყოველი დიდი მამულიშვილის სახელს.

ვუკოლ ბერიძე სიყმაწვილიდანვე შეება ქართული ფილოლოგიის ისეთ ურთულეს უბანს, როგორც რუსთველოლოგია და, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ მან ამ დარგის განვითარებაშიც შეიტანა თავისი წვლილი.

1911 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტი ვუკოლ ბერიძე ქუთაისში (გაზ. „კოლხიდა“, № 111) აქვეყნებს წერილს „ახალი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა“, რომელშიც შესწავლილია მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი ერთ-ერთი ნუსხა პოემისა. წერილი საყურადღებოა იმით, რომ იგი არ იფარგლება მეცნიერულ-ტექნიკური აღწერილობით და ზელნაწერის მონაცემებზე დაკვირვებით სვამს რუსთველოლოგიური მეცნიერებისათვის საინტერესო სხვა საკითხებსაც. მაგალითად, მაშინ ახალგაზრდა მკვლევარი პრინციპულად ემიჯნება პოემის სიუჟეტის მაძიებელთა ამო შრომას, რაც მხოლოდ და მხოლოდ პოემის მე-9 სტროფის გაზვიადებულ შეფასებაზე იყო დამყარებული. კვლევა-ძიების სიმძიმის ცენტრი, მისი აზრით, უშუალოდ პოემის მხატვრულ-ისტორიულ თავისებურებათა შესწავლაზე უნდა იქნას გადატანილი, რაც თავისთავად მოგვეცემს გასაღებს პოემის შეფასებისას. აქვე იგი ეხება პოემის ტექსტოლოგიის მტკივნეულ საკითხებსაც, რაც ამ დროისათვის, მართლაც, სრულიად გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა. აქ საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ზელნაწერის აღწერისას მკვლევარმა მიუთითა მის მიერ შესწავლილი ზელნაწერის ზოგ რედაქციულ თავისებურებაზე, რაც დადასტურა კიდევ შემდგომმა კვლევა-ძიებამ.

საკმაოდ უცნაურ ფაქტად მოჩანს ერთი გარემოება. ვუკოლ ბერიძე, როგორც ეს მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, თავიდანვე დიდად იყო დაინტერესებული ვეფხისტყაოსნით, კერძოდ, ცხოველ მონაწილეობას იღებდა ნიკო მარის რუსთველოლოგიურ სემინარებში (სხვათა შორის, როგორც იგონებენ ნიკო მარის მომდევნო ხანის მოწაფეები, დიდ მეცნიერს არა ერთხელ გაუხსენებია ეს ფაქტები და უთქვამს: „პეტერბურგის უნივერსიტეტის რუსთველოლოგიის სემინარში წამოყენებულა მრავალი ვუკოლისებური გონებამახვილური ინტერპრეტაცია პოემის ძნელი ადგილებისა ჭკუაში დამჯდომია და კვლევა-ძიებაში გამოიყენებია“-ო), იგი ერთ-ერთი კონსულტანტი ყოფილა მარჯორი უორდროპის თარგმანის 1912 წლის გამოცემის დროს და ა. შ. მაგრამ გადიოდა წლები და მკვლევარი თითქმის არცერთი წერილითა თუ გამოკვლევით აღარ გამოხმაურებია რუსთველოლოგიურ საკითხებს.

ვუკოლ ბერიძე რუსთველოლოგიურ დარგში ძალზე ინტენსიურ მუშაო-

ბას იწყებს მხოლოდ 30-იანი წლებიდან (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგები, 1970 წ. გვ. 261) და მკვლევრის საგულისხმოდ ნაშრომები რუსთველოლოგიაში სწორედ ამ ხანებშია შექმნილი. ამავე ნაშრომებიდან ისიც ცხადი ჩანს, რომ ვუკოლ ბერიძე არც წინა წლებში (ე. ი. 30-იან წლებამდე) ჩამოშორებია საყვარელ საქმეს და იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ემზადებოდა უფრო ნაყოფიერი მეცნიერული ნაბიჯებისათვის, რის დადასტურებაცაა მისივე სიცოცხლეში გამოქვეყნებული „რუსთველოლოგიური ეტიუდები“, სადაც თავმოყრილია მკვლევრის რჩეული ნაწერები.

ვუკოლ ბერიძის რუსთველოლოგიური კვლევისათვის დამახასიათებელია ე. წ. ლიტერატურულ-ფილოლოგიური მეთოდის მომარჩვევა, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჩვენში ნიკო მარი იყო. ლიტერატურულ ძიებებს აქ ორგანულად ერწყმის ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური შტუდიები, რის აუცილებლობა გაპირობებულია თვით პოემის შესწავლის თავისებურებათა გამო. ვეფხისტყაოსნის მთლიანობაში შესწავლას სხვა მონაცემებთან ერთად (ისტორიული, სოციალური, კულტურული) საფუძვლად უნდა დაედოს ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური ღრმა და ყოველმხრივი კვლევა-ძიება.

საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ვუკოლ ბერიძის ისეთი წერილები, როგორცაა „ვეფხისტყაოსნის ერთი თავისებურება“, „ვეფხისტყაოსნის გარშემო“, „ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი“, „საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის“, „ვეფხისტყაოსნის პროლოგის ერთი სტროფის გაგებისათვის“, „შერი და მიშერი ვეფხისტყაოსანში“, „ზოგი რამ ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის“ და ა. შ. ამ წიგნში არა ერთ მახვილ შენიშვნას იპოვის მკითხველი და სწორ ინფორმაციას მიიღებს იმ სირთულეებზე, რაც ახლავს პოემის ტექსტისა თუ მხატვრული სახის გაგებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ვუკოლ ბერიძის ვრცელი წერილი ვეფხისტყაოსნის კონსტანტინე ჭიჭინაძისეულ გამოცემაზე, რომელშიც მკაცრ და სამართლიან შენიშვნებთან ერთად, პოემის ტექსტის აღდგენის ფართო პროგრამაა მოხაზული. აღსანიშნავია, რომ მკვლევრის ბევრი შენიშვნა პოემის ამა თუ იმ საკითხებზე დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ვუკოლ ბერიძე თავის წერილებში ეხებოდა პოემის შესწავლის არა ერთ საკითხს, როგორცაა ვეფხისტყაოსნის შედგენილობა, მხატვრული ხერხების თავისებურებანი, მსოფლმხედველობისა თუ პოეტიკის საკითხები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილები „К вопросу о мировоззрении Руставели“, „მოთას პოეტიკისათვის“, „რუსთაველის შაირი“ და სხვა.

დღეს, როცა ახლებურად ისმის ქართული კლასიკური ლექსის თავისებურებათა საკითხები, ვუკოლ ბერიძის დაკვირვებები საგულისხმო და ანგარიშგასაწევი ჩანს. მას ეკუთვნის ვრცელი წერილი „ვეფხისტყაოსნის ხალხურობისათვის“, რომელიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს პოემის ავტორის ღრმა კავშირებს ქართული კულტურის უღრმეს შრეებთან.

ვუკოლ ბერიძემ არა ერთი საგულისხმო წერილი მიუძღვნა რუსთველოლოგიის ისტორიას და წარმოაჩინა ამ დარგის განვითარებაში წინამორბედთა დიდი ღვაწლი (მაგ. ვახტანგ VI, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო მარი და სხვა).

ვუკოლ ბერიძის რუსთველოლოგიური მუშაობის შეფასებისას უნდა გა-

ვიხსენოთ მისი წვლილი პოემის ერთ-ერთი საგულისხმო გამოცემის მომზადებაში, რომელიც სხვადასხვა სახით დაიბეჭდა 1937 წლის იუბილის დღეებში. ვუკოლ ბერიძე იყო იმ გამოცემათა სარედაქციო კომისიის ერთ-ერთი აქტიური წევრი.

მაგრამ გამოირკვა, რომ ის რაც უკვე გამოქვეყნებულია, მთლიანად არ ასახავს შესანიშნავი რუსთველოლოგის მუშაობას ამ დარგში. განსვენებულ მეცნიერის პირად არქივში აღმოჩნდა ვრცელი ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის განმარტება“. როგორც ნაშრომის ტექსტზე დაკვირვება ამხელს, მას ეს დიდი და შრომატევადი მუშაობა შეუსრულებია 1937—1950 წლებში. (კერძოდ, ამას მოწმობს წყაროთა მიწიშნებანი და თვით პოემის ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია 1937 წლის გამოცემით). შემდეგ მას, როგორც ჩანს, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, შეუწყვეტია მუშაობა და ნაშრომი დაუმთავრებელი ჩანს.

ვეფხისტყაოსნის პირველ კომენტატორთა (ვახტანგი, თეიმურაზ ბაგრატიონი) მსგავსად, აქ თანმიყოლებით განმარტებულია პოემის ტექსტი და ცალკეული სტროფების მიხედვით წარმოდგენილია ტექსტოლოგიური თუ სხვა სახის ფილოლოგიურ-ლიტერატურული დაკვირვებანი. „განმარტება“, რომელიც ემყარება 1937 წლის გამოცემის ტექსტს, წყდება 1212 სტროფის კომენტარით. ჩვენ ეს ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ გურამ შარაძესთან ერთად მოვამზადეთ (დედნის გადმოწერაში გვეხმარებოდა ვეფხისტყაოსნის კომისიის თანამშრომელი ნანი წაქაძე) ამ რამდენიმე წლის წინ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, მხოლოდ ამჯერად ხერხდება მისი გამოქვეყნება.

ვუკოლ ბერიძის „ვეფხისტყაოსნის განმარტება“ იბეჭდება უცვლელად, ისე, როგორც მის ავტორს ჰქონდა წარმოდგენილი. რასაკვირველია, რიგ შემთხვევაში ავტორისეული ზოგი მოსაზრება დღეს გადასინჯვას მოითხოვს, მაგრამ ჩვენ ამგვარი კომენტარებისაგან თავი შევიკავეთ. გასწორებულია აშკარა ლაფსუსები, ხოლო რიგ შემთხვევაში დაზუსტებული და შეესებულია წყაროთა მათითებელი.

ჩვენის აზრით, ამ სახითაც „ვეფხისტყაოსნის განმარტება“ არა მარტო ნათლად წარმოაჩენს ვუკოლ ბერიძის დიდ ღვაწლსა და რუღუნებას უკვდავი პოემის მიმართ, არამედ დიდ დანმარებას გაუწევს ყველას, ვინც კი დაინტერესებულია ვეფხისტყაოსნის ყოველმხრივი შესწავლის საშვილიშვილო საქმით.

სარგის ცაიშვილი

წინასწარი შენიშვნები

1. ქართული ენის განვითარების რომელ საფეხურს ასახავს ვეფხისტყაოსანი. 2. ამ ენის თავისებურებანი. 3. დაკავშირი. 4. -მცა ნაწილაკი. 5. შაირი.

ვეფხისტყაოსნის ენა ახალი ქართულია. უკეთ, ძველიდან ახალზე გარდამავალი ენაა.

ვეფხისტყაოსანი უაღრესად ლიტერატურული ენითაა შექმნილი. შოთა რომელიმე კილოზე ვერ დაწერდა. იგი განათლებული კაცი იყო და მისი ენაც, უპირატესად, განათლებული წრეების ენაა. მართალია, იმ კუთხეს, სადაც პოეტი წარმოიშვა არ შეეძლო ერთგვარი ელფერი არ მიეცა ნაწარმოების ენისათვის, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. ყოველ შემთხვევაში, ვეფხისტყაოსნის დიალექტიზმები იმდროინდელი ქართული ენის დიალექტიზმებია, სწორედ ისე, როგორც ჩვენს დღევანდელ სალიტერატურო ენაში მოიპოვება თითო-ორიოლა დიალექტიზმი, ხალხურიდან აღებული. თავთავის ადგილას ყველა ამგვარი ხალხური ელემენტი სათანადოდ იქნება გამოვლენილი.

ვეფხისტყაოსნის ენა გარდამავალია. რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა მრავალ, ახალი ქართულისათვის დამახასიათებელ თვისებათა გარდა, „ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივი წყობასიტყვათა შეცვლილია ახალით და ამის გამო მძიმე კონსტრუქციები აღარ ისმის „ვეფხისტყაოსნის“ ლექსში მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი მორფოლოგიური და სინტაქსური ნორმები (.....) „ვეფხისტყაოსანში“ ისევ დაცული, როგორც ძველ ქართულში“¹.

ერთ-ერთი ამ ძველ ნორმათაგან უნდა აღვნიშნოთ, რომ -მცა ნაწილაკის ხმარება იმგვარადვეა დაცული ვეფხისტყაოსანში, როგორც ძველ ქართულში გვაქვს. სახელდობრ:

ძველ ქართულში -მცა ნაწილაკის ხმარებას ის თავისებურება ახლავს, რომ იგი კავშირებით კილოს ვერ ეგუება. ყოველთვის, როცა კავშირებითი კილოს ფორმაა წინადადებაში მოსალოდნელი, იგი აუცილებლად თხრობითად უნდა გადაკეთდეს, თუ კი სადმე -მცა ნაწილაკი გაერია. ვეფხისტყაოსანშიც -მცა ნაწილაკი ყოველთვის ძველებური სინტაქსური ძალის მქონეა — მოსალოდნელ კავშირებითის ფორმას თხრობითად აქცევს ხოლმე:

მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითა მცა ჰკადრა მტერობა!

(37,4)

¹ ა.წ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, ენის შესახებ, III, ტფ., 1938, გვ. 227.

მაგრამ მცა ნაწილაკი შოთას რომ არ ეხმარა, მაშინ ზმნა აუცილებლად კავშირებითში გადაჯდებოდა: „მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან აბა ვით ჰკადროს მტერობა?“².

მცა ნაწილაკის გარკვევას უღარესი მნიშვნელობა აქვს ვეფხისტყაოსნის ზოგი ადგილის სათანადოდ გაგებისათვის. (თავთავის ადგილას ეს ყველაფერი იქნება ნაჩვენები, ვ. ბ.).

წინასწარ გარკვეული უნდა იყოს აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ლექსის ბუნება:

ვეფხისტყაოსანი 16 მარცვლოვანი შაირითაა დაწერილი, შაირი ორგვარია: მალალი, ანუ ჩქარი და დაბალი, ანუ ნელი.

როგორი შედგენილობისაა თითოეული მათგანი?

მალალ შაირში თითოეული სალექსო სტრიქონი ოთხ თანაბარ, თანასწორ მუხლად იყოფა. თითოეულ მუხლში ორ-ორ — ოთხ-ოთხ მარცვლოვანი სიტყვებია, ანდა თუ ერთი სიტყვა ერთმარცვლიანია, მეორე აუცილებლად სამმარცვლოვანი უნდა იქნეს, რომ საბოლოოდ მუხლში ოთხზე მეტი მარცვლი არ მოვიდეს (მალალ შაირში რითმისათვის საკმაო და აუცილებელია ორი მარცვალი).

დაბალ შაირში სალექსო სტრიქონი ოთხ არათანასწორ მუხლად იყოფა, ე. ი. თუ ერთ მუხლში ხუთი მარცვალია, მომდევნოში აუცილებლად სამი უნდა იქნეს. დაბალ შაირში რითმისათვის საკმაო და აუცილებელია სამი მარცვალი.

ამასთანავე, დატულია ერთი აუცილებელი პირობა: ცალკეული სტროფი ყოველთვის ერთი შაირითაა გამართული. მალალ-დაბალი, ანუ ჩქარ-ნელი შაირი ერთსა და იმავე სტროფის ფარგლებში არ გვხვდება, მით უმეტეს, ერთისა და იმავე სტრიქონის მანძილზე ეს შეუწყნარებელია.

სალექსო სიტყვას გაკვეთა და ერთი მუხლიდან მეორეში გადატანა არ სჭირდება³.

სიტყვა ან სიტყვათა კომპლექსი ერთი მუხლის ფარგლებში მთლიანადაა მოცემული. მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ აბსოლუტურად ყველა სტროფი აგრეთაა გაწყობილი. არის შემთხვევები, მართალია, მეტად მცირე, როდესაც პოეტი განსაზღვრული მიზნობრივი განწყობით, არღვევს ამ წესს, როდესაც სინტაქსური და მეტრული დანაწევრება სალექსო სტრიქონის პირველ ნახევარს ეკუთვნის, ხოლო რიტმულად მეორე ნახევარშია იგი შეჭრილი (ამგვარი შემთხვევა სათანადოდ იქნება აღნიშნული).

ჩვენ ვთქვით, რომ მალალ შაირში სტრიქონი ოთხ თანაბარ მუხლად იყოფა-თქო. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული მუხლის სიტყვების წარმოთქმა თანაბარ დროს მოითხოვს, ტაქტიც თანაბარია, ე. ი. თანაბარ-ზომიერად მოკ-

² შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, -მცა ნაწილაკი ძველ ქართულში, „პრომეთე“, 1918, I, გვ. 79—80 (გადაბეჭდილია კრებულში: ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენა-სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 33—34); ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 1935, გვ. 634; იხ. აგრეთვე: ვუჯ. ბ ე რ ი ძ ე, „ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურება, ევრან. „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, 1—2 (გადაბეჭდილია კრებულში: ე უ ჯ. ბ ე რ ი ძ ე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961, გვ. 7—10).

³ თუმცა ამის მაგალითები პოემაში აქა-იქ გვხვდება: მაგ. სტრ. 52 „მომართვი ჩემი ყველა, ჩემი ნუფლისწულივი“ (რედ.).

ვეთილ ოდენობას შეიცავს; ამის გამო ტემპიც ჩქარი გამოდის, ამიტომაც მა-
ლალი შაირი ჩქარი შაირია.

სულ სხვა მდგომარეობაა დაბალ შაირში. აქ მუხლები არათანაბარზომიე-
რია. ეს იმას ნიშნავს, რომ სალექსო სტრიქონის მსვლელობა, ფიზიკურ
მოდრობაზე რომ გადავიყვანოთ, არათანაბარზომიერი მუხლებით, არათანაბარ-
ზომიერი ბიჯებით წარმოებს: ჯერ დიდი ნაბიჯი უნდა გადაიდგას, შემდეგ —
პატარა. ანდა — პირიქით, ამის გამო მსვლელობაც ერთი სალექსო სტრიქონის
მანძილზე არაერთზომიერი, არამედ გრძელ-მოკლეა, მძიმე-მსუბუქია, ამიტო-
მაც — ნელია.

აქედან: მაღალი შაირი ცოცხალია, მსუბუქი, ჩქარი, დინამიკური.

დაბალი — მძიმე, დინჯი, ამასთანავე ღრმა, აღუშფოთებელი, ნელად მე-
დინი.

როდის აქვს გამოყენებული შოთას მაღალი შაირი და როდის მიმართავს
იგი დაბალს?

აუცილებელია, შოთა რომ ერთი შაირიდან მეორეზე გადადის, ამით მო-
საწყენ მონოტონურობას თავიდან იცილებს და, მაშასადამე, ნაწარმოების წა-
კითხვას და ათვისებასაც არაჩვეულებრივად აადვილებს.

მაგრამ არა მარტო ამ, ასე ვთქვათ, ფორმალური მოსაზრებით ხელმძღვა-
ნელობს რუსთაველი, ამ ორ შაირს რომ ერთმანეთს უნაცვლებს:

მაღალი, ანუ ჩქარი შაირი შოთას უპირატესად გამოყენებული აქვს მა-
შინ, როდესაც მდგომარეობა, საქმის ვითარება დაუყოვნებლივ მოქმედებას
მოითხოვს; ამავე შაირითვეა გადმოცემული მხიარული, სალაღობო სცენები.

დაბალი ანუ ნელი შაირი უპირატესად გამოყენებულია მაშინ, როდესაც
მწუხარე, სევდის მომგვრელი სურათებია მოცემული, აგრეთვე მძიმე, სერი-
ოზული საკითხებია გადასაწყვეტი, ანდა ეპიკური თხრობაა გადმოსაცემი
(კომენტარებში მაგალითებით იქნება ეს ნათელყოფილი, ვ. ბ.).

ვეფხისტყაოსნის სტროფთა მეოთხე სტრიქონი იწყება და კავშირით
რაც სტრიქონს 17 მარცვლიანად ხდის. ამის გამო ზოგი შეეცადა მის მოხს-
ნას: დეკორაციულია, ზედმეტია, რიტმს არღვევსო.

რამდენად სწორია ასეთი დამოკიდებულება და კავშირისადმი? არაა
სწორი.

რას წარმოადგენს და კავშირი? მართლაც ზედმეტია, სამკაული, ნაშ-
თილია იგი, თუ კონსტრუქციულია, ლექსის, ვ.ტ.-ის ლექსის არსებითი ნაწი-
ლია?

თუ ვ.ტ.-ის ლექსს დღეს შემუშავებული პოეტიკის ნორმების თვალსაზრი-
სით განვიხილავთ, და კავშირი მხოლოდ დეკორაციული იქნება, მაგრამ
ხალხური პოეტიკის თვალსაზრისით (ხოლო ეს და კავშირი უთუოდ ხალხუ-
რიდან მომდინარეობს), იგი უადრესად კონსტრუქციულია, ვ.ტ.-ის ლექსის გა-
ნუჯვეთელი ნაწილია, თუმცა სათვალავში ზედმეტ, მეჩვიდმეტე მარცვლად
ვიდის.

რა იწვევს ამ და კავშირს?

და კავშირს იწვევს ის გარემოება, რომ სტროფის სტრიქონები უკავში-
რობითაა გაერთიანებული.

კავშირს იწვევს უკავშირობა! როგორ? ავიღოთ დღევანდელი სასაუბრო
ენა.

1. ჩვენ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში არაჩვეულებრივი სიმტკიცე გამოვიჩინეთ;

2. დიდი, პატარა, როგორც ერთი ებრძოდა გააფთრებულ მტერს;

3. გასაოცარი სიმტკიცე გამოიჩინა ზურგმაც,

და 4. საბოლოოდ, სამარადისოდ გავანადგურეთ მტერი.

აქ ოთხი თანწყობილი წინადადებაა, ე. ი. ერთმანეთზე დამოუკიდებელი, უკავშირობით გაერთიანებული წინადადებაა. ამასთანავე, მეოთხე წინადადება დასკვნითი ხასიათისაა. ბუნებრივია, რომ დასკვნა და კავშირით დაიწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამბავს დასასრული არ ექნება⁴.

ეს თქმა სავსებით ხალხურია. ასეა დღეს, ასე იყო წინათაც. მეტიც: წინათ უფრო, ვინემ დღეს, რადგან მაშინ საუბარი მარტივი, თანწყობილი წინადადებებით წარმოებდა, ენა შედარებით მარტივი იყო, რთული თქმა მას არ გააჩნდა.

რა როლს ასრულებს აქ და კავშირი?

სამკაულია, დეკორაციაა, თუ მიუცილებელ კონსტრუქციულ ნაწილს წარმოადგენს?

აუცილებლად კონსტრუქციულია! სხვაგვარად მისი როლი ხალხურ თქმაში გაუგებარია.

ვ.ტ-ის სტროფებიც ამგვარადაა გაწყობილი. თვითელი მათგანი თანწყობილ, ე. ი. თანასწორუფლებიან წინადადებათაგან შედგება, რადგან მეოთხე წინადადება დასკვნითია, აუცილებლად და კავშირით უნდა გაუერთიანდეს წინა სტრიქონის წინადადებას.

შოთაც აგრე მოიქცა. მაგრამ სად უნდა დაეწერა მას და კავშირი?

იგი კონსტრუქციულია. აზრის არსებითი ნაწილია, მაშასადამე, თექვსმეტი მარცვლის ფარგლებში უნდა მოეთავსებინა. სხვაგვარად სტროფის ყოველი მეოთხე სტრიქონი შიგნითა და კავშირით უნდა დაეწყოს.

ეს კი არაჩვეულებრივად შებოკავდა პოეტს. მეტიც: ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა მაშინ ლექსის გამართვა ისეთი დიდი ნაწარმოებისათვის, როგორც ვეფხისტყაოსანია.

მართლაც, ვ. ტ-ში არც ერთი სტროფის მეოთხე სტრიქონი შიგნით და კავშირით არ იწყება. შოთამ მოხსნა შიგნითა კავშირი, იგი გარეთ გამოიტანა და სწორედ ამაში ჩანს რუსთაველის იშვიათი ხალხურობა. ხალხს, ცხადია, უყვარს ზომა, რიტმი, მეტად ეტანება მას, მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგა, ლოგიკას უფრო მაღლა აყენებს და რიტმიც ეწირება მას მსხვერპლად.

მაგრამ იმის გამო, რომ და კავშირი გარეთ გამოვიდა, იგი მაინც კონსტრუქციულია, ლექსის აუცილებელი ნაწილია და არავითარ სამკაულობაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება.

ეს რომ აგრეა, ამას საუცხოოდ ადასტურებს ის ფაქტი, რომ და კავშირი ყველა სტროფის მეოთხე სტრიქონს ვერ ეწყობა. სახელდობრ, თუ მეოთხე სტრიქონი დამოუკიდებელ წინადადებას არ წარმოადგენს, არამედ და-

⁴ და კავშირის ამგვარად ხმარების მაგალითები ავტორს მოტანილი აქვს აგრეთვე ი. ჰევკეაძის მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“.

მოკიდებულია წინა სტრიქონის წინადადებაზე და, მაშასადამე, დასკვნითი არასგზით არ შეიძლება იყოს, მაშინ და კავშირი მას არ შეეწყობა:

ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია:
სიბერე მახლავს, დაგლიენ სიყმაწვილისა დღენია,
კაცი არ არის, სოთგანა საბრძანებელი ჩენია,
რომე მას ჩემგან ესაწვლნეს სამამაციონი ზნენია.

(62)

ამ სტროფის ორი უკანასკნელი სტრიქონი ერთ სინტაქსურ მთელს წარმოადგენს. ე. ი. მეოთხე სტრიქონი თანწყობილი წინადადება კი არ არის, არამედ ქვეწყობილი, მესამე წინადადებას დაქვემდებარებული „რომე“ კავშირით; ამიტომაც აქ კიდევ ახალი კავშირი, სახელღობრ, და კავშირი უხერხულად გრძნობს თავს და მეოთხე სტრიქონს ვერ ეწყობა. და კავშირი აქ უადგილოა, რადგან წინა სტრიქონი რთული წინადადების აზრს ვერ ამთავრებს.

კიდევ უფრო ნათელი ხდება და კავშირის კონსტრუქციულობა შემდეგი მაგალითიდან:

აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა,
სხვად უღონთა უშენოდ ჩემგან აღპურობა ხელისა;
რასაცა მიჭამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა.
თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შევერა თავისა მრთელისა!

(257)

აქ თვარ კავშირი არაა მათიანებელი, არც მაქვემდებარებელი, არამედ მაპირისპირებელია, ხოლო და კავშირი — მათიანებელია, მაშასადამე, თვარ და და საპირისპირო კავშირებია, აქედან, მათი შეწყობა ყოველად შეუძლებელია.

1. ვ. ტ-ში ყოველი სტროფის მეოთხე სტრიქონი დასკვნითი ხასიათისაა.

2. რადგან ვ. ტ-ის სტროფები ძირითადად უკავშირობითაა გაერთიანებული, ყოველი უკანასკნელი დასკვნითი წინადადება აუცილებლად, ბუნებრივად და კავშირით იწყება.

3. შოთამ ეს და კავშირი წმინდა ტექნიკური მოსაზრებით გარეთ გამოიტანა და მე-17 მარცვლად დააყენა.

4. იმ შემთხვევაში, თუ მეოთხე სტრიქონი მაპირისპირებელი ან მაქვემდებარებელი კავშირით იწყება, მაშასადამე, დასკვნითს წინადადებას არ წარმოადგენს, მაშინ ამ წინადადებას და კავშირი არ შეეწყობა. ე. ი. და კავშირს კონსტრუქციული როლი აღარ აქვს და იგი უნდა მოიხსნას.

მაშასადამე, და კავშირის გამოყენების მხრივ შოთა ქართულ ხალხურ პოეზიაზე დგას და არავითარ უცხოურობაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება.

* აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ „წინასწარი შენიშვნებისა“, და შემდეგშიც, თვითონ „კომენტარების“ ზოგიერთი ადგილი გამოვლენს ავტორის მიერ აღრე თუ გვიან ბექდურად გამოქვეყნებული ამა თუ იმ შეხედულებას. (ყველა ესენი ერთად თავმოყრილია ი. მეგრელიძის მიერ შედგენილ კრებულში: ვ უ კ ო ლ ბ ე რ ი ძ ე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961). მაგრამ ხელნაწერის შესაბამისი ადგილები თითქმის არასოდეს ზუსტად არ ემთხვევა დაბეჭდილს და რიგ შემთხვევაში, ავსებს კიდევ მათ განსვენებული მკვლევრის უფრო სრული მსჯელობითა და ახალი საბუთიანობით.

1. რომელმან შექმნა სამყარო...

სტროფში შინაარსის მხრივ თავდაპირველად გადმოცემულია ბიბლიური ცნობა ქვეყნისა და არსთა, კერძოდ, ადამიანის შექმნის შესახებ.

„შექმნა ღმერთმან სამყარო“ (შესაქ. 1,7).

„შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოველად“ (შესაქ. II, 7).

მსგავსება პროლოგის ამ სტროფის ორ სალექსო სტრიქონსა და ლაბადების ამ ამონაწერს შორის უცილობელია. მაგრამ შოთას უშუალოდ ბიბლიიდან არ უნდა ჰქონდეს გადმოღებული ეს ცნობა. ამ შემთხვევაში პოეტი ემყარება ქართველი ჰიმნოგრაფების საგალობელთ, კერძოდ, მიქაელ მოდრეცილის ერთ ჰიმნს, რომელიც მას გამოყენებული აქვს არა მარტო შინაარსის, არამედ, აგრეთვე, პოეტური ხერხების მხრივაც⁶.

სტროფი წარმოადგენს რთულ თანწყობილ წინადადებას. ე. ი. შედგება ოთხი თანასწორუფლებიანი წინადადებისაგან⁷. ოთხივეში დასრულებული, დამოუკიდებელი აზრია მოცემული. სახელდობრ:

ა) რომელმან შექმნა ქვეყანა (სამყარო) ძლიერი ძალით;

ბ) [მან] ზეგარდმო არსებათ ზეციური სული ჩაბერა;

გ) [მან] ჩვენ, კაცებს, მოგვცა უთვალავი ქვეყანა მრავალფერი;

დ) მისგან არის დადგენილი ყოველი ხელშეიფე, მისგანვე გამომდინარე სახით.

ა. თავდაპირველად აღსანიშნავია სტროფის პირველი სიტყვა რომელმან. იგი შემთხვევით არ უხმარია შოთას. ამ მხრივ პოეტი მთლიანად და საკვებით ემყარება ჰიმნოგრაფებს, რომელნიც, თანახმად შემქმნავებული ნორმისა ყოველ ჰიმნსა და ჰიმნის ყოველ სტროფს რომელმან სიტყვით იწყებდნენ.

რომელმან ჩვენებითი ნაცვალსახელია, გააზრებული როგორც სუბსტანტივი. რომელმან იგივეა, რაც, მან. იგი ლეთის სინონიმი⁸. მეორე და მესამე სტრიქონში ეს მან ივლისსმება, ხოლო მეოთხეში კვალად მოცემულია მისგან. ამრიგად, აქ ე. წ. გამეორებასთანა გვაქვს საქმე და არც შეიძლება სხვარიგად: დასახული აზრის გაძლიერება ამას უსალოდ მოითხოვდა. რადგანაც რომელმან აქ არა მიმართებითი, არამედ ჩვენებითი ნაცვალსახელია, მთელი სტროფი უნდა გააზრდიანდეს. როგორც ოთხი თანწყობილი წინადადებისაგან შედგენილი ერთეული. თითოეული უნდა გამოიყოს სულ მცირე, წერტილ-მძიმით, და არას გზით, მძიმით.

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“ — პარალელია მიქა-

⁶ პოემის პირველი სტროფის სტრიქონების ბიბლიის ცალკეულ ადვილებთან მსგავსება აღნუსხული აქვს აკად. კ. კეკელიძეს — ქართ. ლიტ. ისტ. 11², გვ. 200—201.

⁷ იხ. ამის შესახებ 1) მ. ჭანაშვილი, საუნჯე მეთაე საუკუნისა, ტფილისი, 1891, 53 გვ. და მისი სხვ. ნაშრომები 2) გ. იმედაშვილი — ევფხისტყაოსნის პარალელები მეთაე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ლიტ. ძიებანი, II, თბ., 1944, გვ. 197—217.

⁸ საზოგადოდ, ევფხისტყაოსანი თანწყობილ წინადადებათაგან შემდგარ სტროფებს წარმოადგენს უპირატესად. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში გვაქვს ქვეწყობილწინადადებიანი სტროფები.

⁹ სიმ. ყაუხჩიშვილი, ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები (4. რომელი) თსუ შრომები, XXX I. B. 1947, გვ. 421—428.

ელ მოდრეკილის ჰიმნისა: „რომელმან სიბრძნით დაამყარა სამყარო-ნი ყოვლით ძალითურთ“¹⁰.

ძალითა მით — მოქმედებითი ბრუნვაა, სახელობითი — ძალა იგი; იგი აქ განსაზღვრებითი ნაწევარია, ძველი ქართულიდან მომდინარეობს. ვეფხისტყაოსანშიაც ხშირად იგი გამოყენებული. არის შემთხვევები, თუძეცა იშვიათი, რომ ახალ ქართულსაც გადმოყვა მისი ხმარება. ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მწერალი განსაზღვრული განწყობის გამო, არქაიზაციას მიმართავს. ამგვარია მაგ., ი. ქავკავაძის „განდეგილში“ შემდეგი ადგილი:

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორზნი, არწივნი ვერ შეჰხებან,
სად წვიმა თოვლინი, ყინულად ქმნილნი
მზისგან აროდეს არა დნებან,
სად უღაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ურამული ვერ შესწვდენია.

ილიას იგი, როგორც განსაზღვრელი ნაწევარი პროზაშიც აქვს ნახმარი.

ბ. ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეციით მონაბერი-
რითა — პარალელია ჰიმნისა: „ადივსნეს ზეგარდმო საღმრთო-
ახსა სულისა სიბრძნითა“¹¹.

არსნი სულითა ყვნა — ყვნა მიუთითებს იმაზე, რომ ობიექტი (არსნი) მრავლობითშია; მხოლოდითი იქნებოდა: არსი სულითა ყო.

გ. ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა —

თუ უთვალავი განსაზღვრელია ფერისა, მაშინ უნდა ყოფილიყო უთვალავით ფერითა. ანდა, როგორც ეს შემდეგში დამკვიდრდა: უთვალავის ფერითა. აქ კი გვაქვს: უთვალავი ფერითა, რაც მხოლოდ დღევანდელი სალიტერატურო ნორმების მიხედვით შეიძლება შევიწყნაროთ, მაგრამ არასგზით ძველი ნორმებით.

უთვალავი საზღვრავს ქვეყანა სიტყვას. პროზაული წყობა რომ ყოფილიყო, გვექნებოდა ასე: ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა უთვალავი, იგი გვაქვს ჩვენ ფერითა, ან როგორც ჰიმნოგრაფი იტყოდა, „მრავალფერითა“.

დ. მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

სახითა მის მიერითა — ორი უკანასკნელი სიტყვა უმჯობესია დაიწეროს ერთად: მისმიერითა, იმიტომ, რომ მისმიერი ზელსართავი სახელია ერთი ცნების გამომხატველი, სწორედ ისე, როგორც ეს გვაქვს მეორე ადგილას: „ამის მეტსა ნუმცა ვჰნახავ კვალა წიგნსა შენმიერსა“ (401,4) ან: „ზეგარდმო მისით შემოგზლოს მუქაფა ჩემმაგიერი!“ (1354,2).

მაშასადამე, მთელი სტრიქონი ამგვარად გაიაზრება: მისგან (ღმრთისაგან) არის დადგენილი ყოველი ხელმწიფე მისგანვე გამომდინარე სახით.

ეს ლექსიც ახალი აღთქმის სათანადო ადგილს ეხმაურება, სახელდობრ:

¹⁰ ბ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, თბ. 1913, გვ. 206.

¹¹ იქვე, გვ. 251.

„არა არს ხელმწიფებაჲ გარნა ღმრთისაგან, და რომელნი იგი არიან ხელმწიფენი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან“ (რომ. XIII, 1).

აქ ლაპარაკია სამეფო უფლების ღვთისმიერობაზე: მეფის უფლება ღვთისაგან მომდინარეობს, ყოველი მეფის უფლება ღვთისმიერია. ეს თეორიული დებულებაა და ურყევია. მაგრამ აქ საგულისხმოა სხვა რამ, სახელდობრ რამდენად დაკავშირებულია ეს გარემოება საქართველოს იმდროინდელ ვითარებასთან. სხვაანაირად: არის თუ არა საქართველოს მეფის უფლება, კერძოდ. ბაგრატიონობა, უფლება ღვთის მიერი?

როდის შეიძლებოდა ამის თქმა გაბედულად, უშიშრად? რააკვირველია, არა მაშინ, როდესაც ეს უფლება ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დამკვიდრებული ბაგრატიონებს, როდესაც ეს უფლება ჯერ კიდევ ბეწვზე ეკიდა, როდესაც ჯერ კიდევ არავინ იცოდა, ვის დარჩებოდა გამარჯვება: ბაგრატიონებს თუ ორბელიანებს.

ბაგრატიონთა გამარჯვება და ორბელიანთა საბოლოო დამარცხება მოხდა დავით აღმაშენებლის დროს. სწორედ ამ დროს მიეკუთვნება დოკუმენტთა შედგენა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, სადაც ის აზრია გატარებული, რომ ბაგრატიონთა გვარი ღვთისგან არის დადგენილი, მათი უფლება ღვთისმიერია (სწორედ ამიტომ იყო, რომ ისტორიკოსმა ბაგრატიონთა გვარი ხელოვნურად ებრაელებს დაუნათესავა: ებრაელები ღვთის ხალხია, ღმერთმა კავშირი დასდო ებრაელებთან, ღმერთმა სცხო საულს, დავითსა და სხვათ, ე. ი. მიჰმადლა თავისი ნიჭი, და თუ ბაგრატიონებს ებრაელთა მეფეთ დაუნათესავებთ, ბუნებრივია, მათი უფლება, ღვთისაგან მონიჭებული, ბაგრატიონებზედაც გადმოვა).

ვ. ტ-ში კატეგორიულადაა ნათქვამი, რომ ყოველი ხელმწიფე ღვთისგანაა დადგენილი, როგორც ხატება და მსგავსება მისი.

ამის თქმა კი განუსჯელად, უშიშრად მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როდესაც ჩვენში ბაგრატიონთა უფლება საბოლოოდ განმტკიცებული იყო, ე. ი. მე-12 ს-ის ნახევარში და არა უფრო ადრე, როდესაც მდგომარეობა ამ მხრივ მერყევი იყო. მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის ეს ცნობა არის პოემის დაწერის *terminus ante quem non*.

თუმცა თვით ვ. ტ-ის ზუსტად დასათარიღებლად კიდევ უფრო მეტი ცნობები მოგვეპოვება (იხ. ქვემოთ).

2. პე. ღმერთთ ერთო. შენ შეკქმენ...

ზოგი მკვლევარი ამ სტროფს ყალბად მიიჩნევს:

ა. პირველი სტროფის შინაარსის გამეორებას წარმოადგენს და ის კი იმ პოეტისათვის, რომლის დევიზია — „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შიარია ამად კარგი“ — მეტად უხერხული იქნებოდაო.

ბ. სტროფი ენობრივად არაა გამართული, შიგ ბევრი სინტაქსური უსწორობაა;

გ. სტროფში მოცემულია ვედრება უფლისადმი იმ ცოდვათა შემსუბუქე-

ბის შესახებ, რომლებიც ადამიანმა იქ, საიქიოში, უნდა წაიტანოს ღა ეს ყველაფერი კი ეწინააღმდეგება შოთას შეხედულებას საიქიო ცხოვრებაზე: „Грузинский поэт, писавший Витязя в барсовой коже, отнюдь не исповедует церковных взглядов на будущий мир“¹².

არ არის სწორი მოსაზრება:

1. „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“ — იმას რომელი ნიშნავს — ყველაფერი ძუნწად, მშრალად წარმოადგინო, პირიქით, სადაც საჭიროა მეტი დამაჯერებლობა, ფაქტები უთუოდ გაშლილად უნდა იყოს მოცემული, ამა თუ იმ მხატვრულ სახეს ხაზი უნდა გაესვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული შემოკლება და სიტყვაც შემცირდება. და შოთას დევიზიც ხომ ის არის, რომ „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა“.

შოთას განსაკუთრებით უყვარს განმეორებანი, თავისებური პარალელიზმები, სადაც ერთი და იგივე ფაქტი რამდენიმე მხატვრული სახითაა გადმოცემული.

2. სინტაქსური უსწორობანი სტროფში მართლაც მოიპოვება, მაგრამ მათ თავისი გამართლება აქვთ პოეტურ ენაში (იხ. ქვემოთ).

3. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ შოთას არ სწამს საიქიო ცხოვრებაო, ამის საწინააღმდეგო მაგალითები არა ერთი მოიპოვება ვ. ტ-ში. ამგვარია, მაგ.: ავთანდილი, რომელაც ტარიელისათვის მიცემული სიტყვას გატეხის შეუძლებლობას საიქიოში ერთად (ტარიელთან) წარდგომისას შიშითა და სირცხვილით ასაბუთებს: „ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა, პირისპირ მარცხვენს, ორნივე მივაღთ მას საუკუნოსა“ (797, 3—4).

ამგვარადვე საიქიოზე მითითებაა ნესტანის ფიცში, ტარიელს რომ განუტკიოა:

„ამას შეეჯერდი ღიღითა ზენარითა და ფიცითა,

გეცრუო, ღმართმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა“ (413,3—4).

„მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა“. (1306,1)

ესეც საიქიოს რწმენის გამომხატველი სიტყვებია ნესტანისა, ტარიელისადმი მიმართული.

ამრიგად, ეს სტროფი უნდა დარჩეს ძირითად ტექსტში. რაზეა აქ რაკი? — თუ პირველ სტროფში ზოგადადაა ნათქვამი შემოქმედისა და მიმოქმედებაზე, აქ პირველ სალექსო სტრიქონშივე კერძო მაგალითია დეტალურად აღწერილი: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“, — კვალად პარალელს პოულობს ჰიმნოგრაფების შემოქმედებაში¹³.

ბ. დათრგუნვა — დაძლევა — მოსპობა, განადგურება: დათრგუნვა — რომ დავთრგუნო, დასათრგუნავად.

დათრგუნვა და მე სატანისა — შესიტყვება ძველი ქართული ნორმითაა მოცემული, თუმცა ეს ნორმა ვ.ტ-ში ზოგან დარღვეულია:

„დავჯე წერად ანდერძისად“ — წერად ანდერძისა-ს მაგიერ (იხ. ქვ.).

¹² Н. М а р р, Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава, т. XII, СПб, 1910, ст. 45.

¹³ შდრ. გ. იმედაშვილის დასახელებულ ნაშრომს, გვ. 205.

გ. სიკვდილმდე — მდე თანდებულის წინ დ ვითარებითი ბრუნვის ნიშანია, რაიც ძველი ქართული ენის ნორმად მიიჩნევა. ახალ ქართულში ეს დ დაკარგულია — სიკვდილმდე, სიკვდილამდე. თვით ვ.ტ-შიაც ეს უმრავლეს შემთხვევაში არა გვაქვს. ასე რომ ამ მხრივ, პოემა ახალი ქართულის ნორმებს მისდევს.

სიკვდილმდე გასატანისა — რას საზღვრავს აქ გასატანისა: მიჯნურთას თუ სურვილს?

მომეც [იმ] მიჯნურთა სურვილი, რომლებიც სიკვდილამდე გასატანია, თუ: მომეც მიჯნურთა ის სურვილი, რომელიც სიკვდილამდე უნდა გავიტანოთ.

პირველ შემთხვევაში იქნებოდა: მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდილმდე გასატანთა, მაგრამ თუ გასატანთა-ს ნაცვლად გასატანისა-ს ამას რითმის ნაკარნახევად მივიჩნევთ. მეორე შემთხვევაში: მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილმდე გასატანი: სურვილი გასატანი. მხოლოდ ასე. მაგრამ თუ მსაზღვრელი და საზღვრული არაა შეთანხმებული ბრუნვაში, ეს ერთგვარ ლიცენცია პოეტიკად უნდა მიგვედო; ანდა მთელი სტრიქონი ხომ არ შეიძლება აგრე წაგვეკითხა:

„მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილმდე გასატანისა“,

ე. ი. მომეც მიჯნურთა სურვილი, რომელიც სიკვდილამდე გასატანია.

დ. სწორედ ამგვარად შეიძლება დანაწევრება მეოთხე სტრიქონის უკანასკნელი სიტყვისა:

ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

ე. ი. შემიმსუბუქე ცოდვები, რომლებიც იქ მაინც წასატანია.

3. ვის ჰშვენის. — ლომსა, — ხმარება...

ა. ვის ჰშვენის ლომსა... ინვერსიული წყობაა. უნდა ვის, ლომსა, ჰშვენის. ლომი აქ მამაკაცის ეპითეტია.

შუბი — საომარი, საქვერებელი იარაღია.

შიმშიერი — ხმალი; ფარ-შიმშიერი — ფარხმალი, მამაკაცის (უპირატესად) საჭურველია.

ბ. ლაწვი — ლოყა.

ბადახში — ბადახშანი — მხარეა ავღანისტანში, ცნობილი (იყო) ძვირფასი ლალით; აქედან გადატანით (მეტონიმია) თვით ლალსაც ბადახში, ბადახში ეწოდა. ეს მეტონიმია აქ გამოყენებულია, როგორც მეტაფორა. ლაწე-ბადახში, ე. ი. ლოყაწითელი.

გიშერი — შავი ძვირფასი ქვა; რუსთველს გიშერი ყველგან მეტაფორულად აქვს ნახმარი, როგორც ატრიბუტი, როგორც განსაკუთრებული სიშავის აღმნიშვნელი. თმა — გიშერი — აქ გიშერი თმის ატრიბუტია. თმა ისეთი შავი, როგორც გიშერი, მაგრამ ხშირად შოთა უფრო შორს მიდის და მხოლოდ ატრიბუტით აღნიშნავს საგანს.

მაგ.: „ერთგან დახდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს,

ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს“,

აქ ბროლი, ბადახში, გიშერი არა მარტო ატრიბუტებია, არამედ:

ბ რ ო ლ ი — თეთრი კბილები.

ბ ა დ ა ხ შ ი — ლალისფერი ბაგეები.

გ ი შ ე რ ი — შავი თმა — უღვაში.

მ ზ ე — თამარის მუდმივი ეპითელია

გ. შ ე ს ხ მ ა — შექება.

ხ ო ტ ბ ა — ქება, დიდება.

შ ე რ ი — რჩეული.

დ. ყ ა ნ დ ი — შაქარ ყინული

ხ ა მ ს — ჰმართებს, შეჰფერის, საჭიროა, უნდა.

მ ა რ თ — მართლაც.

მ ი შ ე რ ი (მისარი) ეგვიპტე, რომელიც ცნობილი იყო განსაკუთრებულ-
ლი შაქარ-ყინულით.

მ ი შ ე რ ი აგრეთვე აღნიშნავს სკას, აქედან გადატანით — თაფლს.

მთლიანად, სტროფში ლაპარაკია თამარის ქმარზე — დავით სოსლანზე. რად დასჭირდა პოეტს დავითზე საუბარი, როდესაც პოემა მიძღვნილია თამარისადმი? სწორედ იმად, რომ პოემა ძირითადად აქებს თამარს და უხერხული იყო ორიოდ სიტყვით მაინც არ მოესხენებინა მისი მეუღლე. ვის, ლომს, რომელსაც უხდება, შვენის შუბისა და ფარ-შიმშერის ხმარება, ლომს (ქმარს) მეფისა მზის თამარისა, რომელიც ლოყა-წითელია და შავთმა. აი, ამ ლომს (მას) არ ვიცი, როგორ შევკადრო რჩეული ხოტბის შესხმა; უმჯობესია მის მკვრეტელთათვის მირთმევა მართლაც, რომ ეგვიპტურისა ყანდისა.

ვარიანტი: უმჯობესია მის მკვრეტელთათვის მირთმევა ყანდისა, მართლაც რომ თაფლისა.

რა აზრია აქ გამოთქმული?

თამარის მეუღლე, დავით სოსლანი მეტად მშვენიერია; ეს მშვენიერება ისეთს ნდომას უღვიძებს მკვრეტელებს, როგორიც აღეძვრება ხოლმე ადამიანს შაქარ-ყინულის ცქერისას.

ამ სტროფში საყურადღებოა აგრეთვე შემდეგი გარემოება: თამარის მეუღლე დავითი ამ სტროფის მიხედვით ცოცხალია. დავითი გარდაიცვალა 1207 წელს. მაშასადამე, ვეფხისტყაოსანი არ შეიძლება დაწერილიყო 1207 წლის შემდეგ.

ამრიგად, დადგინდა პოემის დაწერის terminus post quem non.

დასასრულ, აქ აღსანიშნავია შინზე გაწყობილი ალიტერაცია: „ვის ჰშვენის, — ლომსა, — ხმარება შუბისა ფარ-შიმშერისა“. ანათორული ალიტერაცია: „მას არა ვიცი, შევკადრო, შესხმა ხოტბისსა შერისა“.

მანზეა გაწყობილი:

„მისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მი-შერისა“.

4. თამარს ვაქებდეთ მეფესა...

ა. თამარს ვაქებდით მეფესა, თავდაპირველად აქ დასახელებულია ქების მთავარი პიროვნება, გვირგვინოსანი თამარი.

ვაქებდით უწყვეტელშია, მაშასადამე, მოქმედება ნაგულისხმევია

წარსულში. მაგრამ არის ვ.ტ-ის ხელნაწერები და აგრეთვე, ბეჭდური გამოცემები, სადაც წერია: „თამარს ვაქებდეთ მეფესა“.

ვაქებდეთ — კავშირებითია. ე. ი. მოქმედება (ნაწარმოების დაწერა) წარმოიდგინება მომავალში. ისმის კითხვა: როდის დაიწერა წინასიტყვაობა: ნაწარმოების (ვ. ტ-ის) დაწერამდე, თუ დაწერის შემდეგ?

ამას განვიხილავთ შესავალი სტროფების გარჩევის შემდეგ.

ც რ ე მ ლ - დ ა თ ხ ე უ ლ ი — ც რ ე მ ლ - დ ა ღ რ ი ლ ი, ც რ ე მ ლ - დ ა ნ ა დ ე ნ ი.

ბ. ვ თ ქ ე ვ ე ნ ი ქ ე ბ ა ნ ი — ვ თ ქ ე ვ ი ქ ე ბ ა, ვ თ ქ ე ვ ე ნ ი ქ ე ბ ა ნ ი.

ვ თ ქ ე ვ ე ნ ი წყვეტილშია. მაშასადამე, შოთას ადრე წინათაც უთქვამს თამარის ქება (საერთოდ უნდა ვთქვენ. ი — უფუნქციოა). ამას ადასტურებს მომდევნო სტროფები, სადაც ვ.ტ-ი ახალ წამოწყებადაა მიჩნეული.

ა რ ა ვ ა დ — ა რ ც უ დ ა დ, კ ა რ გ ა დ.

გ. გ ი შ რ ი ს ტ ბ ა — მ ე ტ ა ფ ო რ ა ა, ი გ უ ლ ს ხ ნ მ ბ ა თ ა მ ა რ ს თ ვ ა ლ ე ბ ი. ნ ა — ლ ე რ წ ა მ ი ა.

ნ ა რ ხ ე უ ლ ი — მ ე ტ ა ფ ო რ ა ა, თ ა მ ა რ ს წ ე რ წ ე ტ ი ტ ა ნ ი ა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი.

დ. გ უ ლ ს ა ხ ე უ ლ ი — გ უ ლ ს ჩ ა ს ო ბ ი ლ ი, გ უ ლ ს გ ა ნ წ ო ნ ი ლ ი. ზ ო გ ს ეს ო რ ი ს ი ტ ყ ვ ა ე რ თ ა დ ა ქ ე ს წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი — გ უ ლ ს ა ხ ე უ ლ ი, ე. ი. ლ ა ხ ვ ა რ ი. გ უ ლ ს ს ა ხ ს, გ უ ლ ს ფ ო რ მ ის ა. ა რ ა ა მ ა რ თ ა ლ ი. ა გ რ ე რ ო მ ი ყ ო ს, მ ა შ ი ნ ლ ე ქ ს ის მ ხ ა ტ რ უ ლ ი ძ ა ლ ა ს ა ვ ს ე ბ ი თ მი ლ ე უ ლ ი, მ კ რ თ ა ლ ი ი ქ ნ ე ბ ო ლ ა.

ამრიგად, სტროფი შემდეგნაირად გაიზარება:

ვაქოთ თამარ მეფე და თან ვღვაროთ სისხლის ცრემლი; [თამარის] ქება მე [წინათ] უკვე ვთქვი, კარგად გამორჩეული; მელსად (წარმოდგენილი მქონდა) მისი შავი თვალები და კალმად ლერწამი სხეული. ვინც მოისმენს, მას დაესობა ლახვარი, გულს განწონილი.

5. მიბრძანეს მათად საქებრად...

წინა სტროფის პირველ სტრიქონში (თამარს ვაქებდით) პოეტი ახალ წამოწყებაზე ლაპარაკობს. ამიტომ აქ ერთგვარი დასაბუთებაა საჭირო. თუ რატომაა, რომ ერთხელ შექებულს ხელმეორედ აქებს? და მე-5 სტროფიდან დაწყებული ვიდრე მე-11-მდე და მე-19 სტროფში პოეტი ცდილობს დაასაბუთოს თამარის ხელმეორედ შექების საჭიროება და აუცილებლობა.

ა. მი ბ რ ძ ა ნ ე ს მ ა თ ა დ ს ა ქ ე ბ რ ა დ თ ქ მ ა ლ ე ქ ს ე ბ ი ს ა ტ კ ბ ი ლ ი ს ა.

აქ ერთგვარ სოციალურ დაკვეთასთან გვაქვს საქმე. ვინ იყო მბრძანებელი? — მმართველი წრეები, ის კლასი, რომლის ზრახვათა გამომხატველად შოთა გამოდიოდა.

ცნობილია, რომ ჩვენში იყვნენ კარის პოეტები, მთელი ლიტერატურული დეპარტამენტი, რომელშიაც შედიოდნენ იმდროინდელი საუკეთესო მწერლები და ხელფასსაც ღებულობდნენ თავისი კვალიფიკაციის მიხედვით. მწერლებიც ვალდებულნი იყვნენ ემსახურათ, ე. ი. საჭიროებისამებრ პოეტურად შეექოთ სახელმწიფოში მომხდარი რაიმე დიადი ამბები. და სწორედ აქედანაა: მი ბ რ ძ ა ნ ე ს... შეიძლება მბრძანებლად თვით თამარი დავსახოთ. მაშინ „მი ბ რ ძ ა ნ ე ს“ იქნება pluralis majestatis.

ამრიგად:

აწ (ახლა) მე მინდა (მჭირდება) ენა, გული და ხელოვნება. მომეც (მიპ-მართავს თაპარს) ძალა და დახმარება, შენის დახმარებით შემძლია გონება მოვიხმარო. ამით შევეწიოთ ტარიელს, რომელსაც ლამაზად, ტურფად უნდა ხსენება.

დ. სამი გმირი მნათობი (ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი) ერთმანეთისათვის მონა-მოსამსახურეები, ერთგულნი არიან.

პოეტს უკმარად მიიჩნია თავისი საკუთარი ძალა იმისათვის, რომ სათანადოდ შეამკოს ტარიელი; ამიტომაც ამ სტროფშიაც არის ლაპარაკი დახმარების, შეწვევის შესახებ, ხოლო მომდევნო სტროფში უკვე გარკვევით მოუხმობს თავის თანამოკალმეთ, თქვენც მიიღეთ მონაწილეობა ტარიელის ღირსეულად შექებაში.

7. მო, დაესხდეთ, ტარიელისთვის...

ა. მო — შეკვეცილი ფორმაა სიტყვისა: მოდით!

შე უ შ რ ო ბ ი ლ ი — სტროფის წამყვანი რითმაა. ო ბ ი ლ ი — შობილი, სობილი, წყობილი, ამან გამოიწვია შეუშრობილი. უკანასკნელად ნ. მარის შეუშრობილს კანონიერად მიიჩნევდა:

„...Форма с о (შეუშრობილი) хотя несъщущая, но грамматически она может быть вполне оправдана: о ссть характер страдательного злствия, а в приложении к слезам здесь причастие дслжно ссть ксцстврствено именно как страдательная форма¹⁷.

ბ. მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!

აქ მცა ნაწილაკიანი წინადადებაა, ამიტომაცა შემასმენელი დასმული თბრობით კილოში (ყოფილა). ნამდვილად კი შინაარსის მიხედვით აქ კავშირებითი კილო უნდა:

მისებრი (ტარიელისებრი) დაბადებით მართლაც ვინ წარმოიშვას, ვინ გაჩნდეს? სხვაგვარად: მისებრი ამიერიდან არავინ დაიბადებაო. (ნ. მარის ღროს მცა ნაწილაკის ფუნქცია არ იყო გამორკვეული და ამიტომაც მას ეს ადგილი მცდარად აქვს გაგებული: „Ксму нарисана на роу судца Тариаа“¹⁸...

გ. დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულდახვარ-სობილი.

დავჯე — მოითხოვს ქვემდებარეს სახელობით ბრუნვაში: დავჯე რუსთველი, ხოლო გავლექსე — მოთბრობითში: რუსთველმან გავლექსე.

ამის გამო, აგრეთვე, იმიტომ, რომ თუ აგრე დავტოვებთ, მაშინ გამოდის, რომ როდესაც წინასიტყვაობას წერდა შოთა, მას პოემა უკვე დაწერილი ჰქონია, რაც ეწინააღმდეგება პირველ სტრიქონში გამოთქმულ მოსაზრებას (მო, დაესხდეთ...). ნ. მარმა ეს სტრიქონი შემდგენარად შეასწორა:

დავჯდე, რუსთველი ვლექსვიდე, მისთვის გულ-ლახვარსობილი¹⁹.

¹⁷ Н. М а р р, Вступ. и закл. строфы, стр. 36, прим. 3.

¹⁸ Н. М а р р, დასახ. ნაშრ. გვ. 37.

¹⁹ ი ქ ვ ე, გვ. 37.

არაა საჭირო შესწორება! ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ უნდა გავუწიოთ ანგარიში იმ გარემოებას, რომ ლექსის გამო აქ გვაქვს ინვერსიული წყობა სიტყვებისა:

დავჩე მისთვის გულ-ლახვარ სობილი: [მე]რუსთველმან გავლექსე,
დ. აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

აქ უპირისპირდება ერთმანეთს ამბავი და წყობილი: ამბავი პროზაა, წყობილი (იგულისხმება: სიტყვა) მხატვრულად გალექსილი ნაწარმოებია.

ამბავის მასალაა, რომელიც საჭიროა ყოველი შემოქმედისათვის. უმისოდ არაფრის შექმნა არ შეიძლება.

წყობილი კი უკვე მხატვრული შემოქმედებაა. ეს ის მხატვრული ნაწარმოებია, უპირველესად ლექსი, რომელიც შემოქმედმა მასალისაგან აავსო, ააშენა.

ამასთანავე, აღსანიშნავია შოთას შეფასება თავისი ნაწარმოებისა — იგი არაა უბრალო ნაქმნარი, არამედ მარგალიტი წყობილია.

მთელი სტროფი:

მოდით, (მოუხმობს თანამოკალმეთ!) დავსხდეთ, ცრემლი გედის შეუშრობელი.

მისებრი (ტარიელისებრი) მართლაც რომ ვინ დაიბადოს, ვინ წარმოიშვას; დავჩე მისთვის გულ-ლახვარ-სობილი და მე რუსთველმან გავლექსე აქამდის მხოლოდ ამბად ნათქვამი, ამიერიდან კი — მარგალიტი წყობილი.

8. მე. რუსთველი. ხელობითა...

ა. აქ თავდაპირველად გასარკვევია სიტყვა ხელობითა. ხელობა ტრადიციულად ესმოდათ როგორც სიგიჟე. მაშასადამე:

მე, რუსთველი, სიგიჟითა ვიქმ საქმესა... მაგრამ კ. კეკელიძემ ეჭვი შეიტანა ამ სიტყვის ამგვარად გაგებაში და იგი გაააზრინა, როგორც საქმიანობა, მოხელობა, თანამდებობა: „მე, რუსთველი, ხელობითა, ვიქმ საქმესა, ამაღარი, ვის ჰმორჩილობს ჭარი სპათა, მისთვის ვხელობ მისთვის მკედარი...“ რუსთველი ლექსისა და სიტყვის შეუღარებელი ვირტუოზი, ერთსადანიმავე ადგილას, ერთი-სადანიმავე მნიშვნელობის სიტყვას არ იმეორებს, ამიტომ პირველ შემთხვევაში (ხელობითა) ლაპარაკი უნდა იყოს არა „ხელობაზე“, გიჟობაზე, არამედ „ქელობაზე“, მოხელობა — თანამდებობაზე; მეორე შემთხვევაში კი (ვხელობ) ლაპარაკია „ხელობაზე“, ან „გიჟობაზე“²⁰.

„ამაღარი“ კ. კეკელიძეს მიაჩნია ალამდარი-ს დამახინჯებად. ალამდარი ესე იგი მედროშე.

ამრიგად, კ. კეკელიძის ინტერპრეტაციით მთელი სტრიქონი ამგვარად უნდა წავიკითხოთ:

მე, რუსთველი ქელობითა ვიქმ საქმესა ალამდარი,
რაც ასე გაიზრება:

მე, რუსთველი, თანამდებობით ალამდარი ვიქმ საქმესა...

²⁰ კ. კეკელიძე, ჰართ. ლიტ. ისტ., 11², გვ. 124.

განვიხილოთ პარტიკულური მკვლევარის მოსაზრებანი: რუსთველი ერთ-სა და იმავე მნიშვნელობის სიტყვას ერთსა და იმავე სტროფში არ იმეორებს. გააჩნია მიზანსა და განწყობას.

თუ ფაქტი კონდენსირებულად უნდა გადმოიციეს, თუ ფაქტს ხაზი უნდა გაესვას. რუსთველი ერთ სიტყვას ორჯერ და სამჯერაც იხმარს ერთსა და იმავე სტროფში.

რაც შეეხება ერთი ფაქტის სუბსტანტივითაც და ზმნითაც გადმოცემას ე. წ. პარანომაზიას ამგვარი მაგალითი შოთას ბევრი მოეპოვება:

მ ზ ე ა ღ ა რ მ ზ ე ო ბ ს ჩ ე ნ თ ა ნ ა , დ ა რ ი ა რ დ ა რ ო ბ ს დ ა რ ო ლ ა დ (320,4)
აქამდის მ ზ ლ ე ა რ ი ო ე რ ჯ ა ა , მ ო მ ზ ლ ვ რ ე ა ფ რ ი ღ ნ მ ზ ლ ვ რ ე ბ ი თ ა
(570, 3)

ბ რ ო ლ ი ბ რ ო ლ დ ა , ს ა თ ი ს ა თ დ ა (857, 3) და სხვ.

პარანომაზიით ცნობილია ყველა ბიბლია, მათ შორის ქართულიც. პარანომაზია უყვარს ხალხს: სიკვდილით მოგვეკდი, სიხარულით გავიხარე და სხვა. და თუ შოთა მიმართავს მას, ამით იგი კვალად ხალხურობას ამტკიცებს. ასე, რომ აქაც სიგიჟეზე, ხელობაზე, მისგან დაუძღურებაზე, უკუტრენელობაზეა ლაპარაკი და რაც შეიძლება ეს ხელობა, მეტის ძლიერებით უნდა იქნეს წარმოდგენილი: „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი,... მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“.

მაშასადამე, ის გარემოება, რომ ერთი ფაქტის გადმოსაცემად ერთი და იგივე სიტყვა ორჯერაა ნახმარი (ერთხელ სუბსტანტივი, მეორედ — ზმნა) არ გამოდგება იმის საბუთად, რომ პირველ შემთხვევაში თანამდებობაზეა ლაპარაკი, ხოლო მეორე შემთხვევაში — სიგიჟეზე.

არის კიდევ მეორე გარემოება, რაც ა ღ ა მ დ ა რ ს აქ საეჭველად ხდის:

მე რუსთველი კელობითა ვიქმ საქმესა ალაშდარი.

თუ ასეთ წყობას დავტოვებთ, მაშინ ჩვენ გვექნება ე. წ. ტმესი, ან გაკვეთა. როდესაც მსაზღვრელი და საზღვრული გაყოფილია ერთმანეთისაგან. ამგვარი შემთხვევები შოთას მოეპოვება, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას იწვევს რიტმის საჭიროება.

მაგ.: „ჩემმან ხელ-მქმნელმან დამართოს ლალმან და ლამაზმან ნები“ (9,4), აგრე უნდოდა: ჩემმა ხელმქმნელმან, ლალმან და ლამაზმან დამართოს ნები.

შოთას აგრე რომ გაეწყო, რიტმი დაირღვეოდა და ლექსიც წელში გატყდებოდა; ამიტომაც გაკვეთა მან ლექსი, და შემასმენელი, პროზაული წყობის თვალსაზრისით, უცხო ადგილას ჩასვა.

ჰკონდა თუ არა პოეტს ამგვარი გაჭირვება საანალიზო სტროფის შეთხზვისას? არა!

მას, თუ იგი ა ღ ა მ დ ა რ ს იგულისხმებდა, თავისუფლად შეეძლო დაეცვა სიტყვათა წესიერი დალაგება წინადადებაში:

მე, რუსთველი, ვიქმ საქმესა, ხელობითა ალაშდარი. აზრიც სწორი გამოვიდოდა და ლექსიც გამართული.

მაშასადამე, ჯერჯერობით, ა ღ ა მ დ ა რ ს საკითხი თუ არ უნდა მოიხსნას, კითხვის ქვეშ მაინც უნდა დარჩეს.

ამრიგად, ამა დარის საკითხი, ცალკე დაიწერება იგი, თუ ერთად, ვერ არის მოგვარებული:

თუ იგი განსაზღვრავს ს ა ქ მ ე ს ა — სიტყვას, მაშინ შეთანხმებულიც უნდა იყოს მასთან: ვ ი ქ მ ს ა ქ მ ე ს ა ა მ ა დ ა რ ს ა. ეს კი რითმის დარღვევაა.

რუსთველს ამგვარი დარღვევანი, უსწორობანი საკმაოდ ბევრი აქვს და იგინი ჩვენ უჩვეულოდ არ გვეჩვენება.

მაშასადამე, შესაძლებელი (საცილობელი) ვარიანტი სტროფის გააზრებისა ასეთია:

მე. რუსთველი სიცილით ვიქმ საქმესა ანისთანას
ვის ჰპორჩილობს ქარი სპათა, მისთავის გვაგობ, მისთვის მეცდარი;
დაუქსურდი, მიჭნურთათვის კვლა წაძალა არსით არი,
ანუ მომეც განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

ს ა მ ა რ ი შეიძლება წარმოვიდგინოთ სუბსტანტივად, ს ა მ ა რ ე ს ნ ა ც-
ვლად. მაშინ „მიწა, მე სამარი“, მძიმით უნდა გამოიყოს ერთმანეთისაგან,
როგორც სინონიმები. მაგრამ ს ა მ ა რ ი შეიძლება ვიგულოთ, როგორც რა-
ვისებური ფორმა ზედსართავისა: დასასამარებელი, მაშინ სამარი იქნება
მ ი წ ა ს ი ტ ყ ე ვ ს განსაზღვრება და მათ შორის მძიმე აღარაა საჭირო.

ამრიგად: ქების საგანი, ქების საფუძველი, ამგვარ შემთხვევაში საჭი-
რო და აუცილებელი ენა და ხელოვნება და სათანადო განწყობა.

მაგრამ ყველაფერი რომ რიგზე შესრულდეს, ერთგვარი მასალაც ხომ
საჭიროა, რომელსაც უნდა დაემყაროს პოეტი, თავისი წამოწყება რომ ღირ-
სეულად დააგვირგვინოს!

აქედან ცნობილი მითითება ფაქტად წყაროზე:

9. „ესე ამბავი სპარსული...“

თუ სადმე უნდა ჰქონდეს ამ სტროფს ადგილი, სწორედ აქ, რადგან ლო-
გიკური თანამიმდევრობა მას სწორედ აქ მოითხოვს.

ა. ნ ა თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი — გადმოღებული, ნათქვამი.

ბ. მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ო ბ ო ლ ი — მეტად ძვირფასი, იშვიათი.

ხ ე ლ ი ს-ხ ე ლ ს ა გ ო გ მ ა ნ ე ბ ი — ხელიდან ხელში სათამაშებელი,
მოსაველი.

გ. ს ა ქ ო ჳ მ ა ნ ე ბ ი: ჳოჳმანი, ყოყმანია, როდის ყოყმანობს ადამი-
ანი? როდესაც დიდი, ძნელად გადასაჭრელი ამოცანის წინაშე დგას.

ს ა ქ მ ე ვ ქ მ ე ნ ს ა ქ ო ჳ მ ა ნ ე ბ ი — დიდი, ძნელად გადასაჭრელი საქ-
მე გავაკეთე.

დ. ხ ე ლ მ ქ მ ნ ე ლ ი — გაშავიებული.

ღ ა მ ა რ თ ო ს — დამართოს.

ნ ე ბ ი — თავდაპირველად ხელისგულია. ხელი — ბევრ რასმე დაედვა
საფუძვლად, ხელი ბევრის რისიმე აღმნიშვნელია. უწინარეს ყოვლისა, ძა-
ლის, უფლების (რა ხელი აქვს ჩემზე და მისთანანი).

ამგვარადვეა ნ ე ბ ი ც. განვიხილოთ მის მნიშვნელობათა განვითარების
მხოლოდ ერთი ხაზი.

ნ ე ბ ი — ხელისგულია. რას ნიშნავს: „ღამ(ა)რთოს ნები“?

როდესაც ორ ადამიანს შორის რაიმე საქმე იყო გასარიგებელი, საქმე წყდებოდა, დასტურდებოდა ხელის ჩამორთმევით, როდესაც ერთი ხელის ნები დაერთვის მეორე ხელის ნებს. აქედან: ნების დართვა. ანდა: ნებადართვა, უკანასკნელ: ნებართვა.

დ ა მ ა რ თ ო ს ნ ე ბ ი — დამართოს, მომცეს ნება.

სტროფი მთლიანად:

ესე სპარსული ამბავი, ქართულად ნაამბობი, როგორც იშვიათი მარგალიტი, ხელის-ხელ სათამაშებელი, ვიპოვე და ლექსად გარდავთქვი, მეტად ძნელი საქმე შევასრულე; ჩემმა გამაგიყებელმა (თამარმა) დამიდასტუროს ეს ჩემი წამოწყება, დამართოს საამისოდ ნება (მომიწონოს).

10. „თვალთა მისგან უნათლოთა...“

მამსადამე, ჩვენ გვაქვს ქების საგანი, საფუძველი, ენა და ხელოვნება. წყარო, საიდანაც უნდა აიღოს პოეტმა მასალა თავისი ნაწარმოებისათვის, უკანასკნელ, — სათანადო ნებართვაც.

მაგრამ პოეტი მაინც საჭიროდ ცნობს, მას აუცილებლად მიაჩნია, ერთ-ხელ კიდევ განმარტოს, თუ სახელდობრ, რა აიძულებს მას უკვე ხობტა შესწამულის კვალად შექებას? რა? (ამის შესახებაა ლაპარაკი მე-10 სტროფში).

ა. ე ნ ა ტ რ ა მ ც ა ა ხ ლ ა დ ჩ ე ნ ა — მ ც ა ნ ა წ ი ლ ა კ ი ა, ნ ი შ ნ ა ვ ს; მ ო ე ნ ა ტ რ ო ს ა ხ ლ ა დ გ ა ხ ე ლ ა.

ბ. მ ი ჰ ს დ ო მ ი ა ვ ე ლ თ ა რ ბ ე ნ ა — დასჩემებია ველად გაჭრა: ველად გაჭრა მიჯნურის მიუცილებელი თვისება იყო.

გ. მ ი ა ქ ე თ ვ ი ნ — შემახვეწეთ მას ჩემი სახელით, შემახვეწეთ მას!

დ. ლ ა მ ი ს — (ვლამი, პლამი, ლამის), სურს, უნდა.

მისგან (თამარისაგან) დამწვარ, დაბნელებულ თვალებს ხელმეორედ მონატრა, მოესურვა თვალების გახელა; შემახვეწეთ მას, ხორცის დაწვა მაკმაროს, მისცეს სულს ღზენა. სამი ფერის (გმირის) შესაქებ ლექსებს მოუწადინებია, სურს გამოვლენა (ე. ი. პოეტურმა შთაგონებამ, აღმაფრენამ საზღვარს მიაღწია!).

პოეტი მომდევნო სტროფშიაც ცდილობს დაასაბუთოს თავისი ნაბიჯი, თამარის ხელმეორედ შექება, ახალი ნაწარმოების წამოწყება.

11. რაცა ვის რა ბედმან მისცეს...

ა. ვისაც რა საქმე, რა სპეციალობა აუღია, მას უნდა დასჯერდეს, მასზე უნდა სიტყვობდეს (მას უბნობდეს!), მის განკარგებას უნდა ცდილობდეს. ეს საერთო დებულებაა. ამას მოსდევს კერძო, კონკრეტული მავალი-თები.

ბ. თუ შენ მუშა ხარ, მიწყვი, ე. ი. მარად უნდა მუშაობდე. მარად შენს ხელობას უნდა მისდევდე.

მეომარი ხარ, მარად უნდა გულოვნობდე. ყველაფერი ეს ერთგვარი პრელუდიაა, სიტყვის მასალა იმისათვის რომ გამართლდეს მესამე, მთავარი, ძირითადი დებულება:

გ. თუ ადამიანს მიჯნურობა აუღია ხელობად, არასოდეს არ უნდა უღალატოს მას, არამედ:

ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვასმე აშვიობდეს.
ყოფსა მასთვას ზელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
ზისგან კიდე ჩურა უნდა, — მისთვის ენა მუსიკობდეს! (18, 2—4)

მოკლედ: თითოეული უნდა ზელოვნობდეს თავის დარგში.
ზოგ მკვლევარს ეს სტროფი სხვაგვარად ესმის:

„Существование различных ступеней социальной лестницы считается незыблемым устоем общественной жизни, так что автор, не обвиняясь, провозглашает: „что судьба нам присудила, нам должно быть это мило“, или, выражаясь прозаически — „пусть каждый доволен тем, что дает ему судьба, и пусть речь каждого будет о своей доле; пусть раб (sic. ვ. ზ.) непрестанно работает, воин проявляет свою храбрость, а влюбленный пусть лелеет безумную любовь“.²¹

ჯერ ერთი, „მუშა“ არასოდეს ყოფილა „რაბ“²² მეორეც: აქ რომ სოციალური კატეგორიების გარდაუვალობაზე, უქვალელობაზე ამბობდეს შოთა, მაშინ, თუ პირველ რიგში მუშა მოიხსენია, ხოლო მეორე რიგში — მეომარი, მესამედ იგი მიჯნურსა და მიჯნურობას კი არ შეაქებდა, არამედ, ვთქვათ, ვაჭარს და სხვა.

მიჯნურობა სოციალური კატეგორია (მოვლენა) არაა და არც მიჯნურია სოციალური, საზოგადოებრივი დაჯგუფების წარმომადგენელი.

ზოგიც ამ სიტყვებში შემდეგს აზრს აქსოვს, თითქოს, ეს ფორმულა გვეუბნება: ფეხი არ წაღვა წინ, რაც უნდა ცუდ ყოფაში იყო, რაც უნდა იჩაგრებოდე, შენ ასე თქვი: ღმერთს ეს ურგუნებია ჩემთვის, მეც უნდა დავეჯრდე. თქვი და ადგილიდანაც არ დაიძრა შენი ყოფის გასაუმჯობესებლადო.

არავითარი უმოქმედობა, არავითარი გულზე ხელის დაკრეფა აქ არაა, პირიქით: აქ უდიდესი საქმიანობა, არაჩვეულებრივი აქტიურობაა მოცემული. საბუთი? საბუთი თვით ძეგლია. როდის იწყებს შოთა მის აგებას? სწორედ ამ სიტყვების შემდეგ.

შოთას რომ ზემოაღნიშნულად გაეგო თავისი სიტყვები, იგი გულზე ხელს დაიკრეფდა და მართლაც, რაც ერთხელ ბედმა არგუნა მას დასჯერდებოდა. მაგრამ შოთა არაა გულზე ხელების დაკრეფის მომხრე და მქადაგებელი. იგი მარად მაძიებელია, წინამსრობლია, მარად იმის ცდაშია, რომ ახალი რამ დაიწყოს და სათანადოდ დაასაბუთოს ეს ახალი საქმე. და ამგვარ დასაბუთებად მან ზემოთ მოყვანილი სიტყვები მოიმარჯვა.

ეს სიტყვები მისთვის სტიმიულია, სათანადო ბიძგია იმისათვის, რომ ერთხელ კიდევე აამეტყველოს თავისი ენა და იგი კიდევეც აამეტყველა ისე, როგორც არავის სხვას არსად და არასოდეს!

²¹ К. К е к е л и д з е, Конспективный курс Истории древне-грузинской литературы, Тб., 1939, стр. 66, შდრ. აგრეთვე, ქართ. ლიტ. ისტ. 11², ვკ. 161.

²² აკად. კ. კეკელიძე: რაბ არც უწერია. „მუშა“ მას ნათარგმნი აქვს, როგორც рабочий. შდრ. ამავე სტროფის ნ. მარისეულ თარგმანს: «Пусть каждый доволен тем, что дает ему судьба, и пусть речь каждого будет о своей доле. Пусть п а х а рь непрестанно пашет, воин проявляет свою храбрость, а влюбленный пусть лелеет безумную любовь...» (Вступ. и закл. строфы, ვკ. 3).

ეს სტროფი როგორც ხელნაწერებში, ისე სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვა ადგილზეა მოთავსებული. საიუბილეო გამოცემაში იგი მე-19 ადგილზეა, სახელდობრ შაირობის შესახები სტროფების შემდეგაა დასმული.

მაგრამ ამ სტროფს უშუალო კავშირი აქვს წინათ განხილული სტროფების შინაარსთან, ამიტომ მისი ადგილი სწორედ აქ არის.

ვ. ტ-ის წინასიტყვაობა თეორიულ საკითხებს ეხება. იგი უპირატესად მსჯელობას წარმოადგენს, და ცნობილია, მსჯელობა ორგვარად შეიძლება წარმოებდეს: ზოგადიდან კერძოს მიმართ და პირუკუ: კერძოდან ზოგადისაკენ. ორივე გზა სწორია, შედეგიც ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივეა, მაგრამ წყობა წინადადებათა ორგანვე ერთი და იგივე არაა.

იმ გარემოების გამო, რომ წინასიტყვაობის სტროფებს თხრობის ძაფი არ აერთიანებს, შესაძლებელი შეიქნა გადაწერების ხელში ისინი არეულიყო და თავდაპირველად ერთგვარად გაწყობილი, დროთა განმავლობაში სხვადასხვაგვარად დალაგდა, ზოგჯერ სრულიად აიშალა და დღეს ხელნაწერებს რომ მიემართოთ, მეტისმეტად ჰრელ სურათს დაგინახავთ.

რედაქტორ-გამომცემლებიც ცდილობდნენ წინასიტყვაობის სტროფების სათანადოდ დალაგებას, ზოგი რამ ამ მხრივ მოგვარდა, მაგრამ საბოლოოდ მოწესრიგებულად იგი ჯერჯერობით მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს.

მე-4 სტროფში პოეტმა პირველად დაასახელა ქების საგანი: თამარს ვაქებლით მეფესა.

შემდეგ სტროფებში, როგორც დაგინახავთ, პოეტი მარად იმის ცდაშია, რომ როგორმე დასასაბუთოს ამ ქების აუცილებლობა, სათანადო საფუძველი მოუწახოს მას და ამისდა მიხედვით ყოველ შემდეგ, მომდევნო სტროფში თანდათან აძლიერებს საამისო საბუთებს. უკანასკნელ იგი აღწევს პირველ ზღვარს მე-11 სტროფში.

მეტად ძნელია უბრალო მოკვდავისათვის გვირგვინოსანის შექების დასაბუთება. სწორედ ამიტომ მიმართავს იგი გრადაციას. საზოგადოდ რომელიმე აზრის გასაძლიერებლად შოთას ხშირად აქვს გამოყენებული გრადაცია, ე. ი. სიტყვისა და მთელი მასალის თანდათან გაშლა ისე, რომ თვითეულ სიტყვას თანდათან ემატებოდეს ესა თუ ის თვისება (მაგ., 209, 528, 555 სტროფებში). ამ სტროფებში მეტი დამაჯერებლობისათვის სიტყვები განლაგებულია თანდათან მზარდი ძლიერებით.

მაგრამ გრადაცია შეიძლება არა მარტო სტრიქონებს, არამედ რიგ სტროფებსაც წვდებოდეს.

აქ გრადაციას უჭირავს მთელი ცხრა სტროფი:

პირველი წეფრია — თამარს ვაქებდეთ მეფესა.

უკანასკნელი — ჩემი აწ ცანით ყოველმან.

ამ მწკრივში პირველი წეფერი შედარებით სუსტია. აქ მოცემულია საგნის ვითარება ზოგადად. მეორე უფრო ძლიერია და ასე ბოლომდე. ერთი სიტყვით, გვაქვს მზარდი მწკრივი.

შინაარსობრივი ზრდა განმტკიცებულია აზრის გამოთქმის გარეგნული გამოხატულებებით.

განსაკუთრებით საგულისხმოა სიტყვათა შედგენილობით გრადაციის უკანასკნელი წევრი (ჩემი აწ ცანით ყოველმან).

აქ პოეტმა ერთხელ კიდევ უნდა დაასაბუთოს ქების აუცილებლობა. ამასთანავე ეს თქმა საბოლოოდ დამაჯერებელი უნდა იქნეს.

ცხადია, პოეტი აქ ვერ გაიმეორებს სიტყვების იმ წყებასა და კომპლექსს, რომელიც მან წინათ იხმარა. აზრი უკანასკნელია და სიტყვებიც საბოლოო ხასიათისა უნდა იყოს. ამიტომ პოეტი ამ სიტყვის მასალას აუნჯებს ასეთი ხარისხისა და ასეთის შეწყობით, რომ მკითხველს თუ მსმენელს უკვე აღარ რჩება არაფერი საეჭვო და იგი წამოყენებულ დებულებაში საბოლოოდ რწმუნდება.

ამიტომაც, პირველ წევრში გვაქვს დამშვიდებული, თბრობითი კილო და სიტყვებიც შესაფერისად შერჩეული: თ ა მ ა რ ს ვ ა ქ ე ბ დ ე თ მ ე ფ ე ს ა — უკანასკნელში კი — აღტაცებული ტონი: ჩ ე მ ი ა წ ც ა ნ ი თ ყ ო ვ ე ლ მ ა ნ .

მდგომარეობას აძლიერებს, განსაკუთრებულ ეფექტს ქმნის სიტყვები: ჩ ე მ ი ა წ ც ა ნ ი თ ყ ო ვ ე ლ მ ა ნ . შეიძლებოდა თუ არა ამ სიტყვების ხმარება მეოთხე სტროფში, სადაც პოეტმა პირველად დაასახელა თამარი? არ შეიძლებოდა.

„ჩემი აწ ცანით“... დსაწყისი, ბუნებრივი ტონის სიტყვები არაა. იგი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოვიხმოთ, როდესაც ერთსა და იმავე ფაქტზე რამდენჯერმე განმეორებითაა ლაპარაკი. იგი მხოლოდ მაშინ გამოდგება, როცა თბრობა უმაღლეს საფეხურზე ავიდა, უკანასკნელ ზღვარს მიაღწია.

ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ რაკი წინა სტროფებში ქების საგანზეა ლაპარაკი, აქ, ამ სტროფში უკვე აღტყინებული ტონი მოითხოვს, რომ ქ ე ბ ა სიტყვა, რაც შეიძლება მძლავრად იქნეს წარმოდგენილი.

ამიტომაც, პოეტმა აქ უნდა მიმართოს ე. წ. ტავტოლოგიურ რითმას მეტი დამაჯერებლობისათვის, მეტის ემოციურობისათვის.

ამიტომაც, ცხადია, მცდარნი არიან ის მკვლევარნი, რომელთაც ამ სტროფის ო რ ი მი ქ ი ა , სხვადასხვაგვარად ესმით, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ შოთა პრინციპულად უარყოფს იდენტური სიტყვების გარითმვასო.

აქ ორივე მი ქ ი ა ქ ე ბ ა სიტყვასთან არის დაკავშირებული და არაერთარი გაკვეთა და ხელოვნური, არარსებული სიტყვების წამოყენება არაა საჭირო.

შოთას, რომ მიქია ორჯერვე ქ ე ბ ა სიტყვისაგან არ ეწარმოებინა, ეს გარემოება მას უთუოდ ნაკლად ჩაეთვლებოდა: აქ შექება, ქ ე ბ ა რაც შეიძლება კონდენსირებულად, დაუნჯებულად უნდა წარმოდგეს და ამას კი ვალწევთ ქ ე ბ ა სიტყვის რამდენიმე ვარიანტით.

ბ. განქიქება: აქამდე გაგებული იყო, როგორც შერცხვენა, გაწბილება.

თავი არ გამიქიქია — თავი არ შემირცხვენია, თავი არ გამიწბილებია.

პროფ. ილ. აბულაძემ უტყუვრად დაამტკიცა, რომ განქიქება ძირითადად უდრის გაცხადებას, გამელაგება-გამოაშკარავებას. თავისი მნიშვნელობით იგი უპირისპირდება დაფარვას, ხოლო მთელი სტრიქონის აზრი პროფ.

ი. აბულაძის მიხედვით შემდეგი შინაარსის ხდება: „ეს მიჩანს (მიმჩინია) დიდად (ფრიად) სასახლოდ, რომ თავი (ჩემი მე) არ გამიცხადებია ან არ გამიქვალავნებია“²³.

პროფ. ილ. აბულაძის მიერ მიგნებული, ძირითადი, პირველადი მნიშვნელობა განიჭიქება სიტყვისა უდავოა, უთუოდ სწორია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მისი მნიშვნელობა საბოლოოდ მაინც ტრადიციულს უახლოვდება, ე. ი. მაინც შერცხვენა-გაწბილების მნიშვნელობას ღებულობს, ხოლო თავდაპირველი მნიშვნელობა ამ სიტყვისა არის გაცხადება, გამოაშკარავება — შემდეგ: სააშკარაოზე გამოყვანა, საჯაროდ მხილება, გამოქვენება, შერცხვენა. რომ ეს ასეა, ამას, სხვათაშორის, ადასტურებს ქვემო იმერულში დარჩენილი ამ სიტყვასთან დაკავშირებული ქიაქი, გაქიაქება — სიტყვის მნიშვნელობა.

გ ა ქ ი ა ქ ე ბ ა გალანძღვას, გათრევას, გაწბილებას ნიშნავს: (ისე გალანძღა და გააქიაქა, რომ რიონი ვერ გაბანსო).

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ტრადიციული განმარტებით გამოდის, თითქოს შოთა დიდი წარმოდგენისაა თავის თავზე, რომ სასახლო ნაწარმოები დავწერე, თავი არ შემირცხვენია, თითქოს ეს არ შეეფერებოდეს ძველი ავტორების ბუნებას და ხასიათს, ესეც საცილობელი დებულებაა. შოთა არ დაარღვევს ძველ წესს და არ მიჰყოფდა ხელს კვეხნასო.

მე არ ვიცი კვეხნა თუ არა საანალიზო სტრიქონში გადმოცემული ამბავი, ის კი ცხადია, რომ შოთა ამ შემთხვევაში მიმართავს თავისთვის ჩვეულებრივ, მხატვრულ ხერხს. სახელდობრ: ერთი და იგივე ფაქტი შოთას ხშირად გადმოცემული აქვს ორი გზით, ორი მხატვრული საშუალებით ერთსა და იმავე სტრიქონის ფარგლებში, ამასთანავე, ხშირად სტრიქონის ერთ ნახევარში ფაქტს გადმოგვცემს დადებითი კონსტრუქციით, ხოლო მეორეში — უარყოფითი კონსტრუქციით. ამგვარი პარალელიზმის მაგალითი ვ. ტ-ში უამრავია:

თავისწინა იგონებდეს, ნიადამცა ჰქონდა ხალვა (27,2)

თავის წინა — მარტობას ნიშნავს, ხალვა ც იგივეა.

ყველაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დაჯრილი (101,3)

პარალელიზმია: პირველი ნახევრის ყველაკაის შეესატყვისება მეორე ნახევრის ჯალაბი, ხოლო გაიყარა-ს — არ დაჯრილი.

105, 112, 155, 240, 279, 307 სტროფებშიც ყველგან ერთი ფაქტი, ერთი აზრი (იდეა) ორი მხატვრული სახითაა გადმოცემული.

საანალიზო სტროფშიაც სწორედ ამგვარი მდგომარეობა გვაქვს.

შოთას თავისი ნაწარმოები ფრიად დიდ საქმედ მიაჩნია (საქმე ვქმენ საჰოკმანები, აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი)

აქაც: ესე მიჩნს დიდად სახელად, — პირველ ნახევარში, ხოლო მეორე ნახევარში ამ დებულებას განამტკიცებს იმავე შინაარსით, მაგრამ უარყოფითი კონსტრუქციით — თავი არ გამიქიაქია! ე. ი. ფრიად დიდი სასახლო საქმე ჩაუიღინე, თავი არ შემირცხვენია.

ილ. აბულაძის მიხედვით კი, შოთამ სასახლო საქმე იმით ჩაიღინა, რომ თავი დაიფარა, არ გამოაცხადა.

²³ ილ. აბულაძე, „რეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი II, გვ. 111-112, ისუ. შრომები, XXX B, 1947, გვ. 295—301.

რა არის სასახელო იმავი, რომ თავი დამალა. რა მინცდამინც დიდი გმირობა უნდა იყოს ეს?

არავითარი!

ღ. ჯიქი — ტომი იყო აწინდელ ჩრდილო-კავკასიაში. კაცნი ფიცხელნი, შეუპოვარნი და დაუნდობელნი²⁴. მტერზე შემმართველი და პირდაპირ მიმხვედრნი. ქართულში დღემდე დარჩენილია ჯიქურ მისვლა — პირდაპირ, მტკიცედ, ურყევად მისვლა.

უწყალო ვითა ჯიქია. — შეუბრალებელი, როგორც ჯიქი.

13 (12). შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი.

პოეზიის საკითხს ვ. ტ-ის წინასიტყვაობაში შვიდი სტროფი აქვს დათმობილი. სტროფები ერთ მთელს წარმოადგენენ. თანამიმდევრობაც სტროფებისა საუკეთესო ხელნაწერებში და გამოცემებში ერთგვარადაა დაცული. გადასმა-გადმოსმა, ან რომელიმე მათგანის ამოღება არ შეიძლება, არაა საჭირო.

ამასთანავე, მას ორგანული კავშირი, უკეთ, ლოგიკური კავშირი წინასიტყვაობის დანარჩენ ნაწილთან თითქოს არა აქვს. ამიტომ მისი მოთავსება, განსაკუთრებით განხილვა, შეიძლებოდა წინასიტყვაობის ბოლო ნაწილშიც.

აქ, ამ ნაწილში, შოთა განიხილავს:

ა) პოეზიის დანიშნულებას

ბ) პოეზიის რაობას.

გ) პოეტური შემოქმედების პროცესს.

ყველა ეს საკითხი პოეზიის თეორიას ეხება და პოეტი იმრიგად ერკვევა მათში, რომ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რუსთაველი უდიდეს პოეტობასთან ერთად პოეზიის იშვიათი იდეოლოგიცაა. წინასიტყვაობის დეკლარაცია პოეზიის შესახებ იშვიათად თუ ვისმე გაუნაღდება ისე, როგორც ეს გაშალა და ხორცშესხმულად მოგვეცა შოთამ თავის ვ. ტ-ში.

ა. შ ა ი რ ო ბ ა — მელექსეობა, პოეზია.

პ ი რ ვ ე ლ ა დ ვ ე — იმ თავითვე, ძველთაგანვე, უწინარეს ყოვლისა.

ბ. მ ა რ გ ი — მარგებელი, სასარგებლო.

გ. კ ვ ლ ა — აგრეთვე.

ე ა მ ე ბ ი ს — აბსოლუტური ფორმის ენებითა: სასიამოვნო იქნება, სასიამოვნოა.

ვ ა რ გ ი ს ი — ვარგისი.

ა) შაირობა სიბრძნის ერთი დარგია, ე. ი. პოეზია, უწინარეს ყოვლისა, სიბრძნის, ფილოსოფიის დარგია. ცნობილია, რომ ფილოსოფია იმთავითვე მიჩნეული იყო ცოდნის იმ დარგად, რომელიც მიზნად ისახავდა ჭეშმარიტების დადგენას და რომელსაც ადამიანისათვის საარგებლობა უნდა მოეტანა.

ბ) შოთას აზრითაც პოეზია სიბრძნის დარგია, ამიტომაც დიდი მარგი, ე. ი. სასარგებლო. აქ აშკარა უტილიტარული შეხედულებაა პოეზიაზე გამოთქმული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეზია ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს, გაკიდევანებული არ უნდა იყოს.

²⁴ ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., თბ., 1955, გვ. 43.

გ) მაგრამ მარტო სარგებლიანობით არ შეიძლება შემოიზღუდოს პოეზიის დანიშნულება. პოეზია მარტო სარგებლიანობით ვერ ამოწურავს თავის დანიშნულებას. მას, გარდა ამისა, აქვს ისეთი მხარე, რომელსაც მწერლობის სხვა მხარე მოკლებულია. ეს არის მისი ფორმა, მისი მხატვრულობა, რომელიც უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის მკითხველს, და სწორედ ამ თავისი ფორმით იგი, პოეზია, სასარგებლო რასმე უფრო საგარდნობლად, მაშასადამე, უფრო მისაღებად, უფრო აღსაქმელად ხდის. შოთას პოეზიის არც ეს მხარე გამოპარვია, როდესაც მოკლედ მოკვეთა: კ ვ ლ ა ა ქ ა ც ა ი ა მ ე ბ ი ს, ე. ი. პოეზიის თვისებაა, სასარგებლო რამ სასიამოვნო მხატვრული სახეებით გადმოსცეს.

მაგრამ არც ამით ამოიწურება პოეზიის თავისებურებები. აქვე, ამ სტროფში, რუსთაველი ეხება პოეზიის რაობასაც თავისთავად, დამოუკიდებლად მისი დანიშნულებისა.

დ) რა არის პოეზია. რა ასხვავებს მას პროზისაგან? ჰარმონია, რიტმი, რითმა, მელოდია, მუსიკალობა, რომელსაც პროზა ჩვეულებრივ მოკლებულია. გარდა ამისა, ერთი ძირითადი განსხვავებათაგანი იმაში მდგომარეობს (ამბობდნენ შოთას დროს აღმოსავლეთში), რომ პოეტურ ნაწარმოებისას სიტყვაში და, მაშასადამე, აზროვნებაში ეკონომიაა დაცული.

ამ ეკონომიას თავდაპირველად ქმნის ის გარემოება, რომ ცხოვრების მოვლენათა მრავალგვარობის გამოხატვა წარმოებს შედარებით მცირერიცხოვანი სიმბოლური ფორმებით.

ამას გარდა, პოეზია ხომ რიტმია და ყოველი რიტმი, ე. ი. თანაბარზომიერად მოკვეთილი და წარმოებული ოდენობა, სულერთია სიტყვა იქნება იგი თუ ფიზიკური მოქმედება, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს და სიჩქარე კი იძლევა ეკონომიას. ამრიგად, რიტმულობაა ერთი მთავარი განმასხვავებელი თვისებათაგანი პოეზიისა პროზისაგან. და, ბუნებრივია, აქედან შემდეგი დავასკვნათ: მხატვრული შემოქმედებისას აზრის დიდი გასაქანი ვიწრო სიტყვიერ ჩარჩოშია მოთავსებული. ანდა, შოთასებურად რომ ვთქვათ, გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.

„გრძელი სიტყვა“ აქ დიდი შინაარსის, დიდი აზრის შემცველი ნაწარმოებია. „მოკლედ ითქმის“ ნიშნავს იმას, რომ აზრის სიტყვიერი სამოსელი რაც შეიძლება შემჭიდროებულად უნდა იყოს გადმოცემული.

ხაზგასასმელია აქ ის გარემოება, რომ შოთა არ არის მარტოდენ თეორიული დებულების დამდგენი, არამედ თვითვეა ამ დებულების საუკეთესო და დღემდე მიუწვდომელი განმასახიერებელი.

ვ. ტ-ი გრძელი სიტყვაა, დიდი ნაწარმოებია მოკლედ, დაყურსულად, დაუნჯებულად ჩამოსხმული. ამ მხრივ იგი მკაფიოდ გამოირჩევა როგორც თავის თანამედროვე, ისე მომდევნო პოეტთაგან.

14, 15 (13, 14) ვითა ცხენსა შარა გრძელი...

მაშინლა ნახეთ მელექსე...

ეს ორი სტროფი ერთს სინტაქსურ, გარდამავლობით დაკავშირებულ მთელს წარმოადგენენ და განცალკევებულად მათი გულისხმება არასგზით არ შეიძლება; უერთურთოდ თითოეული მათგანი გაუგებარია, წარმოუღებელია.

13. ა. ვითა — როგორც.

ბ. მართლად — შეუმცდარად.

გ. მართაგრეთვე — სწორედ ისე.

ხევა — უკანდახევა, შედგომა, შეჩერება.

დ. მისჭირდეს — გაჭირდეს, გაძნელდეს.

ლევა — კინება, მცირება, კლება.

მიხვდეს — მისწვდეს.

14. ბ. ქართული — აქ: სიტყვა ქართულის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება (კ. კეკელიძე), რომ სიტყვის მნიშვნელობით იგი ფვიანდელი მოვლენაა. მე-12—13 სს-ში ამ სიტყვას ამგვარი გაგება არ ჰქონდათ²⁵. მოსაზრება სადავოა. ჯერ ერთი: ჩვენ ცნობაში არ მოგვეყვანია ყველა ქართული წერილობითი ძეგლი. არ გავვიხილავს სათანადოდ თითოეული მათგანი, რომ გადაჭრით შეიძლებოდეს თქმა, რომელმა სიტყვამ როდის, რა მნიშვნელობა მიიღო. მეორეც:

ქართული — სიტყვის მნიშვნელობით შოთას დროს უთუოდ იქნებოდა. სხვათა შორის, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ თამარის, მაშასადამე, რუსთაველის, თანამედროვე მხითარ გოში სიტყვის მნიშვნელობით ხმარობს ჰაიერენ — სიტყვას. და თუ ჰაიერენ — სიტყვას ნიშნავდა, ქართულიც ამ დროს სიტყვის აღმნიშვნელი იქნებოდა.

ძვირობა — იშვიათობა, კლება.

გ. არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა.

იშვიათი პარალელიზმია: არ შეამოკლოს ქართული, ე. ი. არ შეამოკლოს სიტყვა. სწორედ ეგვევა სტრიქონის მეორე ნახევარში სხვაგვარი მხატვრული სახით: არა ქმნას სიტყვა-მცირობა.

დ. ჩოგანი — თავფართი ჯოხია, ბურთის საცემელი. გადატანით მწერლის კალამი.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ წარმოებდა ძველად ჩოგანბურთის თამაში: მოთამაშენი ცხენებზე იყვნენ ამხედრებულნი და თითოეულს ხელში ჩოგანი ეჭირა. მობურთალმა გაისროლა ბურთი, მოწინააღმდეგე მხარის მობურთალი ვალდებულია გამოსროლილ ბურთს არ ააცდინოს ჩოგანი, პირდაპირ შეახვედროს იგი, მაგრამ არ კმარა მარტოდენ ჩოგანის შეხვედრება. საჭიროა ისე მტკიცედ მოუქნო ჩოგანი, რომ ბურთი უკან დაბრუნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბურთი ჩოგანს მხოლოდ მოხედება და ძირს დაეცემა და დამარცხებულად სწორედ ის მხარე ითვლება, სადაც ბურთი ჩამოვარდა.

აქედან ვასაგებია გამოთქმა: მობურთალს გამოსცდის მართლად ცემა (არ ააცდინოს) და მარჯვედ ქნევა.

მთლიანად ორივე სტროფი:

როგორც ცხენს (კარგია, თუ ავი) გამოცდის გრძელი გზა და დიდი გადარბენა (პატარა მანძილზე ჯაგლაგაც ათოხარიკდება), როგორც მობურთალს (გამოცდის) ჩოგანის უმცდარად ცემა და მტკიცედ მოქნევა, სწორედ ისე ნამდვილ პოეტს გამოცდის დიდი ნაწარმოების დაწერა.

²⁵ თსუ შრომები, 1936, III, გვ. 132.

რა გაუჭირდეს, გაუძნელდეს საუბარი და ლექსმან დაუწყოს კნინება, სწორედ მაშინ უნდა ნახოთ პოეტი და მისი შემოქმედება: როდესაც საკურო სიტყვებს ვერ მისწვდება და ლექსი დაუწყებს ძვირობა, სწორედ ამ დროს, თუ ის ნამდვილი პოეტია, არ უნდა შეამოკლოს სიტყვა, არ უნდა ქნას სიტყვამცირება, ხელმარჯვედ ხმარობდეს თავის კალამს და გამოიჩინოს დიდი გმირობა.

16 (15) მოშაირე არა ჰქვიან...

ბ. ყო ლ ა — ყოვლად, სრულიად.

გ. გა ნ ა ლ ა — ბარემც.

მოშაირე, პოეტი არ ეწოდება იმას, ვინც ერთს, ორს იტყვის, თავი სრულიად ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი. ბარემ თქვას ერთი, ორი უმგვანო და ერთმანეთს მიუჯარებელი, მაგრამ ამბობს ჩემი სჯობსო, ჯიუტობს, როგორც ჯორი.

17 (16) მეორე ლექსი ცოტაი...

ა. ცო ტ ა ი — მცირე.

ნ ა წ ი ლ ი — ხვედრი.

ბ. ა რ ძ ა ლ — უ ც — არ შეუძლიათ.

გ უ ლ ის ა გა ს ა გ მ ი რ ე თ ა — რითმისთვისაა. უნდა: გულისა გასაგმირთა.

გ. ბ ე დ ი თ ი — უხეირო, ცუდი, საწყალი, საბრალობელი.

დ. ხ ე ლ ა დ ა ქ ე თ — მათი ხელობაა.

არის მეორე მცირე ლექსი [იმ] მოშაირეთა ხვედრი, [რომელთაც] არ შეუძლიან შექმნან სიტყვა გულისგამგმირავი.

ამგვარ მოშაირობას მე მივამსგავსე საწყალი, საბრალობელი მშვილდი ახალგაზრდა, გამოუცდელი მონადირეებისა. დიდ ნადირს ვერ მოკლვენ, მათი ხელობაა პატარ-პატარა მხეცუკების კვლა. გადატ.: დიდ ნაწარმოებს, რომელიც გულს ხვდება, ვერ დაწერენ, მათი საქმეა პატარ-პატარა ლექსების წერა.

18 (17) მესამე ლექსი კარგია...

ა. როგორც ხელნაწერებში, ისე ყველა გამოცემაში პირველი სალექსო სტრიქონი ამგვარადაა, ე. ი. პირველი ნახევარი გაწყობილია დაბალი შაირით, ხოლო მეორე — მაღალით. მთელი სტროფი მაღალი შაირია. მაშასადამე, უნდა: „მესამეა ლექსი კარგი სანადიმოდ, სამღერელად“.

მესამე ჯგუფის ლექსს შოთა არ იწუნებს. იმგვარ ლექსს პოეტი კარგად მიიჩნევს. იგი დანიშნულია სანადიმოდ, სააშვიკოდ, სალალობოდ. აქ უცებ ტყდება სახე და „ამხანაგთა სათრეველადო“ ამბობს პოეტი.

ნიშნავს თუ არა „ამხანაგთა სათრეველად“, ამხანაგთა გასალანძლად, გასაკიცხად? რამდენად სწორი იქნება ასეთი კვალიფიკაცია მას შემდეგ, რაც პოეტმა ამგვარი ლექსის ეს კატეგორია დანიშნა სანადიმოდ, სალალობოდ და საერთოდ სასიამოვნოდ? თუ მივიღებთ მხედველობაში შოთას ლექსის ბუნე-

ბას, რომ მას უყვარს ერთი და იმავე იდეის სინონიმებით გადმოცემა და ამის გამო ხშირად მიმართავს ე. წ. პარალელიზმს, უნდა ვიგულოთ, რომ აქ უთუოდ სხვა მხატვრული სახით იგივე დახასიათებაა ლექსისა გადმოცემული და არა საწინააღმდეგო. ამ ხანაგთა სათრეველად — კი უთუოდ აპირისპირო დანიშნულებისაა, ვინემ სანადიმო, სამღერელი, სააშვიკო, სალალობო²⁶.

მაშ რა უნდა იყოს „ამხანაგთა სათრეველად“-ის მაგიერ? უნდა იყოს: „სააშვიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად, ე. ი. გასართველად. ხაზი სწორია, არაა გატეხილი.

თუ აზრი ნათლადაა გამოთქმული, შესაწყნარებელია ეს ლექსები, მაგრამ კეშმარიტი პოეტი, მოშირე მხოლოდ ის არის, ვინც დიდ რასმე იტყვის, დიდ რასმე მხატვრულს ააგებს. — ასე აფასებს შოთა ამგვარ ლექსებს.

19 (18) ხამს, მელექსე ნაჭირვებსა...

სტროფში შოთა განიხილავს მხატვრული შემოქმედების პროცესს. როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი. ზოგი ვინმე ფიქრობს, რომ პოეტური შემოქმედება ადვილი საქმეა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც „ზეგარდმო ნიჭით“ ცხებულაო.

მცდარი აზრია.

ყოველი კეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები დიდი შრომის, დიდი ტანჯვის, დიდი ჭირის შედეგია. ყოველი კეშმარიტი მხატვარი თავის ნაწარმოებს დიდხანს ატარებს თავის არსებაში, შემდეგ წარმოქმნის და ამ წარმოქმნილზე დიდხანს მუშაობს, მრავალჯერ შეზომავს, მრავალჯერ შეასწორებს და მხოლოდ მას შემდეგ გამოუშვებს, როდესაც დარწმუნდება, რომ ნაწარმოები სრულყოფილია, მწიფეა, არა უღლეურია, დროზე დაბადებული და მამასადამე, იხეირებს.

შოთაც სწორედ ამგვარ მოთხოვნილებათ უყენებს ნამდვილ პოეტებს.. პოეტური ნაწარმოები ჭირის შედეგიაო. პოეტური ნაწარმოები ნაჭირვებიაო. და როგორც ასეთს, პოეტი ცუდად, ტყუილაუბრალოდ არ უნდა აბნევდეს, არ უნდა ფანტავდეს, არამედ თავისი კალმის საგნად ერთი უნდა ჰყავდეს და მას გარდა ენას არავისთვის არ უნდა ამუსიკებდეს.

20 (19). ვთქვა მიჯნურობა პირველი...

ა. ვთქვა — კავშირებითშია, დღევანდელი ენით ნიშნავს — ვიტყვი.

მიჯნურობა — უცხო სიტყვაა; ქართულად — სიყვარული, ტრფიალება.

პირველი — ზოგ ვისმე ჰგონია, რომ პირველი აქ დროის მიხედვითი საფეხურია, პირველდაწყებითის სინონიმიაო: მიჯნურობა პირველი, ე. ი.

²⁶ გასართვეი ლექსი დღევანდელს გაეგებით პამფლეტს ეწოდება. რატომ მინც და მინც ამხანაგთა მიმართ უნდა იწერებოდეს პამფლეტი? (ამ საკითხზე ვ. ბერიძეს მოეპოვება სპეციალური სასაათის წერილები: „ეფთხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი სტროფის გაგეოსათვის, ლიტ. ძიებანი, ტ. VI, 1950; „ამხანაგთა სათრეველად“, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961; შდრ. აგრეთვე ვ. შატბერაშვილის წერილს: „სათრეველი თუ სათრეველი?“ ლიტ. და ხელოვნება, 1951, № 3;)

ახლად დაწყებული მიჯნურობა. არაა მართალი! პირველი — აქ ხარისხის მაჩვენებელია. მიჯნურობა პირველი, ე. ი. საუკეთესო, უმაღლესი სიყვარული.

ტომი გვართა ზენათა — აქ: მაღალი გვარის ცნება. „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“ — ვიტყვი, სიტყვას ჩამოვაგდებ საუკეთესო სიყვარულზე, რომელიც არის მაღალი გვარის მცნება.

ბ. გამოსაგები — გამოსარქმელი. ვ. ტ-ში კიდევ გვხვდება ეგ სიტყვა ამ სახით: „შორით ვუხმე (ტარიელი ლაპარაკობს ასმათის შესახებ) რა შიგან ვართ, ანუ ცეცხლმან რად დაგვდაგნა? მან საბრალოდ შემომტირნა, ძლივ სიტყვანი გამოსაგნა“ (569,2—3) ე. ი. ძლივს სიტყვები წარმოსთქვა, ძლივს ენა ამოიღო.

ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა — სალექსო სტრიქონი ორადაა გაყოფილი, ორსავე ნაწილში ერთი და იგივე აზრია გამოთქმული სხვადასხვა მხატვრული ხერხით: ძნელად სათქმელი იგივეა, რაც საჭირო გამოსაგები, ე. ი. გაჭირვებით, გაძნელებით გამოსათქმელი.

გ. საზეო — საზენაო, უზენაესი, უმაღლესი.

აღმაფრენა — ზეშთაგონება.

დ. ვინცა ეცდები — ვინც შეეცდება (დაეწაფოს მას, ე. ი. მიჯნურობას).

თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა მცა ნაწილ-კიანი კონსტრუქციაა, ამიტომაც შემასმენელი წყვეტილშია, ნამდვილად კი, აზრის მიხედვით, კავშირებითში უნდა იყოს: თმობალა ჰქონდეს მრავალთა წყენათა. ხოლო მთელი სალექსო სტრიქონი ამგვარად გააზრიანდება:

ვინც შეეცდება დაეწაფოს მიჯნურობას, მას დასჭირდება მრავალ საწყენთა დათმობა, მოთმენა.

მთელი სტროფი:

ვიტყვი პირველი მიჯნურობის შესახებ, რომელიც მაღალი გვარის ცნებაა. იგია ძნელად სათქმელი, ენით გაჭირვებით ამოსაღები, იგია ზენა საქმე, რომელიც აღამიანს აღმაფრენას აძლევს, აღაფრენს; ვინც შეეცდება მას დაეწაფოს, მან მრავალი საწყენი უნდა მოითმინოს.

ამ სტროფთან პირდაპირ, უშუალო ბუნებრივ კავშირშია 24-ე სტროფი.

21 (24) მიჯნურობა არის ტურფა...

მიჯნურობა ძნელად გასარკვევი ცნებაა, მაგრამ მაინც უნდა განიმართოს. ამ მიზნით პოეტმა მიმართა ე. წ. განმარტების არაპირდაპირს, ირიბ ხერხს:

ამოსავალად სიძვა — ცნება აიღო და იგი იგულისხმა, როგორც ყველაათვის ცნობილი, ყველაათვის გაგებული. ამასთანავე, ირიბი განმარტება რომ უფრო დამაჯერებელი იქნეს, ერთგვარი სიტყვების მობილიზაციითა და თავმოყრით ნათელყო მიჯნურობის ბუნება და ხასიათი.

მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:

იგი სხვაა, სიძვა სხვაა შუა უზის დიდი მზლვარი.

აქ სიტყვათა განმეორება მკაფიოდ გამოჰყოფს შესადარებელ ერთეულებს და ამით მიჯნურობის ცნებაც უფრო ნათლად გვევლინება.

ამავე მიზნით შოთამ იშვიათი, პოეტური ხერხი მოიხმო: მიჯნურობა სიძვას რომ არ შეიძლება შეედაროს, უარყოფითი ნაწილაკი არ დასადარის წინ კი არ დასვა, არამედ სიძვის წინ:

არ სიძვისა დასადარი. ამით მკითხველის ყურადღება განსაკუთრებულად სიძვა სიტყვას მიაპყრო: მიჯნურობა სწორედ სიძვას უპირისპირდება. მიჯნურობა სწორედ არაა სიძვა. შუა უზის დიდი მზღვარი — ეს თქმა ახლაც ცოცხალია, იხმარება მაშინ, როდესაც უნდათ გამოხატონ ძირითადი სხვაობა ორ მოვლენას შორის, როდესაც საერთო საზომი მათ შორის არ შეიძლება მოინახოს.

ვისია ეგ თქმა: შოთასია და შემდეგ ხალხში გადავიდა, თუ ხალხის იყო და შოთამ აიღო მისგან? ორსავე შემთხვევაში დიდი თქმაა და ვ. ტ-ის უთუოდ ხალხურობის დამამტკიცებელია.

22 (23). მიჯნურსა თვალად სიჭურფე...

ა. თვალად — გარეგნულად, შესახედავად.

მართებს — შეჭურფის, შეშვენის.

ბ. სიყმე — ყმის ბუნება, მისი თვისება. რა არის ყმა? თავდაპირველი მისი სახეა ყრმა, რაც ნიშნავს ბავშვს, ახალგაზრდას, აღსაზრდელს. ამ მნიშვნელობით იგი კომპოზიტის პირველი წევრია: ყმაწვილი. ამავე მნიშვნელობით ყმას შოთასთანაც ვემოწმებით. „ვერ ნახეს შენი მნახველი, ვერცა ყმა, ვერცა ბერია“ (289,3). ყმა აქ ახალგაზრდაა.

მაგრამ ვ.ტ-ში ყმა უპირატესად აღნიშნავს დამოკიდებულს, ვასალს (არა მონას), რაინდს. აქედან — სიყმე — რაინდის თვისება, მისი ბუნება.

ამ სტროფს ეხება კ. კეკელიძე და ამბობს, რომ „... პოლოგი ყოველთვის და ყველაფერში პოემის შინაარსით არ მართლდება.

... ჭერ საკითხავია: სავალდებულოა თუ არა ყველაფერი ეს მიჯნურისათვის, თუგინდ მაღალი, ფეოდალური წრიდან გამოსულისათვის, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, — განა ფეოდალურ წრეში ყველა მიჯნური ბრძენი, გმირი, ლაშაზი და ერთნაირად მდიდარი იყო? დავანებოთ ამას თავი და ვიკითხოთ: აქვს თუ არა ყველა ასეთი „ზნეობა“ პოემის მთავარ გმირს ტარიელს? არა!“²⁷.

კ. კეკელიძის ეს დებულება სადავოა ჭერ ერთი: მართებს ერთია და არის და იყო — მეორე! მართებს იდეალს გამოხატავს, ე. ი. თუ როგორი უნდა იყოს ვინმე (ნატურითი, სასურველი, საწადისი კილო — ეწოდებოდა ძველად), არის და იყო კი ფაქტს აღნიშნავს, ე. ი. როგორია არსებითად ვინმე ან რამე:

ამ სტროფში შოთა თეორიულ საკითხს იხილავს, მიჯნურის იდეალს გვიხატავს, ხოლო თვით ნაწარმოებში ხორცშესხმულ ტიპებს გადმოგვცემს, პრაქტიკულად მოქმედთ გვიოვალისწინებს და არსად, არასოდეს არ ყოფილა,

²⁷ კ. კეკელიძე, ჭარბ. ლიტ. ისტორია, 11², გვ. 110.

რომ იდეალური და პრაქტიკულად მოქმედი მთლიანად შეესატყვისებოდეს ერთმანეთს.

ამას გარდა, განა სავალდებულოა, რომ ყველა მოქმედი პირი ერთ თარგზე იყოს აკრილი, ერთ სქემაში თავსდებოდეს?

მაშინ ტიბთა სხვაობაც არ იქნებოდა, ინტერესთა წინააღმდეგობასაც ვერ დავემოწმებოდით, მაშინ ბრძოლასაც დასაბამი არ მიეცემოდა, მაშინ ნაწარმოებიც არ დაიწერებოდა.

რაც შეეხება კერძოდ იმ გარემოებას, თითქოს ტარიელის საქციელი არ ამართლებდეს პროლოგში გამოთქმულ და წამოყენებულ დებულებათ, თითქოს დიდი გარღვევა არსებობდეს მათ შორის, არც ეს შეეფერება სინამდვილეს, რაც შესანიშნავად ნათელყო ალ. ბარამიძემ თავის გამოკვლევაში, რომელსაც „ტარიელი“ ეწოდება²⁸.

23 (25). ხამს მიჯნური ხანიერი...

ა. ხ ა მ ს — საჭიროა, უნდა; ხ ა ნ ი ე რ ი — ხანგრძლივი, დიდხანს გამტანი, მუდმივი, მტკიცე.

მ ე ძ ა ვ ე ი — სქესობრივად დაუდგრომელი, აშვებული.

მ ე ძ ა ვ ე ი, ბ ი ლ წ ი, მ რ უ შ ი, — სინონიმებია, აზრის გასაძლიერებლად მოხმობილი.

არ უარყოფითი ნაწილაკი სამსავე სიტყვას ეკუთვნის: არ მეძავი, არ ბილწი, არ მრუში.

ბ. რ ა — თუ, როდესაც! მ ო ყ ვ ა რ ე — საყვარელი; ს უ ლ თ ქ მ ა, უ შ ი — სინონიმებია — ოხვრა, კვნესა.

გ. კ უ შ ტ ი, ქ უ შ ი — მწყრალი. მრისხანე, სახემოღუშული.

მ ი ხ ვ დ ე ს — შეხვდეს, წილად ხვდეს.

დ. მ ტ ლ ა შ ა - მ ტ ლ უ შ ი — ხშირი, უთავბოლო, ვულგარული კოცნა. სტრიქონი ორი ნახევრისაგან შედგება. ორივეში ერთი და იგივეა გამოთქმული: უგულო სიყვარული იგივეა, რაც ხვევნა-კოცნა; მტლამა-მტლუში.

მთლად სტროფი:

საჭიროა, რომ მიჯნური იყოს მტკიცე, ერთგული თავისი სატრფოსი; არ უნდა იყოს მეძავი და მრუში; თუ ვინიცობაა მოშორდა თავის საყვარელს, უნდა ოხრავდეს, იმწუხროს; თავისი გული მხოლოდ ერთს დააჯეროს, როგორც უნდა იყოს იგი (საყვარელი);

დასკვნა: მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლამა-მტლუში.

24 (26) ამა საქმესა მიჯნურნი...

ა. ნ უ უ ხ მ ო ბ თ — ნუ უწოდებთ.

ბ. მ თ მ ო ბ დ ე ს გ ა ყ რ ი ს ა თ მ ო ბ ა ს ა — გაყრა ერთგვარი თმობაა, ქირია და ვინც მას თმობს, ე. ი. აღვილად იტანს, იგი არაა ნამდვილი მიჯნური (მღრ. წინა სტროფის: „რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში“).

²⁸ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1², თბ., 1945, გვ. 181—203.

გ. მღერა — თამაში.

ბედითი — აქ: ცუდი, აპო, ფუქი.

ყმაწვილობა — ყმაწვილის თვისება, ყმაწვილის საქციელი.

დ. იქმს თმობასა — არაა ქართული კონსტრუქცია: ქართულად ზმნურად გადმოიცემა და სრული მისი შესატყვისი იქნება — სთმობს. ვინ იქმს სოფლისა თმობასა — ვინც სოფელს, ქვეყანას, ქვეყნის მოთხოვნილებათ სთმობს, ითმენს.

მთლიანად სტროფი:

ამ საქმეს ნუ უწოდებთ სიყვარულს: დღეს ერთი უნდეს, ხვალ სხვა, ადვილად იტანდეს გაყრისაგან, განშორებისაგან გამოწვეულ ჰირს; ეს ცუდ თამაშს, ბავშვურ საქციელს ჰგავს. ნამდვილი მიჯნური იგია, ვინც სოფელს, ამ ქვეყნის მოთხოვნილებას თმობს.

25 (27) არს პირველი მიჯნურობა...

26 (28) ხამს თავისსა ხვაშიადსა...

ა. არ დაჩენა ჰირთა მალვა — არდაჩენა და მალვა — ორივე ერთსა და იმასვე აღნიშნავს, მხოლოდ ერთი — არ დაჩენა — უარყოფითი კონსტრუქციითაა გადმოცემული; მეორე — მალვა — დადებითი, გვაქვს მაშასადამე, ჰენდიადისი.

ბ. თავის წინა — მარტოდ-მარტო.

ნიადაგმცა — ნიადაგ, მარად.

ხალვა — მარტოობა და მარტოობისაგან გამოწვეული წუხილი.

ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა — მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციაა. ნიადაგ, მარად ჰქონდეს ხალვა, წუხილი.

გ. ბნედა — გულის წასვლა.

დაგვა — წვა.

ალვა — წვა.

შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა — ანათორული ალიტერაციაა — დებულების გასაძლიერებელი.

დ. შიში, კრძალვა — სინონიმებია — რიდი.

მთლიანად სტროფი:

საუკეთესო მიჯნურობა ისაა, როდესაც მიჯნურობისაგან გამოწვეულ ჰირს არ დაჩენ, დამალავ: მარტოდ-მარტოდ (მყოფი) უნდა იგონებდე (სატროფოს) და მარად გქონდეს წუხილი; შორით უნდა ბნდებოდე, შორით უნდა კვდებოდე, შორით უნდა იდაგებოდე, შორით უნდა იწვოდე; უნდა დათმო წყრომა სატროფოსაგან, მისი გქონდეს შიში, კრძალვა.

ამ სტროფს უთუო კავშირი აქვს 23 (25) სტროფთან — „რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს, სულთქმა, უში“.

26 (28) ხამს თავისსა ხვაშიადსა...

ა. ხამს — საჭიროა, უნდა.

ხვაშიადი — გულისნადები, საიდუმლო.

ბ. ბედითი — საბრალო, საწყალი.

არ ბედი თად „ჰაის“ ზმიდეს — საწყლად, საბრალოდ ჰაის-ჰაის“-ს არ ზმიდეს, არ იზამდეს, არ შვრებოდეს, არ ოხრავდეს.

აყივენებდეს — არცვენდეს.

გ. არსით უჩნდეს მიჯნურობა — არსაიდან (გა)უჩნდეს მას მიჯნურობა.

არასადა იფერებდეს — არსად სხვაგან შეიფეროს (მიჯნურობა).

ამ სტროფთან უშუალო კავშირი აქვს მომდევნო სტროფებს. აქ ლაპარაკია მიჯნურობის არ დაჩენაზე, მიჯნურობის არ გამჟღავნებაზე.

რას ნიშნავს არ გამჟღავნება, მიჯნურობის არ გაცხადება?

მიჯნურობის არ გამჟღავნება იმას ნიშნავს, რომ არ უნდა დაგაჩნდეს, არ უნდა შეგამჩნიოს ვინმემ, რომ მიჯნურობის გამო შეწუხებულხარ და არა იმას, თითქოს არავის უთხრა, რომ შენ შეყვარებული ხარ.

ეს რომ აგრეა ამას საუცხოოდ ადასტურებს ვ.ტ-ის შემდეგი ადგილები. ავთანდილი შეწუხებულია, მეორედ წასვლის წინ რა უნდა მოშორდეს სატრფოს:

725. „წევს, იტყვის: „გულსა სალხინო...“

726. „ამას მოსტქმიდის ტირილით...“

727. „კვლა იტყვის...“

728. „რა გათენდა...“

ე. ი. „არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა ჰქირთა, მალეა“.

ამ მხრივ წინასიტყვაობასა და ტექსტის სათანადო ადგილებს შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არის: როგორც წინასიტყვაობა, ისე ტექსტი ერთსა და იმასვე იმეორებს, სახელდობრ: მიჯნურობა არ უნდა დაგაჩნდეს, არ უნდა გამოამჟღავნო, უნდა დამალო.

სწორედ ამაზეა ლაპარაკი აღნიშნულ სტროფებში.

საკიროა, რომ მიჯნური თავის გულისნადებს არავისთან ამჟღავნებდეს. საწყლად, საბრალოდ არ უნდა ოხრავდეს და ამით სატრფოს არცვენდეს; არსაიდან გაუჩნდეს მას მიჯნურობა, არსად შეიფეროს მან სხვა მიჯნური, არამედ: „მისთვის ჰქირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“.

27 (29) „მას უშმაგო ვით მიენდოს...“

ა. უშმაგო — არშმაგი, ჰკუიანი.

ბ. ამის მეტი რამცა ირგო — ამის მეტი რალა ირგოს.

გ. რათამცაღა ასახელა — რითღა ასახელოს.

რა სიტყვითა მოაყივნოს — თუ სიტყვით შეარცხვენს.

დ. რა ჰგავა — რა იქნება.

მას, თუ არ გიყი, ე. ი. ჰკუიანი როგორ მიენდობა, ვინც სატრფოს გაამჟღავნებს; ამის მეტი რალა ირგოს, სატრფოს ავნოს და თვითვე ივნოს; აბა, რითღა ასახელოს თუ სიტყვით შეარცხვინოს: რა იქნება [ნუთუ ასე ძნელია], რომ კაცმა სატრფოს გული არ ატკინოს.

ა. იფერებს — შესაფერად მიიჩნევს, [შე]იფერებს, შეიწმობს.

ბ. აყივნებს — არცხვენს.

წყლული — დაჭრილი, დაკოდილი.

მიკვირს კაცი რად შეიწმობს, საყვარლის სიყვარულს; [თუ შეიწმობს და] უყვარს, რატომ არცხვენს, მისთვის დაჭრილს, მისთვის მკვდარს [სატრფოს]; თუ არ უყვარს, რატომ არ სძულს და რატომ არცხვენს რაც სძულს [მამინ ანებოს თავი]; მაგრამ ეს ყველაფერი იმიტომაა, რომ კაცი ავია და: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩენია სულსა გულსა“.

29 (31) თუ მოყვარე მოყვრისათვის...

ა. ემართლები — (ემმართლება, გემართლება). ამ სიტყვის დღევანდელი გაგება შემდეგია: რას ერჩის, რა უნდა მისგან, რას უჩივის, რა სარჩელი აქვს [ტირილი მისთვის უპრიანია].

თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირის, ტირილსა ემართლები — მას მართებს იტიროს მოყვრისათვის, იგი ვალდებულია იტიროს მოყვრისათვის, მას ტირილი ევალება მოყვრისათვის ანუ: იგი ტირილს ევალება მოყვარეს.

ბ. გაკრა — ძველისძველი მოვლენაა. ლიტერატურის ზანით მისი სათავე უნდა ვეძებოთ ძველს სასულიერო მწერლობაშიც.

წმინდანის სამსახური ღმრთისადმი აქ შეცვლილია სატრფოსადმი მიჯნურობით, ხოლო წმინდანის უღაბნოში წასვლა იგივეა, რაც მიჯნურის გაკრა ველად, სადაც იგი შორით კვდება, შორით ბნდება.

გ. მისგან კიდევ ურათოდეს მოეცლები — მის გარდა სხვისთვის არ უნდა მოიცალოს (შდრ. „მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა, სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა“). თუ საყვარელი საყვარლისათვის ტირის, იგი ვალდებულია იტიროს მისთვის. სიარული, მართობა შევნის, უხდება, იგი მას გაკრად ჩაეთვლება. საყვარელი თავის სატრფოს მარად უნდა იგონებდეს, მას გარდა სხვისთვის არ უნდა მოიცალოს. მიჯნურს მიჯნურობა არ უნდა დააჩნდეს, თუ იგი მას ეწვევა.

დაუფრუდეთ ახლა წინასიტყვაობის დაწერის თარიღს. როდისაა იგი დაწერილი: პოემის დასრულების შემდეგ, თუ მანამდე?

ეს საკითხი წამოაყენა კ. კეკელიძემ: „ნათქვამი ქებანი ვისნიმე“... სტროფის ინტერპრეტაცია ვერ არის სწორი: „ავტორი აქ, შესავალში, ლაპარაკობს იმავე ვეფხისტყაოსანზე, მას ის გულსხმობს უკვე დაწერილად, ნათქვამად“²⁹.

მართლაც, წინასიტყვაობის სტროფთა უმრავლესობა ჩვენს აზროვნებას იქითკენ მიმართავს, რომ პოემა შესავალზე აღრე დაწერილად უნდა ვიგულოთ.

ამგვარია, უწინარეს ყოვლისა, ის სტროფი, სადაც ქების საგანი პირველადაა დასახელებული.

„თამარს ვაქებდით მეფესა“... (4) — ვაქებდით და არა — ვაქებდეთ.

²⁹ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, 11², გვ. 125—126.

ამგვარივეა: „მიბრძანეს მათად საქებრად“... (5). მაგრამ შემდეგი სტროფი ამის საწინააღმდეგოა. „აწ ენა მინდა გამოთქმად“... (6) მაშასადამე, ჭერ სტროფში: „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის“... (7) პოემა უთუოდ დაწერილადა წარმოდგენილი. „მე, რუსთველი, ხელობითა“... (8), ესეც შეიძლება გავიგოთ ისე, რომ ნაწარმოები უკვე დაწერილია. აგრეთვე: „ესე ამბავი სპარსული“... (9). მაგრამ: „თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა“ (10) ზემოთქმულს უთუოდ ეწინააღმდეგება. მით უმეტეს, რომ სტროფი შემდეგი სიტყვებით თავდება: „სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“.

ეს ნიშნავს: „იმ ლექსთ, რომელთაც უნდა შეაქონ სამი ფერი, ლამის — სურთ გამოვლენა.“

მოქმედება უთუოდ მომავალშია მოსალოდნელი. რაც შეეხება: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჭერდეს და მას უბნობდეს“ (11) — აქ მოქმედება შეიძლება მივიაკუთვნოთ, როგორც წარსულს, ისე მომავალს — (კვლად).

ბოლოს — „ჩემი აწ ცანით, ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“ (19) — მოქმედებას წარსულში გულისხმობს.

32. „იყო არაბეთს როსტყევან...“

ა. არაბეთს — მიცემით ბრუნვაშია; ახლა ვიტყვი „არაბეთში“. თუმცა დღესაც იხმარება ამგვარი ფორმა. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმართულება აღინიშნება: გავემგზავრე ქუთაისს, მაგრამ: ეცხოვრობ ქუთაისში.

სვიანი — წარმოებულია სიტყვისაგან სვე — ბედი; სვიანი — ბედნიერი.

ბ. მაღალი — ზოგს ვისმე ფიზიკური სიმაღლე ჰკონია; არა ტანადობით, არა მოსულობით მაღალი, არამედ გონებრივად, მორალურად მაღალი.

უხვი — ხელგაშლილი.

მდაბალი — ახლა ამ სიტყვის მნიშვნელობის დაყოფა მოხდა: დაბალი — ფიზიკურად დაბალი, მომცრო ტანისა; მდაბალი — ზნეობრივად დაბალი, ცუდი. აქ: მდაბალი — თავმდაბალს აღნიშნავს.

ლაშქარ-მრავალი — დიდძალი ლაშქრის პატრონი.

ყმიანი — ყმათა, დამოკიდებულთა პატრონი.

გ. მოსამართლე — ახლა ეს სიტყვა გარკვეულ თანამდებობას აღნიშნავს, მსაჯულს ეთანაბრება. აქ: სამართლის დამდგენი, განმაჯელი.

მოწყალე — მწყალობელი.

მორკმული — ეს სიტყვა ვ. ტ-ში ჩამდენჯერვე გვხვდება.

რას მკენედით, რა გინდოდით, ერთმანეთსა რითა ეკვანდით!

თქვენ მორკმულნი თამაშობდით, ჩვენ მტირალნი ლწუნთა ებანდით.

(293, 1—2)

უამბობს ტარიელი ავთანდილს თავის თავგადასავალს.

მორკმული უპირისპირდება მტირალს: მორკმული, მაშასადამე, მხიარული, ბედნიერი.

მივიდეს, სადა სამყოფლად სახლი დგა მუნ აგებული.

მოვიდა ნახვად ყოველი მის ქალაქისა კრებული.

მაშინვე დაჯდა ნაღმად მორკმული, ლალი, შებებული
(676, 1—3)

ლაპარაკია აეთანდლის დაბრუნებაზე, ტარიელი რომ პირველად ნახა.
აქაც: „მორკმული — ლალს, ბედნიერს, შებებულს აღნიშნავს.

„როსტევეან—მეფე უკადრი, მორკმული შეუპოველი“
(681,1).

აქ: სინონიმები კიდევ უფრო აძლიერებენ მორკმულის მნიშვნე-
ლობას: მაგარი, მტკიცე, ურყევი, განდიდებული.

„მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორკმული, არნადევარი“
(694,1)

აქ მორკმულის მნიშვნელობა გადმოცემულია თავისებური ჰენდი-
ადისით: მორკმული, ე. ი. არღვენილი, არჩაგრული.

მაშასადამე, ისევ ბედნიერი, ისევ ლალი. მაშასადამე, საბოლოოდ მორ-
კმული — ლალი, უკადრი, საკრძალავი, ვერვისგან ვნებული, შებებული, ბედ-
ნიერი.

განგებოანი — განგება სიტყვისაგან მოდის. განგება ბევრის რი-
სამე აღმნიშნელია. აქ: გამგებლობის მნიშვნელობა აქვს. მაგ. „ქელთ-იდ-
ვა რაჲ განგებაჲ სამცხისაჲ, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი“. ე. ი.
როგორც კი ხელი მოჰკიდა სამცხის გამგებლობას კალაპოტში ჩააყენა, დააწყ-
ნარა თავისი საბრძანებელი (ლაპარაკია მღვდელთ მოძღვარ გიორგი შუარ-
ტყელეზე)³⁰.

განგებოანი — კარგი განმგებელი, ქვეყნის მართვა-გამგეობის
მცოდნე.

ღ. უებრო — უებარი, შეუღარებელი.

მოუბარი წყლიანი — მჭერმეტყველი. კარგი ორატორი. მთლიან-
ნად სტრაფი:

არაბეთში იყო მეფე როსტევეან, ღვთისაგან გაბედნიერებული. ზნეობრი-
ვად მაღალი, ხელგაშლილი, თავმდაბალი, ბევრი ლაშქრისა და ყმების მფლო-
ბელი; სამართლიანი, მოწყალე, ლალი, ყოველმხრივ განდიდებული და ქვეყ-
ნის ჩინებული განმგებელი. შეუღარებელი მეომარი და იშვიათი მოლაპა-
რაკე. მჭერ-მეტყველი.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი:

გადმოცემულია ამბავი როსტევეან მეფისა, ამბავი—თხრობაა, იგი დინჯად, დამ-
შვიდებით უნდა მიმდინარეობდეს. არავითარი აღტკინება, აბორგება მას არ
უნდა ახასიათებდეს; ამიტომაცაა იგი დაბალი შაირით გადმოცემული, ზოლო
დაბალ შაირს, როგორც ვიცით, ნელი ტემპი ახასიათებს. ეს სინელე, ეს სი-
დინჯე რომ უფრო გაძლიერდეს, შოთა აქ მიმართავს ალიტერაციას, რომე-
ლიც გაწყობილია ლ, რ ბგერებზე. ლ, რ — მტკბარი ნარნარა ბგერებია და
ცნობილია ეს ბგერები (ყველგან, ყველა ენაში) ნელი ტემპის გადმოსაცე-
მადაა ხშირად გამოყენებული.

³⁰ ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ, ძვ. ქართ. აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I.
ი. აბულაძის რედ. თბ., 1963. გვ. 340.

მაღალი, უხვი, სდაბლო, ღამჯარ-ჭრავლა, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე-მორკმული, განკეზიანი,

და განაკუთრებით სტროფის დასკვნითი სტრიქონი:

თვით მეომარი უებრო კვლა მოუბარი წკლიანი.

33. სხვა ძე არ ესვა მეფესა,...

ა. ე ს ვ ა — ჰყავდა; არ ესვა — არ ჰყავდა. ზმნის საწყისია ს მ ა. იგვევა, რაც ყოლა ვისიმე, ქონა რისამე; ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვემდებარე მხოლოდობითშია, ხოლო როდესაც იგი მრავლობითშია, მაშინ მას ს ს მ ა ფუძე ენაცვლება. პირველ სერიაში კი სულ სხვა ფუძე აქვს:

მივის, გივის, უვის.

ძე არ ესვა მეფესა და დედოფალსა, მზისა დარსა, (318,1)

არ ავი გე ს ვ ა მოყვარე, უამი თუ მომხედეს უამისად (635,1)

ყმა არ მოგვცა, [ღმერთმან] ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია, ყმისა არ ს მ ა არად გვაგვა, ამათზედან წავგივთვლია (508, 3—4)

თვენი ეს ხ ნ ეს ორანილა, ამად სულთქვამს, ამად იშობს (185,2)

ფატმან შექმნა თავსა ცემა, ღაწვნი ეს ხ ნ ეს ნახოჯარნი; (1102,2)

ბ. მ ნ ა თ ი — მანათობელი.

მზისაცა დასთა დასული — მზის დასის (კრებულის) წევრი (დასელი).

გ. წ ა უ ლ ის — ხოლმეობითია. ხოლმეს გაგებას შეიცავს. წაუღებდა ხოლმე, ე. ი. წაართმევდა ხოლმე.

ეს სიტყვა რამდენჯერმე გვხვდება ე. ტ-ში:

„მეფემან ახმა ღურაჯთა მიხხრა მიტანა ქალისა; გამოვუხვეენ და წავედით“... (342,1—2).

მეფემან ახმა, ე. ი. აღება მიხხრა ღურაჯთა.

გამოვუხვეენ, ე. ი. გამოვუღე, გამავართვი და წავედით.

„ჯოგი წავუღოთ, მოსრულნი ვესმით ჯოგისა წაღებად“ (1376,1). ე. ი. ჯოგი წავართვათ.

როცა ობიექტი მრავლობითშია, მაშინ მას „წახმა“ ფუძე ენაცვლება. ასე:

„ცხენტა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიღეს“ (76,1)

„ქვაბნი წაუხმან დევთათვის, სახლად აქვს დევთა სახლები“ (690,1)

ე. ი. დევთათვის წაუთრმევია ქვაბი (გამოქვაბული) და ახლა სახლად დევთა სახლი აქვსო.

„მე ოდეს ქვაბნი წაუხვენ, დავხოცე დევთა დასები“ (1364,3)

ე. ი. როდესაც მე დევებს ქვაბი წავართვი...

დ. ბ რ ძ ე ნ ი — ახლა ფილოსოფოსს აღნიშნავს. მისი მნიშვნელობა ახლა დავიწროებულია. ძველად პოეტსაც აღნიშნავდა, მაგრამ არა ყოველ პოეტს, არამედ დიდსა და ამავე დროს, გამოჩენილს.

ხ ა მ ს — უნდა, საკიროა; მ ი ხ მ ს — მინდა, მკირდება; II. პ. გ ი ხ მ ს,

III. ბ. უ ხ მ ს — უნდა, სკირდება.

ბ რ ძ ე ნ ი ხ ა მ ს მ ი ს ა დ მ ა ქ ე ბ რ ა დ — ბრძენია საკირო მის მაქებრად.

ენა ბევრად ასული — ენა ბევრად ასული; ბევრი — ათიათასს აღნიშნავდა; ბევრად ასული, ე. ი. მილიონი. ჰიპერბოლა: როსტევეანის ასული ისეთია, რომ მის ღირსეულად შესაქებელად მილიონი ენა, მილიონი პოეტია საჭირო.

მთელი სტროფი:

მეფეს სხვა შვილი არა ჰყავდა, მარტოოდენ ქალი (შვილი); იგი სოფლის მანათობელი მნათობი იყო; მზის კრებულის წევრიც. მან მის მკვრეტელთ წაართვა გული, გონება და სული (ე. ი. მთელი არსება). ერთი კაცის ქება მისთვის უკმარია; მის შესაქებლად საჭიროა ბრძენი და მრავლის უმრავლესი პოეტი.

34. მისი სახელი — თინათინ,...

თავდაპირველად მორითმავე, სიტყვების შესახებ, საცოდნარია — საწუნარია. შეიძლება ყოფილიყო საცოდნელია — საწუნელია; მაგრამ ორი უკანასკნელი სტრიქონის მორითმავე სიტყვებმა: წყნარია — საუბ(ნ)-არია — გადაწყვიტა საკითხი. სხვაგვარი ვარიანტი ამ სიტყვებისა ქართულმა არ იცის. მაშასადამე, პოეტი იძულებულია სწორედ ამ სიტყვებს შეუფარდოს ორი პირველი სიტყვა და იხმაროს, კანონიერის ნაცვლად, ხელოვნური, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად გავრცელებული.

ა. თინათინ — ქართული სახელია.

ბ. გაიზარდა, გაივსო — სინონიმებია: ასაკში მოვიდა, დასრულდა, დაქალდა.

გ. იხმნა ვაზირნი — ვაზირნი მრავლობითშია (ნ) და ეს სიმრავლე ზმნაში აღინიშნებოდა: იხმნა. ახლა ვიტყვით — მეფემ იხმო ვაზირნი.

დ. დაიხჩანა — აქაც ობიექტი მრავლობითშია; მხოლოდობითში რომ იყოს, მაშინ დაიხნა არ იქნებოდა, არამედ დაიხვა.

ამო — ტყბილი, სასიამოვნო.

საუბნარია — საუბარია.

35. უბრძანა: „გკითხავ საქმესა,..."

ა. გკითხავ საქმესა — ახლა ვიტყვით გკითხავთ საქმესა წინათ, მიცემითი ბრუნვის მრავლობითობა არ აღინიშნებოდა: გკითხავთქვენ, ვაზირთ.

ერთგან სასაუბნაროა — ისეთს, რომელიც მოითხოვს ერთ აღვილას შეკრებას და გადაწყვეტას; კოლექტიურად მოსალაპარაკებელს.

სტროფი დაწერილია დაბალი შაირით, მაშასადამე, სტრიქონი აგრე უნდა დანაწილდეს: უბრძანა (3) გკითხავ საქმესა (5) ერთგან სასაუბნაროსა (2+6).

რიტმი დარღვეულია. ეს განგებაა.

ბ. მისი ყვავილი — ახლა ვიტყვით: თავისი ყვავილი. და ყველგან ვ. ტ-ში ძველი ენის ნორმაა გადმოცემული. თუმცა შოთას დღევანდელი ენობრივი ვითარებაც აქვს:

თვით ორნავე ბიძა-ძენი ჰსსნი ხრმლთა ჩამოყარნა,
ჩენი წმიდად დაეკუონეს, იგი ასრე ასაჰყარნა,

(ლაპარაკია იმ ამბავზე, როდესაც ტარიელმა უშველა ფრიდონს ბიძა-
შვილებთან დავაში).

აქ მ ა თ ნ ი — დღევანდელი მნიშვნელობითაა ნახვარი.

გ ა ა ხ მ ო ს, დ ა ა მ კ ნ ა რ ო ს ა — პლეონასტური თქმაა, აზრის გასაძ-
ლიერებლად მოხმობილი. გაახმოს, დაამკნაროს სინონიმებია.

ამასთანავე აღსანიშნავია: მრავალფეროვნებისათვის ერთი ზმნა გა
თავსართითაა გადმოცემული, მეორე და — თავსართით.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სტროფის უკანასკნელი სტრი-
ქონი:

მ ზ ე ჩ ა გ ვ ი ს ვ ე ნ დ ა, ბ ნ ე ლ ს ა ვ ს კ ვ რ ე ტ თ, დ ა მ ე ს ა უ მ-
თ ე ნ ა რ ო ს ა.

აქ ერთი და იგივე ფაქტი სამი სხვადასხვა მხატვრული ხერხით (სახით)
აქვს გადმოცემული: მ ზ ი ს ჩ ა ს ვ ე ნ ე ბ ა ი გ ი ვ ე ა, რ ა ც ბ ნ ე ლ ი და
ორივე კი — დ ა მ ე. ამასთანავე, აღსანიშნავია, უკანასკნელი სტრიქონის მო-
რითმავე სიტყვა. წინათ და საიუბილეო გამოცემაში გვაქვს უ მ თ ვ ა რ ო-
ს ა, რ ა ც რ ი თ მ ა ს ა რ ლ ე ვ ე ს. აქ რ ი თ მ ა სამმარცვლიანი უნდა იყოს. ამ მხრივ
უ მ თ ვ ა რ ო ს ა ი ც ა ვ ს წ ე ს ს, მ ა გ რ ა მ ს ა ყ რ დ ე ნ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ს მ ხ რ ი ვ (ამ შემ-
თხვევაში — ნ). წესი დარღვეულია, ამიტომ ჩვენ „უმთვაროსა“ შევცვალეთ
„უმთენაროსა“ სიტყვით, როგორც ეს ხელნაწერშიცაა და ერთ გამოცემა-
ში (ი. აბულაძე)³¹: სასაუბნაროსა||დაამკნაროსა||საბაღნაროსა||უმთენაროსა.

36. „მე გარდასრულვარ, სიბერე“...

ვ. ტ-ის სალექსო სტრიქონი ორ მთავარ ცეზურად იყოფა. თითოეული
ორ ცალკეულ დამოუკიდებელ სინტაქსურ მთელს წარმოადგენს, სხვაგვა-
რად: სტრიქონის თითოეულ ნახევარში სინტაქსური და მეტრული (რიტმუ-
ლი) დანაწევრება სიტყვებისა ერთმანეთს ემთხვევა, არაა გარღვევა მეტრსა
და აზრს შორის:

იყო არაბეთს როსტევან მეფე ღმრთისაგან სვიანი (32,1)

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სინტაქსური და მეტრული დანა-
წევრება სტრიქონის სიტყვებისა არ ემთხვევა ერთმანეთს:

სიტყვა სინტაქსურად სტრიქონის პირველ ნახევარს ეკუთვნის, ხოლო
რიტმულად შეჭრილია სტრიქონის მეორე ნახევარში. სწორედ ასეთი მაგა-
ლითი გვაქვს აქ:

მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჳირთა უფრო ძნელია.

რიტმულად ეს სტრიქონი ორ თანაბარზომიერ ოდენობად იყოფა:

ა. მე გარდასრულვარ, სიბერე

ბ. მჭირს, ჳირთა უფრო ძნელია.

³¹ იუსტ. აბულაძე (1926) „უთენაროს“ კიბხულაშის (სხვათაშორის, ასეა უკანასკნელ (1966)
ვ. ტ-ს კომისიის გამოცემაში—გ. წერეთლის, ს. ციციშვილისა და გ. კარტოზიას მიერ მომზადებულ
ტექსტში). „უთენაროს“ წაკითხვა აქამდე პ. ინგოროყვას (1953 წ. გამ.) ეკუთვნოდა (ამავე წაკითხ-
ვას ემხრობა ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით გამოცემული (1966 წ.) ტექსტი).

მაგრამ აზრობრივად აგრე გაკვეთა არ შეიძლება, არამედ:

ა. მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს,

ბ. ჭირთა უფრო ძნელია.

მაგრამ დაირღვა რიტმი.

პოეტი აქ განგებ, შეგნებულად არღვევს ლექსის ჩვეულებრივ წყობას, რომ მოულოდნელი გარდატეხა მოახდინოს მკითხველისა და მსმენელის ყურადღებაში. გაამახვილო მისი სმენა და ყურადღება განსაკუთრებული ფაქტის მიმართ. მკვეთრად გამოაჩინოს ეს ფაქტი — სიბერე. და სწორედ განსაკუთრებული მახვილი სიბერე სიტყვაზე უნდა მოვიდეს მთელი სტროფის აზრის მიხედვით. მე გარდასრულვარ — აქ სიბერე ზმნურადაა გადმოცემული. ეს იგივეა, რაც — მე და ვ ბ ე რ ე ბ უ ლ ვ ა რ. ეს პოეტმა უნდა გააძლიეროს სუბსტანტივით — სიბერე სიტყვით.

მაგრამ ცალკეულად აღებული სიბერე, შემასმენელის გარეშე, ვერაფრით აზრს, მაშასადამე, ვერაფრითაა ლოგიკურ მახვილს ვერ შექმნის. შემასმენელი კი, რიტმული ერთეულების მეორე ნახევარშია. აზრობრივად იგი პოეტმა პირველ ნახევარს დაუკავშირა, ამით ჩვეულებრივი რიტმი ვ. ტ-ის ლექსისა დაარღვია და მკითხველმაც (მსმენელმაც) იგრძნო არაჩვეულებრივი რამ და მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია: ლექსიც უფრო ემოციური, უფრო შთაბეჭდავი შეიქნა.

მთლიანად, ორ სტროფში მოცემულია როსტევიანის, მაშასადამე, შოთას შეხედულება სიცოცხლე-ცხოვრებისა და საერთოდ, ქვეყნის განვითარების შესახებ.

ამ ქვეყნად არ არსებობს რაიმე ერთხელ და სამარადისოდ დადგენილი. ყველაფერი მოძრაობს, იცვლება, კვდება, ცოცხლდება.

სხვაგვარად: ეს ქვეყანა, კერძოდ სიცოცხლე-ცხოვრება მარად-მედინი და ცვალებადია:

რა ვარდმან მიღი ყველი გააზრის დაჰქნაროსა.

იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა (35, 2.—3).

აქ ვარდი სიცოცხლეა, ხოლო მისი გახმოზა, დაჭნობა — სიბერე და ბოლოს — სიკვდილი.

აქ გადმოცემულია აგრეთვე აზრი, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი ერთია, განუკვეთელია, სიკვდილი სიცოცხლის არსებითი მომენტია, ამდენად სიკვდილი ყველასთვის გარდუვალია:

„ღღეს არა, ხვალე მოგვედები, სოფელი ასრე მქმნელია.

აქვე: ძე ორისავე სქესის შვილს აღნიშნავს, როგორც ვაყს, ისე ქალს. სიტყვა დაკავშირებულია შექმნა სიტყვასთან. ახლაც ამბობენ: რა შეგეძინა? ე. ი. რა გეყოლა, ვაჟი თუ ქალი, განურჩევლად სქესისა. შემდეგში ძე უფრო ვაყის აღმნიშვნელი შეიქნა, თუმცა გვარებში ძე ახლაც ორივე სქესის აღმნიშვნელია.

37. ვაზირთა ჰკადრეს „მეფეთ...“

ა. რად ბრძანე თქვენი ბერობა — თქვენი

pluralis majestatis-ია, მაგრამ არსებითად ერთზეა ლაპარაკი და ამიტომაც გვაქვს ბრძანე და არა — ბრძანეთ.

ბ. ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე
ჯერობა—თუ ვინცობაა ვარდი გახმა, მაინც მას უნდა დავეკრდეთ, მაინც
იგი უპირატესია.

გ. ლული—სუნი.

ტურფა ფერობა—სილამაზე.

დ. მთვარესა მცხრალსა—მთვარეს გალუულს.

ვარსკვლავმა ვითამცა ჰკადრა მტერობა—აქ კავ-
შირებითი ვითარებაა გადმოცემული, მაგრამ, რადგან მცა ნაწილაკია მოხ-
მობილი, შემასმენელი ნამყო წყვეტილშია. უ-მცა-ნაწილაკოდ ასე იქნება:

მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმა აბა ვით ჰკადროს მტერობა, ე. ი. რაც
უნდა გალუული იყოს მთვარე, ვარსკვლავი მას მტერობას, მეტოქეობას ვერ
გაუბედავს.

მთვარე ხომ თითქმის ყველა პლანეტაზე უმცირეა, და ამასთანავე, თავი-
სი საკუთარი შუქით არ ანათებს, არამედ შუქი მისი თინათინია
მზისა. ამავე დროს ცნობილია, რომ ვარსკვლავი (ბევრი მათგანი) მთვ-
არის უდიდესია და ამასთანავე, მეტად კაშკაშა.

საქმე ის არის, რომ აქ ყველაფერი ივარაუდება ადამიანის პოზიციი-
დან, ამ ქვეყანაზე მყოფი ადამიანის თვალსაზრისიდან. და ამ ქვეყნიდან
მთვარე (თუმცაღა თავისი საკუთარი შუქით არა), მაინც ყოველ ვარსკვ-
ლავზე უფრო მანათობლად ჩანს და სწორედ აქედანაა ეს შედარება: რაც
უნდა გალუული იყოს მთვარე, ვარსკვლავი მას მეტოქეობას ვერ გაუბე-
დავსო.

38. „მაგას ნუ ბრძანებთ, მეფეო,..."

ეს სტროფი იმასვე გადმოგვცემს, რაც წინა სტროფშია მოცემული, მხო-
ლოდ სხვაგვარი მხატვრული სახით, სახელდობრ: რაც წინა სტროფში ბუ-
ნების შესახებია ნათქვამი, აქ იგი ადამიანზეა გადმოტანილი.

ა. წინა სტროფი: ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ბრძა-
ნე თქვენი ბერობა!

აქ: მაგას ნუ ბრძანებთ, მეფეო, ჯერ ვარდი არ
დაგჭნობია

ბ. წინა სტროფი: ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმარ-
თებს მისივე ჯერობა

აქ: თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა
მჯობია;

გ. ხამს განაღამცა საქმნელად—საჭირო იყო ბარემ გეთქვა;
რაცა თქვენ გულსა გლმობია—რაც თქვენ გულში გტკე-
ნია.

დ. ვისგან მზე შენაფლობია—ვინც მზეს დაუფლებია, ვი-
საც მზე დაუპყრია, ვინც მზეს სჯობნის, მზეს აღემატება.

39. „თუცა ქალია, ხელმწიფედ..."

ა. თუმცა ქალია, მაგრამ ის წინდაწინ ხელმწიფედაა დაბადებული. აქ ლა-
პარაკია მეფის უფლების ღვთისმფიერობაზე: მეფის უფლება ღვთისგან მომ-

დინარეობს, ყოველი მეფე ღვთისაგანაა დადგენილი; ყოველი მეფე თავის უფლებას ღვთისაგან იღებს.

ბ. მაგრამ ერთია ღვთისაგან მონიჭებული უფლება. მეორეა — სამეფო მართვა-გამგეობის ნიჭი. მაშასადამე; მართო ღვთისაგან დადგენა უკმარია; პირადი ნიჭით, პირადი ღირსებებით უნდა იყოს შემკული. და აი, მეორე სტრიქონიც ამას გადმოგვცემს: პირში არ გეფერებით, იცის მეფობა, უთქვენოდაც, ზურგს უკან, დიალაც არაერთხელ გვითქვამს. არ გათენეთ — პირში არ გეფერებით.

ღ ი ა — დიად.

გ. მესამე სტრიქონი განმარტავს მეორე სტრიქონის აზრს უკვე დეტალურად: მისი ბრწყინვალეობისებრ მისი საქმეც მზესავით ცხადი და ნათელია.

დ. იმიტომ, რომ შენ მეფე ხარ ლომი, და მეფის შვილი — ვაჟი იქნება, თუ ქალი, თანასწორი უფლებითაა აღჭურვილი.

ზოგს ვისმე ეს სტრიქონი ისე ესმის, თითქოს აქ ქალთა თანასწორობაზე იყოს ლაპარაკი საერთოდ, არაა მთლად სწორი. აქ, თუ ვინმეა შექება, ისევე მეფეა და არც შეიძლება მაშინ, XII ს-ში საერთოდ, საყოველთაოდ ქალთა თანასწორობის საკითხის დასმა.

რაც შეეხება მაღალ წრეებს, იქ, ცხადია, ქალი არამცთუ გათანასწორებული იყო მამაკაცთან, არამედ, ზოგჯერ ქალი კიდევაც ჰმეტობდა ვაჟს უფლებებით.

ამის საუკეთესო მაგალითია თვით თამარი, რომელიც ისეთი დიადი იყო, რომ დაჩრდილა ყველა წინამორბედი და მის შემდეგ მოვლინებული ქვეყნის მმართველნიც.

ცალკე აღებულიც „ლეკვი ლომისა...“ რასაკვირველია, გამოდგება როგორც აფორიზმი ქალთა თანასწორობისათვის, მაგრამ, როცა ვ. ტ-ს ვეხებით არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი განსაზღვრულ ეპოქაშია წარმოშობილი, განსაზღვრული კონკრეტული გარემოების ღვიძლი შვილია და მის ზრახვათა და სულისკვეთებათა გამომხატველი.

40. ავთანდილ იყო სპასპეტი...

ა. სპასპეტი — ჯარის უფროსი.

სპასალარი — მთავარსარდალი.

ბ. სარო — კვიპაროსის ხე. სარო იხმარება, როგორც ეპითეტი, ტანის ნაკეთიერობის, სიწერწეტის აღსანიშნავად.

მზე და მთვარე — აქ ესენი მაგგვარსავე როლს ასრულებენ; ორივე გარდამეტებული სილამაზის აღმნიშვნელია.

გ. სადარო ბროლ-მინა საცნობარისა — რომელიც შეიძლება შეადარო მხოლოდ გამოჩენილ საუკეთესო ბროლსა და მინანქარს.

დ. მას თინათინის შევენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა — მას თინათინი უყვარდა. აღსანიშნავია წყობა ამ სტრიქონისა. აქ გვაქვს ე. წ. ტმესი, ე. ი. გაკვეთა. ჩვეულებრივი პროზაული წყობა წინადადებისა ამგვარი იქნება. მას კვლევდის თინათინის წამწამთა ჯარისა შევენება. სიტყვათა რაოდენობაც იმდენივეა, როგორც ლექსში. მაგრამ ლექსი არ გამოვიდა; იმიტომ პოეტმა გაკვეთა წინადადება, დააშორა ერთმანეთს

მსაზღვრელი და საზღვრული: თინათინის წამწამთა — და მათ შორის ჩასვა — შვენება ჰკლევდის, რაც პოეტურად ძალზე ეფექტური გამოვიდა.

41. გულსა მისსა მიჯნურობა...

ა. აქ პირველი სტრიქონი იმეორებს წინა სტროფის უკანასკნელი სტრიქონის შინაარსს: „მას თინათინის შვენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა“, იგივეა, რაც: „გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად“, მხოლოდ აღსანიშნავია, რომ წინასიტყვაობაში წამოყენებული დებულება სიყვარულის ხასიათის შესახებ აქ უკვე გამართლებულია, ხაზგასმულია:

არს პირველი მიჯნურობა, არ დაჩენა ჭირთა მალვა (27,1).

აქაც: „გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად“ (ე. ი. გულსა თვისსა).

ბ-გ-დ. აღსანიშნავია, აქ ზმნების ის ფორმა, რომლითაც გადმოცემულია სტროფის შინაარსი. შინაარსი ეხება სიყვარულს, სიყვარულს მუდმივს, უწყვეტელს, და პოეტმა ცხრორედ ამიტომ გადმოსცა იგი შესაფერი გრამატიკული ფორმით:

მოჰშორდის, შექმნის, ნახის, გაუახლდის, გახდის. ყველა ეს ზმნა, ამ ფორმით მოხმობილი, ერთ მიზანს ემსახურება: რაც შეიძლება ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ავთანდილის სიყვარული გაუნელებელია, მუდმივია; ამასთანავე, მწვავე, გულის მომკვლელი. ამიტომაცაა:

„საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად!“

42. რა მეფედ დასმა მეფემან...

ა. მისისა ქალისა — თავისა ქალისა.

ბ. მიჰხვდა — შეხვდა, მოუხდა, ერგო.

ვსება სჭირს მას აქ აღისა — სიყვარულის ალი ევსება, უქრება. ცნობილია სტრიქონის ამ ნასვერის შესწავლის ისტორია³². უკანასკნელ მიღებულია: ვსება სჭირს მას აქ აღისა.

მე ვასწორებ: ვსება სჭირს მის აქ აღისა, რადგან „მის“ აქ განმსაზღვრელი ნაწევარია, რომელიც სახელს უთანხმდება ბრუნვაში: მის აღისა. ამას გარდა, რითმაც უფრო გამართული გამოდის: მისისა ქალისა — მის აქ აღისა.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ხელნაწერში არის:

ავთანდილს მიხვდა სიამე, ვსება სჭირს მისეე აღისა.

ავთანდილს მიჰხვდა სიამე|ვსება სჭირს მის აქ აღისა; სტრიქონი ორდაა გაყოფილი: თითოეულ ნახევარში ერთი და იგივე აზრია გამოთქმული, მაგრამ სხვადასხვა მხატვრული საშუალებით, ჩვეულებრივი ხერხი შოთა რუსთაველისა. „სიამის მიჰხვდომა“ იგივეა, რაც „ალის დავსება“, „ალის დაშრეტა“.

³² მას თავის დროზე ეხებოდნენ დ. კარიკაშვილი, შ. დავითაშვილი, ი. ანუღლაძე, მ. ჯანაშვილი, სილ. ხენდაძე, ნ. მარო და სხვ.

გ. მომხვედების — შემხვედების, მომხვედების.

ნახვა მის ბროლ-ფიქალისა — ნახვა თინათინისა, ბროლსა (სახე) და ფიქალს (თმის მეტაფორაა) რომ ჰგავს.

დ. ნუთუ — ეგების; იქნება შეიძლება, რომ...

მთელი სტროფი:

როდესაც მეფემ თავისი ქალის მეფედ დასმა ბრძანა, ამ გარემოებამ სიამოვნება მოჰგვარა ავთანდილს, მას დაუშრტდა სიყვარულის ცეცხლი; თქვა: ამიერიდან (სამსახურის გამო) ხშირ-ხშირად მომიხდება მისი ნახვა; იქნება ამით მაინც ვპოვო ჩემი ფერ-გამქრალის წამალი.

44. მოვიდეს სრულნი არაბნი...

დ. საჯდომი — ტახტი.

რომე — სრული ფორმა — რომელ. საშუალო — რომე — მოკლე — რომ. უმოკლესი — რო. რომე და რო დღეს დასავლურ კილოებშია შენარჩუნებული.

45. თინათინ მიჰყავს მამასა...

თინათინის ტახტზე აყვანისა და საერთოდ, კურთხევის წესი სავსებით იგივეა, რაც ამ დროს მიღებული იყო აქართველოს მეფის კურთხევისას.

იგივე საჯდომის დამზადება, გვირგვინის თავზე დადგმა, სკიპტრის მიცემა, დალოცვა, თაყვანისცემა, მოსალოცის მიტანა, სამეფო ხელისუფლების ნიშნები (პორფირი, ბისონი) და სხვა და სხვა. განსხვავებაა მხოლოდ იმაში, რომ წელზე ხმალი არ შემოურტყამთ და ეს იმიტომ, რომ მემკვიდრე ქალი იყო. არც თამარ მეფისთვის შემოურტყამთ ხმალი, რადგან მას, ვითარცა ქალს, ხმალი არ შეშვენოდა. ე. ი. ტერმინები მთლიანად ქართულია; კურთხევა ორ მომენტს შეიცავდა: საეკლესიოსა და საეროს. მეფემ დასდვა გვირგვინი იმიტომ, რომ ამით უნდა აღინიშნოს თვით მეფემ (მამამ) გადასცა მას უფლება და არა სხვა ვინმემ.

50. „მეფეთა შიგან სიუხვე“...

ა. მეფეთა შორის სიუხვე, ხელგაშლილობა ისეა, როგორც ედემს ალვა რგულიო.

ალვა — სხვაგვარად, ედემის ხე. ბიბლიის გადმოცემით, სამოთხე შემორჩეული, სავსე იყო ამ ხით. ეს ხე მეტად ლამაზია და არაჩვეულებრივად სურნელოვანი. ამ სურნელებას იგი აფრქვევს მიდამოთ განუწყვეტილად, უშურველად. ამიტომაც, განსაკუთრებული სიუხვის აღსანიშნავად, ალვა მოჰყავთ.

გ. სმაჰამა, — დიდად შესარგი, დება რა საეარგულია?

დაგმობლია სიძუნწე; გარდამეტებული ხელმოჭერილობა, რასაც ადასტურებს უკანასკნელი სტრიქონი.

დ. რასაცა გასცემ — შენია, რას არა — დაკარგულია. — გასცემ მოითხოვს მიცემით ბრუნვას და სტრიქონის პირველ ნახევარში ასეცაა — რასაცა გასცემ... მეორე ნახევარში აგრე უნდა იყოს.

— რასაც არა — დაკარგულია, მაგრამ რასაც ქმნის ზედმეტ მარცვალს. ამიტომ ნ. მარმა ეს სტრიქონი ასე შეასწორა: რასაცა გასცემ შენია, რა [ს] ც არა — დაკარგულია³³, ხოლო 1937 წ. საიუბილეო კომისიამ ასე: რასაცა გასცემ, შენია, რას არა — დაკარგულია.

არა საჭირო შესწორებაა! რა არის: რაც არა — დაკარგულია — რასაც არ გასცემ, ის. აშკვარი თქმა დღესაც დამახასიათებელია ხალხური ენისათვის: რასა(ა) რომ ჰკითხულობ? ე. ი. რა არის ის, რასაც ჰკითხულობ. ან თვით ვ. ტ-ში: „რაცაღა სამსახურსა, ვტყუვი, თულა ვერიღები“ — რა არის ის სამსახური, რომელსა სამსახურს, მტყუანი ვიყო, თუ მოვერიღო.

სიტყვის ეკონომია ამაზე მეტი შეუძლებელია, ხალხური ხერხია, მაშასადამე, კვალად ვიმეორებ, შესწორება მას არ სჭირდება და უნდა დარჩეს ასე:

რასაცა გასცემ — შენია, რაც არა — დაკარგულია!

51. ამა მამისა სწავლასა...

ა. ამა მამისა სწავლასა — მამის ამ სწავლასა.

ბ რ ძ ნ ა დ მ ო ი ს მ ი ნ ე ბ დ ა — ბრძნულად მოისმენდა (ისმენდა).

ბ. მეორე სტრიქონში ეს ფაქტი კიდევ უფრო გაძლიერებულია, განსაკუთრებული ყურადღების აღსანიშნავად სამი სხვადასხვა მხატვრული სახითაა გადმოცემული:

ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა.

გ. მეფე სმასა, და მღერასა იქმს — აქ ფაქტი გადმოცემულია სახელებითა და ზმნით, სმას იქმს, მღერას იქმს.

რამდენად ქართულია ეს კონსტრუქცია? იგი ჩვენ ვ. ტ-მდე გაცილებით ადრე გვხვდება. იგი უთუოდ ქართულია. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ასეთი ფორმა დღესაც არის დაცული კითხვითს წინადადებაში, სხვაგვარად არ ვამბობთ თუ არ — რასა იქმს? რას შვრება?

მაგრამ პასუხად დღეს არავინ იტყვის: ჭამას ვიქმ, სმას ვიქმ. ერთი სიტყვით, სუბსტანტივითა და ზმნით. ეს აზრის გადმოცემა ქართულია, მაგრამ ამ დროისათვის ის მიღევაზე უნდა ყოფილიყო და გზას ზმნურობას უთმობდა. შოთა ხომ ზმნურობით გადმოცემის იშვიათი ოსტატია. ეს ხერხი მას სჭირდება სხვათა შორის იმისათვის, რომ გრძელი სიტყვა მრკვედ თქვას და ცდილობს, რაც შეიძლება, თავი დააღწიოს სუბსტანტივებს: და გადაერთოს ზმნას. აქაც ასეა: „მეფე სმასა და მღერასა იქმს“, თქვა ეს და იქვე ეგვევ აზრი ზმნურად გადმოგვცა: „მეტად მოილხინებდა“. საზოგადოდ, როგორც აღვნიშნეთ, შოთას, ამა თუ იმ ფაქტის გაძლიერებისათვის, უყვარს თავისებური პარალელიზმები.

მღერა — შეიძლება აქ თამაშიც იყოს და სიმღერაც, მაგრამ უფრო საგულევებელია, რომ სიმღერა იყოს.

დ. თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე

თინათინებდა:

თინათინ არაფრად მიიჩნევდა მზესა, მაგრამ მზე ცდილობდა გამხდარი-

³³ TP, XII, стр. XLIX.

ყო თინათინად. თინათინის გარდამეტებული სილამაზის აღსანიშნავადა ეს დაპირისპირება მოცემული.

52. ზოიხმო მისი გამზრდელი,...

ა-ბ-გ. მ.ო.ზ.მ.ო. მისი გამზრდელი — მოიხმო თავისი გამზრდელი. დაიბადებოდა თუ არა მემკვიდრე, მას იმთავითვე მიუჩენდნენ სარჩოდ, საბადებლად სახელმწიფოს რომელსაზე კუთხეს, რომელიც ამიერიდან უფლისწულის, მეფის შვილის ქონებად იწოდებოდა. მეფის წულს ჰყავდა გამზრდელი (აღმოსავლეთში მას ათაბაგი ეწოდებოდა), რომელიც პასუხისმგებელი იყო უფლისწულის ქონებისა და მთელი შემოსავლისათვის. გამზრდელი აღრიცხავდა ქონებას. მის ხელში იყო ბეჭედი, უმისოდ არავის შეეძლო საჭურჭლის გახსნა და ქონების გადმოღება. თუმცა ქონება მეფის წულის სრულს საკუთრებას შეადგენდა. ქონება მეფის წულის იყო, მაგრამ მისი ფანქარგველობა განსაზღვრულ დრომდე, ე. ი. მეფისწულის სრულწლოვანობამდე გამზრდელს ეკუთვნოდა.

გ. ნაუფლისწულევი — უფლისწულობის დროს შექენილი.

აქ ის გარემოება, რომ გამზრდელია განმკარგულბელი, ისაა ბეჭდის დამსმელი, პოეტმა იმით აღნიშნა, რომ სტროფის ჩვეულებრივი რიტმი დაარღვია: უკანასკნელი მუხლი, ნაცვლად ხუთისა, ექვსმარცვლიანი მოგვცა. ამიტომაც ლოგიკურმა მახვილმა დადმოინაცვლა შენგან სიტყვაზე და საბალოოდ მივიღეთ შემდეგი წაკითხვა და გაგება: „უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი“ და არა: უბრძანა: ჩემი საჭურჭლე შენგანა ნაბეჭდულევი, რაც შოთას სრულიად დაუბრკოლებლივ შეეძლო, რომ არა გამზრდელის უფლების აღნიშვნა არაჩვეულებრივი მახვილით. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ქონება მეფისწულის სრულ საკუთრებას შეადგენს, ეს ანაფორული ალიტერაციით არის მიღწეული: „უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე... ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“.

დ. ფაქცა უზომო, უანგარიშო, ულევო — სიტყვები კიბური წესითაა გაწყობილი. გრადაციას, მაგრამ აღმავალი.

უზომო ისეთი, რაც არ გაიზომება, მაგრამ უანგარიშოში მეტია ეს უზომობა, შეიძლება გაიზომოს, მაგრამ ვერ მოახერხო მისი ანგარიში. გაზომევა, ანგარიში აღამიანწეა დამოკიდებული. ულევო კი დამოუკიდებლად აღამიანის საქმიანობისა, დამოუკიდებლად აღამიანის ანგარიში-სა, თავისთავადაა ულევო.

53. მას დღე გასცემს ყველაკასა...

ა. სივაჟისა მოგებულსა — არის თუ არა ეს სრული შესატყვისი, სინონიმი ნაუფლისწულევისა?

არა!

ნაუფლისწულევი მემკვიდრეობით მიღებული ქონება, ბოძებუ-ლი ქონებაა, ხოლო სივაჟის მოგებული — პირადად შექენილი ვა-ჟობის, სივაჟის დროს, ე. ი. ტახტზე ასვლამდე.

ბ. ამოაგებს — ამოავსებს, სიმდიდრით აავსებს.

გ. მ ც ი რ ე ს ა და დ ი ღ ე ბ უ ლ ს ა: ყველას დიდებისა და მღვთა-
რობის განურჩევლად.

დ. ს ა ჯ უ რ ჭ ლ ე ს ა და დ ე ბ უ ლ ს ა — საგანძურში შენახულს.

54. უბრძანა „წადით გახსენით...“

ბ. ა მ ი ლ ა ხ ო რ ი — მეჯინბეთუხუცესი, მეცხენეთუხუცესი.

რ ე მ ა {
ჯ ო გ ი { სინონიმებია

დ. ლ ა რ ი — განძი ძვირფასეულისა.

მ ე კ ო ბ რ ე — ზღვის ყაჩაღი. ქონებას, სიმდიდრეს იტაცებდნენ ლაშ-
ქარნი, როგორც მეკობრენი.

55. ალაფობდეს საჭურჭლესა...

ა. ა ლ ა ფ ო ბ დ ე ს ს ა ჯ უ რ ჭ ლ ე ს ა მ ი ს ს ა — იტაცებდნენ ქონებასა
მისსა.

ე თ ა ნ ა თ უ რ ჭ ა ლ ს ა — როგორც ნათურქალს ე. ი. თურქებისა-
თვის წართმეულს. მტერთაგან წართმეული, რაც უნდა ძვირფასი იყოს, მაინც
შედარებით მდარედ ფასდება. მაშასადამე, ადვილად მისატაცებელია: ვითა ნა-
თურქალსა — ე. ი. ოხრად დარჩენილს, უპატრონოს. განმეორებულია წინა
სტროფის ფაქტი.

ბ. ტ ა ი კ ი — არაბული ცხენი.

ქ ვ ე — ნ ა ბ ა მ ს ა, ნ ა ს უ ჭ ა ლ ს ა — სინონიმებია: საგანგებოდ, გასა-
სუქებლად დაბმული, ნასუქი.

დ. ა რ ყ მ ა ს ა და ა რ ც ა ქ ა ლ ს ა — არ ვაყსა და არცა ქალსა.

56. დღე ერთ გარდახდა; პურობა...

ა. დ ღ ე ე რ თ გ ა რ დ ა ხ დ ა — გათავდა, მიიწურა ერთი დღე.

პ უ რ ო ბ ა, ს მ ა ჯ ა მ ა — სინონიმებია.

ხ ი ლ ო ბ ა — აღსანიშნავია, სმა-ჰამის შემდეგ ხილი, როგორც იყო
ჩვენში წესი წინათ და ახლა.

ბ. მ ე ფ ე მ ა ნ თ ა ვ ი დ ა ჰ კ ი დ ა და ჰ კ ო ნ დ ა და დ რ ე ჟ ო-
ლ ო ბ ა — პარალელიზმი: ორივე ნახევარი ერთსა და იმასვე აღნიშნავს —
მოწყენილობას.

აღსანიშნავია დაღრეჯილობა. ახლა, დაღმეკვას, სახის დაკრეკვას,
დაჯღანვას ნიშნავს. — აქ მოწყენილობას. მოწყენილობა უნდა იყოს უწინა-
რესი, რომელ დროს ადამიანს სახე ეღმიკება, რაც თანაარსია მოწყენილო-
ბისა.

დ. ნ ე ტ ა რ — ნეტავი.

რ ა უ მ ძ ი მ ს, რ ა ს ჭ ი რ ს ო — სინონიმებია.

შ ე ქ მ ნ ე ს ა მ ი ს ა ც ი ლ ო ბ ა — დიწყებს ამის შესახებ ლაპარა-
კი: ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას!

57. თავსა ზის პირ-მზე ავთანდილ...

ა. თავსა ზის პირმზე ავთანდილ — შეიძლება სუფრის ხელ-
მძღვანელს ნიშნავდეს.

ბ. სპათა სპასპეტი — ჯარების უფროსი.

ჩაუქი — ცქვიტი, ყოჩალი.

გ. ვაზირი ბერი — ვაზირი მოხუცი, შეიძლება აქ უზუცეს ვა-
ზირს ნიშნავდეს, მით უმეტეს, რომ მას ავთანდილის გვერდით უჭირავს
ადგილი.

დ. რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია?
რა მოუვიდა მეფეს, რად შეეცვალა ფერი?

58. თქვეს თუ: „მეფე ცუდსა რასმე...“

ა. პირველი სტრიქონი იმეორებს წინა სტროფის უკანასკნელი სტრიქონის
შინაარსს. შოთა ამგვარ ზერხს ზშირად მიმართავს, სახელდობრ, მაშინ, როცა
წინა სტროფმა ვერ ამოსწურა გადმოსაცემი ფაქტის შინაარსი.

თქვეს თუ: მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარ-
დნილა, იგბევა რაც: თქვეს თუ: რა უმძიმს მეფესა, ანუ
რად ფერი ჰკრთომია?

ბ. თვარა აქა სამძიმარი მისი ყოლა არა ქმნილა —
თორემ აქა მისი საწყენი რამ სრულიად არ ქმნილა, სრულიად არ მომხდარა.

აღსანიშნავია თვარა ფორმა: იგი ვ.ტ-ზე უფრო ადრეა დადასტუ-
რებული ქართულ ძეგლებში. ხოლო დღეს შენახულია დასავლურ კილოებში.

გ. ვჰკითხოთ, გვითხრას — რაცა შეგვეცილა? — ვჰკით-
ხოთ, გვითხრას, რა ნახა საწინააღმდეგო.

დ. ვჰკადროთ რამე სალალბო, რასათვისმცა გაგ-
ვაწბილა — რამე სამხიარულო რამ ვუთხრათ, არა მგონა, რომ გაგვაწ-
ბილოს.

59. ადგეს სოგრატ და ავთანდილ...

ა. ადგნენ სოგრატ და ავთანდილ ტან წერწეტი.

ბ. აივსეს ჰიქები და წყნარად წავიდნენ მეფისაკენ. აღსანიშნავია „თვი-
თო აივსეს ჰიქები“. ეს წესი დღესაც ცოცხალია ჩვენში. ამ წესს განსაკუთ-
რებით მაშინ მიმართავენ, როდესაც პატივსაცემი პიროვნებაა სადღეგრძელე-
ბელი: ადგომა და შორიდან დღეგრძელობა უკმარად მიაჩნიათ. საჭიროდ მი-
ჩნევენ სავსე ჰიქებით ეახლონ სადღეგრძელებელ პიროვნებას.

გ. მოუსხდნენ მუხლმოყრით, გაღიმებულნი.

დ. ვაზირმა დაიწყო მჭერმეტყველური ლაპარაკი.

60. „დაგიღრეჯია მეფეთ...“

ა. დაგიღრეჯია მეფეთ, იგივეა რაც „აღარ გიცინის პი-
რო“.

ბ. წახდა საჭურჭლე თქვენი — დაიღუპა, მოისპო ქონება,
სიმდიდრე თქვენი.

მძიმე — აქ: არამსუბუქი, გაღატ. ბევრი, დიდი, ძვირი — ძვირფასი, იშვიათი.

გ. საბოძვარ-ხშირი — ხელგაშლილი, უხვად გამცემი.

დ. ყოლაშცა მეფედ ნუ დასვი — სრულიად მეფედ რომ არ დაგეგვა.

61. რა მეფემან მოისმინა...

ა. გაცინებით შემოხედნა — წესით უნდა ყოფილიყო — გაცინებით შემოხედნა, რადგან შემოსახელი ობიექტი ერთია; აბა, რატომაა შემოხედნა? შესაძლებელია, აქ სხვა ობიექტი იგულისხმება, რომელიც თავის დროს იყო, ახლა დაკარგულაო. სახელდობრ, თვალნი. შემოხედნა თვალნი. თქმა იმისა, რომ შოთამ ეს რითმისათვის ჩაიღინაო, ამ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან ამგვარი მოვლენები გვაქვს იქაც, სადაც რითმის საქიროება სრულებით არაა (იხ. სტრ. 64).

დ. ამგვარივე მდგომარეობა გვაქვს „დაიყბედნა“ სიტყვაში. აქაც არ ჩანს ობიექტი და ისიც მრავლობითში. თუ დაკარგულ სუბიექტს არ ვიგულისხმებთ, მაშინ უნდა შევეუროდეთ იმ გარემოებას, რომ რითმის საქიროებაში გამოიწვია „ნ“ ბგერის ჩართვა.

ახლა წარმოვიდგინოთ წინა სტროფებსა და ამ სტროფში წარმოდგენილი სურათი: საერთო წადიმობისა და მხიარულობის დროს მეფემ უცებ მოიწყინა. ამ გარემოებაში ყველა შეაშფოთა. შეიქმნა მითქმა-მოთქმა, ჩურჩული, რა მოუვიდა მეფეს, ვაი, თუ ჩვენგან, ჩვენი საქციელის გამო ეწყინაო. ავთანდილმა და სოგრატმა გადაწყვიტეს, ალბათ იმიტომ მოიწყინა, რომ მისმა ქალმა, თინათინმა მთელი ქონება დაარიგაო. ნეტავი მეფედ არ დაგეგვა მთელ თქვენს ქონებას გაანიავენსო, მოსმინა მეფემ ეს და იქვე მყოფს (მდგომს) თინათინს სიცილით, სიყვარულით შეხედა. ამათ ლაპარაკს ყურს ნუ უგდებ. შენი საქციელი მე მომწონს, მადლობელი ვარო (წყალობა უიმედნა); შემცდარი ბრძანდება ყველა ის, ვინც დაიყბედებს, რომ მე ძუნწი ვარო: „ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუის, ვინცა დაიყბედნა“.

62. „ევე არ მიმძიმს, ვაზირო...“

ბ. სიბერე მახლავს, დავლიე სიყმაწვილისა დღენია — პარალელიზმია: სიბერე მახლავს იგივეა, რაც დავლიე სიყმაწვილისა დღენია, ე. ი. დავასრულე სიყმაწვილის დღენია.

63. „ერთაი მიზის ასული“...

ა. ერთაი — სავსებით კანონიერი ფორმაა, თანაც აქ სტრიქონის სათანადო მარცვლით შევსების მიზნითაა მოხმობილი.

ბ. ყმა-შვილი — ვაჟი-შვილი.

ვარსაწუთროსა თმობითა — ვითმენ ამ ქვეყნიდან, დასჯილი ვარ.

გ. ან უმცა მგვანდა მშვილდოსნად — რომ გვადეს მშვილდოსნად.

დ. ცოტასა შემწევს. ავთანდილ — ცოტასა შემგავს ავთანდილ, ცოტათი მემსგავსება ავთანდილ.

ჩემგანვე განაზრდობითა — ისიც იმიტომ, რომ ჩემი გაზრდილია.

64. ყმა მეფისა ბრძანებასა...

ა. ლაღი — თამამი.

ბ. თავმოდრეკით გაიღიმნა — გაიღიმნა (იხ. 61 სტრ.).

გ. თეთრთა კბილთა გამოკრთალთა შუქთა ველთა მოაფენდა — ჰიპერბოლა: კბილები ისეთი თეთრი ჰქონდა, რომ მისგან გამოსხივებული შუქი ველს განანათლებდა.

65. კვლა უბრძანა: თავსა ჩემსა...

ბ. მოგახსენებ და ფარმანი მიბოძეო — მოგახსენებ და წყალობა მოიღე.

ფ-დ. შემდეგ ორს უკანასკნელ სტრიქონში მოხმობილია სინონიმური სიტყვები, რომელთა მიზანია, რაც შეიძლება მეტად მოარბილოს მეფე, რაც შეიძლება მეტად დაამშვიდოს იგი; ამასთანავე, ეს სიტყვები დრავიული, კიბური წესითაა გაწყობილი, რომ მეტი სიმკვეთრე, მეტი დამაჯერებლობა ექნეს. თანვე აზრის გასაძლიერებლად ეს სიტყვები გადაბმულია ანაფორული ალიტერაციით „არ“.

66. უბრძანა: „რადმცა ვიწყინე...“

ა. ავთანდილის სიტყვებმა იქონია გავლენა მეფეზე, ამიტომ იგი მოლბა, კილოც მისი უკვე სხვაგვარია: რატომ უნდა ვიწყინო შენგან სიტყვები საწყინარი?

დ. ავთანდილ დამშვიდდა და თანვე გათამამდა. აქედან მისი პასუხის კილო: ნუ მოჰკვებ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა.

ჩვეულებრივ ამგვარი კილო (ნუ მოჰკვებ) მეფის მიმართ გაუგებარია, ერთგვარი უზრდელობაცაა, მაგრამ განხილულ სიტუაციაში სავსებით გასაგებია და გამართლებული.

67. „მიწაცა თქვენი ავთანდილ...“

ა. მიწაცა თქვენი ავთანდილ — თავმდაბლობის აღმნიშვნელი თქმა: მე, ავთანდილ, თქვენ წინ მხოლოდ მიწა ვარ, უბრალო მოკვდავი თქვენ წინა — ხელნაწერებში და გამოცემებშია თქვენს წინა. თქვენს არაა სწორი. თქვენს მიცემითი ბრუნვაა სიტყვისა: თქვენი (კუთვნილებითი ნაცვალსახელი).

აქ კი გვაქვს არა კუთვნილებითი ნაცვალსახელი, (არც შეიძლება აქ

იყოს კუთვნილებით), არამედ მხოლოდ პიროვნული: მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ...

რომელ ბრუნვაშია თქვენ?

თქვენ წინა — სინტაგმაში თქვენ ნათესაობითშია. საამისოდ საკმაოა ჩანაცვლების სისტემას მივმართოთ: კაცის წინა.

მაგრამ წინა შეიძლება მოითხოვდეს მიცემით ბრუნვას, როგორც ეს ძველ ქართულში იყო. შეიძლება, მაგრამ მიცემითშიაც მხოლოდ თქვენ იქნება და არა თქვენს. თქვენს მიცემითია თქვენი სიტყვისა და არა თქვენ სიტყვისა.

ბ. ნაძლევი დავდვათ — დავნაძლევედეთ!

მოვასხნეთ მოწმად თქვენნივე ყმანია!

მოვიყვანოთ მოწმებად თქვენრეე ყმები.

გ. მოასპარეზედ ვინ მგავსო — მოკლელაა ნათქვამი: თქვენ რომ ბრძანეთ მოასპარეზედ, ასპარეზზე მოთამაშედ, მოვარჯიშედ, ვინ მჯობსო...

ცუდნილა უკუთქმანია — ტყუილებრალოდ უარყოფ!

თქმა და უკუთქმა — თქმა და საწინააღმდეგოს თქმა, რისამე თქმულის უარყოფა, წინააღმდეგობა.

დ. გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია — ამ თქმას უმეველად კავშირი აქვს ცნობილ ხალხურ თქმასთან: ჰა ბურთი და ჰა მოედანი! როდის იხმარება ეს თქმა? როცა უნდათ ვისიმე სიტყვიერი (თეორიული) განცხადება შეამოწმონ პრაქტიკაზე. როდესაც უნდათ წაქეზება რაიმე საქმეში, შეჯიბრებაში, ასპარეზობასა და ბურთაობაში. ეგ თქმა ჩვენში ალბათ ძველადვე იყო ცნობილი, გაცილებით ადრე ვ.ტ.-მდე. აქედან იგი გადავიდა ხალხში და მოთამაც ხალხისაგან აიღო ეს ხალხური თქმა.

68. „მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა...“

ა. დაცილება — გაჯიბრება, მეტოქეობა.

მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილება — მე არ შეგარჩენ, არ გაპატიებ შენ მაგ გაჯიბრებას, მაგ მეტოქეობას.

ბ. ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა — კლებასა — ბრძანე და მერმე არ დაიწყო უკანდახევა, მერყეობა.

დ. მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ ქებასა... — მერმე გამოჩნდეს მოედანს თუ ვის, თუ რომელს ჩვენგანს დაუწყებენ ქებას, ე. ი. რომელი ჩვენგანი გაიმარჯვებსო.

ვისძი — თუ ვის.

69. ავთანდილცა დაჰმორჩილდა....

ა. საუბარი გარდაწყვიდეს — საუბარი დაასრულეს.

ბ. რაკი შესიტყვება კარგად დამთავრდა, რაკი ატმოსფერო, ასე ვთქვათ, განიტვირთა, მძიმე მდგომარეობა სიხარულით შეიცვალა და ეს ფაქტი გადმოცემულია სამი ზმნური გამოთქმით: იცინოდეს, ყმაწყვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმოდეს.

კარგად ზმიდეს — კარგად იქცეოდეს.

დ. თავშიშველი სამ დღე ვლიდეს — ფადატ. ღირსება ახ-
ლილი, შერცხვენილი სამ დღეს ვლიდეს.

ქული ვაქეცობის, კაცობის ნიშანი იყო. ქული ვაქეცის დამავიგვინე-
ბელია.

თავდადგმული, თავდახურული — სრული.

დღესაც დარჩენილია ჩვენში თქმა: ქული არ გხურავს, ე. ი. კაცი არა
ხარ, მოკლებული ხარ ყოველგვარ კაცურ ღირსებას, პატიოსნებას.

აქედან სასჯელი: თავშიშველა გატარება — შერცხვენა.

70 (...) კვლა ბრძანა: „მონა თორმეტი...“

ა. მარებლად — მოსიარულედ.

ბ. თორმეტი ჩვენად ისრისა მომრთმეველად — ჩვენად
თუ ჩემად? — საბოლოოდ ხომ აგრე ფადაწყდა: თორმეტი როსტევანის დამ-
ხმარე იყო, ხოლო ერთი — შერმადინ ავთანდილსა. ასედაცაა ნათქვამი:
ერთაი შენი შერმადინ, არს მათად დასადარებლად
— მამასადამე უნდა: თორმეტი ჩემად ისრისა... თუ არა, მაშინ ჩვე-
ნად უნდა მივიღოთ როგორც plur. majest.

დ. უტყუვრად, მითმცდარებლად — პლეონაზმია — სინონი-
მებით გადმოცემული.

71 (70). „მონადირეთა უბრძანა:...“

ბ. დაცევიტ ჯოგი ნადირთა, თავნი ამისთვის არე-
ნით — მორეკეთ ჯოგი ნადირთა, თავნი ამისთვის არონინეთ.

გ. ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს — ლაშქარნი სამზერად, სა-
ყურებლად მოიწვიეს.

მოდით და მოიჯარენით — სინონიმებია.

დ. გაყარეს სმა და ნადიმი — შეწყვიტეს, გაათავეს სმა და
ნადიმი; მუნ ამოდ გავიხარენით — იქ ვისიამოვნეთ, გავიხარეთ.

72 (71). „დილასა ადრე მოვიდა...“

ა. სოსანი — სწორღეროიანი ყვავილია; ნაზარდი სოსანი —
სწორად გაზრდილი სოსანი — ავთანდილი.

ბ. ძოწეულითა მოსილი — წითელი მოსასხამით.

ბადახში — საუკეთესო ლალი ბადახშისა (ავღანისტანში).

პირად ბროლ-ბადახშოსანი — თეთრ ლალისფერიანი.

გ. პირ-ოქრო რიდე ეხვია — ოქროთი მოპირკეთებული რიდე,
ოქროსფერი რიდე ეხვია.

ძშვენოდა ქარქაშოსანი — უხდებოდა ხმალი.

დ. მოდგა თეთრ-ტაიქოსანი — მოდგა, მოადგა კარს თეთრ-ცხე-
ნიანი.

73 (72). შეეკაზმა მეფე, შეჯდა...

ა. შეეკაზმა — მოემზადა.

ნადირობას გამოვიდეს — შემასმენელი მრავლობითშია. (გამოვიდეს — გამოვიდნენ). რატომ? თუ მეფე იგულისხმება, მაშინ plur. majest. თუ არა და მაშინ სპანი უნდა ვივარაუდოთ.

ბ. მგრგვლივ — ირგვლივ.

მგრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს, ალყას გარე შემოპკრვიდეს — პარალელიზმია.

გ. ზეიმი და ზარი იყო — სინონიმებია, დიდი მხიარულება.

დ. ისროდეს და ერთგან სრვიდეს — ისროდნენ და ნასრევს, დახოცილთ ერთ ადგილას ჰყრიდნენ.

74 (73). უბრძანეს: „მონა თორმეტი...“

ბ. მშვილდსა ფიცხელსა — სწრაფ მშვილდსა — სწრაფად გამავალ მშვილდსა.

ფიცხელი — ბევრის რისამე აღმნიშვნელია ვ.ტ-ში. მათ შორის სწრაფვის სინონიმია:

547,4 მერმე წასლვა არა მწაღდა, ამაღ მივალ, არ ფიცხელი.

231,2 ფიცხლა გაიქცა, ...

403,1 ფიცხლა მოვიდეს...

გ. ყოველთა მინდორთა კიდითა — ყოველი მხრიდან.

75 (74). მოვიდა ჯოგი ნადირთა.

ბ. კანჯარი — გარეული ვირი.

ქურციკი — ჭერიანი.

გ. მას პატრონ-ყმანი გაუხდეს — აქ: მას პატრონ-ყმანი დაედევნენ, პატრონმა და ყმამ შეუტოვეს.

ჭვრეტადმცა სჯობდა რომელი — ვერ გაარჩევდი რომელი რომელს სჯობდეს.

დ. აჰა — შეძახებაა, ნიშნავს: აბა ახლა გამოჩნდეს. აჰა, მშვილდრი და ისარი და მკლავი დაუშრომელი. — აბა, ახლა გამოჩნდეს, ვის აქვს (უკეთესი) მშვილდი და ისარი (ვისაც შეუძლია უკეთესად სროლა) და მკლავი დაულალავი.

დაუშრომელი — დაულალავი.

76 (75). ცხენთა მათთა ნატერფალნი...

ა. ნატერფალი — ნაკვალევი, მტვერი.

ცხენთა მათთა ნატერფალნი — ცხენთაგან დაყენებული მტვერი.

მზესა შუქსა წაუხმიდეს — მზესა შუქსა წაართმევდეს, მზეს დააბნელებდეს.

ბ. ნადირობენ ცხენებზე აპყდრებულნი, მაშასადამე, მოქმედება მოძრა-

ობაში წარმოებს და ეს მოძრაობა რომ უფრო ცოცხლად იქნეს წარმოდგენილი ზმნური გამოთქმაა, ანაფორული ალიტერაციაა მოხმობილი:

მიჰხოცდეს და მიისროდეს, მიწდორს სისხლთა
მიასხმიდეს.

გ. მოქმედების ხანდაუზმელობა რომ გამოხატოს უწყვეტლის ხოლმეობითა ნახმარი: რა ისარი დაელივის — რა ისარი დაილეოდა ხოლმე. მონანიე მოართმიდეს — ყე ნაწილაკი ობიექტის მრავლობითობის მაჩვენებელია; მონანი მათ მიართმევდნენ ზოლმე.

დ. მხეცნი, მათგან დაკოდილნი, წაღმა ბიჯსა ვერ
წასდგმიდეს —
მათგან დაჭრილი მხეცი ყველა ეცემოდა, ყველა კვდებოდა.

77 (76). იგი ველი გაირბინეს,...

ა. ჯოგი წინა შემოიხტეს — ჯოგი წინა შემოირეკეს.

ბ. დახოცეს და ამოწყვიტეს — სინონიმებია.

გ. ველნი წითლად შეედებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს — პარალელიზმია.

დ. ავთანდილის შემხედველთა... აქ სათქმელი რომ უფრო მოკლე და მახვილი იქნეს, გამოტოვებულია სიტყვა: თქვეს. ე. ი. ავთანდილის შემხედველნი ამბობდნენ: იგი ჰგავს ალვას, ედემის ზეს.

78 (77). იგი მინდორი დალივეს,...

ა. იგი მინდორი დალივეს — მინდორი ფაირბინეს, იგივეა, რაც მართ მათგან განარბენია.

გ. ნადირნი ტყესა შეესწრნეს — ნადირთ ტყეში შეასწრეს, ნადირმა ტყეს შეაფარა თავი.

სადა ვერა რბის ცხენია — სად ცხენოსანი ვერ გაატანდა, ვერ შეატანდა.

გ. იგი მაშვრალნი ორნივე მოსწყდეს, რა ზომცა მხენენია — ორივე მაშვრალი სასტიკად დაიქანცა, ორივე დაეცა, მიუხედავად იმისა, რომ მხენნი იყვნენ.

79 (78). ერთმანერთსა, თუ: „მე გჯობო...“

ბ. ამხანაგობდეს, ლაღობდეს, იქით და აქათ დგებოდეს — ამხანაგობდნენ, ზუმრობდნენ და ეს ამხანაგობა და ხუმრობა იმაში გამოიხატებოდა, რომ თითოეული მათგანი ხან ერთ მხარეს ამოუდგებოდა ამხანაგს, ხან — მეორეს. სურათი დღესაც ცოცხალია: ორი ცხენოსანი გზად მიდის, გაცხარებულ ლაპარაკში არიან, სიცილ-ხარხარი აქეთ და ამავე დროს ერთმანეთს ადგილს ენაცვლებიან.

დ. ჩვენ თქვენგან არ გვეთნებოდეს — ჩვენ თქვენგან არ გვეპირფერებოდეს, პირფერობით არაფერი გვიზრათ.

ა. მონათა ჰკადრეს: „მართალსა...“ ერთი რიტმული ერთეულია, „...გკადრებთ და ნუ გემცთარებით“ — მეორე რიტმული ერთეულია.

მაგრამ თუ სინტაქსურად დავყოფთ, მაშინ სხვა ერთეულებს მივიღებთ:

1. მონათა ჰკადრეს: მართალსა გკადრებთ...

2. და ნუ გემცთარებით.

რატომ დანაწევრა პოეტმა ასე ეს ერთეულები? აქ სიმართლეზეა ლაპარაკი, მაშასადამე, მახვილიც, მართალსა სიტყვაზე უნდა მოვიდეს. ჩვეულებრივი წყობით ეს არ ხერხდება, პოეტმა სტრიქონის მეორე ნახევრის სიტყვა მოიხმო და სინტაქსური ერთეული მკვეთრად გამოჰყო.

„ნუ გემცთარებით“ — იშვიათი ნიმუშია გრძელი სიტყვის მოკლედ თქმისა: ნუ იფიქრებთ თქვენ, რომ ჩვენ თქვენ მიმართ მცდარი ვიქნებით, ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ თქვენ სიცრუეს გეტყვით.

ბ. მეფეო, ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისა დარებით — მეფეო, სრულიად ვერ ვიტყვით, რომ შენ მაგას, ავთანდილს შეედარები და ეს შეუდარებლობა გაძლიერებულია მესამე სტრიქონის ალიტერაციულად გაწყობილი სიტყვებით:

გ. აწვეცა დაგვხოც ვერა ჰგავ, — ვერად ვერ მოგეხმარებით.

დ. ზოგ ხელნაწერში და დაბეჭდილშია: ვისგან ნაკრავნი გვინახავნი; შე ვამჯობინებ: მისგან ნაკრავნი გვინახავნი.

რატომ?

იმიტომ, რომ აქ შედარებულია ორი კონკრეტული პიროვნება — მეფე და ავთანდილი: „...ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისა დარებით“ — და სწორედ ამ კონკრეტულობის, განმსაზღვრელობის მაჩვენებელია მისგან, ხოლო ვისგან უთუოდ განუსაზღვრელია.

მისგან ნაკრავნი გვინახავნი მხეცნი ვერ წაღმა წარებით — მისგან (ავთანდილისაგან) ნაკრავი მხეცი გვინახავს ხოლმე, რომ წაღმან ვერ დადიოდა, ე. ი. კვდებოდა. შემდეგ ეს ფაქტი უფრო გაშლილადაა მოთხრობილი მომდევნო სტროფში.

81 (80). ორთავე ერთგან მოკლული...

ბ. უფროსი და უხოცია — უფრო მეტი და უხოცია.

გ. რაც ოდენ შეუტყორცია — რაც ოდენ გაუსვრია.

დ. მიწითა დასრვილი და გვიხოცია — მიწითა დასვრილი გაგვიწმენდია.

82 (81). მეფესა ესე ამბავი...

ა. მეფეს ეს ამბავი მიაჩნია, როგორც ნარდის თამაში.

ბ. უხარია თავისი გაზრდილის ასეთი სიკეთე.

გ. აქვს მისი სიყვარული, როგორც ვარდს ბულბულისა.

დ. სიცილით მხიარულობს, გულიდან დარდი ამოიყარა.

83 (82). იგი ორნივე საგრილად...

- ა. იგი ორნივე საგრილობლად გარდახდენ ხის ძირში.
- ბ. ლაშქარმა დაიწყო მოსვლა, შოვიდა ბზეზე მეტი.
- გ. ახლოს უდგას თორმეტი მონა, ყოველის მამაცი უმამაცესი.
- დ. თამაშობდნენ და უქვერტდნენ წყალსა და ტყის პირს.

84 (83). ნახეს უცხო მოყმე ვინმე...

ა. უცხო — უცნობი.

მოყმე — რაინდი.

ბ. ჰყვა — ჰყავდა.

დ. ესხა (ითქმის მრავალზე) — ჰქონდა, ეწყო, ელაგა.

დ. ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა გულსა მდულ-
რად ანატირსა — ჩვეულებრივ გამოცემებში დაეთრთვილას
შემდეგ მძიმეა დასმული. თუ აგრე დავტოვეთ, მაშინ სტრიქონის მეორე ნა-
ხევარი გაუგებარი იქნება. არ უნდა მძიმე! მაშინ მთელი სტრიქონის აზრი
ნათელია:

ცრემლს გულში მდულრად ანატირს ვარდი, ე. ი. ლოყები დაეთრთვილა,
დაესველებინა და მოეყინა.

დაეთრთვილა — II თურმეობითია, III სერიაში.

85 (84). მას ტანსა კაბა ემოსა...

ა. მას ტანსა — მას ნაწევარია, ტანის განმსაზღვრელი, თუ ნაცვალ-
სახელია? თუ ნაცვალსახელია, მაშინ მას ტანსა ასე იგიაზრება: უცხო
ყმას ტანზე ემოსა.

კაბა — ზემოთ ჩასაცმელი, გარე ჩასაცმელი. „მას ტანსა კაბა ემოსა გა-
რე — თმა ვეფხის ტყავისა“ — რამდენ სამოსზეა აქ ლაპარაკი? ერთზე თუ
ორზე? სხვაგვარად: კაბა ერთი სამოსია და ვეფხის ტყავი მეორე?
არა! აქ ერთი სამოსია — კაბა; ხოლო სტრიქონის მეორე ნახევარში მოცემუ-
ლია განმარტება, რომ კაბა ვეფხის ტყავის იყო, ამას ადასტურებს მეორე
სტრიქონიც, სადაც ქულზეა ლაპარაკი: „ვეფხის ტყავისა ქულივე“ — ვე
დასკვნითი სათქმელის ფორმაა.

ბ. სარქმელი — სახურავი.

გ. უსახოხი მკლავისა — პოეტური ფორმაა მათრახის სისხლთი და-
ხატოს მოყმის გოლიათობა:

დ. ნახვა მოუნდა — მოუნდა შეთანხმებულია ობიექტთან.

„ნახეს და ნახვა მოუნდა“ — დაინახეს და ნახვა მოუნდათ. აღსანიშნავია ნახ-
ვის ასწრაფებული სურვილის გადმოცემა.

ნახვა — სამი კომბინაციითაა მოცემული.

86 (85). წავიდა მონა საუბრად...

ა-ბ-გ. მოლიზდარი — მოცინარი.

ჰგია — არის.

გიშრისა დარი — აქ: თვალები, თვალების სიღრმე.

„საუბრად მის ყმისა გულმდუღარისად, არ ქვრეტი მოლიზდარისად“ — შესიტყვების ძველი ნორმა დარღვეულია. უნდა: „საუბრად... გულმდუღარისა, არ ქვრეტი მოლიზდარისა“, სწორედ ისე, როგორც „თავჩამოგდებით მტირლისა“. დარღვევა გამოიწვია მესამე სტრიქონის მორითმავე სიტყვამ: „ჰგია გიშრისა ღარი სად“, თუქა ისიც უნდა ითქვას, რომ საშუალო ქართულში რითმის მიუხედავად ძველი ნორმა ისედაც დარღვეულია.

„თავჩამოგდებით მტირლისა“ იგივეა რაც „არ ქვრეტი მოლიზდარისად“. მეორე ავსებს პირველს, ხოლო მესამე სტრიქონი მხატვრულად გადმოგვცემს პირველი ორი სტრიქონის ტირილის სურათს:

გ. შავი თვალებიდან თეთრი ცრემლი მოდიოდა. არაჩვეულებრივი მეტაფორებითა და მეტაფორული ეპითეტებით არის გადმოცემული.

დ. მოსცალდა სიტყვისა თქმად აღარისად — სიტყვის თქმისთვის ვერ მოიცალა, სიტყვის თქმა ვერ შესძლო.

87 (86). ვერა ჰკადრა საუბარი...

ა. მონა მეტად შეუზარდა — მონა მეტად შეუშინდა.

ბ. უმაგარდა — რითმისთვისაა. უნდა იყოს — უმაგარდა.

გ. მთახსენა „გიბრძანებ სო“ — მხოლოდ ერთი სიტყვითაა გადმოცემული დავალება მეფისა. არაჩვეულებრივადაა დახატული შეშინებულის მდგომარეობა. მხოლოდ ერთი სიტყვით.

ახლოს მიდგა, დაუწყუნარდა — ახლოს მივიდა, დაუშოშმინდა.

დ. მისგან გაუუმეცარდა — მისთვის, მონისთვის უცნობი შეიქნა.

88 (87). მის მონისა არა ესმა...

ა. სიტყვა, ნაუბარი — სინონიმებია.

ბ. ერთობ — საცხებით.

გ. უცხო — საგანგებოდ, განსაკუთრებით.

89 (88). სხვაგან ქრის მისი გონება...

ა. მისმან თავისა წონამან — ვფიცავ მის თავის წონას. რატომ თავის წონას? — იმიტომ, რომ გონება თავშია მოთავსებული და იგი ფონებით, ე. ი. თავით, მთელი თავისი არსებით აღარაა ამქვეყნად, სხვაგანაა გადაბარგებული.

დ. არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან — პირი არ გააღო, დუმდა.

ეს ორი წინა სტროფი ერთსა და იმავე გადმოგვცემს, სახელობრ: უცნობ ყმას მძიმე რამე აწუხებდა, გარეშე ხალხის ხმაურზე იყო ერთობ უგრძნობარი. ამ აზრს პოეტი თანდათან აძლიერებს და უკანასკნელ სტროფში ეს

მდგომარეობა კულმინაციამდე აპყავს სათანადო მხატვრულ საშუალებათა ძონზობით. სახელდობრ, ალიტერაციული ანაფორებით:

ა რ ც ა და ა გ დ ო ტ ი რ ი ლ ი, ა რ ც ა რ ა გ ა ი გ ო ნ ა მ ა ნ .

ა რ ც ა გ ა ხ ლ ი რ ა ბ ა გ ე თ ა თ თ ა ვ ი ვ ა რ დ ი ს ა კ ო ნ ა მ ა ნ .

ე. ი. უცხო ყმამ მონას პასუხი არ გასცა — და მონამაც შედეგი უნდა აცნობოს მეფეს.

90 (89). რა პასუხი არა გასცა,...

ბ. შემიტყვია — გამიგია, როგორც მე ვატყობ.

გ. თვალნი მზეებერ გამირეტდეს — თვალეზი გამირეტდა ისე, როგორც მზე არეტებს; სტრიქონის მეორე ნახევარი ავსებს სურათს.

დ. მით დავყოვნე ხანი მუნ, და — უკანასკნელი და დავყოვნე-ზმნის პირველი მარცვალია, ზმნისწინია დავყოვნე ზმნის გასაძლიერებლად მოხზობილი: ამიტომ დამაგვიანდა, ამიტომ დავრჩი იქ დიდხანს.

91 (90). მეფე გაკვირდა, გა-ცა-წყრა,...

ა. გა-ცა-წყრა — აქ ზმნისწინი გა გამოყოფილია ფუძეს და მათ შორის ჩასმულია ცა ნაწილაკი;

მეფე გაკვირდა გა-ცა-წყრა — მეფე გაკვირდა და გაწყრა კიდეც. მონის პასუხის პირველი რეაქციაა გაკვირდა; გაკვირდაში — ცოტაა შეშფოთება; შემდეგ იგი წყრომაში გადაიზარდა; რომ უფრო მეტად გამოჩნდეს ეს წყრომა, სტრიქონის მეორე ნახევარში ერთხელ კიდევ გამეორებულია წყრომა ფუძე და გადმოცემულია იგი მიმლეობით.

„მეფე გაკვირდა, გა-ცა-წყრა, გული უც მისთვის მწყრომარე“.

უც — უძს, უძევს, აქვს.

ბ. გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე — მე ვამჯობინებ მძიმეს მის-ს შემდეგ: გაგზავნა მონა თორმეტი მისი, წინაშე მდგომარე, — ე. ი. გაგზავნა თავისი თორმეტი მონა, რომლებიც წინაშე იდგნენ.

გ. საომარე — რითმის გამოა შეცვლილი: საომარი.

დ. იქი — იქ.

92 (91). მონანი მიდგეს, მივიდეს,...

ა. მონანი მიდგეს, მივიდეს — ახლოს მივიდნენ. მონანი მიუახლოვდნენ, მივიდნენ, შეიქმნა იარაღის ჩხრიალი.

ბ. მხოლოდ მაშინ გამოერკვა ყმა, რომელიც გულმოდგინედ ტირიდა.

გ. თვალნი მოარნა — მიძხედ-მოძხედა, თვალეზი მიმოავლო, დაინახა ბევრი, დიდძალი ლაშქარი.

დ. მხოლოდ ერთი ამოიოხრა: „ვაი მე“, სხვა არაფერი უთქვამს.

93 (92) თვალთა ხელი უკუივლო...

ა. თვალთა ხელი უკუივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა — პარალელიზმია.

ბ. ხმალ-კაპარკი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა — ესეც პარალელიზმია: მოემზადა საბრძოლოდ.

გ. ცხენსა შეჯდა, — მონათამცა საუბარნი რად იყურნა! — ცხენს შეჯდა, აბა მონების საუბარს რად დაუწყებდა მოსმენას.

დ. სხვასა მხარსა გაემართა, მათი ჭირი არ განკურნა — ერთგვარი ირონია: მონებს ერთგვარი ჭირი ჰქონდათ, ყმა უნდა დაეჭირათ, ყმა კი ზელიდან გაუსხლტა და მონების ჭირი არ განკურნა.

94 (93) მონათა ხელი გამართეს...

ა. მონებმა ხელი გამოიღეს ყმის შესაპყრობლად.

ბ. მან კი, საბრალონი ისე გახადა, რომ მტერსაც კი შეებრალეოდა: ჰკრა ერთმანეთს, დაუზოგავად დახოცა.

ხელაპყრობა — მფარველობა. ხელაუპყრობედ ღად — დაუფარავად, ვერ მოასწრეს თავის დაფარვას.

დ. ზოგს კი მათრახით მკერდი გაუპო.

95 (94) მეფე გაწყრა, გაგულისდა...

ა. ლაშქარნიცა შეუზახნა — ნაცვლად მიცემითისა — ლაშქარნიცა სახელობითშია. ისე როგორც ეს დაცულია ზოგ თქმაში: მაგ., ქართულში: პეტრე დამიძახე — ე. ი. პეტრეს დამიძახე, ე. ი. პეტრეს ჩემთვის დაუძახე. აღსანიშნავია, რომ ერთ ხელნაწერში მიცემითია ნახმარი: ლაშქარსაცა შეუზახნა.

დ. როსტან ამად ივაგლახნა — ნამდვილად უნდა ივაგლახნა, ივაგლახნა-ში ნ რითმის გამოა. ანდა ოდესღაც არსებული ობიექტის სიმრავლის აღმნიშვნელია.

96 (95) შესხდეს მეფე და ავთანდილ...

ბ. ლადი და უკადრი — სინონიმებია.

მივა — ახალი ფორმა: მივალს.

გ. ტაიკი მიუქს მერანსა — ტაიკი მიუგავს მერანს. შეიძლება უკეთესი იყოს მეორე ვარიანტი, რომელიც ერთ ხელნაწერშია დაცული: ტაიკი მიქრის, მერანი...

მით უმეტეს, რომ მას ეთანაბრება ჰტრიქონის მეორე ნახევარი: „მიეფინების მზე ველად“. ორსავე ნახევარში სხვადასხვა მხატვრული სახით ერთი და იგივე ფაქტია გადმოცემული.

მიქრის მიეფინების — შოთას ჩვეულებრივი პოეტური ზერხია.

დ. შეიგნა — შეიტყო, გაიგო.

ა. მეფე უკანა მდევნელია და ამ გარემოებამ მდგომარეობა უნდა გამოცვალოს. მეფე-ყმის ურთიერთობა, სულ ერთია, ვისიც არ უნდა იყოს მეფე — შენი თუ სხვისი — ურყევადაა რაინდული კოდექსით განსაზღვრული.

ყმას, მეფესთან პირდაპირ შეხვედრისას, განუსაზღვრელი პატივისცემა უნდა ჰქონდეს უკანასკნელისა. თავი უნდა მოარიდოს მას, ხელმწიფობით მოერიდოს.

როგორ უნდა წარმოებდეს ეს მორიდება, როგორი ტემპით უნდა მოხდეს იგი? რაც შეიძლება ჩქარა, პირდაპირ ელვის სისწრაფით.

ეს გარემოება შოთას განსაკუთრებული სიზუსტით აქვს გადმოცემული. სიმეტრიული თანამიმდევრობით გაწყობილი სიტყვები აქ ორ-ორ, ოთხ-ოთხ მარცვლოვანია, რაიც თანაბარზომიერად მოკვეთილ ოდენობათ იძლევა და ეს კი ჰქმნის უდიდეს სიჩქარეს. ვერავითარი სხვა ზომით, ამ შემთხვევაში, დაბალი შიირით, ცხადია, ამ სწრაფვისა და სულმოუთქმელობის გადმოცემა ვერ მოხერხდებოდა.

98 (97) კვალი ძებნეს და უკვირდათ...

ა. პირველი სტრიქონი იმეორებს წინა სტროფის უკანასკნელი სტრიქონის შინაარსს. უნდა იქნეს აღნიშნული, რომ დიდხანს ძებნიდნენ წარხლომილს.

ბ. ა გ რ ე კ ვ ა ლ - წ მ ი დ ა დ წ ა რ ხ ღ ო მ ა კ ა ც ი ს ა — ა გ რ ე უ ჩ ი ნ რ ა დ დ ა კ ა რ გ ვ ა კ ა ც ი ს ა. მეორე ნახევარი — ვ ი თ ა დ ე ვ ი ს ა — ამტკიცებს, ადასტურებს პირველი ნახევრის შინაარსს: ადამიანის წარმოდგენით დევს შეუძლია უჩინრად გაქრობა.

გ. ლ ა შ ქ ა რ ნ ი მ კ ვ დ ა რ თ ა ს ტ ი რ ო დ ე ს, ს წ რ ა ფ ა ა ქ ე თ წ ყ ლ უ ლ თ ა ხ ვ ე ვ ი ს ა — ლაშქარი მკვდრებს სტიროდა, დაჭრილებს სასწრაფოდ უხვევდნენ კრილობას.

99 (98) ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა...“

ა. აქაც პირველ სტრიქონში იგივეა მოცემული, რაც წინა სტროფის უკანასკნელ სტრიქონში: დიდი მწუხარებაა აღნიშნული.

ბ.-გ. ა მ ა დ მ ი ყ ო ს ი ა მ ი ს ა ს ი მ წ ა რ ი თ ა დ ა ნ ა ვ დ ლ ე ბ ა — ამით სიამე სიმწარით დამანაღვლა, სიამე ჩამამწარა, ე. ი. სიკვდილამდის. დამაწყულულა, არვის შეუძლია შველა.

ქ ა ლ - უ ე — შეუძლია.

დ. მ ა ს ვ ე მ ა დ ლ ი! — მიმართვა უზენაესისადმი, შემდეგდროინდელი თქმის შესატყვისია: მ ა დ ლ ი ღ მ ე რ თ ს.

წ ა დ ი ლ ი დ ა მ ი ს ი ნ ე ბ ა — სინონიმები.

100 (99) ესე თქვა და შემობრუნდა,...

ა. დ ა დ რ ე ჯ ი ლ ი — მოწყენილი.

ბ. ა რ ც ა დ ა ჰ ქ რ ა ა ს პ ა რ ე ზ ს ა — საასპარეზოდ, მოედანზე სათამაშოდ არ გავიდა.

ვაში ვამსა მოურთვიდა — ქირი ქირს ემატებოდა.

გ. ყველაკაი მოიშალა — ყველაფერი მოიშალა.

დ. ზოგთა თქვეს, თუ: „მართალია“, „ზოგი „ღმერთო!“ უზრახვიდა — ზოგი ამართლებდა, ზოგი კი ზრახავდა, ამტყუნებდა.

101 (100) მეფე საწოლს შემოვიდა...

ა. საწოლი — დასასვენებელი ოთახი, საძილე; აგრეთვე მისაღები ოთახი.

ბ. მისგან კიდე — მის გარდა; კიდე — სიტყვასთან ნაცვალსახელი ყოველთვის თანდებულისანი იხმარება: მის-გან კიდე, შენ-გან კიდე და მისთ.

გ. ყველაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დაჯარილი — იშვიათი ჰენდიადისია, ე. ი. ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი ფაქტი ორი სხვადასხვა მხატვრული სახითაა მოცემული. პირველი ნახევრის ყველაკაი-ს უდრის მეორე ნახევრის — ჯალაბი, ხოლო პირველი ნახევრის გაიყარა-ს — არ დაჯარილი. ყველანი, ე. ი. შეკრებილობა დაიშალა, ოჯახის წევრები, ე. ი. შეკრებილობა არაა თავმოყრილი, დაშლილია.

დ. გაბედითდა სიხარული — გაცუღდა, წახდა სიხარული, ე. ი. შედგა ჩაღანასა და ჩანგზე დაკვრა და ტბილი მღერა:

102 (101) თინათინს ესმა მამისა...

გ. მოლარე — ლარის, ქონების გამგე. ვ. ტ-ში — მოლარე მეკარეთ-უხუცესია: თინათინი მოლარეს ეეთხება მამის ამბავს: ძინავს თუ ღვიძავსო.

დ. მან მოახსენა: „დაღრეჯით ზის, სჭირსო ფერ-შეცვლილობა“ — მოლარემ უნდა დაუდასტუროს თინათინს, რომ მამა მოწყენილია, დაღრეჯილია. სიტყვა — დაღრეჯით — კი ცეზურას ამთავრებს: მან მოახსენა დაღრეჯით — გამოდის, რომ მოლარეა დაღრეჯილი და არა მეფე. მამასადამე, დამოუკიდებლად, ზმნის უმისოდ, სათანადოდ აზრს ვერ ჰქმნის. ეს ზმნა კი სტრიქონის მეორე ნახევარშია და თუ მას პირველ ნახევარში გადმოვიტანთ, ვ. ტ-ის ჩვეულებრივი რიტმი დაირღვევა, მახვილი გადმოადგილდება, მაგრამ აზრი, სამაგიეროდ, მკაფიოდ გამოიყოფა: მან მოახსენა დაღრეჯით ზის — რასაც აძლიერებს მეორე ნახევარშივე სხვაგვარი მხატვრული სახით მოცემული იგივე დაღრეჯა: სჭირსო ფერ-შეცვლილობა.

103 (102) ერთიდა ახლავს ავთანდილს...

ა. წინაშე უზის სკამითა — სკამი ვ. ტ-ში რამდენჯერმეა ნახ-მარი. ერთ-ერთმა მკვლევარმა სიტყვა სკამი ჩვენში მე-14 ს-ში შემოვიდაო და დაასკვნა: ნაწარმოებიც ამის უადრეს არ შეიძლებოდა დაწერილიყო. არაა მართალი! — ჯერ ერთი: მხოლოდ ერთი სიტყვის მიხედვით არაფრის დადგენა, არაფრის დათარიღება არ შეიძლება; მეორეც სიტყვა სკამი გაცილებით უფრო ადრეა ქართულში შემოსული. სახელდობრ მე-11 საუკუ-

ნეში: „სკამები საშოვალ (ეკლესიასა) დადგიან და, ოდეს ჯერ-არნ... დასხ-
დიან“³⁴.

ბ. ას'რე დაღრეჯით ამითა— ასე მოწყენილია ამიტომ.

გ. აწ წავალ, შესლვა არ ჩემგან უამითა— ქუთაისის
ხელნაწერში აგრეთა: აწ წავალ შესლვა არა ზამს უამითა— ახ-
ლა, ამჟამად, არ არის დრო, რომ მე შევიდე და ვინახულო.

104 (103) ხანი გამოხდა, იკითხა:

ა. ხანი გამოხდა— ხანი გავიდა.

ბ. ჯავარი— დაკავშირებულია სიტყვასთან გვარი, ჯილაგი, ჯიში. ჯა-
ვარიანი— ჯიშიერი, კარგი, გვარიანი (ძველი მნიშვნელობით), კოხტა, ეშ-
ხიანი, მოხდენილი.

გ. ჩემი ლხინი და ჯავარი— ჩემი ლხინი და სიკეთე, ჩემი სი-
ცოცხლე, ჩემი ყველაფერი. სტრიქონის მეორე ნახევარი პირველის შინაარსს
ჭვსებს: ლხინი და ჯავარი— იგივეა, რაც სოფლისა წყალი,
ე. ი. სოფლის, ქვეყნის სიკეთე.

დ. მოვიდა აწე-ლა— აი ახლა, ეს-ეს არის მოვიდა.

ე. მიბრუნდა წინაშე მომავალიო— მიბრუნდა წინ მომა-
ვალი, თქვენკენ მომავალი უკან გაბრუნდა.

105 (104) უბრძანა, თუ: „წადი, უხმე...“

ა. წადი, უხმე— წადი, დაუძახე!

ბ. კმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამ-
ლეო— ერთი და იგივეა.

გ. გითხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ლხინთა რად
დავლეთ— გითხრა იმის მიზეზი, თუ რატომ ვათავებ ლხინს, რატომ აღარ
ვლხინობ.

106 (105) თინათინ ადგა, მივიდა,...

ა. ვანება— მოვანება— მთვარის სისახე. სახე მთვარის ბრწყინ-
ვალება.

ბ. უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა—
უგავს პირისა სინათლე მთვარის ბრწყინვალებას.

გ. აკოცა ნება-ნებასა— ხელის გულები დაუკოცა (და არა ნელ-
ნელა, როგორც ზოგი განმარტავს).

დ. მახლავ რად არა, რად მელი მოყვანებასა?— რად
არ მოხვალ, რად ელოდები, რომ მე მოგიყვანო (რად მელი).

³⁴ გ. მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ეფთკემესი, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა,
ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1946, 59, 5.

ა. დაღრეჯილსა ვინცა გცნობდეს — ვინც გაიგებს შენს მოწყენას.

ბ. ვინცა გნახა კაღნიერად, რაზომ გინდა ამაყობდეს — ვინ გაგიბედოს კაღნიერება, ვინ შეგხედოს თამამად, რაგინდ ამაყი იყოს, ე. ი. ვინც შენს მოწყენას გაიგებს, რა გინდ ამაყი იყოს, მაინც ვერ გაგიბედავს კაღნიერებას. რატომ? იმიტომ რომ:

გ. თქვენნი აგრე დაღრეჯანი, მნათობთაცა დაამხოზდეს — ე. ი. თქვენი ასეთი ზოწყენილობა მნათობსაც კი დააბნელებს, მოსპობს, ამიტომ:

დ. კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჳმუნვასა ესე სჯობდეს, ე. ი. კაცმა საქმე რომ მოიწყოს, მოიგვაროს, ვფიქრობ მწუხარებას ეს სჯობია.

108 (107) უბრძანა: „შვილო, რაზომცა...“

ა. რაზომცა მჭირს საქმე სავაგლახია — რაც უნდა საუბედურო საქმე მჭირდეს.

ბ. შენი ჳვრეტა და სიახლე — შენი ჳვრეტა და სიახლოვე.

გ. მუფარახი — სევედის, ნაღველის გამჭარვებელი.

მომაქარვები სევედისა — იგივეა, რაც მართ ვითა მუფარახია.

დ. ვეჭვ, რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი სულთქმადა ახია — ვფიქრობ, რა სცნა ჩემი ოხვრა, შენცა გამართლო.

სულთქმა — იგივეა, რაც ახი-ოხვრა.

109 (108) უცხოსა და საკვირველსა...

ა. უცხოსა და საკვირველსა — სინონიმებია.

ბ. სამყარო და ხმელთაქიდე — კვალად სინონიმებია.

110 (109) შე რა მნახა, ცხენსა შეჯდა...

ბ. შესაპყრობლად შეუზახენ, სპანი სრულად დამიხოცნა.

ასეა ყველა გამოცემაში (მძიმეა დაწერილი „შეუზახენ“ სიტყვის შემდეგ). შესაპყრობლად შეუზახენ. ვის? თუ უცხო ყმას, მაშინ უნდა „შესაპყრობლად შეუზახე“. მაგრამ უცხო ყმის შეძახებაზე არ უნდა იყოს აქ ლაპარაკი, რადგან შესაპყრობლად ყმას ვერ შეუძახებდა, არამედ მხოლოდ თავის ხალხს, თავის სპას. სწორედ ისე, როგორც ეს 95-ე სტროფშია:

მეფე ფაწყრა, გაგულისდა, ლაშქარნიცა შეუზახნა.

ჩვენ ზემოთ განვმარტეთ, რომ ძველ ქართულში „შეუზახნა“ სახელს სახელობითში ითანხმებდა (95). სწორედ ამგვარივე მდგომარეობა გვაქვს 110-ე სტროფშიც: შეძახება ლაშქრისადმია მიმართული, ამიტომ უნდა დაიწეროს მხოლოდ ასე:

შესაპყრობლად შეუზახენ სპანი, სრულად დამიხოცნა.

გ ვითა ე შ მ ა დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოცნა — როგორც ეშმაკი დამეკარგა.

რა არის „არ კაცურად გარდამკოცნა“, ან დღევანდლურად „კაცურად არ გარდამკოცნა“ — ე. ი. — ისე, როგორც კაცს, ადამიანს შეეფერება, საღამი არ მომცა, არ დამიხლოვდა.

ამასთან, დაკავშირებით, საჭიროა გავიხსენოთ ერთმანეთთან შეხვედრის, მისალმების ცერემონიალი: ორი უცნობი პიროვნება ხვდება ერთმანეთს. შორიდან დაინახეს ერთმანეთი. ნიშნად იმისა, რომ ერთმანეთისადმი მტრულად არ არიან განწყობილი, ხელები უნდა ასწიონ და ხელისგულები უნდა უჩვენონ: არავითარი იარაღი ხელთ არ გვაქვსო. ეს არის პირველი მისალმება. შემდეგ შემხვედრნი უახლოვდებიან ერთმანეთს, თავსაბურავს იხდიან ნიშნად იმისა, რომ აქაც არაფერი საწინააღმდეგო იარაღი გვაქვსო. მეორე მისალმება — მეტი დაახლოვების მაუწყებელი. ამის შემდეგ ერთმანეთთან მიდიან, ხელის გულებს, ხელებს ართმევენ ერთმანეთს. მესამე მისალმება — ხელის ჩამორთმევა, კიდევ მეტი სიახლოვის, უკვე მეგობრობის მანიშნებელი. მისალმების მივითხე საფეხური — ისეთი დაახლოვება, როდესაც უკვე ერთმანეთს კოცნიან, ნათესავად, მეგობრად თვლიან ერთმანეთს.

ოთხივე ეს საფეხური მისალმებისა დღესაც მეტ-ნაკლებად დაცულია.

1. ხელებით მისალმება (განსაკუთრებით განმტკიცდა ცხელ ქვეყნებში, სადაც კლიმატური პირობების გამო ხელების ჩამორთმევით არ ესალმებიან).

2. ქულის მოხდა,

3. ხელის ჩამორთმევა,

4. გადაკოცნა.

ნიკო მარს უამბუნია ჩემთვის, რომ სინას მთაზე ყოფნისას არაერთხელ ვყოფილვარ მოწამე ამგვარი მისალმების ცერემონიალისა ბედუნიებს შორისო.

მაშ, რა არის: არ კაცურად გარდამკოცნა? — კაცად არ ჩამავდო, არ დამიხლოვდა, მოყვრად, ნათესავად არ მიმიღო, ახლოსაც არ გამიკარა.

ღ. ცხადი იყო, თუ მეოცა — ცხადი იყო, თუ სიზმარი.

111 (110) აწ ესე მიკვირს, რა იყო,...

ა. აწ ესე მიკვირს — გაკვირვებული ვარ. გაკვირვების უაღრესობისათვის, მის ფასაძლიერებლად მოცემულია ანაფორული ალიტერაცია: რა იყო, ანუ რა ვნახე და რული (რული, — რული — აღიექტივია რა სიტყვისა).

გ. კაცად ხორცისად — ხორციელ კაცად.

112 (111) ტკბილნი მისნი წყალობანი...

ა. ტკბილნი მისნი (ღვთისა) წყალობანი ბოლოს აგრე ჩამწარდა.

ბ. დამავიწყდა, რაც მხიარული დღეები გამიტარებია.

გ. ამიერიდან ყველამ შემობრალოს და ველარავინ შემომნატროს.

დ. სანამღი ცოცხალი ვარ ვერაფერმა გამახაროს.

113 (112) ქალმან ჰკადრა: „მოგახსენებ...“

გ-დ. ორ უკანასკნელ სტრიქონში ერთი და იგივე აზრია გამოთქმული, სახელდობრ: შემოქმედი კეთილია, იგი უპირისპირდება წუთისოფელს, უხანოსა და გაუტანელს. თუ ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყევ ავისა მქმნელია, შემოქმედი მზრდელია ყოვლისა დანერგულ-დათესულისა.

ეს აზრი თავიდან ბოლომდის გაჰყვება „ვეფხისტყაოსანს“.

114 (113) მე ამას ვარჩევ, მეფე ხარ,...

ბ. ბრძანება-მიუთხრობელი — ბრძანება მიუწვდომელი, ე. ი. თქვენი სამფლობელო ვრცელია, დიდია.

დ. შობილი თუ უშობელი — დაბადებული, თუ დაუბადებელი, ე. ი. ადამიანი თუ ეშმაკი.

115 (114) მოასხნეს კაცნი, გაგზავნეს...

ბ. წადით, პატიეთა თავიმცა რად დაპრიდეთა — წადით, ტანჯვა-წვალებას თავი არ მოარიდოთ, თავს ნუ დაზოგავთ.

დ. მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთა — ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ვიცოდეთ, რომ ჩვენში (და საერთოდ აღმოსავლეთში) საფოსტო ორგანიზაცია უკვე კარგა ხნის წინათაც მოწყობილი იყო.

116 (115) კაცნი წავიდეს, იარეს...

ბ. იკითხეს კვლა და კვლა დია — ისევ და ისევ, ე. ი. დიდხანს ჰკითხულობდნენ.

დ. ცუდად მაშერალნი მოვიდეს — ტყუილუბრალოდ გარჯილნი, ხელცარიელნი (ცუდად) მოვიდნენ.

მათსავე გულსა ზადია — მათსავე გულსა ნაკლია, გულნაკლულნი.

117 (116) მონათა ჰკადრეს: „მეფეო...“

ა. ჩვენ ხმელნი მოვიარენით — ჩვენ ხმელეთი მოვიარეთ.

ბ. საქმენი სხვანი რამ მოიგვარენით — საქმე სხვა რიგად მოაწყვეთ, მოაგვარეთ.

118 (117) მეფე ბრძანებს: „მართალ იყო...“

ბ. სიბილწე — არაწმინდება, საზიზღრობა.

გ. ჩემად მტერად წამოსრული — ჩემ მტრად წამოსული.

დ. შექირვება — მწუხარება.

გამიშვია შექირვება, არა მგამა ყოლა მეო — დაჰვიგდია, მიმიტოვებია მწუხარება (ამიერიდან) სრულიად არ ვინაღვლი.

არა მგამა — არ მენაღვლება.

119 (118) ესე თქვა და სიხარულით...

- ბ. მგოსანი და მოშაითი — მომღერალი და მოთამაშე (ჯამბაზი).
- გ. ყველა დარბაზს შემოხადა — ყველა დარბაზს შემოიხმო, შემოიპატიჟა.
- დ. ღმერთმან სხვამცა რა დაბადა — ღმერთმა სხვაც როგორ დაბადოს.

120 (119) ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს....

- ა. მართოდენ — მხოლოდ.
- ბ. ჩანგი — სიმებიანი საკრავი.
- დ. ტანი ალვა, პირი მანგი — თინათინის ეპითეტებია, ტანსა-რო, პირ-მთვარე.

121 (120) ავთანდილს მიჰხვდა მოსმენა...

- ბ. კაბა — ზემოთ ჩასაცმელია.
- ჭრელი — აქ: ფერად-ფერადი, საუკეთესო, საპარადო, საგარეო.
- გ. უხარის შეყრა ვარდისა, არერთგან შეუყრელი სა — უხარია შეხვედრა ვარდისა (თინათინის), რომელსაც არაერთხელ შეხვედრია.
- დ. სიახლე საყვარელისა — სიახლოვე საყვარელისა.

122 (121) ავთანდილ ლაღი, უკადრი....

- ბ. ვისთავამთავან — ვისი ჭირისაგან.
- გ. იგი უებრო ქუშად ჯდა — იგი შეუღარებელი მწყურალად იჯდა.
- დ. მთვარესა მისთა შუქთავან უკუნი გარდაჰფე-როდა — მთვარე მისი შუქისაგან დაბნელებულიყო.

123 (122) გაძრცივლსა ტანსა ემოსნეს...

- ა. გაძრცივლსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი — გახდილ, ტიტველ ტანზე ეცვა ყარყუმის ბეწვი (ყარყუმში ბეწვიანი ცხოველია; ამ ბეწვის ქურქსაც ყარყუმში ეწოდება), რომელსაც საპირე, ე. ი. ქსოვილი არ ჰქონდა.
- ბ. ეხვია მოშლით მოსახურავი, რომლის უსის თქმა გაგიჟირდებოდა.
- გ. ჰშვენოდა, უხდებოდა შავი წამწამები, გულის გამგმირავი.
- დ. თეთრ ყელზე მოხვეული ჰქონდა გრძელი, ხშირი თმა.
- აღსანიშნავია „არ უწირონი“ სიტყვის წყობა, აგებულება; სტროფის რითმა სამმარცვლიანია: ირონი. მეოთხე სტრიქონში კი, თუ სარითმავ სატყვას ჩვეულებრივი ფორმით იხმარდა, რითმას ვერ შექმნიდა.
- რითმის გარდა, მარცვალთა რაოდენობის მხრივაც ნაკლები გამოვიდოდა სტრიქონი.
- „მას თეთრსა ყელსა ეხვიენეს გრძლად თმანი ხშირონი“.

როგორ დააღწია თავი ამ გასაქირს პოეტმა? მას უნდა მოეცა ირონიკით, რაც მიიღო სიტყვა ხშირნი უარყოფით.

მას თეთრსა ყელსა ეხვეინეს გრძლად თმანი უხშირონი.

რითმის მხრივ საქმე მოგვარდა, მაგრამ აზრი დაზიანდა: აზრის მიხედვით თმანი ხშირნი უნდა იყოს და აქ კი გამოვიდა უხშირონი. ამას გარდა მარცვალთა რაოდენობის მხრივაც ვერაა სათანადოდ საქმე: ერთი აკლია. მაშინ პოეტმა უარყოფის უარყოფა მოგვცა — არ უხშირონი და საქმეც ყოელმხრივ მოგვარდა.

124 (123) დაღრეჯით იყო მჯდომარე...

ა. მოწყენით იჭდა წითელ გარესამოსიანი.

ბ. წყნარად, ცნობითა მშვიდითა — სინონიმებია.

გ. სელნი — რატომ სელნი? ხომ ერთი სკამი იყო? დაჯდა კრძალვით და რიდიტა — კრძალვით იგივეა, რაც რიდიტა.
დ. პირის-პირ პირსა უკვრეტდა — პირისპირ, პირდაპირ სახეს უყურებდა.

125 (124) ქალმან უბრძანა: „ზარი მდევს...“

ა. ზარი მდევს მე ამისისა თხრობისა — მეშინია მე ამისი თხრობა.

ბ. მინდოდა ართქა იმისა, რის ღონეც არ მაქვს, რომ დავთმო.

გ. იცია. — აკითხვითი ნაწილაკი, ჩვეულებრივ იხმარებოდა მაშინ, როცა წინადადებაში კითხვითი სიტყვა (რა, როგორ და მისთანანი) არ ნიშნავებოდა:

მაგრა იცია მიზეზი შენისა აქა ხმობისა. — ახლავიტყვით: მაგრამ იცი თუ არა, რატომ მოგიხმე აქ?

დ. რად ვზი ქუშად და დაღრეჯით — ასრე მიხდილი ცნობისა?

რად ვზი მწყრალად და მოწყენით, აგრე ცნობა მიხდილი ან ცნობას მიხდილი?

126 (125) ყმამან ჰკადრა: „საზაროსა...“

ა. ყმამან ჰკადრა: ცუდის რისამე თქმა ჩემგან არ იქნება. რატომ?

ბ. იმიტომ, რომ მზეს (თინათინს) მთვარე (ავთანდილ) შეეყაროს, უკანასკნელი დაილევა და დაქცნება კიდევ.

გ. აზრად ვერ მოვსულვარ, იავე ჩემი საგონებელწია.

დ. თქვენ თვითონ ბრძანეთ, რაც გიპირსთ და როგორ შეიძლება მისი მკურნალობა.

127 (126) ქალმან უთხრა საუბარი,...

ა. კეკლუც-სიტყვად, არ დუხჭირად — ერთი და იგივე ფაქტი ორი გზითაა გადმოცემული: კეკლუცი იგივეა, რაც — არ დუხჭირი; აზრის გასამახვილებელი, გასაძლიერებელი საშუალებაა.

ბ. აქანამდის — დღეს დასავლურ კილოშია შენახული. თუმცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად — თუმცა აქამდის ჩემგან შორს გეჭირა თავი.

მეორე სტრიქონი ზოგან წერტილ-მძიმითაა გამოყოფილი მესამისაგან. არ შეიძლება თუ აგრე დავტოვეთ, მაშინ აზრი გაუგებარი გამოვა. უნდა იყოს მძიმე. მაშინ II—III და IV სტრიქონის შინაარსი ასეთი იქნება:

ბ. თუმცა აქამდის ჩემგან შორს გეჭირა თავი,

გ. გიკვირს, რად მოგხვდა ასე ერთბაშად, რად დაგატყდა თავს საეჭველი საქმე.

დ. მაგრამ გეტყვი ბარემ (პირველ ხვალმე) თუ რა სენი მჭირს მე ახლა.

128 (127) გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს...

ა. გახსოვს, როცა შენ და როსტანს მინდორს მხეცი დაგეზოცათ.

ბ. ყმა გენახათ უცხო ვინმე, რომელიც ტიროდა (ცრემლი მოეზოცა).

გ. მას შემდეგ მის შესახებ ფიქრმა აგრე შემიპყრო.

დ. ამიტომ შენ გეხვეწები მის მონახვას, მთელი სამყაროს მოლახვაც, მოვლაც რომ დაგჭირდეს.

129 (128) აქანამდის ნაუბარსა...

ა. დღემდე სიტყვა შენთვის თუმცა არ მითქვამს,

ბ. მაგრამ შორიდან მაინც ვიცი, რომ ფიყვარვარ;

გ. ვიცი, რომ განუწყვეტლად, მარად თვალებიდან ცრემლი გიფრქვევია;

დ. შეუპყრისხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვევებია.

130 (129) ასრე გითხრა, სამსახური...

„ყმა“ და „მოყმე“ ვ. ტ-ში წინათაც შეგვხვდა. საჭიროდ ვცანით მაინც შევეხვით მათ: მე-12—13 ს-თა საქართველოს ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელია პატრონ-ყმობა. ყველაზე უდიდესი პატრონია მეფე. მას ჰყავს თავისი დამოკიდებული, თავისი ვასალი, ყმა, რომელიც თავისი მხრივ მასზე ქვემოთ მდგომისათვის არის იგივე პატრონი. ამრიგად, საზოგადოებრივი წყობა კიბურია. პატრონი — ყმა, მაგრამ ეგვევ ყმა უკვე პატრონია თავისი ყმისათვის და აგრე ბოლომდის.

ყმა თავისი პატრონის უერთგულესია და ყოველგვარი ბრძანების თავდავიწყებამდის შემსრულებელი. ვ. ტ-ის ამბავიც გაშლილია ამ ქართული პატრონ-ყმური ურთიერთობის საფუძველზე (დაწვრილებით იხილეთ ამის შესახებ ნაშრომები ნ. მარისა, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძისა)³⁵.

როსტევანი მეფეა, ყველაზე დიდი პატრონია, პატრონია ავთანდილისაც, მაგრამ ავთანდილის პატრონია აგრეთვე თინათინი, განსაკუთრებით მას შემ-

³⁵ Н. М а р р, 1. Вступительные и заключительные строфы... (ТР, XII, СПб, 1910); 2. Грузинская поэма «Витязь в барской шкуре Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема (ИАН, 1917); კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, 11², გვ. 180—181; ალ. ბარამიძე, ეფესხტყაისნის სოცალური გარემო (ნარკვევები 1², გვ. 155-190).

დებ, რაც უკანასკნელი გამოეფდა. მაშასადამე, ავთანდილი თინათინის ყმაა. სწორედ ეს გარემოებაა აღნიშნული ამ სტროფში. ავთანდილი, უწინარეს ყოვლისა, ყმაა და სწორედ ამიტომ, უნდა შეასრულოს თინათინის დავალება. მაგრამ ამ ყმობას, მის მოვალეობას აძლიერებს ის, რომ ავთანდილი ამავე დროს, მიჯნურია თინათინის და ამიტომაც უნდა მონახოს უცხო მოყმე — „ახლოს იყოს თუნდა შორად“.

გ. დასტურია, არ ნაკორად — ჰენდიადისია: ერთი ფაქტიორი საშუალებით.

131 (130) „შენგან ჩემი სიყვარული...“

- ა. შენი ჩემდამი სიყვარული ამით უფრო განამტკიცე,
- ბ. რომ დამხსნა, მომაშორო გაქირვება და ბილწი, ბინძური ეშმაკი მოსპო, გაანადგურო.
- გ. მესამე სტრიქონი ამასვე იმეორებს.

132 (131) სამსა ძებნე წელიწადსა...

დ. კოკობი და დაუფრქვენელი — სინონიმებია = გაუშლელი.

133 (132) „ფიცით გითხრობ: შენგან კიდე...“

- ა. შენგან კიდე, თუ შევიერთო რაცა ქმარი — შენ გარდა თუ შევიერთო ვინმე ქმარი.
- ბ. მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი. — მზემაც რომ ხორცი შეისხას და ჩემთვის კაცად გარდაიქცეს, შეიქმნას.
- გ. ღრულად მოვშორდე სამოთხეს, ქვესკნელს (ჯოჯობეთს) ვიყო დასანთქმელი.
- დ. ასაქმარი — ერთგვისი მოქმედებაა. მაშასადამე, უნდა ასაქმარი, აქ ასაქმარი რითმისთვისაა. სწორია წაკითხვა: მკლევდეს — ნამყო უწყვეტელშია; აწყო დროის საწარმოებელი ავ სუფიქსი შეცვლილია ივ სუფიქსით. ეს წესი სავსებით დაცულია ვეფხისტყაოსანში.

134 (133) მოახსენა ყმამან „მზეო...“

ა. ვინ გიშერი აწამწამე — ორმაგი მეტაფორაა. ვინც გიშერი გაიხადე წამწამებად და ვისაც ისეთი წამწამები გაქვს, როგორც გიშერი, ე. ი. გიშერმა დაიჭირა აქ რეალური საგნის — წამწამის ადგილი და სწორედ ეს იძლევა სიტყვას კონდენსირებულს, დაუნჯებულს: ორისა და მეტი სიტყვის შინაარსი ერთმა დაიჭირა, ერთმა აითვისა და სწორედ ეს არის გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა. სიმოკლე მიღწეულია მეტაფორითა და ზმნურობით.

ბ. სხვა პასუხი რამცა გკადრე, ანუ რამცა შევიწამე — სხვაგვარი პასუხი აბა როგორ გკადრო, როგორ მივიღო ჩემ თავზე?

გ. მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამი-

წამე — ჩვეულებრივ, ამ ადგილს აგრე განმარტავენ: მე სიკვდილს მოველოდი, შენ კი ერთი წამის სიცოცხლე მომეციო!

არ უნდა იყოს მართალი.

აქ ორი ფაქტის დაპირისპირებაა: სიცოცხლისა და სიკვდილის. მაშა-ლაძემ, ორივე ერთი ოდენობის უნდა იყოს. ტრადიციული განმარტების მიხედვით კი, სიკვდილს ერთი წამის სიცოცხლე უპირისპირდება. ეს ორი თანაბარი ოდენობის ფაქტები არაა. შოთას კი, უეჭველად, სწაღიან სიკვდილს სიცოცხლე დაუპირისპიროს მთლიანად და, არას გზით, ნაწილობრივ. და ეს რომ აგრეა ამას საუცხოოდ ადასტურებს სათანადო სტრიქონის გარეგნული გაფორმება. სტრიქონი ორ ნაწილად იყოფა; თითოეულ ნაწილში, არც მეტი, არც ნაკლები, სამსამი სიტყვაა და პირველი ნახევრის თითოეულ სიტყვას ზუსტად უპირისპირდება მეორე ნახევრის თითოეული სიტყვა.

მე სიკვდილსა მოველოდი||შენ სიცოცხლე გამიწამე. ე. ი.

მე||შენ; სიკვდილსა||სიცოცხლე; მოველოდი||გამიწამე.

არაჩვეულებრივი დაპირისპირებაა, იშვიათი კონსტრასტია.

შინაარსი კი ასეთი იქნება: მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე დამიწამე, ე. ი. დამიწამე.

დ. ვითა მონა, სამსახურად განაღამცა წავე, წამე — როგორც მონა სამსახურად ბარემ წავიდე, წავიდე, მე!

მონა — აქ დამოკიდებულს, ყმას, ვასალს ნიშნავს. წავე, წამე — მეორე წამისწინაა წავე-სი, აზრის გააძლიერებლადაა მოხმობილი. ამგვარი თქმა უთუოდ ვ.ტ-ის ხალხურობის დამამტკიცებელია. ახლაცაა ეს შემორჩენილი: წავიდეთ, წამ!

135 (134) კვლაცა ჰკადრა: „აჰა მზეო...“

გ. მე დიადა — გამიდიდა, გამიმრავლდა.

დ. ვარდი ჩემი არ დაქნებთს, შუქი შენი იეფადა — ვარდი ჩემი არ დაქნება, ე. ი. მე ცოცხალი ვიქნები, სანამ შენს შუქს უხვად მათენ.

136 (135) კვლა შეჰფიცეს ერთმანერთსა...

ა. დააპირეს ესე პირი — პირობა დადევს.

ბ. გასალდეს — გამაგრდნენ. გამტკიცდნენ.

გაამრავლეს საუბარი — იგივეა, რაც სიტყვა-ხშირი.

გ. ვარდესადა — ვარდესადათ. წინათ: თუ ქვემდებარე მიცემით ბრუნვაში იყო, მას შემასმენელი არ უთანხმდებოდა.

დ. კბილთათ — გამოსვლითს, დაწყებით ბრუნვაშია — კბილებიდან.

ქვირი — გამჭვირვალე რამ სავანი.

თეთრი კბილებიდან გამოჰკრთება თეთრი ელვა, როგორც გამჭვირვალე რისგანმე.

სტრიქონში აღსანიშნავია ლ, რ ბგერებით გაწყობილი ალიტერაცია. სტროფი მაღალი შაირითაა გაწყობილი. მაშაადაძემ, ტემპი ჩქარია. პოეტს კი უნდა, რომ კბილების სიელვარე რაც შეიძლება ხანგრძლივი იყოს და

სწორედ ამიტომ მოიმარჯვა მან რ, ლ ბგერების შემცველი სიტყვები. ცნობილია, რომ ესენი მტკბარი, ნარნარი ბგერებია და მათი გამოთქმაც ნელი ტემპით წარმოებს:

თეთრთა კბილთათ გამოკრთების თეთრი ელვა ვითა კვირი.

137 (136) ერთგან დასხდეს, ილაღობეს...

ა. ერთად დასხდნენ ილაღობეს, საუბარი ასად გაამრავლეს.

ბ. ბროლ-ბადახში — ე. ი. ბაგე კბილები.

შეხვეული — უმოძრაო, მოკუმული.

გიშერი — ულვაშები.

ასადაგეს — სადაგად, მარტივად გაზადეს.

ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს — აქამდის რომ ბროლ-ბადახში — პირი მოკუმული ჰქონდათ, ახლა გიშერი — ულვაში ამოძრავეს, ე. ი. დაუწყეს ერთმანეთს კოცნა და ამით ბაგეკბილნი და ულვაში გაამარტივეს, გაიაფეს, გაასადაგეს.

გ. ყმა ეტყვის თუ: შენთა მკვრეტთა თავი ხელი ასად აგეს! — ყმა (ათანდილი) ეტყვის: შენთა მკვრეტელთ — მეტოქეთ, თავი, ხელი, გიჟი, აპა, სად წააგეს, სად დამარცხდნენ.

დ. ცეცხლთა, მანდით მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს — ცეცხლმა მაქედან, ე. ი. შენგან მოდებულმა ჩემი გული დაწვა.

138 (137) ყმა წავიდა, სიშორესა...

ა. სიშორესა თუცა მისსა ვერ გასძლებდა — მის სიშორეს ვერ უძლებდა.

ბ. უკუღმავე იხედვიდა — უკან იხედებოდა.

თვალთა რეტად აყოლებდა — თვალებს გარეტიანებული მიმოავლებდა.

გ. ბროლსა სეტყვს — ტიროდა.

ტანსა მკვერსა — ტანსა წერწეტს.

დ. გული ჰქონდა გულისათვის — თავისი გული ჰქონდა განკუთვნილი მისი გულისათვის.

სიყვარულსა ავალებდა — სიყვარულს აკისრებდა, სიყვარულს განამტკიცებდა.

139 (138) თქვა: „მზეო, ვარდსა, სიშორე...“

ბ. ბროლი და ლალი გასრულვარ — ბროლი და ლალი შექმნილვარ.

ქარვისა უყვითლესად რე — ქარვაზე უფრო ყვითლად, უფრო ყვითელი სახისა.

გ. უგრძესად რე — უფრო გრძლად, უფრო ხანგრძლივად.

დ. ხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ასე მე დამიც

წესად რე — საქიროა მოყვრისათვის, საყვარლისათვის სიკვდილი, ეს მე დამიღგენია წესად.

140 (139) საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა...

ა. ცრემლი ძნელად ეხოცების — ცრემლი ძნელად უშრება, ე. ი. ბევრს ტირის.

ბ. რა მიჰლულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების — როგორც კი მილულავდა, იმწამსვე საყვარელი ახლოს ეჩვენებოდა, ელანდებოდა.

ღ. შეკრთის, დიდი დაიზახის, მით პატიჟი ეოცების — შეკრთებოდა ხოლმე, წამოიყვირებდა და ამით ტანჯვა-წვალება ოცად უხდებოდა, ოცეცდებოდა.

საგულისხმოა, აჟ, უწყვეტის ხოლმეობითი: ეხოცების, ირხევის, იკეცების, მიჰლულნის, ეოცების, შეკრთის, დაიზახის და კვალად — ეოცების. — მუდმივ, უწყვეტ ტანჯვით გამოსავლინებლადაა ნახმარი.

141 (140) მოშორება საყვარლისა...

ა. საყვარლის მოშორება მას შეჰქმნოდა, მას გადაჰცეოდა მისადმი შურად, არაჩვეულებრივ სწრაფვად.

ბ. ჰყრის ვარდისა და სანაზოდ — აჟ: ღაწვების დასანაზებლად, დასამებლად.

ღ. დარბაზს მივა სადარბაზოდ — სასახლეში მიდის სადარბაზოდ.

142 (141) დარბაზს ეჯიბი შეგზავნა...

ა. დარბაზს ეჯიბი შეგზავნა, მართ მისგან შენა-რონია — ეჯიბი არ იყო უბრალო მეკარე და არც ამირეჯიბი უბრალო მეკარეთუხუცესი. XII ს-ის საქართველოში ეს დიდი თანამდებობა იყო. ეჯიბი, ამირეჯიბი შუამავალი იყო მეფესა და მთხოვნელს შორის, სულერთია, ვინ იყო ეს მთხოვნელი, კერძო თუ თანამდებობის პირი. ეს გარემოება ნათლად გარკვეულია „ხელმწიფის კარის გარიგებაში“. ეჯიბი (ამირეჯიბი) იყო მეფესთან შუამავალი მაშინაც, როდესაც მეფე ახლად გამოსული იყო საწოლიდან, ჯერ უკაზმავი და მაშინაც, როცა მეფე შეიკაზმოდა და საწოლიდან გამოვიდოდა. „რა შეიკაზმოს და გამოვიდეს მეფე საწოლითგან, ყოველი საურავი საქმე ამირეჯიბის პირით მოხსენდეს“³⁶. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეფე გაიგებდა საქმის ვითარებას, იგი მიიღებდა უშუალოდ მთხოვნელს, სწორედ ეს ვითარებაა აჟ გადმოცემული:

დარბაზს მეკარე (მომხსენებელი) შეგზავნა, მისგან არა ერთხელ შეგზავნილი (შენარონია).

ბ. მე ესე გამიგონია — მე ასე გამიგია.

³⁶ ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, თბ., 1920, გვ. 5, — თ. 12.

დ. ესე ამბავი ცნან, რაცა გარემონია — ეს ამბავი გაიგონ გარემყოფთა ე. ი. მოსაზღვრეთ.

143 (142) მე წავიდე, მოვიარო....

ა. მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო — სინონიმური პარალელებია: მე წავიდე იგივეა რაც, მოვიარო; ხოლო ვილაშქრო იგივეა, რაც ვინაპირო.

დ. ძღვენნი გკადრნე ზედა-ზედა — განმტკიცებულია თქმით არ სალამი დავაძვირო, ე. ი. ხშირად მოგიკითხო.

144 (143) მეფესა ეთქვა ამისი...

ა. მადრიელობა — რითპისთვისაა = მადლიერობა.

ბ. არა გჭირს შენ ომთა გარდუხდელობა — შენ ბევრჯერ გადავიხდია ომი.

გ. მაგა შენსა თათბირსა ჰგავსო შენივე ქველობა — შენს აზრს ემსგავსება შენი სიმხნევე.

დ. წა, მაგრამომხვდეს, რაღა ვქმნა, თუ სიშორისა გრძელობა — წადი, მაგრამ მაშინ რაღა ვქნა, თუ შენი მოშორება თავს დამატყდეს, დიდხანს გაგრძელდეს.

145 (144) ყმა შვეიდა, თაყვანი სცა,...

გ. აწ ნუთუმცა კვლანახვითა ღმერთმან ბნელი გამითენა —

ნუთუმცა — ეგების, იქნება.

იქნება ისევ ნახვით ღმერთმა ბნელი გამითენოს.

დ. პირი თქვენი მხიარული, მხიარულსა კვლამიჩვენა — პირი თქვენი მხიარული, მე მხიარულს ისევ მიჩვენოს.

147 (146) გამოემართა ავთანდილ,...

ბ. დღეზედა — ძველ და საშუალო ქართულში შეუძლებელი ფორმა. უნდა იყოს დღეს ზედა.

გ. იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი — სინონიმური პარალელებია: „იგია ლხინი სოფლისა“ იგივეა რაც „იგია ნივთი და ვალი“. თავის მხრივ ნივთი და ვალი კვლად სინონიმებია: ავთანდილი ძვირფასია, ქვეყნის შვენებაა.

დ. არ მისცილდება თინათინ მისი მას, ვისგან სწვა ვალი — არ შორდება მას თავისი თინათინ, ვისგანაც ის დამწვარია.

148 (147) რა მოვიდა, სიხარული...

ა. სიხარული შიგან გახდა სამეფოსა — ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ავთანდილ ყმა, ვასალი იყო პატრონის როსტევეანისა, მაგრამ თავის მხრივ, ავთანდილი პატრონია: მასაც აქვს საბრძანებელი, სამეფო. მა-

შასადამე: სიხარული შიგან გახდა სამეფოსა — შეიქნა მის სამეფოში სიხარული.

ბ. იეფოსა — რითმისთვისაა, უნდა: იეფსა, ე. ი. უხვსა.

გ. არ მოსცთების სიარულსა სასწრაფოსა, — არ ცდება სწრაფ სიარულს.

დ. მიჰხვდეს მყოფი მას წინაშე სიხარულსა სადაფოსა — შეხვდათ მის წინაშე მყოფთ საზეიმო, სადღესასწაულო სიხარული, ე. ი. მის წინაშე მყოფთ იზეიმეს, იდღესასწაულეს.

მას წინაშე — ახლა: მის წინაშე.

სადაფო — დაფის დაკვრა რომ შეშვენის ისეთი, საზეიმო, სადღესასწაულო.

149 (148) ქალაქი ჰქონდა მაგარი...

ა. საზაროდ სანაპიროსა — მოსაზღვრე სახელმწიფოთა შესაშინებლად.

ბ. გარე კლდე იყო, გაიმბობ, ზღუდესა უქვიტკიროსა.

გაიმბობ — ჩართული სიტყვაა, დღევანდელი ესე იგი-ს შესატყვისი.

კლდე და ზღუდე უქვიტკირო ერთსა და იმასვე აღნიშნავს, სინონიმებია. ზღუდე უქვიტკირო — ბუნებრივი ზღუდე.

გარე კლდე იყო, ე. ი. ზღუდე ბუნებრივი.

დ. შერმადინ — არაბულიდან მომდინარეობს — შერმადინ — შიში, სირცხვილი, ნამუსი სარწმუნოებისა. შოთას უთუოდ ესმოდა მისი შედგენილობა. რაც კიდევაც მტკიცდება ერთგან: „მოვიდა მონა შერმადინ მოშიშრად, სირცხვილიანად“ (827; 3).

151 (...) ესეა მონა შერმადინ...

151 (149) უბრძანა: „აჰა, შერმადინ...“

ა. შერმადინ — სირცხვილია, ნამუსი, აქედან: „ამად მე შენგან მრცხვენიან“.

ბ. გცოდნიან, გაგივლენიან — გცოდნია, გაგიტარებია, ხელი შეგიწყვია, ყურადღებით მოპყრობიხარ.

დ. მე ვისგან მქონდეს პატიუნი — მე ვისგან ვიტანჯებოდი.

152 (150) „მოუკლავარ თინათინის...“

ბ. ნარგიზი — სურნელოვანი ყვავილია; აქ: თვალეზი, თვალეზის სიღრმე.

გ. ცრემლი ცხელი ასოვლებდის ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა — თვალთაგან მონადენი ცხელი ცრემლი ასოვლებდა ხოლმე ლოყებს დაზრულს, გაყინულს.

გ. მომხედეს ხისაცა რგულისა — იგულისხმება სამოთხის ხე, სწორი.

ქმარი არ მინდა უშენოდ, მომხედეს ხისაცა რგულისა — ქმარი არ მინდა შენ გარდა, ტანწერწეტიც რომ შემხედეს.

ქუთაისის ხელნაწერში ამგვარადაა ეს ადგილი გააზრიანებული: მე ქმრად არ მინდა უშეხოდ, რომ ხასი მომხედეს გულისა — ე. ი. რჩეულიც რომ შემხედეს, შინც არ ვინდომებო.

154 (152) „პირველ, ყმა ვარ, წასლვა მინდა“...

ა-ბ-გ. გამეორებულია 130-ე სტროფის მოტივი:

უწინარეს ყოვლისა, რაინდი ვარ, ვასალი და ამიტომ, უნდა წავიდე პატრონის, მეფის სამსახურად, რადგან ყმათათვის წესია, რომ მეფის ერთგული იყოს; მეორედ, მან (თინათინმა) სიყვარული დამიმტკიცა და მისი ცეცხლით არ ვიწვი.

დ. აღსანიშნავია მეოთხე სტრიქონის წყობა: ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს ჰირს, მიუხდეს მამაცურად — აქ სინტაქსური და რიტმული დანაწევრება სტრიქონის სიტყვებისა არ ემთხვევა ერთმანეთს: ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს ჰირს — ერთი სინტაქსური ერთეულია, მისი უკანასკნელი წევრი — ჰირს, შექრილია მეორე ნახევარში. ამით ვ. ტ-ის სტროფთა ჩვეულებრივი რიტმი დაირღვა, სამაგიეროდ ყურადღება გამაზვილდა სუფევაზე:

• ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს ჰირს, მიუხდეს მამაცურად.

155 (153) „ვართ უმოყვრესნი მე და შენ...“

ა. უმოყვრესნი — უფროპიითი ხარისხია მოყვარე სიტყვისაგან.

ყოველთა პატრონ-ყმათასა — ყოველი პატრონისა და ყმისა.

ბ. ამისთვის განუკევე სმენასა შენ ამა ჩემთა ხმათასა — ამიტომ გეხვეწები მოისმინო შენ ჩემი ხმა, ე. ი. ჩემი სიტყვა.

გ. ჩემ წილ დაგაჯდებ პატრონად — ჩემ მაგიერ დაგტოვებ პატრონად.

თავადად ჩემთა სპათასა — ჩემი ჯარების უფროსად.

დ. ვერა ვიქმ მე განდობასა სხვათასა — სხვას ვერ გავენდობი.

• ავთანდილის არყოფნისას შერამდინი სრულუფლებიანი პატრონია, იგი ავთანდილის მაგიერია და რაც ავთანდილს ევალეზობდა, მასაც იგივე ვალი და მასთან, უფლება აქვს.

156 (154) ლაშქართა და დიდებულთა...

ბ. დარბაზს კაცსა გაგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი — დარბაზს (მეფესთან) კაცს გზავნიდე ხოლმე და მათს ამბავს გაიგებდე ხოლმე.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია პროფ. ალ. ბარამიძის თქმა: „საგუნ. ვ. ზერიძე

ლისხმობა, რომ შერმადინი, როგორც მოყმე და მოადგილე ავთანდილისა, ცნობს მხოლოდ ამ უქანასკნელის უფლებას და სახელმწიფო დარბაზთან კავშირს ამყარებს მარტოოდენ ინფორმაციის წესით³⁷.

აქ თითქოს შიში გამოკვირს, თითქოს ავთანდილის უფლების შეუვალობის ხელყოფა იყოს: „ავთანდილი, როგორც მემამულე, თავისი სამფლობელოს შეუვალი და განუკითხავი მებატრონეა“³⁸.

არც წინა სტროფი, არც ეს და არც მომდევნო, სადაც შერმადინის საქმიანობა-მოვალეობასა და უფლებაზეა ლაპარაკი, არ იძლევა მასალას ამგვარი კითხვის დასმისათვის.

უბრალო ამბავია: დარბაზს კაცსა გაგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი — სცნობდი უწყვეტლის ზოლმეობითა, სწორედ ისე, როგორც „ალაშქრებდი, ჰპატრონობდი“ — საქმიანობის უწყვეტობას, მუდმივობას აღნიშნავს.

157 (155) ღაშქრობა და ნადირობა...

ა. ნადირობა შენი ჩემსა დაასახე — ნადირობა შენი ჩემსას დაამგვანე, დაამსგავსე.

ბ. აქათ სამ წელ მოვიცადე — აქედან, ამ დროიდან სამ წელ მომიცადე.

ხვაშიადი შემინახე — საიდუმლო შემინახე.

გ. მე ნუთუმცა შემოვბრუნდი — უმცა-ნაწილაყოდ იქნება (როგორმე) შემოვბრუნდი; ალვა ჩემი არ დაქნა ხე — ალვა, ხე ჩემი არ დაქნეს, ე. ი. არ მოგვედე.

ამ სტრიქონის ბოლოს აუცილებლად უნდა მრავალწერტილი (...), რადგან შემდეგ იწყება საპირასპირო მდგომარეობა.

დ. არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მივაგლახე — უქანასკნელი სამი სიტყვა სინონიმებია — განსაკუთრებული ტირილისა და გლოვის აღმნიშვნელია.

158 (156) მაშინდა ჰკადრე მეფესა,...

ა. სასურვალია — რითმისთვისაა, უნდა: სასურველია.

გ. მიჰხვდა — შეხვდა მოუვილა, დაეპარათა.

გარდუვალი — რასაც ვერ გადახდები, ვერ გადალახავ, აუცილებელი.

მიჰხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლთათვის გარდუვალია — ვტი-საგმირო პოემაა. თავისი შინაარსით იგი წარმოადგენს ბრძოლას. წესიერად წარმოებულ ბრძოლა უთუოდ მსხვერპლს გულისხმობს. მსხვერპლის ერთი საზეთაგანია თავდადება დასახული მიზნისათვის, სიკვდილი ძიების საგნისათვის. ჰუმანიტატი მებრძოლი უთუოდ მსხვერპლის გამღებია და აქედან: მსხვერპლის გამღებს მარად სიკვდილთან აქვს საქმე, და ბუნებრივია, გმირი მებრძოლი იმთავითვე უნდა არკვევდეს თა-

³⁷ ალ. ბარამიძე, ნაკვეთები, 1², გვ. 157.

³⁸ ალ. ბარამიძე, იქვე.

ვის პოზიციას სიკვდილის მიმართ. და თვით ნაწარმოებიც, რომელიც გმირთა ბრძოლას გადმოგვცემს, უნდა ეხებოდეს სიკვდილის საკითხს და შესაფერ კასუხსაც იძლეოდეს მის შესახებ.

ვ. ტ.-ში სიკვდილის საკითხს უთუოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი და სათანადო შეხედულებაა მოცემული ამ საკითხზე, როგორც ავტორისა, ისე ცალკეული გმირისა, მებრძოლისა.

მაგრამ რა არის სიკვდილი? სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ერთია, განუკვეთელია, სიკვდილი არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს სიცოცხლე, თუ არის სიცოცხლე, მაშასადამე, სიკვდილიცაა.

სიკვდილი მხოლოდ ერთ-ერთი მომენტთაგანია სიცოცხლისა. დაიბადა სიცოცხლე, მასთან ერთად გაჩნდა სიკვდილი. თუ გინდა სიცოცხლე, სიკვდილსაც უნდა შეურიგდე. არ არსებობს სიკვდილი სიცოცხლის გარეშე და პირუკუ, სიკვდილი აუცილებელია. იგი გარდუვალია ყველასათვის, იგი ყოველადია და ადამიანმაც უნდა შეიგნოს სიკვდილის ეს გარდუვალობა, ყოველადობა და მაშინ ისიც სავსებით განიშორებს სიკვდილის შიშს.

მაგრამ ეს შეგნება თავისთავად არ მოდის. გარდა პირადი განწყობისა, მას სათანადო პირობები ეჭირვება, და მაშინ პირადი განწყობაც ზოგადად გახდება და შესაფერისად განმტკიცდება.

იძლევა თუ არა შოთასდროინდელი საქართველო საამისო პირობებს: XII—XIII ს-თა ქართველი ლაღი და მორკმულია, საამისოდ მას ცხოვრება ყველაფერს აძლევს: ამდროინდელი ქართველი ცხოვრებას ეტანება მთელი თავის არსებით და დაუცხრომლად ტკება მით. ამდროინდელი ქართველი გარდამეტებულად ამ ქვეყნის მეტრფე და მხალისეა, რომელიც არასდროს, არავითარ პირობებში არ დასთმობს სიცოცხლეს, იბრძოლებს მისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

„შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჩილობა“.

ჩვენ არ ვიცით, ვის ეკუთვნის ეს თქმა: შოთას თუ ხალხს? თუ შოთას, ეს მხოლოდ მთელი პოემის დედააზრის დამადასტურებელი იქნება, რადგან ნაწარმოების გმირთა საქმიანობა სწორედ გმირთა უშიშრობაზეა დამყარებული და საბოლოოდ გვაქვს ბრძოლის ოპტიმისტური გაკვანძვა და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ რუსთაველის გმირთ სიკვდილის არ ეშინიათ.

მაგრამ შეიძლება ეგ თქმა ხალხს ეკუთვნოდეს? კიდევ უკეთესი, რადგან, ჯერ ერთი: ეს იქნება ეკუთვნილება იმ ხალხისა, რომელმაც შოთა წარმოშვა, და შოთა და ხალხი ამ შემთხვევაში მთლიანია, ერთია, განუშორებელი მეორეც: იგი, ეგ თქმა, მთლიანად და სავსებით ადასტურებს XII ს-ის ქართველის განწყობას ცხოვრებისა და სიკვდილის მიმართ. შეუძლებელია ცხოვრებისადმი ამ განწყობას თავისი გამოძახილი არ ეპოვა მხატვრულ ნაწარმოებში: შეუძლებელია ცხოვრება „ლაღი და მორკმული“ იყოს და ლიტერატურა, მისი ამსახველი და ორგანიზატორი, ამ ქვეყნის ამოღებაზე ლაპარაკობდეს და ხალხს სოფლის მიღმეთისაკენ მოუწოდებდეს. არა. ვ. ტ.-ი ამქვეყნიური ცხოვრების შესხმა-მოთხრობაა უღამაზესი და ვერც ვნახავთ ჩვენ სხვა რომელსამე ნაწარმოებს, მისი გმირნი რომ აგრე მტკიცე და ურყევი იყვნენ მიწიერ სიყვარულში და სიკვდილის მიმართ აგრე უარყოფითად განწყობილი, როგორც ეს ვ. ტ.-შია.

როგორ წარმოუდგენიათ სიკვდილ-სიცოცხლის რაობა ვეფხისტყაოსნის გმირთ?

ჩვენ უკვე შევეხეთ როსტევანის შეხედულებას ამ საკითხში. როსტევა-ნისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ერთია, სიკვდილი სიცოცხლის არ-სებებით მომენტია, სიკვდილი გარდუვალია.

მაგრამ განსაკუთრებით გამოკვეთილი და განმტკიცებულია ამ მხრივ ავ-თანდილი. ავთანდილს მეტად მძიმე ტვირთი დააკისრა ავტორმა. იგი იმთა-ვითვე ორმხრივია განწყობილი: ერთსა და იმავე დროს უდიდესი მეტრფეცაა და არაჩვეულებრივად მტკიცე და ურყევი მეგობარი. ამ მხრივ ავთანდილის მდგომარეობა მართლაც რომ მძიმეა, მაგრამ გმირი მაინც გამარჯვებულად გა-მოდის მხოლოდ იმიტომ, რომ სავსებით სწორად აქვს წარმოდგენილი სიკ-ვდილის რაობა და გარკვეულად უარყოფითადაა მის მიმართ განწყობილი.

სწორედ აქ, ამ სტროფში პირველად ვეცნობით ავთანდილის შეხედუ-ლებას ამ საკითხზე: „აქნობე ჩემი სიკვდილი, იყავ მართ ვითა მთრვალია; მიჰხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლათავის გარდუვალია“.

მაშასადამე, ავთანდილისათვის სიკვდილი საყოველთაო მოვლენაა, ამას-თანავე, იგი გარდუვალია.

დ. ს ა ქ უ რ ჯ ლ ე — საგანძური, ქონება.

გ ლ ა ხ ა კ თ ა მ ი ე ც ს ა ქ უ რ ჯ ლ ე — ამის შემდეგ აუცილებლად ორწერტილი უნდა დაისვას, რადგან შემდეგ მოდის: ოქრო, ვერცხლი და რვალია, ე. ი. ის, რაც ამ საქურჯლეშია მოთავსებული.

რ ვ ა ლ ი — სპილენძი.

159 (157) მაშინ უფრო მომეხმარე...

ა. უ ფ რ ო მ ხ ნ ე დ რ ე — უფრო მხნე სახით, უფრო მამაცად. ახლა ვი-ტყვიტ — ამაზე უფრო მხნედ ან, ამის უფრო მხნედ. ზმნისართი სახელს ითანხმებდა გან თანდებულებიან ნათესაობითში, ახლა უთანდებულოდ ან ნათესაობითში ანდა ზე თანდებულებიან მიცემითში.

ბ. ნ უ თ უ ა დ რ ე დ ა მ ი ე ვ ი წ ყ ო — უკუთქმავა ბრძანებითი — ვაითუ ადრე დამივიწყო — ე. ი. არ დამივიწყო, რასაც სტრიქონის მეორე ნახევარი ადასტურებს: ადრე არ დამივიწყო მახსენებლე ზედა-ზედრე.

გ. მ ე ტ ა დ კ ა რ გ ა დ დ ა მ ი უ რ ვ ე ე | ს უ ლ ი ჩ ე მ ი შ ე ი ვ ე დ რ ე — ორივე ნაწილი ერთსა და იმავე აზრს გადმოგვცემს. სახელდობრ: იზ-რუნე ჩემი სულისათვის.

დ. გ უ ლ ი შ ე ნ ი მ ო ი მ დ ე დ რ ე — გული შენი ააჩვილე, ე. ი. იტირე.

წინა და ამ სტროფთან დაკავშირებით: წინა სტროფში ავთანდილი არი-გებს შერმადინს: ჩემი. სიკვდილის შემდეგ:

„გ ლ ა ხ ა კ თ ა მ ი ე ც ს ა ქ უ რ ჯ ლ ე: ო ქ რ ო, ვ ე რ ც ხ ლ ი დ ა რ ვ ა ლ ი ა“.

ეს ჩვეულება ძველისძველია, ხალხურია, ქართულია, უკანასკნელ დრომ-დე ცოცხლობდა საქართველოში. სახელდობრ: როდესაც ვინმე (შემძლებულ-თაგანი) გარდაიცვლებოდა, განსაკუთრებით უშვილო, მისი ქონების ნაწილს (ფულს, ტანისამოსს) ღარიბებს დაურიგებდნენ, შენდობა უთხარითო.

ამგვარივე ქართული ხალხური ჩვეულებაა და ურევება, რული (დაურევება, ე. ი. ზრუნვა მიცვალებულის სულის ცხოვებისათვის).

ვინაა ამ შემთხვევაში მიცვალებული სულის მოურავი ან უკეთ: სულის მეურვე? მიცვალებულის ცოცხალი ნათესაეები. რას შვრებიან (რას შვრებოდნენ) ისინი მიცვალებულის სულის დასაურევებლად? მიჰქონდათ, მიაქვთ საურავი ფულის სახით, ანდა, პირუტყვის სახით და მსხვერპლად სწირავენ, რათა მიცვალებულს იქ, საიქიოში, წაადგეს რადმე, სული მისი დაიურვოს.

ვ. ტ-ში ორივე ეს მომენტი ქართულია, ხალხურია და ხალხისაგანაა შესული ნაწარმოებში.

160 (158) რა მონამან მოისმინა,...

ა. გაუკვირდა, შეეზარა — გაუკვირდა, შეეშინდა, შეძრწუნდა.

ბ. გულმან რამცა გაიხარა — კავშირებითი ვითარება იყო გადმოსაცემი — გულმან როგორ გაიხაროს, შავრამ გაიხაროს და არდევდა რითმას. პოეტმა მცა ნაწილაკი მოიმარჯვა. რითმაც გაიმართა — გულმან რამცა გაიხარა, — და აზრიც სათანადოა.

დ. ამაღ — ამიტომ.

161 (159) „ჩემად ნაცვლად დაგაგდებო,..."

ა. ჩემად ნაცვლად დაგაგდებო — ჩემ ნაცვლად დაგტოვებ.

ბ. რამც გიფერე, რამც გიგვანე? — როგორ გიფერო, როგორ გიმგვანო, ე. ი. როგორ შევიქნე შენი შესაფერისი, როგორ შევიქნე შენი მსგავსი, შენი მგვანი.

162 (160) ყმამან უთხრა: „მომისმინე,..."

ა. კრელი — არა სადა, არა სწორი, ტყუილი.

მართლად გითხრობ, არა კრელად — ჰენდიადისია, ანდა ქართულად რომ ვთქვათ, ერთიორითაა, ამასთანავე ერთიორითას პირველი წვერი დადებითი კონსტრუქციისაა — მართლად — ზოლო მეორე — უარყოფითისა — არა კრელად. საბოლოოდ, მართლად და არა კრელად ერთი და იგივეა.

ბ. რა მიჯნური ველთა რბოდეს, მართო უნდა გასაკრელად — წინასიტყვაობაში წამოყენებული დებულების პრაქტიკული განხორციელება:

თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლებს;

სიარული, მართობა, ჰშვენის გაკრად დაეთვლებს. (31,1—2).

გ. მარგალიტი — ძვირფასი ქვაა. აქ: თინათინი.

163 (161) „ვისმცა უთხარ ხვაშიადი,..."

ა. ვისმცა უთხარ ხვაშიადი — ვისლა ვუთხრა გულისნადები, საიდუმლოება! უთხარ მე მას, მამასადამე, უნდა იყოს ვუთხარ, მაგრამ პირველი სუბიექტური პირის ნიშანი უნის წინ არ გამოითქმოდა და

არც იწერებოდა, ეს წესი საშუალო ქართულშია და ცუდი. ასევეა ვეფხისტყაოსანშიც.

გ. სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა — სანაპირო, საზღვრები გაამაგრე, რომ მტერმან ახლოს ვერ იბარგოს, რომ მტერი ახლოს ვერ გაგეყაროს.

დ. კვლანთუმცა შემოვიქეც, ღმერთმან სრულად არ დამკარგა — იქნება როგორმე ისევ დავბრუნდე და ღმერთმა სრულად, სავსებით არ დამკარგოს.

164 (162) „ფათერაკი სწორად მოჰკლავს...“

ა. ფათერაკი — ჭირი, უბედურება.

ბ. ცისა ძალთა დასი — ...

გ. აქათ — ამ დროიდან.

ფ. დასი — სამგლოვიარო სამოსელი, ძაძა; აქ: გლოვის სინონიმი.

დ. გმორჩილობდენ — კავშირებითა; რომ გმორჩილებდნენ.

ხ. დასი — რჩეული, დაახლოვებული. აქ: ქვეშევრდომი.

165 (163) დაწერა თუ: „ჩემო ყმანო...“

ა. დაწერა, რომ ჩემო ყმანო, ზოგნო ჩემო გამზრდელნო და ზოგნო ჩემო გამოზრდილნო.

ბ. ერთგულნო და მისანდონო, ამ საქმეში განმტკიცებულნო,

გ. თქვენ, ჩემი სურვილის მომდევარნო, ახლოს მყოფნო ისე, როგორც აღამიანის ჩრდილი ვით მისგან,

დ. ჩემი წიგნი, ფანჯარგულება მოისმინეთ ყველამ ერთად შეკრებილმან.

166 (164) „მიწაცა თქვენი ავთანდილ...“

გ. ვარჩევ (ვარჩი(ვ)ე) — აწმყოს. ფუძის საწარმოებელი სუფიქსია, დღესაც დარჩენილია აღმოსავლურ კილოებში ზოგან.

ს. მასა და მღერასა — ქეიფს, დროს ტარებას.

დ. ცერასა — რითმისთვისა: ცერსა.

167 (165) „საქმე რამე მიც თავისა...“

ბ. მარტოდ და ღარიბად — სინონიმებია; უცხოობაში ყოფნა, გარდახვეწილი.

წ. ლეული წელი — წლევეანდელი წელი.

გ. გემუდარები ამისთვის — ახლა ვიტყვით: გემუდარებით.

გემუდარებით ამისთვის — იგივეა, რაც — ვარ თქვენი შემომხვეწელი.

საქმე რამე მიძს, მაქვს, რაც მოითხოვს ჩემგან გადახვეწას; უნდა დავყო მარტოდ და ღარიბად წლევეანდელი წელი; გემუდარებით, გეხვეწებით, რომ სახელმწიფო მთელი, დაუღწევი დამახვედროთ.

168 (166) „მე შერმადინ დამიგდია...“

გ. ყოველთა მზუებრ მოგეფინოს — მეორე ნახევარი ავსებს პირველ ნახევარს: ვარდს არ ზერიდეს, არ აქკნობდეს, ე. ი. თქვენ კარგად გივლიდესთ, თქვენს სიცოცხლეს ზოგავდეს.

მე შერმადინს ვტოვებ, რომ ჩემს მაგიერ პატრონობდეს, სანამ მე ცოცხალი ვარ, ყველას მზესავით მოგეფინოსთ, კარგად გივლიდესთ, მაგრამ თუ ვინიცობაა ვინმემ შესცოლა, დააშავა რამე, მას, როგორც სანთელს დააღობდეს, ე. ი. სასტიკად მოეპყრას.

169 (167) „თქვენცა იცით გამიზრდია...“

ბ. ჰმორჩილობდით — ხოლმეობითია.

გ. ბუკის კვრა — რაიმე საქმის წამოწყება, განგაში საშიშროების დროს.

ბუქსა იკრას — თუ ვინიცობაა რაიმე ბუქის საკრელი საქმე შეიქნეს.

დ. გლოვა, არ სიცოლი — ერთიორითაა.

170 (168) ესე წიგნი გაასრულა...

ა. ნაზმა — ახალი ნორმითაა წარმოდგენილი რითმისათვის; უნდა ყოფილიყო ნაზმან.

ბ. წელზე ხმალი შემოირტყა, სამგზავროდ შეეკაზმა.

დ. მასცე წამსა წამოვიდა — იგივეა, რაც შინა ჰანი არა დაზმა — შინ არ გაჩერდა.

171 (169) ბრძანა: „წადით ყველაკაი...“

ა. მინა — მინდა.

ბ. თავი გაითავისწინა — თავი გაიმარტოხელა.

გ. შამბი — დიდი გაუკაფავი ბალახი.

დ. მიწყვი — მარად.

172 (170) იგი ველი გაირბინა,...

ა. გაეკიდა — გაშორდა.

ბ. გაეკიდა — დაედევნა.

გ. გაეკიდა — ?

ა-ბ-გ-დ — ველი გაირბინა, ლაშქარს გაშორდა, აბა ვინ გაბედავდა მას დადევნებოდა, ვისაც მახვილი ვერას ავნებს, იგი (მისი) მკლავი გამარტოვდა და მას თინათინის ფიქრი ტვირთად, ბარგად ვაპყვა.

დ. მეოთხე სტრიქონი უთუოდ აგრე უნდა წავიკითხოთ: მისგან ტვირთი კაეშნისა ტვირთად, ბარგად აეკიდა.

ტვირთადღმარგად — სინონიმური პარალელუბია, ჩვეულებრივი წესი შოთას წერისა.

დ. უცხენმალეს — ცხენმალი.

ა-ბ-გ-დ. რა ლაშქარმა გაათავა ნადირობა და პატრონი მოიკითხა, ვერ ნახეს და (ამის გამო) თავისი პირი იფერმკრთალეს. ე. ი. შეშინდნენ, გაფითრდნენ, წინანდელი სიხარული მწუხარებით შეცვალეს; ყველგან დარბოდნენ საძებრად, განსაკუთრებით კი ის, ვისაც უფრო მალი, სწრაფი ცხენი ჰყავდა.

174 (172) „ღმერთი, ლომო, შენად ნაცვლად...“

ა. ლომო, ღმერთი შენს ნაცვლად ვის დაგვიდგენს.

ბ. დარბოდნენ და სხვადასხვა ადგილიდან მოამბენი (ავთანდილის ამბის მცოდნენი) მოჰყავდათ.

გ. ველარ გაიგეს მისი ამბავი, წავიდა, გაჰქრა.

დ. გულმოკლული ჯარი მწარედ ტიროდა.

175 (173) შერმადინ ერთგან შეყარნა...

ა. ხასნი და დიდებულები — ახლობელნი, დიდებულნი.

ბ. უსტარი — წიგნი, წერილი.

დ. ულები — დაულურჯებელი, უცემო.

176 (174) ყოვლთა ჰკადრეს: „თუცა ყოფა...“

ა. ყველამ ჰკადრა, თუმცა უმისოდა ჩვენი დარჩენა არამია,

ბ. თუ არ შენთვის, აბა, ვისთვის უნდა მოეცა ტახტი?

გ. ბარემ გმორჩილებდეთ, რასაც გვიბრძანებთ, შემსრულებელი ვართ!

დ. შერმადინი პატრონად დასვეს და ყველამ თაყვანი სცა.

177 (175) ამ საქმესა შემოწმების...

ა. დიონოსი, დიონისი — ფსევდონიმია პეტრე იბერიელისა. პეტრე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა V საუკუნეში მაიუმში. ბიზანტიის აზროვნების განვითარებაში პეტრე იბერიელს არაჩვეულებრივი ადგილი უჭირავს.

პეტრე იბერიელისა და დიონისის იგივეობა დაამტკიცა პროფ. შ. ნუტუბიძემ, რაც გაიზიარა მსოფლიო მეცნიერებამ.

ეზრა, ეზროს — წინასწარმეტყველ ეზრას აქვს ასტროლოგიური თხზულება, სადაც ამინდსა და მოსავალზეა ლაპარაკი. ქართულად მას ეწოდება „კალანდა თქმული ეზრა წინასწარმეტყველისაჲ“.

რას წარმოადგენს სტროფი? იგი ერთგვარი პრელუდიაა, შესავალია თავისა; აქ მოკლედ, დაწურულად მოცემულია ის, რაც შემდეგ თვით თავშია გაშლილად წარმოდგენილი. შესავალი წინასწარ იძლევა იმ განწყობას, რომელიც ახასიათებს მოქმედ პირს, ამ შემთხვევაში, ავთანდილს.

ბ. როგორაა მოცემული ეს წინასწარი განწყობა? შედარება-პარალელიზმის სახით, სახელდობრ: ბუნების მოქმედება-მდგომარეობა ედარება ადამიანისას. ავიღოთ, მაგ. შემდეგი სტროფები:

ზამთარი ვარდთა გაანმოს, ღუერტილნი ჩამოსცივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწევს, გვალვასა სჩვიან,
გაგრა მაზედა ბღღულნი, ტურფასა ხმასა ჰყვიან,
სიციხე სწვავს, ყინვა დააზრობს. წყლული ორკირვე სტყვიან.
აგრეთვე გული კაცისა მისაგუარებლად ძნელია,
ჭირსა და ლხინსა, ორსავე ზედა, მართ ვითა ხელია.
მიწვივ წულულდებნს, საწუთრო, მისი არ ოდეს მრთელია,
იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერაა! (1347—1348)

სწორედ ამგვარივე შედარება-პარალელიზმი გვაქვს აქ, სახელდობრ:
ს ა ბ რ ა ლ ო ა , ო დ ე ს ვ ა რ დ ი დ ა ე თ რ თ ვ ი ლ ო ს , დ ა ც ა -
ე ზ რ ო ს ;

დაზრობა, დათრთვილვა გადმოტანილია ადამიანზე;

გ. ვის ბადახში არა ჰგვანდეს და ლერწამი ტანად
ე ზ რ ო ს — ე. ი. ვის ბადახში (ღაწვი) არ ფერობდეს (გვანი— ფერია), ლერ-
წამი ტანად გაეხადოს (ზრო — ლეროა. შდრ. ვარდი დაეთრთვილოს, დაეზროს)
დ. იგი სადმე გაღარიბდეს, სამყოფთაგან იაბეზ-
როს — ე. ი. იგი სადმე წაივდეს, სამყოფს, ბინას გაშორდეს (სინონიმური
პარალელიზმი).

სწორედ ეს შინაარსია გადმოცემული შემდეგ მთელ თავში.

178 (176) ავთანდილ იგი მინდორი...

ა. ო თ ხ - ა ხ მ ი თ — ოთხამოლებით, ქენებით.

ბ. დ ა ა გ დ ო მ ზ ღ ვ ა რ ი ა რ ა ბ თ ა , ს ხ ვ ა თ მ ზ ღ ვ ა რ თ ა
ა რ ე ი ა რ ა — დატოვა, გასცილდა არაბთა საზღვრებს და სხვა ქვეყნის ად-
გილებზე გადავიდა.

გ. ს ი ც ო ც ხ ლ ე გ ა უ ზ ი ა რ ა — სიცოცხლე გაუყო.

დ. თ უ მ ე მ ა ს მ ც ა ვ ე ა ხ ე ლ — თუ, მე მას (თინათინს) ვეახ-
ლე, დაუბრუნდე.

179 (177) ახალმან ფიფქმან დათოვა...

ავთანდილის უადრესი ბორგვაა გადმოცემული. ის-ის იყო თავი შეიკა-
ვა „აწ ცხელსა ცრემლსა ვღვრი არაო“, რომ ახალმა ჭირმა შეიპყრო:

ა. ახალმან ფიფქმან დათოვა, ზელახლა დაიწყო ტირილი, ვარდი დათრ-
თვილა, წაახდინა (დანანა);

ბ. ამის გამო თავის მოკვლაც კი განიზრახა;

გ. თქვა ჭირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათად ან ასად (იგულისხმება)
გახადა.

დ. მოვშორდი ლხინსა ყველასა, სახელდობრ: ჩანგსა, ბარბითსა და ნა-
სა.

ჩანგი, ბარბითი და ნა — საკრავებია.

181 (179) მუნ ეძებს. ცრემლი მტირალსა...

ბ. ქვეყანა — მიწა.

უ ჩ ნ დ ის ქ ვ ე ყ ა ნ ა ტ ა ხ ტ ა დ — მიწაზე წვებოდა.

182 (180) ყოვლი პირი ქვეყანისა...

ბ. არ იარა — უნდა იყოს: არ ეარა.

გ. მსმენელსაცა ვერ მიმხვდარა — მსმენელსაც ვერ შეხვედრია.

183 (181) მიძხვდა რასმე ქვეყანასა...

ა. უგემურსა, მეტად მქისსა — უგემური და მქისი სინონიმებია.

გ. იგი ჳირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა — ვისი და რამინი მთავარი გმირები არიან „ვისრამიანისა“. ცნობილია მათი ჳირი უსაზომო, ერთმანეთის ჳიყვარულისათვის გადატანილი.

185 (183) ზედ წაადგა, შეექვევის...

ა. დროთა დღეთა — მძიმით გამოყოფა არ უნდა.

186 (184) საგონებელი შეექმნა...

187 (185) თუ არ დავბრუნდე, საძებრად...

188 (186) უამბოს ჩემ ისიკვდილი...

ეს სამი სტროფი მინაარსის მხრივ განსაკუთრებულ განმარტებას არ საჭიროებს, მაგრამ გრამატიკული ანალიზი მათი კი უცილობელია, რადგან სტროფები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ხოლო უკანასკნელი — გრამატიკულადაც, ანავე დროს, ნიშნები მათ შორის არ არის ისეთი, როგორც უნდა იყოს და ამიტომ, აზრი ბუნდოვანდება.

მეორე სტროფი იწყება „თუ არ დავბრუნდე“-თი. „თუ არ დავბრუნდე“-თი დამოუკიდებელი აზრის დაწყება არ შეიძლება. ცხადია, მას წინ უსწრებს რაღაცა თქმა და ეს თქმა არის პირველი სტროფი: „საგონებელი შეექმნა“.

შემდეგ: ორი მომდევნო სტროფი, გარდა უკანასკნელის ბოლო სტრიქონისა, წარმოადგენს პერიოდს, ერთ რთულ წინადადებას, შედგება იგი ხუთი მარტივი და შერწყმული წინადადებისაგან.

1. თუ არ დავბრუნდე, საძებრად დავყვნე სხვანიცა ხანანი.

პირობითი დამოკიდებული წინადადებაა: კავშირია თუ: შემასმენელის კილო პირობითია — ტიპური კონსტრუქცია პირობითი წინადადებისა. ამასთანავე, იგი შერწყმულიცაა, რადგან მეორდება ერთი და იგივე წევრები: არ დავბრუნდე, დავყვნე.

2. რომელსა ვეძებ — განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაა.

3. დრო გარდაუწყდეს შერმაღინს, შეპრჩეს დაწვისა ბანანი, მივიდეს, ჳკადრნეს მეფესა საქმენი დასაგვანანი! უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩემგან დავცდრებული; ესაა მთავარი წინადადება პირველისა და მეორის მი-

ნართ. ამასთანავე იგი შერწყმულიცაა: გარდაუწყდეს, შეპრჩეს, მივიდეს, ჰკადრნეს, უამბოს.

4. მათ შექმნან გლოვა-ტირილი, ქმნან საქმე გამწარებული — ამასა და მესამეს შორის თანწყობაა.

5. მერმე მივიდეთ ცოცხალი, სადმე სხვაგან მერებული — ესეც თანწყობილია მეოთხის მიმართ.

სტროფები ერთის ხაზით, კავშირებითის ხაზით მიმდინარეობს, სამსავე სტროფში თავიდან ბოლომდე მტკიცედ დაცულია კავშირებითი კილო, რაც ამის დამამტკიცებელია, რომ სტროფებს შორის უქვევლი კავშირია.

ერთი სიტყვით: ორი უკანასკნელი სტროფი ერთი მთლიანი წინადადებაა (რთული) სინტაქსურად შეკრული და ერთმანეთთან შეპირობებული და რადგან 188-ე სტროფის პირველი სტრიქონი — „უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩემგან დავედრებული“ — წინა სტროფის წინადადებასთანაა კონსტრუქციულად დაკავშირებული, ე. ი. შერწყმული წინადადების კომპლექსის (მივიდეს, ჰკადრნეს) კომპონენტია (უამბოს), ამიტომ, იგი უნდა გამოიყოს წინა სტროფიდან მძივით და არა წერტილით.

189 (187) იტყვის: „ღმერთო, სამართალი“...

ბ. მე ეზომი სიარულნი კიდე რად, გლაზ, გამიცუდენ — მე ამდენი სიარული კიდევ. ვაჟ, ტყუილუბრალოდ ჩამიტარე.

დ. ცრემლნი ჩემნი ვერა ოდეს დავიყუდენ — ცრემლი ჩემი ვერაოდეს შევაჩრე.

190 (188) კვლაცა იტყვის: „დათმობა სჯობს...“

ბ. დღეთა მეტად ნუ მოჰკვდები — ღროზე ადრე ნუ მოჰკვდები, ნუ მოიკლავ თავს.

დ. განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქმნების — ამისა და ნაწარმოების ამგვარივე შინაარსის ადგილების მიხედვით ზოგი მკვლევარი ფიქრობდა, რომ ვეფხისტყაოსანში პირწაყარდნილი ფატალიზმია, რომ ნაწარმოების გმირები ბედისწერით არიან შებოქილნიო.

რა არის ფატალიზმი?

ფატალიზმი ადამიანის ნების აბსოლუტური უთავისუფლობაა. ფატალიზმით შეპყრობილი მთლიანად და სავსებით შებოქილია თავის მოქმედებაში. მისი საქმიანობა წინდაწინვე განსაზღვრულია შეზღუდული, უხილავის, ადამიანისათვის მიუწვდომელი, შეუცნობელი (რაც მთავარია, არ არსებულ) ძალის მიერ.

განა ცხადი არაა, რომ მე-12 საუკუნის ქართველი ამგვარ მოძღვრებას ვერ გაიხდიდა თავის სამუშაო, სამოქმედო გეგმად. განა შესაძლოა, რომ ვ.ტ-ი თავის ეპოქის ზრახვათა და სულისკვეთებათა ამსახველი და არა მარტო ამსახველი, არამედ თვით ორგანიზატორი იმ ცხოვრებისა, რომელიც გამარჯვებათა სისტემას წარმოადგენდა მაშინდელ საქართველოში, თავის მოქმედ პირს ფატალიზმით შებოქავდა და გულზე ხელდაკრეფას იქადაგებდა?

ცხადია, არა და არც არის ვ. ტ-ში ფატალიზმი.

აქ არის განგება.

ქრისტიანიზმმა უარყო ფატალიზმი. მის ნაცვლად წამოაყენა მოძღვრება განგებაზე. როგორ უნდა გამოეყენებინა მას ეს განგება: როგორც მარტოოდენ ბრძოლის ხერხი, როგორც სააგიტაციო საშუალება, თუ არსებითად თავისი მომავალი შემოქმედების პროგრამადაც უნდა დაესახა მას ეს განგება?

ქრისტიანიზმი კლასობრივი უთანასწორობის დამცველი მოძღვრებაა. მისასადამე, თუ პირველ ხანებში წარმართობასთან ბრძოლის წარმატებით საწარმოებლად, საჭირო იყო ფატალიზმის უარყოფა და თავისუფალი, სავსებით სუვერენული პიროვნების ლოზუნგის წამოყენება, შემდგომ, როდესაც ქრისტიანობა განმტკიცდა და საკემპყრობელი შეიქნა და საკუთარი გაბატონებული კლასები გაიჩინა, ბუნებრივია, მას უნდა შეემუშავებინა ისეთი დებულება, რომელიც გაბატონებულის მდგომარეობას კიდევ უფრო განამტკიცებდა დაბალი კლასის, მარჩენალი კლასის ხარჯზე.

სწორედ ამ დებულებად გამოდგა განგება, ღვთის განგება.

აქ მარტოოდენ სახელის ცვლასთან არა გვაქვს საქმე. შეუძლებელია, არსად არ მომხდარა ძველის აღდგენა მთლიანად, სავსებით, თუნდაც სახეცვლილად: სახელის ცვლასთან ერთად მას სახეც უნდა გამოეცვალოს და რაც მთავარია, მიზანდასახულობა სხვაგვარი უნდა მიეცეს.

ამ მხრივ, ყოვლად შეუძლებელია განგება ბელისწერის განმეორებად ჩაითვალოს.

მართალია, დრო და გარემოება მას სხვადასხვა გადახრას აძლევდა, ბეტ-ნაკლებობით შიგ თავისებურად გაგებულ ნების უთავისუფლობას აქსოვდა, (მდრ. რომ. 9, იერემ. 10, 23), მაგრამ საერთოდ, განგება უპირისპირდება ნების აბსოლუტურ უთავისუფლობას და ცდილობს, რათა ადამიანი იყოს თვისთა საქმეთა უფალი.

სწორედ ვ.ტ-ის ეპოქაში გადმოთარგმნილ ერთ წიგნში³⁹, სადაც ლაპარაკია ადამიანისა და მსოფლიოს შესახებ, სათანადო აღვილას ვკითხულობთ: უნებლიეს უპირისპირდება წინააღრჩევა. წინააღრჩევას აღვილი აქვს იქ, სადაც მოქმედებს ნებელობა. ამასთან დაკავშირებულია საკითხი: თავისუფალია თუ არა ჩვენი ნებელობა, სხვაგვარად: ვართ თუ არა ჩვენ თვით ხელმწიფე?

თვით ის გარემოება, რომ ადამიანს აქვს უნარი იმსჯელოს თავისი საქციელის საფუძვლებზე და მიზნებზე, აგრეთვე მიზნის მისაღწევ საშუალებათა და ღონისძიებათა შესახებ, ამტკიცებს იმას, რომ ადამიანის ნება თავისუფალია (თ. 39).

შემდეგ თავებში გარკვევით უარყოფილია ნება, ფატუმი და ადამიანის საქმიანობის ქვაკუთხედად განგება და მხოლოდ განგებაა დასახული.

ვ.ტ-შიც ფატალიზმი, როგორც ადამიანის ნების შემბოჭველი, ნების მომსპობი, უარყოფილია და მის ნაცვლად წამოყენებულია განგება და იგი წამოყენებულია როგორც ადამიანის გამამხნეველი სასოწარკვეთილებასა და რყევის ეპოს, სწორედ ამგვარადაა განგება მომარჯვებელი ხსენებულ სტროფში:

³⁹ ნ ე მ ე ს ი ო ს ე მ ე ს ე ლ ი, ბუნებისათვის კაცისა, ს. ვორგაძის გამოცემა, თბ., 1914.

კვლავ იტყვის: „ღათობა სჯობს“ და თავსავე ეუბნებს:
„ღღუთა მეტად ნუ მოძველები, გული ჩენი ნუ დაღნებოს“.

ამის შემდეგ თავის გამაგრება და განმტკიცება:

ულმართოდ ვერა: ვერ მოვაწყე, ცრემლი ცულად მდღინებს,
განგებანსა ვერვინ შესცელის, არ-საქმნელი არ იქმნებია⁴⁰.

192 (189) „ყოვლნი არსნი ცათ ქვეშეთნი...“

გ. უ ლ ო ნ ი ო დ — უთუოდ, აუცილებლად.

ღ. ც უ დ ა დ — ტყუილ-უბრალოდ.

193 (190) მთით ჩამოვიდა ავთანდილ....

ბ. მ ი ნ დ ო რ ს ა ც ო რ ე ე ბ ს ტ ა ი ქ ს ა — მსუბუქად, ტიკტიკით მო-
აქანებს ტაიქსა.

შ ე ე ლ რ ე ნ ი თ მ ო ნ ა წ ყ ე ნ ი ა — ნელრევით მონაწყენია.

გ. გ ა ს ც უ დ ე ბ ო დ ე ს მ კ ლ ა ვ ნ ი დ ა მ ი ს ნ ი ს ი ა მ ა ყ ე ნ ი ა
— გაწბილებოდნენ მკლავნი და თავისი სიამაყე, ძლიერება.

ღ. ბ რ ო ლ ი ს ა ვ ე ლ ს ა ს ტ უ რ ფ ო ბ დ ე ს გ ი შ რ ი ს ა მ უ ნ
ს ა ყ ე ნ ი ა — ბროლის ველს, ე. ი. ლოყებს უმშვენებდა გიშრის, ე. ი. შავი,
წვერები.

ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ს ს პ ა რ ს უ ლ ს ა ყ ი ს ი ტ ყ ე ვ ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ მ ი ა ჩ ნ ი ა „ს ა ყ ე -
ნი“:

„საყე“ resp. „საყი“ ნიშნავს საზეიმო მაგიდასთან მდგომს, საროს მსგავსს, პირ-მზე, პირ-მზიარულს, ლამაზსა და მოხდენილს ღვინის მწდეს ან მიმრთმევს... აზრი მეტაფორული თქმისა ასეთია: როგორც „საყენი“ ან ღვი-
ნის მწდენი აშვენებდნენ ხოლმე საზეიმო სუფრას, რომლის გარშემო ისინი იდგნენ, ისე ამართული შავი (გიშრის) წამწამი და ულვაშები ამკობდა, ამშ-
ვენებდა ავთანდილის „ბროლის ველს“, ან ლოყას.

სიტყვა „საყე“ ჩვენს მწერლობაში ხმარებაში შემოდის ალორძინების ხანაში, ის გვხვდება „ბარამ-გურიანში“ და „შაჰ-ნავაზიანში“. (ქართ. ლიტ. ისტ. II², გვ. 104).

სპარსულში მართლაც არსებობს ს ა ყ ი, ს ა ყ ე სიტყვა, მაგრამ მას არავითარი კავშირი არა აქვს ხსენებული სტროფის ს ა ყ ე ნ სიტყვასთან. აქ ს ა ყ ე ნ ი მრავლობითია ქართული ს ა ყ ე სიტყვისა და საყე კი, არც მეტი, არც ნაკლები, არის ს ა რ ი. მაშასადამე, რა არის გიშრის საყენი? მხოლოდ და მხოლოდ გიშრის სარები, რაც შოთას კიდევაც აქვს გამოყენე-
ბული როგორც მეტაფორა შავი წარბებისა, ან წვერ-ულვაშისა:

სადა ინდონი ბროლ-ვარდსა სარვენ გიშრისა სარითა.

მას მოვეშორევე, წამოვე სიჩქარით, არ სიწყნარითა (889, 1—2)

⁴⁰ უფრო ვრცლად იხ: ვ. ბ ე რ ა ძ ე, რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის (ფატუმი თუ განგება), საბჭოთა ხელოვნება, 1935, № 4, გვ. 39—62; В. Б е р и л з е, К вопросу о мировоззрении Руставели, Сборник Руставели, Тб., 1938, გვ. 139—160. საკითხის ისტორიისათვის იხ. ავრთვე: ვ. ბ ე რ ა ძ ე, ქართ. ლიტ. ისტორია, II², გვ. 205—207; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, I², გვ. 168—169.

უპვერითეთ პირსა მნათობსა ელვათა მავლვარებასა,
მისი ციმციმი მზისაებრ ეფინებოდა არებასა;
ძვირ-ძვირად გვეუბნებოდა სიტყვასა რასმე წყნარებასა,
კბილთაგან შუქი შეადგა ზედან გიშრისა სარებასა. (1228)

გიშრის სარები იგივეა, რაც გიშრის საყენი.

აქვე აღვნიშნავ, რომ მეტაფორის გახსნა ისე, როგორც ეს კ. კეკელიძეს აქვს ამ შემთხვევაში, არ შეიძლება.

როგორც საყენი ამშვენებს ხოლმე სურას, ისე შავი (გიშრის) წამწამი და ულვაშები ამკობდა ლოყას — შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა შედარება-მეტაფორა ფვაქვს. აქ კი, პირდაპირი მეტაფორაა.

გიშრის საყენი — ერთი ცნებაა და მათი დაშორება არ შეიძლება. აქ კი, საყენი შედარების პირველ ნახევარშია, ხოლო გიშერი — მეორეში.

194 (191) მობრუნება დააპირა,...

ა. სულთქნა, ივაგლახა — სინონიმებია.

დ. მაგრა არა შეუზახა — მაგრამ არ შეუტია.

195 (192) თუცა მხეც-ქმნილი ავთანდილ...

ა. გულ-ამოსკენით — იგივეა, რაც — კვნესით.

ბ. ეგრეცა ჰამა მოუნდის ადამის ტომთა წესითა — მიუხედავად ამისა, ჰამა მოუნდა, როგორც ადამიანს.

გ. როსტომი — „როსტომიანის“ მთავარი გმირია.

196 (193) ცხენსა მისცა საძოვარი,...

ა. ვირე — ვიდრე.

197 (194) ხელთა ჰქონდა მშვილდ-ისარი,...

ბ. შეეზნა და სისხლსა გული — სისხლის დენას გული შეეწუხებინა.

დ. ცოტა ედგა მას, გლახ, სული — სული ძლივს ედგა, სულს ძლივს ითქვამდა.

198 (195) უყივლა თუ: „ძმანო ვინ ხართ?...“

ბ. დაგვიწყნარდი — დაგვიშვილდი.

გვიშველე რა — იგივეა, რაც — ცეცხლნი ავსენ.

გ. მოგვიმტკივნე — სამძიმარი გვითხარი, თანაგრძნობა გამოგვიცხადე.

პირნი პირსა მოგვისავსენ — პირი პირს მოგვიმატე.

დ. სატირელნი მოგვიტირენ, დაწვნი შენცა დაიმხავსენ — სინონიმებია.

199 (196) ავთანდილ შიდა, ეუბნა...

ა. შიდა — მიუახლოვდა.

ბ. მოუბარეთა — მოუბარათა-ს ნაცვალადა ლექსისათვის.

დ. ხატათი — ჩინეთი.

201 (198) ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა...

ა. მესროლნი დავაწბილენით — მესროლნი შევარცხვინეთ, მესროლთ ვაჯობეთ.

ბ. ერთმანერთსა სამნივე ჩვენ კიდე დავაცილენით — ჩვენ სამნივე ერთმანეთს შევეცილეთ, სამნივე ერთმანეთს შევეჯიბრეთ.

გ. სიტყვანი ვავაქილენით — სიტყვებით ერთმანეთს ვესარჩლებით, სიტყვებით ერთმანეთს ვავეპაექრეთ.

დ. ვითაკილენით — ვიწყინეთ.

202 (199) დღეს ავყარენით ლაშქარნი,...

ბ. ვინ ვსჯობთ თავისა მკლავითა — ვინ ვსჯობთ თავისი საკუთარი მკლავით, სხვის დაუნმარებლივ.

დ. დამნახავი — იგივეა, რაც — მარეკი; ნუ ვესვრით მარეკის საშუალებით.

203 (200) ჩვენ ვიასლენით სამთავე...

ა. შეაბჯრე — აქ: იარის მომრთმევი.

204 (201) ანაზდად მოყმე გამოჩნდა...

ა. ანაზდად — მოულოდნელად, უცებ.

კუშტი, პირ-გამქუშავია — მწყრალი, წარბ-შეკრული, პირ-მოღუშული.

205 (202) ვუჭვრიტეთ, მისთა ელვათა....

ა. მისთა ელვათა შუქნი ძლივ გავიცადენით — მის ბრწყინვას ძლივს გავუმავრეთ თვალი.

ბ. მზეაო ქვეყანად, ნუ ვეუბნებით ცადენით — მზეა ქვეყანად, დედამიწაზე და ამიერიდან, ნუ ვიტყვი, რომ იგი ცაზეა.

206 (203) მე უხუცესმან უმცროსთა.:

ა. დავსთხოვე ქენებით — დავსთხოვე ხევწინით.

ბ. ჩემმან შემდეგმან — ჩემმა მომდევნომ.

გ. ამან — ამ შემთხვევაში: უმცროსმა.

მართოდენ — მართოდენ.

ვ უ ა ლ ე თ ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ — ნ ე ბ ა დ ა ვ რ თ ე თ (თ ი თ ი ს) ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ : ა ბ ა
პ ა , მ ი დ ი !

ღ . მ ი ვ ჰ მ ა რ თ ე თ ... (მ რ ა ვ ა ლ წ ე რ ტ ი ლ ი უ ნ დ ა) .

207 (204) ბროლმან, ლალსა გარეულმან,...

ა . მონადენმა სისხლმა ლოყები დაამშვენა — ირონიულადაა ნათქვამი.

ბ . ი გ ი ტ კ ბ ი ლ ნ ი გონებანი ჩვენთვის მეტად გაამ-
ყ ი ფ ნ ა — ტ კ ბ ი ლ ი გონება ჩვენთვის მეტად გაამწარა.

გ . ა რ ა გ ვ ი ხ ვ ნ ა , ა რ ც ა დ ა გ ვ ხ ს ნ ა , ყო ლ ა ა რ ა დ ა მ ო -
გ ვ კ რ ი ფ ნ ა — ა რ ც ა გ ვ ი ლ ო , ე . ი . ა რ ც უ ე გ ე ი პ ყ რ ა , ა რ ც დ ა გ ვ ა ყ ე ნ ა , ს რ უ ლ ა დ
არაფრად არ ჩაგვაგდო.

დ . მ ი ს ნ ი მ კ ვ ა ხ ე დ მ ო უ ბ ა რ ნ ი მ ა თ რ ა ხ ი თ ა უ ე გ ვ ა მ -
წ ი ფ ნ ა — ეს თქმა ხალხის, კერძოდ, ბავშვთა საქმიანობის საფუძველზეა აღ-
მოცენებული. ბავშვებმა იციან განსაკუთრებით, სულწასულები ნაყოფს
დამწიფებას არ აცლიან, მკვახეს დაბეჭავენ, ხელოვნურად ცოტათი შეამ-
წიფებენ და ისე ჰამენ.

შოთაც ხალხის შვილია, იცოდა ხალხის ეს ჩვეულება. აღსანიშნავია
შ ე მ წ ი ფ ე ბ ა ს ი ტ ყ ვ ა . კ ი ა რ დ ა ა მ წ ი ფ ა , ა რ ა მ ე დ შ ე ა მ წ ი ფ ა .

მართლაც, მკვახე ხილის ამ წესით მხოლოდ შემწიფება შეიძლება და
არა დამწიფება.

შოთამ ამ პროცესის დეტალებიც კი იცის და იშვიათის მხატვრულობითა
და თან ირონიის დართვით გადმოგვცემს საქმის ვითარებას.

208 (205) უმცროსსა ძმასა მივეცით,...

ა . უ მ ც რ ო ს ს ა ძ მ ა ს ა დ ა ე უ თ მ ე თ , უ ფ რ ო ს ი , გ ა ვ ა ჩ ე რ ე თ ;

ბ . ხ ე ლ ი მ ო ჰ კ ი დ ა , დ ა დ ე გ ო ! ეს კი გაუბედა ენით;

გ . მ ა ნ ზ რ მ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ა რ მ ო ჰ კ ი დ ა , ა მ ი ტ ო მ ჩ ვ ე ნ მ ო ვ ე რ ი დ ე თ ,

დ . თ ა ვ ს ა გ ა დ ა პ კ რ ა მ ა თ რ ა ხ ი , დ ა ვ ი ნ ა ხ ე თ — ს ი ს ხ ლ ი დ ა დ ი ნ დ ა .

209 (206) მით ერთითა მათრახითა...

სტროფი საყურადღებოა თავისი რიტმულობითა და ბგერათყდერით. სა-
მი გალახული ძმა მოუთხრობს ავთანდილს, თუ როგორ გაამათრახა ისინი
ტარიელმა, განსაკუთრებით, უმცროსი, რომელიც სიკვდილის პირამდე მიიყ-
ვანა. მართალია, ძმები წარსულ ამბავს მოუთხრობენ, მაგრამ თხრობა ისე
მიმდინარეობს, რომ ცოცხლად გადმოსცემს ამბავს: როგორ ჩატარდებოდა
ფაქტიურად გამათრახების სცენა?

უმეველად ელვის სისწრაფით, გამეტებულად. შეტევისას ტარიელმა
სხვაგვარი ხასიათი საქმიანობისა არ იცის. მაშასადამე, თვით სტროფიც, ამ-
ბის გადმომცემი მალი, მაღალი შაირით უნდა იქნას გადმომცემული.

სიმეტრიული თანამიმდევრობით გაწყობილი ზიტყვები აქ ორ-ორ —
ოთხ-ოთხ მარცვლიანია, რაც თანაბარზომიერად მოკვეთილ ოდენობათ იძლე-
ვა და ეს ქმნის უდიდეს სიჩქარეს. ვერავითარი სხვა ზომით, ამ შემთხვე-

ვაში დაბალი შაირით, ამ სულმოუთქმელობის გადმოცემა ვერ მოხერხდება.

მაგრამ სტროფი საყურადღებოა არა მარტო თავისი ტემპით: იგი გასაოცარია თავით ბგერათყდერითაც, რომელიც სავსებით შეეფერება მოქმედების ხასიათს.

ხ ე ვ ა და ფ რ ე წ ა ყოველ შემთხვევაში, ყოველ ბგერაში ისმის.

კ ა ე ლ ა ფ ე რ ს ა მ ა ს კ ი ი ძ ლ ე ვ ა თ ა ნ ა ბ რ ა დ და ს ა თ ა ნ ა დ ო ლ გ ა ნ რ ი გ ე ბ უ ლ ი ხ და წ ბ გ ე რ ე ბ ი

210 (207) „ალარ დაბრუნდა, წავიდა“...

ტარიელმა გალახა ხატაელთა უმცროსი ძმა და განაგრძობს გზას. როგორი უნდა იყოს მისი სიარულის ტემპი? ისეთი, რომ ოდნავადაც არ შეიბღალოს რაინდის გმირობა, იგი ისე უნდა წავიდეს, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო. ვილაც ციღამტკაველას შეხვდა, გააწყობარტა და ღინჯად და აღუშფოთველად მიდის და „მიეფინების მზე ველად“.

ამიტომაცაა ეს ამბავი გადმოცეპული ნელი ტემპით, დაბალი შაირით. ჩქარი ტემპი და გაქცევა, სილაჩრე, შიში იქნებოდა.

სტროფს ეჭირვება სხვა მხრივ კორექტივი.

ყველგან ხელნაწერებსა და დაბეჭდილებებში წერია:

გ. ა გ ე რ ა მ ი ვ ა , ნ ა ხ ე ო , ი გ ი მ ზ ე ე ბ რ და მ თ ე ა რ ე ბ ლ ა დ . მე ვ ა ს წ ო რ ე ბ : ე გ ე რ ა მ ი ვ ა . ი მი ტ ო მ , რომ ა გ ე რ ა მი უ თ ი თ ე ბ ს ა ხ ლ ო ს ა გ ა ნ ზ ე , ხ ო ლ ო ე გ ე რ ა — შ ო რ ს .

აქ კი აუცილებლად უნდა შორს იყოს. მართლაც, მესამე სტრიქონი გადმოგვცემს:

შ ო რ ს უ ჩ ვ ე ნ ე ბ დ ე ს ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს მ ტ ი რ ა ლ ნ ი გ ა უ ხ ა რ ე ბ ლ ა დ .

ამასვე ადასტურებს მეოთხე სტრიქონის დასაწყისი: ო დ ე ნ ჩ ნ დ ა — რომელიც მხოლოდ შორისთვის ითქმის.

211 (208) აპა მიჰხვდა ავთანდილსა...

უარყოფითი კონსტრუქციით დადებითი ფაქტია გადმოცეპული: ავთანდილმა შეწყვიტა ტირილი, ავთანდილს მიჰხვდა სიამე, გაუხარდა, რადგან ტყუილ-უბრალოდ არ ჩაუარა მას ამდენმა გარეთ ყოფნამ; კაცს აუსრულდეს საწადელი და რასაც ეძებდეს ის იპოვოს, მაშინ მან არ უნდა დაიხსომოს ვარდასრული, წარსული კირი.

212 (209) უთხრა თუ: „ძმანო, ვარ ვინმე...“

ა. უთხრა: ძმანო, ვარ ვინმე უცხო ამ უცხო, უცნობ ადგილას,

ბ. იმ ყმის საძებრად მე მოვშორდი ჩემს სამშობლოს,

გ. ახლა თქვენგან შევიტყე სრულიად არა საადვილო საქმე,

დ. ღმერთი შეგეწიოსთ, ნურაფერს თქვენს საწყენს ნუ დაგმართებსთ.

213 (210) ვითა მე მივპხვდი წადილსა,...

ამ სტროფის ორი სტრიქონი წინა სტროფის უკანასკნელი სტრიქონის განმეორებაა.

გ. მი დ ი თ ო ნ ე ბ ა-ნ ე ბ ა ს ა — ნელ-ნელა, ხელიხელჩაკიდებული მი-
დით.

214 (211) ესე უთხრა და წავიდა,...

ბ. ვითა გავაზი გაფრინდა, არ-გაშვებულნი ზეზითა —
ზეზი ბაწარია, რომლითაც ფასაწვრთნელ ქორს აბამენ. ზამთარშიაც ქო-
რი ზეზითაა დაბმული. გაზაფხულზე ქორს გაუშვებენ, რომ ფრთები გაი-
შართოს. დიდი ხნის გაუშვებელი ქორი არაჩვეულებრივი სისწრაფით დანა-
ვარდობს ჰაერში. შედარებაც შოთას აქედან აქვს აღებული.

გ. მთ ვ არ ე, მ ზ ი ს ა შე მ ყ რ ე ლ ი — მთვარე რომ მზეს შეეყრება,
გაქრება, გაუჩინარდება. აქაც, ავთანდილის სისწრაფით ვაქროლაზეა ლაპა-
რაკი: გაფრინდა, როგორც დიდი ხნის გაუშვებელი ქორი და გაქრა, რო-
გორც მთვარე.

ზეზი — პორფირი, ბრწყინვალე რამ, მზე სინათლითა ზეზითა — მზე (ავ-
თანდილ) სინათლით მოსილი.

215 (212) მიეწურა, იგონებდა,...

ა. მიუახლოვდა, ფიქრობდა, როგორ მოაგვაროს ახლოს შეყრა:

ბ. ვაი, თუ, უდროოდ ნათთქვამმა სიტყვამ შმაგი უფრო გააშმაგოს!

გ. ამიტომ საქირთა, რომ გონიერმა კაცმა ბნელი საქმე აგრე მოაწყოს:

დ. არ სიწყნარე, ე. ი. სიჩქარე და მოუფიქრებლობა რაც შეიძლება მოი-
ძულოს, უკუაგლოს.

216 (213) რათგან ისი არის სადმე...

ა. ის ი — იგი.

უ ც ნ ო ბ ო და რ ე ტ ა დ — სინონიმებია.

დ. ი მ ა ლ ვ ი ს — იმალება.

217 (214) ავთანდილ იტყვის: „ეზომნი...“

ა. ეზომნი ქირნიმცა რად ვაცუდენი — ამდენი ქირი, ამ-
დენი უბედურება (რაც მე გამოვიარე), როგორ გავაცუდო, როგორ ჩავატა-
რო ტყუილზებრალოდ.

ბ. რაღაცა არის — ვიღაცა არის. რატომ რაღაცა და არა
ვიღაცა? თუ უცნობის მიმართაა, თუ პიროვნება გაურკვეველია, მაშინ
რაღაცა იხმარება, ზოლო, როდესაც ეს უცნობი პიროვნება გაირკვევა,
ნაცნობი შეიქნება, მაშინ — ვიღაცა.

თუ მცა არ ედგენეს ბუდენი — რომ არ ჰქონდეს ბუდე, რომ
არ ჰქონდეს ბინა.

გ. რაზომც მოვლიდეს ზღუდენი — რამდენიც არ უნდა იაროს.

დ. მუნიტგან ვძებნე ღონენი ჩემნი, არ დასამრუდენი — იქიდან ვძებნე საშუალება ჩემი სწორი, უტყუარი.

218 (215) წინა-უკანა იარეს...

ა. წინა-უკანა იარეს — ერთი წინ მიდის, მეორე უკან მისდევს.

გ. წამენი — წამნი.

დ. მინდორთა მოსალამენი — მინდორთა დასასველებელი; ახლა ლიტერატურულია — ნამევა, ლამევა, დაღამევა დასავლურ კილოებშია დარჩენილი.

219 (216) დღისით ვლეს და საღამო-კამ...

ა. ქვაბნი — გამოქვაბულნი.

ბ. რასდენი — რამდენი.

222 (219) ყმამან უთხრა: „დაო-ასმათ....“

ა. ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს — (გადატ.) დიდი უბედურება დაგვატყდა თავს.

ბ. ველარ მივხვდით უამიერად — დროზე ვერ მივსწვდით.

223 (220) იგი ტევრი გაეხშირა...

ა. იგი ტევრი გაეხშირა დანაგლეჯსა მათსა თმასა — იგი ტევრი, ე. ი. თმა გაეფშვიათებინა, გაეთხელებინა დანაგლეჯსა, ე. ი. თმა იმდენი დაიგლიჯეს, რომ გაითხელეს.

გაეხშირვა, გამოხშირვა — გათხელება, გაიშვიათება. ეს სიტყვა ახლაც ცნობილია: სიმინდის გამოხშირვა.

ბ. ერთმანერთსა ეხვეოდეს — ყმა ქალსა და ქალი ყმასა — ლექსი საგულისხმოა თავისი წყობით, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი: ყმა ქალსა,

ქალი ყმასა

ჯვარედინადაა გაწყობილი, ბერძნული X-ის მსგავსად.

ამგვარი ხერხი ძველთაგანვეა ცნობილი. მას ხიაზმი ეწოდება. (ბერძნული X-ის მიხედვით).

ამ ხერხს მიმართავენ მაშინ, როდესაც უნდათ განსაკუთრებით ცოცხლად წარმოიდგინონ მოქმედება.

ასმათი და ტარიელი ისე შეხვდნენ ერთმანეთს, როგორც დიდი ხნის უნახავი და აქედან არაჩვეულებრივი სისწრაფე შეხვედრისას, ერთმანეთზე გადახვევა, რომელიც თავისთავად X-ის მსგავს ფიგურას ქმნის.

დ. ქცევა-ზმა — სინონიმებია. ქცევა იგივეა, რაც მოქმედება, ზმაც — მოქმედებაა.

224 (221) სული დაიღო მან ქალმან,...

ა. სული დაიღო მან ქალმან — გაჩუმდა ქალი.

დ. მას ღღესა გარდახდა გამოსრულობა — იმ ღღეს გათავდა გარეთ გამოსვლა, მეტი უკვე აღარ გამოსულან გარეთ.

225 (222) ავთანდილს უკვირს: „ამბავი...“

ა. უკვირს — საგონებელშია.

დ. წყნარად, არ რამე ჩხერიოთა — ერთიორითაა.

226 (223) მის მოყმისა წესი იყო,...

ა. მის მოყმისა წესი იყო, მეტსა თურე არ ასრე ჯდა — ასეა დაბეჭდილი საიუბილეო გამოცემაში.

ყოვლად შეუძლებელია „მეტსა თურე არ ასრე ჯდა“. იგი უდრის — მეტსა თურმე არ აგრე ჯდა. უნდა იყოს: მეტსა თურე არას ეჯდა, ე. ი. აქ ჯდომა სიტყვა და მიხგან ნაწარმოები ჯდა კი არ არის, არამედ ეჭო სიტყვა. ეჭო არის გზა, სავალი, დისტანცია, სადგური ე. ი. მეტსა თურე არას ეჯდა — მეტს თურმე არ სადგურობდა, არ ეჯობდა, არ ჩერდებოდა. ეჭო გვხვდება ვ. ტ-ში სხვაგანაც:

ადრე დაგბრუნდიო, ვარეთ არ ეჭა ვზისა შორისა; (477, 3)
ერთა აღმა, ერთი ჩაღმა, უგზოდ ვლიდეს შაბთა ეჭით (950, 2)

227 (224) ავთანდილ ახლოს კვლა ნახა...

ბ. უღვაშაშლილი — უღვაშაკოყრებული.

წვეერგამო — ეს სიტყვა სხვადასხვაგვარად ესმოდათ: ზოგი უწვეერულად მართავდა, ზოგიც კი, პირიქით, წვეერიანად მიიჩნევდა. ჩუბინაშვილი უწვეერულად რაჯბდა, მასზე დამყარებით იუსტ. აბულაძეც აგრე განმარტავს: უწვეერული, პირტიტველა.

მართალია ის, ვინც წვეერგამოს უწვეერულად მიიჩნევს. მართლაც: უღვაში უფრო ადრე ამოსდის ადამიანს, ვიდრე წვეერი და თუ უცხო ყმა, ე. ი. ტარიელი, უღვაშაშლილი იყო, ე. ი. ის-ის იყო უღვაში ამოსდიოდა. ყოვლად შეუძლებელია, რომ იგი წვეერიანი ყოფილიყო. მაშასადამე, წვეერგამო არის უწვეერული. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს ერთი ადგილი „მამათა ცხოვრებიდან“ (საქ. მუზ. ხელნაწ. № 4332. A 1105): „...შთამოვიდეს ორნი კაბუენი უცხონი მუნ, და ერთსამას ესხნეს წუუშრნი, ხოლო მეორე — იგი იყო წუუშრგამოაოდენ“.

ამას მხარს უჭერს სომხური ტექსტიც, სადაც სათანადო ადგილას წერია: „თვინიერ წვეერებისა“, ე. ი. წვეერების გარეშე, უწვეერული. სხვაგვარად: წვეერგამო (ამონაწერი მომაწოდა პროფ. ი. აბულაძემ)⁴¹.

გამო უნდა იყოს ოდესღაც მთელი სიტყვის, დამოუკიდებელი სიტყვის

⁴¹ პროფ. ილ. აბულაძის ამონაწერი ქართულ-სომხური პარალელური ტექსტებით ხელნაწერს თან ახლავს.

ნაშრი. ხომ არაა ეს სიტყვა გამოკლებით, წვერგამოკლებით, წვერის უმისოდ.

228 (225) მასვე გზასა წამოვიდა...

ბ. შამბი გავლო, გაეშორა, თავი მიწოდორს გააგორა — აქ მოცემულია ანაფორული ალიტერაცია, შეერთებული ასონანსთან: გავლო, გაეშორა, გა — გარა, რაც იმის მათუწყებელია, რომ უცხო ყმა არაჩვეულებრივი სისწრაფით გაშორდა იქაურობას.

229 (226) აწ ანას ჩემთვის ღმრთისაგან...

ა. ღმრთისაგან — უდრის დღევანდელ სტანდარტულ გამოთქმას — ღვთის მადლით.

გ. მართალი გავაბრკობინო — კაუზატივია ბრკობა ზმნისა: მართალი ვანვასჯევინო, მართალი დავადგენინო (ასმათს).

230 (227) ჩამოვიდა, ცხენი ახსნა...

გ. ქვაბი დახვდა კარ-განხმული — გამოქვაბული დახვდა კარგაღებული: განხმა იმავე ძირისაა, რაც გაღება; იხმარება, როდესაც ობიექტი მრავლობითშია, მაშასადამე, იგულისხმება კარ-განხმული.

დ. პირი-ვარდი, ბროლ-ბაკმული — მუღმივი, სტერეოტიპული ეპითეტია, ამ შემთხვევაში, ტარიელისა: სახე ვარდივით, ბროლივით მოელვარე.

ბაკმი — სინათლის რკალი, მოელვარე.

231 (228) ვერ იცნა, სახე არ ჰგვანდა...

დ. ზახილსა მუნ ერთსახესა — ზახილი ერთი სახე — გაბმული, ერთი სახის, ერთი ტონის ხმა, ძახილი.

ხმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთსახესა — გაბმულ, გამკვივან ქალის ძახილს კლდენი ეხმაურებოდნენ.

232 (229) მას ყმასა თავი არ მისცა...

ა. მას ყმასა თავი არ მისცა — ყმას არ დაჰნებდა ჰვრეტადცა ებილწებოდა — შესახედავადც ეზარებოდა.

ბ. გ. მეორე და მესამე სტრიქონში სინტაქსური დანაწევრება სიტყვებისა არ ემთხვევა მეტრულ დანაწევრებას:

ვითა კაკაბი არწივსა || ქვეშე მი და მო ძრწებოდა
ტარიელს ეისმე უზახდა || მწედ, თუცა არ ემწებოდა.

ქვეშე და მწედ — სინტაქსურად პირველ ნახევარს ეკუთვნის, ხოლო მეტრულად — მეორე ნახევარს. ეს იმიტომ, რომ ყურადღება გამახვილდეს არწივსა და უზახდა სიტყვებზე. არწივსა ქვეშე, უზახდა მწედ.

დ. ავთანდილ მუხლთა უყრიდა, თითითა ეხვეწე-

ბოდა — როდის და როგორ წარმოებს თითო ზვეწნა? თითო ზვეწნას მაშინ მიმართავენ, როდესაც სახვეწნელი პიროვნება განსაკუთრებით მოსაზრობია და როდესაც სახვეწარი დიდ რასმე, ძნელად შესასრულებელს შეიცავს. ამიტომაც, მარტო სიტყვიერი ზვეწნა უკმარია და მახვეწარი სიტყვასთან ერთად თითო იშველიებს, უკეთ: ცერსა და სალოკს და მათის ყელზე მიდებით, ხშირად მუხლმოყრილი, განაგრძობს ზვეწნას.

ამგვარად ზვეწნა ჩვენში დღესაც ცოცხალია, მას დღესაც გასავალი აქვს ჩვენში, ხალხურია, მამასადამე, შოთამ ხალხისაგან აიღო ეს ჩვეულება.

233 (230) ეტყოდა: „სულე! რამც გიყავ?...“

ა. ეტყოდა, გაჩუმდი, რა უნდა გიყო, რა უნდა გიქნა, კაცი ვარ, ადამიანი.

სულე! — ბრძანებითი კილოა სულევა ზმნისა;

სულევა — სულის მოთქმა, სულის დათქმა, გაჩუმება, დაწყენარება.

სულე — გაჩუმდი! ეს სიტყვა დღესაც ცოცხალია საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. ბავშვის გასაჩუმებლად სხვა არა იხმარება, თუ არ სულე, ხოლო მისგან შემოკლებული სახე სუ ჩვეულებრივია მთელ საქართველოში.

გ. ტან-სარო, პირ-ბაკმიანი — კვლად მუდმივი ეპითეტებია ტარიელისა.

234 (232) ქალი ეტყოდა ტირილით,...

ა. ქალი ეტყოდა ტირილით, ჩივილი მისი ჰგავდა ბჭობას, მსჯელობას; მიუხედავად იმისა, რომ ტირის, მაინც კარგად მსჯელობს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სტროფის სიტყვები ისეთია მოხმობილი, რომ ცნადად ჩანს, მსჯელობა მწვავე ხასიათს მიიღებს.

ბ. თუ არ შმაგი ხარ, დამეხსენ; შმაგი ხარ — მოდი ცნობასა — კატეგორიულადაა საკითხი დასმული. მომდევნო სტროფში ეს კატეგორიულობა უფრო მწვავედაა წარმოდგენილი.

235 (232) კვლა ეტყვის: „ყმაო, რა გინდა...“

ა. რა გინდა, ანუ მენუკვი მე რასა — სინონიმური პარალელიზმია.

გ. შენ ერთხელ მეტყვი მითხარო; მე ასჯერ გეტყვი ვერასა — შებმა-შეტაკებამ რომ მწვავე ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით ამ სტრიქონში ჩანს. აქ სტრიქონი ორადაა გაყოფილი. თითოეულ ნახევარში ოთხ-ოთხი სიტყვაა. ამასთანავე პირველი ნახევრის თითოეული სიტყვა ზუსტად უპირისპირდება მეორე ნახევრის სათანადო სიტყვას:

შენ-მე: ერთხელ-ასჯერ; მეტყვი-გეტყვი; მითხარო — ვერასა.

ნამდვილი ზღაპრული ომია. როგორც იქ, ხელჩართული ომის დროს, უკვე შორს მოქმედი იარაღით ბრძოლას ვერ აწარმოებ, ასე აქ პირისპირ შეხვედრისას, მწვავე შეტაკების დროს გრძელი სიტყვა, შორი სიტყვა უადგი-

ლოა, ამიტომაცაა მოკლედ მოქრილი. პარალელიზმი-დაპირისპირება უთუოდ ხალხური უტყუარი ხერხია და დაკავშირებულია ხალხურ პოეტურ ზომასთან, სახელდობრ, 16 მარცვლიან შაირთან. სწორედ იმის გამო, რომ შაირი 16 მარცვლოვანია, ე. ი. ლუწმარცვლოვანი, სტრიქონი ორ თანაბარზომიერ ნაკვეთად იყოფა და ეს ჰქმნის იშვიათ პარალელიზმს — დაპირისპირებას: დაპირისპირება გულისხმობს ორ მხარეს, რომელთაგან თითოეულმა თანაბარზომიერად უნდა უპასუხოს და ეს შეიძლება მხოლოდ 16 მარცვლისას — რვა-რვა თითოეულ ნახევარში.

დ. ვითა სიცილი ტირილსა, ვაგლახი მიჯობს მღერასა — როგორც სიცილი უმჯობესია ტირილსა, ისე ვაგლახი, მოთქმა მიჯობს სიმღერას (მღერა — აქ სიმღერაა). რასაკვირველია, ამგვარი შედარება შესაძლებელია, მაგრამ ხომ არ შეიძლებოდა ამგვარი ვარიანტიც:

ვითა ტირილი სიცილსა, ვაგლახი მიჯობს მღერასა.

236 (233) ქალო, არ იცი, სით მოვალ...

ბ. ოდითგან — რა დროიდან.

გ. სიტყვანი ჩემნი რაზომცა გწყენიან — რამდენიც არ უნდა გეწყინოს ჩემი სიტყვა...

237 (234) ქალმან უთხრა: „რას შეგესწარ,..."

ა. რას შეგესწარ, მე ვინ ვარ და ანუ შენო? — რას გადამაკიდე, ვინ მე, ვინ შენ? ე. ი. ჩვენ სხვადასხვა ვართ, ერთმანეთისთვის უცხონი ვართ.

ბ. მზე არ მახლავს, შეგეტყუებებს, თრთვილო, ასრე მით მაწყენო — თრთვილი და მზე შეუწყობელია, ამოვა თუ არა მზე, თრთვილი იმ წამსვე გაქრება. ატყობ, რომ მზე (ტარიელ) არ არის ჩემთან და ამიტომაც შენ, თრთვილო, მზერავ, მაწუხებ.

238 (235) კვლაცა ჰკითხა ზენარობით,...

ბ. მაგრა ვერა ვერ დაჰყარა — მაგრამ ვერასუბით ვერ დაიყოლია.

გ. პირსა ზედა გაგულისდა — მრისხანე სახე მიიღო.

თვალთა სისხლი მოედინა — სინონიმური პარალელია სტრიქონის პირველი ნახევრისა, იგივეა, რაც — პირსა ზედა გაგულისდა.

239 (236) ეგრე უთხრა: „მე ეზომი..."

ა. მე ეზომი ჯავრი ვითა შეგარჩინო? — მე ამდენა წყენა როგორ შეგარჩინო?

ბ. რავგვარა თუ ამატირო — როგორ თუ ამატირო.

ხოლო მეორე ნახევარი — ცრემლი ცუდად დამადინო, პირველი ნახევრის აზრს სხვაგვარი მხატვრული სახით იმეორებს.

დ. თვარა — დარჩენილია დასავლურ კილოებში. ახლა ლიტერატურულია — თორემ.

240 (237) ქალმან უთხრა: „ეგე ღონე...“

ბ. თუ არ მომკლავ, არ მოვკვდეები, მრთელი ვარ და მოუკლავი — ოთაჯერაა ერთი და იგივე აზრი სხვადასხვა მხატვრული სახით გადმოცემული.

242 (239) ჩემი სიკვდილი შენ ჩემად...

გ. ჩალად მაჩნის — ხალხურია.

246 (243) უთხრა: „ვიცი, აღარ ვარგხარ...“

დ. ამად რომე შეცოდება შევიდ გზის თქმულა შესანდობლად — პოეტური გადმოცემაა სახარების სიტყვებისა: „და თუ შევიდ გზის ღლესა შინა შეგცოდოს შენ და შევიდ გზისვე მოიქცეს შენდა და თქვას: ვინანი, მიუტევე მას“ (ლ. 17,4).

257 (254) აწ, დაო, შენთა ხელთაა...

დ. თვარ ვისმცა ექმნა (შესწორებულია — ექმნას) გორლითა შეკვრა თავისა მრთელისა.

261 (258) ამის მეტსა ვერას გითხრობ...

ბ. ისი — იგი.

არონინებს — ატარებს.

ტანსა მტერსა* მემაჯანსა — ტანს მტრების დამაძაბუნებელს, გამანადგურებელს (შდრ. 1603 სტროფში „იგი ხელმწიფე უკადრი, მებრძოლთა მემაჯანია“).

ისი მინდორს არონინებს ტანსა მკვევრსა, მემაჯანსა — ასეა საიუბილეო გამოცემაში, ამასთანავე სიტყვები მძიმითაა გამოყოფილი, თითქოს ისინი თავისებური სინონიმები იყვნენ. რაკი მემაჯანი არის დამაძაბუნებელი, გამანადგურებელი, უცილობელია, რომ პირველი სიტყვა უნდა იყოს არა მკვევრსა, არამედ მტერთა, როგორც ეს ზოგიერთ ხელნაწერშია და ბეჭდურ გამოცემებშიაც (იუსტ. აბულაძე). თუ ასე მივიღებთ, მაშინ ლექსი ამგვარად გააზრიანდება: იგი მინდორს არონინებს ტანსა მტერთა მემაჯანსა, ე. ი. იგი მინდორს ატარებს ტანს მტერთა დამაძაბუნებელს, მტერთა მომსპობს.

დ. აწვე მოვა არა ვიცი, თუ დაჰყოვნის დიდსა ხანსა — დაჰყოვნის წყვეტილის ხოლმეობითა; არ ვიცი ახლავე მოვა, თუ დიდხანს დაიყოვნებს, დაყოვნდება ხოლმე.

* საიუბილეოში: მკვერსა

ამის შეტეს ვერაფერს გეტყვი, იგი მინდორს ატარებს თავის ტანს, მტერ-
თა დამაძაბუნებელს (იგი მტერთა დამაძაბუნებელია). მე კი საბრალო, ვსჯამ
მისგან მოტანილ ნადირის ხორცს: არ ვიცი, ახლავე მოვა თუ დიდხანს
დააყოვნებს.

262 (259) ამას გვედრებ მოიცადო,...

ა. ა რ ო — არონინო.

ამას გვედრებ მოიცადო — იგივეა, რაც — თავი შენი
არსად არ ო — ერთი ფაქტი ორი მხატვრული სახითაა გადმოცემული.

ამას გვხვეწები, არსად წახვიდე.

ბ. როცა მოვა შევეხენეწები, იქნებ რამე მოვაგვარო:

გ. ერთმანეთი გაგაცნოთ, შენი თავი შევავარო და

დ. თვით გიამბოს თავისი საქმე და ამით მიზანს მიღწეული შენი საყვარე-
ლი (თინათინი) გაახარო.

263 (260) ქალსა ყმამან მოუსმინა....

ა. მოუსმინა, დაჰმორჩილდა, დაჰრთო ნება — სინონიმებია, დაღმა-
ვალი გრადაციის წესით ვაწყობილი.

ბ. ამა ზედა — ამასობაში.

მოიხედეს, ხევით ესმა ჩხაპუნება — სუბიექტი მრავ-
ლობითშია, მაშასადამე, მოსალოდნელი იყო ხევით ესმათ, მაგრამ
ქველსა და საშუალ ქართულში მიცემითში დასმული ლოგიკური სუბიექტის
მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნებოდა.

ჩხაპუნება — წყალში გასვლის ფეხის ხმა ჩხაპუნი, კყაპუნი.

გ. მთვარე წყალსა გამოსრული ნახეს შექთა მოფინება — მთვარე და
შექთა მოფინება ტარიელის ეპითეტებია:

მთვარე წყალსა გამოსრულინახეს... ნახეს სინტაქსურად ეკუთვნის ლექ-
სის პირველ ნახევარს, მაგრამ მეტრულად მეორე ნახევრისაა.

დ. უკურიდეს — უკან გამობრუნდნენ, უკან დაიხიეს, უკურიდეს.
აღარა ქმნეს მუნ ხანისა დაყოვნება — აქაც ერთი ფაქტი
ორი სხვადასხვა მხატვრული სახითაა გადმოცემული, ჩვეულებრივი პარალე-
ლიზმია „ვეფხისტყაოსნისა“.

ავთანდილმა მოუსმინა ასმათს, დაემორჩილა; ამასობაში, გაიხედეს და
მოესმათ წყალში ცხენის ფეხის ჩხაპუნი; დაინახეს, წყალს გამოსულა ტა-
რიელი, თავი მოარიდეს, უკან გამობრუნდნენ.

264 (261) ქალმან უთხრა: „ყმაო, მოგცა...“

ა. ყმაო — დროზე.

გინა — აწმყოა; გინდა — ნამყო უწყვეტელია. ახლა იხმარება აწმ-
ყოს მნიშვნელობით.

ბ. მაგრა თავი უჩინო ქმენ, იგივეა, რაც: დამალული
იყავ შინა.

გ. მეუნებლე — მოწინააღმდეგე, ურჩი.

ხორციელი — ხორცშესხმული, ადამიანი.

არავინა — არავინ არის.

ღნუთუ ვით რა — ეგების, როგორმე რამე.

ქალმა უთხრა: ღმერთმა დროზე მოგცა, რაც გინდოდა; მაგრამ ჯერჯერობით დაიმალე; რადგან მისი (ტარიელის) ნების უარყოფელი, მოწინააღმდეგე, ხორციელი, სულიერი, არავინ არის; ეგების როგორმე რამე მოვაგვარო, რომ შენი ნახვა არ ეწყინოს.

265 (262) ავთანდილ ქალმან დამალა...

გ. ცრემლითა, ზღვათაცა შესაძალითა — ცრემლითა, რომელთაც ზღვა შეირთავს და ზღვას შეერთვის, რომელიც ზღვაში დაიმალება. ავტორს ამით იმის თქმა უნდა, რომ დიდძალი ცრემლი ღვარესროგორ? საქმე ის არის, რომ ზღვას უშუალოდ ყველა მდინარე ვერ ერთვის, არამედ მხოლოდ დიდი. მცირე მდინარე ჩვეულებრივ, უფრო მოდიდოს ერთვის, მოდიდო — უფრო დიდს. აქ კი, ცრემლი ზღვათაც შესართავად გამოდგებოდა, მაშასადამე, იგი დიდძალი იყო, დიდხანს ტიროდნენ, რაც კიდევაც მოცემულია მომდევნო სტროფში: დიდხანს იტირეს...

266 (263) ამარტის ფერად შეცვალა...

ა. ამარტი — ქარვა.

ბროლი — აქ: თეთრი პირის სახე.

ვარდი — ლოყა დაწვი.

ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან — ქარვის ფერად შეცვალა თეთრი პირის სახე ლოყების ცრემლით ჩამორეცხვამ, გააყვითლა, დაამწუხრა.

ბ. ქალმან შაოსანამან — შავით მოსიღმა ქალმა.

გ. აბჯარი, — რკინის სამოსელი სხეულისა.

შეხსნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან — ლექსი საგულისხმოა ანათორული ალიტერაციით: შეხსნა, შეიღო, შეიყვანა. ხაზი ესმის შიგ შესვლას.

დ. შავმან გიშრისა დანამან — შავმა წამწამებმა. წამწამები დანად იგულისხმება.

დადუმდეს... ცრემლნი მოჰკვეთნა შავმან გიშრისა დანამან — დადუმდნენ, ცრემლი შეაჩერეს შავმა წამწამებმა.

267 (264) ავთანდილ სარკმლით უჭვრეტდა...

ა. სარკმელი — სანათური.

ნააზატები — აზატქმნილი, განთავისუფლებული.

ავთანდილ სარკმლით უჭვრეტდა, ტყვე საკნით ნააზატები — ავთანდილი ხომ დამალული იყო, უჩინო (მაგრამ თავი უჩინო ქმენ, დამალული იყავ შინა). ახლა ისარგებლა ტარიელის მოსვლით და დაიწყო სარკმლიდან ჰკრეტა ტყვემ, რომელიც დამალულიდან განთავისუფლდა (საკნით ნააზატები).

ბ. ნ ა ტ ი — ქვეშაგები ტყავი.

გ. ს უ ლ თ ქ ე ა მ ს — ოხრავს.

დ. გ ა ე წ ნ ა — გაეყო; ს ა ტ ე — საჩრდილობელი, გ ი შ რ ი ს ს ა ტ ე - ბ ი — წამწამები.

ავთანდილი, სამალავიდან განთავისუფლებული, სარკმელიდან უქვრეტდა; ქალმა (ასმათმა) ყმას (ტარიელს) დაუგო ფეხქვეშ ვეფხის ტყავი; ტარიელი ზედ დაჯდა და ოხრავს. გიშრის საჩრდილობელი, წამწამები, სისხლის ცრემლებს შუაზე გაეყო (დიდხანს ტარილის დროს წამწამები სველდება და რამდენიმე ბეწვი ერთდება და ამით მთელი წამწამი რამდენიმე ნაწილად იყოფა).

268 (265) მან ქალმან ხელყო კვესითა...

ა. ხ ე ლ ყ ო — დაიწყო.

გ ზ ე ბ ა — ანთება.

ნ ე ლ ი — არაძლიერი.

ქალმა დაიწყო ნელი ცეცხლის გზება.

ბ. შ ე უ ქ ნ ე ლ ი — აუქნელი, მთლიანი.

ფიქრობდა, ეგებ შექამოს მთლიანად შემწვარი ხორცი.

გ. მ ი უ პ ყ რ ა — მიაწოდა.

მიაწოდა; მან კი ერთი ახლიჩა და ისიც გაუძნელდა.

დ. ძ ა ლ ი ა რ ჰ ქ ო ნ დ ა, და უ წ ყ ო გ ა მ ო ყ რ ა უ ც ო ხ ნ ე ლ ის ა — ძალა არ ჰქონდა და უცოხნელი გამოყარა.

269 (266) ცოტად მიწვა, მიიძინა...

ა. პირველი სტრიქონი რომ გასაგები იყოს, ასე უნდა დალაგდეს: თუცა ცოტა მიწვა, მიიძინა, მაგრამ სრულად არა მეტი.

გ. ი ზ ა ხ დ ის და წ ა მ წ ა მ ი კ რ ის გ უ ლ ს ა ლ ო დ ი, თ ა ვ ს ა კ ე ტ ი — ი ზ ა ხ დ ის და ი კ რ ის — ხოლმეობითია, მრავალგზისია, მაშასადამე, გამუდმებით, გაუნელებლივ ბლაოდა და გულში ლოდს და თავში კეტს იცემდა, ე. ი. მეტად შეწუხებული იყო.

დ. ც ა ლ კ ე რ ძ — ცალკე, მოშორებით.

თუმცა ცოტა მიწვა და მიიძინა, მაგრამ სრულიად მეტი ვერა; შეკრთა, დიდი დაიყვირა და წამოიჭრა როგორც გარეტიანებული; გაუნელებლივ ყვიროდა და გულში ქვას და თავში კეტს იცემდა; ცალკე, მოშორებით იჯდა და პირისახეს იხოკავდა ქალი მისი შემხედვარე.

270 (267) „რად დაბრუნდი?“ მოახსენა...

ა. მ ო ა ხ ს ე ნ ა — მოწიწებისაა, ნიშნავს: შეეკითხა.

ბ. უ ბ რ ძ ა ნ ა — უფროსობისაა, ნიშნავს: უპასუბა.

მონადირე მეფე ვინმე გარდმეკიდა — ვინ არის ეს მეფე: როსტევეანი თუ სხვა ვინმე? ვინაიდან მეტად დიდი დრო გავიდა როსტევეანთან პირველ შეხვედრასა და ამ ამბავს შორის, უნდა ვიგულოთ, რომ ეს სხვა მეფეა.

დ. დაეფანჩვა მარეკი და — ნადირის მრეკელი ხალხი დაეფან-
ტა, ნადირის მარეკთ მთელი მიდამო მოეცვა.

და — დაეფანჩვა — ზმნის წინსართის განმეორებაა. აზრის გასამკეთ
რებლად ნახმარი.

რად დაბრუნდი? შეეკითხა, მითხარ, რაც მოგივიდა. მან უპასუხა: ერ-
თი ვინმე მონადირე გადაამეკიდა. ჰყავდა აუარებელი ლაშქარი, რომელიც
მძიმედ იყო დატვირთული. მეფე მინდორში ნადირობდა, ნადირის მრეკელთ
მთელი მინდორი დაეფარა.

271 (268) სევდად შეცა კაცთა ნახვა....

ა. კაცთა დანახვამ შემაწუხა, ცეცხლი (მწველი) უფრო მოვიმატე;

ბ. ახლოს არ მიუყვები, თავი ჩემი შევიბრაღე, დაეზოგე.

გ. მათგან მკრთალი შემოვბრუნდი, ტყესა შიგან
დავიმალე — აცახტახებული გამოვბრუნდი და ტყეში დავიმალე.

დ. ვთქვი: ნუთუმცა უკუმრიდა, რა გათენდეს, წა-
ვალ ხვალე“

ნუთუმცა — იქნება როგორმე.

ვთქვი: ეგების გამშორდეს და როგორც კი გათენდება, ხვალ წავალ.

272 (269) ქალსა ცრემლი გამოსცვივდა...

ა. ასნაკეცი — ასჯერ გამრავლებული, ბევრი.

ბევრის-ბევრი — ათიათასჯერ ათიათასი, ბევრი; ასნაკეცი,
ბევრის-ბევრი — მრავლის უმრავლესი.

ბ. იარები — დადინარ.

ტევრად — ტყვედ, ტყეში. სახ. ტევრი.

გ. საუბრად და შემაქცევრად — რომ გესაუბროს და გაგარ-
თოს.

დ. მას მაგითა ვერას არგუბ — მას (ნესტანსა) მაგისთანა
საქციელთ ვერ უშველი.

ლღეთა შენთა ცუდად ჰლევ რად? — შენს სიციცხლეს
ტყუილ-უბრალოდ რატომ სპობ?

273 (270) ყოვლი პირი ქვეყანისა...

ა. ყოვლი პირი ქვეყანისა — მთელი ქვეყანა. მთელი ქვეყანა
მოგივლია და ერთი კაცი გამრთობი როგორ გაგიწყდა, როგორ დაგვლია. რომ
გვახლოს არ გაშმაგდე, არ გაგიუდე, თუმცა ჭირი არ გაკლია.

დ. წახდეს — დაიკარგოს, მოისპოს, მოკვდეს.

შენ მოჰკვდე და იგი წახდეს — ერთი ფაქტი ორი სხვადა-
სხვა მხატვრული სახითაა მოცემული. შენ მოკვდე და იგი (ნესტანი) დაიღუ-
პოს, ეს შენთვის რა მადლია, რა სიკეთეა.

გ. ძალაქვეს — იგივეა, რაც ძალუც, შეუძლია.

დ. ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა — ლექსი ორადაა გაყოფილი, პირველ ნახევარში გადმოცემული ფაქტი მეორე ნახევარში მხატვრულადაა დამოწმებული. სიკვდილი იგივეა, რაც გაყრა ხორცისა და სულისა, თავისებური პარალელიზმია.

უპასუხა: ჩემო დაო, შენი სიტყვები შენივე კეთილი გულის მსგავსია, შესაფერია; მაგრამ ამ ქვეყნად არ მოიპოვება წამალი, რომ ჩემი გულის წყლული განკურნოს; ვის შეუძლია იპოვოს კაცი, რომელიც ჯერ ამ ქვეყნად არ დაბადებულა; (ამიტომ) ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცისა და სულისა.

275 (272) ღმერთმან სხვაცა ეტლსა ჩემსა...

აქ კავშირებითი ვითარებაა გადმოცემული, მაგრამ რადგან მცა ნაწილაკია ნახშიარი, ეს ვითარება წყვეტილშია მოცემული. გადავიტანოთ კავშირებითში:

- ა. ღმერთმა სხვა ვინმე ჩემი ბედის კაცი რად უნდა დაბადოს, ღმერთს ჩემი ბედის კაცი რად უნდა დაეზადა,
- ბ. რომ მისი სიახლე და საუბარი მეწადოს, მომეწადინებინოს.
- გ. ვინ გაუძლოს ჩემს ჰირს, ან ვინ შეეცადოს გაძლებას?
- დ. შენს გარდა, ჩემო დაო, მე სხვა ხორციელი არსად არავინ მყავს.

276 (273) ქალმან ჰკადრა: „არ გამიწყრე...“

ა. ვიაჯ დია — ვიხვეწები დიდად.

ქალმან ჰკადრა: „არ გამიწყრე, ვიშიშვი და ვიაჯ დია“ — ქალმა უპასუხა: არ გამიწყრე ვშიშობ და ვიხვეწები.

ბ. ვაზირობა შენი ჩემზედ მოუგდია — ვაზირობა შენი ჩემზე დაუწესებია, დაუდგენია.

რათგან ღმერთსა ვაზირობა შენი ჩემზედ მოუგდია — რადგან ღმერთს ჩემთვის მოუცია, რომ ვიყო შენი მრჩეველი, (ვაზირი),

გ. რაცა საქმე გამიცდია — რაც საქმე მინახავს, რაც საქმე გამირჩევია.

ვერ დავმალავ უკეთესსა, რაცა საქმე გამიცდია — ვერ დავმალავ უკეთეს საქმეს, რაც მე მიხილავს.

დ. თავი ზომსა გარდგიხდია — ზომას, საზღვარს გადასულხარ.

არა ვარგა უსაზომო, თავი ზომსა გარდგიხდია — ასე იცოდე არაფერი არ ვარგა უსაზომო, შენ კი ზომას გადასულხარ.

277 (274) ყმაჲან უთხრა: „რას მენუკვი,...“

- ა. ყჲამ უჲასუხა, არ ვიცი რას მთხოვ, რა გინდა?
ბ. კაცი ჩემი მოსამსახურე, ამხანაგი უღვთოთ როგორ დავბადო?
გ. ლმერთს ჩემი უბედობა, უბედურება უნდა და მე რაღას ვეცადო (რას-
მე)
დ. ბარემ გავნადირდე, გავველურდე და თავი ასე გავიხადო.

278 (275) ქალმან კვლა ჰკადრა: „გაგსაჯე...“

- ა. შე გონება — დარიგება, რჩევა.
ქალმა ისევე შეჰკადრა: გაგსაჯე ამდენი შეგონებითა და რჩევა-დარიგე-
ბით.
ბ. მაგრამ თუ მე მოგგვარო შენ იმისთანა კაცი, რომელიც მოგყვება თა-
ვისი ნებით.
გ. შემეცნება — გაცნობა.
რომელიც გეახლება და შენ ილხენდე მისი გაცნობით,
დ. დაიფიცე, რომ არ მოკლავ, დაიფიცე, რომ არ სავნებელს (ავთან-
დილს) ვნებას არ მოუტან (არ მიაყენებ).

279 (276) ყმაჲან უთხრა: „თუ მიჩვენებ...“

- ა. ყმაჲმ უჲასუხა: თუ მიჩვენებ მაგისთანა კაცს, ვნახავ და დიდად გავი-
ხარებ.
ბ. ვფიცავ იმის სიყვარულს, ვისთვისაც მე გახლებული, გაგიჟებული ვე-
ლად ვარ გაჰრილი.
სიყვარულმან მისმან — ფიცია, ვფიცავ მის სიყვარულს.
გ. არას ვუზამ უგემურსა, არა ოდეს გავამწარებ — არაფერს უგემურს არ
ვუზამ, ოღნავადაც არ გავამწარებ.

ტარიელის პასუხი კატეგორიული უნდა იყოს და სწორედ ამ კატეგორიუ-
ლობის მაუწყებელია ორმაგი მხატვრული თქმა, ანაფორული ალიტერაციით
გადმოცემული: არას ვუზამ უგემურსა. არა ოდეს გავამწარებ —
უგემური და მწარე — ამ შემთხვევაში ერთი და იგივეა. ამასვე ემ-
სახურება სტროფის უკანასკნელი ლექსიც.

- დ. რაცა ჩემგან ეამების, ვაამებ და შევიყვარებ. — რაც ჩემგან ესიამოვ-
ნება, ყველაფერში ვასიამოვნებ და შევიყვარებ.

280 (277) ქალი ადგა და წავიდა...

- ა. ქალი ადგა და წავიდა ყმის გამოსაყვანად;
ბ. უთხრა: არ ეწყინაო, გაამხნევა;
გ. მოჰკიდა ხელი და მოჰყავს, როგორც მთვარე გამოსაბრწყინი;
დ. როგორც კი დაინახა იგი ტარიელმა, თქვა, მზის მსგავსიაო.

281 (278) გამოეგება ტარიელ,...

- ა. ტარიელი გამოეგება, ორივეს შეშენის, რომ ედარებოდნენ მზეს;
- ბ. ან უღრუბლო მთვარეს, რომელიც შუქს აფენს ქვე ბარს;
- გ. მათთან შედარებით ალვის ხეც უკვე აღარაფერი იყო;
- დ. ორთავე ჰგავდა შვიდ მნათობს, აბა, სხვას რას შევადარებდი.

შვიდი მნათობია: მზე, მთვარე და ხუთი პლანეტა, სახელდობრ: ზუალ (სატურნი), მუშთარ (იუპიტერი), მარის (მარსი), ასპიროზ (ვენერა), ოტარიდი (მერკური) (ამათ შესახებ შემდეგ გვექნება სიტყვა).

აქ ამ სტროფში, შვიდი მნათობი განსაკუთრებული სხივოსნობის, არაჩვეულებრივი ბრწყინვალეობის აღსანიშნავადაა მოხმობილი.

სხვადმცა რისად ვთქვი მე და რად — ჩვეულებრივი გაძლიერებაა აზრისა, ერთი და იმავე კატეგორიის სიტყვის (რისად, რად) სხვადასხვა ფორმით განმეორება.

282 (279) მათ აკოცეს ერთმანერთსა,...

ა. მათ აკოცეს ერთმანეთს, იმის გამო, რომ უცნობები იყვნენ, არ მოპრიდებიან ერთმანეთს.

ბ. პირს აღებდნენ და ბაგეთაგან თეთრი კბილები ანათებდნენ.

გ. ერთმანეთს ყელი-ყელს გადაეხვივნენ, ატირდნენ.

დ. ქარვის ფერად აქციეს თავისი პირისაზე, თუმცა ლალად ფასობდა.

283 (280) მობრუნდეს, ყმაჰან ავთანდილს...

ა. მოსულიერდნენ; ტარიელმა ხელი დაუჭირა ავთანდილს.

ბ. ერთად დასდნენ და დიდხანს იტირეს ცხარე ცრემლით.

გ. სულსა უღებდა — აჩუმებდა.

ასმათი მათ აჩუმებდა:

დ. თავს ნუ მოიკლავთ. თქვენი სიკვდილით მზეს ნუ დააბნელებთ.

ნუ ბნელი-ქმთ მზესა თქვენი თა ბნელითა. — თქვენი სიკვდილით მზეს ნუ დააბნელებთ. ხალხური წარმოდგენაა გადმოცემული მზისა და ადამიანის ურთიერთობის შესახებ, უეჭველად წარმართული. ამ წარმოდგენით ადამიანის სული მზის ნაწილია, ადამიანის სიკვდილით მისი წილი მზისა ბნელდება. ეს წარმოდგენა უკანასკნელ დრომდე ცოცხლობდა ხალხში. ამის ანარეკლია ხალხში დარჩენილი „ღღეს მზე დაბნელდა ჩემია“, ე. ი. მე მოკვდი, ან ჩემიანი ვინმე მოკვდა.

284 (281) ტარიელის ვარდი იყო...

ა. დათრთვილული, არ დაზრული — ერთიორითაა.

გ. ვინ ხარ, ანუ სით მოსულხარ, სადაური, სით მოსრული? —

კითხვა გარკვეულადაა დასმული და გარკვეულობა თავისებური ტავტოლოგიური ანაფორული ალიტერაციითაა აღნიშნული: ერთი და იგივე ამბავი ზმნით და სახელითაა გადმოცემული და ანაფორული ალიტერაციით გაძლიერებული.

ბ. ვის თავი გინაზებია — ვინც ნაზად ქცეულხარ.

წინა სტროფში ტარიელი გარკვეულად შეეკითხა ავთანდილს ვინაობას. ავთანდილის პასუხიც გარკვეული უნდა იყოს, რომ მთლიანად ამოიწუროს საკითხი; ამიტომ ის გარკვეულობაც კვალად ანაფორული ალიტერაციითაა გადმოცემული: — „მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია“.

აღსანიშნავია ბგერა „რ“, რომელიც ხუთჯერაა მოხმობილი ამ ლექსში. „რ“ ბგერა ჩვეულებრივ ტემპს ანელებს და თქმასაც მეტ დამაჯერებლობას და სიმტკიცეს ანიჭებს. ეს ასედაც უნდა იყოს, რადგან ამ საკითხს შემდეგში აღარ დაუბრუნდებიან.

იქვე მოკლედ გამოაცხადა მიჯნური ვარო, რაც მომდევნო სტროფში მხოლოდ ერთ სალექსო სტრიქონშია განმეორებული; „მესწრაფების, მითხარ შენი დაფარული“ და ეს „დაფარული“ თავდაპირველად სხვა რამეა, ტარიელის ამბის გაგებაა და არა პირადი სიყვარული ავთანდილისა.

286 (283) მე პატრონისა ჩემისა...

გ. თავი ვით გინაზებია — როგორ გონია, თუ გახსოვს.

დ. გახსოვსა — ხომ გახსოვს? „ა“ — კითხვის გამომხატველია.

საპყარი — ვინც ხელთ უნდა იპყრა და ისე წაიყვანო, დავარდნილი. არ-საპყრები — მაგრები, მტკიცენი.

287 (284) შენ მინდორს განახეთ გაჭრილი,...

ა. შენ მინდორს განახეთ გაჭრილი და ჩვენ სწორედ მაშინ შეგხვდით, შეგეჩხეთ.

ბ. ჩემი პატრონი გაგიწყრა, ჩვენ მკვახედ, რისხვით წაგეჩხებეთ.

გ. გიხმეთ, მოგიწოდეთ, შენ არ მოხველ, ამიტომ ლაშქარი უკან დაგადევნეთ.

დ. შენ ჩვენი ლაშქრის სისხლი დაათხიე და ველი მთლიანად სისხლით შეღებე.

288 (285) ყველაკასა მათრახითა...

ა. გარდაპკვეთეთ — უნდა: გარდაპკვეთე, როგორც მეორე სტრიქონში — დაგვეკარგე, მესამეში — დაგვემალე. მრავლობითი რიცხვი რითმამ გამოიწვია.

ყველას მათრახით თავი უხმლოდ გადაკვეთე.

ბ. მეფე შეჭდა ცხენს, შენ კი დაიკარგე ისე, რომ გზა ვერ გადაგიჭერთ.

კვალი შენი ვერ მოვკვეთეთ — გზა ვერ შეგიკარით.

გ. როგორც ქაჯი, უსულო დაგვემალე და მონებიც დავაფეთეთ, დავაშინეთ.

დ. ყველაფერმა ამან ისე გაგვაშმაგა, რომ თავი სრულად გავიგიეთ.

- ა. ნ ე ბ ი ე რ ი — განებვირებული, კირვეული.
- ბ. მ ო გ ნ ა ხ ე ს, გ ძ ე ბ ნ ე ს — გაძლიერებული ძებნა სინონიმური წყვილითაა გადმოცემული. ახლა ეატყვიო: გეძებეს, გეძებეს...
- გ. ამგვარადვე, ფუსფუსი და ჭაპანწყვეტა, რომელიც ტარიელის ძებნისას ეპოიარეს, გადმოცემულია ალიტერაციით, კერძოდ, ანაფორული ალიტერაციით: ვერ ნახეს შენი მნახავი, ვერცა ყმა, ვერცა ბერია.

290 (287) მიბრძანა: „მიცან ამბავი...“

- ა. წ ა რ ხ დ ო მ ი ლ ი — დაკარგული:
მიბრძანა: გამიგე ამბავი დაკარგული ყმისა;
- ბ. მაშინ ავისრულებ შენგან მონდობილ საქმეს, განვახორციელებ შენთან სიყვარულს;
- გ. ც რ ე მ ლ თ ა მ ი ლ ი ს ა — ცრემლთა ნაკადისა.
სამი წელი ვადა დამიდვა: უმისოდ ცრემლი უნდა ვლვარო;
- დ. არ გიკვირს, რომ ამდენხანს გავუძელ მე მისი ღიმილის ვერ ჰკრეტას.

291 (288) აქანამდის მნახავიცა...

- ა. ა ქ ა ნ ა მ დ ი ს — ახლა არალიტერატურულად მიიჩნევა; იგი დატეულია მხოლოდ დასავლურ კილოებში.
აქამდის შენი მნახავი კაცი არ მინახავს.
- ბ. თ ქ ე ე ნ თ ე ი ს ს ი ტ ყ ვ ა რ ა მ ე გ ა ე მ კ ე ა ხ ა — თქვენთვის მკვახე სიტყვა გაებდათ.
ქურდნი ვნახე, რომელთაც თქვენთვის მკვახე სიტყვა გაებდათ.
- გ. ერთი მათგანი გამოვიგდია მათრახით, მკვდრისათვის დაგიმსგავსებია.
- დ. სწორედ მათ მასწავლეს, რომელთა ერთი ძმა ამჟამად, ახლა სულთმობრძავია.

292 (289) ტარიელსცა გაეხსენა...

- ა. გ ა ე ხ ს ე ნ ა — ენიანი ვნებითა — გაახსენდა;
ტარიელსაც გაახსენდა მაშინდელი მათი ომი;
- ბ. ი ტ ყ ვ ი ს — დღეს მყოფად დაიხზრება — იტყვის მომავალში; ძველ ქართულში და საშუალოში აწმყოა: იტყვის — ამბობს; შეიძლება გადმოვიღოთ „თქვა“ სიტყვითაც.
თქვა, რომ მაჩაოვს ეს საქმე, თუმცა კაი ხნის ამბავი კი არის.
- გ. გ ნ ა ხ ე ნ — იგულისხმება ობიექტი მრავლობითში — თქვენ ერთად ვნახეთ ნადირობის დროს შენ და შენი გამზრდელი.
- დ. წ ა რ მ წ ყ მ ე დ ე ლ ი — მომსპობი, გამანადგურებელი.
იმითომ ვტიროდი, რომ მომავონდა მე, საწყალს, ჩემი მომსპობი, ჩემი გამანადგურებელი (ნესტანი).

293 (290) რას მაქნევდით, რა გინდოდათ....

ა. რას მაქნევდით — წარმოებს ქმნევა, ქნევა სიტყვისაგან-
რას მაქნევთ — რას მაქმნევიანებთ, ე. ი. რა გესაქმებათ ჩემთან, რა გინ-
დათ ჩემგან. მაშასადამე, რას მაქნევდით, რა გინდოდათ —
სინონიმური თქმაა, უდრის დღევანდელს: რა გინდოდათ, რას ჩამაცივდით.

რა გინდოდათ ჩემგან, ერთმანეთს რით ვგავდით.

ბ. თქვენ მხიარული თამაშობდით, მე კი მტირალ ლოყებს ვასველებდი.

გ. თქვენ გაგულოვნდით და მონანი დამაწიეთ შესაპყრობლად.

დ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ ნაცვლად ჩემ მაგიერ მკვდრებს მი-
იტანდით შინ — მეტად მხატვრული ირონიული თქმაა: ცოცხალი გინდოდათ
შეგვეყარით, ამის ნაცვლად კი, მკვდრები მიიტანეთ შინ.

294 (291) მოვიხედე, მომეწია....

ა. სიტყვათა ასეთი დალაგება რიტმმა, ზომამ გამოიწვია, აგრე უნდა:
მოვიხედე, რა პატრონი შენი ვნახე, [ის ის იყო] მომეწია.

ბ. ხელმწიფობით შემეებრალნეს — შემეებრალნეს და
არა შემეებრალა — ზრდილობის, დიდებულების მრავლობითია.

შემეებრალა, როგორც ხელმწიფე და ამიტომ ხელი არ შეეახე.

გ. ზრახვა — (თავდაპირველად) ლაპარაკი; არა შევეზრახე — არ გა-
მოველაპარაკე, არ გამოვეხმაურე, ხმა არ გავეცი.

თვალწინ გამოვექექე, სიტყვაც არ დამიძრავს.

დ. უჩინო — დაუნახავი, უხილავი, სწრაფი.

სხვასამცა რას დავასახე — აბა სხვა რას დავასახო.
ჩემი ცხენი უჩინოა, აბა სხვას რას უნდა დავამსგავსო, შევადარო.

295 (292) კაცმან ვერ ასწრას თვალისა...

ა. დაფახვა, დაწამწამება — სინონიმებია: დახამხამება განსა-
კუთრებული სისწრაფის აღმნიშვნელია.

ბ. მიღმა — მიმართ, წინააღმდეგ; მათ ქურდთა მიღმა — მათ
ქურდთა წინააღმდეგ.

გამეგო — მეორე თურმეობითია (დამიჯია). საწყისი — გაგება (განგე-
ბა) — მართვა, გამგებლობა, გაკეთება, განზრახვა, დადგენა რისამე.

ქურდთა წინააღმდეგ (მიღმა) მე არაფერი ცუდი არ განმიზრახავს, არ
დამიღგენია.

დ. ავად ჰშვენოდა მორევნა და ჩემი დათამამება — ცუდად შეერგოთ
მათ ჩემი მორევის განზრახვა და კაღნიერება.

296 (293) აწ ვაშად მოხვე, მემამა...

ა. ვაშად მოხვე — გამარჯვებით, კეთილად მოხვედი.

დ. ძნელია პოვნა კაცისა ღმრთივ ზეცით განაწირისა — ძნელია პოვნა
კაცისა, რომ იგი განწირული იყოს ზეციური ღვთისაგან — ძირითადი ხაზია,
რომელიც გაჰყვება მთელ ნაწარმოებს, სახელდობრ: სოფელი უხანოა, გა-

უტანელი, მაგრამ ღმერთი მოწყალეა, მფარველი (მღრ. 951 სტროფს: „ვა სოფელო...“).

297 (294) ავთანდილ უთხრა: „ვით მაქებ...“

- ა. ავთანდილ უთხრა: როგორ მაქებ თავად საქები ბრძენთა მიერ.
- ბ. მაგის სამაგიეროდ როგორ ვიყო თქვენი ქების ღირსი?
- გ. შენ ხარ სახე ზეცით მანათობელი მზისა,
- დ. რადგან ვერ შეგცვლის ამდენი ცრემლთა დენის ტანჯვა.

298 (295) ამა დღემან დამავიწყა...

ავთანდილმა მოისმინა ტარიელის ამბის ჯერ მხოლოდ დასაწყისი, გაიგო მისი ჭირი და, მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავისი არსებით უყვარს თინათინი, ჩრდილავს ამ სიყვარულს.

იაგუნდი აქ ახალი ძალაა, ეს ძალა ძმადნაფიცობა, მეგობრობა, გამტანობაა მარადიული. მასთან შედარებით სიყვარული ამ ეტაპზე მინადაა დასახული. მინა რომ ათასჯერ მინად გადაიქცეს, ათასჯერ რომ გაამინდეს, ათასჯერ რომ შეიმატოს თავისი სიკეთე, იგი მაინც ვერ შეედრება იაგუნდს, ე. ი. ძმადნაფიცს, მეგობრობას. მის წინაშე ქედს იხრის სიყვარული, იგი განზე დგება, გზას უთმობს მეგობრობას.

ეს განუსაზღვრელი გამტანობა და ერთგულება მეგობრისა ახასიათებს მთელ ნაწარმოებს, მაგრამ აქ მეგობრობა სწორედ ქალისადმი დაუცხრომელი და ამადლევებელი სიყვარულითაა გამოწვეული. ავთანდილი რომ ტარიელისათვის ასე გადაეგო, მას რომ გარდამეტებული გრძნობა მეგობრობისა ჩაესახა ტარიელისადმი ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავადაა ავთანდილი შეპყრობილი სიყვარულით და მეორეც, და უპირატესად, იმიტომ, რომ ტარიელი მიჯნურია გაშმაგებამდე: „მაგრა წესია, მიჯნური, მიჯნურსა შეებრალე-ბის“.

საბოლოოდ სიყვარულია მთავარი ძალა, რომელიც მეგობრობას, ძმადნაფიცობას ასაზრდოვებს.

299 (296) ტარიელ უთხრა: „მე შენი...“

- ა. ტარიელმა უთხრა: შენი გული ახლა (თუ ამიერიდან) მხურვალედ აღჩემდამი განწყობილი.
- ბ. არ ვიცი მაგის სანაცვლოდ მე რით უნდა გევალო შენ.
- გ. წესია, მიჯნური მიჯნურს უთუოდ შეებრალევა,
- დ. მაგრამ სიყვარულსა მოგაშორო, ეს რა სანაცვლო იქნება (შენი თავდადებისა).

300 (297) წამოსრულხარ ჩემად ძებნად...

- ა. წამოსულხარ ჩემს საქებნელად პატრონის დავალებით.
- ბ. ღმერთმა ქმნა და მიპოვე, შენც მამაკურად ცდილხარ.
- გ. მაგრამ ჩემს ამბავს ვინ ვიამბობს, თუ აგრე რატომ ვარ გამოქრილი.

დ. მე თუ გიამბობ, დამწვავს ცეცხლი ცხელი, გადამაქცევს ალბათ, მუ-
რად.

სტრიქონის სინტაქსური დანაწევრება არ ემთხვევა მეტრულ დანაწევრე-
ბას. ასე: მე თუ გეტყვი, დამწვავს ცეცხლი — ხოლო მეორე ნახევარი —
ცხელი, შემიქს ალად, მურად უაზრობა იქნება. ამ შემთხვევაში რიტმი უჩვე-
ულოა და მკითხველის ყურადღება გამახვილებულია ცეცხლ-ზე. რად-
გან რიტმის დარღვევამ მახვილი ცეცხლ-ზე გადმოანაცვლა.

მური თავდაპირველად ალი უნდა ყოფილიყო, შემდეგ ჰვარტიანი
ალი, დასასრულ — ჰვარტი. ეს რომ აგრეა, ამას ადასტურებს დღეს დარ-
ჩენილი თქმა: ალმური მომეკიდა, ე. ი. ცეცხლი, ალი მომეკიდა. მაშასადა-
მე, ალად, მურად სინონიმებად შეიძლება ჩავთვალოთ.

301 (298) ასმათ უთხრა: „ცრემლით, ლომო...“

ა. ასმათმა უთხრა: ცრემლით, ლომო, მაგ საქმე არ მოგვარდება.

ბ. მე როგორ გამოგიწვიო სალაპარაკოდ, ეს შეუძლებელია.

ეგების — ნაწარმოებია გება სიტყვისაგან, არ ეგების — არ
შეიძლება.

გ. მე ვხედავ, რომ ეს მოყმე ვინმე შენთვის ცდილობს, შენთვის საქმი-
ანობს.

წაეგების — (ძვ. წარგების) იხარჯება, გადატანით: საქმიანობას ცდი-
ლობს. შენთვის წაეგების — შენთვის ცდილობს, შენთვის მოსაქმე-
ობს.

დ. ბარემ გაიგოს შენი წყლულის მიზეზი და საშუალებაც გამოძებნოს მის
წინააღმდეგ.

302 (299) მეხვეწებოდა, ლამოდა...

ა. [ავთანდილი] მეხვეწებოდა, ლამობდა ჩემგან რისამე გაგონებას.

ბ. ნუ თუ — იქნება, ეგების.

ნუ თუ ყოს ღმერთმა გაძლება — იქნება ღმერთთან
შეაძლებინოს.

ვფიქრობდი ეგების ღმერთმა მისცეს გაძლება, სიმტკიცე შენს მოსვლამ-
დის, მე აბა როგორ უნდა მეამბნა.

მემცა ვით მივეცენასა — მე როგორ მივეცენას, ე. ი. მე
როგორ დამეწყო ლაპარაკი.

გ. თუ რას გაიგებს თქვენგან, ვფიქრობ სასიამოვნოდ დაურჩება.

დ. და ყველაფერზე უკეთესია, მოხდეს ისე, როგორც სწაღს განგებას,
ზენას.

303 (300) ამას დაყმუნდა ტარიელ...

ა. ამაზე გაჩუმდა ტარიელი, დამწვარ-დადავული.

ბ. ასმათს უთხრა: მას შემდეგ, რაც შენ მარად ჩემთან ხარ.

გ. ლები — ცემისგან დალურჯებული ხორცი; ლები, ლებული —
სატკივარი.

რატომ არ იცი, რომ ჩემი სატიკივარი უკუწინებელია.

დ. ამასთანავე მწვავს ეს ყმაწვილიც (ავთანდილი) მტირალი, რომელსაც (თინათინმა) ცრემლით შეჰვედრა, ცრემლით დაავალა ჩემი მონახვა.

სტროფი აღნიშნავს არაჩვეულებრივ დეპრესიას, სულიერ დაცემულობას, რაც სათანადო ტემპითაა გადმოცემული და რასაც აძლიერებს რ, ლ ბგერები და ალიტერაციულად გაწყობილი სტრიქონები.

304 (...) კაცმან ვით ჰპოოს, ღმრთისაგან...

ა. დ ა ნ ა ბ ა დ ი ა — დაბადებული.

კაცმა როგორ ჰპოოს (კაცი ვერ პოვებს), რაც ღვთისაგან არაა გაჩენილი — ყოველი არსება ღვთისაგანაა გაჩენილი.

ბ. დ ა ნ ა ბ ა (დანაბვა) — შეაშფოთა, შეაძრწუნა.

ამიტომ გული ჩემი სახმილმა (ცეცხლმა) ავრე შეაშფოთა, შეაძრწუნა დიდად.

გ. მ ი კ რ ა ვ ს — შემიკრავს, მ ი ჰ ე რ ს (დამიჰერს),

მ ი თ ქ ს — მიდგას, მელობება წინ.

მე ისევ და ისევ გზას მიბორკავს, გზაზე მელობება ბადე დანაბადი, ბადე დაქსელილი.

დ ა ნ ა ბ ა დ ი — დაქსელილი.

ჟღერესი დაბრკოლებანი ბრძოლის გზაზე ანაფორული ალიტერაციითაა გადმოცემული: მიკრავს, მიჰირავს, მითქს.

დ. ამიტომაც ამიერიდან ამქვეყნიური ღზინის ნაცვლად ჩალა და ნაბადი მაქვს.

305 (...) მაგრა ღმერთმან მოწყალემან...

ა. ე რ თ ი მ ზ ე — ერთი დღეა, ე. ი. მზის ამოხველიდან მზის ჩასვლამდე. აგრეა ახსნილი ეს სიტყვა ვ. ტ-ის ყარაბალულ ვარიანტში, მაგრამ აქ გასარკვევია ჯერ კიდევ სხვა რამ:

ე რ თ ი მ ზ ი თ ა ასეთი შესიტყვება უჩვეულოა ძველი და საშუალო ქართულისათვის. უნდა: ე რ თ ი თ მ ზ ი თ ა, ან უკიდურეს შემთხვევაში ე რ თ ი ს მ ზ ი თ ა. ე რ თ ი მ ზ ი თ ა დღევანდელი ნორმაა. ხომ არ ვიგულოთ სიტყვა ერთად გამოსათქმელად, ერთად დასაწერად, როგორც მაგაშუადღე, შუაღამე და მისთ. ასევე, ერთიმზე.

ერთი დღის განმავლობაში მოწყალე ღმერთმა ერთბაშად, მოულოდნელად ორი მისი მოწყალეობა ამგვარად მომცა: თავდაპირველად ორ მოყვარულს — თინათინს, და ავთანდილს შეყრის ერთმანეთს ჩემის წყალობით, მეორედ: ეგებ მეც არ დამწვას ღმერთმა ცხელი ცეცხლით, ეგებ მეც მეშველოს რამე.

306 (301) ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან...“

ა. ყმას (ავთანდილს) უთხრა: თუ კაცმა ვინმე ძმად და დად გაიხადოს,

ბ. საჭიროა: მისთვის სიკვდილს და ჭირს თავი არ მოარიდოს,

გ. რადგან არ არსებობს სიცოცხლე გარეშე კედომისა

დ. რაც უნდა დაგემატოს, მე გვიამბობ და შენ მოისმინე.

ეს თქმა იმითაა საგულისხმო, რომ აქ შედგენდება ტარიელის განწყობა სიკვდილ-სიცოცხლისადმი. ტარიელს სავსებით სწორად აქვს წარმოდგენილი სიკვდალ-სიცოცხლის ურთიერთობა. მისთვის სიკვდილის პროცესი სიცოცხლის პროცესთანაა დაკავშირებული, უერთუროდ წარმოუდგენელია, მთლიანია, განუყვეოელია. ტარელის ეს შეხედულება მთელი მკაფიობით თავდაპირველად ამ სტროფში გამოსკვირს, სწორედ აქ, როდესაც მან გადაწყვიტა მოეთხრო თავისი თავგადასავალი ავთანდილისათვის. ამბის თხრობისას წინდაწინვე გვამცნო თავისი მრწამსი, თავისი გაგება სიკვდილ-სიცოცხლისა, მიგვეთითა იმ ხაზებზე, რომლითაც იგი აწარმოებდა ბრძოლებს და კვლად აწარმოებდა: ნესტანის დასაზნუნელად.

ცხოვრება აქ სიცოცხლეა. წაწყვიტე და — სიკვდილი. მამასადამე, სიცოცხლე და სიკვდილი დაპირისპირებულთა ერთს მთელს წარმოდგენენ, ანუ, როგორც იოანე პეტრიწი ამბობს, სიცოცხლე და სიკვდილი წინაგამწყონი არიანო. ამგვარი შეხედულება ახალი აღთქმიდან მომდინარეობს: „...შენ რომელი დასთვისი, არა ცხონდის, ვიდრემდე არა მოუკდის“ (1 კორ. XV, 36). ეგვევ აქვთ პროკლესა და ნემესიოს ემესიეი-ს.

307 (302) ასმათს უთხრა: „მოდი, მოჯე...“

ა. ასმათს უთხრა: მოდი, მომიჯედ და თან წყალი მომიტანე.

ბ. დაბნედილსა მაპკურებდი — მაპკურებდი ხოლმეობითია, მრავალგზისია, რადგან მოსალოდნელია, რომ ტარიელი არაერთხელ დაიბნელებდა,

თუ დაბნედილი მნახო, დამაპკურე და გული მით გარდამბანე.

გ. თუ მოვკვდე, მიტირე და ოხვრა გააძლიერე.

დ. აქვე საპარე გამითხარე, აქვე მიწა აკენად გამიხადე.

308 (303) ღილ-ჩაახსნილი საამბობლად...

ა. ღილჩაახსნილი დაჯდა საამბობლად, მხრები ამოპყარა.

ბ-გ. როგორც მოღრუბლული მზე იჯდა და დიდხანს დუმდა.

დ. მერე ამოიოხრა და დაიწყო ტირილი.

მოცემულია სურათი ტარიელის სულიერი მდგომარეობისა, კერძოდ, ავთანდილისათვის ამბის თხრობის დაწყებამდე იშვიათი ჰენდიადისის საშუალებით:

მზე... მოღრუბლებით — იგივეა, რაც შუქნი არ აღარნა.

ვერგაახვნა — იგივეა, რაც გაამყარნა.

სურათს აძლიერებს უკანასკნელი სტრიქონის სინონიმური წყვილი: სულთქნა, დაიზახნა.

310 (305) ისმენდი, მოეც გონება...

ბ. ვათქმევ — კაუზატ. თქმა ზმნისა. იგივეა, რაც ვათქმევიანებ.

დ. შევუცავ — ახლა: შევუცავარ.

312 (307) მამა ჩემი ჯდა შეშვიდე...

ა. მზარავი — შემაშინებელი, შიშის მომგვრელი.

გ. საწუთრო-ვაუმწარავი — სიოცხლე, გაუმწარავი, შვებულის, ბედნიერი.

313 (308) ხალვა მოსძულდა, შეექმნა...

ა. ხალვა — მარტოობა.

შექმნა გულს კაეშანთა ქარები — დარდი გაუმრავლდა.

გ. ყოვლგნით გამისხმან — ყოვლგნით გამიღვენია (მტერი).

311, 312, 313 სტროფები ერთად უნდა განიშარტოს. აქ დახატულია საქართველოს ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ვასალიტი, დამოკიდებულება სუზერენსა და ხელდებულს შორის, პატრონსა და ყმადნაფიცს შორის, პატრონსა და შეწყყნარებულს შორის.

შეწყყნარება საქართველოს ფეოდალური საზოგადოების საპატრონუმო ურთიერთობის დამახასიათებელი ინსტიტუტია. შეწყყნარება იგივეა, რაც ყმადნაფიცად აყვანა. შეწყყნარება გულისხმობს შემწყყნარებელსა და შეწყყნარებულს. შემწყყნარებელია ფარსადანი (მეფეთა ზედა მფლობელი), ხოლო შეწყყნარებული — სარიდანი.

შეწყყნარებულის მოვალეობა იყო შემწყყნარებლის ერთგული სამსახური. მაგრამ ამით, სარიდანი მეფის ღირსებას არ კარგავდა. ფარსადანი მეფეთმეფეა, ზელმწიფეა, სარიდანი — მეფე.

სარიდან — მეფის, როგორც შეწყყნარებულის, უფლებრივ მდგომარეობას არკვევს ფარსადანის სიტყვები:

„აწ მოდი, ასრე პატივცე, ვითა ძმამან და მშობელმან“ (315,4).

ძმად ფეოდალურ დიპლომატიურ ურთიერთობაში უფლებით თანასწორი იწოდებოდა.

თურქ-სელჯუკიანთა სულტნის თოღრულ-ბეგის ორქიმიანი გვირგვინი იმის სიმბოლოს წარმოადგენდა, რომ იგი ერთდროულად აღმოსავლეთის და დასავლეთის მფლობელი იყო. ფარსადანის შესახებ კი ნათქვამია:

სხვად პატრონია, მართოდენ არა აქვს კეისარობა (316,4).

ე. ი. მხოლოდ აღმოსავლეთის მფლობელი იყო, დასავლეთზე მისი უფლება არ ვრცელდებოდა.

316 (311) ერთი სამეფო, საკარგუმო...

გ. მიუმცდარობა — უმცდარობა. მცდარობის საწინააღმდეგო ცნებაა: სიკეთე, სიმარჯვე.

... არა სჭირს ხელისა მიუმცდარობა — არ აკლია ხელის სიმარჯვე, სიმტკიცე, ე. ი. მტკიცედ, ურყევად, ხელისუფლება მაგრად უჭირავს, საჭეშპყრობელია.

ფარსადანმა სარიდანს უბოძა ერთი სამეფო, რომელიც ამიერიდან სარიდანის საკარგუმოს შეადგენდა. რა არის საკარგუმო? საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის ტერმინია. იგი სამფლობელოა, რომელსაც მეფე უბოძებდა თავის ვასალს, ო. ა. ე. შეწყყნარებულს.

საქართველოში მე-11—12 სს-ში შეწყნარებული იყო შირვანშაჰი აღ-სართანი. მაშასადამე, როდესაც შოთა შეწყნარებასა და საკარგე მოზე ლაპა-რაკობს, უეჭველია, გულისხმობს საქართველოს თავისდროინდელ ვითარებას.

318 (311) ძე არ ესევა მეფესა და...

გ. ვა, კრულია დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა — კრულ იყოს ის დღე, როდესაც მე დავებადე, გავუჩნდი ამირბარს.

319 (314) მეფემან და დედოფალმან...

ბ. საპატრონოდ გაზრდა — სახელმწიფოდ გაზრდა, მემკვიდრედ მომზადება.

გ. ბ რ ძ ე ნ თ ა მ ი მ ც ე ს ს ა ს წ ა ვ ლ ე ლ ა დ ხ ე ლ მ წ ი ფ ე თ ა ქ ც ე ვ ა - ქ მ ნ ა თ ა დ — უფლისწულს, განსაკუთრებით, მემკვიდრეს, საგანგებოდ ზრდიდნენ. მეფეს (ანუ სამეფოდ განმზადებულს) უნდა სცოდნოდა კარგი მშვილდოსნობა. ცხენოსნობა, მოასპარეზობა, რაინდობა, შეფური ზრდილობა და მწერლობა. ცხადია, სამხედრო საგნები სჭარბობდნენ (სამამაციონი ზნენია), მაგრამ წიგნს სათანადოდ ეტანებოდნენ, განსაკუთრებით მემკვიდრენი, რომელთაც გულდასმით უნდა შეესწავლათ „მართებანი და განსაგებელნი, რომელნი ეთხოვებიან მეფობასა“; უნდა სცოდნოდა საეკლესიო და საბჭოთა საქმეების წარმოება, საკუთრულითა შემოსავალ-გასავლის წეს-რიგი, მოსაზღვრე სახელმწიფოების მოციქულთა მიღება-დარბაზობის წესი და სხვ. და სხვ.

320 (...) ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა...

- ა. ასმათ, მეტყობი ზოლმე, თუ რამ გაიგონო ჩემთან საცილობელი.
- ბ. ხუთი წლის უკვე ვიყავი მსგავსი ვარდისა შლილისა.
- გ. არ მიჭირდა ლომის მოკვლა, როგორც ჩიტისა.
- დ. არაფრად ენაღვლებოდა ფარსადანს რომ შვილი არ ყავდა
ს მ ა (ძვ. სუმა) — ყოლა (მამისა, დედისა, შვილისა)

321 (315) ასმათ, შენცა ხარ მოწამე...

- ა. ასმათ, შენც მოწამე ხარ ფერი რომ წამივიდა;
- ბ. მზესა მე ვსჯობდი შვენებით, როგორც ბინდს (სჯობია) დილა;
- გ. ჩემნი მნახავნი იტყოდნენ: ედემს ზრდილს ჰგავსო;
- დ. ახლა კი მაშინდელთან შედარებით მხოლოდ ჩრდილიდა ვარ.

324 (317) ქება არ ითქმის ენითა...

- ა. ჩემგან ნაუბარით, ჩემი ენით არ შეიძლება მისი სილამაზის აწერა;
- ბ. ფარსადანმა განსაკუთრებული ზეიმითა და დღესასწაულით ყველას ახარა ქალის შობა.
- გ. ყოველი მხრიდან მოვიდნენ მეფენი მრავალგვარი საჩუქრით.
ნიჭი თავდაპირველად ქონებრივ სიმდიდრეს ნიშნავდა, დღეს გონებ-

რივი სიმღერის აღმნიშვნელია. სახელმწიფოში მომხდარი რაიმე დიდი ამბის გამო (როგორცაა მეფის შვილის დაბადება, მეფის კურთხევა და მისთ.) დიდი ზეიმი იმართებოდა. მეფის საბრძანებლის ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ წარმომადგენლები დიდძალი საჩუქრით — ნიჭით და ულოცავდნენ მეფეს ბედნიერ დღეს.

325 (318) საშობელი გაიყარა....

- ა. საშობელი გაიყარა — ძეობა გათავდა.
გათავდა, მორჩა ძეობა, დაჯვიწყეს ზრდა მე და ქალს;
- ბ. ...ჰგვანდა იგი მზისა შუქთა ნასამალსა — ჰგავდა გასამზავებულ მზის შუქს.
იგი იმთავითვე მართლაც მზის შუქს ჰგავდა გასამზავებულს;
- გ. მეფესა და დედოფალს ვუყვარდით და თანაბრად მივაჩნდიო.
- დ. ახლა ვაზნებებ მას, ვისგანაც ჩემი გული აღითა: დამწვარი.

326 (319) ყმა დაბნდა, რა სახელისა...

- ა. ყმას გული წაუვიდა, როგორც კი მისი სახელი ახსენა.
- ბ. ა ე ტ ი რ ა — ატირდა. ჰ მ უ რ ა — აღ-მური.
ავთანდილიც ატირდა, გულს ცეცხლი მოეკიდა.
- გ. ქალმა მოასულიერა, მკერდს წყალი მოაპკურა.
- დ. ტარიელმა თქვა: მოისმინე, მაგრამ, ასე იცოდე, რომ ჩემი სიკვდილის დღე ნამდვილია.

327 (320) მას ქალსა ნესტან-დარეჯან...

- ა. ქალს სახელად ერქვა ნესტან-დარეჯანი;
- ბ. შვიდი წლისა შეიქმნა (უკვე) წყნარი და გონიერი;
- გ. მთვარისა მსგავსი, შვენებით მზისაგან ვერ შეფრობილი — მთვარის მსგავსი, შვენებით მზისგან ვერ დაშრეტილი. (მღრ. 384. — ვისთა შუქთაგან უკუნისა ჰგვანდის სინათლე დღისისა). ფრობა-დაშრეტა, დაქრობა, დამფრალი — დამქრალი, დაშრეტილი.
მთვარის მსგავსი, ისეთი მშვენიერი, რომ მზეც ვერ აფრობდა, ვერ აბნელებდა.
- დ. როგორ შეიძლება გაუძლოს მის გაყრას, განზორებას გულმა აღმას-მა, წოთბილმა?

328 (321) იგი ასრე მოიწიფა...

- ა. როდესაც იგი მომწიფდა, მე უკვე შემეძლო ომში შესვლა, ე. ი. მეც მოვწიფდი;
- ბ. რაკი მეფე ხედავდა, რომ ქალი უკვე მოწადინებულია მეფობას,
- გ. მე მამასთან დამაბრუნეს, მამისავე მიმცეს ხელსა,
- დ. ვბურთაობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა.

329 (322) მეფემან სახლი ააგო...

ა. ქალისათვის მეფემ ააგო სასახლე ძვირფასი ქვისაგან,
ბ. ფაზარი — ცხოველური ქვა, იპოვება ცხოველთა ღვიძლში. მოიპოვება აგრეთვე მინერალური ფაზარიც. რაკი სასახლე ფაზარისაგან იყო აგებული, საფიქრებელია, რომ იგი მინერალური იქნებოდა.

ქვად ფაზარი სხდა — ფაზარი მხოლოდითშია, მაშასადამე, უნდა — ფაზარი ჯდა, მაგრამ ფაზარი აქ იგულისხმება, როგორც შემკრებლობითი (=ფაზარის ქვები), ამიტომაც შემასმენელს უთანხმდება არა ფორმის მხრივ, არამედ აზრობრივად.

სასახლე მეტად კარგად იყო მოწყობილი, ტახტრევანი იაგუნდისა და ლალისა იყო.

გ. კარზე და — უმჯობესია — კარს ზედა.

სარაჯი — მილი წყალსადინელი.

იქვე ბაღია და ღარიდან გამომდინარე საბანელი ვარდისწყალი.

დ. სახმილი — გადატ. ცეცხლი.

იგიც იქ იყო, ვისგანაც მე მედება (მედებოდა) ცეცხლის ალი.

330 (323) დღე და ღამე მუჯამრითა...

ა. მუჯამარი — საცეცხლური.

დღე და ღამე საცეცხლურით იკმეოდა სურნელოვანი ალვა;

ბ. ზოგჯერ კომეს იჯდა ხოლმე, ზოგჯერ ბაღჩას ჩამოვიდოდა, როდესაც იქ ჩრდილი იყო.

გ. მეფეს ჰყავდა ჭვრივი და, ქაჯეთს განათხოვი,

დ. მას სიბრძნის სასწავლად მეფემ მისცა თავისი ქალი (ნესტანი) (შდრ. 319 სტრფ.).

331 (324) სრა ედგა მოფარდაგული...

ა. სრა — სასახლე.

მოფარდაგული — ფარდაგებით შემოფენილი, მოფარდაგებული.

ოქსინო — ოქროქსოვილი, ხავერდი.

შარდი — ძვირფასი ქსოვილი, შადი, შარდი რითმისთვისაა.

ბ. ვერვინ ვხუდევიტ — აწმყოს ფუძის საწარმოებელი ავ უწყვეტელში შეცვლილია ევ სუფიქსით. ეს წესია ვ. ტ-ში.

334 (327) მამა მომიკვდა, მოვიდა...

ა. სტრიქონი ორი ნახევრისაგან შედგება; პირველი ნახევრის — მამა მომიკვდა გადმოცემულია თავისებური პარანომაზიით. მეორე ნახევარში — მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა — შოთას ჩვეულებრივი ხერხია აზრის გაძლიერებულად გადმოცემისა.

ბ. ნიშატი და ნიში — სინონიმური წყვილია: მხიარულება. ქმნა გაუცუდდა ფარსადანს ნიშატისა და ნიშისა — ფარსადანს წაუხდა, გაუუქმდა მხიარულება

გ. მათ გაეხარნეს — მათ გაუხარდათ.

... ვის ზარი დაღვედის მისგან შიშისა — ვისაც შიშის ზარი ჰქონდა ფარსადანისა.

ღ ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა-ხსენება „იშინა“ — ერთგულნი შეწუხდნენ, ხოლო მტერთა — გაუხარდათ.

335 (328) მე წელიწადამდის ბნელსა ვჯე...

ა. მე ერთ წელიწადს ბნელს ვიჯექ ქვეყანა გაწბილებული, ე. ი. სინათლეზე არ გამოვდიოდი;

ბ. დღისით და ღამით ვვაებდი, ვერვისგან გაჩუმებული;

გ. გასაყვანად შეფის ხალხი (მისი რჩეული) მოვიდა და გადმომცეს მეფის ბრძანება;

დ. შვილო ტარიელ, ამიერიდან ნუ ხარ შავებში ჩამცული.

336 (329) ჩვენ უფრო გვტკივის იგი, ვინ...

ა. ჩვენ უფრო გვტკივა, უფრო გვაწუხებს ის, რომ თავის სწორი დაგვაკლდა.

ბ. დიდძალი ქონება ებოძებინა (ჩემთვის) და ებრძანებინა შავის ახდა,

გ. სააკარგავი — ის რაც უნდა განკარგო, რაც უნდა განაგო, გასაკარგმველო, გასაკარგავი, განსაგებელი.

აგრეთვე მისეულის ე. ი. მამაჩემის სრული განსაგებელის, სრული მმართველობის ბოძება;

დ. საურავი — საზრუნავი.

ამიერიდან შენ იყავ ამირბარად, შენ განაგე მთელი მისი საბრძანებელი, შენ იყავ ამირბარის საქმეთა მზრუნავი.

337 (330) ავენთი დამწვეს მამისა...

ა. ავენთე, დამწვა მამის ცეცხლმა დაუშრეტელმა.

ბ. სიბნელიდან გამომიყვანეს დიდებულებმა.

გ. ამის გამო ინდოეთის მფლობელთა შექმნეს ზეიმი.

დ. შორს მომეგებნენ, პატივით მაკოცეს, როგორც მშობლებმა. სტროფში აღსანიშნავია რითმა: I, III, IV — ობელთა. ხოლო II — ომელთა. მამასადამე, მ და ბ მორითმავე ბგერებია.

334, 335, 336, 337 სტროფ. მიცვალებულის გლოვა ერთ წლამდე გრძელდებოდა. ეს წესი საქართველოს ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. ზოგან დღესაცაა დარჩენილი, საგულისხმო ცნობა ამის შესახებ მოეპოვება თ. სახოკიას, აგრეთვე, სტ. მენთეშაშვილს⁴².

⁴² ვრცლად იხ: ვჯე. ბ ვ რ ი ძ ე, „ვეფხისტყაოსნის ხალხურობასათვის“, თსუ შრომები, ტ. 67, 1957.

338 (331) მათ საჯდომთა ახლოს დამსვენს...

- ა. თავის საჯდომის ახლოს დამსვენს და პატივი მცეს შვილის მსგავსად;
- ბ. ხელი ს ა უ რ ა ვ ი — თანამდებობა.
მამაჩემის განსაგებელი (თანამდებობა) შემომაძლიეს.
- გ. მე წინააღმდეგ წავედი, რადგან მათებრ ქცევა მეზარებოდა.
- დ. არ მომეშენენ, დავმორჩილდი, მივიღე ამირბარის თანამდებობა.

339 (332) აღარა ვიცი, დამვიწყდა...

- ა. აღარ მახსოვს, დამავიწყდა, თუმცა (კაცმა რომ თქვას) დიდმა ხანმა კი განვლო მას შემდეგ;
- ბ. გეტყვი ჩემს ამბავს, თუმცა ძნელი კია;
- გ. ცრუ და გაუტანელი ეს ქვეყანა (სოფელი) მარად სიავის მქმნელია.
- დ. დამეცა, მომხვდა მისგან გამოკვესილი ხანგრძლივად მწველი ნაპერ-წყალი.

340 (333) კვლა დაიწყო თქმა ამბისა..

- ა. ისევ დაიწყო ამის თხრობა. რა იტირა.
- ბ. გვენადირა — II თურმეობითი.
ერთ დღეს მე და მეფე ვბრუნდებოდით ნადირობიდან (ნანადირევი).
- გ. მიბრძანა, ვნახოთ ქალი (ნესტანი), ხელი ხელში გამიყარა.
- დ. გიკვირა-ა კითხვის გამომხატველია — ნუთუ არ გიკვირს? ნუთუ არ გიკვირს. რომ მე სულდგმული (ცოცხალი ვარ) იმ დროის მომგონე, იმ დროის გამხსენებელი.

341 (335) ბაღია ვნახე უტურფესი...

- ა. სალხინო — მოსალხენი, დროს გასატარებელი ადგილი.
ვნახე ბაღია ყოველგვარ მოსალხენ ადგილზე ულამაზესი.
- ბ. სირინო — სირინოზი (ზღაპ.) ზღვის ტურფა ქალი, ტკბილად მომ-ღერალი.

ფრინველნი სირინოზის უამესად გალობდნენ.

- გ. სარაჯი — შადრევანი.
ბაღიაში მრავლად იყო ვარდის წყლის აბანოს შადრევნები.
- დ. ოქსინო — ფერადი ხავერდი.
კარები მოფარდაგებული იყო ფერადი ხავერდით.

342 (334) მეფემან ახმა დურაჯთა...

- ა. ახმა — აღება.
- დ. ურაჯი — ხოხობი.
მეფემ მითხრა დურაჯები გამოართვი, რომ ქალს (ნესტანს) მიეუტახოთო.
- ბ. გამოვუხვენ — გამოვუღე, გამოვართვი. (ობ. მრავლ.).
მეც გამოვართვი და წავედი ჩემდა ცეცხლის მოსაკიდებლად.
- გ. სწორედ მაშინ დავიწყე მე ქვეყნის ვალის გარდახდა, სწორედ აქედან დამატყდა მე ქვეყნის უბედურება.

დ. ლ ა ხ ვ რ ა დ — დასალახვრავად.

საჭიროა აღმასის ლახვარი, სალის, მაგარი გულის დასალახვრავად.

343 (336) ვიცოდი, სწადდა არვისგან...

ა. ვიცოდი, რომ არ უნდოდა ვისმე ენახა მისი ქალი,

ბ. [ამიტომ]მე გარე დავდეგ, ხოლო მეფემ შეველო კარი;

გ. ვ ხ ე დ ე ვ დ ი — აწმყოს საწარმოებელი სუფიქსი ავ — ე ვ სუფიქსითა შეცვლილი.

ვერაფერს ვხედავდი, მხოლოდ საუბრის ხმა მესმოდა;

დ. გ ა მ ო ხ მ ა დ უ რ ა ჯ თ ა ა მ ი რ ბ ა რ ი ს ა — მართვა-შეთანხმება დარღვეულია. ძველი ნორმით უნდოდა: დ უ რ ა ჯ თ ა მ ი რ ბ ა რ ი ს ა თ ა, ან დ უ რ ა ჯ თ ა ა მ ი რ ბ ა რ ი ს თ ა, დ უ რ ა ჯ თ ა ა მ ი რ ბ ა რ ი ს ა — რითმითაა გამოწვეული.

მეფემ უბრძანა ასმათს, ამირბარს ზოხბები გამოართვიო.

344 (337) ასმათ ფარდაგსა აზიდნა...

ა. ა ს მ ა თ ფ ა რ დ ა გ ს ა ა ზ ი დ ნ ა — რატომ აზიდნა? ფარდაგი ხომ მხოლოდითშია.

მაგრამ იგულისხმება ფარდაგის წყვილი, ორი კალთა.

ახლა ვიტყვით: ასმათმა ფარდაგი აზიდა.

გ ა რ ე ვ დ ე გ მ ო ფ ა რ დ ა გ უ ლ ს ა — ახლა: მოფარდაგულის გარე ვდეგ.

ასმათმა აზიდა ფარდაგი, მე მოფარდაგულის გარე ვიდექი;

ბ. ქალს შევხედე და ლახვარი დაშეცა ცნობასა და გულსა.

გ. მოვიდა და მთხოვა ცეცხლით დაეულს, რომ დურაჯნი მიმეცა.

დ. ვაიმე, მას აქეთ დავუწვივარ მარადიულ ცეცხლს.

345 (338) აწ წარხდეს იგი ნათელნი...

ა. წ ა რ ხ დ ე ს, წ ა რ ხ დ ა — დაიღუპა.

მ ო წ უ ნ ა რ ე ნ ი — მოწუნარნი უნდა ყოფილიყო, რადგან მხოლოდითაა მ ო წ უ ნ ა რ ი;

ნ ა თ ე ლ ნ ი, მ ზ ი ს ა ც ა მ ო წ უ ნ ა რ ე ნ ი — უკვე მუდმივი ეპითეტებია ნესტანისა.

აწ, ახლა უკვე დაღუპულია იგი ნათელი (ნესტანი), რომელიც მზესაც კი იწუნებდა.

ბ. ტარიელმა ვერ გაუძლო მის ხსენებას, დაბნდა და მწარედ იოხრა.

გ. ავთანდილი და ასმათიც ატირდნენ, მათ ტირილს ეხმაურებოდა არემარე.

დ. მწუხარებითა თქვეს: ვაი, როგორ წამხდარა, მოსპობილა მკლავი, ოდესღაც გმირთა რისხვის მიმცემი.

346 (339) ასმათმან წყალი დაასხა...

- ა. ტ ა რ ი ა — ქართული ხალხური ფორმა ტარიელისა.
- ასმათმა წყალი დაასხა ტარიელს და იგი ცნობას მოვიდა,
- ბ. დიდხანს ვერაფერი თქვა, სევდამ გული შეუბყრა, მოერია.
- გ. დაჯდა და მწარედ იოხრა, ცრემლი მიწას გაუტრია.
- დ. თქვა: ჩემგან მისი ხსენება, ვაი, რა დიდი საშინელებაა.

347 (340) მიმნდონი საწუთროსანი...

- ა. მი მ ნ დ ო ნ ი — მიმდობნი, ის, ვინც მიენდობა ვისმე, რასმე. ვინც საწუთროს მიენდობა, ის მის სიმდიდრეთაგან საზრდოობს;
- ბ. იშვებს, ილბენს, მაგრამ საბოლოოდ მისი (საწუთროს) ვერაგობისაგან მაინც ვერ გადარჩება.
- გ. (ამიტომ) მე ვაქებ იმ ბრძენთ, რომელნიც ეურჩებიან, წინააღმდეგობას უწევენ საწუთროს, საწუთროს მდინარებას ბრმად არ მისდევენ, არ მიჰყვებიან.
- დ. ისინე ჩემი აზბავი, თუ სული (სიცოცხლე) შემრჩა, თუ ცოცხალი დავრჩი აპის თხრობისას.

სტროფი საგულისხმოა იმით, რომ არკვევს ტარიელის შეხედულებას ქვეყნისა (საწუთროს) და ადამიანის ურთიერთობის შესახებ. ზოგი მკვლევარი იმ აზრის იყო, რომ ტარიელი უაღრესად პასიური არსებაა, არავითარ აქტიურობას არ იჩენს, ცხოვრების მიმდინარეობას მიჰყოლია, გულზე ზელებდაკრეფილია. სტროფი სულ წინააღმდეგს ამბობს: ვინც საწუთროს მიენდობა, ის მცირე ხანს მხოლოდ ილბენს, საბოლოოდ საწუთროს მაინც უღალატებს. ამიტომ თითოეული ადამიანი უნდა მოიქცეს ბრძენთა წესისა-შებრ. საწუთროს უნდა შეებრძოლოს, მისი მდინარების წინააღმდეგ უნდა წავიდეს.

348 (341) დურაჯნი მივსცენ, გავიდე...

- ა. დურაჯები მივეც, მეტი ვზა, მეტი საშუალება არ იყო.
- ბ. დავეცი, გული წამივიდა, წამერთვა ძალა მხარსა და მკლავში.
- გ. როდესაც მოვსულიერდი, გონს მოვედ, გავიგონე ტირილისა და ვაის ხმა.
- დ. მთელი შეკრებილობა, მთელი ქალაბი ირგვლივ შემომრტყმოდა, თითქოს ნავში აპირებდნენ ჩაჯდომას.

349 (342) შიგან ვწევ დიდთა დარბაზთა...

- ა. ს ა გ ე ბ ე ლ ი — ლოგინი.
- დიდ დარბაზში ვიწვე, ტურფა, ლამაზ ლოგინში.
- ბ. მეფე-დედოფალი დამტიროდნენ ცრემლითა უშრობელითა,
- გ. პირსა და ლოყას იხოკდნენ, იკაწრაგდნენ.
- დ. მ უ ყ რ ი — მოლა; მ თ ქ ვ ე ს — თქვეს ჩემს შესახებ.
- გ ა მ ა ბ ე ლ ზ ე ბ ე ლ ი — ეშმაკეული.
- მოიყვანეს მოლები, რომელთაც თქვეს, რომ მე ეშმაკეული სენით ვარ შეპყრობილი.

350 (343) მე რა მნახა თვალ-ახმული...

ა. თვალ-ახმული — თვალგაღებული.

მეფემ თვალგახელილი დამინახა და ყელს მომეხვია.

ბ. ატირებულმა მითხრა: შვილო, ცოხტალი ხარ? ხმა ამოიღე, სიტყვა თქვი.

გ. მე პაპუხი ვერ გავეც და დიდად შევკრთი;

დ. ისევ გულწასული დავეც და გულსა სისხლი გარდმეთხია.

351 (344) სრულნი მუყრნი და მულიმნი...

ა. მულიმი — სჯულის მოძღვარი.

გარე შემომცვიდიან — გარს შემომხვეოდნენ, გარს მეხვეოდნენ.

ყველა მუყრი და მულიმი მე გარს შემომხვეოდა.

ბ. მუსაფი — სჯულის წიგნი.

მათ ხელთ ჰქონდათ მუსაფი, ყველანი კითხულობდნენ.

გ. მტერ-დაცემული — ავი სულით შეპყრობილი.

(შდრ. სენითა მთქვეს გამაბელზებელითა).

მტერდაცემული ვეგონე, არ ვიცი რას ჩმახვიდნენ.

დ. სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, უშრეტი ცეცხლი მწვაავდა.

შემომცვიდიან, იკითხვიდიან, ჩმახვიდიან, მწვიოდიან — ყველა უწყვეტლის ხოლმეობითშია დასმული, გაბუდმებული მოქმედების აღმნიშვნელია.

352 (345) აქიმნიცა იკვირვებდეს...

ა. ექიმებიც იკვირვებდნენ: როგორია ეს სენი?

ბ. სამკურნალო არაფერი სჭირს, უთუოდ რაღაც სევდა შეპყრია;

გ. ზოგჯერ გაშმაგებულად წამოვიჭრებოდი ხოლმე, არეულად ვლაპარაკობდი.

დ. რაც შეეხება დედოფალს, ზღვას შექმნის ის ცრემლი, მას რომ დაუღვრია! დედოფალი ზღვასა შეიქმს! მას რომ ცრემლი დაუღვრია — ასეა ყველა გამოცემაში. არ ვარგა. უნდა იყოს — დედოფალი! ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია. „დედოფალი“ ერთგვარი რიტორიული შექახებაა, განსაკუთრებული გაკვირვების გამოსათქმელად.

353 (346) სამსა დღესა დარბაზს ვიყავ...

ა. სამ დღეს დარბაზს ვიყავი, არც ცოცხალი, არცა მკვდარი,

ბ. მიუმხვდარი — რომელსაც მიხვედრა არა აქვს, უგონო.

მივხვდი რასმე მიუმხვდარი — უგონოდ მყოფი გონს მოვედი.

მერმე ცნობა მომივიდა უგონოდ მყოფი, გონს მოვედი;

გ. რაშიგან ვარ — რა მდგომარეობაში ვარ.

ვთქვი: აი, რა მდგომარეობაში ვარ მე, უკანასკნელ დღეში მყოფი; სი ცოცხლე-გ ა რ დ ა მ ხ. დ ა რ ი — ვისაც სიცოცხლე გარდამხდა, ვინც სიცოცხლე გამოვიარე, ვინც ბევრი ვიტანჯე, უიმედო.
დ. ღმერთს ვსთხოვე მუდარებით: მომეცი ძალა, რომ დავთმო ეს ქირიო.

354 (347) ვთქვი, თუ: „ღმერთო ნუ გამწირავ...“

- ა. ვთქვი, რომ ღმერთო, ნუ გამწირავ, ვედრება ჩემი შეისმინე,
- ბ. მომეც დათმობის ძალა, ცოტათი აღმადგინე,
- გ. რომ ჩემს სახლში შემეძლოს დაწოლა, თორემ აქ ყოფნა გამამყლავ-ნებს.
- დ. ისმინა ღმერთმა ჩემი ხვეწნა, ცოტათი მოვჯობინდი და დაკოდლი გული გავიმაგრე.

355 (348) მე წამოვჯე, მეფისაგან...

- ა. მე წამოვჯექ, მეფისაგან დიდძალი ხალხი მოდიოდა ამბის შესატყობად.
- ბ. ახარებდნენ: მომჯობინდა, წამოჯდაო, დედოფალი გამორბოდა.
- გ. მეფეც თავშიშველი მორბოდა.
- დ. იგი (მეფე) ღმერთს აღიდებდა, ყველა დანარჩენი გაჩუმებული იყო.
ტარიელის მომჯობინება უთუოდ უდიდეს სიხარულს გამოიწვევდა. ეს გარემოება უჩვეულო ფუსფუსში უნდა გამოიხატოს და შოთაც იშვიათი მხატვრულობით გადმოვცემს ამ ასწრაფებას: ამბავი გადმოცემულია მაღალი შაირით, რაც თავისთავად გულისხმობს სისწრაფეს. აღსანიშნავია უკავშირება, რომელიც აძლიერებს ამ სისწრაფეს, დასასრულ, სიტყვებიც ისეა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ამ სიმაღლეს: მე ფ ე მ ო რ ბ ი ს თ ა ვ-შ ი შ ვ ე-ლი, ა რ ი ც ო დ ა, რ ა ს ი ქ მ ო დ ა.

356 (349) იქით და აქათ მომისხდეს...

- ა. ირგვლივ შემომისხდნენ, მახვრიბეს სახვრებელი.
- ბ. მე მოვახსენე: მეფეც, ჩემი გული ახლა უფრო მრთელია.
- გ. მინდა ცხენზე შეჯდომა, რომ ვნახო წყალი და ველი.
- დ. მომიყვანეს ცხენი და კიდევაც შევჯექ; მეფე ჩემთან წამოვიდა.

357 (350) გამოვედით, მოვიარეთ...

- ა. გამოვედით, მოვიარეთ მინდორი და წყლის პირი.
- ბ. მეფე მომყვა სახლამდის, მერე უკან დაეაბრუნე.
- გ. შინ რომ მიველ, უარესად გავხდი; ქირს სხვა ქირი დამერთო.
- დ. შეწუბებულმა ვთქვი: ბარემ მოგკვდე, ჩემი ბედი ამის მეტის ღირსი არ არის.

ა. ბ რ ო ლ ი — აქ ლოყები.

ცემლის დენამ გააყვითლა ჩემი ლოყები.

ბ. გული უფრო მეტად დამიჭრა, დამისერა ათი-ათასმა დანამ.

გ. ს ა წ ო ლ ი — თავდაპირველად მეფის დასაწოლი და დასაძინებელი ოთახი. შედეგ მისაღებ ოთახსაც აღნიშნავს, სანამ მეფე უკაზმავი იყო, საქმეებისათვის მთხოვნელთ საწოლში მიიღებდა, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ მოლარის საშუალებით.

მ ე კ ა რ ე — კარის მცველი, საქართველოს სამეფო კარის თანამდებობა იყო.

მ ო ლ ა რ ე — ლარის, ქონების მეთვალყურე. იგივე მოახსენებდა მეფეს სხვადასხვა საქმეს და მეფეც მისი საშუალებით გასცემდა განკარგულებას. საწოლს შემოვიდა მეკარე და გაიყვანა მოლარე.

დ. გუნებაში ვთქვი: ნეტავი, რა ამბავია, რის შესახებ ლაპარაკობენ.

359 (352) მონააო ასმათისი...

ა. მითხრა: ასმათის მონაა! აბა ჰკითხე, რა ამბავი იცის-მეთქი,

ბ. შემოვიდა, წერილი გადმომცა, წავიკითხე, სააშვიკო იყო,

გ. გამიკვირდა მე, აბა სხვად მიმართ, სხვა ვისთვისმე როგორ ვქმნა, როგორ გავიმეტო გულის მწველი სითხე, ნექტარი!

დ. მისგან (ასმათისაგან) აზრად, ფიქრდაც არ მომდიოდა (რომ მე მას ვუყვარდი) და ამიტომ (მით) გულს ეს სევდად დამაწვა, როგორც ზე.

აქაც აღსანიშნავია ეს ექსპრესიულობა, რომლითაც გამართულია მთელი სტროფი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ყოველი ამბავი, ნესტანისაგან მომდინარე, სასწრაფოა და სტროფიც, მისი ამსახველი სწრაფი ტემპით უნდა იყოს გადმოცემული.

სხვა მდგომარეობაა მომდევნო სტროფში. ტარიელმა უნდა აწონ-დაწონოს მდგომარეობა. ამიტომაც სტროფი ბუნებრივად დაბალი, ნელი შაირითაა გადმოცემული.

360 (353) მე გამიკვირდა, სით ვუყვარ...

ა. ვ უ ყ ვ ა რ — ვუყვარვარ.

მე გამიკვირდა, საიდან ვუყვარვარ და როგორ მიზედავს ამის თქმას?

ბ. მ ი უ ყ ო ლ ო ბ ა — არ მიყოლა, არ დათანხმება.

მაგრამ რომ არ მივყვე, არ ვარგა, უზრდელობაში ჩამომართმევს.

გ. ჩემი იმედი დაეკარგება, მერმე დამიწყებს გმობას.

დ. ამიტომ დავწერე პასუხად, რაც შეეფერებოდა აშვიკობას.

361 (354) დღენი გამოხდეს, და გული...

ა. გავიდნენ დღეები და გული აღმა უფრო დამწვა.

ბ. ველარ ვუჭვრეტდი ლაშქარს მინდორს თამაშად გასულს;

გ. დარბაზსაც ვერ ვესტუმრე, ამიტომ მკურნალებმა ჩემთან დაიწყეს მოსვლა.

დ. სწორედ მაშინ (აქედან) დაიწყო ჩემ თავზე ჰირისა და ლხინის გარდასვლა.

362 (355) მათ ვერა მარგეს, მე გულსა...

ა. ბინდი დამეცა ბნელისა — გადატ. გული შემეწუხდა. მათ (მკურნალთ) ვერაფერი მარგეს, ამიტომ ბნელმა მოიცვა ჩემი გული.

ბ. სხვა ვინმემ ვერავინ შემატყო, თუ რა ცეცხლი მედო.

გ. სისხლი დამწამეს — სისხლის მოჭარბებულობა თუ აქვსო. ალბათ სისხლის ბრალი თუ არისო და მეფემ ბრძანა ხელის გახსნა (ე. ი. სისხლის გაღება).

დ. მეც გავიღე სისხლი, რომ დამეფარა პატივი, ტანჯვა, რომ არავის ეპვი არ შეჰპარვოდა საქმის ვითარებაში.

363 (356) ხელ-გახსნილი, სევდიანი...

ა. ხელ-გახსნილი — სისხლ-გაღებული.

ხელ-გახსნილი, სისხლგაღებული საწოლს ვიყავ მარტოდმარტო.

ბ. მინა — ნამდვილი აწმყო სწორედ მინაა, დღეს ამის ნაცვლად იხმარება მინდა, არსებითად ნამყო, რაც აშკარად მეღაფნდება მომინდა და სიტყვაში.

გ. შემოვიდა მონა და მომახსენა, რომ ასმათის მონააო, მე ვუბრძანე შინ შემოყვანა,

დ. თუმც გულში კი ვიფიქრე: რას გადამეკიდა ეს ქალი, რა უნდა ჩემგან?

364 (357) მონამან წიგნი მომართვა...

ა. ნება — აქ: ხელის გული.

მონამან წერილი მომართვა; ხელისგულზე დავიდევ და წავიკითხე;

ბ. ლამოდა — სურდა.

შევატყე, რომ ისწრაფოდა ჩემთან მოსვლას,

გ. პასუხად ვწერდი: მართალი ზართ, დროა, რომ გაკვირვებული იყო.

დ. მოვალ, თუ მიხვობ, ნუ იფიქრებ, რომ მე მოსვლა დამეზარება.

365 (358) გულსა ვარქვი თუ: „ლახვარნი...“

ა. გულს ვუთხარი: [გამაგრდი!] ლახვარი ასე როგორ შეგაწუხებს.

ბ. ამირბარი ვარ, ხელმწიფე, სრულად ინდონი მმონებენ.

გ. ექვს აიღებენ (რომ მე ვეტრფი ასმათს). საქმეს ათასჯერ აწონ-დაწონიან.

დ. თუ დარწმუნდნენ (საქმის სიმართლეში), გამაძევენ.

აქ ლახვარი გადატანითაა ნახმარი. ლახვრის დაცემა აქ ის მდგომარეობაა, რომელშიც ტარიელი ჩავარდა ასმათის წერილის გამო. ტარიელი ხომ ჭერ კიდევ დარწმუნებულია, რომ ასმათმა გამომიცხადა სიყვარულიო. იმას კი ორი დაბრკოლება ეღობება. ჭერ ერთი: ტარიელს უყვარს ნესტანი, მაშასადამე, ასმათს ვერ შეიყვარებს. მეორეც: კიდევაც თავისუფალი

რომ იყოს ტარიელი, იგი ასმათს მაინც „ვერ ექმარება“, რადგან ტარიელი ამირბარია, ზელმწიფე, სრულად ინდონი ჰმონებენ და ასმათი კი დაბალი წოდების წარმომადგენელია, უბრალო მონაა. წესის თანახმად, წოდებათა აღრევა არ შეიძლება. ამგვარი რისამე ჩამდენი მაღალი წოდების წარმომადგენელი შეიძლებოდა კიდევაც გაეძეებინათ სახელმწიფოდან. სწორედ ეს ვითარებაა გადმოცემული ამ სტროფში.

366 (359) კაცი მოვიდა მეფისა...

- ა. მოვიდა მეფის გამოგზავნილი კაცი.
- ბ. ებრძანა — ებრძანებინა (II თურქობითი).
ებრძანებინა: გავილე თუ არა სისხლი?
- გ. მე მოვახსენე — სისხლი გავილე და მომჯობინება დამიწყო.
- დ. მე თავად ვეახლები (მეფეს) — ამისთვის მე მმართვებს დიდი ღონი.

367 (360) დარბაზს მივე, მეფე ბრძანებს...

სტროფში აწერილია ნადირობა. ძველად ორგვარი ნადირობა იცოდნენ: ქორ-შეგარდნითა და ისრით. პირველგვარი ნადირობა იმით იყო საეულისხმო, რომ აქ იარაღის, ამ შემთხვევაში მშვილდ-ისრის ხმარებას ადგილი არ ჰქონდა; სტროფში სწორედ ამგვარ ნადირობაზეა ლაპარაკი: „ცხენსა შემსვა უკაპარჭო, წელთა არა არ შემაბა, შეჭდა, ქორნი მოუტიენა“..

„გასაგანა“ — მიზანში სროლა დააწყებინაო — ამბობს დ. ჩუბინა-შვილი. ქორ-შეგარდნებით ნადირობისას მონადირეს სროლასთან არა აქვს საქმე. ამიტომ განმარტება უნდა მოიხსნას. სამიზნოდ დარაზმაო — გადმოგვცემს პროფ. იუსტ. აბულაძე, რომელიც აწარმოებს ამ სიტყვას გასაგანება სახელისაგან. სადავო სიტყვა, რომ გასაგანება-საგან იყოს ნაწარმოები, მაშინ ნამყო ძირითადში გვექნებოდა არა გასაგანნა, არამედ გაწასაგანა, ან გაასაგანა, ე. ი. საგნად (სამიზნედ) აქცია. რაც დიდი შეუსაბამობა და უაზრობა გამოვა: თითქოს მეფემ მშვილდოსნები სასროლ მიზნებად ჩამწყვიტა მაშინ, როდესაც ისინი, მშვილდოსნები, მეფეს ქება-დიდებას ასხამდნენ და იტყობიან: შაბა, შაბა, ე. ო. ვაშა, ვაშაო.

გასაგანნა — მხოლოდ გასაგანვა — გასაგანვა სიტყვისგან შეიძლება იწარმოოს. ეს იქნება საგნით, საგნის საშუალებით რაიმე მოქმედების ჩადენა, სწორედ ისე, როგორც მაგ., ჯოხით-გაჯოხვა, ისრით-გაისრვა, ხანჯლით — გამოხანჯლვა, თოკით — გათოკვა, ჩარხით — გაჩარხვა და სხვ.

საგანი აქ ისარს აღნიშნავს.

368 (361) შინა დავსხედით ნადიმად...

- ა. მინდორს ნასიარულევი დაებრუნდით და დავსხედით ნადიმად;
- ბ. მომღერალნი და მუტრიბნი არ იყვნენ გაჩუმებულნი;
- გ. მეფემ გასცა მრავალი ძვირფასი თვალმარგალიტი;
- დ. ასე, რომ დაუსაჩუქრებელი არავინ არ დარჩენილა.

- ა. ვეცდებოდი — ვცდილობდი.
 ვცდილობდი, [მაგრამ] ვერ მოვიცალე თავი სევდისაგან დამღწია,
- ბ. მედებოდა გულსა ალვად — გულს ალივით მედებოდა, ვი-
 გონებლი (ნესტანს), ცეცხლი უფრო მედებოდა გულში ალივით.
- გ. მთქვიან ალვად — ალვის ხეაო — იტყოდნენ ჩემ შესახებ.
 ჩემი ამხანაგები ჩავიყვანე და ჩემსა დავჯექი; ისინი მე მიწოდებდნენ ალ-
 ვად (ალვის ხედ).
- დ. დავიწყე სმა და ნადიმობა, რომ დამეფარა პატივი და ქირი.

370 (363) მოლარემან შინაურმან...

- ა. ჩემმა მოლარემ ჩუმად მითხრა,
- ბ. ვილაც ქალი ჰკითხულობს, თუ შეიძლება ამირზარის ნახვაო?
- გ. თავისი ლამაზი ბრძენთა საქებარი პირისახე ზეწარით აქვს მობუ-
 რული.
- დ. მე ვუთხარი: შეიყვანე საწოლს, ჩემ მიერ არის ნახმობი.

371 (364) ავდეგ; მსხდომნი ნადიმობით...

- ა. ავდეგ, იმ წამსვე სტუმრებიც მოემზადნენ ასადგომად.
- ბ. მე ვუთხარი: დაბრძანდით, შარდზე მივდივარ და ახლავე დავბრუნ-
 დებიო.
- გ. გავედი და შეველ საწოლს, მონა დაეაყენე კარის მცველად.
- დ. გული მივეცი — გული დავარიგე, რომ სასირცხო რამე არ ჩაე-
 დინა.

ამ სტროფში საჯულისხმოა შადი. დ. ჩუბინაშვილი ამ სიტყვას ასე განმარტავს: შადი ნაქსოვისა ჰქვიან. ვუთხარი, ნაქსოვი მოიტანეს, გავალ, ვნახავ და ისევ მალე მოვალო. არაა სწორი! იუსტ. აბულაძის განმარტე-
 ბაც არაა მართებული: შადი — მხიარულობა, მასპინძლის სიმღერა, სტუმ-
 რების გასართობად. ზალექსო სტრიქონში ეს განმარტება რომ ჩავსვათ „შა-
 დი“ სიტყვის მაგიერ, ვერავითარ აზრს ვერ მივიღებთ. როგორ მოვიქცეთ?
 მაქმე ის არის, რომ ზოგ ხელნაწერში შადი-ს ნაცვლად წერია შარდი.

გავითვალისწინოთ მთელი სურათი:

ნადიმად სხედან. ამ დროს შემოვიდა კაცი და მასპინძელს მოახსენა, რომ ვინმე ქალი გიკითხავსო.

მასპინძელი ადგა. სტუმრებიც მოემზადნენ ასადგომად, ნადიმი უკვე გათავდაო. ბუნებრივია, მასპინძელმა უთხრას: დაბრძანდით, შარდზე მივ-
 დივარ და ამ წამს დავბრუნდებიო.

ზოგს ვისმე ეგონა შოთა სიტყვა — შარდს არ იხმარდაო და იგი შად-ად გადააკეთა. უმართებულოა! შოთასთან სხვაც ბევრია ამისთანა „სა-
 ჩოთირო“ სიტყვა.

372 (365) კარსა შედეგ, ქალი წინა...

ა. კარებთან შედეგ, ქალი წინ მომეგება და თაყვანი მცა.

ბ. ვინცა ღირსმცა — ვინც ღირსი გამზადა.

მითხრა: კურთხეულ იყოს ის, ვინც მე მალირსა თქვენს წინაშე მოსვლა.

გ. მიჯნურსა თაყვანება ექმნა ვისმცა.

მიჯნურის თაყვანება ვისლა ექმნას, ვის უქნია.

მე გამიკვირდა: ვის გაუგონია, რომ ქალს თაყვანი ეცა მიჯნურისათვის (ყაცისათვის)?

დ. თუმც იცოდა, წყნარად ზისმცა — რომ სცოდნოდა, წყნარად იჯდებოდა.

ვიფიქრე: ალბათ არ იცის აშოიობა, რომ სცოდნოდა, წყნარად იჯდებოდა.

373 (366) შევე, დავჯე ტახტსა ზედა...

ა. შევედი, დავჯექ ტახტზე, ქალი მოადგა ნოხის პირს;

ბ. ჩემს ახლოს დასაჯდომად თავი ღირსად არ ჩათვალა;

გ. ვუთხარი: თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მანდ რას ზიხარ-მეთქი.

დ. ჩემთვის ჰგვანდა სიტყვა — ძვირსა — არაფერს არ ამბობდა, გაჩუმდა.

მან პასუხი არ გამცა, მეტად სიტყვა — ძვირი იყო ჩემთვის.

374 (367) მითხრა: „დღე ეგე სირცხვილად...“

ა. მითხრა: ეს დღეა სირცხვილად მედება გულს ალი;

ბ. შენ გგონია, რომ მე მოსული ვარ აშოიობისათვის?

გ. მაგრამ ახლა მე იმედს მაძლევს ის გარემოება, რომ შენ ცდილობ, რაც შეიძლება მალე გაიგო ნამდვილი ამბავი.

დ. და თუ ეს აგრეა, ვერ ვიტყვი, რომ მაკლია ღვთის წყალობა.

375 (368) ადგა მითხრა: „თქვენს კრძალვასა...“

ა. თქვენს კრძალვასა — იგულისხმება ნესტანი.

უბნეგია — გადმოუცია.

ადგა, მითხრა, რომ თქვენს საკრძალველ (ნესტანს) ჩემი საშუალებით ეს ცნობა, ამბავი გადმოუცია (უბნეგია).

ბ. უთქმევია — უთქმევეინებია.

ნუ დაეჭვდებით ჩემ მომართ, რაც პატრონის ბრძანებას უთქმევეინებია, ვასრულებ.

გ. შემართება — სითამამე, გაბედულება.

ეგზომ დიდი სითამამე მის გულს მოუწონებია, მიუსურვებია.

დ. ჩემთვის რაცა უთქმევია — რაც ჩემთვის უთქმევია, რაც მე არ მეთქმის, რაც ჩემგან არ ითქმის.

ის, რაც მე არ მეთქმის, ის ამ წერილმა მოგახსენოს.

376 (369) წიგნი ვნახე, მისი იყო...

- ა. ვნახე წერილი, იმისი იყო, ვისიც ალი ჩემ გულს დაგავს.
- ბ. მოიწერა, ნუ დაიჩნევ, ლომო, წყლულსა, ნუ იდარდებ.
- გ. მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები, მაგრამ იცოდე, ტყუილა-უბრალოდ ბნედა, წუხილი მძულს.
- დ. ყველაფერს, ჩემგან თქმულს, მოგახსენებს ასმათი.

377 (370) ბედითი ბნედა, სიკვდილი...

- ა. ტყუილ-უბრალო, უაზრო ბნედა, მწუხარება რა მიჯნურობა გგონია?
- ბ. მაგას ისა სჯობს, რომ საყვარელს უჩვენო საგმირო საქმე;
- გ. ხატაელნი ყველანი ჩვენს სახარაჯოს შეადგენენ.
- დ. [ამჟამად გადგნენ], ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ, მათზე ჯავრი უნდა ამოვიყაროთ.

ს ა ხ ა რ ა ჯ ო — ჯერ, რა არის ხ ა რ ა ჯ ა? ხ ა რ ა ჯ ა — ბეგარაა, ერთ-გვარი ხარკია, რომელსაც გაბატონებული სახელმწიფო ადებდა ხოლმე დამორჩილებულს. ის მიწა-წყალი, რომელსაც ხარაჯა ედვა — სახარაჯო იყო.

XI—XII ს-ში საქართველოს მოსახლდრე მუსულმანური ქვეყნები, არზრუმის მხარე, შირვანი, მისი სახარაჯო იყო. ასე, რომ როდესაც რუსთაველი ლაპარაკობს: „ხ ა ტ ა ე თ ს მ ყ ო ფ ნ ი ყ ვ ე ლ ა ნ ი ჩ ვ ე ნ ნ ი ს ა ხ ა რ ა ჯ ო ნ ი ა“, ბუნებრივია, საქართველოს ისტორიული ვითარებაა მხედველობაში და არა უცხო მხარე.

აღსანიშნავია, რომ დამორჩილებული ქვეყნების ანალოგიით თვით საქართველოშიც დაწესდა სახარაჯო, მაგრამ აქ სახარაჯო სხვა ბუნებისა და სხვა ხასიათის იყო. აქ მას უფრო შეწყალების ხასიათი ჰქონდა, სახელდობრ: რაიმე დიდი დამსახურების გამო მეფე დიდ მოხელეს მისცემდა სარჩოდ ანუ სახარაჯოდ თავისი ქვეყნის რომელიმე მხარეს ან მთლიანად, ან სანახევროდ. მაგ., მსახურთუხუცესად დანიშნული ივანე მხარგრძელი თამარმა შეიწყალა: „გელაქუნით და სხვთა მრავლითა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა“ (ისტ. და აზმ.)⁴³.

378 (371) შენგან ჩემისა ქმრობისა,...

- ა. წინასაც — წინათაც.
- შენ რომ ჩემ ქმრად გამხდარიყავი, ამის წინადაც ვიყავ მსურველი.
- ბ. მაგრამ ღლეშდის ამის შესახებ საუბარი არ მომხდომია.
- გ. ძო დ ა ნ — ამას წინათ.
- კ უ ბ ო ს ა შ ი გ ა ნ მ ჯ დ ო მ ი ა — ტახტრევანზე მჯდომი.
- ამას წინათ ტახტრევანზე მჯდომი, გიჰვრეტდი გაგიყებულს, დაბნედილს;
- დ. მე ყველაფერი ვიცი, რაც შენ გარდაგზდა.

⁴³ ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959, გვ. 54.

379 (372) მართლად გითხრობ, მომისმინე...

- ა. მართალს გეუბნები, მომისმინე, რაც გითხრა:
- ბ. წა, შეები ხატელთა, თავი კარგად მიჩვენე;
- გ. სჯობია შენთვის, ტყუილ-უბრალოდ ნუ სტირი, დაწეები არ დაანესტი-
ანო.
- დ. მეტი რა გიყო მზემ, ხომ აგისრულე სურვილი, ხომ გაგიტენე ბნე-
ლი.

ზემოთ იყო აღნიშნული, რომ ადამიანის სული მზის ნაწილია; ადამი-
ანი კი სულით ცოცხლობს. მაშასადამე, მზე სიცოცხლის მომნიჭებელია, იგი
თვით სიცოცხლეა. მოკვდება ადამიანი, სათანადოდ მზეც უნდა დაბნელდეს.
ამის მიხედვით, მე-4 სტრიქონი ფიგურალური გამოთქმაა და ნიშნავს: მე,
მზემ, ე. ი. ნესტანმა, შენ ტარიელს, ბნელი გაგიტენე, სიკვდილი მოგა-
შორე და სიცოცხლე მოგანიჭე.

380 (373) ასმათი მეუბნებოდა...

- ა. ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ შერიდებოდა.
- ბ. დამე თვალთა — დამეთვლებოდა.
- ჩემი რა გითხრა, როგორ ვიყავ, ლხინი (იმდენი იყო) არ დამეთვლე-
ბოდა.
- გ. მიარდა, კრთებოდა და მე ლალოდა — სინონიმებია. მი-
მორბოდა.

გული ჩემი სიხარულის გამო მიდამო კრთებოდა და მიმორბოდა.

დ. გამე ლალოდა — ლალად მექცეოდა.

პირი ჩემი გაბროლდა და ლოყა გალალდა.

381 (374) თვალთა დავიდევ უსტარი...

- ა. წავიკითხე მე უსტარი (წერილი) მისგან მონაწერი.
- ბ. პასუხად ვწერდი: როგორ შეიძლება შენ მზე მოგერიოს?
- გ. მე ღმერთმა იგი ნუ მომცეს, რაც შენ არ შეგეფერება.
- დ. ყველაფერი ეს სიზმარი მგონია, დარჩენა ჩემი (ამ ქვეყნად) ვერ
დამიჭერებია.

382 (375) ასმათს ვუთხარ: „მე პასუხსა...“

- ა. მივჭხვდები — მივსწვდები, მოვისაზრებ, მოვახერხებ.
- ასმათს ვუთხარ: მე ამის მეტს პასუხს ვერ მივსწვდები, ვერ მოვისაზ-
რებ.

ბ. ასე მოახსენე: რადგან მზეო, ჩემთვის ნათლად აღმოხდი.

გ. მე მკვდარი უკვე გამაცოცხლე, ამიერიდან აღარ ვწუხვარ, აღარ
ვბნდები.

დ. რაც აღა სამსახურსა — გრძელი აზრის მოკლედ თქმის
იშვიათი მაგალითია: რაღაცა არის ის სამსახური, [ამიტომ] რა უნდა იყოს
ის სამსახური, რომელსაც მართლაც, ცრუ [და მოლალატე] ვიყო, თუ მო-
ვერიდო.

383 (376) ასმათ მითხრა: „მე მიბრძანა...“

- ა. ასმათმა მითხრა: მე მიბრძანა (ნესტანმა) აგრე მოვიქცეთ, აგრე აჯობებს.
- ბ. ვინც განახოს, ჩემმიერ მისადმი [ტარიელისადმი] საუბარს ვერ სცნობდეს.
- გ. ვინც ჩემ სანახავად მოვიდოდეს, ვითომც შენ (ე. ი. ასმათს) გეაშიყებოდეს.
- დ. დამველრა კიდევ, ამირბარს (ტარიელს) უთხარი, რომ აგრე შეინახოს ნამუსი, აგრე ნამუსობდეს.

384 (377) შეკეთა ესე თათბირი...

- ა. მომეწონა ეს თათბირი, მისი გულის სიბრძნე;
- ბ. მისი, ვის ნახვას მზეც კი ერიდებოდა;
- გ. მისგან მოვისმინე არა მქისი საუბარი,
- დ. ვისთა შუქთაგან ბნელსა ჰგავდა სინათლე მზისა.
მქისი — უგემური, ცუდი.
უკუნი — ბნელი.

385 (378) ასმათს მივართვი რჩეული...

- ა. ასმათს მივართვი რჩეული თვალი (ძვირფასი ქვები) ოქროს ჯამით;
- ბ. შინ მითხრა: არ მინდა, ვარ გამაძლარი ამითა;
- გ. მხოლოდ ერთი ბეჭედი აიღო, მეტად ძვირფასი;
დრამა — წონის მცირე ერთეულია, დრამით იწონება ძვირფასი რამ,
- ე. ი. ის, რაც იშვიათია, მცირე რაოდენობით მოიპოვება; მაშასადამე, მართა აწონილი დრამითა — მეტად ძვირფასი, იშვიათი.
- დ. ნიშნად ესეც კმარა, სხვა მხრივ, მდიდარი ვარ, არ მაკლია ზელის შესაბამი.

386 (379) ქალი ადგა, წამოვიდა...

- ა. ქალი ადგა და წავიდა, მე ლახვარი ამერიდა, მომშორდა.
- ბ. ლხინმა ბნელი გამინათლა, ცეცხლი მწველი დაშრტდა.
- გ. დავბრუნდი და დავჯექი ნადიმადვე, სადაც ჩემი ამხანაგები სვამდნენ;
- დ. გამხიარულებულმა საბოძვარი გავეც და [მათაც] ზეიმი გაადიდეს.

387 (380) გავგზავნე კაცი ხატაეთს...

- ა. გავგზავნე კაცი ხატაეთს და წიგნი ჩემ-მაგიერი.
- ბ. მივწერე: ინდოთ მეფე იყოს ღვთისგან ძლიერი;
- გ. ვინც მისი ერთგულია, რაც უნდა მშვიერი იყოს, გაძღება;
- დ. ვინც ურჩი იქნება, მაინც და მაინც თავის მადლიერი ვერ დარჩება (ე. ი. თავის თავს დააბრალოს, რაც მოუვა).

388 (381) ჩვენო ძმაო და პატრონო...

- ა. ჩვენო ძმაო და პატრონო — ძმაო და პატრონო მხ. რიცხვ-შია, რადგან მეფეს მიმართავენ და არა მთელ ქვეყანას, მთელ ხატათეს.
ჩვენო ძმაო და პატრონო, თქვენგან ნუ გავმწარდებით.
ბ. წაიკითხავთ თუ არა ამ ბრძანებას, მობრძანდით ჩვენთან.
გ. თქვენ თუ არ მოხვალთ, მაშინ ჩვენ მოვალთ, ქურდულად არ მოგეპარებით.
დ. რომე გვნახე — II კავშირებითია — რომ გვნახოთ.
თავისა სისხლთა ნუ ეზიარებთ — ეზიარებით, ზიარება სიტყვისაგანაა ნაწარმოები. ზიარება კი სპეციალური ქრისტიანული ტერმინია, ერთ-ერთი შვიდი საიდუმლოების აღმნიშვნელი. პოეტმა იცის ეს საიდუმლოება და მისი შესრულების ტექნიკაც (კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. II², გვ. 200). სჯობს, რომ გვნახოთ, თავის სისხლს ნუ ეზიარებით, ე. ი. სისხლს ტყუილაუბრალოდ ნუ დაღვრით, საკუთარ სისხლს ნუ იგემებთ.

389 (382) კაცნი გავგზავნენ, მე გულსა...

- ა. ლხინები — მრავლობითია. ლხინის ნაცვლადაა ნახმარი, გამოწვეული რითმის საკიროებით.
კაცები გავგზავნე, მე გულს მომეცა ლხინი.
ბ. სასახლეში ვმზიარებოდი, მოუთმენელი ცეცხლი რომ მწვავდა, დამეგსო.
გ. საწუთრო — აქ: სიცოცხლე.
მაშინ სოფელმა სიცოცხლე უხვად მომცა, რასაც ვინებებდი.
დ. და ახლა კი ისე ხელმქმნა, რომ მხეტათვია სწყენი იქნება ჩემი მიახლოება.

390 (383) პირველ გაჭრისა პირება...

- ა. პირველ გაჭრისა პირება — აკლია მეშველი ზმნა — პირველ გაჭრის პირება ვქმენ ან ვყავ, ე. ი. პირველად გაჭრა დაეპირე.
პირველად დაეპირე გაჭრა, შემდეგ ცნობა დამიწყნარდა.
ბ. იყენიან — ვნებითს ხოლმე. იყოფოზოდა ხოლმე — იმართებოდა ხოლმე.
ჩემ სწორთა (ამხანაგთა) მერ ჩემ წინ იმართებოდა ხოლმე ნადიმობა.
გ. მაგრამ ჩემი სურვილის დიადობა მე მაშორებდა ამ ნადიმსა და ლხინს.
დ. შემეცვიან — ხოლმე. შემეცავდა ხოლმე.
ვთქვი — უნდა: ვთქვენი. ხოლმე. — ვიტყვოდი ხოლმე.
ზოჯვერ სევდა შემეცავდა ხოლმე და საწუთროს გამობას ვამბობდი.

391 (384) დღესა ერთსა საწოლს მოვე...

- ა. ერთ დღეს საწოლს მოვედი მეფის სასახლიდან წამოსული;
ბ. ვიჯექ და მასვე (ნესტანს) ვიგონებდი, თვალს ძილი არ ეკარებოდა;

- გ. წერილი საიმედო მქონდა და ამიტომ ვიყავი მხიარული;
 დ. [ჩემმა] კარის მცველმა მონას დაუძახა და რაღაც დაფარული უთხრა.

392 (385) „მონააო ასმათისი...“

- ა. [მეკარემ თქვა]: ასმათის მონააო, ვუთხარ, საწოლს შემოიყვანე-
 მეთქი.
 ბ. [ასმათს] მოეწერა: გიბრძანებსო, ვისიც გესვა დანა გულსა, ე. ი. ნეს-
 ტანი.
 გ. ა ფ ო ლ ხ ვ ე ბ ა — შემსუბუქება.
 მ ა ნ ა — პალო, ლურსმანი.
 ა მ ი ფ ო ლ ხ ვ ა ჯ ა ჭ ვ თ ა მ ა ნ ა — შემომსუბუქა ჯაჭვის პალო, ლურ-
 სმნებით შეკრული ჯაჭვი მომიშვა. გადატ.: გულს მომეშვა.
 ლხინმა ბნელი განმინათლა, შემომსუბუქა ჯაჭვის პალო, ე. ი. გულს მო-
 მეშვა.
 დ. წავედი, მონა თან წავეყვანე, აბა სხვა რა უნდა მეთქვა.

393 (386) „ბაღჩა შეველე, არა დამხვდა...“

- ა. ბაღჩა შევიარე, კაცი მოლაპარაკე არ შემხვედრია;
 ბ. წინ ქალი მომეგება, მხიარული, მოცინარი (ასმათი);
 გ. ვ ა შ ა დ ა მ ო გ ი დ ე — მისალმებაა: კეთილად, ბედნიერად გხედავ.
 მითხრა: ბედნიერად, კეთილად გხედავ, არ გასვია გულსა ეკალი.
 დ. უ ფ რ ჭ ვ ნ ე ლ ი — გაუშლელი კოკობი.
 მოდი, ნახე ვარდი შენი (ნესტანი) უფრჭვენელი და დაუშქნარი კოკობი.

394 (387) ამიგდო ქალმან ფარდაგი...

- ა. ქალმა აზიდა მიძიე ფარდაგი;
 ბ. იგი იდგა ტახტრევანი ლალით შემკული;
 გ. ტახტრევანზე იჯდა ნესტანი, მზეებრ მოელვარე;
 დ. მე შემომხვდა თვისი შავის თვალებით.

395 (388) დიდხანს ვდეგ და არა მითხრა...

- ა. დიდხანს ვიდექ და არ მითხრა მის მოსურვებულს სიტყვა;
 ბ. მხოლოდ (ოდნავ) ტუბილად შემომხვდა, როგორც შინაურს;
 გ. დაუძახა ასმათს, მოილაპარაკეს; ასმათი მომიახლოვდა და ყურში
 მითხრა:
 დ. ახლა წადი, რადგან ვერას გეტყვისო. მე კვლავ მიწუხარებამ შე-
 მიპყრო⁴⁴.

396 (389) ასმათ გამომყვა, წამოვე...

- ა. ასმათი გამომყვა, წამოვედი, კარები გამოვიარე.
 ბ. დ ა რ მ ა ნ ი — წამალი.

⁴⁴ ამ სტროფთან დაკავშირებით, ავტორს მოჰყავს ი. ჰაეჰაეძის ცნობილი მოსაზრება ნესტა-
 ნის ბუნების შესახებ.

დარმანთა მია რე — დარმანებს, წამლებს მიმახლოვე, წამლებს მა-
ახლე, წამლები მაახლე.

გ. მოგეცა — II თურმეობითია, მოგიცია.

ლხინი რად გამიზიარე — ლხინი რად გამიყავი.

მაშინ იმედი მომეცი, [ახლა]ლხინი რად გამიყავ?

დ. რე — უფრო.

კვლა უფრო დამიტია-რე — უფრო და უფრო დამიტოვა, უფრო
და უფრო დამაჩინა.

გულმა გაყრის სიძნელე კვლავ უფრო და უფრო დამიტოვა.

სტროფში დაპირისპირებულია ტარიელის 'სულისკვეთება' შეყრისას და
გაყრისას. შეყრისას იმედიანად იყო, საწუთრომ გულს უმკურნალა და იმე-
დი მისცა; ახლა გაყრისას, საწუთრომ ლხინი შუაზე გაუყო, გაუზიარა და
ამიტომ გულმა ეს გაყრის სიძნელე უფრო მეტად დაიჩინა. გაყრისას უფრო
ცუდ მდგომარეობაშია, ვინემ შეყრამდის (შდრ. 952 სტრფ.)

397 (390) ასმათ ლხინსა მიქადებდა...

ა. ასმათი ლხინს მპირდებოდა, ჩავიარე ბაღი.

ბ. მითხრა: აგრე წასვლისათვის ნუ გაჩნია გულსა დაღი.

გ. სიმძიმელი — მწუხარება. დახაშ — დახშე, დახურე. აღი —
გააღე ხოლმე.

მწუხარების ერდო დახშე, სიხარულის კარი გააღე.

დ. ნესტანს საუბრის რცხვენია, ამას გარდა უკადრია, ერთგვარი რილი
აქვს.

398 (391) მე ვუთხარ: „დაო. შენგან, ვეჭვ...“

ა. ვეჭვ — ვფიქრობ.

მე ვუთხარ: შენგან ვფიქრობ, მოველი ჩემი გულის წამალს.

ბ. შენაარი — ფიცი. შენაარ — მიმართვა — ლაღადისია; გაფიცებ.

გაფიცებ, სულთა ნუ გამყრი, ნუ მომკლავ, მოწოდებული ამბით შრეტლე
ხოლმე ჩემს ალს.

დ. ზშირ-ხშირად მომწერე წერილი.

დ. თუ რას სცნობ ჩემთვის, არა ვეჭვ მე შენგან, არ-
დანამალსა — რას გაიგებ ჩემთვის (ჩემ შესახებ), არ ფფიქრობ, არა, რომ
დამალავ.

399 (392) შევჯე, წამოვე, მდიოდა...

ა. შევჯე, წამოველ, ცრემლად ვიდვრებოდი;

ბ. საწოლს შემოველ, გაგიკებულს ძილის თავი არ მქონდა;

გ. ბროლი და ლალი შევიქმენ მე ულურჯესი ლილისა.

დ. ლამე მერჩია, მეწადა არ-გათენება დილისა — ჰენდიადისია.

400 (393) ხატაეთს მყოფნი მოვიდეს...

- ა. ხატაეთს მყოფნი (წასულნი) მოვიდნენ, დროც იყო რომ მოსულიყვნენ;
- ბ. პასუხი შემოეთვალათ მეტად მკვახე და უკადრისი;
- გ. ჭ ა ბ ა ნ ი — მხლალი.
- უ მ ა გ რ ო — მაგარის უარყოფაა, არამაგარი; მაგრამ უარყოფითი ფორმა კვალად უარყოფილია. არ უმაგრო, რაც დადებით მნიშვნელობას იძლევა — მაგარი.
- არც ჩვენ (ხატაელნი) გახლავართ მხლალნი და არც ციხეები გვაქვს სუსტი.
- დ. ვინაა თქვენი ხელმწიფე და რა უფლება აქვს ჩვენზე.

401 (394) მოეწერა: „რამაზ მეფე...“

- ა. ტ ა რ ი ე რ ი — ძე. ფორმაა აღდგენილი რიჟმის გამო.
მოეწერა: მეფე რამაზ გწერ შენ, ტარიელს;
- ბ. გამიკვირდა, რა ეწერა შენს წერილში.
- გ. როგორ თუ მანდ მიხმობ მე, რომელიც ვპატრონობ ბევრს ერს,
- დ. არ ვნახო ამიერიდან, რომ ასეთი წიგნი მოგეწეროს.

402 (395) ვუბრძანე წვევა ლაშქართა...

- ა. ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზპანები,
- ბ. ინდოთ ჯარი მოვიდა ვარსკვლავთ ურიცხვი.
- გ. მ ო ნ ა ს ხ პ ა ნ ი — მრავლობითია, მხ. იქნება მ ო ნ ა ს ხ ა პ ი — მიმღეობაა მ ო ს ხ ა პ ე ა ზ მნისა.
- ს ხ ა პ ე ა — ცეკვა, ხტომა, სირბილი, ჩქარი სიარული.
- მ ო ნ ა ს ხ ა პ ი — ცეკვით, ხტუნვით მოსული, ასწრაფებული, დაჩქარებული.
- ჩ ე მ კ ე ნ მ ო ნ ა ს ხ პ ა ნ ი ა — ჩემკენ ცეკვით სწრაფად მომავალი.
- შორი და ახლო ადგილებიდან ყველა ჩემკენ გამოშურებული.
- დ. ჯარით აივსო ერთობ მინდორი, კლდე და ვიწრობები.
- ვ უ ბ რ ძ ა ნ ე წ ვ ე ვ ა ლ ა შ ქ ა რ თ ა — ლაშქრის წვევა სხვადასხვა შემთხვევაში იცოდნენ: ომის დროს, ნადირობისას. პირველ შემთხვევაში ომს დარბაზი დაასვენოდა. მეფე გამოსცემდა ლაშქართა წვევის ბრძანებას. შემდეგ დაიგზავნებოდა წვევის წიგნები და სათანადო მსახურნი წარივლინებოდნენ. ბრძანების გაცემის უფლება მხოლოდ მეფეს ჰქონდა, ან მეფის მინდობილობით სპასალარს.

403 (396) ფიცხლა მოვიდეს, არ ექმნა...

- ა. ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ო ბ ა — დაყოვნება, დახანება.
სწრაფად მოვიდნენ, ისე რომ შინ არ დაუყოვნებიათ;
- ბ. ა ღ ლ უ მ ი — ჯარის დათვალეობა, გასინჯვა.
- ა ღ ლ უ მ ი ვ ნ ა ხ ე, მ ე კ ე თ ა ლ ა შ ქ ა რ თ ა მ ო კ ა ზ მ უ ლ ო ბ ა

—გალაშქრების წინ მეფე დაათვალიერებდა ჯარს, გაუსინჯავდა იარაღსა და ცხენეტილობას, სხვაგვარად: შეამოწმებდა ჯარის მზაობას (შდრ. ისტ. და აზმ. 132).

ჯარი დავათვალიერე, მომეწონა მისი მოკაზმულობა,
ვ. სიმარდე და ლამაზად დარაზმულობა,
დ. მათის ცხენების სიმაღლე, იარაღისა და საზოგადოდ მოკაზმულობის სიკეთე.

404 (397) ავმართე დროშა მეფისა...

ა. დროშა — სახელმწიფო ხელისუფლების ნიშანია. დროშის ნაწილებიც: თავი ანუ ტარი, ალამი და ზორტი, რომლითაც ალამი მიმაგრებულია ტარზე.

საქართველოში დროშა სხვადასხვაგვარი იყო: მეფის, მთავარსარდლისა, ერისთავთ-ერისთავის და მისთ. სხვადასხვა დროს დროშა სხვადასხვა ფერისა იყო. XII—XIII ს. მეფის დროშას ალამი წითელ-შავი ჰქონია⁴⁵.

გალაშქრების წინ მეფე გამოიტანდა დროშას, დალოცავდა და გადასცემდა ამირსპასალარს. (შდრ. ისტ. და აზმ.).

- ა. ავმართე მეფის დროშა წითელ-შავი ალმით.
- ბ. გვეცი ბრძანება ჯარისადმი დილით ადრე გამახულიყვნენ.
- გ. თავად ვტიროდი, მწარედ ბედს ვიწყევლიდი.
- დ. მზე (ნესტანი) რომ არ ვნახო, როგორ, რანაირად ვიარო.

405 (398) შინა მივე, დადრეჯილსა...

ა. სევედა მიიეფდა — სევედა გამიმრავლდა.

შინ მივედი, მოწყენილს გულში სევედა გამიმრავლდა.

ბ. თვალთათ — მოქმ. ბრუნვაა დაწყებითი მნიშვნელობით. თვალე-ბიდან, როგორც საგუბარიდან, ცხელი ცრემლი გადმოძიოდა.

გ. ჩემი უბედური ბედი, როგორც ჩანს, ჯერ ვერ განმტკიცდა.

დ. გიჟმან ვარდი რად დავიჭირე ხელში, თუ ვერ მოვკრეფდი.

406 (399) მონა შემოდგა, მივეცი...

ა. მონა შემოდგა (ყარებზე), მეტად გამიკვირდა.

ბ. მომართვა ასმათის წერილი მე მეტად დაღონებულს.

გ. წერილში ეწერა: გიხმობს ნესტანი შენ, მისთვის მოსურვებულს.

დ. ვე ბ უ ლ ი — ვაებული.

მოდი, მანდ ტირილსა და ვაებას ეს სჯობს.

407 (400) ვითა მმართებდა, ეგზომი...

ა. როგორც მმართებდა, იმდენი როგორ გავიხარო!

ბ. შელამდა, წავედი, ბალის კარი შევიარე;

გ. სადაც ასმათი პირველად მენახა, იქვე იღვა,

⁴⁵ ვამოთქმულია მოსახრება, რომ წითელ-შავი არ იყო ქართული სამეფო დროშა, იგი საერთოდ არ იყო რომელაზე ქვეყნის დროშა (თუნდაც ინდური), არამედ სიმბოლოვანია და სისხლის ღერისა და სიკედლის აღმნიშვნელია.

დ. სიცილით მითხრა: წამო, მოგელის ლომსა (ტარიელს) მთვარე (ნესტანი).

408 (401) შემავლო სახლი, ნაგები...

ა. ბ ა ნ ი ს - ბ ა ნ ი — ბანზე აგებული საწოლი ოთახი.

1112 სტროფში კიდევია მოხსენებული ბ ა ნ ი ს - ბ ა ნ ი, სადაც იწვა ფატმანის სატროფო, რომელიც ავთანდილმა მოკლა და თანაც თითი მოჰკვეთა. 1116 სტროფში კი ვკითხულობთ: „ზღვათაჲე სარკმლით გასტყორცა (მოკვეთილი თითი), ზღვასა ქვიშათა დარია...“

ბანის-ბანს თუ ს ა რ კ მ ე ლ ი ჰქონდა, ცხადია, იგი ოთახია. საწოლი ოთახი.

შემიყვანა კეკლუცად, ლამაზად ნაგებ სახლში;

ბ. იქ გამოჩნდა მთვარე სრული სისავსით. (ნესტანი),

გ. მოფარდაგულის შიგნით იჭდა მწვანე სამოსელით,

დ. მეტად სარიღი (საკრძალავი) და ძვირფასი, პირად და ტანად სუცხოვო.

409 (402) შევე, წავდეგ ნოხთა პირსა...

ა. შეველ, ნოხის პირს წავდეგ, მეტად გამიხარდა, ცეცხლმა დამიწყო შრეტა,

ბ. გულს ბნელი გამინათდა და ლხინი სვეტად დამადგა.

გ. მას (ნესტანს) ბალიში შემოეგლო, მეტად მიმზრდველი და წარმტაცი იყო,

დ. ჩემგან პირსა (პირისახეს) იმალავდა, აიხედვდა ხოლმე წამ-წამ!

სურათი დაახლოვებით ასეთია: ნესტანს სახეზე პატარა ბალიში ან რიდე ჰქონდა მიდებული. ხან ჩამოსწევდა რიდეს და გამოიხედავდა, ხან კი ასწევდა და თვალებს დაფარავდა; ამიტომაცაა მონზობილი ზმნური ფორმები. ი ფ ა რ ვ ი დ ა, ა ი ხ ე დ ი ს. ისიც — წ ა მ ი ს ჰ ვ რ ე ტ ა დ, ე. ი. მხოლოდ წამიერად.

410 (403) უბრძანა თუ: „მოახსენე...“

ა. ასმათს უბრძანა: მოახსენე ამირბარს, რომ დაჯდეს!

ბ. დ ა მ ა რ თ ე ბ ი თ — პირდაპირ.

ასმათმა ბალიში (საჯდომი) ნესტანის პირდაპირ დადგა.

გ. დავკეჭე, გულს, საწუთროს დამგომობარს, მივეც ლხინი;

დ. მიკვირს, როგორ მიღვას, როგორ შემრჩენია სული მე, მისგან ნათუ-ბარის მთქმელს.

411 (404) მიბრძანა: „ძოდან გეწყინა...“

ა. უ უ ზ ა რ ე — ხმაგაუცემელი.

მიბრძანა: გეწყინა, რომ ამას წინეთ უუბარი გაგიშვი,

ბ. დაგაჰკნე გაშორებით, როგორც ბარის ყვაელი:

გ. დ ა ვ რ ჯ ი დ ა — შეგაწუხებდა.

ვიცი, შეგაწუხებდა ცრემლის დენა, თვალთავანი ნაგუბარი.
დ. მაგრამ საჭიროა, რომ მე სირცხვილი და რიდი მქონდეს შენი (ამირ-
ბარისა).

412 (405) თუცა მართებს დედაკაცსა...

ა. თუმცა მართებს დედაკაცს, რომ იგი მორიდებული იყოს მამაკაცის.
ბ. მაგრამ უფრო უარესია კიროს არ თქმა და დამალვა:
გ. ზ ე ბ ი რ — გარეგნულად.
ქ ვ ე-ქ ვ ე — აქ: ჩემს გულში.
ი დ უ მ ა ლ — საიდუმლოდ.
მე თუ გარეგნულად მიცინია, გულში ბევრჯერ ნიოქვამს „ვაი“;
დ. ძ ო ღ ა ნ — ახლახან.
ახლახან ქალი გამოვგზავნე და სიმართლე შემოგითვისაღე.
ვ ქ მ ე ნ მ ა რ თ ლ ი ს ა შ ე მ ო თ ვ ა ღ ვ ა — ზმნურად გადმოცემული
აგრე იქნება: მართალი შემოგითვისაღე. ქართულისათვის უცხო კონსტრუქ-
ცია — ვქმენ მართლისა შემოთავაღე — სტრიქონის მეტრიკა და რიტმითაა გა-
მოწვეული.

413 (406) ერთმანერთისა, მას აქათ...

ა. მას აქეთ, რაც ჩვენ ერთმანეთის ორივემ ვიცით,
ბ. ახლა მიგულე შენად (საშენოდ) მტკიცედ და ურყევად;
გ. ამას დავაჯერე მე ჩემი თავი და დიდი ფიცით,
დ. და თუ გეცრუო, მაშინ ღმერთმა მე მომკლას და ნურც მეცხრე
ცაზე ვიჯდე.
შენიშვნა მე-4 სტრიქონზე:
თავდაპირველად შვიდ ცას ანგარიშობდნენ: I იყო მთვარისა, II — ოტა-
რილისა, III — ასპიროზისა, IV — მზისა, V — მარბისა, VI — მუშთარისა,
VII — ზუაღ-სატურნისა.

თითოეულ ცას თავისი სფერო, თავისი საფეხური ჰქონდა და ამის მი-
ხედვით, ამა თუ იმ ცაზე ყოფნა სიკვდილის შემდეგ სათანადო ნეტარების ალ-
მნიშვნელი იყო. ამის შემდეგ გამოგონილი იქნა ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ თ ა ც ა
და კიდევ უ ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ო, სფეროებისა და მნათობების მამოძრავე-
ბელი ცა. ეს ცა ყველაზე უმაღლესია იქ ყოფი უადრეს ნეტარებაშია. მე-
შვიდე ცასთან ერთად ქართულში მეტად იხმარება მეცხრე ცა.

ასე რომ როცა ნესტანი ლაპარაკობს: ნ უ მ ც ა ც ხ რ ი თ ა ვ ე ვ ზ ი
ც ი თ ა — ეს იმას ნიშნავს, რომ თუ შენ გეცრუო, მაშინ მე უბედური
ნეტარების ღირსი ნუმც ვყოფილვარო.

414 (407) წა, შეები ხატაელთა...

ა. წადი, შეები ხატაელებს, ილაშქრე და იბრძოლე;
ბ. ღმერთმა ქნას და გამარჯვებული, მხიარული ჩემკენ დაბრუნდე.
მ ო რ ჭ მ უ ლ ი მ ც ა ჩ ე მ კ ე რ ძ ი რ ე — მორკმულმა ჩემკენ იარო.
გ. მ ო მ ხ ვ დ ე ბ ო დ ე ა — მეღირსებოდეს.

ვ ი რ ე — სანამ.

მაგრამ მე რა ვქმნა, სანამ შენი ნახვა არ მეღირსებოდეს,
დ. შენი გული მომეც განუყრელად, ხოლო ჩემი შენ წაიღე.

415 (408) მოვახსენე: „არ მეწყალვის...“

- ა. მოვახსენე: არ მებრალება ჩემი თავი შენთვის დასაწველად,
- ბ. მაგრამ რადგან დამარჩინე და არ მომკალი,
- გ. ჩემს თვალებს უჩნდე მზეებერ სინათლედ,
- დ. აწ შევებმები ხატაელებს, რომ გამოვჩნდე ღომი ქველად.

416 (409) აწ რასაცა მე მადირსებ...

- ა. ახლა, რასაც მე მადირსებ, სხვა ზორციელი არაა ღირსი;
- ბ. ი ჩ ქ ი თ ი — მოულოდნელი.
მოწყალეა ღვთისა მოულოდნელია, ამიტომ იგი არ მიკვირს;
- გ. მ ქ ვ ი რ ს ა — სინათლეს მატან.
შენ შუქს შემომადგამ, შემომანათებ, რომელიც ბნელს გულს მკვირავს.
- დ. შენი ვიყო, სადამღის მიწა დამეყრებოდეს. ვიდრე მოგვედებოდე.

417 (410) ზედა წიგნსა საფიცარსა...

ა. სა ფ ი ც რ ი ს წ ი გ ნ ი ქართული სახელმწიფოებრივ-საზოგადოებ-
რავი ურთიერთობის ტერმინია. წერილობითი პირობა, რომელშიაც ფიცი
და აღთქმა იყო დადებული, სა ფ ი ც რ ი ს წ ი გ ნ ა დ იწოდებოდა. „ეს
მტკიცე და შეუცვალებელი საფიცრის წიგნი გიბოძეთ ჩვენ და სხვა“; ხში-
რია ამგვარი გამოთქმები ქართულ სიგელებში. მაგრამ საფიცრის წიგნი პი-
რადი ურთიერთობისას, კერძოდ ტრფიალთა შორისაც იღებოდა. ეს ფიცი
ზეპირი იყო, წერილობითად არ იკვრებოდა. საგულისხმოა ის მხატვრული
ხერხი, რომლითაც შოთა გადმოგვცემს ფიცის სიმტკიცეს. ფ ი ც ი ს ი ტ ყ -
ვის სხვადასხვაგვარი ვარიანტით:

ზედა წიგნსა საფიცარსა შეჰვეფიცე და შემომფიცე — საფიცრის წიგნზე შევეფიცე და შემომფიცე;

ბ. ამით ჩემი ჰიყვარული მისადმი უფრო დაამტკიცა.

გ. თუ შენ გარდა სხვა ვინმე მოვიწონო (თუ სხვისი მოწონება გულში
მიძს).

დ. მაშინ ღმერთმა მომკლას, ამიერიდან ამას ვეტყვი ჩემს თავს,
ამგვარად ვსწვრთნი ჩემს თავს.

418 (411) დავყავ ხანი მას წინაშე...

- ა. დავყავ დრო მის წინაშე (მასთან), ტკბილი სიტყვები ვთქვით,
- ბ. ვკაპეთ ხილი სასიამოვნო, ერთმანეთს ველაპარაკეთ,
- გ. მერმე ავღვებ წამოსასვლელად ტირილითა და ცრემლის ღენით,
- დ. მისი შუქის შვენებანი გულს ნათლად მეფინებოდნენ.

419 (412) მეძნელებოდა სიშორე...

- ა. მეძნელებოდა სიშორე ნესტანისა, არ მინდოდა მოვშორებოდა ნესტანს,
- ბ. მე განმიახლდა სიცოცხლე, მომემატა ღვინი;
- გ. რადგან ჩემად ჩნდა იგი, ეთერით მზედ გამოსხივებული.

420 (413) დილასა შევეჯე, ვუბრძანე...

- ა. დილას ავმხედრდი, ვუბრძანე, აბა, ჰკარით ბუკსა და ნობასა.
- ბ. ფერ გეტყვი, რომ მთელი ჯარი შესასხდომლად არ ყოფილიყო მზად. (უარყოფითი კონსტრუქციით დადებითი ფუნქციაა გადმოცემული. აღსანიშნავია ჯარის სახეობა: ცხენოსანი).
- გ. ლომმა მივმართე ხატაეთს, ვერვინ იტყოდა, რომ მხდალი ვარ.
- დ. ლაშქარი გაჭრილი გზით არ მიდიოდა, გზას ამოკლებდა.

421 (414) დავაგდე მზღვარი ინდოთა...

- ა. პ ა შ ტ ა —საკმაოდ ბევრი.
დავტოვე ინდოეთის საზღვარი, კაი ხანი მეელო.
- ბ. მ ე მ თ ხ ე ი ა — შემომხვდა.
- ხატაეთის ხანის, რამაზის კაცი შემომხვდა,
- გ. მან გადმომცა გულის მოსაფხანი ამბავი:
- დ. ჩვენთა ხატაელთა, მგლებს, თქვენი, ინდოელთა, თხანი დასკამენო.

422 (415) მე შემომძღვენს რამაზისგან...

- ა. ს ა შ ი ნ ე ლ ი — აქ: მეტისმეტი, დიდი. ამგვარი გაგება ამ სიტყვისა ხალხურია (საშინლად მიყვარს, საშინლად მშობი და მისთ.) მე შემომძღვენს რამაზისგან დიდი განძი;
- ბ. თან მითხრეს, რომ ნუ ამოგწყვეტო, შენ ეს არ შეგეფერება,
- გ. ზ ე ნ ა ა რ ი გ ა მ ო გ ვ ი დ ე — მიიღე ჩვენგან ფიცი.
- მ ი თ გ ვ ა ბ ი ა ყ ე ლ ს ა წ ნ ე ლ ი — დამარცხებული ან თავად შეიბამდა ნიშნად მორჩილებისა ყელზე წნელს, საბელს, ან ჩამოიკიდებდა ყელზე ხმალს, ანდა: დამარცხებული შეაბამდა დამარცხებულს და ისე წამოიყვანდა.
- მიიღე ჩვენგან ფიცი, რომ ჩვენ თქვენი მორჩილი ვართ,
- დ. მოურბებელად მოგართმევთ ჩვენს თავს, შვილთა და საქონელს.

423 (416) რაცა შეგცოდეთ, შეგვინდე...

- ა. რაც შეგცოდეთ, შეგვინდე, თვით ჩვენ უკვე შევინანეთ;
- ბ. თუ შეგვიწყალებ როგორც ღმერთი, აქ ნუ მოვლენ თქვენი ჯარები;
- გ. რომ ჩვენი ქვეყანა არ გაწყდეს, რისხვით ცა არ დაგვატყდეს.
- დ. ჩვენ თვითონ ჩაგაბარებთ ციხე-ქალაქს და რაც შეიძლება მცირე ჯარი მოგყვით.

424 (416) გვერდსა დავისხენ ვაზირნი...

ა. დ ა ვ ი ს ხ ე ნ — რაკი ობიექტი მრავლობითშია.

გ ა ვ ი ზ რ ა ხ ე ნ ი თ — ერთმანეთს გამოველაპარაკეთ, ერთმანეთს აზრო
გავუზიარეთ.

გვერდს დავისვი ვეზირები, ვილაპარაკეთ, ვითათბირეთ;

ბ. ყ მ ა წ ვ ი ლ ი — აქ: გამოუცდელი.

მითხრეს: ცოტა არ იყოს ყმაწვილი ხარ, გამოუცდელი, ამიტომაც ბრძე-
ნნი მოგახსენებთ ჩვენი საწყალი ენით:

გ. მ უ ხ თ ა ლ ი — მოლაღატე.

ხატელნი მეტად მუხთალნი არიან, ერთხელ კიდევაც გავიგეთ, კიდევაც
გამოვცადეთ;

დ. აქ კავშირებითი ვითარებაა, მაგრამ რადგანაც მცა ნაწილაკიანი
კონსტრუქციითაა გადმოცემული, ამიტომ ზმნა წყვეტილშია, უ-მცა ნაწი-
ლაკოდ იქნებოდა: არ მოგკლან ღალატით, არ ვივაგლახოთ.

ამით გარდა, აღსანიშნავია: ვაზირთა დებულებას . რომ მეტი ძალა და
დამაჯერებლობა ექნეს, სტროფის ეს უკანასკნელი დასკვნითი ლექსი ხაზ-
გასმით ანაფორული ალიტერაციითაა გადმოცემული: არამცა მოგკლეს ღა-
ლატად, არამცა ვივაგლახენით — ვაი თუ მოგკლან ღალატით, ვაი თუ ვივაგ-
ლახოთ.

425 (418) ჩვენ ამას ვარჩევთ...

ა. ჩვენ ამას ვარჩევთ, რომ წახვიდე, მართლაც, კარგი მამაცი კაცებით,

ბ. ლ ა შ ქ ა რ ნ ი ა ხ ლ ო ს გ ე კ ი დ ნ ე ნ — ლაშქარი ახლოს გეკიდოს,
მოგყვებოდეს.

ს ც ნ ო ბ დ ე ნ ა მ ბ ა ვ ს ა კ ა ც ი თ ა — აქ მეკავშირება ნაკულისხმევი
მეწინავე და უკანა ჯარს შორის: ამბის მომტანი.

თვით ლაშქარი ახლოს გახლდეს, რომ სცნობდეს ამბავს მეკავშირის სა-
შუალებით;

გ. თუ გულ-მართლად იყვნენ, მაშინ მიენდე, აფიცე ღმრთითა და ცითა,

დ. და თუ არ დაგმორჩილდნენ, შერისხე რისხვითა და კვალად რისხვი-
თა.

426 (419) მეკეთა ესე თათბირი...

ა. მ ე კ ე თ ა — მომეწონა.

ვ ა ზ ი რ თ ა ნ ა ვ ა ზ ი რ ე ბ ი — ვაზირთა ნარჩევი.

მომეწონა, ჭკუაში დამიჭდა თათბირი ვაზირთა ნარჩევი.

ბ. შევსთვალე: რამაზ მეფეო, ვცან შენი დანაპირები.

გ. სიკვიდის სიცოცხლე მირჩვენია, რადგან ციხე-სიმაგრე ვერ დაგვიდ-
გამს: უნდა ყოფილიყო და გიდგამს (შენ), მაგრამ არის და გვიდ-
გამს ჩვენ, ე. ი. ტარიელსა და რამაზს. მაგრამ ტარიელს არავითარი ქვით-
კირი არ დაუდგამს ხატაეთში, პირიქით, თუ დაუნგრევია. აბა რატომაა
და გ ვ ი დ გ ა მ ს ?

აქ გამოხატულია დაცინვა და არაჩვეულებრივი ირონია ხატაელთა საქ-

მიანობისა და კერძოდ მათ სიმაგრეთა შესახებ. ეს ირონია იმით იხატება, რომ შემტვენი მხარე თითქოს თავისთავსაც მონაწილედ თვლის მოწინააღმდეგის საქმიანობაში. ეს აგრეა დღესაც. ვთქვათ, ვინმე დამნაშავეს ამხელენ რაშიმე, ეკითხებიან: აბა როგორაა ჩვენი საქმე? (ჩვენი და შენი), რალაცა წაგვიხდენია მგონია, ჰა?

დ. ლაშქარს დაგტოვებ, ცოტა ჯარით წამოვალ, შენკენ ვივლი.

427 (420) მათ ლაშქართაგან სამასი...

ა. ქველანი — ნაცვლად ქველნისა რითმისთვისა.

ჩემი ლაშქრიდან სამასი კარგი, ქველი მოყმე თან წამომყუცა,

ბ. წაცავე — კიდევაც წავედ, უკვე წავედი.

წავედი, დანარჩენი ჯარი დავტოვე,

გ. ველანი — ველნი.

მაგრამ შევეხევეწე, რა გზითაც მე ვივლი, იმ გზით იარეთ,

დ. მომღვედით, მიშვეეღდით — უწყვეტლის ხოლმეობითია, მეფისა და მეწინავე რაზმთა და უკანა ჯარს შორის უწყვეტი კავშირის აღსანიშნავად.

ახლოს მომყევით და თუ შეველა დამჭირდა, მოვიხმობთ და მაშინ მიშვეელთ.

428 (421) სამ დღე ვიარე, მემთხვია...

ა. სამი დღე ვიარე, შემომხვდა იმავე ხანის სხვა კაცი.

ბ. კიდევ გამოეგზავნა მრავალი ძვირფასი ტანისამოსი,

გ. მწადსო სიახლე შენ ლალისა და ჯანისა — მწადსო სიახლე შენის ჯანისა. შენ — აქ: კუთვნილებითი ნაცვალსახელია.

შემოეთვალა: მწადს შენი, ლალისა და მძლავრის ნახვა,

დ. როდესაც შეგეჯრები, მაშინ გაიგებ, თუ მაგისთანა ძღვენს რამდენს მოგართმევ.

429 (422) კვლაცა ეთქვა: „მართალია...“

ა. მონახსენი — მონახსენები.

კვლად ეთქვა: მართალია, რაც მე მოგახსენეთ.

ბ. მოგეგებვი — მოგეგებები.

მე თვით წინა მოგეგებები, მეჩქარება შენი ნახვა.

ღიაღმერთო — აქედან შემდეგ მიღებულია შემოკლებული ღიაღ.

გ. მე შეეუთვალე: დიად, მეც შეეასრულებ თქვენს ბრძანებას,

დ. ტკბილად ვნახოთ ერთმანეთი და ვიყოთ, როგორც მამა-შვილიო.

430 (423) მუნით წასული ჩამოვჰხე...

ა. მუნით — იქიდან.

იქიდან წასული მე ჩამოვხტი რომელიღაც ტყოს კიდეს;

ბ. კიდევ მოვიდნენ მოციქულნი, მომესალმნენ;

გ. ლამაზი ცხენები მომიძღვენს,

დ. და თქვეს: შენს ნახვას ჩვენი მეფე, მართლაც, ინატრისო.
მეფენი — სტრიქონის მარცვალთა სინაკლემ გამოიწვია.

431 (424) მითხრეს: „მეფე მოგახსენებს...“

- ა. მითხრეს: მეფე მოგახსენებს, რომ მეც თქვენკენ მოვდივარო,
ბ. ჩემი სახლიდან წამოსული ზვალ აღრე შეგეყრები.
გ. ხარგა — ძვირფასი ქსოვილის ტალავარი, მაზრა (მაზრები) —
უხეში ნაბდის კარავი.
მოციქულები დავასვენე: ხარგა დავუღვი და არა მაზრები,
დ. მეტად ვუალერსე; ერთად დაწვენენ, როგორც მაყრები.

432 (425) კარგი საქმე კაცსა ზედა...

- ა. აზომ — ამ ზომად, აჲ.
კაცს რომ კარგ საქმეს გაუკეთებ, ის თურმე არ დაიკარგება,
ბ. უკმორესწყდა — ცოტათი უკან მოსწყდა, ცოტათი უკან ჩა-
მორჩა.
გ. მოციქულთაგან ერთი კაცი ცოტათი უკან ჩამორჩა, მოდგა და ჩუმად მე-
უბნება:
მაც — მაძს, მაძევს.
თქვენი დიდი ვალი მაძევს მე, რომელიც ჩემგან ძნელი გადასახდელია,
თქვენი გაწირვა, დაეიწყება არასოდეს არ იქნება.

433 (426) მე მამისა თქვენისაგან...

- ა. ცოტა — აჲ: პატარა.
მე მამათქვენისგან პატარა ვარ განაზარდი, მე მამათქვენმა პატარაო-
ბილამ გამზარდა.
ბ. გავიგე, რომ თქვენ ღალატს გიპირებენ და საცნობლად გამოვიჭერი;
გ. მიმძიმ — მიმძიმხარ, სამძიმოა ჩემთვის.
ტანი მქვევრი, პირი ვარდი — მუღმივი ეპითეტებია ტარი-
ელისა.
მკვდარი რომ ვნახო, მეტად სამძიმო იქნება ჩემთვის,
დ. ყველაფერს მოგახსენებ, გამიგონე, დამშვილდი, დაწუნარდი.

434 (427) რომე ცუდად არ მოლორდე...

- ა. არ მოლორდე — არ მოტყუდე.
ტყუილ-უბრალოდ რომ არ მოტყუდე, იცოდე, რომ ის კაცები (ხატაე-
ლები) შენ გლალატობენ,
ბ. ერთგან — ერთ ადგილს.
ერთ ადგილას შენ წინააღმდეგ დამალულია ასი ათასი ჯარი;
გ. გითქს — გიდგას, ჩასაფრებულია შენთვის.
სამი ბევრი — სამჯერ ათი ათასი — 30 000.
სხვაგან კიდევ სამჯერ ათი ათასი და სწორედ ამიტომაც, რომ გიხმობენ,
გეხვეწებთან შეხვედრას,

დ. ფათერაკი — ქირი, უბედურება, ხიფათი.

შესწრება, შესწორება — რისამე შემთხვევა, დამართება.

და თუ თავს არ ეწევი, თავს თუ არ გაუფრთხილდები, ფათერაკს, ხიფათს რასმე შეგამთხვევენ.

435 (428) მეფე ცოტათ მოგეგებვის...

ა. ვერ გელევიან — ვერ გიმეტებენ.

მეფე ცოტა ჭარით შემოგეგება შენ, ვისაც მკვრეტელნი ვერ გელევიან, ვერ გიმეტებენ;

ბ. მით გეთნევიან — მით სათნო, მოსაწონნი იქნებიან შენთვის. მალვით ჩაიციმენ აბჯარს, რომ მიენდო, ამიტომ ისინი პირში საამოს გეუბნებიან;

გ. ყოველგნით — ყოველი მხრიდან, ირგვლივ.

ლაშქარი კვამლს შექმნის, ყოველმხრივ მოგეხვევიან.

დ. ერთსა გცემენ ათასნი, უთუოდ მოგერევიან.

436 (429) მას კაცსა ამოდ ვეუბნენ...

ა. ამოდ — ტკბილად.

ამ კაცს, ტკბილად ველაპარაკე და მაღლი გადაუხადე;

ბ. შემოგზლო — სამაგიერო გადაგიხადო.

თუ არ მოვკვდი, ისეთს პატივს გცემ, რომ სანატრელი იყოს.

გ. აბა, ახლა ამხანაგებმა რომ არ გაგიგონ, წადი და მათთან იარე,

დ. მემცა ვარ განაკიდი — კავშირებითი ვითარებაა მცა ნაწილაკით გადმოცემული: მეც ვიყო განაკიდი, ე. ი. მეც ვიყო განზე გამდგარი, გაკიდეგანებული, შეჩვენებული.

თუ დაგივიწყო, უთუოდ მეც ვიყო გარეწარი, შეჩვენებული.

437 (430) არვის გავენდე სულდგმულსა...

ა. არვის გავენდე სულდგმულსა — არვის გავენდე სულიერს (უარესი საიდუმლოების აღმნიშვნელია).

არვის გავენდე სულდგმულს (სულიერს), დავმალე, როგორც ჭორი (როგორც არანამდვილი).

ბ. რაც იქნება იქნეს, ყოველგვარი აზრი — რჩევა თანაბარია.

გ. მაგრამ ჭარებისკენ გავგზავნე კაცი, თუმცა შორ გზაზე,

დ. მოგრაგნეთ — გრაგნა — შეახვიეთ, შეამოკლეთ, გადმოკერით.

შევთვალე: სწრაფად წამოღით, გადმოკერით მთა და ფორია.

438 (431) მე დილასა მოციქულთა...

ა. მე მოციქულებს ტკბილი სიტყვა შევეუთვალე;

ბ. მოახსენეთ რამაზს, რომ მობრძანდეს, მეც ჩქარა შევეგებები.

გ. ნახევარი დღე კიდევ ვიარე, პირს თავი არ მოვარიდე.

დ. ქვემცა საღა — აბა, საღა.

ყველაფერი განგებაზეა დამოკიდებული, თუ მოსაკლავი ვარ, დღესვე მომკლავს, აბა, სადღა უნდა დავიმალო.

439 (432) ქედსა რასმე გარდავადეგ...

- ა. რომელიღაც ქედს გარდავადეგ და მინდორში მტვერი დავინახე.
- ბ. ვთქვი, ეს რამაზ შეფეა, თუმცა მას ჩემთვის მახე დაუღვამს.
შუბი ახე — ცალკე თქმაა. ბრძანების გამომხატველი შეძახილია.
- გ. მაგრამ ჩემი ბასრი ხმალი გაჰკვეთს მათს ხორცს.
- დ. სახე დიდი დავუსახე — დიდი გეგმა დავუსახე.
მხოლოდ მაშინ ვუთხარ ჩემს ჯარს ყველაფერი, გეგმა დიდი დავუსახე.

440 (433) ვთქვი, თუ: „ძმანო, ისი კაცნი...“

- ა. ჩვენ ლალატსა გვიდგებიან — ლალატით მოდიან ჩვენთან, ლალატით გვიდგებიან, ლალატით შეგვეხებიან, ლალატს გვიპირებენ.
ვუთხარი: ძმებო, ის კაცები ჩვენ ლალატს გვიპირებენ,
- ბ. სი.მაგრენი ამისთვის მცა რად დალბიან — სიმტკიცე ამიტომ რატომ უნდა დალბეს, რად უნდა მოლუნდეს.
ამიტომ თქვენი მკლავების სიმტკიცე რად უნდა დალბეს, რად უნდა მოლუნდეს (არ უნდა მოლუნდეს)!
- გ-დ. ვინც მოკვდეს მეფისათვის, იგი ცხონდება, ახლა კი შევებათ ხატაელთ; ტყუილუბრალოდ ხმალი აბა რად გვიკიდია.
შევებნეთ — შევებათ — II კავშ.

441 (434) ვუბრძანე ჩაცმა აბჯრისა...

- ა. ვუბრძანე აბჯრის ჩაცმა მქუხარე სიტყვით;
- ბ. დავეკაზმენით — ენიანი ვნებითის წყვეტილია, დავეკაზმეთ — საჭურველი ავისხით.
დავეკაზმეთ საომრად ჯაჭვ-ჯავშანითა, ქაფითა;
- გ. დიდითა სწრაფითა — დიდითა სისწრაფითა.
სი წინსართის მოკვეთა სტრიქონის მარცვალთა სიმეტემ გამოიწვია.
რაშიმ დავაწყე, მივმართე, დიდი სისწრაფით წავედი,
- დ. ჩემი მოწინააღმდეგე ჩემმა ხრამალმა დაფლოთა.

442 (435) მივეახლენით, შეგვატყვეს...

- ა. მივეახლენით — დინამიკური ვნებითის წყვეტილია, მივეახლეთ — მოვეახლოვდით.
მივეახლოვდით... შეგვატყვეს, რომ აბჯარი გვეცვა;
- ბ. ისევ რამაზის მოციქული მოვიდა;
- გ. ეამად გვაჩნია ჩვენ თქვენი არ ორგულობა — არ უარყოფითი ნაწილაკია ეამად სიტყვისა, მაგრამ მეტრისთვის გადასპულია.

რამაზს შემოეთვალა: არ დროულად, არ უამრად მიგვაჩნია ჩვენ თქვენი ორგულობა,

დ. შეიარაღებულთ გხედავთ, ამის გამო გულნაკლულნი ვართ.

443 (436) შევსთვალე, თუ: „მეცა ვიცი...“

ა. გა გ ი გ ი ა — რაც განგიზრახავს, რაც დაგიდგენია, რაც გადაგიწყვეტია (გაგება-განგება, განზრახვა).

მე შევეუთვალე: მე ვიცი, რაც ჩემთვის დაგიდგენია, რაც ჩემთვის განგიზრახავს;

ბ. რასაც თქვენ სთათბირობდით, ის არ იქნება, ის არ მოხდება;

ტარიელის შეთვლა-პასუხს მეტი გადაწყვეტილება, მეტი კატეგორიულობა უნდა ჰქონდეს. ამიტომაცაა, იგი გადმოცემული ანაფორული ალიტერაციით: არ იქნების, არ ივია.

გ. ბრძანეთ, შეგვებით, როგორც წესი და რიგია.

დ. ხელი ხრმალსა დამიგია — ხელი ხრმალს დამიდვია, ხელი ხმალზე მომიკიდია, ხელში ხრმალი ამილია.

მეც თქვენს დასახოცად ხელი ხმალს დამიგია, დამიმაგრებია.

444 (437) რა მივიდა მოციქული...

ა. რა მივიდა მოციქული (ამგვარი პასუხით), კიდევ რადღა გამოაგზავნიდნენ!

ბ. კვამლი აუშვეს ლაშქართათვის, დაფარული გაამქლავნენ;

გ. რა სამალავიდან გამოვიდნენ, ორი მხრადან გამოემართნენ.

დ. შექმნეს რა ზმი მრავალკეცი — რა ზმი ჭარის ტაქტიკური ერთეული იყო. იგი რამდენიმე კაცის ანუ მწკრივისაგან შედგებოდა. წყება ორი ზაზით წარმოებდა, ერთმანეთის გვერდით, და რაც მთავარია, სიღრმეში. — აქედან, — რა ზმი მრავალკეცი.

445 (438) შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავეყავ...

ა. შუბი — საძვერებელი იარაღი.

მუზარადი — ლითონის თავის დასახური ომის დროს.

შუბი გამოვართვი (მეაბჯრეს), თავს მუზარადი დავიხურე;

ბ. საომრად ვიყავ ატეხილი, რომ გამეტეხა მტერი;

გ. უტევეანი — სიგრძის ზომა.

ერთსა წავსწვდი უტევეანსა, წავგრძელდი და წავვეგრძელად — არაჩვეულებრივი ექსპრესიულობითა გადმოცემული ტარიელის შეტევაზე გადასვლა, რაც გარეგნულად გამოიხატება ანაფორული ალიტერაციით: წავსწვდი, წავგრძელდი, წავვე.

ერთი უტევეანი გადავირბინე ჩქარი ჰენებით;

დ. მოწინააღმდეგეს ურიცხვი რა ზმი ჰყავდა წყნარად აუშლელად მდგომი.

ა. ახლოს მიველ: შემომხედეს: გიეი უნდა იყოს, კილაკაო — ზქვეს.

ბ. სად უფროსი ჯარი დგესა — უფროსი ჯარი, ჯარის ყველაზე უფრო რჩეული, ყველაზე უფრო მტკიცე ნაწილი. ეს ის ნაწილია, რომელსაც მოწინააღმდეგის ყველაზე მეტი იერიში უნდა მიიღოს, უნდა მოიგერიოს, ეს ნაწილი ყველაზე უფრო მტკიცეა.

იქითკენ მივმართე, სადაც უფროსი ჯარი იდგა.

გ. კაცს შუბი ვჰკარ — ბრძოლა იწყებოდა და შუბით რომ მოწინააღმდეგეთა რიგებში უეცარი არევა-დარევა შეეტანათ, ბრძოლა შუბით გრძელდებოდა, სანამ შესაძლებელი იყო მისი მოხმარა, შემდეგ ხმალდახმალ ეკვეთებოდნენ ერთმანეთს.

მართ ორნივე მიჰხდეს მხესა — ორივე შეუერთდა მზეს, ორივე გამოეთხოვა წუთისოყვეს.

მოწინააღმდეგეს შუბი ვკარ, ცხენიც მოკალი, ორივე მოკვდა.

დ. შუბი გამიტყდა და ხმალზე გადავედი.

447 (440) შიგან ასრე გავერივე...

ა. შიგ ისე გავერიე, როგორც გნოლის ჯოგში ქორი გაერევა.

ბ. კაცი კაცს შემოვსტყორცნე, ცხენ-კაცის მთა დავდგი.

გ. ტანა-ჯორი — ორ რასმე ნიშნავს. 1. ჯორის ერთგვარი ჯიშია, ბუნებით პატარა ტანისა, მაგრამ არაჩვეულებრივად წვივმაგარი; ძველად გამოიყენებოდა ხორბლის საფქველად, წისქვილის ქვას გამოაბამდნენ და ირგვლავ ატარებდნენ. ქვა ბრუნავდა და ხორბალი იფქვებოდა. 2. ტანაჯორი ეწოდება აგრეთვე მწერს, რომელიც წყლის პირს იცის და მარად ბზრიალსებრ ბრუნავს. დასავლეთში მას გველწყერია ეწოდება.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჯორის ბრუნვა ერთობ ზანტია, ხოლო მწერის კი იშვიათად სწრაფი, სწორედ მეორეს უნდა მივკეთ უპირატესობა, რადგან ამ სტროფში შოთას დიდი ექსპრესია აქვს მოცემული:

კაცი, შემგან განატყორცი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი.

დ. სრულად ამოვწყვიდე ორი წყება წინა რაზმი.

448 (441) ერთობილნი მომეხვივნეს...

ა. ერთობილნი — ერთობ ყველანი.

ერთობ ყველანი (მოწინააღმდეგენი) მომეხვივნეს, შეიქმნა დიდი ომი.

ბ. რასაც კი ვჰკრავდი, წინააღმდეგობას ვერ მიწევდა, სისხლს მჩქეფარედ ვღვრიდი;

გ. მანდიკურად — მანდიკის მსგავსად — მანდიკა ხურჯინია.

კაცსა, ორად გაკვეთილს, ხურჯინივით გადავკიდებდი ხოლმე ცხენზე.

დ. სადაც კი გავჩნდებოდი, იმ წამსვე გაიქცეოდნენ, ისეთი შიში ჰქონდათ ჩემი.

ა. საღამო ჟამ — ბრძოლის კრიზისი ჩვეულებრივ საღამოს ჟამს დგებოდა. ამ მომენტისათვის საგანგებო რაზმი იყო ჩასაფრებული. ეს რაზმი რისხვით მოეკლინებოდა მოწინააღმდეგეს და გადაწყვეტდა ბრძოლის ბედს. ამ მომენტს „რისხვის საღამო“ ეწოდებოდა. ცნობილია ქართველთა ომების პრაქტიკიდან რამდენიმე ამისთანა „საღამოს რისხვა“.

დარაჯა — მცველები, დარაჯები.

საღამოს მათმან მცველებმა მალლობიდან დაიძახეს;

ბ. ნულარ დგახარ, აბა, წადით, ისევე ცა რისხვით მოგვევლინა;

გ. საშინელი — ბევრი.

მოვა (მოდის) მტვერი ბევრის-ბევრი. ამან მეტად შეგვაშინა.

დ. იქნება სრულიად გაგვწყვიტოს უთვალავმა ბევრმა ჯარმა.

450 (443) ჩემნი ლაშქარნი, რომელნი...

ა. ჩემი ლაშქარი, რომელიც მე თან არ წამომიყვანია...

ბ. როგორც კი გაეგოთ ეს ამბავი, საჩქაროდ წამოსულიყვნენ. დღეზე ღამე დაერთოთ და ისე ეართ.

გ. იმდენი იყო, რომ ვერ დაიტევდა მინდორი და მთები, რომ არეებად გადაქცეულიყო.

დ. გამოჩნდნენ, სცემდნენ ტაბლასა, ბუქმა ხმა გაადიდა.

რა ეცნა — ახლა ვიტყვი: რა ეცნათ (მათ ლაშქარი). მაგრამ ძველ და საშუალ ქართულში მიცემით ბრუნვაში დასმული III პირის ობიექტი მრავლობით რიცხვში არ გამოიხატებოდა, ამიტომაც თ სუფიქსს არ დაირთავდა.

451 (444) იგი ნახეს, გასაქცევლად...

ა. როგორც კი დაინახა მტერმა ჩემი ჯარი, გაიქცა, ჩვენ შეეკივლეთ;

ბ. ბრძოლით მივდევდით.

გ. რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანეთს გავეხრმლეთ,

დ. მოწინააღმდეგის ჯარი დავიპყრეთ, არ მოვკალით.

452 (445) უკანანიცა ლაშქარნი...

ა. უკანა ლაშქარიც (რეზერვში მყოფი) დაეწია გაქცეულთ.

ბ. დაიწყო შეპყრობა შეშინებულების და ძლეულებისა.

გ. ძილის სამაგიერო შეხვდა ძილ-მკრთალთ, ღამეულთ.

ბრძოლის დროს ჯარი ძილ-მკრთალია, ღამეთეულია. მათთვის ძილი ყველაზე უფრო სანატრელია და პოეტიც მწარე ირონიის დართვით გადმოგვცემს: ძილი უნდოდით და კიდევაც დაიძინეს, მაგრამ უკვე სამარადისოდ,

ე. ი. დაიხოცნენ.

დ. ტყვეთა მრთელთაცა არ აკლდა... მაგრამ ვინც მთელი დარჩა, (ტყვეები), ისიც კვნესოდა, როგორც სნეული.

ა. ნაომარ ადგილს ჩამოვხტით მოსასვენებლად.

ბ. დავეყოდე — თურმეობითია.

წყლულად მაჩნდა, არ ნაღებად — ქრილობა სხვა-დასხვაგვარი შეიძლება იყოს: ბასრი იარაღით გასერილ-გაკვეთილი და ჩლუნგი იარაღით ამოგლეჯილი. აქ ერთმანეთს უპირისპირდება წყლული ქრილობა და ნაღები ქრილობა.

ზრმალს ხელში დავეყოდე, წყლულად, დასერილად გაჩნდა, ამოგლეჯილი არ იყო.

გ. მოვიდიან — უწყვეტის ხოლმეობითია: მოდიოდნენ ხოლმე.

ჩემი ჯარები მოდიოდნენ საჭვრეტლად და საქებად,

დ. ვერ იტყვიან — აწყყა — ვერ ამბობენ.

ვერ მიმხვდარან, ვერ მოუხერხებიათ.

[ისე ეყვნენ], რომ ქების თქმას ვერ ახერხებდნენ ე. ი. სიტყვები არ ყოფნიდათ ქების სათქმელად, რაც ხაზგასმულია ანაფორული ალიტერაციით.

454 (447) ერთსა კაცსა ეყოფოდეს...

ა. ერთი კაცისათვის საქმაო იყო, რაც მე დიდება მჭირდა;

ბ. ზოგი შორიდან მლოცავდა, ზოგი პირზე მაკოცებდა;

შორით დალოცვას კოცნა უპირისპირდება, წესით დადგენილი ურთიერთობრივი გრადაცია უთუოდ დაკუთვია. მეფესთან, ან მეფის ტოლ კაცთან ყველას არ შეეძლო მისვლა, მისალმება, რომ კოცნით გამოეხატა. ცნობილია მისალმების ჩამდენივე საფეხური: ა. შორით თავის დაკვრა, ბ. ხელის ჩამორთმევა, გ. კოცნა.

უკანასკნელი იმის მაუწყებელია, რომ მიმსალმებელნი ახლოს არიან ერთმანეთთან ე. ი. ზოგნი უფრო დაბალი თანამდებობის პირნი, შორიდან სალამს მაძლევდნენ, ზოგნიც, უფრო ახლობელნი, დიდი თანამდებობის პირნი მკოცნიდნენ. კოცნად გამიპირდე ს — ორგვარად შეიძლება გავიგოთ: ა. კოცნას მიპირებდნენ, ბ. პირზე მკოცნიდნენ. მე მეორე ვარიანტი მიმაჩნია უფრო სწორად. რატომ? იმიტომ, რომ მართალია, გამიპირდე ს უწყვეტელშია, მაგრამ მოქმედება მაინც ნამყოში წარმოებს და მიპირებდნენ ე. ი. მხოლოდ სურვილს ნიშნავს. თუ ეს აგრე მივიღო, მაშინ I ნახევართან არ იქნება შეთანხმება: დამლოციან.

გ. დიდებულნი, რომელთაც გავეზარდე, ტიროდნენ.

დ. ჩემ მიერ ხრმლით განაკვეთი ნახეს და მეტად გაუტვირდათ.

455 (448) გავგზავნენ ყოვლგნით ლაშქარნი...

ა. გავგზავნე ყველგან ჯარი და ალაფი ავალებინე.

ბ. ვალადებინე — ალაღება. დ. ჩუბინაშვილი — კადნიერად გახდენა; კარიჭაშვილი — ლაღად გახდენა; ი. აბულაძე — ამაყება, აწვევინება თავისა. უკმარია. ცალკე ვალადებინე სიტყვის განმარტება არაფერს მოგვცემს. ერთობ სავსენი მოვიდე ს — ლაპარაკია ლაშქარზე. ლაშ-

ქარი დატვირთული მოვიდა. ლაშქარმა მოზიდა ალაფი, რომელიც სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს. II ნახევარი კი ეხება თვით ლაშქართათვის მიცემულ ქონებას: თავიცა ვალადები ნე, ე. ი. ლაშქარსაც უფლება მივეცი, რომ თავისთვისაც აეღო რაზე. როგორც ჩანს, ეს წესად ყოფილა დადგენილი (შდრ. ისტ. და აზმ. 65).

ერთობ საესენი, დატვირთულნი მოვიდნენ, თავადაც მივეცი საშუალება, რომ აეღოთ.

გ. მ ე ბ რ ძ ო ლ ი — მოწინააღმდეგე.

ჩემ მოწინააღმდეგეთა სისხლით მინდორი შევალე ბინე,

დ. არ ვებრძოლე, ქალაქების კარი უომრად გავალე ბინე.

456 (449) რამაზს ვარქვი: „შემიგნია...“

ა. ს ა მ უ ხ თ ა ლ ე — სამუხთლე.

რამაზს ვუთხარი: გამიგია შენი სიმუხთლე,

ბ. გ ა მ ო ი მ ა რ თ ლ ე — გამიართლე,

შეპყრობილმა თავი გამიართლე.

გ. მ ო მ ა თ ვ ა ლ ე — ანგარიშით ჩამაბარე.

სიმაგრეებს ნუ ამაგრებ, ყველა მე ჩამაბარე.

დ. მ ე მ ც ა ზ ე დ ა რ ა დ წ ა ვ ს თ ვ ა ლ ე — რად უნდა დავთვალო, რად უნდა ჩავთვალო, არაფრად არ ჩავთვლი.

თორემ შენს შეცოდებას არად მივიჩნევ.

457 (450) რამაზ მითხრა: „ალარ არის...“

ა. რამაზმა მითხრა: მეტი ღონე ალარ არის.

ბ. გ. დიდებული მომეც, რომ ციხოვანთ გავუგზავნო.

დი დ ე ბ უ ლ ი — დიდება სიტყვისაგან წარმოებული მიმღეობაა, შემდეგ გასლბსტანტივებული.

დი დ ე ბ ა თავდაპირველად მაღალ თანამდებობას, პატივს, ხარისხს აღნიშნავდა. ასე: ლიპარიტ ორბელიანი მეფე დავითს დალატობდა. მეფემაც „პყრობილ ყო იგი ჟამსა რაოდენსამე, შემდეგ განუტევა მითვე დიდებითა“.

(ქ. ც. — მარ. გვ. 283). დიდებით მოსილი — დიდებული. მეფის შემდგომ დიდებულთ პირველი ადგილი ეჭირათ. ისინი თავადთა და აზნაურებზე უფრო მაღლა იდგნენ. დიდებულნი სახელმწიფო საქმეებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. მაგრამ განსაკუთრებით პირველობდნენ ლაშქრობაში. „ქართლის ცხოვრებაში“ ეს ორი ერთეული ერთად იხსენიება: ლაშქარნი და დიდებულნი, ისე, როგორც ვ.ტ-ში (156).

გ ა ნ ა დ ა მ ც ა შე ნ გ ა ქ ო ნ ე — ბარემ შენ მაქონო, ბარემ შენი საკუთრება გავხადო.

დ. ყველაფერს შენ მოგცემ, ბარემ შენი იყოს.

458 (451) მივეც ერთი დიდებული...

ა. მივეც ერთი დიდებული და თან ყმანი გავატანე,

ბ. ყველა ციხოვანი ჩემ წინაშე მოვაყვანიე,

გ. ჩამბარეს ყველა სიმაგრე, აგრე შეენანე მათ ომი,
დ. საჭურჭლე იმდენი იყო, არ ვიცი, რას უნდა დაეაგვანო სიმრავლით.

459 (452) მაშინდა შევე ხატაეთს...

ა. მოვლად და მოსათვალავად — რომ მომეველო და მომეთვა-
ლა, რომ მომეველო და ჩამებარებინა.

მხოლოდ ამის შემდეგ შეველ ხატაეთს, რომ მომეველო, რომ ჩამებარებინა,
და მომეთვალა;

ბ. საჭურჭლის კლიტენი დაუმაღლავად მომართვეს;

გ. ქვეყანა ჩავსხი — ჩასვი, როცა ობ. მხოლოდითშია, ხოლო რო-
დესაც ობ. მრავლობითშია, მას ენაცვლება სხმა ფუძე. ქვეყანა — იგუ-
ლისხმება მცხოვრებნი (მრავლ.), ამიტომაცაა ქვეყანა ჩავსხი, ე. ი.
ჩავსვი კალაპოტში, დაეწყნარე.

ქვეყანა ჩავსხი, ჩავყენე კალაპოტში, მივეც ბრძანება, იყავით თქვენ
უშიშრად,

დ. მზემ არ დაგწვათ, გვალვამ არ შეგაწუხოსთ.

460 (453) საჭურჭლენი გარდავანახენ...

ა. თავის-თავის, კი დის-კიდე — თავ-თავის ადგილას, ცალ-ცალკე.
ქონება, განძი გადავინახე თავ-თავის ადგილას, ცალ-ცალკე (დახარისხე-
ბულად).

ბ. ძვირფასი (სხვადასხვა) ფერის განძეულობას ვერ დავთვლი, დავიქან-
ებები, რომ დავთვალო;

გ. ყაბაჩა — მოკლე კაბა.

რიდე — პირბადე.

ერთ ადგილს ვნახე საკვირველი ყაბაჩა და რიდე,

დ. რომ ნახო, უთუოდ მისი სახელის ცოდნას ინატრებ.

461 (454) ვერა შევიგენ რა იყო...

ა. რა ულად — როგორ, წარმოებულა რა ნაცვალსახელისგან.

ვერ გავიგე, რა იყო, ან როგორ ვაკეთებული.

ბ. ვისაც ვუჩვენებდი ხოლმე: ყველას უევირდა, ღვთის სასწაული თუ
არისო;

გ. ჰგებოდა — გემა — არსებობა, ყოფა, ეგო — იყო. ჰგებო-
და მას ქსელი — ჰქონდა მას ქსელი, აჩნდა მას ქსელი. ისეთი ნაქსოვი
იყო, რომ მას არ აჩნდა არც ლარი და არც ორზაო, სხვაგვარად: ნაქსოვს არც
სიგრძივი, არც განივი ძაფები არ აჩნდა.

არც სიგრძივ აჩნდა მას ნაქსოვი და არც განივ.

დ. სიმტკიცით ნაჭედს ჰგავდა, ცეცხლში რომ შეგერთო, არ დაიწვებოდა.

462 (455) იგი საძღვნოდ მისად დავდევე...

ა. ვისი შუქი მანათობდა — იგულისხმება ნესტანი.

იგი საძღვნოდ შევინახე ნესტანისათვის.

ბ. ს ა ა რ მ ა ღ ნ ო ღ — ძღვნად, საჩუქრად.

მეფისათვის საჩუქრად გადავარჩიე საუკეთესო რამეები.

გ. ჭ ო რ - ა ქ ლ ე მ ი ა თ ჭ ე რ ა ს ი, ყ ვ ე ლ ა კ ა ი წ ვ ი ვ - მ ა გ რ ო ბ -
და — ყ ვ ე ლ ა კ ა ი — ყველანი.

ყველაკაი წვივ-მაგრობდა — ყველანი წვივმაგრები იყვნენ.
დიდი დატვირთულობის აღმნიშვნელია.

ღ. დატვირთული გავუზზავნე, ამბავსაც კარგს შეიტყობდა.

463 (456) წიგნი დავწერე: „მეფეო...“

ა. ს ვ ე მ ც ა ა რ ს თ ქ ე ე ნ ი ს ვ ი ა ნ ა ღ — იყოს თქვენი სვე (ბელი),
სვიანად (ბედნიერად).

მოხსენება დავწერე: მეფევ, ბედნიერი იყოს თქვენი ბელი (ბედნიერ
იყავ)!

ბ. მე ხ ა ტ ა ე ლ ე ბ მ ა მ ი ლ ა ლ ა ტ ე ს, მ ა გ რ ა მ ე ს თ ვ ი თ მ ა თ თ ვ ი ს შ ე ი ქ ნ ა ს ა ზ ა -
რ ა ლ ო ;

გ. ა მ ი ტ ო მ ა ტ ჩ ე მ ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ა მ ბ ა ვ ი მ ო გ ვ ი ა ნ ე ბ ი თ გ ა ც ნ ო ბ ე ,

ღ. მეფე შევიპყარ, მოვდივარ ალაფიან-ტყვიანად.

ა ლ ა ფ ი — ნ ა ო მ ა რ ი დ ა ვ ლ ა .

წ ი გ ნ ი — პ ა ტ რ ო ნ ი ს მ ი ე რ , ა ნ მ ი ს ი ს ა ხ ე ლ ი თ დ ა წ ე რ ი ლ ს ა ბ უ თ ს წ ი გ ნ ი
ეწოდებოდა. უფროსისადმი უმცროსის მიერ დაწერილსაც წიგნად უხმობდ-
ნენ. ამგვარი წიგნი მოხსენებით ხასიათს ატარებდა.

ს ტ რ ო ფ შ ი წ ი გ ნ ი მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა ს ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ს .

464 (457) რა ყველაი დავიურვე...

ა. რ ა ყ ვ ე ლ ა ი დ ა ვ ი უ რ ვ ე — როდესაც ყველაფერს მოვრჩი, რო-
ცა ყველაფერი მოვაგვარე.

როდესაც ყველაფერი მოვაგვარე, წამოველ ხატაეთიდან.

ბ. წ ა მ ო ვ ი ხ ვ ე ნ ს ა კ უ რ კ ლ ე ნ ი — წამოვიღე საკურკლე. წამოვიხ-
ვენ — ობ. მრავლობითობის აღმნიშვნელია.

წ ა მ ო ვ ი ღ ე გ ა ნ ძ ე უ ლ ო ბ ა , ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ი ა ვ ა რ - ვ ყ ა ვ .

გ. ვ ე რ მ ო ვ ე ყ ა ვ — უნიანი ვნებითია. მოყოფა — ვერ მოვეყავ —
ხელი ვერ ჩავსკიდე, ვერ მოვერიე, ვერაფერი ვუყავ;

ა ზ ა ვ ე რ ი — ტ ვ ი რ თ მ ზ ი დ ა ვ ი ხ ა რ ი .

ვერას გავხდი, ვერ მოვერიე აქლემებით, ამიტომ ხარებიც დაეტვირთე.

ღ. მ ო ვ ი რ კ ვ ე ნ დ ა მ ო ვ ი ე ლ ი ნ ე — სინონიმებია, ლხინით, შვე-
ბით და დიდებით გამოვემგზავრე.

მეტად მოვილხინე და როგორც მწადდა, ისე მოვიქეცი.

ა გ რ ე ვ ყ ა ვ - რ ე — ა გ რ ე მ ო ვ ი ქ ე ც ი .

465 (458) ხატაეთისა ხელმწიფე...

ა ხ ა ტ ა ე თ ი ს მ ე ფ ე მ ო მ ყ ა ვ დ ა შ ე პ ყ რ ო ბ ი ლ ი .

ბ. ინდოეთს მოველ, შემომეგება ჩემი ტბილი გამზრდელი.

გ. ო მ დ ე ნ ი ქ ე ბ ა მ ი თ ხ რ ა , რ ო მ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მ ი ს ი გ ა ღ მ ო ც ე მ ა .

ქების უაღრესობის აღსანიშნავად იშვიათი ხერხია მოხმობილი: ერთი ფაქტი ორჯერაა ხაზგასმული. პირველად — ნეგატიური კონსტრუქციით, მეორედ — დადებითით.

დ. დაქრილი ხელი გამიხსნა და რბილი სახვეველი შემომაკრა.

466 (459) ედგნეს ტურფანი კარავანი...

ა. მოედანს ჩამოდგომილსა — მოედანს ჩამომდგარსა.

ედგა ტურფა კარავი მას, მოედანს ჩამომდგარს.

ბ. მონდომილსა — მონდომებულსა.

ჩემი საუბრისა და ჰერეტის მოსურნეს, მონდომებულს.

გ. მას დღესა ედვა ნადიმი — ედვა — აწმყო — მიც, გიც, უც. წყვეტ — შედვა, გედვა, ედვა.

მას შიგან გარდახდომილსა — მას კარავში გადმომხდარს.

ამ დღეს ნადიმი ჰქონდა მას შიგან (კარავში) გადმომხტარსა.

დ. მიალერსებდა და მიჰკრეტდა მე, მის წინაშე ახლო მჯდომელსა.

467 (460) მას ღამით ვსსედით ნადიმად...

ა. გავიხარენით — გავიხარეთ.

იმ ღამეს ვნადიმობდით, დიდათ ვისიამოვნეთ,

ბ. ავიყარენით — ავიყარეთ.

დილას ავიყარეთ მოედნიდან და ქალაქს შევედი;

გ. უხმენით — უხმეთ: ლაშქართ უხმენით — ახლა ლაშქართ უხმეთ. შემოჯარენით — შემოჯარეთ — შემოჰკრიბეთ.

მეფემ ბრძანა: ლაშქარს დაუძახეთ, თავი მოუყარეთ.

დ. შემომგვარენით — შემომგვარეთ — შემოიყვანეთ ჩემთან. დღეს — მიჩვენეთ ხატაელი (მეფე) და ტყვენიც მომიყვანეთ.

468 (461) რამაზ მეფე მას წინაშე...

ა. მას წინაშე — იგივეა რაც, მის წინაშე. (ახლა ასე იტყვიან).

ბ. ვითა შეილი სააკვანე — როგორც აკვანში ჩასაწვენი შვილი, მისაფერებელი, საყვარელი.

გ. ნამსახური — ვისაც სამსახურში თავი გამოუჩენია, ერთგული.

ორგული და მოღალატე ნამსახურისა და ვამგვანე — ორგული და მოღალატე ერთგულს დავამგვანე.

469 (462) მას მეფესა ხატაელსა...

დ. შენამტერი — მტრად გადაკიდებული.

470 (463) მე ვჰკადრე: „ღმერთი ვინათგან...“

გ. გაგგზავნი შეწყალებულსა — შეწყალებული — ის ვინც შეიწყალეს, ვისაც წყალობა უყვეს. შეწყალებული ქართული პატრონულობის არსებითი და აუცილებელი ატრიბუტთაგანი იყო. როდესაც

შეწყალებულსა და შემწყალებელზე ვლადარაკობთ, ორი რამ უნდა გავარჩიოთ: შეწყალებული თავისი სახელმწიფოს ფარგლებში და შეწყალებული სხვა სახელმწიფოს მკვიდრი.

რაიმე განსაკუთრებული სამსახურის გამო დიდად დამსახურებულს, პატრონი (მეფე) შეიწყალებდა, უბოძებდა დიდ მამულს სარჩოდ, საბადებლად. დამსახურებულიც შეწყალებულთა კატეგორიაში გადაირიცხებოდა.

შეწყალება წარმოებდა ან პატრონის პირადი სურვილით, ან შესაწყალებლის აჯა-მოხსენების შედეგად. შეწყალება ერთგვარი ხერხი იყო ერთგულთა გასამრავლებლად, რადგან შეწყალებული „ვცოთა მტკიცითა“ ვალდებული იყო ერთგულად ემსახურა პატრონისათვის. მაგრამ შემდეგ შეწყალებამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. შეწყალებული, გათავისუფლებული ყოველგვარი ბეგარისაგან, ქონებრივად ძლიერდებოდა, აგრეთვე, პოლიტიკური ძლიერებაც ემატებოდა. ამას კი ხშირად შეწყალებულის განზე გადგომა და ურჩობა მოჰყვებოდა. იყო მეორე კატეგორია შეწყალებულთა: საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოთა ხელმძღვანელები. ამ შემთხვევაში შეწყალება ორ მომენტს შეიცავდა: ერთი — დანაშაულის პატიება, მეორე — დასაჩუქრება. სწორედ ამგვარ შეწყალებაზე მომდევნო სტროფში ლაპარაკი: „შეწყალებული გაგზავნა, უყო რისხვისა ფასია“.

471 (464) ხარაჯა დასდევს, შეჰკვეთეს...

ა. ხ ა რ ა ჯ ა დასდევს — იხ. სტრ. 377.

დ რ ა ჰ კ ა ნ ი — თავდაპირველად დარიოს მეფის მოკრილი ფული, შემდეგ: ოქროს ფული. მას სხვადასხვა ღირებულებას დასდებენ, მაგრამ არც თუ ისე მცირე უნდა ყოფილიყო, რადგან „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ წერია: „გაყიდეს მონასტერი იგი სამას ორჳოც დრაჰკანად“ (86,4).

ბ. ხ ა ტ ა უ რ ი — პროფ. იუსტ. აბულაძე ფულად მიიჩნევს. არ უნდა იყოს მართალი, ხ ა ტ ა უ რ ი ძვირფასი ქსოვილია, შეიძლება ბეწვსაც ნიშნავდეს.

472 (465) ხატაელმან დაუმადლა, დადრკა...

ა. დადრკა, მდაბლად ეთაყვანა — დაიხარა, თავმდაბლად თაყვანისცა.

ხატაელმა დაუმადლა, თავი მოიდრკია, მდაბლად თაყვანი სცა.

ბ. მოახსენა: თქვენი ორგულობა მე ღმერთმა შემანანა.

გ. თუღაოდეს შეღაცოდო — ღა ნაწილაკი ორჯერაა ნახმარი. თუ ოდესმე კიდევ, თუ კვლავ კიდევ შეგცოდო.

თუ ოდესმე შეგცოდო, მაშინ ცოცხალი არ ვიყო, მომკალ.

დ. მისი თახა წაიტანა — ახლა — მისი თან წაიყვანა. წაიტანა, ნივთის კატეგორიისთვისაა, თუმცა დასავლურ კილოებში ახლაც შემორჩენილია აღაძიანის კატეგორიისთვის: ბავშვი წაუვტანე.

წავიდა და თავისი ყველანი თან წაიყვანა.

473 (466) მოვიდა კაცი მეფისა...

- ა. ცისკრობს, არ დანაღამია — ერთი აზრი ორი საშუალებითაა გადმოცემული. დილას, მეტად ადრე.
დილას ადრე მოვიდა მეფის გამოგზავნილი კაცი.
ბ. შემოეთვალა: უკვე სამი თვეა, რაც ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს.
გ. კაი ხანია არ მინადირია.
დ. თუ დაღლილი არ ხარ, მოდი, თუმცა კაცმა რომ თქვას, დაღლის, დაქანცვის დრო კია.

აქ ვ.ტ.-ის სტროფები უკავშირებოდა გაერთიანებულ წინადადებათა სისტემას წარმოდგენს. განსაკუთრებით ეს იგრძნობა ამ სტროფში. აქ უკანასკნელი დასკვნითი წინადადება, პროზა რომ ყოფილიყო სულაც ანუ გაიწყობოდა: და თუ არ დამაშვრალხარ, წამოდი, თუცა დაშვრომის ქამია.

474 (467) შევეკაზმე, დარბაზს მივე...

- ა. შევეკაზმე და დარბაზს მიველ, აქ დამხვდა ავაზის მთელი ჯოგი,
ბ. არე დარბაზისა — არეშარე, ეზო დარბაზისა.
შევარდნებით სავსე იყო სასახლის მთელი ეზო.
გ. იქვე იჯდა მეფე შეკაზმული, მზესავით გამშვენებული.
დ. გაეხარნეს ენიანი ვნებითის მრ. რიცხვი II სერიის ფორმებში, კერძოდ, ნამყო ძირითადში ჩაისვამს უფუნქციო ნ-ს. ახლა ვიტყვით: გაეხარდათ, გაუხარდათ.
ჩემი მისვლა, ტურფისა და ლამაზისა მეტად გაუხარდათ.

475 (468) იდუმალ ცოლსა ეუბნა...

- ა. სტრიქონის II ნახევარი ავსებს, ადასტურებს I ნახევარს. იდუმალ — უცოდნელია.
საიდუმლოდ, ცოლს ესაუბრა, ისე, რომ მე არ ვიცოდი.
ბ. ომიდან დაბრუნებული ტარიელი მეტად ლამაზია.
გ. გული რაზომცა ბნელია — გული, რა ბნელიც არ უნდა იყოს. იგი განანათლებს მკვრეტელთა გულს, რაც უნდა ბნელი იყოს იგი.
დ. ქმენ, არა საზოხნდნელია — ქმენ, არაა საზოხნო, არაა დასაყოვნებელი.
რაც შეგეხეწო საქმნელად აუცილებლად ქმენ, არაა დასაყოვნებელი.

476 (469) აწ მითქვამს საქმე უშენოდ...

- ა. მცნება — დარიგება, ბრძანება. მცნებული — ნაბრძანები. მითქვამს საქმე უშენოდ, ახლა შენც გაიგე ეს ნაბრძანები.
ბ. რადგან ქალია ჩვენგან სამეფოდ დასახლებული.
გ. ედემს ზლებული — ნესტანის ეპითეტია.
ვინც ნახავს, უკვე დროა, ბარემ ნახოს ედემს ზლებული,
დ. გვერდს დაისვი (ნესტანი), ორივე დამხვდით სასახლეში. მე მოვალ მოლხენილი.

სტროფი კატეგორიულ თქმას შეიცავს: საქმე ის არის, რომ აქამდის ნესტანი და ტარიელი ფარულად ნახულობდნენ ერთმანეთს. ახლა დადგა დრო, რომ ქალი ხალხში გამოიყვანონ და ფარსადანის თქმაც ამას შეიცავს. ამიტომაცაა, რომ ეს თქმა მეტის გადაწყვეტილებებისათვის, ალიტერაციებითაა გადმოცემული.

477 (470) მოვინადირეთ მინდორი...

- ა. მოვინადირეთ მინდორი, ძირი მთისა და გორისა,
- ბ. იყო სიმრავლე ძაღლის, შევარდნის და ქორის.
- გ. აღრე დავბრუნდით, ბევრი არ გვივლია,
- დ. ლაშქარსაც აღარ უბურთავია, აღარ უთამაშია.

478 (471) ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა...

ა. ბანი — ბრტყელი სახურავი. ბანის ძირითადი დანიშნულებაა შენობის დაცვა წვიმისა და ნალექისაგან. მაგრამ ბანს იყენებენ ხორბლის გასაშრობად, ტანსაცმლის გასაშუებლად. ბანზე აღიან აგრეთვე საგრილობლად, ან რაიმე პროცესის სანახავად.

ჩემთ მჭვრეტთ მოეცვათ ქალაქი, შუკა და ბანი.

ბ. ომგადახდილს მშვეენოდა, მიხდებოდა ენიანი კაბა,

გ. ფერმიხდილი ვშვეენოდი მე ვარდი, ცრემლით ნაბანი,

დ. მართლად არს, არ კატაბანი — მართალ არს, სჯობია.

რადგან მომდევნო სიტყვა პირველის სინონიმი და სახელობითშია, ამრიგად, მართალ არს, არ კატაბანი — სინონიმური პარალელიზმი, ჰენდიადისი. კატაბა — სიცრუე, არ კატაბა — სიმართლე. ე. ი. ვინც მიჭვრეტდა, მიყურებდა, ბნდებოდა, მართალია, და არა სიცრუე.

479 (472) რიდენი რომე მეშოვნეს...

ა. მეშოვნეს — II თურმეობითი.

რიდე, რომელიც ხატაეთის ქალაქს ვიშოვე.

ბ. მეზვია, მეტად მიხდებოდა, მშვეენოდა და [ჩემ გამო], გახელებულ გულებს უფრო ვახელებდი.

გ. მეფე გადახდა, შევედით მის დარბაზში.

დ. შევხედე დაწვთა ელვას, მზეებრ ნათელს და შევკრთი, გაოცდი.

შევხედენ, დავჰკრთი ელვასა, დაწვთა მზეებრ ნათელთასა — ჩიტმი, ზომა დარღვეულია, ამასთანავე აღსანიშნავია შემდეგი: შევხედენ — ობიექტი მრავლობითშია. იგულისხმება ნესტანი. მაშასადამე, გვაქვს ზრდილობის, დიდებულების მრავლობითი: ამას გარდა, აქ უთუოდ ინვერსიული წყობაა: შევხედენ — რას? ელვასა დაწვთა ნათელსა და დავჰკრთი. მაშასადამე, უნდა: შევხედენ — დავჰკრთი — ელვასა დაწვთა მზეებრ ნათელთასა.

480 (473) მას მზესა ტანსა ემოსნეს...

ა. ნესტანს ტანს ემოსა ნარინჯისფერი კაბა.

ბ. დას-დასად, უბან-უბანი — ე. ი. ჭგუფ-ჭგუფად.

უბან-უბანი — რითმითაა გამოწვეული.

ზურგს უკან უდგნენ ჭგუფ-ჭგუფად ხადუმნი.

გ. უბანი — ქალაქი რამდენიმე უბნად იყოფოდა იმის მიხედვით, თუ სად მდებარეობდა უბანი, იგი სათანადო სახელს ატარებდა: შუა უბანი, წინა-უბანი, გარეუბანი. სარწმ.-ტომობრივი სახელით იწოდებოდა: ურიათუბანი და მისთ.

მთლიანად ნათელით ავსებული იყო სახლები, ქუჩა და უბანი,

დ. დაწვებს შუა შვენოდა ტყუბი ძოწ-მარგალიტი (დაწვებს შუა ლამაზობდა ტუჩები და კბილები).

481 (474) ნომარსა, დაკოდისა...

ა. ჩამომება — II თურმ.

ნომარს, დაქრილს ხელი ყელზე მქონდა ჩამობმული,

ბ. დედოფალი ადგა და წინ მომეგება,

გ. დამილება — დამილურჯა.

როგორც შვილი გადამკოცნა და დაწვი კოცნით დამილურჯა..

დ. თულამტერი შე-ღა-გება — ლა ნაწილაკი ორჯერაა ნახმარი — კვლავ თუ შეგებას.

ნუ ექვ — ფიქრი ნუ გაქვს.

მითხრა: ამას იქით ნუ გაქვს ექვი, რომ მტერი კვლავ, კიდევ შეგებას..

482 (575) ახლოს დამისვეს ადგილსა...

ა. ახლოს დამისვეს, იმ ადგილს, სადაც მე მესიამოვნებოდა.

ბ. პირისპირ მიჭდა ნესტანი.

გ. მალვით ვუჭვრეტდით ერთმანეთს, მეტს არაფერს მეუბნებოდა.

ვუჭვრეტდი, მიჭვრეტდა — უწყვეტელია.

დ. მოვწყვეტდი თუ არა თვალეზს, ამით სიციოცხლე არმად მექცეოდა.

მოვწყვიდნი — უწყვეტლის ხოლმეობითია, იმის ნათელსაყოფად, რომ: მოქმედება გრძელდება.

483 (476) შეიქმნა სმა და პურობა...

ა. შეიქმნა სმა და პურობა მათი, შეძლების შესაფერი,

ბ. ასეთი სიხარული კაცის თვალს არ უნახავს.

გ. ჩამი და ჭურჭელი ყველა ფირუზის და ლალის იყო,

დ. მეფემ ბრძანა დაუმთვრალი არავინ გაუშვათო.

საქართველოში ძველთაგანვე დაწესებული იყო პურობის რიგი, ამ საქმეს თავისი გამგებელი, განმკარგულებელი ჰყავდა. სხვაგვარი იყო პურობა მეფის კარზე, სხვაგვარი დიდებულთა და ასე შემდგომ.

484 (477) მე მუნა მყოფი მივეცი...

- ა. მე იქ მყოფი, მეტისმეტად ვილხენდი,
 - ბ. როგორც შემომხედავდა, მეც შევხედავდი ხოლმე და ცრემლი მინელდებოდა, მწუხარება მიქრებოდა;
 - გ. გულს გაშმაგებულსა და გარეთიანებულს, მოვუხმობდი ადამიანთა კრძალვასა და რიღს.
 - დ. რა არის იმის უაშესი, რომ პირისპირ უჭვრეტლვ საყვარელს.
- სტროფში აღსანიშნავია მორითმზე სიტყვები: მეტასა, შრეტასა, რეტასა, ჰვრეტასა. მე-4 სტრიქონში ჰვრეტასას მიცემით ბრუნვაში მოითხოვს უფროობითი ხარისხი.
- I—III სტროფში გვაქვს: მეტასა, რეტასა. ეს რითმის საკიროებიტაა გამოწვეული. II-ში კი უნდა ყოფილიყო: „ცოცხალმან დამიწყო შრეტა“ რითმის საკიროებამ გამოიწვია — „შრეტასა“.

485 (478) დააგდეს მღერა მუტრიბთა...

- ა. დააგდეს — მიატოვეს.
 - ა. მუტრიბი — მომღერლები.
- სულეთ — გაჩუმდით; სულე, სუ!
- მიატოვეს მღერა მუტრიბებმა, გაჩუმდითო, თავი დახარეს.
- ბ. მიზრძანეს: შეილო, ტარიელ, როგორ გითხრათ, როგორ გვიხარია;
 - გ. ნეტარძი — აქ: ნეტარება.
 - მებრძოლი — მოწინააღმდეგე, მტერი.
 - ნეტარება გვაქვს, ჩვენი მოწინააღმდეგენი ივაგლახიან.
 - დ. მართალან — მართალ არიან.
 - არცუდად იმკვეხარიან — ტყუილუბრალოდ არ იკვებნიან.
 - ამიტომაც მართალი არიან უნი მკვრეტენი, ტყუილად კი არ იკვებნიან.

486 (479) აწ თუცა გმართებს შემოსვა...

- ა. ახლა თუცა გმართებს, გეკუთვნის შემოსვა; ვინც დიდებით მოსულხარ.
- ბ. არ შეგმოსავთ, მაგ ტანსაცმელს არ გაგზდით, რადგან კარვად გშვენის, ვიხდება;
- გ. ახლა გქონდეს, მოგვიცია ასი საჭურჭლე შენთვის, ვისაც შუქი მოგიფენია (ვინც ჯაბრწყინებულხარ),
- დ. თავად შეიკერე, რაც გსურს, ჩვენი ნუ გრცხვენია.

487 (480) მომართვნეს ასნი კლიტენი...

- ა. მომართვეს (მომცეს) ასი გასაღები, ასივე საჭურჭლესი,
- ბ. თავყანი ვეც და დავლოცე მათი დოვლათი,
- გ. ადგენენ ორნივე მზეთა მზენი, მაკოცეს,

დ. რა ზომი ქონება გასცეს, როგორ აავსეს ლაშქარი, ამის თქმა შეუძლებელია.

რა გასცნეს ზომნი, ვით გითხრნე ლაშქართა სისავსეთანი — რა ზომნი გასცეს ლაშქართა სისავსეთანი, ვით გითხრნე, ან: ვით გითხრა, ლაშქართა რა ზომი სისავსე გასცეს ან: ვერ გეტყვი, რა ზომ აავსეს ლაშქარი.

ვით გითხრნე — მძიმეებში უნდა ჩაიხვას:

რა გასცნეს ზომნი, ვით გითხრნე, ლაშქართა სისავსეთანი.

488 (481) კვლაცა დაჯდა მხიარული...

ა. კვლად დაჯდა მხიარული, გაამრავლა სმა და მღერა.

ბ. ბარბითი — საკრავია.

დ. დედოფალი წამოვიდა — დედოფალი წავიდა.

შეეყარა მწუხრსა დღე რა — შეეყარა საღამოს დღე, ე. ი. დაღამდა. ეგ თქმა დღესაც ცოცხალია, ხალხურია: დღე და ღამე შეეყარა.

დედოფალი ადგა და წავიდა დაღამებისას,

დ. ძილპირამდის — დაწოლამდის, შუალამემდის და არა საღამომდის, როგორც ეს დ. ჩუბინაშვილსა და იუსტ. აბულაძეს აქვს ახსნილი. წინა სტროფში წერია: დედოფალი წავიდა საღამოს (შეეყარა მწუხრსა დღე რა), ხოლო მამაკაცებმა განაგრძეს ქეიფი, სანამ ძილი მოერეოდათ. აქედან: ძილპირი — დასაძინებელი დროა, შუალამე.

„ძილპირი“ ნახსენებია „ვისრამიანშიც“ და აქაც „შუალამეს“ ნიშნავს: „ძილპირისა უამსა რომელ ღამისა სიბნელისაგან გზა არა ჩნდა, რამინ მივიდა ბეპროზის კარსა“⁴⁶.

489 (482) ავიყარენით, მიგვჭირდა...

ა. დოსტაქანი — ორსასმისი ((დო, დუ — ორი+სტაქანი). თვითონ სასმელი.

მიგვჭირდა სმა დოსტაქანისა მეტისა — გაგვიჭირდა, გაგვიძნელდა მეტის სმა.

ავიყარენით — ენიანი ვნებითს წყვეტილია.

გავიძნელდა მეტი სმა და ავიყარენით.

ბ. გარეტიანებული შემოველ საწოლს.

გ. ტყვექმნილს არ მჭონდა ძალა, ამდენი ცეცხლის შრეტა ამეტანა.

დ. მაგონდებოდა და ვილხენდი მისგან ჰვრეტით.

490 (483) მონა მოვიდა, მიაშბო...

ა. მონა მოვიდა და ვადმომცა.

ბ. აჯილოსანი — აჯილაწამოსხმული; აჯილა — ქალის წამოსასხამი. თქვენ გკითხულობთ ვინმე აჯილოსანი ქალი.

⁴⁶ ვისრამიანი, ალ. გვახარას და მ. თოდუას რედაქციით, თბ., 1962, გვ. 122.

გ. მაშინვე მიეხვდი, ვინ იყო, ავიკერ, წავედ ჩქარა, გულ-გამკრთალი...
დ. დავინახე ასმათი, ჩემკენ მომავალი.

491 (484) მე ვისთვის ვკვდები, მიამა...

ა. მიამა ასმათის ნახვა მე მისად — მესიამოვნა ასმათის ნახვა მის (ნესტანის) ნაცვლად, სხვაგვარად: ასმათის ნახვა ისე შეამა, თითქოს ის (ნესტანი) დამენახოს.

ბ. აღარ მივუშვი, ვაკოცე, ქმნაღლა თაყვანის ცემისად — თავისებური ტმესია. პროზაული წყობით აგრე უნდა: „აღარ მივუშვი ქმნაღლა თაყვანისცემისად, ვაკოცე“. სიტყვის ჩასმა შუა ადგილას რიტმითაა გამოწვეული, ხოლო თაყვანის ცემისად (ნაცვლად თაყვანისცემისა) და ტახტისა ჩემისად (ნაცვლად ტახტისა ჩემისა), გამოწვეული რითმის საჭიროებით: მისად.

ქმნაღ-ღა... რატომ და? — იმიტომ, რომ ერთხელ ასმათმა თაყვანისცა ტარიელს, რაც უჩვეულოდ უნდა ჩაითვალოს ქალისაგან და მეორედ აღარ ჩაადენინა ეს.

აღარ მივუშვი (დავასწარ), თაყვანის ცემამდე მე ვაკოცე.

გ. ხელი მოვკვიდე, ტახტზე ახლოს დავისვი.

დ. ვკითხე: ნეტავი შორჩი ალვის ხე (ნესტანი) თუ მშვიდობით დაბრუნდა, მივილა შინ.

მისად — თვისად, თავის სახლში, შინ.

492 (485) მიაბზე მისი ამბავი...

ა. მიაბზე მისი (ნესტანის) ამბავი, სხვას თავი დაანებე.

ბ. მითხრა: მოგახსენებ მართალს, პირფერობას არ დავიწყებ.

გკადრებ მართალსა, აწ ჩემგან არ სათნებია — საიუბილეო გამოცემაშია:

გკადრებ ამბავსა. არაა სწორი. იმიტომ, რომ აქ უპირისპირდება ერთმანეთს სიმართლე — მართალი და სათნები ე. ი. სიმართლეს ვიტყვი და არა პირფერობას.

გ. დღეს ერთმანეთი გინახავთ და მოგწონებიათ.

დ. ახლა კი ამბის ცნობა მას ჩემი საშუალებით მოუწადინებია.

493 (486) წიგნი მომართვა. ჩავხედენ...

ა. ინვერსიული წყობაა.

წიგნი (წერილი) მომართვა პირისა თემთა მთენისა და ჩავხედე.

თემთა მთენისა — აქ: ქვეყნის მანათობელისა.

ბ. შიგ ეწერა, რომ დავინახე შენი წყალ-ჯავარის სიტურფე.

წყალ ჯავარი — აქ მოხდენილობა, სიკეთე, სილამაზე;

გ. ომგადახდელი, ცხენ-შენატევი (ცხენზე ნაომარი) შევნილოდი.

დ. [ამიტომ] ცუდი არ არის საფუძველი ჩემი ცრუმლთა დენისა, ჩემი ცრუმლთა დენის საფუძველი უბრალო, ცუდი არაა.

არ ავი მიჩანს მიზეზი — ცუდი არ მიჩანს საფუძველი.

494 (487) ღმერთმან თუმცა ენა ჩემი...

495 (488) თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა...

ა. თუმცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრამ ტყუილუბრალოდ არ იდენ, არ ღვრი.

ბ. ჰირსა თავი არიდენო — ჰირს თავი მოარიდე — მრ. არ იდენო — რითმამ გამოიწვია.

ამას იქით ნულარ სტირი, ჰირს თავი მოარიდე;

გ. შენი მკვრეტნი ჩემთა მკვრეტთა აგინებენ, არ იდენო — აქ მკვრეტელთა ორ კატეგორიაზეა ლაპარაკი: ერთია ტარიელის მკვრეტელნი, ხოლო მეორე ნესტანისა (შენი — ჩემი). მკვრეტელთა შორის ერთგვარი პაექრობაა, კამათია, ქიშპობა, რომელიც ხანდახან ლანძღვას, ერთმანეთის აგინებას შეიცავს. მაგრამ ტარიელი გულჯრილად უყურებს იმათ კამათს, ყურადღებას არ აქცევს, არ იდენს, არ ღენის თავისგან.

ე. ი. შენი მკვრეტელნი ჩემს მკვრეტელთ აგინებენ, მაგრამ შენ არ იდენ (არ ღენი შენგან), ე. ი. არავითარ ყურადღებას არ აქცევ.

ღ. და ამას წინეთ რომ მოხვეული გქონდა (არიდე), იგი ჩემთვის რიდედ გახადე (არიდე), მე გამომიგზავნე.

496 (488) იგი მე მომცენ რიდენი...

ა. ის რიდე, რომელიც შენ წელან გშვენოდა, მე გამომიგზავნე,

ბ. რომ, როდესაც მნახო, შენც გეამოს, შენვეულით დავმშვენდე;

გ. საშავიეროდ ეს სამკლავე შეიბი, თუ ჩემი პატივისცემა გაქვს.

დ. იცოდე, რომ სხვა ასეთი ღამე ცოცხალს არ გაგთენებოდეს.

საყურადღებოა 495-ე სტროფის უკანასკნელი, მეოთხე სტრიქონისა და 496-ე სტროფის პირველი სტრიქონის შედარება: „რომე წელან მოგეხვიენეს, იგი ჩემთვის არიდენო“ და „იგი მე მომცენ რიდენი, რომელნი წელან გშვენოდეს“. 495-ე სტროფის მეოთხე სტრიქონის I ნაწილი „რომე წელან მოგეხვიენეს“, გამეორებულია 496 სტროფის პირველი სტრიქონის II ნახევარში: „რომელნი წელან გშვენოდეს“; ხოლო 495 სტროფის მეოთხე სტრიქონის II ნახევარი: „იგი ჩემთვის არიდენო“, გამეორებულია 496 სტროფის პირველი სტრიქონის I ნახევარში: „იგი მე მომეც რიდენი“. იშვიათი ხიახმისია. რუსთველს ეს ხერხი სხვაგანაც აქვს გამოყენებული.

497 (490) აქა მხეც-ქმნილი ტარიელ...

ა. აქ მხეც-ქმნილი ტარიელი ტირის, ჰირი უათასდება.

ბ. თქვა, ახლა მე მაქვს ის სამხრე, რომელიც მას (ნესტანს) წინათ ება.

წინას — წინათ, ების — ება.

გ. შეიხსნა სამხრე და ხელში აიღო. თვალვით, სათვალავად, შეხედვით შეუძლებელია მისი დაფასება.

მოდო — აიღო; თვალვით — შეხედვით.

დ. მკვდართა და ედარების — მკვდართა დასში ჩაირიცხება.

ჰირს დაიღვა, დაზნდა, უკვე მკვდართა რიცხვში ჩაირიცხა.

499 (492) ავთანდილცა სულთქნა მწარედ...

- ა. ს უ ლ თ ქ ნ ა — იოხრა.
ავთანდილმაც ამოიოხრა მწარედ, დაბნედილს (ტარიელს) შემოსპერიტა.
 - ბ. ვ ა მ ი — კირი.
 - ხ ვ რ ი ტ ნ ა — გახვრიტა.
- ასმათმა მწუხარება გაამრავლა, მისმა ცრემლმა ქვაც კი გახვრიტა.
- გ. მერმე წყალი დაასხა და მოაბრუნა.
 - დ. ხ ვ რ ი ტ ნ ა — შესვა, შეხვრიტა.
- ტარიელმა თქვა: ცოცხალი ვარ, საწუთრომ ახლაც ჩემი სისხლი ხვრიტა, შესვა.

500 (593) ზე წამოჯდა ფერ-მიხდილი...

- ა. ფერმიხდილი წამოჯდა და გარეტიანებულ თვალებს აქეთ-იქით აყოლებდა.
- ბ. ზ ა ფ რ ა ნ ა — ყვითელი ყვავილია.
ვარდი (ლოყები) მთლიანად გაფითრებული და გაყვითლებული იყო.
- გ. დიდხანს არ ჰქონდა თავი, რომ ექვრიტა ავთანდილსა და ასმათისათვის, ან დაეწყო მათთან საუბარი.
- დ. ქვეყნად დარჩენა მას უმძიმდა პეტისმეტად.

501 (494) ავთანდილს უთხრა: „ისმენდი...“

- ა. ავთანდილს უთხრა: ისმინე, თუმცა ცნობა მაქვს ხელისა;
- ბ. გეტყვი ჩემს ამბავს და ჩემი დამმარხველისას;
- გ. ლხინად მიჩნს შეყრა ნესტანისადმი, რომელსაც ჰერ ვერ შეყრიხარ.
- დ. მივირს, რომ აგრე ცოცხალი ვარ, აგრე მრთელად, რომ ვარ დარჩენილი.

502 (495) ასმათის ნახვა მეამა...

- ა. ს ა ე ს ა ვ ი — საიმედო.
ასმათის ნახვა მეამა, ჩემგან დიდ მოსაჩნევისა.
- ბ. წიგნი ვნახე და მომართვა ეს მკლავის საბამი.
- გ. მკლავს შევები მაშინვე, მოვიხსენ თავის რიდე, უცხო და ღარიბი — საუცხოვო და ძვირფასი.
რიდე უცხო და ღარიბი მტკიცე რისგანმე გაკეთებული.

503 (496) მიუწერე: „მზეო, შუქი...“

- ა. მი ვ უ წ ე რ ე, მ ზ ე ო, შ უ ქ ი შ ე ნ ი — შენი სინტაქსურად ლექსის პირველ ნახევარს ეკუთვნის, მეტრულად — II ნახევარს.
- ბ. გა მი ი ც უ დ დ ე ს ს ი ჩ ა უ ქ ე, ს ი ა ლ ფ ე ნ ი — წამიხდა, ფუქად ჩამიარა ვაყვაცობამ; ს ი ჩ ა უ ქ ე - ს ი ა ლ ფ ე ნ ი — სიჩაუქენი, სიალფენი.
- გ. ხ ე ლ მ ა ნ შ ე ნ ნ ი გ ა ნ ვ ი ც ა დ ე ნ ს ი ნ ა ტ ი ფ ე - ს ი ტ უ რ ფ ე - ნ ი — გიჟმა შენი ვიხილე სინაზე და სიტურფე.

დ. სულთა ნაცვლად სამსახურში რადმცა ვითა გიმუქენი — სულის ნაცვლად სამსახური რად და როგორ უნდა გადაგიხადო.

მიუწერე (შევეთვალე), მზეო, შენი შუქი, შენგან მონაფენი, გულს მომხვდა და წამიხდა (ფუქად ჩამიარა) ჩემი სიცოცხლე და ვაჟკაცობა. მე გიჟმა ვიხილე (ვიგრძენი) შენი სინაზე სიტურფე; სულის ნაცვლად (რომელიც შენ მე მომეცი) რა სამაგიერო სამსახური უნდა გადაგიხადო?

504 (497) მაშინ, ოდეს დამარჩინე...

ა. მაშინ ოდეს დამარჩინე — იგივეა რაც: სულთა სრულად არ გამყარე, ე. ი. დამარჩინე, არ მომკალი.

როდესაც მაშინ დამარჩინე და სულს არ გამყარე, არ მომკალი,

ბ. ახლა, ეს დრო იმ დროს დავადარე (ლაპარაკია იმ მომენტზე, როდესაც ტარიელს ბნელა მოუვიდა);

გ. სამხრე (სამკლავე) შენი მომივიდა და მკლავსა შემოვიბი,

დ. მე რომ მმართველს სიხარული, ეზომი როგორ უნდა გავიხარო.

505 (498) განაღამცა ვიწინაშე...

ა. ვიწინაშე — ზმნაა წინაშე თანდებულისგან ნაწარმოები.

განაღამცა ვიწინაშე — კავშირებითი ვითარებაა გადმოცემული. განაღამცა ვიწინაშე, ე. ი. (წინ) მოგართვა. ბარემ (ოლონდ) შენ მოგართვა ის რიდე, რომ მთხოვე;

ბ. ყაბაჩაც მაგგვარივე, სხვა უკეთესი ვერ ვპოვე;

გ. მოვე — მოდი.

დაბნედილს ნუ დამტოვებ, მიშველე რამე, მარგე, მოდი!...

დ. შევეებოვე — შეპოვება, მორიდება. არ შეპოვება — არ მორიდება. ამ ქვეყანაში შენ გარდა სხვას ვისმე არ შევეპოვები, არ მოვერიდები.

506 (499) ქალი ადგა, გამეყარა...

ა. ქალი ადგა და გამშორდა, დავწევი, ტკილად დამეძინა;

ბ. მაგრამ შევეკრთი, სიზმარში ვნახე ჩემი საყვარელი;

გ. გამეღვიძა, ჩემთან არ იყო, სიცოცხლე მომეწყინა;

დ. მთელი ღამე ისე გავათენე, მისი ხმაც არ გამიგონია.

507 (500) დილასა ადრე სრას მიხმეს...

ა. დილას ადრე, გათენდა თუ არა, მიხმეს სასახლეს.

დილასა — იგივეა რაც — დღე რა ქმნა მწუხარმან უამითა (ქენდიადისი).

ბ. წასვლა ვქმენ მითვე წამითა — სუბსტანტიური წყობაა, გამოწვეულია რიტმით, ზმნური წყობაა. იმ წამსვე წავედ — აღდეგ: რომ გავიგოთ მათი ამბავი და იმ წამსვე წავედ.

გ. ვნახე ორივე — მეფე-დედოფალი, ერთად იჯდა და მათ წინ ორი ხაპი (დიდებული).

დ. როგორც კი მიველ, მითხრეს, დაჯეჟიო და მეც მათ წინაშე დაჯეჟქ სკამზეო.

508 (501) მიბრძანეს თუ: „ღმერთმან ასრე...“

ა. მიბრძანეს: ღმერთმა ასრე დაგვაბერა, დაგვლია კოდეც,

ბ. რომ სიბერე გვახლავს, სიყმაწვილე განველეთ.

გ. ვაჟი არ მოგვცა, ქალი გვყავს, ვისგანაც შუქი და სინათლე არ გვაკლია;

დ. ვაჟს არყოლა არაფრად მიგვაჩნია, არად ვინაღვლით, ყველაფერი ამაზე (ქალზე) გადაგვიტანია.

509 (502) აწ ქალისა ჩვენისათვის...

ა. ახლა ჩვენი ქალისათვის გვინდა ქმარი და საღმონახოთ (იმისთანა),

ბ. რომ მივსკეთ ჩვენი ტახტი და ჩვენგვარ სახედ დავსახოთ;

გ. სამეფოს ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახვინოთ;

შე ვ ა ნ ა ხ ო თ — ნაცვლად კაუზატივისა — შევანახვინოთ;

დ. რომ არ ამოვწყდეთ და ჩვენ მტრებს ჩვენზე ხრმალი არ გავალესვინოთ.

ვ ა მ ა ხ ო თ — ნაცვლად ვამახვილებინოთისა.

510 (503) ვთქვი: „თქვენი ძისა არა სმა...“

ა. გულსა ვით მიეფარების — გულს ვით დაემალევის, გულს როგორ დაემალება, როგორ შეიძლება გულმა არ იგრძნოს.

ვთქვი: თქვენი ვაჟის არ ყოლა როგორ შეიძლება გულს მიეფაროს, გულში დაიფაროს, (ეს ცხადია).

ბ. მაგრამ ჩვენთვის იმედად საკმაოა ის, ვინც მზეს ედარება;

გ. ვისაც სთხოვთ შვილსა სასიძოდ, უეჭველია, მას დიდად გაუხარდება!

დ. აბა სხვა რა მოვახსენოთ! თქვენ თვით უკეთ იცით, თუ როგორ შეიძლება საქმე მოგვარდეს.

511 (504) დავიწყეთ რჩევა საქმისა...

ა. დავიწყეთ საქმის რჩევა, გული მაქვს, თუმცა ილეოდა.

ბ. ვითქვრე: ახლა საქმის დაშლა შეუძლებელია (არ ითქმის, არ საქმნელია).

გ—დ. მეფემ ბრძანა: ხვარაზმელი მეფეა ხვარაზმში, თუ ის დაგვიტომობს შვილს სასიძოდ, იმისთანავე სხვა რომელიმე არ იქნება.

ხვარაზმი, ხვარაზმეთი — დიდი ხნიდან ცნობილი ქვეყანაა. მისი ძირითადი საბინადრო იყო დღევანდელი უზბეკეთი. ხვარაზმი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტერიტორიას ფლობდა. ჩვენთვის საგულისხმოა ხვარაზმის მდგომარეობა მისი აყვავების დროს; XI ს. მიწურულსა და XII ს. დასაწყისში. ხვარაზმის

სათავეშია მეფე ხვარაზმშაპთა დინასტია. მან გაათავისუფლა ქვეყანა სელჩუკთაგან და შექმნა უდიდესი და უძლიერესი მუსულმანური სახელმწიფო, რომელშიც მრავალი ქვეყანა შედიოდა, მათ შორის, სპარსეთი. ხვარაზმი განსაკუთრებით აყვავდა მუჰამედ ხვარაზმშას დროს (1210—1220), როდესაც ხვარაზმი საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის უკვე სპარსეთის სახელით, ხვარაზმი იგივე სპარსეთია. სწორედ ამ დროს წარმოებს თავისებური შეჯიბრება მეზობელ სახელმწიფოთა შორის ხვარაზმთან, სპარსეთთან დამოყვრებისათვის. ამას გულისხმობს მეფის ბრძანება: ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია, თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ, მისებრივ არ რომელია!

ვ.ტ-ის ეს რეალია შეიძლება გამოგვადგეს იმ დროის დასადაგენად, რომლის უადრეს არ შეიძლებოდა დაწერილიყო ვ. ტ-ი. ეს არის 1210—1220 წ. მაგრამ ეს ცნობა არ გამოდგება იმის დასადაგენად, რომლის შემდეგ არ შეიძლებოდა დაწერილიყო ნაწარმოები.

512 (505) რომე პირველვე დაესკვნა...

ა. დაესკვნა — დაესკვნათ.

მათ რომ თავიდანვე (წინააწინვე) დაესკვნათ, დაედგინათ (ნესტანის საქმროდ ხვარაზმშას მოყვანა), ეს ეტყობოდათ.

ბ. სიტყვათა აგრე სწებებოდა — სიტყვაც ასე წბილდებოდა.

ერთმანეთს უჭკრეტდნენ და სიტყვაც აგრე წბილდებოდა;

გ. არ ეგებოდა (საწყ. გება) — არ შეიძლებოდა.

მე რომ წინააღმდეგ წავსულიყავი და დამეშალა ეს, ამბადაც არ შეიძლებოდა.

დ. მხოლოდ დავმიწდი, დავნაცრდი და გული აქეთ-იქეთ მიცემდა, მიკრთოდა.

513 (506) დედოფალმან თქვა: „ხვარაზმშა...“

ა. დედოფალმა თქვა: ხვარაზმშა მეფეა მორკმით მკდომელი.

ბ. მათს შეილს სასიძოდ სხვა ვერავინ აჯობებს.

მცა ნაწილაკიანია. უ-მცა-ნაწილაკოდ ასე იქნებოდა: მათს შეილს სასიძოდ სხვამ რომელმა უნდა აჯობოს.

გ. უარი როგორ ეკადრო, რადგან თვითონ არის მოსურნე, მნდომელი.

შეცილება — კმათი, უარს თქმა.

დ. მეც დავუდასტურე და სწორედ აქედან დაიწყო ჩემი სულთა მხდელი დლე.

514 (507) გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას...

ა. გაგზავნეს ხვარაზმშას წინაშე კაცი შეილის სათხოვნელად

ბ. შეუთვალეს, რომ ჩვენი სამეფო უმემკვიდრეოდ დარჩა;

გ. გვეყავს მხოლოდ ერთი ქალი, რომელსაც არ გავათხოვებთ: ვაჟი, ქმარი შინ უნდა მოვუყვანოთ;

ქალი საძეოდ ითვლებოდა, თუ იგი გათხოვების შემდეგ მშობლების სახლში რჩებოდა ოჯახის ერთ-ერთ მემკვიდრედ. კიდე — გასათხოელი

ეწოდებოდა, თუ გათხოვების შემდეგ ქმრის ოჯახში შედიოდა. ამ შემთხვევაში ქალი საძეო და არ კიდე გასათხოველი სინონიმებია.

დ. თუ საამისოდ შვილს დაგვიტომობთ (ხომ კარგი), სხვას ნურაფერს მოვლით ჩვენგან.

მთხოველი, ყოველი, გასათხოველი გამოიწვია IV სტრიქონის „მოვლი“ სიტყვამ, თორემ იქნებოდა: მთხოველი, ყოველი, გასათხოველი.

515 (508) კაცი მოვიდა, აევსო...

ა. აევსო — აევსოთ.

კაცი მოვიდა (დაბრუნდა), აევსოთ ჭუბაჩითა და ფარჩის პირსაბურავებით;

ბ. ხვარაზმშას მეტად გახარებოდა;

გ. ებრძანა — ებრძანებინა.

ებრძანებინა: რასაც ვნატრობდით, ის ჩვენ ღმერთმა მოგვივლინა.

დ. ვჰხდიდით — ნამყ. უწყევ. ხდა ზმნისა. ხელსა ვჰხდიდით — ხელს მივყოფდით, ხელს ვკიდებდით. ჩვენ ხელსა რასა ვჰხდიდითა — ჩვენ ხელს რას მივყოფდით, ჩვენ ხელს რას მოვკიდებდით, ჩვენ რას ვიშოვიდით. ხელისმხდელი — ხელს მომყოფელი, ხელის მკიდებელი, მიმღები.

მაგისტანა შვილს ჩვენ (სხვას) რას ვიშოვდით.

516 (509) კვლა გაგზავნეს სხვანი კაცნი...

ა. ისევ გაგზავნეს სხვა კაცები სასიძოს მოსაყვანად.

ბ. შეევედრნენ, ნუ აყოვნებთ, მოდით ჩვენი ბრძანების თანახმად.

გ. მე დაღლილი, დაქანცული, ნაბურთალი საწოლს შეველ მოსასვენებლად;

დ. ფულს სევდა შემომაწვა და მრავალი ქირი დამეპატრონა.

517 (510) მეტმან სევდამან მიმწურა...

ა. მეტმა მწუხარებამ ისეთ მდგომარეობამდე მიმიყვანა, რომ განვიზრახე თავის მოკვლა;

ბ. შემოვიდა ასმათის მონა იქ, სადაც მე ვიჯექი (ვიმყოფებოდი) ლალი და ჯანიანი.

გ. წერილი მომცა, შიგ ეწერა: შენ, რომელიც ალვის ტანისა ხარ,

დ. გიბრძანებს ნესტანი, რომ დაუყოვნებლივ მოხვიდე.

გულსა დაცემად დანისად, დაუყოვნებლად ხანისად — ძველი ქართული ნორმა დარღვეულია. უნდა ყოფილიყო: დაცემად დანისა, დაუყოვნებლად ხანისა.

518 (511) შეეჯე. წავე. ბაღჩას მივე...

ა. ვითა სცნობდე — ჩართული სიტყვებია: როგორც იცი, როგორც მოგეხსენება, გასაგებია.

შევექე, წაველ, მიველ ბაღას, გასაგებია, მხიარულად;
ბ—გ. ბაღა გავიარე, კოშკი დამხვდა, იქვე ასმათი ნამტირალები;
დ. ეს გარემოება ჩემთვის სამძიმო იყო, მაგრამ არაფერი არ ვპკითხე,
რადგან ჩემი მისვლა მეტისმეტად უნდოდა (ნესტანს).

519 (512) იგი ვნახე დაღრუჯილი...

ა. იგი (ასმათი) ვნახე მოწყენილი, ეს გარემოება მეტად სამძიმო შეიქნა ჩემთვის.
ბ. როგორც წინათ შემომცინებდა ხოლმე, ახლა ეგრე აღარ გამიღიმა.
გ. სრულიად სიტყვა არ მითხრა, მხოლოდ ცრემლი წამოსკდა.
დ. ამით უფრო დამაწყულულა და წყლულს არ უაქიმა.

520 (513) ჩემნი ერთნი გონებანი...

ა. გამიკიდნა — კიდეზე დამიყენა, შორს დამიპირა.
ჩემი ფიქრი, გონება (ნესტანზე) მეტად შორად დამიპირა.
ბ. შიგ კოშკში შემიყვანა, ფარდაგი აზიდა.
გ. დავინახე მთვარე (ნესტანი), კირმან თავი მანება.
დ. გულს შუქი შეპომადგა, მაგრამ გული არ დამიღნა.
გამიკიდნა, ამიზიდნა, უკუმრიდნა — ნარები ზედმეტია, ეს
ფორმები დამიღნა სიტყვითაა გამოწვეული (რითმის გამო).

521 (514) იყო არ ნათლად ნათელი...

ა. იყო არ ნათლად ნათელი — ნესტანი ნათელია, გაბწყინებული,
მაგრამ ამჟამად არ იყო იგი ნათლად. მწყრაღად იყო. არ იყო ნათლად,
ბრწყინვალედ ნათელი ფარდაგს შემომდგარი;
ბ. სახეზე ეხვია ოქრო-რიდე, რომელიც მე მივეცი.
გ. ჩემივე მიცემული ყაბაჩა ეცვა, იგი უებრო, ტახტზე მიწოლილი იყო;
დ. პირისაზე ეღვათა გამოქროთომელი, ცრემლის ღვარს მოეცვა.

522 (525) ქვე წვა, ვით კლდისა ნაპარალსა...

ა. პირ-გამეხებული — პირდაღრენილი, გაბრაზებული.
უქვე (დიადაც) იწვა, როგორც კლდის ნაპარალს პირდაღრენილი ვეფხი.
ბ. ეღემს ხებული — ეღემს ნაზარდი; ხებული — მიმღეობა ხე
სიტყვისა.
არც მზე შეედრებოდა მას, არც მთვარე, არც ალვის ხე, ეღემს ნაზარდი.
გ. ასმათმა შორიახლოს დამსვა მე, ლახვარ-ნაჯრავი.
დ. ის კი წამოჯდა წარბ-შეკრული, გამწყრალი, გარისხებული.
წარბ-შეკრპმით, გამწყრალი, გარისხებული — სინონიმე-
ბია. მეტად გამწყრალი, გარისხებული.

523 (516) მიბრძანა: „მიკვირს რად მოხვე...“

- ა. მითხრა: რად მოხველ პირის მშლელო,
- ბ. გამწირავი, მოლაღატე და ფიცის გამტეხი;
- გ. მაგრა ნაცვალსა პატრესა მოგცემსო ზენამცა ცისა — ზენამცა — აგრეა გასწორებული საიუბილეო გამოცემაში. აგრე ხომ არ იქნებოდა უკეთესი: მაგრა ნაცვალსა პატრესა მიგცემსო ზენა მიცისა, მაშინ მი მიგცემს ზმნისწინის განმეორება იქნებოდა.
- დ. მე მივუგე, მე რომ ამ საქმეში უფიცი ვარ, რომ საქმის არაფერი ვიცი, რა პასუხი გაგცე.

524 (517) ვთქვი: „პასუხსა ვერას გკადრებ...“

- ა. ვთქვი: პასუხს ვერ გეტყვი, თუ არ გავიგებ სიმართლეს.
- ბ. რა შეგცოდნე, რა ექმენ მე ცნობადუარგულმა, ფერმკრთალმა?
- გ. კვალად მითხრა: რა გელაპარაკო შენ, მტყუანსა და მოლაღატეს?
- დ. ქალურად რად მოვლორდი და ამით რატომ დავუწვავარ აღს?

525 (518) შენ არ იცი ზვარაზმშასი...

- ა. მოყვანება — კაუზ. მოყვანა ზმნისა.
- ნუთუ არ იცი, რომ ჩემს საქმროდ მოჰყავთ ზვარაზმშა?
- ბ. შენ მჯდარხარ მრჩეველად, შენ დაგირთავს საამისოდ ნება!
- გ. ამით შენ ფასტეხე ფიცი და ერთგულება!
- დ. თუ ღმერთმა ქმნა, ცუდად დაგირჩენ, ტყუილუბრალოდ ჩაგიტარებ მაგ შენს საქმიანობას.

526 (519) გახსოვს, ოდეს „ჰაი“ ჰზმიდი...

- ა. „ჰაი“ ჰზმიდი — ჰაი, ჰაის, იძახოდი, ოხრავდი.
- გახსოვს, რომ ოხრავდი და შენი ცრემლი ველს რწყავდა;
- ბ. მკურნალნი და დასტაქარნი წამალს მოგიტანდნენ (ხოლომე);
- გ. ნეტარ სხვანი რამცა გვანდეს — უნდა: ნეტარ სხვანი რამცა გვანდა; გვანდეს — რითმამ გამოიწვია.
- მამაკაცის სიცრუეს ნეტავი სხვა რა უნდა დაემგვანოს?
- დ. [მაგრამ] რადგან დამთმე მეც დავთმობ, აბა, ვნახოთ, ვინ უფრო დავიანდეს.

527 (520) ამას ვპბრძანებ: „ვინცა გინდა...“

- ა. ამას ვბრძანებ: ვინც გინდა ის ეპატრონოს ინლოეთს,
- ბ. გზეთი — გზეთის ქვეყანა, გზეთით დასერილი ქვეყანა.
- (მაგრამ) ნამდვილი პატრონობა ჩემია (და არა იმათი), ვინც ქურდულად (უგზოდ) შემოვა თუ ცხადად (გზეთით),

გ. მოსაცეთი — მოსატოში, მოსატური, მოსატომელი.

მომცთარხარ მოსაცეთსა — მომცთარხარ მოსატომელსა. პანრომაზიული თქმა — ფადმოცემული ზმნით და სახელით, რაც ნიშნავს „დიდად შემცთარხარ“.

ეგ, აგრე არ იქნება (არ მოხდება). წა, მომცთარხარ მოსატომს მეტად. დიდად შემცთარხარ.

დ. შენი აზრები შენვე გგავს, შენ მტყუანს და მართლაც მტყუანს.

528 (521) ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს...

ა. ცოცხალი თუ ვიქენი, შენ, ვფიცავ, ინდოეთში ხანი ვერ დაჰყო;

ბ. თუ შეეცადო დაყოფას, ასე იცოდე, მოკვდები;

გ. სხვა ჩემისთანა შენ ვერ ნახო, ცამდიც რომ ხელი აჰყო.

დ. რა დაასრულა ეს სიტყვა, ყმა ატირდა და ბევრი იოხრა.

529 (522) თქვა: „რა მესმა ესე მისგან...“

ა. ეს რომ გავგონე მისგან, მეტისმეტი იმედი მომეცა;

ბ. ისევ მიეცა თვალებს ძალა მის (ნესტანის) საქვერეტად.

გ. რატომ არ გიკვირს როგორ ვარ ცოცხალი, რატომ ვარ გარეტიანე-ბული?

(რად... რად... რად... — ანაფორული ალიტერაციაა აზრის გასაძლიერებლად გამოყენებული).

დ. ვაჰ, წუთისოფელო დაუდეგარო, რად მოგიცლია ჩემთა სისხლთა საწოველად?

530 (523) შევჰხედე, ვნახე სასთუმალს...

ა. მუსაფი — მაჰმადიანთა სალოცავი წიგნი.

სასთუმალში დავინახე გაშლილი მუსაფი;

ბ. მქებარე — რითმისთვისაა, უნდა: მქებარი.

ავიღე ღვთისა და მის მაქებარმა შევკადრე;

გ. მზე ბარე — მზეო დაგიწვავარ, ბარემ ჩემი მზეც დაწვი (მომკალ);

დ. მე ბარე — მე ბარემ.

რადგან არ მომკალ, მომეც საშუალება მხოლოდ ერთი პასუხი გკადრო.

531 (524) რომე გკადრებ, ესე სიტყვა...

ა. ნალიქნი — მიმღობაა ვნ. ლიქნა ზმნისა: ნაპირფერევი, მლიქვნელი (მიმღ. მოქმ.), პირფერი.

მე რასაც ახლა მოგახსენებ, თუ ეს ცუდად ნაპირფარევი,

ბ. მაშინ ცამ მრისხოს და მზის შუქიც ჩემთვის სრულიად შუქი ნუ იყოს;

გ. განკითხვა, გაკითხვა — გასამართლება (მღრ. ლუკ. 6,37). ეს სიტყვა (სხვა ფორმით) კიდევ გვხვდება ვ.ტ-ში: „თუ გიტყუო, მოგალორო,

ღმერთმან რისხვით გამოიკითხოს“ (667,3), „გამიკითხელო, გამიკითხე, აჯა ჩემი შეისმინე“ (865,3), „...გამიკითხე, რად მაწყულულებ მისთვის წყულუსა“, (959,4).

თუ გამიკითხავ ე. ი. თუ სამართალს მაღირსებ (ვაცხადებ), ცუდი არაფერი არ მიქნია;

ღ. მან (ნესტანმა) მიბრძანა; აბა, თქვი, რაც იცი, თავი დამიქნია.

532 (525) კვლაცა ვჰკადრე: „მე თუ, მზეო...“

ა. ისევე ვჰკადრე, მზეო, მე თუ შენთვის ფიცი გამეტეხოს,

ბ. ღმერთმა ახლავე მომკლას, მეხი დამცეს;

გ. ვისთვის, თუ არ შენთვის პირი მემზოს, ტანი მეხოს, ე. ი. ვისთვის უნდა ვცოცხლობდე?

პირი მემზოს — პირი მზედ გამეხადოს, თავი მეცოცხლოს (მზე სიცოცხლის ნიშანია).

ტანი მეხოს — ტანი ხედ გამეხადოს, ხედ გამეზარდოს (კვლავ სიცოცხლეზეა ლაპარაკი), ე. ი. უშენოდ თავი უნდა მოვიკლა.

ღ. და თავს თუ მოვიკლავ, მაშინ რაღა დამარჩენსო?

533 (526) მე მეფეთა დარბაზს მიხმეს...

ა. მე მიხმეს დარბაზს და შექმნეს დიდი თათბირი;

ბ. მათ წინდაწინვე დაედგინათ, რომ ის ყმა შენთვის ქმრად მოეყვანათ:

გ. დაშლით ვერ დავუშლიდი, უზრდევლობად ჩამომართქვედნენ;

ღ. ჩემს თავს ვუთხარი: მიემოწმე, დაუღასტურე დროებით, სჯობია გამაგრდე.

დიდი დარბაზობა — დარბაზობა ორი წესით წარმოებდა: დიდი და მცირე წესით. წესს საზღვრავდა მეფე (შდრ. ხ. კარის გარიგება, 2).

დიდი დარბაზობა მნიშვნელოვან საქმეთა განსახილველად იკრიბებოდა. ირჩეოდა მხოლოდ ისეთი საქმეები, რომელთა განხილვა საჯაროდ უხერხული და სახიფათო იყო. მეფის ქალისთვის საქმროს მოყვანაც ამგვარ საქმედ ითვლებოდა.

534 (527) მემცა დაშლა ვითა ვჰკადრე...

ა. მე როგორ შეკადრებინა დაშლა, რადგან თვითონ ვერ მიმხვდარა.

ბ. ნუთუ არ იცის, რომ ინდოეთი უპატრონოდ არ დარჩენილა!

გ. ტარიელი არის პატრონი, სხვა ვისმე არავის ეკუთვნის პატრონობა,

ღ. არ ვიცი, ვის მოაყვანს, ან ტყუილუბრალოდ ვინ ცდება.

535 (528) ვთქვი: „ამითა ველარას ვიქმ...“

ა. ვადავწყვიტე, აპით, ამ სახით, ვერაჯერს ვიზამ, სხვა რამე უნდა ვილონო;

ბ. მოგიცავ — მოგიცავარ — ძვ. ქართულში მეშველი ზმნის უმისოდ იხმარებოდა (შდრ. ვზი, ზი).

ჩემ თავს ვუთხარ: მრავალგვარი აზრი ნუ გაქვს.

გ. ვ ა რ ო — ვარონინო.

გული მხეცისაებრ მქონდა, მინდორს რომ ათასჯერ გავეკრილიყავ!

დ. წ ა გ ვ რ ა — წართმევა, წაღება.

ვიღას მივსცემ შენს თავს, თუ შენ თვითონ არ წამართვი.

536 (529) სულთა ვჰყიდდი გულისათვის...

ა. სულს ვყიდდი გულისათვის, კოშკი ამიტომ საბაზროდ, სავაჭროდ გა-
მიხდა (?);

ბ. ის, წვიმა, რომელიც თავდაპირველად ვარდს აზრობდა, ცოტათი გა-
ნელდა:

გ. დავინახე, რომ ტუჩებს კბილები ლამაზად შემოეზღუდა, ტუჩები სა-
ლაპარაკოდ მოეწყო.

დ. მ ო ე მ ა ზ რ ა — მოეზღუდა.

მითხრა: ეს საქმე სიმართლედ რატომ უნდა მიმეღო, რატომ უნდა მი-
მეჩნია?

537 (530) არ დავიჯერებ მე შენსა...

ა. არ დავიჯერებ, რომ მოღალატე და ორგული იყო,

ბ. ღვთის უარმყოფელი და ამიტომ არ სამადლობელი.

გ. ითხოვდი ჩემს თავს და ინდოეთის მორქმით ფლობას.

დ. მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, ეს აჯობებს ყოველგვარ სიძე-სძლო-
ბას.

538 (531) მოღმობიერდა, მომიტკბა...

ა. გამწყრალი, გარისხებული იგი მოღმობიერდა, მოტკბა,

ბ. ძსე, თითქოს მზე იყო ქვეყნად ჩამოსული ან მთვარე პირგავსებული;

გ. ახლოს დამისვა და აქამდის არ ღირსეული ღირსი გამხადა,

დ. დამიწყო ლაპარაკი და ამით მოკიდებული ცეცხლი დამივსო.

მე უ ბ ნ ე ბ ო დ ა, დ ა მ ი ვ ს ო ც ე ც ხ ლ ი — სჯობია: მეუბნებოდა...
დამევსო ცეცხლი.

539 (532) მიბრძანა თუ: „გონიერი...“

ა. მიბრძანა, საჭიროა, რომ გონიერი არასოდეს არ აჩქარდეს;

ბ. რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, წუთისოფელს დაუმშვიდდეს;

გ. სასიძო რომ არ შემოუშვა, ვაი თუ მეფე გამწარდეს,

დ. შენ და იგი წაეკიდოთ ერთმანეთს და ამით ინდოეთი მოისპოს.

გ ა რ დ ა ქ ა რ ე ბ ა — ქარს გატანება რისაზე, მოსპობა, განადგურება.

540 (533) კვლა თუ სიძე შემოუშვა...

ა. ა ს დ ე ნ — ამგვარად.

და თუ სიძე შემოუშვა და შემირთოს, მოხდეს ამგვარად,

ბ. ჩვენ ერთმანეთს გავშორდეთ, ძოწეული ფლასად შეგვეცვალოს,
გ. მათ მხიარულად მოივლინონ, ჩვენ კი ტანჯვა გავვიხადეს...
დ. ეს ამბადაც არ შეიძლება, რომ სპარსნი დაგვიახლოვდნენ, დიდებულად, წარჩინებულად გავვიხდნენ.

ძოწეული — წითელი (სამეფო ტანისამოსი).

გ ა გ ვ ი ფ ლ ა ს დ ე ნ — ფლასად გადაგვექცეს, ძაძით შეგვეცვალოს.
მ ა თ მ თ რ კ მ უ ლ თ ა მ თ ი ვ ღ ი ნ ო ნ — მათ მოილხინონ, იმხიარულდნენ.

ს პ ა რ ს ნ ი გ ა გ ვ ი ხ ა ს დ ე ნ — სპარსნი დაგვემოყვრნენ, დაგვიახლოვდნენ.

541 (534) მე ვკადრე: „ღმერთმან აშოროს...“

ბ. გ ვ ა რ ო ბ ა — ვინაობა.

გ. ჩემი ძალგული და ჩემი მეომარობა — სინონიმური თქმაა, მეტი სიმტკიცის, მეტის გულადობის გამოსახატავად. დავხოცენ — ობიექტის სიმრავლისაა, ახლა ვიტყვი: დავხოცო.

დ. ს ა ხ მ ა რ ო ბ ა — მოხმარება რისამე, გამოყენება რისამე.

...შ ე ე ძ ლ ო ს ა ღ ა რ ა ა რ - ს ა ხ მ ა რ ო ბ ა — არ შეეძლოს არაფრის მოხმარა, არაფრის გამოყენება, უმოქმედო შეიქნეს.

ა) მე ვკადრე: ღმერთმა აშოროს იმ ყმას შენი ქმრობა.

ბ) თუ შემოვიდნენ ინდოეთს და გავიგო მათი ვინაობა,

გ) მამინ ვუჩვენო ჩემი ძალა და ჩემი სიმტკიცე;

დ) ისე დავხოცო, რომ არაფრის მოხმარა არ შეეძლოს, უმოქმედო, გამოუსადეგარი შეიქმნენ.

542 (535) მიბრძანა თუ: „ხამს დიაცი...“

შ უ ა კ ე დ ე ლ ი — შუამყოფი, შუამავალი, რისამე მტვირთველი,

ა. მიბრძანა, რომ საჭიროა დედაკაცი დედაკაცურად იქცეოდეს,

ბ. დიდ სისხლს (სისხლის დაღვრას) ვერ დაგაკისრებ, ვერ ვიქმნები შუამავლად;

გ. როგორც კი მოვა სიძე, მოკალი, მისი ჯარის გაუწყვეტლად;

დ. ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.

543 (536) ასრე ქმენ, ჩემო ლომო და...

ა. აგრე ქმენ, აგრე მოიქეც, ჩემო ლომო და მჯობო ყველა გმირთაო;

ბ. მიპარავით მოკალი სასიძო, ლაშქარს ნუ მოიხმარებ,

გ. ნუ დახოცავ მათ, (ლაშქარს) როგორც ძროხას ან ვირთ,

დ. ვინაიდან, როგორ შეიძლება კაცმა იტვირთოს უბრალო, უდანაშაულო კაცის სისხლის დაღვრა.

544 (537) იგი რა მოჰკლა, ეუბენ...

მ კ ვ ი დ რ თ მ ა მ უ ლ ი — მამული ორგვარი იყო: მკვიდრი და უმკვიდრო. პირველი მემკვიდრეობით კუთვნილი იყო (მეტის ღირებულებისა) და მეორე — ნაშოვნის, პირადად შექმნილი.

ჩემია მკვიდრი მამული — მამული მემკვიდრეობით მეკუთვნის.
ე. ი. სამეფო გვარისაა, მეტის უფლების მომნიჭებელია.

ტრამა, ტრამი — ტრიალი მინდორი, მოტიტვლებული. გადატან. გა-
ოხრებული, გაშიშვლებული.

ა. როდესაც მას მოკლავ, მაშინ ელაპარაკე მამაჩემს.

ბ. და მოახსენე, რომ სპარსელებს ვერ შევაქმევინებ ინდოეთს, სპარსე-
ლებს ვერ გავაბატონებ ინდოეთში;

გ. ჩემია მკვიდრი მამული, სპარსელებს არ მივცემ მცირედსაც კი.

დ. და თუ არ დამეხსნები, ასე იცოდე, რომ ქალაქებს მოგისპობ, გაგინად-
გურებ.

545 (538) ჩემი ყოლა ნურა გინდა...

ყოლა — სრულიად, ყოვლად.

მოხდომა — მიღწევა.

ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოხ-
დომა — ამით უფრო მიაღწევ შენ სიმართლეს.

ა. ჩემი სრულადაც ნუ გინდა, ნურც სიყვარული, ნურც ნდომა;

ბ. ამით უფრო მიაღწევ შენ სიმართლეს.

გ. მეფე პირაქეთ შემოგეხვეწება, პირაქეთ შემოგაკვდება;

დ. ჩემს თავს შენ მოგცემს და ერთად ჯდომა (ყოფნა) დაგეშვენდება.

546 (539) ესე მეტად მომეწონა...

თათბირი, გამორჩევა — სინონიმებია.

ჩემთა მტერთა დავაქადე დასახოცლად ხრმლისა
ქნევა — ხმალი ამოვიღე ქარქაშიდან და მტერს დავექადე: „დაგზოცთ“ —
ჩვ. ჟესტია რაიმე საომარი გადაწყვეტილებისას.

დამიწყო ქვე-ქვე წვევა — დამიწყო უკვე წვევა.

ვერ შევმართე — ვერ შევბედე, ვერ გავუბედე.

ა. ეს თათბირი და გამორჩევა მეტად მომეწონა;

ბ. (გათამამებულმა) ხმალი ამოვიღე და დავექადე ჩემს მტრებს;

გ. მერე დავაპირე წამოსვლა, მაგრამ დაჯდომა მითხრა;

დ. მსურდა, მაგრამ ვერ გავბედე შემოქდომა, შემოხვევა.

547 (540) ხანი დავყავ. გავეყარე...

ქირი ბევრჯელ ვაათასე, ლხინი ჩემი ვაერთხელი
— აქ მრავალგზისობის, უწყვეტლობის ვითარებაა გადმოცემული. მასასადა-
მე, უნდოდა, ქირი ვაათასი. ისე, როგორც ლხინი ვაერთხე-
ლი. მაგრამ ვაათასე წყვეტილში თუ გვაქვს, უწყვეტობა, მრავალგზი-
სობა გადმოცემულია ბევრჯელ სიტყვით. ბევრჯელ ვაათასი არ
შეიძლება, რადგან თვითონ ვაათასი მრავალგზისობას აღნიშნავს.

ა. დავყავ რამდენიმე ხანი, გავეყარე, მაგრამ უფრო გავგიჟდი,

ბ. ასმათი წინ წამომიძღვა, მე ცხელი ცრემლი მდიოდა:

გ. ჰირი გავამრავლე, ლხინი ვაერთხელე;
დ. ამას გარდა, წასვლა არ მინდოდა, ამიტომ ნელად მივიდიოდი (ფეხები უკან მრჩებოდა).

548 (541) მოვიდა კაცი: „სასიძო...“

მოვიდა კაცი: „სასიძო მოვაო“, მოსლვა გვახარა —
სასიძოს მოსვლის უეჭველობა გაძლიერებული ანაფორული ალიტერაციითაა
გადმოცემული: მოვიდა, მოვაო, მოსლვა.

გლახ — საბრალომ, საწყალმა.

მიჰხვდა სიამე — შეხვდა სიამე, ესიამოვნა.

ა. კაცი მოვიდა და გვახარა, რომ სასიძო მოვაო,

ბ. მაგრამ თუ რა მოელოდა, იმ საწყალმა არ იცოდა;

გ. მეფეს ესიამოვნა, სრულად არ უვაგლახია,

დ. მე ახლოს მომისვა, თავი დახარა.

549 (542) მიბრძანა: „ჩემთვის ესე დღე...“

ლხინი და სიხარული — ბინონიმური წყვილია.

სრული(ა) — სრა სახელის ზედსართავია — სასახლის შესაფერი.

ა. მიბრძანა ეს დღე ჩემთვის დიდი ლხინი და სიხარულია.

ბ. გადავიხადოთ ქორწილი სასახლური, როგორც ეკუთვნის დას;

გ. გავეზავნოთ ხალხი, რომ ყველა ადგილიდან მოიტანონ სრული (ბევრი)
სიმდიდრე.

დ. უხვად დაეასაჩუქროთ, ავაუსოთ ყველანი, სიძუნწე დასაგმობია.

550 (543) მე გავეზავნენ ყოვლგნით კაცნი...

უნდა: მე გავეზავნენ კაცნი ყოვლგნით საქურქლეთა
წამომხმელნი — რადგან „ყოვლგნით“ „საქურქლეთა
წამომხმელნი“-ს ადგილის გარემოებაა.

წამომხმელნი — ობ. მრავლობითშია — წამომღებნი:

ა. მე გავეზავნე კაცები ყველა ადგილიდან საქურქლის წამომღებნი;

ბ. სასიძოც მოგვივიდა, დიდხანს არ დაუყოვნაით;

გ. აქედან ჩვენები გაეგებნენ, იქედან მოვიდნენ ხვარაზმელნი.

დ. ერთად შეკრებილი ლაშქარი იმდენი იყო, რომ ხმელეთიც ვერ დაი-
ტევდა.

551 (544) მეფემან ბრძანა „მოკაზმეთ...“

ა. მეფემ ბრძანა მოედანზე კარვის დადგმა,

ბ. რომ სიძემ ცოტა მოისვენოს;

გ. იქ მის სანახავად ჯარი უშენოდ გაეგებოს;

დ. შენ კი აქ ნახე, — იქ სანახავად სხვა ყმაც საკმაონი იქნებინ.

საგულისხმოა სასახლის ეთიკეტი, რომლის ძალითაც ტარიელი არ უნდა
გაეგებოს ხვარაზმას. მას უფრო დაბალი რანგის ხალხი უნდა შეხვდეს, ტა-

რეღმა კი სასახლეში უნდა მიიღოს. ამით მეფემ ტარიელი ხვარაზმშაზე უფრო მალა დააყენა. ტარიელი რომ არ გაგებებია ხვარაზმშას, ეს მომდევნო სტროფიდან ჩანს, სადაც ტარიელი ლაპარაკობს (უპირატესად) მესამე პირის პოზიციიდან: „შე იქმნა გასლვა შიგანთა, ჯარია მუნ ხასე ბისა...“

552 (545) მოედანს დავდგი კარვები...

აღვსების დღე — აღდგომის წინა დღეები, ვნების კვირა, სამწუხარო დღეები.

ა. მოედანზე დავდგი წითელი ატლასის კარვები;

ბ. სიძე მოვიდა, ჩამოხტა. დღე ჰგავდა, როგორც ჩანს, აღვსებისას, ე. ი. ვნების დღეს (მწუხარების დღეს);

დღე, როგორც ჩანს აღვსების, მწუხარების მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აღვსება აგრეთვე აღდგომასაც ეწოდება. თუ აგრე მივიღებთ, მაშინ ეს აღვილი ასე გააზრიანდება: სიძე მოვიდა, ჩამოხტა, დღე ჰგავდა, როგორც ჩანს აღდგომას ე. ი. სამხიარულ იყო; მაგრამ როგორადაც არ უნდა გავაზრიანოთ ეს სტრიქონი, ისაა საგულისხმო, რომ აქ არის უეჭველი გამოძახილი ქრისტიანიზმისა. ფორმალურად ავტორმა მოქმედი პირნი მუსულმანებად გამოიყვანა, მაგრამ არსებითად როგორც ავტორი, ისე მისი მოქმედი პირნი, ქრისტიანები არიან. სწორედ აქ იჩინა ამ გარემოებამ თავი.

გ.-დ. აქედან გავიდა (მიეგება) რჩეული ჯარი, რომელიც დადგა ჭგუფ-ჭგუფად, უბან-უბან.

553 (546) მე დავშვერ, ვითა წესია...

ა. მე დავიღალე, როგორც ეს ჩვეულებრივია მოვალეობაგადახდისათვის;

ბ. შინ წამოველ და ძილი მომინდა;

გ. მოვიდა მონა და ასმათის წერილი მომიტანა,

დ. ნესტანი გიბარებსო.

554 (547) ცხენისაგან არ გადავჰხე...

ა. ცხენიდან არ ჩამომხტარვარ, იმ წამსვე წავედი,

ბ. ასმათი დამხვდა ნატირები: კვითხე, რატომ ტირი-მეთქი?

გ. მიძასუხა: შენი ვადამკიდე როგორ შეიძლება არ ვტიროდე (როგორ შეიძლება ტირილს ავცილდე).

დ. განუწყვეტილვ, მარად როგორ უნდა გამართლო, როგორ უნდა დაგიცვა, როგორ უნდა გამოგესარჩლო?

555 (548) შევედით, ვნახეთ ბალიშსა...

საომა რე — საომარი.

ა. შევედით, ნესტანი ზის ბალიშზე, გამწყრალი;

ბ. მზე ვერ იქმნა ვეტს, მას რომ არე-მარე გაენათებინა.

გ. წინ წავდეგ. მიბრძანა: რას დგახარ, წინ საომარი საბრძოლო დღე გაქვს,

დ. თუ ისევ მიღალატე, ისევ მატყუებ?

... გამწირე, მიტყუე და კვლაცა მოიმცდომარე — აზრის გასაძლიერებლად სიტყვები აღმავალი გრადაციული წესითაა გაწყობილი.

556 (549) მე შეწყინა, აღარა ვთქვი...

- ა. მე შეწყინა, აღარაფერი არ ვთქვი, ფიცხლად უკან გამოვბრუნდი;
- ბ. უკან მოუხედავად ვიყივლე: თუ არ მინდა მე ის, ვისაც ვუნდივარ,
- გ. ისე როგორ წავხდი, რომ ქალი მაწვევს ომში;
- დ. წინ მოვედი და მისი მოკვლა გადავწყვიტე უსიტყვოდ, უყოყმანოდ.

557 (550) ასსა ვუბრძანე მონასა...

- ა. ას მონას ვუბრძანე: მოემზადეთ საომრად;
- ბ. შევსხედით და ისე გავვლეთ ქალაქი, რომ არავის არ ვეჩვენეთ;
- გ. კარავს შევედი, სასიძო ისე იწვა, რომ თქმაც კი მეზარებოდა;
- დ. იგი უსისხლოდ მოვკალ, თუმცა სისხლით რომ მომეკლა, კი შეეფერებოდა.

558 (551) კარვის კალთა ჩახლართული...

- ა. კარვის კალთა (ფრთები), ხლართებით გადაბმული, ჩაქვერ, კარად, ბაკად ვაქციე (გავადე);
- ბ. ყმას ფეხებში მოვკიდე ხელი და თავი სვეტს შევუტაკე;
- გ. წინა მწოლთა დაიწყეს ყვირილი და საარაკო გლოვა-ტირილი;
- დ. მე კი ცხენს შევჯექ და წამოველ; ჯაჭვის პერანგი მეცვა. წაცამოვე — წამოვეცა, წამოველცა, კიდევაც წამოველ.

559 (552) ხმა დამივარდა, შეიქმნა...

- ა. გავარდა ხმა და დაიწყეს მღევართა წვევა;
- ბ. მე წამოველ, დამიწყეს დევნა, მღევარნი დავხოცე;
- გ. ქალაქი მაგარი მქონდა, მტერთა მოურევარი;
- დ. მშვიდობით შეველ! გახლავ ასეთი. (მამაცი!).

560 (553) კაცი გავგზავნენ, ვაცნობე...

ა. კაცი გავგზავნენ — კაცი მხოლოდობითშია, მამასადამე კაცი გავგზავნე, მაგრამ თუ არის „გავგზავნენ“ უნდა ვივარაუდოთ, რომ „კაცი“ გაგებულა კრებითად. მაშინ აქ შეთანხმება მოცემულია აზრობრივად და არა ფორმის მიხედვით.

გავგზავნე კაცები და შევუთვალე ყველგან მთელ ლაშქარს:

ბ. აბა, ვისაც ჩემი შველა გინდათ, სასწრაფოდ გამოცხადდით;

გ. მთელი ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა მღევართა დევნა;

დ. როგორც კი ჩემსას გაიგებდნენ, როგორც კი გაიგებდნენ, რომ მე ვიყავი, იმ წამსვე იცავდნენ ხოლმე თავის თავს, რომ მრთელად გადარჩენილიყვნენ.

ბ ნ ე ლ ა ს ა, მ რ თ ე ლ ა ს ა (ნაცვლად: ბნელსა და მრთელსა) — ყ ვ ე ლ ა ს ა, შ ვ ე ლ ა ს ა — მორითმზე სტროფებთანაა შეწყობილი.

ს ც ე ვ დ ი ა ნ — უწყვეტლის ხოლმეობითია ც ვ ა ზ მ ნ ის ა.

561 (554) ცისკრად ავდეგ, შევეკაზმე...

ა. გათენდა თუ არა, ავდეგ და შევეკაზმე.

ბ. დაეინახე, მეფისგან გამოგზავნილი სამი დიდებული მოდის;

გ. ებრძანებინა: ღმერთმა იცის, რომ გამიზრდისხარ როგორც შვილი, გამეზარდე — (ენიანი ვნებითა) გამიზრდისხარ.

დ. რატომ შესცვალე ჩემი სიხარული მწუხარებით.

ცისკრად ავდეგ, იფიქრა — რა გათენდა ღამე დღიად — (პენდიადისია).

562 (555) ხვარაზმშას სისხლი უბრალო...

ა. ხვარაზმშას უბრალო სისხლი ჩემს სახლს რად დაადე?

ბ. თუ ჩემი ქალი გინდოდა, რატომ არ მითხარი, რატომ არ შემატყობინე;

გ. მე მოხუცებულს, შენს გამზრდელს სიცოცხლე არმად გამიხადე

დ. და დღეიდან სიკვდილამდის შენს თავსაც მე ვერ მაახლებ.

563 (556) მე შევეუთვალე: „მეფეო...“

ა. მე შევეუთვალე, რომ რვალის უმაგრესი ვარ, მეტად მტკიცე,

ბ. აბა, რა მიშლის სიკვდილს მე სირცხვილის ალის ცეცხლმოდებულს.

გ. მაგრამ თქვენ თვითონ კარგად იცით, რომ ხელმწიფე სამართლის მქმნელი უნდა იყოს.

დ. მე კი ღმერთმა მაშოროს თქვენი ქალის ნდომა.

564 (557) იცით ინდოთა სამეფო...

ა. იცით, ინდოეთის სამეფო რამდენი სახელმწიფოსგან შედგება!

ბ. ყველა თქვენ გერგოთ,

გ. თქვენი ყველა ამოწყდა და მამული თქვენ დაგრჩათ;

დ. სამართლით, სადაც სამართალია, ტახტი ჩემ გარდა არავის არ უნდა შეხედეს, რადგან მხოლოდ მე ვარ მემკვიდრე.

565 (558) ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან...

ა. პირში არ გეფურები, თქვენმა სიკეთემ, ეს სიმართლეა;

ბ. ღმერთმა არ მოგცათ ვაჟი, გყავთ მხოლოდ ერთი ქალი;

გ. ხვარაზმშა რომ მეფედ დავსვა, სამაგიეროდ მე რა დამრჩეს?

დ. სხვა მეფე რომ ინდოეთს ეპატრონოს, სირცხვილი არაა მე შერთყას ჩემი ხმალი?

566 (559) „შენი ქალი არად მინდა...

- ა. შენი ქალი არაფრად მინდა, გაათხოვე, მომაშორე,
- ბ. ინდოეთი ჩემია და ჩემ გარდა არაფის მივსცემ.
- გ. ვინც ჩემსაში დამეცილოს, მას მოჭაპობ,
- დ. ამ საქმეში სხვა მეშველი, მომკალით თუ მოვიხმარო.

567 (560) ესე კაცნი გამეგზავნენს...

- ა. ეს ხალხი რომ გავგზავნე, გონებამ გამაშმაგა.
- ბ. განსაკუთრებით ის მდაგავდა, რომ მისი (ნესტანის) არაფერი ვიცოდი;
- გ. გარდავადეგ ზღუდეს, რომელიც მინდვრისკენ მქონდა აგებული;
- დ. საშინელი ამბავი გავიგე, თუმცა თავი ვერ მოვიკალი.

568 (561) გამოჩნდეს ორნი ქვეითნი...

წინ არე — წინ.

ჰყვა — ჰყავდა.

უცანცა — კიდევაც ვიცანი.

მოღმა — აქეთკენ, ჩემკენ. მიღმა — იქითკენ, გაღმა.

ვინ არე — რიჟმისთვისაა: ვინ არი.

რე — აქ ცოტათი, მცირედ.

ა. იამოჩნდა ორი ქვეითი, მე წინ მივეგებე;

ბ. ერთ მონას ქალი მოჰყავდა, გავიგე კიდევაც ვინ იყო ჩემკენ მომავალი;

გ. თავგაგლეჯილი ასმათი, რომელსაც პირს სისხლი ჩამოსდიოდა.

დ. ღიმილით არ დამიძახა, არც გამიცინა.

სრულიადი უღიმილობა და უცინარობა გადმოცემულია ანაფორული ალიტერაციით:

აღარ მიყივლა ღიმილით, არცაღა გამიცინა-რე.

569 (562) იგი ვნახე, დავებნივე...

ა. იგი [ასმათი] დავინახე, დავიბენ, გონებანი გამიშმაგდა;

ბ. შორიდან დავუძახე: რა ამბავია ჩვენს თავზე, ცეცხლმა რატომ დავეწვა.

გ. ძლივ სიტყვანი გამოაგნა — სიტყვა ძლივს ამოიღო, ენა ძლივს დაძრა.

მან საბრალოდ შემომტირა, სიტყვა ძლივს ამოიღო.

დ. და მითხრა; რომ ღმერთმა საშინელი რისხვა თავს დაგვატენა.

...ღმერთმან სიმგრგვლეცისა ჩვენთვის რისხვით წამოგრაგნა — ცა მრგვალია, მას სიმრგვლე ახსნათებს, გრაგნილიც დარგვალეზული რამ არის, ასე რომ სიტყვათა თამაში გამოდის: ღმერთმა სიმგრვლეცისა მრგვალად დაგვაშხო თავს, ე. ი. საშინელი უბედურება, რისხვა თავს დაგვატენა.

570 (563) ახლოს მივე, კვლაცა ვჰკითხე...

- ა. ახლოს მიველ, ისევ ვჰკითხებ, რა მოხდა, რა ამბავია, მართალი თქვი.
- ბ. ამით — ამის გამო.
- იგი ისევ ატირდა, ისევ მოედვა მას ალი.
- გ. დიდხანს სიტყვა ვერ თქვა, რაც ჰქირი იყო, მისი მეათელიც კი!
- დ. ლოყებიდან ჩამოდენილი სისხლი მკერდს წითლად უღებავდა.

571 (564) მერმე მითხრა: „მოგახსენებ...“

- ა. რად მცა და გიმალე — რად დაგიმალაო.
- მერმე მითხრა: მოგახსენებ, რატომ უნდა დაგიმალაო!
- ბ. გაგახარნე — გაგახარო.
- მაგრამ, როგორც მე გაგახარებ, შენც იმგვარადვე შემიწყალე, შენც იმგვარადვე მომეპყარ:
- აქ დაპირისპირებაა, ამასთანავე უარყოფითი მოვლენა დადებითი კონსტრუქციითაა გადმოცემული. მოვლენის უარყოფითობა მომდევნო სტრიქონებშია გადმოცემული სინონიმური თქმით.
- გ. ნუ შაცოცხლებ, ნუ დამარჩენ, შემიხვეწე, შემიბრალე,
- დ. მომავორე ამ ქვეყანას ღვთის გულისათვის.

572 (565) მიაშბო: „ოდეს სასიძო...“

- ა. ოდეს — როდესაც.
- მიაშბო, როდესაც შენ სასიძო მოჰკალ და ხმა დაგიფარდა.
- ბ. მართ მისგან გასატკივარდა — მართლაც მისგან გამტკივ-
ნეულდა, მეტად შეწუხდა.
- მეფემ გაიგო ეს და უზომოდ შეწუხდა,
- გ. შენ დაგიძახნა: მიხზეთო, დაიწყო ყვირილი;
- შენ დაგიზახნა — უადგილოა, უნდა: შენ დაგიზახნა. ხმა-მალა
გახმამყივარდა — მეტისმეტი ყვირილი ალიტერაციითაა გადმოცემული:
ხმა-მალა გახმამყივარდა.
- დ. მოგნახეს — გძებნეს.
- გამომჩივარდა — მომჩივრად გახდა, გაგულისდა.
- შენ გძებნეს, შინ ვერ გიპოვეს, ამის გამო მეფე გაგულისდა, მეტის-
მეტად გაჯავრდა.

573 (566) ჰკადრეს: „აქა აღარ არის...“

- ა. შოახსენეს: აქ არ არის, გარეთ ვაშულა.
- ბ. მეფე ბრძანებს: ვიცი, ვიცი, მეტად კარგად შემიგნია, კარგად გამი-
გნა,
- გ. მას უყვარდა ჩემი ქალი და (ამის გამო) სისხლი დაღვარეს.
- დ. ერთმანეთს ხშირად ნახულობდნენ ხოლმე, ერთმანეთის უნახავად ვერ
ძლებდნენ, ერთმანეთის უნახველობას ვერ სთმობდნენ.

574 (567) აწ, თავმან ჩემმან, მას მოვკლავ...

- ა. მ ა დ ე ს ა — ზ მ ნ ა ა, სახელისაგან და.
ჩემად და დ ვ ი ნ ც ა მ ა დ ე ს ა — ვინც ჩემ დად გამიხადეს.
ახლა ვფიცავ ჩემ თავს, მოვკლავ ჩემ დას,
- ბ. მე ვუთხარი, ღვთის წესების მიხედვით გაზარდე-მეთქი, მას კი რა ეშ-
მაკის ბაღეში დაუბამს;
- გ. მაგ ბოზსა და კუროს რა მისცეს და რას დაპირდნენ ამისთანას?
- დ. თუ დავარჩინო, ღმერთი ვგმო, მის ტანჯვა-წვალებად ეს მაქვს მზად.

575 (567) მის მეფისა წესი იყო...

- ა. ასეთი იყო მეფის წესი: თავს ძვირად, იშვიათად დაიფიცებდა ხოლმე.
 - ბ. მაგრამ თუ დაიფიცებდა, არასოდეს არ გატეხდა, იმწამსვე დაამტკიცებ-
და, სისრულეში მოიყვანდა ხოლმე:
 - გ. მეფის ეს წყრომა ვისაც ესმა და ვინც გაიგო, მან უამბო დავარს.
 - დ. რომელიც გრძნებით ცააძე კი მისწვდებო.
- ვ ი ნ გ რ ძ ნ ე ბ ი თ ა ც ა ც ა ი ც ი ს — ვინც გრძნებით ცაც კი ცად
გაიხადა, სამყოფად გაიხადა.

576 (569) დავარს, დასა მეფისასა...

- ა. მეფის დას, დავარს, შეატყობინა ვილაცა ღვთის მტერმა,
 - ბ. რომ შენმა ძმამ დაიფიცა და ასე იცოდე, არ გადავარჩენსო.
 - გ. დავარსა თქვა: სახიერმა ღმერთმა იცის, მე უბრალო ვარ.
 - დ. ვისგან [ვისი ხელით] მოკვდე, ვისი გულისათვის მოკვდე [ნესტანი-
სათვის], იგი ვერ მოიხვედროს, ვერ შეიხვედროს მან [ტარიელმა].
- ი ც ი ს ღ მ ე რ თ მ ა ნ ს ა ხ ი ე რ მ ა ნ — შდრ. არავინ არ სახიერ, გარნა
მხოლოდ ღმერთი (მ. 19,17; ლ. 18,19).

577 (570) პატრონი ჩემი აგრევე...

- ა. ჩემი პატრონი [ნესტანი] ისევე იყო, როგორც შენი წამოსვლისას;
- ბ. შენეული რიდე ებურა, ტურფად ჰშვენოდა.
- გ. დავარი ისეთ სიტყვებს ამბობდა, რომელიც მე არასოდეს არ მსმენია:
- დ. ბოზო, შე ბოზო, რად მომკალ? ვფიქრობ შენც არ დავარჩება მაგ
სამხარულოდ.

578 (571) როსკიპო, ბოზო დიაცო...

- რო ს კ ი პ ო, ბ ო ზ ო — სინონიმებია.
- ა. რო ს კ ი პ ო, ბ ო ზ ო დ ი ა ც ო. ს ა ქ მ რ ო რ ა დ მ ო ა კ კ ლ ე -
ვ ი ნ ე,
- ბ. ან მისი დაღვრილი სისხლისთვის ჩემით რატომ უნდა ვზლო?
- გ. ტყუილუბრალოდ არ მომკლავს ჩემი ძმა, რა გიპაივი ასეთი, რა გიქენი.
- დ. ახლა, ასე იცოდე, ვერ შეხვდე, ვერ მისწვდე, ვერ შეუერთდე. მას,
ვისაც ეს საქმე შენ ჩააშლევინე (ტარიელს).

579 (572) სელი მიჰყო, წამოზიდნა...

- ა. ხელი მოჰკიდა, წამოზიდა, გრძელი თმები დაუშალა,
- ბ. მეტისმეტი ცემით დაალურჯა, სასტიკად განრისხდა.
და ა ა ლ უ რ ჯ ა , და ა ა ლ ე ბ ა — სინონიმებია,
- გ. მან (ნესტანმა) პასუხი ვერ გასცა, მხოლოდ მწარედ ამოიოხრა.
ო დ ე ნ ს უ ლ თ ქ ნ ა , ო დ ე ნ უ შ ნ ა — სინონიმური წყვილია.
- დ. შავმა ქალმა (მოახლემ) ვერ უშველა, წყლული ვერ დაუშუშა.

580 (573) რა დავარ გაძლა ცემითა...

- ა. როდესაც დავარი გაძლა ცემით და ნესტანის გალურჯებით,
- ბ. მაშინ ორი მონა-ქაჯი წამოდგა,
- გ. მოიტანეს კიღობანი და დიდი ხვეწნა არ დაუწყიათ,
- დ. შიგ ჩასვეს, როგორც ჩნდა, დაატყვევეს.

581 (...) მან უთხრა: „წადით. დაკარგეთ...“

582 (574) ზღვათაჲ გავლნეს სარკმელნი...

- ა. ზღვისკენ გავლეს სარკმელი და მაშინვე გაუჩინარდა, მაშინვე გაქრა.
- ბ. დავარმა თქვა: ამის ჩამდენი, როგორ შეიძლება ვინმემ არ დამქო-
ლოს;
- გ. ვიდრე მომკლავდეს, მე თვითონ მოვკვდები, ისე გაჰირდა სიცოცხლე;
- დ. დაიცა დანა, მოკვდა, სისხლად დაედინა:
დავარის სიკვდილი და დამიწება ალიტერაციითაა გადმოცემული:
„ღვარ თქვა: „მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ, ღა!
ვირე მომკლვიდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა“.
ღანა ღაიცა, მო-ცა-კვდა, ღაეცა, გასისხლმდინარდა“.

583 (575) რად არ მიკვირვებ ცოცხალსა...

- ა. რატომ არ მიკვირს, რომ მე ცოცხალი ვარ და ლახვარდაუსობელი!
ცოცხალსა, ლახვარ-დაუსობელსა — სინონიმებია.
- ბ. ახლა, ის მიყავ. რაც ეკუთვნის, რაც შეეფერება ამის მახარობელს!
- გ. დამხსენ სიცოცხლე — მომამორე სიცოცხლე.
გაფიცებ [ყველაფერს] მომამორე სიცოცხლე მე, სიცოცხლის დაუთ-
მობელს.
სულთად გამა-დაუსობელსა — სიცოცხლის მწყურვალს.
- დ. საწყალი, საბრალოდ, საცოდავად ცრემლს ღვრიდა უკლებს, დაუშ-
რობელს.

584 (576) მე ვუთხარ: „დაო რად მოგკლა...“

- ა. მე ვუთხარი, რატომ უნდა მოგკლა ჩემო დაო, შენი რა ბრალია?
- ბ. რა უნდა ექნა იმის ნაცვლად, რაც მას [ნესტანს] ჩემზე ვალი აქვს და-
დებულნი?

გ. ამიერიდან მის საქმენლად გადავდებ თავს, არ დავერიდები არც კლდეს, არც წყალს.

დ. ესა ვთქვი და სრულად გავქვეავდი, გული 'სალ კლდესავით გადამქექა.

585 (577) მეტმან ზარმან გამაშმაგა...

ა. ცხრო და თრთოლა — სინონიმებია.

ცხრო — ციებაა და ციებისაგან ატეხილი კანკალი, თრთოლა.

მეტმა შიშმა გადამრია, დამაწყებინა კანკალი;

ბ. მაგრამ გული მოვიმაგრე: ნუ მოკვდები, ცუდად, ტყუილუბრალოდ წოლა არ გარგია,

გ. გიჯობს გაიჭრე მის საქმენლად.

გამალებული, დაუცხრომელი სურვილი და გადაწყვეტილება ნესტანის საქმენლად გასვლისა, სამი ზმნითაა გადმოცემული: გაქრა, გავარდნა და რბოლა.

დ. აბა, დაღვა დრო, ვისაც შეგიძლიათ, წამომყევით.

588 (580) რომე დაეყავ წელიწადი...

დ. ღმერთსა ვერას ვჰკადრებ, რაცა სწადღეს, აგრე ვყოცა — შდრ. „ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ! (ლ. 22,42). შდრ. აგრეთვე: ლ. 11,2.

589 (581) ზღვა-ზღვა ცურვა მომეწყინა...

ა. ზღვა-ზღვა ცურვა მომეწყინდა, ამიტომ გამოველ ზღვის პირს,

ბ. მგული სრულად გამიმხეცდა, არავის არ ვუხმენდი;

გ. ვინც ჰირს, უბედურებას გადაურჩა, ისინი ყველანი დამეფანტნენ,

დ. მაგრამ კაცს ღმერთი არ გაწირავს, მისგან ასრე განაწირსა.

590 (582) ერთაი ესე ასმათი...

591 (583) ღამით მევლო, მოვდიოდნი...

მევლო — II თურმეობითია.

ვეახლენით — წყვეტილია, ახლა: ვეახლეთ.

ცალ-კერძ — ცალ-მხარეს.

ნაღნი — ნაღი, ნაპრალი კლდეში, მღვიმე.

მიამის — ხოლმეობითია.

ა. ღამით ვიარე, მოვდიოდნი, ზღვის პირს მიჰყვებოდა ბაღები;

ბ. ქალაქს ჰგავდა. შევედით, ცალმხარეს კლდეში მღვიმე იყო;

გ. არ მეამებოდა ადამიანის ნახვა, რადგან გულს დარდი მიდაღავდა;

დ. იქ გადაეხტი მოსასვენებლად, სადაც მრავალი ხე იყო, ლალად გამლილი.

592 (584) ხეთა ძირსა მივიძინე...

ა. ხის ძირს მივიძინე, ჩემმა მსლებლებმა ჰამეს პური;

ბ. მ უ რ ი — ქვარტლი. გადატ. დარდი, მწუხარება.

შემდეგ დამწუხრებული ავდეგ, გულს მილამებდა დარდი — პარალელიზ-
მია, ორივე ნახევარში ერთი და იგივე ფაქტია გადმოცემული სხვადასხვა მხატ-
ვრული სახით.

გ. მისი (ნესტანის) დიდხანს ვერაფერი გამეგო: ვერც ქორი და ვერც
ნამდვილი,

დ. მარად ვტიროდი, ჩემს თვალთაგან მონადენი ცრემლი მიდამოთ ასვე-
ლებდა.

593 (585) ზახილი მესმა, შევხედენ...

ზ ა ხ ი ლ ი — ყიყინა, ზმაური, ყვირილი.

შ ე ვ ხ ე დ ე ნ — ნ ობიექტის მრავლობითობისაა, ამ შემთხვევაში იგულის-
ხმება თ ვ ა ლ ნ ი.

შ ე მ ო ი რ ბ ე ვ დ ა — ხ ლმეობითია. ახალი ფორმითაა მოცემული, ნაც-
ვლად შ ე მ ო ი რ ბ ე ვ დ ი ს ფორმისა.

ა. ყვირილი გავიგონე, გავიხედე, მოყმე ყიოდა,

ბ. ზიმორბოდა ზღვის პირს, მას თურმე კრილობა აწუხებდა;

გ. ხრმალი დასვრილი ჰქონდა, სისხლი ჩამოსდიოდა,

დ. მტერს ემუქრებოდა, წყრებოდა, ივინებოდა, ჩიოდა.

ზ რ მ ლ ი ს ა ნ ა ტ ე ხ ი დ ა ს ვ რ ი ლ ი ა ქ ვ ს, ს ი ს ხ ლ ი ჩ ა მ ო ს -
დ ი ო დ ა — ა ქ ვ ს სინტაქსურად ეკუთვნის ლექსის I ნახევარს, ხოლო
მეტრულად — II ნახევარს: ზ რ მ ლ ი ს ა ნ ა ტ ე ხ ი დ ა ს ვ რ ი ლ ი ა ქ ვ ს
— ამგვარი წყობით ლოგიკური მახვილი გადმოადგილდა დასვრილ
სიტყვაზე, რასაც ლექსის II ნახევარი ადასტურებს — ს ი ს ხ ლ ი ჩ ა მ ო ს -
დ ი ო დ ა.

594 (586) ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა...

ა. ზედ იჯდა შავ ტაიჭზე, რომელიც ახლა მე მყავს,

ბ. როგორც ქარი ისე მოქროდა, გამწყრალი, გაფიცებული;

გ. მივაწიე მონა: მინდოდა მასთან შეხვედრა;

დ. შევუთვალე: მითხარი, ვინაა შენ, ლომს რომ გაწყენინებს.

გ ა წ ყ ე ნ ს — გაწყენინებს.

595 (587) მას მონასა არა უთხრა...

ჩავეგებე, ჩავუწარა, ჩავე წინა — ანაფორული ალიტერაციითაა გადმოცე-
მული ასწრაფებული დაღმა დაშვება.

შ ე მ ო მ ხ ე დ ე ნ ა — იგულისხმება თვალნი, ამიტომაც ნ ობიექტის სიმრავ-
ლის მაჩვენებელია.

ა. მონას არაფერი უთხრა, არც მისი ცაიგონა რამ;

ბ. სასწრაფოდ შევკექე ცხენზე, ჩავუწარა, თავს დავეუარე.

გ. ვუთხარი დადეგ, მომისმინე, მეც მსურს ვიციდე შენი საქმე.
დ. შემომხედა, მოვეწონე, სიარულს უკლო, გაანელა.

596 (588) გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა...

გამიცადა — შემომხედა, თვალი თვალში გამიყარა. გაცდა, განცდა — შეხედლა.

ხენი ვით ხენ — ხენ II პ. ნამყო. ხე სახელისაგან ნაწარმოები — ხელ გახადე, ხელ გაზარდე.

შენ ასეთნი ხენი ვით ხენ — ღმერთო, შენ ასეთი ხე როგორ გააჩინე.

აქამდისცა რომე ვით ხენ — აქამდის რომ თხებად იყვენენ, აქამდის რომ თხებად მყავდა მიჩნეული.

ვით ხენ — თხად გაეხადე, ნ — ობიექტის მრავლობითობისა.

გარ ვერ ვით ხენ — უკეთ — გარ ვერ ვართ ხენ — გარს ვერ შემოვირტყი, რთხმა — რტყმა. თხმა — რითმისთვისაა.

ა. შემომხედა და იკითხა: ღმერთო, ეს რა, როგორი ხე გაგიზრდია!

ბ. მერმე მითხრა: ახლა მოგახსენებ წელანდელ კიანჯაზე პასუხს:

გ. ის მტრები, რომლებიც აქამდე თხებად მყავდა წარმოდგენილი, ახლა გამილომდნენ,

დ. იარალი, საქურველი არ მქონდა შემორტყმული და უიარალოს მიღალატეს.

597 (589) მე ვუთხარ: „დადეგ. დაწყნარდი...“

დადეგ, დაწყნარდი — სინონიმებია.

არ შეუღრკების — არ შეუშინდება.

ა. მე ვუთხარ, დადეგ, დაწყნარდი, ხის ძირს გადავხდეთ;

ბ. კარგი ჰაბუკი (მამაცი) მახვილთა კვეთას არ შეუშინდება.

გ. თან წამომყვა, წავედით უფრო უტკბესი ვით მამა და შვილი.

დ. მე გამაკვირვა ამ ყმის ნაზმა ჰკრეტამ.

598 (590) ერთი მონა დასტაქარი...

დასტაქარი — ქირურგი.

მყვა — მყავდა.

ამოუხვნა — ამოუღო, როცა ობ. მრავლობითშია (პირნი), მაშინ ღებ ძირი ხვ ძირით იცვლება.

დამირიგდა — მოემზადა, რიგზე დადგა.

თავი მისი გაამჩივნა — თავი თვისი მოჩივრად გახადა, ჩივილი დაიწყო.

ა. ერთი მონა ქირურგი მყავდა და მან ჰკრილობა შეუხვია;

ბ. ისრის პირი ამოუღო, ჰკრილობა არ ატყინა.

გ. მერმე ვჰკითხე: ვინ ხარ და ვისგან მოგეცა ვნება?

დ. საამბობლად მოემზადა, გვერდს დამისვა, მოჰყვა ჩივილს.

599 (591) პირველ მითხრა: „არა ვიცი...“

- ა. პირველად მითხრა: არ ვიცი, რა ხარ, ან რას გამსგავსო?
 - ბ. პირველად რომ სავსე იყავი, ახლა რამ დაგლია?
 - გ. რატომმა მოყვითაანოდ ის, სადაც ლოყა და წვერ-ულვაშია მოთავსებული, ე. ი. პირისახე?
 - დ. ღმერთმან მისგან ანთებული სანთელი ახლა რატომ დაგავსო, რატომ დაგაქრო?
- სტროფი საგულისხმოა რ ლ ასობით გაწყობილი ალიტერაციით.

600 (592) მულანზანზარის ქალაქი...

- ა-ბ. მე ვარ ნურადინ— ფრიდონი მეფე მულანზანზარ ქალაქისა,
- გ. სად ახლა შენ ხარ გადმომხდარი.
- დ. პატარაა, მავრამ ყოველმხრივ სიკეთე-მიუწვდომელია.

601 (593). მამის ძმა და მამაჩემი...

- ა. როდესაც ბიძაჩემი და მამაჩემი ჩემმა პაპამ (ბაბუამ) გაპყო,
- ბ. ზღვაში რომ კუნძულია, ის ჩემ წილად თქვეს,
- გ. [მაგრამ] ბიძაჩემმა, რომლის შვილებმა ახლა მე დამკოდეს, თავად ირ-გო;
- დ. სანადიროდ მათკენ დარჩა, მე არ ვაძლევდი, ისინი შედაცებოდნენ.

602 (594) დღეს გამოვე ნადირობას...

- ა. დღეს გამოველ სანადიროდ, ზღვის პირს ვინადირე,
 - ბ. ქორის საშუალებით ვნადირობდი, ამიტომ მრეკელნი არ წამოვიყვანე.
 - გ. ჯარსაც ვუთხარი, მომიცადეთ, სანამ მე დაებრუნდებოდე.
 - დ. მხოლოდ ხუთი ბაზიერი წავიყვანე თან.
- ბ ა ზ ი ე რ ი — ქორ-მიმინოს მწრთვნელი.
ნადირობის შესახებ იხ. 367 სტრ. განმარტ.

603 (595) ნავითა გავე. ზღვისაგან...

- ა მ ო კ რ ე ფ ა — რაღმე ჩაგდება, მიჩნევა.
არ ა მ ო ვ ჰ კ რ ე ფ დ ი — არაფრად ვაგდებდი, არაფრად მივიჩნევიდი.
ს ი მ რ ა ვ ლ ე მე მ ა თ ი არ გ ა მ ვ ი დ ო დ ა — მათ სიმრავლეს მე ვერ აუვედი.
- .. ვ ი ზ ა ხ დ ი, ხ მ ა ჩ ე მ ი ა რ უ დ ი დ ო დ ა — პოეტს უნდა თქვას: ხმა ჩემი დიდად იყო. ეს აზრი ისე უნდა გამოთქვას, რომ ი დ ო დ ა რ ი თ-მა არ დაირღვეს. როგორ გადაწყვიტა პოეტმა საკითხი? დ ი დ ა დ-ის უარყოფითი ფორმა მოგვცა — უ დ ი დ ო დ. მოგვცა უარყოფის უარყოფა — უ დ ი დ ო დ ა.
- ა. ნავით გაველ ზღვის შტოზე,

- ბ. არაფრად არ ვაგდებდი ჩემს გამყოფთ, ჩემს მონაწილეთ, ვამბობდი. ჩემია და როგორ უნდა დავერიდო.
- გ. დამიძაბუნეს, მე მათ სიმრავლეს ვერ აუვედი,
- დ. ვნადირობდი და ვიძახდი, მეტისმეტად ხმამაღლა.

605 (597) მათი მესმა, დავინახე...

- ა. მათი მესმა, დავინახე ზახილი და ხრმალთა ელვა — სიტყვები გადასმულია. უნდა: მათი მესმა ზახილი და დავინახე ხრმალთა ელვა.
- მათი მესმა ყვირილი და დავინახე ხრმლების ელვა, პრიალი.
- ბ. მენავეთ ვსთხოვე ნავი და ერთხელ დავიძახე „ვაა“.
- გ. შეველ ზღვაში, მრავალი მეომარი მომეგება,
- დ. ეწადდათ, მაგრამ ველარ მოახერხეს ჩემი წაქეღვა.

606 (598) კვლა სხვანი დიდნი ლაშქარნი...

- არ მომწურვო დეს წინანი — წინიდან მყოფნი ვერ მოგვახლოვებოდნენ, ვერ მეწეოდნენ — შდრ. სტრ. 215, 322, 326.
- ზურგით მესროლეს მეოღეს — ზურგის მესროდნენ.
- ა. კიდევ სხვა დიდი ლაშქარი უკან მომწეოდა.
- ბ. აქედან და იქიდან მომძახდნენ. ერთის მხრივ ვერ მომერივნენ,
- გ. წინიდან ვერ მომიახლოვდნენ, მხოლოდ ზურგიდან მესროდნენ,
- დ. მივენდვე ჩემ ხმალს, გამიტყდა, ისარიც დამელია...

607 (599) მომეჯარნეს, ველარა ექმენ...

- მომეჯარნეს — მომიახლოვდნენ, ირგვლივ ჯარად შემომერთყენ.
- გავაცბუნე — გავაკვირვე, გავაოცე (საწყ. გაცბუნება).
- ვერ შემოძვიდის — ვერ მეწეოდა ხოლმე.
- ა. შემომერთყენ, ვერ გაუძულე, ნაეიდან ცხენი გადავახტუნე,
- ბ. ზღვა-ზღვა ცურვით გამოვექეცი, ჩემი მჭკრეტნი გავაკვირვე;
- გ. ყველა თანამყოლი დამიხოცეს, იქვე დარჩნენ,
- დ. ხოლო ვინც მე მღევდა, ვერ მეწეოდა, მივბრუნდებოდი და იმწამსვე მივაბრუნებდი.

608 (600) აწ იგი იქმნას, რაცალა...

- დილსა — რითმისთვისაა, დილსა უნდა იყოს.
- ვაქნევ — ვაქმნევიანებ.
- სადილი — წვეულება.
- ა. ახლა ის იქმნას, რაც ღმერთს სწადიან;
- ბ. ვფიქრობ ჩემი სისხლი არ შერჩებათ თუ ძალი შემწევეს ქადილისა,
- გ. ოხრად გავუხზი არსებობას (ყოფას), მოვუსპობ მათ საღამოსა და დღესს, ე. ი. სიცოცხლეს,
- დ. მოვუხზობ ყვავ-ყორანთ და მათ ვაქმნევიანებ, გავმართავ წვეულებას.

შე მი კ ვ ე თ ა — მომხიბლა.

და ი ხ ო ც ნ ე ნ ი გ ი მ უ ნ და — სადაც ისინი დაიხოცნენ. უკანასკნელი და ზმნისწინია წინა ზმნისა, აზრის გასაძლიერებლად მოხმობილი.

მ ე ო მ ა რ ი — აქ მოწინააღმდეგე.

ა. ამ ყმამ მომხიბლა, გული მისკენ მიმიბრუნდა.

ბ. მოვახსენე, რომ სრულიადაც არაა საჭირო შენი აჩქარება,

გ. მე თან წამოგყვები იქ, სადაც შენი მხლებელნი დაიხოცნენ.

დ. ჩვენ ორსავე მოწინააღმდეგე არ შეიძლება რომ არ შეგვიძრწუნდეს.

610 (602) ესეცა ვუთხარ: „ამბავი...“

ა. ესეცა ვუთხარ: ჩემი ამბავი შენ არ გაგეგონება,

ბ. ცოტა უფრო წყნარად ვიამბობ, თუ ჩვენ დრო გვექნება.

გ. მან მიპასუხა: საჩემო ლხინი მაგას როგორ შეეფარდება!

დ. დღეიდან სიკვდილამდე ჩემი სიცოცხლე შენ დაგემონება.

611 (603) მივედით მისსა ქალაქსა...

ც ო ტ ა — პატარა.

ი ს ხ მ ი დ ე ს მ ი ს თ ვ ი ს ო ტ ა ს ა — თავს ნაცარს იყრიდნენ.

ს ა ლ ტ ე - კ ო ტ ა, ს ა ლ ტ ე — რკინის რგოლია ქარქაშზე შემოკრული.

ა. მივედით მის პატარა, მაგრამ კოხტა ქალაქს;

ბ. გამოეგებნენ ჭარისკაცები და თავს ნაცარ-ტუტას იყრიდნენ (მწუხარების ნიშნად),

გ. პირს იხოვდნენ და ნახოკს ყრიდნენ, როგორც ნაფოტს,

დ. ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ მის სალტე-კოტას.

612 (604) კვლა მოვეწონე, ვეტურფე...

ი დ ა რ ი — იდარე, რითმისთვისაა — იდარი.

ზ ა რ ქ ა შ ი — ოქროზიდული, ზ ა რ - ქ ა შ — იგივეა, რაც ოქრო-განაზი-დარი.

ა. ისევ და ისევ მოვეწონე და ვეტურფე მე მისი მეგობარი;

ბ. შემასხამდნენ ხოლმე ქებას, მზეო, შენ ჩვენთვის იდარე!

გ. მივედით, ვნახეთ მისი ქალაქი ტურფა და მდიდარი,

დ. ყველას ტანზე ემოსა ოქროქსოვილი განზიდული.

614 (606) მათი მესმა დაპირება...

და პ ი რ ე ბ ა — განზრახვა.

ჩ ა ბ ა ლ ა ხ ი — სპილენძის ჩაფხუტი თავის დასაცავად ბრძოლის დროს.

ა მ ო დ — აქ: ტყუილუბრალოდ, უნაყოფოდ.

ა. მათი გავიგე განზრახვა, ჩაბალახთა ჩამობურცვა;

ბ. წინ ნავი მომაგება, არ ვიცი, რვა თუ იქნებოდა.

გ. სწრაფად შევეჯახე, მათ დაიწყეს ამოდ ცურვა:
დ. ვეარ ქუსლი და ნავი გადავაბრუნე, მათ დაიწყეს დიატური ყვირილი:
ვაი, ვაი, ვაი.

615 (607) კვლა სხვასა მივე, მოვჭკიდე...

ნ ა ვ ი ს ბ ა გ ე — ნავის პირი.
დ ა ვ ა ნ თ ქ ი — დაუხეთქე, დავანარცხე.
ო მ ი მ ც ა რ ა ლ ა ა გ ე ს ა — ომს როგორ შეძლებდნენ.
ს ა ქ უ ლ ბ ა გ ე — აქ: სადგომი.
ა. კიდევ სხვა ნავს მივმართე, მოვკიდე ხელი ნავის კიდეს,
ბ. ზღვას დავანარცხე, ხალხი დავხოცე, აბა, ომს როგორ გაბედავდნენ!
გ. სხვები გამეჭენენ, მიჰმართეს თავთავის სადგომს,
დ. ვინც მე მიჭვრეტდა, ყველას უკვირდა, მაქებდნენ, არ მაძაგებდნენ.
ვ ი ნ ც ა მ ი ჭ ვ რ ე ტ დ ე ს, უ კ ვ ი რ დ ე ს, მ ა ქ ე ბ დ ე ს, ა რ მ ა -
ძ ა გ ე ს ა — პირველი სამი ზმნა ნამყო უწყვეტელშია. ბუნებრივია, მეოთხეც
უწყვეტელში უნდა იყოს.
არ მაძაგებდეს — რითმისათვის, აგრეთვე მარცვალთა სიმეტე რომ
დაეძლია, პოეტმა ზმნა ნამყო წყვეტილში დასვა: არ მაძაგესა.

616 (608) ზღვა გავიარეთ, გავედით...

ა. ზღვა გავიარეთ, გავედით შემოგვიტიეს ცხენებით.
ბ. ისევ შევებით ერთმანეთს, მარცხი ხან აქით, ხან იქით იყო.
გ. აქ მომეწონა მე ფრიდონის სიქველე, სიფიცხე:
დ. იგი ალვის ხე და პირად მზე, იბრძოდა როგორც ლომი.

617 (609) თვით ორნივე ბიძა-ძენი...

ბ ი ძ ა - ძ ე ნ ი — ბიძაშვილები.
მ ა თ ნ ი — მისნი.
მ ი ს ნ ი — თვისნი.
ა. თვით, ორივე თავისი ბიძაშვილი, ხმლით ცხენებიდან ჩამოყარა,
ბ. ხელები დაეკვეთათ, ამგვარად ისინი საპყრებად გახადა,
გ. ორივე ზურგზე შეისვა და მხარდაკრულები წამოიყვანა,
დ. მათი ყმანი აატირა, ხოლო თავისი — გაამხიარულა, ამაყარა.

618 (610) მათნი ლაშქარნი გაგვექცეს...

ა. მათი ლაშქარი გაგვექცა, ვეცით და კიდევაც გავფანტეთ.
ბ. ფიცხლად, სასწრაფოდ წავართვით ქალაქი, თავი არ გავვიზანტებია.
გ. წვივები ქვით დავუღოწეთ, ჩვენ იგი ნატად ვაქციეთ, ტყავივით მოვ-
ქენით.
დ. იმდენი ქონება, სიმდიდრე წამოვიღეთ, რომ იმას ვერ დაღვედით ვერც
აკიდებით, ვერც ტენით, ჩატენით.

619 (611) ფრიდონ ნახნა საჭურჭლენი...

- ა. ფრიდონმა ნახა საჭურჭლე და თავისი ბეჭედი დასვა, დაადო.
ბეჭედნი მისნი დასხნა — ობ. — ბეჭედნი მრავლობითშია.
ამიტომ: დასხნა გვაქვს.
ბ. ორივე ბიძაშვილი შეპყრობილი წამოიყვანა.
გ. შათ მაგიერ ველზე სისხლი მათი მოასხა, მოღვარა;
დ. ჩემ შესახებ კი ამბობდნენ: მაღლი ღმერთს, რომელმაც ასეთი ალვის
ხე გაზარდა.

620 (612) მივედით, მოქალაქეთა...

- ზარი — აქ: ყიჟინი, ხმაურობა.
ზმი დიან — (საწყ. ზმა) შერებოდნენ, იზამდნენ.
აჯაბთა მქმნელნი — მეთვალთმაქცენი, საკვირველებათ ჩამდენნი.
ა. მოვედით, ისმოდა მოქალაქეთა ზარი, ხმაურობა და ყიჟინი,
ბ. მეთვალთმაქცენი მქვერტელთა გულს იპყრობდნენ;
გ. მე და ნურადინ ფრიდონს ყველანი გვაქებდნენ,
დ. გვეუბნებოდნენ: მკლავთა თქვენთაგან ჭერ კიდევ მათი სისხლი იღვ-
რება!

621 (613) ლაშქარნი ფრიდონს მეფედ და...

- სეფე — ბატონი, უფალი, მეფე.
... ვერ მპოვეს ვეროდეს ვარდის მკრეფობით — ვარ-
დის მკრეფელი არ ვიყავ, ვარდს არ ვკრეფდი, ე. ი. არ ვიყავ მხიარული. მა-
შასადამე: დაღრეჯით ვიყავ.
ლექსის ორივე ნაწევარში ერთი და იგივე აზრია გამოთქმული — დაღ-
რეჯით ვიყავ, ე. ი. არ ვიყავი მხიარული.
ა. ლაშქარი ფრიდონს მეფეს, ხოლო მე, მეფეთ მეფეს გვიწოდებდა,
ბ. თავის თავს მოწებად თვლიდნენ, ხოლო ჩემს მხლებლებს სეფედ, ბა-
ტონად;
გ. მოწყენით ვიყავ, არ მხიარული,
დ. ჩემი ამბავი ვერა გაეგოთ, რადგან არც მითქვამს, არც გამიცხადებია.

622 (614) დღესა ერთსა მე და ფრიდონ...

- ა. ერთ დღეს მე და ფრიდონ სანადიროდ გამოვედით,
ბ. ზღვაზე წაწურვილ, წაშვერილ ქედზე გადავედით;
გ. ფრიდონმა მითხრა: გეტყვი რასმე. ერთხელ, აქ ცხენზე ვიჯექი,
ფრიდონ მითხრა: „გითხრობ რასმე, ვთამაშობდით, ცხენსა ვსხედით“ —
უჩვეულო წყობაა, რაც რიტმითაა გამოწვეული. ცხენსა ვსხედეთ —
რითმის გამოა. უნდა იყოს ცხენს ვიჯექით.
დ. საკვირველი რალაცა დავინახე.

623 (615) მე ვაკითხედი, ფრიდონ მეტყვის...

მე ვაკითხედი — ახალი ქართულით მე ვაკითხავდი.

ფრიდონ მეტყვის — ფრიდონ მეტყვოდა.

ა. მე ვეკითხებოდი და ფრიდონი მეტყვოდა ამისთანა ამბავს.

ბ. ერთ დღეს მოვიწადინე ნაღობა და შევკეპი ამ ჩემს ცხენზე.

გ.

დ.

624 (616) ზოგჯერ ზღვისკე მივიხედნი...

მივიხედნი — ხოლმეობითა, მივიხედავდი ხოლმე.

ა. ზოგჯერ ზღვისკენ მივიხედავდი ხოლმე, წამდგარი ამ გორაზე;

ბ. ზღვაში ცოტა რამე დავინახე, თუმცა ძალიან შორს კი იყო.

გ. ავრე სწრაფად სირბილი არ შეუძლია არაფერს მის თანაბარს,

დ. ვერაფრით ვერ ვიტანი.

625 (617) ვთქვი: რა არის, რას ვამსგავსო...

თვალი ამაღ დავაცეცი — თვალი ამიტომ დავაცეცი, დავაშტერდი.

ცა მე შევიღე მასცა ვეცი — იხ. განმ. 281 სტრ.

ა. ვთქვი: რა არის, რას ვამსგავსო, ფრინველია თუ მხეცი?

ბ. ნავი იყო, გარეშემო ეფარა მრავალკეცი სამოსელი;

გ. წინ კაცები ეზიდებოდნენ, თვალი ამიტომ დავაცეცი,

დ. მთვარე უჯდათ კიღობანში, ცა მეშვიღე მას მივეცი (მივსეცი).

626 (618) ამოძერეს ორნი მონანი...

ა. ამოძერა ორი მონა, ისეთი შავი, როგორც ფისი.

ბ. გადმოსვეს ქალი, დავინახე მისი თმის მსხვილი ნაწნავეები.

გ. მისგან რომ ელვა, ბრწყინვალეობა გამოჰკრთოდა, არ ვიცი არაფერს დავამგვანო!

დ. მან გაანათლა, გააბრწყინა მთელი ქვეყანა. მზის შუქი, მასთან შედარებით, არაფერი არ იყოს.

627 (619) სიხარულმან ამაჩქარა...

არ ეხეწა — ხეწა. ხეწა, ხოკვა, ფხეკა (მღრ. ხაწი).

რომე თოვლსა არ ეხეწა — რომელიც თოვლს არ ეხეწა, რომელიც თოვლს არ დაეხეწა, არ დაესერა.

ა. სიხარულმა ამაჩქარა, ამათრთოლა და კიდევაც დამლეწა,

ბ. ის ვარდი შემოყვარდა, რომელიც თოვლს, სუსხს არ ეხეწა;

გ. განვიზრახე შეტევა, ვიფიქრე, მოდი, მათკენ წავალ-მეთქი,

დ. როგორ შეიძლება ჩემს შავს ცხენს რომელიმე სულიერი გაექცეს, გადაეხეწოს.

628 (620) ცხენი გავქუსლე, იქმოდის...

მზის ტიალი — მზის დასავალი.

- ა. ცხენი გავქუსლე შამბს გრიალი გაქონდა,
- ბ. ველარ მივუსწარ, გამასწრეს, მიუხედავად იმისა, რომ ცხენს მაგრად ვცემდი დეზებს;
- გ. ზღვის პირს მივედი, გავიხედე, ჩანდნენ მხოლოდ მზის წვერზე,
- დ. ამრიგად გამშორდნენ, წამივიდნენ. ამის გამო ალმა დამწვა, დამდავა.

629 (621) ესე მესმა ფრიდონისგან...

- ა. ეს რომ გავიგონე ფრიდონისაგან, ცეცხლი მწველი მომემატა,
- ბ. ცხენიდან ვალავიკერ და დავუწყე ჩემს თავს გმობა და კიცხვა,
- გ. ლაწვები დავიკაწრე და მრავალი სისხლი ვიღინე.
- დ. ფრიდონს ვუთხარი: მომკალი, თუ ჩემს გარდა ვისმე ენახოს ის ხე [ნესტანი]!

630 (622) ესე ჩემგან გაუკვირდა...

- ა. გაუკვირდა, ეუცხოვა — სინონიმებია.
- შემეპოვა — მოწიწებით შემეხვეწა.
- ა. ჩემი ნათქვამი ფრიდონს მეტად გაუკვირდა და ეუცხოვა,
- ბ. მაგრამ ამასთანავე მეტად შევებრალე და ტირილით მომეფერა;
- გ. როგორც შვილი დამაწყენარა, მეტად მემუდარა,
- დ. და თვალთაგან, როგორც მარგალიტი ცხელი ცრემლი გადმოყარა.

631 (623) ვაგლახ ნუო, რა მიაძბე...

- ნურა ვაგვა — ნუ ინალელი.
- ა. ვაიმე, შევცდი, რატომ ვიაძბე ასე სულელურად და გიყურად მე შემეცთარმა!
- ბ. ვუპასუხე: ნუ ინალელი მაგის გამო,
- გ. ის მთვარე ჩემია და მიტომაც მედება ცეცხლი მწველი;
- დ. ახლა ვიაძბობ [ჩემს ამბავს], რადგან შენ გინდა ჩემი ამხანაგობა.

632 (624) ფრიდონს ვუთხარ ყველაკაი...

- ვაბასრული — შერცხვენილი.
- საჯდომი და ტახტი — სინონიმებია.
- ა. ფრიდონს ვუამბე ჩემი თავგადასავალი;
- ბ. მან მითხრა: რას ვიფიქრებდი მე შემცდარი და შერცხვენილი!
- გ. შენ, მაღალი ინდოთ მეფე ჩემთან ხარ მოსული,
- დ. სახელმწიფო საჯდომი, ტახტი და სასახლე გეკუთვნის სარული.

633 (625) კვლაცა მითხრა: „ვისცა ღმერთი...“

...ვისცა ღმერთი საროს მორჩსა ტანად უხებს — ღმერთი რომ ახალგაზრდა კვიპაროზს ახეირებს, ხედ გაზრდის.

გადატ. — რომელ ადამიანსაც ღმერთი ახერხებს, წყალობას მისცემს.

ა. ისევ მითხრა: ღმერთი რომ ახალგაზრდა საროს გაზრდის,

ბ. იგი მას ლახვარს, უბედურებას მოაშორებს; თუმცა პირველად გულს შეახებს (ლახვარს),

გ. იგი წყალობას მოგვცემს, ზეცით მოგვიქუხებს,

დ. ქირს ლხინად შეგვიცვლის, არასოდეს არ შეგვაწუხებს.

ვეფხისტყაოსნის ჩვეულებრივი მოტივია გადმოცემული: ქირი და ლხინი თანაარსია, უერთურთოდ წარმოუდგენელია, საბოლოოდ ქირი ლხინად შეიცვლება.

634 (626) წამოვედით ნატირებნი...

ა. წამოვედით ნატირები და სასახლეში დავსხედით მარტოდმარტონი;

ბ. ფრიდონს ვუთხარი: ჩემი შემწე, დამხმარე, შენს გარდა სხვა არავინ არის,

გ. ისე როგორც ღმერთმა შენი მსგავსი სხვა არავინ მოავლინა ამ სოფლად,

დ. რადგან შენ მიცანი, რადგან შენ გაიგე ჩემი, სხვა მეტი არაფერი მინდა.

635 (627) არ ავი გესვა მოყვარე...

ა. ცული არა გყავს მოყვარე, თუ დრო შემხვდება დროულად,

ბ. ენა და გონება მომახმარე ამის გამოსარჩევად:

გ. რა მოვაგვარო, რა იქნება ზაუკეთესო მისთვის და ჩემთვის?

დ. თუ ვერ გარგებ, ასე იცოდე, ერთ წამსაც ვერ დავყოფ, ვერ დავრჩები, მოგვცდები.

636 (628) მან მითხრა: „ბედი ღმრთისაგან...“

ა. მან მიპასუხა: ღმერთი ამის უკეთეს ბედს რას მაღირსებდა:

ბ. შენ ინდოეთის მეფე მოსულხარ ჩემდა წყალობად,

გ. მეც რად უნდა ვიყო ამისთვის რაიმე წყალობის მნდომელი,

დ. მე ვარ თქვენ წინაშე მონა მონებად, თქვენდა სამსახურად მდგომელი.

637 (629) ესე ქალაქი გზა არის...

ა. ეს ქალაქი გზა არის, სადაც ნავი ყოველი მხრიდან მოდის,

ბ. სადაც მრავალი უცხო ამბავი იყრის ხოლმე თავს;

გ. აქ გავიგებთ იმ ამბავს, შენ რომ ალით დაუწვავხარ.

დ. ნუთუ ღმერთი არ იზამს, რომ შენ შენი ქირი და ვალი არ მოიხადო, არ მოისტუმრო.

638 (630) ჩვენ გავგზავნეთ მენავენი...

ყოლა ქირი არ ეგების, თუმცა ლხინმან არ დასძლია — ყოვლად, სრულებით შეუძლებელია ქირი, რომ საბოლოოდ ლხინმა არ დასძლიოს.

- ა. ჩვენ გავგზავნოთ მენავენი, რომელთაც კიდევაც უვლიათ,
- ბ. მოგვინახონ ის მთვარე, რომლის ძებნისათვის ჰირი არ გვაკლია;
- გ. მანამდის გაიჭირვე, გონებამ არ დაგლიოს.
- დ. რადგან ყოვლად შეუძლებელია ჰირი, რომ საბოლოოდ ლხინმა არ დასძლიოს.

639 (631) კაცნი იხმნა მასვე წამსა...

- ა. იმ წამსვე კაცები იხმო და ეს საქმე დააქისრა:
- ბ. წადით ნაგებით, მთელი ზღვა მოიცურვეთ,
- გ. მონახეთ, საყვარელი საყვარელსა მოასურვეთ,
- დ. ძებნისას არავითარ ჰირს არ დაერიდოთ.

640 (632) აჩინნა კაცნი, სადაცა...

- ა. აჩინნა კაცნი — გავგზავნა კაცნი.
- ბ. მოლოდნა მიჩნდა სალხინოდ, პატიჟნი მო-რე-მლხენოდეს — იმეიათი პარალელიზმია. მოლოდნა — იგივე ტანჯვა, იგივე პატიჟია. მასასადამე, I ნახევარი იქნება: პატიჟნი მიჩნდა სალხინოდ, რასაც II ნახევარი აღასტურებს: პატიჟნი მო-რე-მლხინობდეს.

ტარიელი აღნიშნავს, რომ პატიჟი, ტანჯვა ჩემთვის ლხენააო, რომ:

- დ. უმისოდ ლხინი მინახავს, ამა დღისათვის მრცხვენოდეს — ე. ი. უნესტანოდ ბევრჯერ მილხენია და დღეს ამის გამო მრცხვენიაო.

641 (633) ფრიდონ საჯდომნი დამიდგანა...

საჯდომი — ტახტი.

ვერ მივჭხვდი გასაგონოსა — ვერ მივწვდი, ვერ გავიგე მისახვედრი, გასაგონი, ვასაგები.

- ა. ფრიდონმა დამიდგა ტახტი სამეფო აღგილას,
- ბ. და მითხრა: აქამდის შემცდარი ვიყავი, რადგან ვერ გავიგე, რაც იმთავითვე უნდა გამეგო:
- გ. შენ ინდოთა დიდი მეფე ხარ, როგორ შეიძლება ვინმემ თავი მოგაწონოს!
- დ. როგორ შეიძლება გაჩნდეს კაცი, რომელმაც თავი არ დაგამონოს?!

642 (634) რას ვაგრძელებდე! მოვიდეს...

- ა. მოკლედ: მოვიდნენ ყოველი მხრიდან ამბის მომტანნი,
- ბ. ფაცულდებულნი და ამაოდ დამშვრალნი;
- გ. ვერაფერი ვერ გაეგოთ და

დ. ამიტომაც უფრო და უფრო მდიოდა თვალთავან ცრემლი შეუშრობელი.

ც უ დ ი — ფაქტუდებული, ამოდ, ფუქად დამაშვრალი. ეს აზრი რომ უფრო დამაჯერებლად გადმოგვეცეს, სტრიქონის მეორე ნახევარში კვლავ გაძლიერებულიადაა ნათქვამი: „...ც უ დ თ ა ა დ გ ი ლ თ ა თ ა ე ი ს ა დ ა მ ა შ რ ო ბ ე ლ ნ ი“. ხოლო მესამე სტრიქონში ეს გარემოება ანაფორული ალიტერაციითაა ხაზგასმული:

„ვერა ვერ უცნა, ვერ იყენეს ვერას ამბისა მბობელნი“.

643 (635) მე ფრიდონს ვუთხარ: „ესე დღე...“

- ა. მე ფრიდონს ვუთხარ, რომ ეს დღე მე საშინლად, საზარლად მიმაჩნია,
- ბ. ღმერთია ამის მოწამე, ხოლო სათქმელად მეძნელება;
- გ. უშენოდ ღამე და დღეც ღამედ მიმაჩნია,
- დ. მოვშორებულვარ ყოველგვარ ღზინს და ამიტომაც გული ჭირს დაუბამს, დაუტყვევებია.

644 (636) მაშა მე მისსა ამბავსა...

- ა. რადგან მე მის (ნესტანის) ამბავს არავეითარს არ მოველი,
 - ბ. ველარ გავჩერდები. გამიშვი, ვითხოვ საამისოდ ბრძანებას!
 - გ. გაიგონა თუ არა ეს ფრიდონმა, ატირდა
 - დ. და მითხრა: ეჰ, ძმაო, ამიერიდან ფუქია და ცუდი ყოველგვარი ჩემი ღზინიო.
- ველარ ვეჭმნები — ველარ გავჩერდები, ველარ დაედგები.
დღესითგან — დღეიდან, ამიერიდან.

645 (637) თუცა დია მოიჭირვეს..

- ა. თუმცა ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ ვერ დამაკავეს;
- ბ. მისი სბა მუხლ-მოყრილი წამოვიდა ჩემკენ,
- გ. მეხვეოდნენ, მაკოცებდნენ, ატირდნენ და ამატირეს;
- დ. ნუ წახვალო, მეუბნებოდნენ, მთელი სიცოცხლე დაგემონებითო.

646 (638) ეგრე ვუთხარ: „თქვენი გაყრა...“

- ა. ეგრე ვუთხარ: თქვენი გამორება მეც დიდად მეძნელება,
- ბ. მაგრამ უმისოდ ვერავეითარ ღზინს ვერ ავიტან;
- გ. ჩემს ნესტანს ვერ გავწირავ, თქვენც მეტად გებრალებათ.
- დ. ნუ მიშლით, სულერთია, არ დავდგები, არც შეიძლება ვინემ დამიშალოს წასვლა.

648 (640) ფრიდონ გამოყვა, წავედით...

- ა. ფრიდონ გამოყვა, წავედით, ორივემ ცრემლი ვღვარეთ,
- ბ. იქ ერთმანეთს ვაკოცეთ, ყვირილით, შეძახებით გავშორდით ერთმანეთს,
- გ. მთელი ლაშქარი მტიროდა მართლა გულით და არა ენით.
- დ. ჩვენ ჩვენი თავი დავადარეთ გაზრდილ-გამზრდელთა გაყრას.

649 (641) ფრიდონისით წამოსრულმან...

- ა. ფრიდონისაგან წამოსული წავედი საძებნელად და იმდენი ვიარე,
- ბ. რომ აღარ დამრჩენია არც ხმელეთი და არც ზღვა,
- გ. მაგრამ მის მნახავს კაცს ვერსად ვერ შევეყარე,
- დ. გული სრულად გამიშმაგდა, თავი მხეცთა დავადარე

650 (642) ვთქვი თუ: „ჩემგან აღარა ხამს...“

- შვიდი, თუ რვა — ლექსისთვისაა, ნიშნავს: ორიოდ.
- ა. ვთქვი, ვიფიქრე, რომ ამიერიდან აღარა ხამს ჩემგან ტყუილა-უბრალოდ სიარული და სერვა,
 - ბ. იქნება, ეგებოს მხეცებთან სიახლოვემ უკუმყაროს გულის დარდი, გულის ნღველი!
 - გ. მონებს და ასმათს ვუთხარო ორიოდ სიტყვა:
 - დ. ცხადია, დამირჯიხართ, გამიწვალე ბიხართ, ამიტომაც, კიდევაც გმართებთ ჩემდამი სამღურავი.

651 (643) აწ წადით და მე დამაგდეთ...

- ეტრენით — (საწყ. ტერება), ეუფლენით.
- ნუ მოასმენ — ნუ მოასმენინებ.
- ა. აწ წადით, მე დამტოვეთ, მოუარეთ თქვენს თავს,
 - ბ. ამიერიდან ნუღარ უჭვრეტთ ჩემ თვალთაგან მონადენ ცხელ ცრემლს.
 - გ. მაგრამ ამათ, მოისმინეს თუ არა ჩემი სიტყვები,
 - დ. მითხრეს: რასა ბრძანებთ, არ გაგვაგონოთ მეორედ მაგისტანა რამე.

652 (644) უშენოსა ნუცა ვნახავთ...

- უშენოსა ნუცა ვნახავთ, ნუ პატრონსა, ნუ უფალსა — უარყოფითი კატეგორიულობა გამოხატულია სამჯერ განმეორებული ანაფორული ალიტერაციით: ნუ, რასაც აძლიერებს სინონიმური პარალელიზმი: პატრონსა, უფალსა.
- ნატერფალი — ნაკვალევი.
- მოლაფლებს — (საწყ. მოლაფლება) მოაღუნებს, ხალისს დაუქარგავს.
- დაფალი — დუნე, უხალისო. არ დაფალი — მტკიცე, ურყევი, ცოცხალ მეტყველებებში ახლა დაფალს შეესატყვისება — დაღბათი — სუსტი, დუნე.
- ა. შენ გარდა არც ვნახოთ ჩვენ სხვა პატრონი, სხვა უფალი,

- ბ. იქნება ღმერთმა არ გაგვეყაროს, არ მოგვაშოროს თქვენი ცხენის ნაკვალევს, კვალდაკვალ გვატაროს თქვენთან,
- გ. რომ თქვენ, მშვენიერს, ტურფა საჭვრეტელს მარად გიჭვრეტდეთ.
- დ. მაგრამ აგრეა თურმე: ბელი ხანდახან მოადუნებს მაგარ, მტკიცე კაცსაც.

653 (645) ველარ გავგზავნენ, სიტყვანი...

ს ი ტ ყ ვ ა ნ ი მ ე ს მ ნ ე ს — მესმა სიტყვა, გავიგონე, დავიჯერე სიტყვა, ნაუბარი.

მ ა გ რ ა დ ა ვ ყ ა რ ე ნ ა რ ე ნ ი მ ე კ ა ც რ ი ე ლ თ ა თ ე მ თ ა ნ ი — მაგრამ დავტოვე მე კაცთა დასახლებული ადგილები.

- ა. ველარ გავუშვი მონები, რადგან გავიგონე მათი სიტყვა,
- ბ. მაგრამ დავგადე, დავტოვე კაცთა დასახლებული ადგილები;
- გ. და სახლად მივიჩნიე თხათა და ირემთა ბინა.
- დ. გავიჭერ და სრულად მოვიარე ქვევით მიწდორი და ზევით მთა და ბარი.

654 (646) ესე ქვაბნი უკაცურნი...

უ კ ა ც უ რ ი — კაცთაგან დაუსახლებელი.

ყ ო ლ ა ვ ე რ ა ს მ ე ხ ა ფ ნ ე ს — სრულიად ვერა ვერ შემაშინეს, ვერ წინაღმიდგნენ.

ხ ა ფ ვ ა , ხ ა ფ ე ბ ა — შეშინება.

ჯ ა ჭ ვ ნ ი ა ვ ა დ მ ო ე ქ ა ფ ნ ე ს — ჯაჭვი, საქურველი ცუდად ჩაეცვათ, კარგად ვერ შეიარაღებულყვენ. ქ ა ფ ი — საქურველი, იარაღი.

ს ა წ უ თ რ ო მ ა ნ დ ა მ ა ღ რ ი ჯ ა , ც ქ ა ფ ნ ი მ ი ს ნ ი კ ვ ლ ა მ ე - ც ქ ა ფ ნ ე ს — სტრქიჩი ორად იყოფა. ორივე ნახევარში ერთი და იგივე აზრია გამოთქმული: საწუთრომ დამამწუხრა, მამსადამე, ცქაფი — აქ მწუხარებაა, სუსხია, რომელიც ზეცამ თავს დაატეხა ტარიელს. ც ქ ა ფ ი — მე ც ქ ა ფ ნ ე ს — პარანომაზიული თქმაა.

ა. ეს გამოქვაბული, კაცთაგან დაუსახლებელი, რომელიც დევებს შეეკაფათ, ვპოვე;

ბ. შევები და ამოვწყვიტე, წინააღმდეგობა სრულიად ვერ გამიწიეს,

გ. მონები კი დამიხოცეს, რადგან ცუდად შეიარაღებული იყვნენ;

დ. საწუთრომ დამამწუხრა, სუსხი მისი კვლავ მესუსხა.

655 (...) დევთა ყვირილი, ზახილი...

ლ ა ხ ტ ი — ლიონის წნული მათრახი.

ა. დევების საშინელი ყვირილი ზეცამდის ადიოდა;

ბ. მათა ლახტის ცემისაგან ქვეყანა ირყეოდა;

გ. ისეთი ბული აადინეს, რომ მზეს აბნელებდა და ალვის ხეს არჩევდა,

დ. ახლა კი მე უნდა წავიდე მასთან, ვისგანაც დამწვარი ვარ (თინათინთან).

ყ ვ ი რ ი ლ ი, ზ ა ხ ი ლ ი — სინონიმებია. აზრის გასაძლიერებლადაა მოხ-
მობილი. ამავე მიზანს ემსახურება — დ ა ვ ფ რ ი წ ე, დ ა ი ხ ე ო ლ ა.

აქ მოცემული დევთა მოტივი ხალხურია. ხალხურობის გარეშე ეს
მოტივი გაუგებარია. ბუნებრივია, რომ შოთამ ხალხისაგან აიღო იგი. აღსა-
ნიშნავია, რომ ამ მოტივის შემცველი სტროფიც ხალხური კილოთი, ხალხუ-
რი ზომითაა თქმული. ხალხური:

„დევების კარზე მივედით, სიმღერა გამოლიოდა,
არ დაგვკატიყეს, შევედით, ამირანს პური შიოლა“.

656 (647) აპა, ძმანო, მაშინდლითგან...

ა. აი, ძმანო, იმ დროიდან აქ ვარ და აქ ვკვდები;

ბ. გიყი მინდორს გავიჭრები ხოლმე, ზოგჯერ ვტირი და ზოგჯერ ბნე-
და მომდის ხოლმე,

გ. ეს ქალი (ასმათი) არ მტოვებს, მისთვისაც (ნესტანისთვის) ცეცხლმო-
კიდებული,

დ. ჩემი სიკვდილისთვის მეტს არაფერს ვცდილობ, მეტს არაფერს ვაკე-
თებ.

აქა ვარ და აქა ვკვდები — განმეორება ანაფორული ალიტე-
რაციით.

657 (648) რომე ვეფხი შეენიერი...

მ ო მ ი მ ა ხ ა ვ ს — (მომახვა) გაშილესავს.

ა. რადგან ვეფხი მშენიერი მის (ნესტანის) სახედ დამისახავს,

ბ. ამიტომ მიყვარს მისი ტყავი, ჩემთვის სამოსლად მომიწახავს, აპირ-
ჩევი:

გ. ეს ქალი (ასმათი) მიყვარავს, ხშირად სულთქვამს, ხშირად ოხრავს,

დ. რადგან თავი დღემდის არ მომიკლავს, ჩანს, ხრმალი მაქვს ცულად
მომახული.

658 (649) მისსა ვერ იტყვის ქებასა...

ბ რ ძ ე ნ თ ა ე ნ ე ბ ი — ბრძენთა ენა.

ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ა მ თ მ ე ნ ე ბ ი — სიცოცხლის მომთმენი.

მ თ მ ე ნ ე ბ ი და ე ნ ე ბ ი — გამოწვეული რითმით: მ ხ ს ე ნ ე ბ ი,
მ ქ ე ნ ე ბ ი.

ა. მის (ნესტანის) ქებას ვერავენ იტყვის, ყველა ბრძენი რომ ერთად შეპ-
კრიბა;

ბ. ვიგონებ მას დაკარგულს მე (ტანჯული) სიცოცხლის მომთმენი;

გ. მას აქეთ მხეცებთან ვარ, მხეცებრ თავისა მგონები;

დ. სხვას არაფერს ვითხოვ ღვთისაგან, ვარ სიკვდილს მთხოვნელი.

659 (650) პირსა იცა, გაიხეთქა...

...გ ა ი ხ ე თ ქ ა ლ ა წ ვ ი, ვ ა რ დ ი ა ი ხ ე წ ა — სინონიმური თქმაა,
პარალელობია, ლ ა წ ვ ი გ ა ი ხ ე თ ქ ა იგივეა, რაც ვ ა რ დ ი ა ი ხ ე წ ა,
ე. ი. ლოყები დაიკაწრა.

ბ რ ო ლ ი — აქ: პირისახე.

ე რ თ ს ა ხ ე — ერთი სახის, გამუდმებული, უწყვეტი. ცრემლთა უწყვეტელობა გაძლიერებულია ანაფორული ალიტერაციით: „... წასდის წამწამთაგან ერთ-სახე, წა“.

ა. სახეზე ხელები დაიშინა, ლოყები დაიკაწრა,

ბ. სახე გაყვითლდა და სრულიად დაიღწა;

გ. ავთანდილსაც ცრემლი წასკდა გამუდმებული, უწყვეტი,

დ. შემდეგ ასმათმა გააჩუმა, მუხლპოყრილი შეეხვეწა.

660 (651) ტარიელ უთხრა ავთანდილს...

ს ი ც ო ც ხ ლ ე — გ ა ა რ მ ე ბ უ ლ ი — სიცოცხლე გატუდებული.

ნ ა ხ ვ ი ს ა მ ო ყ ა მ ე ბ უ ლ ი — ვისაც ნახვის დრო დაგიდგათ, ნახვას მონატრებული.

ა. ასმათის მიერ გაჩუმებულმა ტარიელმა უთხრა ავთანდილს:

ბ. შენ ყველაფერი ვაამე, მე ვერაფრით ვერ ნასიამოვნებმა;

გ. გითხარი ჩემი აშბავი სიცოცხლე გამწარებულმა, სიცოცხლე გატუდებულმა,

დ. ახლა კი წადი და ნახე შენი მზე (თინათინი). ნახვის მონატრულმა, ნახვას მოსურვებულმა.

661 (652) ავთანდილ უთხრა: „მე შენი...“

ა. ავთანდილმა უთხრა: მე შენგან გაყრას ვერ მოვიტოვნ;

ბ. თუ გაგეყრები, ასე იცოდე, თვალთაგან ცრემლი დამედინება.

გ. მართალს გეტყვი და ნუ გეწყინება,

დ. ვისთვისაც შენ კვდები, შენი საქციელით მას არავითარი ღებნა არ ექნება.

662 (653) რა აქიმი დასწეულდეს...

ა. რა გინდ საქები ექიმი იყოს, თუ იგი დასწეულდება,

ბ. აუცილებლად მკურნალად, მაჯის შემტყობად სხვა ექიმი უნდა მოიხმოს;

გ. მას უამბოს, რაც სენი ჭირს,

დ. რადგან ჭხვისა სხვამან უკეთ იცის სსარგებლო საუბარი.

მ ა ჯ ა შ ი — მაჯა.

შ ე მ ტ ყ ვ ე ბ ა რ ე — შემტყობი, გამომცნობი.

663 (654) რაცა გითხრა, მომისმინე...

ა. რაც გითხრა, მომისმინე, ბრძენი გელაპარაკები და არა გიეი;

ბ. ასჯერ უნდა გაიგონო, არ გეყოფა, არა, ერთხელ გაგონება.

გ. შენსავით გულფიცხელი კაცი ვერაფერს კარგს ვერ მოიგვარებს.

დ. ახლა კი მე უნდა წავიდე მასთან, ვისგანაც დამწვარი ვარ (თინათინთან).

შე მიჩერო — (შეფერება), დამაჩერო, დამარწმუნო.

ღმერთი იღმერთო, ცაცა იცნო — ღმერთი ღმერთად გაიხადო, ცაკი ცად. პარანომაზიული თქმაა ფიცის გასაძლიერებლად მოხმობილი.

ამასვე ემსახურება: ერთმანერთი არ გავწიროთ, მაფიცო და შემომფიცო.

სტროფი გრამატიკულად დაკავშირებულია წინა სტროფთან, ამიტომ იგი იწყება კავშირებითი კილოთი: „უნდა წავიდე მასთან, რომ ვნახო, სიყვარული დავამტყიცო“ და სხვა.

ა. იგი რომ ვნახო და სიყვარული მისდამი დავამტყიცო;

ბ. მოვახსენო, რაც გავიგე, სხვა მეტი საქმე არ მაქვს, არ მიქს;

გ. შენ კი გეხვეწები, დამიჩერო, ღმერთი იღმერთო, ცაც იცო,

დ. რომ ერთმანეთი არ გავწიროთ გაფიცო და შემომფიცო.

665 (656) რომე აქათ არ წახვიდე...

აქათ — აქედან.

შემეპირო (შეპირება) ვნებითს II კავშირებითია: თუ შემპირდები. უკან დაბრუნების კატეგორიულობა გადმოცემულია ანაფორული ალიტერაციით: კვლა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო.

ა. რომ აქედან არ წახვიდე, შენ თუ ამას შემპირდები,

ბ. მეც ფიცით დაგარწმუნებ, რომ არასგზით არ გავწირავ,

გ. ისევ მოვალ შენს სანახავად, შენთვის რომ მოვკვდე, შენთვის ვიარო,

დ. ღმერთმა ჰქმნას, ვისთვისაც შენ ჰკვდები, მისთვის არ გატვირო.

666 (657) მან მიუგო, უცხოს უცხო...

უკუ მქარდი — (უკუქარვა, უკუ-ქარება) დამავიწყდი. რა გვარამცა უკუ მქარდი — როგორ უნდა დამავიწყდე.

მორჩი, განაზარდი — სინონიმებია. ალვა მორჩი, განაზარდი — ახალგაზრდა ალვა — ეპითეტია ავთანდილისა.

ა. მან (ტარიელმა) მიუგო: უცხოს (უცნობს) უცხო ასე როგორ შეგიყვარდი.

ბ. გასაყრელად გეძნელები (გაყრა ძნელებმა), როგორც იადონს ვარდი-საგან:

გ. როგორ უნდა დამავიწყდე, როგორ უნდა აღმოგიფხრა გულიდან!

დ. ღმერთმა ინებოს და ისევ ვნახო ალვა მორჩი, განაზარდი.

667 (658) პირი შენი ნახვად ჩემად...

პირი შენი — მოწიწებისაა, თავაზიანობისაა — შენ.

ტანი იხოს — ტანი ხედ გაიზარდოს, ცოცხალი იყოს.

არ იირმოს, არცა ითხოს — ირემივით, თხასავით არ გაიჭრას.

გიტყუო, მოგადლო — სინონიმებია.

მომქარვოს სევდა, მითხოს — მომქარვოს, მითხოს — სინონიმები: გამიქარვოს სევდა, გამითხელოს სევდა.

- ა. თუ შენ ცოცხალი იყო და ჩემ სანახავად მობრუნდე,
- ბ. მაშინ გული მინდორს არ გაიჭრება ირემივით, თხასავით,
- გ. თუ გიტყუო, მაშინ ღმერთმა რისხვით გამიკითხოს!
- დ. შენმა ჰვრეტა-სიახლემ გამიქარგოს, გამითხელოს სევდა.

668 (659) ამას ზედა შეიფიცნეს...

შეუყვარდა — ახლა: შეუყვარდათ.

დაგი — ცეცხლი.

- ა. ამაზე შეიფიცნენ გულწრფელი მოყვრები,
- ბ. რომელთა იაგუნდი ქარვის ფერი იყო, რომელნიც სიტყვაბრძენნი იყვნენ და ცნობა შმაგნი;
- გ. შეუყვარდათ ერთმანეთი, მათ გულს მარად ცეცხლი სწვავდა,
- დ. იმ ღამეს მშვენიერი ამხანაგები ერთად იყვნენ.

669 (660) ავთანდილცა მასვე თანა...

ტიროდა და ცრემლი ღვარა — ტიროდა უწყვეტელშია, ხოლო ღვარა — წყვეტილში: უნდა ყოფილიყო — ტიროდა და ცრემლსა ღვრიდა. ღვარა — რითმამ გამოიწვია.

ა. ავთანდილიც მასთან ერთად ტიროდა და ცრემლსა ღვრიდა.

ბ. რა გათენდა, აკოცა, გაეყარა და წამოვიდა.

რა გათენდა, წამოვიდა, აკოცა და გაეყარა — გაშორების მომენტების თანმიმდევრობა მოითხოვდა ასეთ წყობას: რა გათენდა, აკოცა, გაეყარა და წამოვიდა, მაგრამ ამგვარი წყობა რიტმს დაარღვევდა, ამიტომაც პოეტმა იგი შეცვალა პროზისათვის უჩვეულო წყობით.

670 (661) ავთანდილს ასმათ ჩამოჰყვა...

ა. ავთანდილს ასმათი ჩამოჰყვა და ფიციტ ეუბნებოდა;

ბ. მუხლთა უყრიდა, ტიროდა, თითით ეხვეწებოდა;

გ. ადრე მისვლას ევედრებოდა, თითქოს ია ჰკნებოდა;

დ. ავთანდილმა უბასუხა: ჩემო დაო, თუ არ თქვენ, სხვა ვინ უნდა მაგონდებოდესო.

671 (662) ადრე მოვალ, არ გაგწირავ...

არას დავზამ — არ დავეყოფ.

ოღენ სხვამან არ წავიდეს, ნუ სად არებს იმა ტანსა — პარალელიზმია.

არებს — არონინებს.

ა. ადრე მოვალ, არ გაგწირავ, არ დავეყოფ შინ დიდხანს,

ბ. მხოლოდ სხვაგან არ წავიდეს, ნურსად არონინებს თავის ტანს;

გ. დღეიდან თუ ორი თვე ვერ მოვედი, უმსაგვსო საქმეს ჩავიდენ,

დ. გაიგეთ, რომ ჩავგარდნილვარ რაღაცა დაუსრულებელ კირში.

672 (663) იგი მუნით წამოსრული...

გ ა ნ ა მ ხ ო კ ლ ა — მისი ფუძეა ხ ო კ ა — კაწრვა, ფხაჰნა, ხოკა. ის, ვინც იხოკს იქნება მხოველი (მხოკავი).

გ ა ნ ა მ ხ ო კ ლ ა — მხოველად გახადა, გადააქცია.

პირს იფხოჰნის, ლოყებს აზრობს, ზელი მხოველად გადააქცია.

გ ა ნ ა მ ლ ო კ ლ ა — მლოველად, მლოკავად გახადა.

ა. იგი (ავთანდილი) იქიდან დაბრუნებული სევდამ ნუთუ მოკლა!

ბ. პირს იხოკს, ლოყებს აზრობს, ზელი მისი მხოველია;

გ. მისგან დადენილმა სისხლმა ყოველი მხეცი მლოკავად გადააქცია,

დ. მისმა ჩქარა სიარულმა შარა გრძელი შეამოკლა.

673 (764) მუნ მოვიდა, სადა იგი...

ვ ი ს თ ვ ი ს ლ ხ ი ნ ი გ ა გ ვ ე მ წ ა რ ნ ე ს — ნამდვილად უნდა: ვ ი ს ა ც ლ ხ ი ნ ი გ ა გ ვ ე მ წ ა რ ა .

ა. იქ მოვიდა, სადაც თავისი ჯარი დაეტოვებინა.

ბ. დაინახეს, იცნეს, როგორც კმართებს, იმგვარადვე გაუხარდათ.

გ. შერმადინსაც ახარებდნენ, საჩქაროდ მისკენ წავიდნენ:

დ. მოვიდა ის, ვისთვისაც აქამდის ლხინი წამწარებული გვექონდა.

674 (765) გაეგება, მოეხვია...

ა. გაეგება, მოეხვია და ხელზე აკოცა,

ბ. სიხარულით დიდძალი ცრემლი ღვარა;

გ. თქვა: დიდება შენდა ღმერთო! ცხადია, თუ სიზმარი?

დ. მე არა ვარ ღირსი ჩემი თვალები შრათელს გხედავდნენ.

675 (666) ყმამან მდაბლად მოიკითხა...

ზ ა რ ს ა ს ც ე მ დ ე ს — მხიარულობდნენ.

ა. ყმამ (ავთანდილმა) მდაბლად მოიკითხა და პირზე აკოცა;

ბ. უბრძანა: ვმადლობ ღმერთს, რომ კარგად ხართ!

გ. დიდებულებმა თაყვანი სცეს, ღირსეულებმა აკოცეს,

დ. მხიარულობდნენ: ყველანი გახარებული იყვნენ — როგორც დიდნი, ისე მცირენი.

მისალმების ცერემონიალი სავსებით დაცულია: შერმადინმა თავდაპირველად ავთანდილს ხელზე აკოცა ნიშნად იმისა, რომ იგი უმცროსია ავთანდილისა. სამაგიეროდ ავთანდილმა ღირსად მიიჩნია და: ზ ე დ ა დ ა ს ვ ა პ ი რ ი პ ი რ ს ა ე . ი . პ ი რ ზ ე ა კ ო ც ა . დანარჩენი დიდებულები თაყვანსაცემდნენ, მაგრამ ღირსეულები კოცნიდნენ.

676 (667) მივიდეს, სადა სამყოფლად...

ა. მივიდნენ იქ, სადაც სადგომი სახლი იყო აგებული.

ბ. მის სანახავად მოვიდა მთელი ქალაქის კრებული.

გ. მაშინვე დაჯდა ნაღიმად მორკმული, ლაღი, შვებული,

დ. იმ დღის მხიარულებას სრულიად ვერ იტყვის (ვერ აწერს) ენა კლებუ-
ლი, არა სრული.

677 (668) შერმადინს უთხრა, უამბო...

ავთანდილს ცრემლი უყოფდა, უბნობდა თვალ-და-
ფახული — თვალდაფახული მხოლოდ მაშინ ლაპარაკობს ადამიანი, როცა
მას მრავლად ედინება ცრემლი, რომელიც წამწამებს ყოფს, უყოფს.

- ა. უამბო შერმადინს ყველაფერი ნახული,
- ბ. თუ როგორ პოვა ის ყმა (ტარიელი), მისგან მზედ დასახული.
- გ. ავთანდილი თვალცრემლიანი ამბობდა:
- დ. უმისოდ ჩემთვის ერთია — გინდა დარბაზი, გინდ ბულა.

678 (669) მუნ ამბავი შინაური...

შენი წასლეა არვინ იცის, რაცა მითხარ, აგრე
ვქმენა —

- ვქმენა — აქა უფუნქციოა, მხოლოდ რითმისთვისაა მოხმობილი.
ცისკრად — იგივეა, რაც — დღე რა მზემან განათენა.
ა. შინაური ამბავი ყველაფერი მოახსენა.
ბ. შენი წასვლა არავინ იცის, რაც მითხარი, ყველაფერი ეგრე ვქმენ!
გ. იმ დღეს იქიდან არ წასულა, ინადიმა, მოისვენა,
დ. ხოლო გათენებისას კი შეკდა ცხენს და გაემართა.

679 (670) არცაღა დაჯდა ნადიმად...

წავა — წავალს, მიღის.

ფიცხლად წავიდა, სავალი სამ დღე ვლო დღისა
ათისა — წასვლის სიფიცხე ღისწრაფე განმარტებულია სტრიქონის II ნა-
ხევარში.

- ა. არც ნადიმად დამჯდარა, არც თავისთვის დაუსვენია;
- ბ. მასარობლად შერმადინი წავიდა,
- გ. სწრაფად იარა, ათი დღის სავალი სამ დღეს გავლო.
- დ. ავთანდილს უხარია, რომ მზის მოცილეს (თინათინს) ნახავს.

680 (671) შესთვალა: „მეფე უკადრი...“

ხარმცა მორკმით და დიდობით — იყავ მორკმით და დი-
დებით. დიდობით — რითმისთვისაა.

შიშით, კრძალვით და რიდობით — პლეონასტური თქმაა: ში-
ში, კრძალვა და რიდი — სინონიმებია.

რიდობით — რითმისთვისაა, უნდა: რიდით.

ა. შესთვალა: მეფე უკადრი (ამაყი) იყავ მორკმით და დიდებით!

ბ. მოგახსენებ შიშით, კრძალვით და რიდით,

გ. ტარიელის საქმის ვერმცნობი ჩემ თავს ფლიდად, ფუქად ვთვლიდი,

დ. ახლა კი ყველაფერს გაცნობებთ, მოვალ ლხენით და მშვიდობით.

681 (672) როსტევან, მეფე უკადრი...

უკადრი, მორკმული, შეუპოველი — სინონიმებია.
სააჯო და სათხოველი — სინონიმებია.

ა. როსტევანი — მეფე უკადრი, მორკმული, შეუპოველი!

ბ. შერმადინმა ყველაფერი მოახსენა:

გ. ავთანდილი მოდის თქვენ წინაშე უცნობი ყმის მპოველი.

დ. მან ბრძანა: მივიღე ღვთისაგან, რაც სათხოველი, სახვეწელი მქონდაო.

682 (673) თინათინს ჰკადრა შერმადინ...

ნათელსა მას უდამოსა — ნათელს, დაულამებელს — ეპითეტია თინათინსა.

ამო — სასიამოვნო.

აკრთობს (კრთობა) — აქ: ფრქვევა.

უთამამოსა — რითმისთვისაა, უნდა: უთამამესსა.

თამამა — სრულს აღნიშნავს, უთამამესი — უსრულესი.

ა. შერმადინმა ჰკადრა თინათინს, ნათელს დაულამებელს:

ბ. ავთანდილ მოდის თქვენ წინაშე და მოგახსენებთ სასიამოვნო ამბავს.

გ. იგი (თინათინი) კი აფრქვევს ელვარებას, მზისაზე უსრულესს,

დ. შერმადინს საბოძეარი მისცა და მისი ყველანი დამოსა.

683 (674) მეფე შეჯდა, გაეგება...

ა. მეფე შეჯდა და გაეგება იქიდან მომავალ ყმას (ავთანდილს);

ბ. ამას პირ-მზე (თინათინი) ივალებდა, ვითა ვალსა.

გ. მეფე მიეგება, ისიც (ავთანდილი) მხიარული, გულმხურველი მოეგება მეფეს,

დ. დიდებულთა ჯარი გამხიარულდა, ზოგი კი მთვრალს დაემგვანა.

684 (675) რა მიეახლა, გარდახდა...

ნიშატი — მხიარულება, სიხარული.

მიმხვდარმან ნიშატი სიიეფესა — მიწვდომილმა მრავალ სიხარულს.

მეკრეფე — კრების მონაწილე.

დარბაზსა სეფესა — სამეფო დარბაზს.

ა. რა მიუახლოვდა ყმა, გადახტა ცხენიდან და მეფეს თაყვანი სცა;

ბ. მრავალ სიხარულს მიმწვდარმა როსტევანმა აკოცა ავთანდილს;

გ. გულ-მხიარულნი, შეებულნი მივლენ სამეფო დარბაზში;

დ. ავთანდილის მოსვლა უხარია, ყველას იქ შეკრებილთ.

685 (676) მას ავთანდილ თაყვანი-სცა...

ა. ლომთა ლომმა ავთანდილმა თაყვანისცა მზეთა მზეს (თინათინს).

ბ. ბროლი (კბილები) და ვარდ-გიშვარი (ლოყა, შავი წამწამი) გაეშვენებინა, გაელამაზებინა სინაზეს.

გ. მისი პირი (სახე) უფრო ნათელია, ვინემ ზესა-ზე სინათლე,
დ. სამყოფად სახლი არ მართებს, უქმარია, უმჯობესია ცა გაიხადონ დარ-
ბაზად.

686 (677) მას დღე დასხდეს ნადიმობად...

დ რ ა მ ა — წვრილი ვერცხლის ფულია, უთუოდ წვრილი, რადგან აქ ის
აზრი უნდა გამოიხატოს, რომ მარგალიტს, როგორც წვრილ ფულს, ისე არი-
გებდნენ.

- ა. ამ დღეს დასხდნენ სანადიმოდ, გაამრავლეს სმა და ქამა;
- ბ. მეფე ისე უქვრეტს ავთანდილს, როგორც ტკბილი მამა თავის საკუთარ
შვილს.
- გ. მათ ორთავეს შვენოდა, უხდებოდა ლოყების დაფიფქვა, დანამკა
- ე. ი. ნაზად ტიროდნენ.
- დ. უხვად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი დაარიგეს, როგორც წვრილი
ფული.

687 (678) სმა გარდახდა, თავის-თავის...

- ა. სმა გათავდა, მსმელნი დაიწაღნენ;
- ბ. დიდებულები არ გაუშვეს, ყმა (ავთანდილ) ახლოს, წინ დაისვეს;
- გ. მეფე ჰკითხავს, ავთანდილი უპასუხებს, რაც ჰკირი დაეთმინა,
- დ. უცნობი ყმის რა ენახა, რა გაეგონა.

688 (679) მას ვახსენებდე, ნუ გიკვირს...

- ა. მას რომ ვახსენებ, ნუ გიკვირს, რომ მარად „ახს“ ვიძახი,
 - ბ. მზე თუ შეიძლება იყოს მისი ან მისი სახის მსგავსი,
 - გ. ვინც უნახავად გახადა გონება ყოველი კაცის მნახვისა.
 - დ. ვარდი დამკნარი ეკალთა შორის იმყოფება, ახ, ისა.
 - ვ. ი. ნ ა ხ ა ვ ქ მ ნ ის — ვინც უნახავად ქმნა, გახადა.
- ამგვარი თქმა ხალხურია, დღესაც დაცულია საუბარში: „ისეთი ლამაზია,
რომ ბავშვის უნახავად გაგზდის“; ასე ამბობენ როდესაც უნდათ რომელიმე
ბავშვის უჩვეულო სილამაზე აღნიშნონ.

690 (681) ქვაბნი წაუხმან დევთათვის...

ქ ვ ა ბ ნ ი წ ა უ ხ მ ა ნ — ქვაბი წაურთმევია. წ ა უ ხ მ ა ნ — როდესაც ობ-
მრავლობითშია.

ს ტ ა ვ რ ა - ნ ა ხ ლ ე ბ ი — ძვირფასი ქსოვილები.

- ა. გამოქვაბულურ წაურთმევია დევებისათვის, სახლად დევების სახლი აქვს.
- ბ. თან ახლავს მისი სატრფოს მოახლე,
- გ. ვეფხის ტყავი აცვია, ცუდად მიაჩნია ძვირფასი ქსოვილები,
- დ. გაკიდევანებულია, ხალხს აღარ ნახულობს, სულ ახალ-ახალი ცეცხლი
წვავს.

691 (682) რა დაასრულა ამბავი...

. მეოთხე სალექსო სტრიქონს მე ასე ვკითხულობ:

ე გ ე კ მ ა ს ი მ ხ ე ს ი მ ხ ნ ი ს ა დ , რ ა დ გ ა ნ ხ ა რ მ ა მ ხ ე ე
ჭ ი რ ი ს ა — ე . ი . ეს სავსებით საკმარისია შენი სიმხნისათვის, რადგან შენ ხარ
დამამბობელი ჭირისა. აქ არავითარ მოხვეჭაზე არაა ლაპარაკი, არამედ: შენ
ავთანდილ, დიდი გმირობა გამოიჩინე, დავალებული საქმე შეასრულე და ჭი-
რი დაამხეო. გარდა ამისა, უნდა შევნიშნოთ, რომ შოთას შეიძლება ჰქონ-
დეს ტავტოლოგიური რითმები. მაგ., მე-19 სტროფში ორი იმიჯია, ქე-
ბა სიტყვიდანაა ნაწარმოები და არაა საჭირო მიქია — ხელოვნური ფორმის
შემოტანა.

692 (683) გამხიარულდა თინათინ...

- ა. ამ ამბის მოსმენით თინათინი გამხიარულდა;
- ბ. ავთანდილი იმ დღეს იხარებდა სმითა და ჭამით.
- გ. როდესაც საწოლს დაბრუნდა, მას თინათინის მონა დახვდა.
- დ. მისვლა ებრძანებინა, უნით არ ითქმის ისე ეამა.

693 (684) ყმა წავიდა მხიარული...

- ლ მ ო ბ ი ე რ ი , ა რ გ ა მ წ ყ რ ა ლ ი — ჰენდიადისია.
- მ ა ნ დ ო რ ს რ უ ლ ი — მინდორს ნასიარულევი.
- ხ ა ს ი ა თ ი — აქ: ხალსი, მშვენება.
- ს ო ფ ლ ი ს ა ხ ა ს ი ა თ ი — სოფლის, ქვეყნის მშვენება, ქვეყნის ხალისო
- ჯ ა ვ ა რ ი — ძვირფასი ქვა.
- ჯ ა ვ ა რ - ს რ უ ლ ი — სიკეთით სავსე.
- მ რ ა ვ ა ლ - წ ყ ა ლ ი — მრავალ-ბრწყინვალე.

ავთანდილისათვის თინათინის ხმობა მეტისმეტად სასიხარულოა, სასიამოვნოა. სტროფში ეს უჩვეულო ალიტერაციითა და სიტყვების სათანადო შერჩევითაა გადმოცემული.

694 (685) მზე უკადრი ტასტსა ზედა...

ა რ ნ ა დ ე ვ რ ი — არ დევნილი, არ ჩაგრული, ა რ ნ ა დ ე ვ რ ი , ო გ ი -
ვეა, რ ა ც მ ო რ კ მ უ ლ ი , მ ა მ ს ა დ ა მ ე , ა ქ ა ე რ თ ი ა ზ რ ი ო რ ი ს ა მ უ ა ლ ე ბ ი თ ა ა
გამოთქმული. ამათგან ერთი დადებითი კონსტრუქციითაა, მეორე — უარყოფითით.

მ ქ ე ვ რ ი — აქ: კოხტა შნონიანი; ა ღ ვ ა მ ქ ე ვ რ ი — კოხტა ალვა.
ბ რ ო ლ - ბ ა დ ა ხ შ ს ა ა შ ვ ე ნ ე ბ დ ა თ მ ა გ ი შ ე რ ი , წ ა რ ბ ი
ტვერი — ლოყა-კბილებს ამშვენებდა შავი თმა და ხშირი წარბები.

695 (686) ყმა მხიარული წინაშე...

ს ხ ე ნ ა ნ — სხედან.

უ ბ ნ ო ბ ე ნ ლ ა ღ ნ ი , წ ყ ლ ი ა ნ ნ ი , ა რ ა ს ი ტ ყ ვ ი თ ა მ ქ ი ს ი -
თ ა — ლექსი ორად იყოფა, ორსავე ნახევარში ერთი და იგივეა ნათქვამი.
სახელდობრ, მშვიდად, ლამაზად საუბრობდნენ.

ჰპოვეა — აკითხვითი ნაწილაკია. იხმარება ისეთ წინადადებაში, სადაც კითხვა საჭიროა, მაგრამ კითხვითი სიტყვა არ მოიპოვება — ჰპოვე, თუ არა.

- ა. ყმა მხიარული (ავთანდილი) დაისვა თავის სკამით წინ;
- ბ. სხედან საესე ლხინით, ორისავე შესაფერთ;
- გ. ლაპარაკობენ ლაღად, წყლიანად და არა მკვახე სიტყვით;
- დ. ჰკითხა: იპოვე თუ არა ის, ვისი ძებნით მრავალი ტანჯვა გამოიარე?

696 (687) ჰკადრა: „რა კაცსა სოფელმან...“

... ხე ტანი ალვისა, სოფლისა წყალთა რწყულისა — პირი მსგავსი ვარდისა, ... აწ ფერ-ნაკლულია — ტარიელის ატრიბუტება.

- ა. უბასუხა: როდესაც კაცს გულის წადილი აუსრულდება,
- ბ. მას აღაჰმართებდა გადასული ჰირის განხენება.
- გ. ფპოვე ტარიელი — ხე, ალვის ტანი, ქვეყნის წყალით მორწყული.
- დ. პირი მსგავსი ვარდისა, მაგრამ ახლა ფერ-ნამკრთალი ვარდისა.

697 (688) მუნ სარო, მსგავსი ვარდისა...

სარო — აქ: ტარიელი.

... ვნახე, მისკირდა მი-ნები — ვნახე, უჰირდა, უსუსტდებოდა ნება, ნებისყოფა.

... დავკარგე ბროლი და სადა პრთავს ბროლსა მინები — მინები მრავლობითშია რითმისთვის. უნდა: მინაც დავეკარგე, ბროლი და სადა რთავს ბროლსა მინა; ბროლი აქ თეთრი კბილები და სადა რთავს (უერთდება) ბროლსა მინა — ბაგე-ტუჩია.

- ა. იქ სარო მსგავსი ვარდისა (ტარიელი) ვნახე უჰირდა ნებისყოფა;
- ბ. ამბობს: დავკარგე ბროლი და სადა რთავს ბროლსა მინები (ნესტანი).
- გ. იმიტომ ვიწვი, რადგან ჩემსავით უშრეტი ცეცხლი სწავას.
- დ. შემდეგ ისევ უთხრა ამბავი მისგან (ტარიელისგან) გაგონილი.

699 (690) ნუ მკითხავ, ქება რა გკადრო...

... ვით მზისა ციაგსა, დაელონების — როგორც მზის ცხალს, ელვარებას დაუსუსტდება, ვერ გაუმაგრდება.

- ა. ნუ მკითხავ, ქება მისი როგორ მოგახსენო, ჩემგან როგორ გაგეგონება?
- ბ. მის მნახველს ნახული აღარ მოეწონება;
- გ. მქვრეტელთა თვალნი, როგორც მზის ციაგს, ისე მას ვერ გაუმაგრდება;
- დ. ვარდი შექმნილია ზაფრანად (ღაწეები მისი გაყვითლებულა), ახლა ის შეიძლება მისგან შეიკონოს.

700 (691) წერილად ჰკადრა რა იცოდა...

წავარნა და ქვაბი — სინონიმებია, გამოქვაბული.
სახლი და მენი — სინონიმებია.

ვა, სოფელმან სოფელს მყოფი ყოველი დასვა ცრემლთა დენად — ჩვეულებრივი მოტივია ვეფხისტყაოსნისა: სოფელი, წუთისოფელი უხანო, გაუტანელია.

ა. დაწვრილებით მოახსენა რა იცოდა, რა ნახა და რა მოისმინა:

ბ. როგორც ვეფხს ქვაბი აქვს საზლად,

გ. ქალი ახლავს სასურველი, სულის ჩამდგმელი და ქირთა მთმობი,

დ. ვაი, ასეთია სოფელი: სოფელში მყოფს ყველას ატირებს, ცრემლს აღენს.

701 (692) ქალსა რა ესმის ამბავი...

განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა — ნავანები — მთვარესავით გავსებული, განათებული. ასე რომ საბოლოოდ გამოდის: განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად განათებულისა. სინათლის სიძლიერე ტავტოლოგიურადაა გადმოცემული.

რავუთხრა პასუხი მისთა ნებისა თნებისა — რავუთხრა პასუხი მისი სურვილის სათნო, მოსაწონი რომ იქმნეს.

ა. რა ქალს ესმა ეს ამბავი, მას აუსრულდა წადილი ნებისა,

ბ. განათლდა პირი მთვარისა (თინათინისა) ნათლად გაბრწყინებულისა;

გ. ამბობს: რავუთხრა პასუხი, რომ მისი სათნო, მოსაწონი იქმნეს,

დ. რაა წამალი, რომ მისი წყლული განკურნოს.

702 (693) ყმა ეტყვის: „ვის აქვს მინდობა...“

მომცქავავი — მატყუარა, არა გულწრფელი.

დრო დამიც — დრო მიძევს, დრო მაქვს.

ა. ყმა ეტყვის: ვის აქვს მინდობა მატყუარა, უგულწრფელო კაცის?

ბ. მან ჩემთვის გადაწყვიტა არდასაწვავი თავის დაწვა,

გ. მეც დრო მომცა მისთვის, რომ მივიღე და დავლო მისთვის თავი,

დ. საამისოდ, ჩემი მზე შემიფიცავს, ჩემგან მზედ მისაჩნევს.

703 (694) ხამს მოყვარე მოყვრისათვის...

დ. აჰა, მაქვსმცა უმისობა ლხინი არმად, თავი ფლიდად — აჰა, მქონდეს უმისოდ ლხინი არმად, თავი ფლიდად.

შდრ. — „მით გცნათ სიყუარული მისი, რამეთუ მან სული თვისი ჩუენთვის დასდვა და ჩუენცა თანაგუამ ძმათათვის სულთა ჩვენთა დადებამ“ (იოან. 3,10).

„უფროაჲს ამისა სიყუარული არავის აქვს, რაჲთა სული თვისი დადვას მეგობართა თვსთათვს“ (იოან. 15,13).

704 (696) მზე ეტყვის: „მომხვდა ყოველი...“

დანერგულისა — სწორია, რათმის საჭიროებით არაა გამოყვეული, მავრამ ახლა ვიტყვი: დანერგოლისა.

ა. მზე (თინათინი) ეტყვის: ამისრულდა, ყოველი ჩემი წადილი გულისა:

ბ. ჭერ ერთი — შენ მოხველ მშვიდობით, დაკარგულის მპოვნელი,

გ. მეორეც, ჩემგან დანერგილი სიყვარული გაგიზრდია,
დ. მამასადამე, ეპოვე წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა!

705 (696) საწუთრო კაცსა ყოველსა...

ვითა ტაროსი უხდების — გამოცემებში წერია: „ვითა ტაროსი უხდების“.

ა. საწუთრო ყოველ კაცს, როგორც ტაროსი ასე უხდდება:

ბ. ზოგჯერ მზეა და ზოგჯერ ცა რისხვით მოქუხდება,

გ. მაშინ ჭირი იყო ჩემ თავზე, ახლა კი ლხინი უხვად მომეცლინა,

დ. რადგან ქვეყანას შვება აქვს, კაცი როგორ შეწუხდება?

სტროფი მეტად საგულისხმოა; აქ მოცემულია შოთას შეხედულება სი-
ცოცხლეზე და ქვეყნის განვითარებაზე: ამ ქვეყნად არ არსებობს ერთხელ
დადგენილი: ყველაფერი მოძრაობს, იცვლება. ეს ქვეყანა, მარად მდინი და
ცვალებადია.

სტროფი გადმოგვცემს თინათინის სოფლგაგებას. ყველაფერი მოძრაობს,
ყველაფერი იცვლება, ერთი მოვლენა მეორეს ცვლის. საწუთრო ზოგჯერ ძვი-
რია, ზოგჯერ უხვი.

განვითარების ამგვარი გაგება ვ.ტ-ის ყველა გმირის ძვალსა და რბილშია
გამჭდარი. ამით აიხსნება თვითეულის სიმტკიცე და შეუპოვრობა.

შდრ. „მწუხრსა განისვენის ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“

(ფს. 25,5, ფს. 125,4. ესაია 54,8).

706 (697) შენ არ გატეხა კარგი გჭირს...

ზენაარი — ფიცი.

ზენაარი, ფიცი — სინონიმური წყვილია.

მზე მიმეფაროს, მი-ცისა — მზე მიმეფაროს, მიმეფაროს ცი-
სა, — ე. ი. მოგვედღე.

ა. შენ კარგი თვისება გჭირს, რომ ფიცს არ სტეხ, ასრულებ.

ბ. მოყვრის მტკიცე სიყვარული საჭიროა რომ შეასრულო.

პარალელია ბიბლიის შემდეგი ადგილისა: „კაცმან, რომელმან აღუთქუას
აღუთქმა უფალსა, ანუ ფუცოს ფიცი, დროებით, ანუ დრო ყოს თავისა თესი-
სათვს; არა განატრუვოს სიტყუა თვისი, ყოველი, რაოდენი გამოჰქდეს პირისა
მისისაგან, ყოლს იგი“. (რიცხვ. 30,3).

707 (698) ყმამან ჰკადრა: „სიხსლითა...“

ა. ყმამ ჰკადრა: შენთან სიხსლოვით ჭირი გავიმრავლე.

ბ. უსარგებლოა დამზრალის გასათბობად წყალს რომ უბერავდე.

გ.

დ.

708 (699) ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა...

დამწვავს სამ ალი — დამწვავს სადმე ალი.

საგანი — აქ: მიზანი; სამიზნოა.

გული ძეს საგნად ისრისა — გული ძეს, გამზადებულია ისრის სამიზნედ.

სამალი — ისრის გასატყორცილი მოწყობილობაა.

გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი — გავიდა დრო ტანჯვით დასამალავი.

ა. ვაჟ თუ გავიჭრა, გაჭრილს [ვინ იცის] სად [უბედურს] სადმე დამწვავს ალი!

ბ. ჩემი გული ისრის სამიზნედაა გამზადებული; მესვრის მოსაკლავად სამალი;

გ. ჩემი სიცოცხლის დრო სამადაა გაყოფილი, გამესამედებულია;

დ. მსურს ფარვა, მაგრამ უკვე წავიდა დრო ტანჯვით სამალავი.

709 (700) მესმა თქვენი ნაუბარი...

ა. მესმა თქვენი ნაუბარი, გავიგონე, რაცა ბრძანე!

ბ. ვარდს ქაცვი მოაბოვებს, ცალკე ეკალს რად ვეფხანო, რად უნდა ვძებნო!

გ. მაგრამ მზეო, (თინათინ) ჩემთვის უენი თავი მზეს დააგვანე,

დ. და სიცოცხლის რამე ნიშანი თან გამატანე.

710 (701) ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული...

ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული — ყმა ტკბილი და ტკბილად მოლაპარაკე. ქართული აქ სიტყვას ნიშნავს.

ა. ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთის ხელისმყოფელი,

ბ. მზეს (თინათინს) ისე ეუბნება, როგორც გაზრდილს გამზრდელი;

გ. ქალმა მისცა მარგალიტი, აუსრულა სურვილი,

დ. ღმერთმა ქმნას, რომ მას დღევანდელი ღხინიც აუსრულდეს.

711 (702) რა სჯობს, რა კაცმან გიშერი...

თანა ახიოს — თან შეეხოს.

მორწყოს, ახიოს — მორწყოს, ხედ აქციოს (ე. ი. გაზარდოს).

ახიოს ეყოს — როდესაც ახი მოუვა, როდესაც ოხვრას დაიწყებს.

ა. რა სჯობს, რომ კაცმა გიშერი (შავი უღვამები) ბროლ-ლალს (ლალისფერ ბაგეებს) შეახოს,

ბ. ან ალვა (თინათინი) საროს (ავთანდილს) ახლოს რგოს, მორწყოს, ხედ აქციოს,

გ. მათი მკვრეტელი გაახაროს, ვერ მკვრეტი შეაწუხოს;

დ. [მაგრამ] ვაი გაყრილ (გამორებულ) მოყვარეს, როდესაც მას ახი და უბედურება ეწვევა.

712 (703) მათ მიჰხვდა ღხინი ყოველი...

ა. მათ შეხვდათ ყოველგვარი ღხინი ერთმანეთის კვრეტით;

ბ. ყმა (ავთანდილი) წამოვიდა გაყრილი (გამორებული), მიდის დარეტიანებული გულით.

გ. მზე (თინათინი) ტირის სისხლით ცრემლით, ზღვაზე უფრო მეტია.
დ. და ამბობს: ვერ გაძლა ქვეყანა ჩემი სისხლის სმითა.

713 (704) ყმა წავიდა სევდიანი...

ა მ ა დ ი ლ ე ბ ს — ამად ამიტომ ილებებს, ამიტომ ილურჯებს.

კ ა ც ს ა მ ი ჯ ნ უ რ ო ბ ა ა ტ ი რ ე ბ ს და ა გ უ ლ ჩ ე ი ლ ე ბ ს — ხაზ-
ვასმულია ის გარემოება, რომ ტირილი მიჯნურობის თანდაყოლილი ბუნება და
თვისებაა.

ქ ვ ლ ა ა ბ ი ნ დ ე ბ ს, ა რ ა დ ი ლ ე ბ ს — ერთი აზრი ორი საშუალებითაა
გამოთქმული.

ა. ყმა წავიდა სევდიანი, მკერდს იცემს და ამიტომ ილებებს (ცემით
ილურჯებს).

გ. რომ კაცს მიჯნურობა ატირებს და ავულჩვილებს,

გ. ღრუბელი რომ მიეფარება, მზე ხმელეთს დააჩრდილებს,

დ. ხოლო მოყვრის (სატრფოს) მოშორება ისევე აბინდებს, არ აღილებს.

714 (705) სისხლმან და ცრემლმან გარევეით...

ა. სისხლმა და ცრემლმა ერთმანეთში გარევეით დაწვები დადარა;

ბ. ამბობს: მზე ჩემი თავის დასადებლად აღარ კმარა;

გ. მიკვირს, გული ჩემი აღმასი (მტკიცე) შავმა წამწამმა (თინათინმა)
ჩატომ დადალა!

დ. ვიდრე მე მას ვნახავდე, სოფელო, სალხინოდ აღარ მინდიხარ, აღარა!

715 (706) ვინ უწინ ედემს ნაზარდი...

მ ო მ რ წ ყ ო, მ ა ხ ი ა — მომრწყო, ხელ მაქცია, გამზარდა.

დ ა ნ ა ს ა მ ა ხ ი ა — დანას შემახო.

დ ა მ ი ბ ა მ ა ხ ი ა — დამიბა მახე.

ზ ლ ა პ ა რ ი ა და ჩ მ ა ხ ი ა — სინონიმური თქმაა.

ა. ვინც წინეთ ედემს ნაზარდი ალვა მრგო, მომრწყო და ხელ მაქცია,

ბ. დღეს მან დახვარს მიმცა, დანას დამახია,

გ. დღეს ჩემი გული უშრეტი ცეცხლის მახეს დამიბა.

დ. აწყა ვცან, სოფლისა საქვე არის ზღაპარი და ჩმახი (ქორი, მოგონი-
ლი).

716 (707) ამას მოსთქვამს, ცრემლსა აფრქვევს...

ა თ რ თ ო ლ ე ბ ს და ა წ ა ნ ა რ ე ბ ს — თრთის და კანკალებს, (ჰენდი-
ადისია).

მ ი ა წ ა რ ე ბ ს — ნი-ა-წა-რებს — კობტად არონინებს.

ა ს უ ლ ა რ ე ბ ს, ა ზ ე წ ა რ ე ბ ს — სულარა და ზეწარი ერთი და იგი-
ვეა.

ა. ამას ტირის, ცრემლს აფრქვევს, თრთის და კანკალებს.

ბ. გულ-ამოსკენით, ოხვრა-კენით ტანს კობტად არონინებს;

- გ. საყვარლის სიახლოვეს მოშორება ვაამწარებს,
 დ. აგრეთ სოფელი: საბოლოოდ ის სუდარას, ზეწარს ახევეს ადამიანს.

717 (708) ყმა მივიდა, საწოლს დაჯდა...

- ა. ყმა წავიდა და საწოლში დაჯდა, ზოგჯერ ტიროდა, ზოგჯერ ბნდებოდა,
 ბ. მაგრამ გონებით საყვარელთანაა, არ მოსწყვეტია;
 გ. როგორც მწვანის თრთვილოსაგან, ისე მის სახეს ფერი მოაკლდა,
 დ. ხომ ხედავთ, ვარდს უმზეობა როგორ აღრე დააჩნდება ხოლმე.

719 (710) რა გულსა უთხრა გულისა...

ს ა გ უ ლ ი ს ო — აქ: საგულისხმო.

ს ა მ ე ყ ვ ი ს ო — მოყვასისათვის განკუთვნილი.

მ ე — ყ ა ვ ი ს (მყავის, ყავის) ი-ნის მიმატებით მ ე ყ ა ვ ი ს გ ა ს უ ბ ს ტ ა ნ -
 ტ ი ე დ ა — მ ე ყ ა ვ ი ს ი, საბოლოოდ — მ ე ყ ვ ი ს ი, ე. ი. ვინც მე მყავს, მოყ-
 ვასი, მოყვარე.

- ა. რა გულს უთხრა გულის საგულისხმო სიტყვები,
 ბ. მან მოიღო მარგალიტი თინათინის ნაქონი,
 გ. თინათინის მკლავზე ნაბამი და მისი კბილებს შესაფერი,
 დ. დაიდვა პირზე, აკოცა, ცრემლი სდის ვითა ბისონი (ბისონის ფერი, წი-
 თელი, ე. ი. სისხლის ცრემლები სდის).

720 (711) რა გათენდა, კაცი მოვა...

მ ო მ კ ი თ ხ ა ვ ი, დ ა რ ბ ა ზ ს მ ხ მ ო ბ ი — მომკითხავი და მხმობი
 სინონიმები.

ნ ა ღ ვ ი ძ ე ბ ი, ძ ი ლ ნ ა კ რ თ ო ბ ი — ჰენდიადისია.

მ ს წ რ ო ბ ი — დამსწრე.

რ ა გ ა თ ე ნ დ ა, კ ა ც ი მ ო ვ ა — ორივე წინადადებაში დრო შეთანხმე-
 ბული უნდა იყოს, მაშასადამე, უნდა: რ ა გ ა თ ე ნ დ ა, კ ა ც ი მ ო ვ ი დ ა.
 კ ა ც ი მ ო ვ ა — რიტმმა, მეტრმა გამოიწვია.

- ა. რა გათენდა, მოვიდა კაცი, რომელმაც ავთანდილი დარბაზს მოიხმო.
 ბ. ავთანდილიც ლალი, ნაზი, მაგრამ ძილნაკრთობი, წავიდა.
 გ. იქ დამსწრე ჯარი ერთმანეთს ეკრვოდა;
 დ. მეფე კი მინდორში ეკაზმებოდა (იჭურვებოდა) დოლ-საყვირი მოემზა-
 დებინა.

721 (712) მეფე შეჯდა, მაშინდელი...

ქ ო ს - დ ა ბ დ ა ბ ი — სპილენძის დოლი.

ა. მეფე შეჯდა, მაშინდელი ზარი (ხმაურობა) როგორ შეიძლება ახლა წარ-
 მოვიდგინოთ:

- ბ. ქოს-დაფდაფთა ცემისგან ვერაფერს ვერ გაიგონებდი,
 გ. იმდენი ქორი იყო, რომ მზეს აბნელებდა;
 დ. იმ დღეს დანადგარი სისხლით ველი მორწყეს.

722 (713) ინადირეს, შემოიქცეს...

რ უ ლ ნ ი — ნასიარულევი (მრ.).

ს რ უ ლ ნ ი — მთელი.

ს რ უ ლ ნ ი — (სრა) სასახლისა.

რ უ ლ ნ ი — სადაური.

ა. ინადირეს, შემობრუნდნენ მინდორში ნასიარულევი,

ბ. შეიყვანეს (დარბაზში) დადებულნი, თავადნი და მთელი სპა;

გ. მეფე დაჭდა და მას დახვდა მოკაზმული საჭდომი სასახლე,

დ. ჩანგი კასტანიეტს ეხმაურება, სადაურნი არ იყვნენ მომღერალნი!

723 (714) ყმა ახლოს უჯდა მეფესა...

ა. ავთანდილი ახლოს უჯდა მეფეს და ამბავს ეკითხებოდა;

ბ. ბაგეთაგან ბროლ-ლალი (ბაგე-კბილები) გამოსკვირდა, ბროლთაგან ელვა ირეკლებოდა.

გ. ახლოს ღირსეულნი ისხდნენ, შორს ქარი იყო,

დ. და ყველა ტარიელს ახსენებდა.

724 (715) ყმა მივიდა გულ-მოკლული...

ა. ყმა წავიდა გულმოკლული, ცრემლი ველთ მოედინებდა.

ბ. თინათინის სიყვარული გარს უვლიდა თვალის წინ.

გ. ზოგჯერ ადგებოდა, ზოგჯერ დაწევებოდა ხოლმე, აბა ხელს, გიჟს რა დააძინებდა!

დ. რაც დათმობის სააჯო და სახვეწარია გულმა ვის მოუსმინოს!

725 (716) წევს იტყვის: „გულსა სალხინო...“

ნ ი შ ა ტ ი — სიხარული, ლხენა.

ს ა ვ ა გ ლ ა ხ ე — სივაგლახე.

ა. წევს, ამბობს: გულს სალხინო რაღა უნდა დავუსახო?

ბ. მოგშორდი ედემს ნაზარდო ტანო ლერწამო და ხეო.

გ. შენთა მჭკრეტელთათვის სიხარულო, ვერმჭკრეტათვის — სივაგლახე,

დ. ცხადად ნახვას ვერ ველირსები, ნეტავი სიზმრად განახო.

726 (717) ამას მოსთქმიდის ტირილით...

თ უ ლ ხ ი ნ ი გ ვ ი ნ დ ა ღ მ რ თ ი ს ა გ ა ნ , ჭ ი რ ნ ი ც ა შ ე ვ ი -
წ ყ ნ ა რ ო თ ა — ეს ადგილი უთუოდ ეხმაურება ბიბლიას, იობის წიგნს. ცნო-
ლია იობის ვნებანი. ცოლმა ვერ მოითმინა წამება ქმრისა და ურჩია მას:
შენ მტკიცე და ურყევი ხარ შენს უბიწობაში, ჰგმე უფალი და მერმე მოცე-
დიო.

მაშინ იობმა უთხრა: რად ვითარცა ერთი უჯუნურთაგანი იტყვი, უკეთუ
კეთილი შევიწყნაროთ ხელისაგან უფლისა, ბოროტი არა მოვითმინოთა? (იობ.
2,10).

- ა. ამას მოაქვამდა ტირილით და ცრემლის ღვრით;
- ბ. ისევ გულს ეუბნება: დათმობა სჯობია სიბრძნის თანახმად.
- გ. თუ არ დავთმეთ, რა ვქმნათ, სევდას როგორ უნდა მოვუგვაროთ?
- დ. თუ ლბინი გვინდა ღვთისაგან (ხანდახან) ჰირიც უნდა შევიწყნაროთ, ჰირსაც შევეურიგდეთ.

727 (718) კვლა იტყვის: „გულო, რაზომცა...“

ა. ისევ ამბობს: გულო, მიუხედავად იმისა, რომ დიდი წადილი გაქვს სიკვდილისა,

- ბ. მაინც სიცოცხლეს უნდა გაუძლო და მისთვის თავი უნდა დასდო;
- გ. მაგრამ (ამასთანავე) დამალე, არ დაიჩინო შენ შენი ცეცხლის დება,
- დ. რადგან არ შეეფერება მიჯნურს მიჯნურობის გაცხადება.

სტროფის შინაარსთან დაკავშირებით საჭიროა გაირკვეს, როგორი უნდა იყოს მიჯნური მიჯნურისადმი. ამის პასუხი მოცემულია ჭერ 27-ე სტროფში: არს პირველი მიჯნურობა, არ-დაჩენა ჰირთა, მალ-ვა

ე. ი. მიჯნურობით გამოწვეული ჰირი არ უნდა დაიჩინო, მიჯნურობამ არ უნდა შეგაწუხოს.

ეგვევა გამეორებული 31-ე სტროფში:

არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცსა იახ-ლების

ამაზევა ლაპარაკი 28-ე და 29-ე სტროფებში:

ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამქლავნე-დეხ...

მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამ-ქლავნოს...

ეგვევ გარემოებაა ზემოხსნებულ სტროფში ჩაზგასმული. მიჯნურობის არ გამქლავნება იმას კი არ ნიშნავს, რომ შენ არავის უთხრა, რომ შეყვარებული ხარ, არამედ იმას, რომ არ უნდა დაგაჩნდეს, არ შეგამჩნიოს ვინმემ, რომ შენ მიჯნურობის გამო ხარ შეწუხებული.

728 (719) რა გათენდა, შეეკაზმა...

- ა. რა გათენდა, შეეკაზმა, ყმა გავიდა ადრე გარე;
- ბ. ამბობს ნეტავი თუ მიჯნურობა არ დამაჩნდეს და დაუფარო.
- გ. გულს თხოვს დათმობა შემადლებინე, როგორმე საქმე მომიგვარე;
- დ. შექდა ცხენზე და ვაზირისას წავიდა.

729 (720) ვაზირმა ცნა, გაეგება...

- ა. ვაზირმა გაიგო და გაეგება: ჩემსას მზე (ავთანდილი) მოვიდაო,
- ბ. ამას თურმე მახარებდა დღეს სასიხარულო ნიშანი;
- გ. მიეგება, თაყვანისცა და სრული ქება უთხრა ყოველმხრივ სრულს, შემქულს.
- დ. ასედაცაა: თუ სტუმარი სასურველია, მაშინ მასპინძელიც მხიარულია.

წინა გამოცემებში იყო: დღეს ნიშანი სიხარული, რაც უაზრობას წარმოადგენდა; უთუოდ სწორია: დღეს ნიშანი სახარული, ე. ი. ნიშანი სახარელი, გასახარელი⁴⁷.

730 (721) ყმა გარდასვა მასპინძელმან...

არ დაფალმან, ავმან, უქმან — არ უარყოფითი ნაწილაკი სამსავე სიტყვას ეკუთვნის: არ დაფალმან, არ ავმან, არ უქმან. სამივე სიტყვა სინონიმებია. მათგან აღსანიშნავია: უქმან, უქი — ვისაც ვერ აქვებ, არ საქები. არ უქი — აქ ორი უარყოფაა, რაც დადებითობას იძლევა — ე. ი. საქები. საერთოდ, სამივე სიტყვა ნიშნავს კარგს.

- ა. ყმა კარგმა მასპინძელმა გადმოსვა
- ბ. და ფეხქვეშ ბეწვი დაუფინა;
- გ. ყმამ გაანათლა სახლი, როგორც მზემ სამყარო
- დ. და თქვეს: დღეს სურნელოვანი ვარდის სუნი მოგვებერა ქარმაო.

731 (722) დაჯდა, მისთა შემხედველთა...

გული მათი მართლად ხელეს — თავისი გული მართლაც გაახელეს, გააგიყეს.

მისთვის ბნედა თავისათვის ისახელეს — მისი გულისთვის ბნედა თავს იღვეს.

ბევრი აათასეს, აღარა თუ აერთხელეს — ათასი-არერთხელი ჩვეულებრივი დაპირისპირებაა აზრის გასამკაფიოებლად.

გაიყარნეს, ჯალაბობა გაათხელეს — გაიყარნეს იგივეა, რაც ჯალაბობა გაათხელეს.

- ა. დაჯდა, მისმა შემხედველებმა თავიანთი გული მართლაც გაახელეს,
- ბ. მისი გულისთვის თავს ბნედა დაატეხეს,
- გ. ოხვრა გაამრავლეს, არა თუ აერთხელეს.

დ. გასცეს განკარგულება, რომ გაყრილიყვნენ, გაიყარნენ და შეკრებობა დაშალეს, გაათხელეს.

732 (723) რა ჯალაბი გაიყარა...

საურავი — აქ: თანამდებობა.

რაცა გწადღეს საურავი — რაც გსურდეს თანამდებობა.

მეფე იქმს და შენ გეთნების — მეფე იზამს (მოგცემს) და შენც მოგეწონება.

ა. როდესაც ჯალაბი გაიყარა, ავთანდილმა ეპიროს უთხრა:

ბ. შენთვის სასახლეში დამალული არაფერი არ შეიძლება იყოს;

გ. რაც თანამდებობა გსურს, მეფე მოგცემს და შენც მოგეწონება,

დ. გაიგე ჩემი გაჭირვება და მიმკურნალე, როგორადაც კი შეიძლება მკურნალობა.

⁴⁷ შდრ. ა. შანიძის მიერ ვეფხისტყაოსნის 1712 წლის აღდგენილი გამოცემის სთანადო აღგის: სტრ. ლით.

733 (724) მის ყმისა ცეცხლი შედების...

- ა. იმ ყმის (ტარიელის) ცეცხლი შედება, მწვავს მისი მწველი (ნესტანი);
- ბ. მკლავს სურვილი და უნახველობა ჩემი სასურველისა;
- გ. მას ჩემთვის სული არ შურს, საქიროა, მეც გადავუხადო სამაგიერო (გადაუხდელი);
- დ. ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა.

734 (725) მისი ნახვა გულსა ჩემსა...

- დაებადა I — ბადედ გადაეჭცია.
- დაება და II — დაება, დაება — და დაებას პირველი მარცვალისა.
- დაებადა III — დაებადებინა.
- დაებადა IV — და ჰყავდა.
- ა. მისი ნახვა ჩემს გულში როგორც ბადე, ისე გაიბა,
- ბ. იქვე დარჩა და დაება;
- გ. ღმერთს მზედ დაუბადებია, რადგან მოახლეს (ახლომყოფს) დასწვავს;
- დ. რაც შეეხება ასმათს, იგი ჩემთვის ყოველი დის უფრო და არის.

735 (726) ოდეს წამოვე, შევჭფიცე...

- ფიცითა საშინელითა — დიდი ფიცით.
- პირითა არ მტერთა საწუნელითა — კარგი პირით, შეურცხვენელით.
- შენსა მე ვეძებ ნათელსა, შენ ხარ გულითა ბნელითა — დაპირისპირება.
- ა. როდესაც წამოვედი, შევჭფიცე დიდი ფიცით,
- ბ. რომ ისევ მოვალ, დაგბრუნდები და კარგი პირით განახავ;
- გ. შენს სატრფოს მოვძებნი, რადგან შენ ახლა მწუხარე ხარ;
- დ. დროა ჩემგან წასვლისა, წაუსვლელობა ცხელი ცეცხლით მწვავს.

736 (727) ყოველსავე მართლად გითხრობ...

- ა. ყველაფერს მართლად გეტყვი, კვენხას არ დავიწყებ.
- ბ. მიმელის და რომ ვერ მივსულვარ, სწორედ ეს მიღებს ცეცხლს გულში;
- გ. ვერ გავუტეხ ფიცს, ვერ გავსწირავ (სიყვარულით) გახელბული გახელბულს,
- დ. (ვინაიდან) სად გაუმარჯვდეს კაცსა, რომელიც ფიცს გასტეხს.

737 (728) რაცა გითხარ, ჩემმაგიერ...

- მიედ — მიდი.
- თავმან მისმან, ფიცით გეტყვი — თავისებური ტავტოლოგია — ვფიცავ მის თავს.
- მაქნევს რასა — სიტყვასიტყვით — რას მაქნევინებს, ე. ი. რა უნდა ვქმნა მე მისთვის, რა უნდა მას ჩემგან.

არ დამიკრას არასრასა — სინონიმური პარალელიზმია. არ დამიკრას იგივეა, რაც არასრასა. ე. ი. არ დასეროს.

ა. რაც ვითხარი, მიდი სასახლეში და მოახსენე ჩემმაგიერ როსტევანს;

ბ. ვფიცავ მის თავს და გელაპარაკები შენ, ვაზირს, სასახლის უფროსს;

გ. თუ არ შემიპყრობს, არ დავდგები (არ გავჩერდები), თუ შემიპყრობს, რა უნდა ჩემგან?

დ. აბა, მიშველე რაზე, რომ ჩემი გული ცეცხლმა არ დაკრას, არ დასეროს.

738 (729) ჰკადრე: „ვინ გაქოს ყოველმან...“

შეუზრახი, უზრახი — არამეტყველი, პირუტყვი, უზრდელი. არ შეუზრახი — მეტყველი, ზრდილი, არ კანდიერი და პირუთვნელი. უნდა: შეუზრახმან (შეუზრახემან რითმისთავისა).

ვინ — აქ: სად.

გაცნობოს ღმერთმან ნათელთა მსახემან — (მსახე — კვალად რითმისა). შევაგნებინოს ღმერთმა ნათლის მსახავმა.

ა. ჰკადრე, მოახსენე მეფეს, სად გაქოს კაცმა პირუთვნელმა.

ბ. როგორ ვშიშობ, შევაგნებინოს ღმერთმა ნათლის მსახავმა, გამომხატველმა;

გ. მაგრამ იმ ყმამ (ტარიელმა) ალვის სახისამ, ცეცხლით დამწვა;

დ. ფული წამსვე წამართვა მან, ვერასგზით ვერ შევიწახე.

IV სტრ. ინვერსიული წყობაა რიტმით (მეტრით) გამოწვეული.

739 (730) აწ. მეფეო უმისობა...

აქა ხელი რა მესდები — აქა ხელი რა გამოვიღო!

ა. ამიერიდან, მეფევე, უმისობა (უტარიელობა) სრულიად შეუძლებელია;

ბ. გული (სიმაპაცე) მას აქვს გულოვანს, მე რა ხელი მომემართება;

გ. [მაგრამ] თუ რასმე ვარგებ, თავდაპირველად ეს თქვენი სახელი იქნება,

დ. და თუ ვერას ვარგებ, თავს მაინც დავსდებ და ფიცი ჩემი არ გატყდება.

740 (731) წასდვა ჩემი გულსა თქვენსა...

დავებრუნდეს — დაბრუნდესვე.

ა. ჩემი წასვლა თქვენს გულს არ ეწყინოს, იგი არ დამწუხრდეს;

ბ. რაც ჩემ თავზე დადგენილია, რაც ღმერთს უნდა, იგი იქმნეს;

გ. ღმერთმა ქმნას და გაგიმარჯვდეს, თქვენი თქვენკენ დავებრუნდე.

დ. და თუ არ დავებრუნდე, თქვენ კარგად იყავით, თქვენი მტერი დალაჩრდეს, წახდეს.

741 (732) კვლა პირმზე ეტყვის ვაზირსა...

შევინვიდოდეს — შე-ვიდოდეს-ვინ.

გაიფმირე — გმირად გაიხადე.

- ა. ისევ ავთანდილი ეუბნება ვაზირს: მე სიტყვა შევამცირე,
- ბ. შენ წალი და მეფეს მოახსენე, ვიდრე ვინმე შევიდოდეს;
- გ. ითხოვე ჩემთვის აჰოდ გაშვება და თავი გმირად გაიხადე,
- დ. სამაგიეროდ ასი ათასი წითელი (ოქრო) მიიღე ჩემგან ქრთამად.

742 (733) ვაზირმან უთხრა სიცილით...

კ მ ა — საქმაოა, კმარა.

რ ო მ ე გ ზ ა გ ა უ ი ჩ ე ნ ი ა — ჩემთვის გზა, დავალება, რომ მოგიცია.

ა მ ა ვ ს ე ბ ს — აქ: გამამდიდრებს, ამაშენებს.

შ ო ე ბ ა — შოვნა, მოპოვება.

ა. ვაზირმა უთხრა სიცილით: შენი ქრთამი შენ გქონდეს;

ბ. შენგან ისიც კმარა ჩემთვის წყალობად, რომ ასეთი გზა გამიჩინე, ასეთი დავალება მომეცი;

გ. როგორც კი ვაკადრებ მეფეს, რაც ახლა თქვენგან გავიგონე.

დ. დარწმუნებულად, აუცილებლად ამავსებს, გამამდიდრებს და შოვნა და მოპოვება რა საწყენია.

743 (734) თავმან მისმან, მუნვე მომკლავს...

წ ა მ ი ც ა ა რ წ ა მ ა რ ო ს — წანიც არ წამარონინოს.

რ ა გ ი ნ დ ა ვ ი ნ მ ი ს ა გ მ ა რ ო ს — რა გინდა, ვინ მისაყვედუროს, გამეციცხოს.

ს ა გ მ ა რ ი — საგმობი. მ ი ს ა გ მ ა რ ო ს — საგმობი გამხადოს.

ა. ვფიცავ მის თავს, იქვე მომკლავს, ვფიქრობ ერთ წამსაც არ მარონინებს (ცოცხლად);

ბ. შენი ოქრო შენვე დაგრჩება და მე კი უბედურს, მიწა მესამარება;

გ. მომკალ, კაცს სიცოცხლის მსგავსად თუ რამე მოეხმაროს;

დ. ამიტომ არ ითქმის და ვერც ვიტყვი, რაც გინდა ვინ გამეციცხოს.

744 (735) გზა არ წავა თავსა წინა...

გ ზ ა — აქ: სიცოცხლე.

გ ზ ა ა რ წ ა ვ ა თ ა ვ ს ა წ ი ნ ა, ს ი ც ო ც ხ ლ ე, გ ლ ა ხ, ვ ი თ გ ა თ ნ ი ო — სიცოცხლე არ წავა თავსა წინა, სიცოცხლე, გლახ, ვით გათნიო ე. ი. სიცოცხლეს თავისი ბუნებრივი მსვლელობა, თავისი ბუნებრივი გზა აქვს, იგი დროზე ადრე არ გათავდება და რატომ დაგიბოძო, რატომ შემოგწირო იგი შენ!

ა. სიცოცხლეს თავისი გზა აქვს, თავის თავს ვერ გადაშორდება და რატომ შემოგწირო იგი შენ?

ბ. ამიკლებს, ან მომკლავს: როგორ გაბედე შენ ეგ სიტყვაო,

ვ. რატომ იქვე არ გაიგონე, რატომ ხარ აგეთი შმაგიო.

დ. სჯობს სიცოცხლე აკლებასა, ამგვარად ვწრთი ჩემ თავს, უნდა ჩავავგონო მე ჩემ თავს:

745 (736) თუ შეფეცა გაგიშვებდეს...

- ა. შეფე რომ გაგიშვებდეს, ლაშქარნი რატომ უნდა მოტყუებდნენ?
- დ. რატომ უნდა გაგიშვან, მზეს (ავთანდილს) რატომ უნდა მოშორდნენ.
- გ. შენ რომ წახვიდე და ჩვენი მტრები გაგვიკადნიერდნენ, გაგვითამამდნენ და დაგვამარცხონ!
- დ. ეს აგრე არ მოხდება, როგორც ჩიტები არ შეიძლება გაქორდნენ, ქორად გადაიქცნენ.

746 (737) ყმა ატირდა, ცრემლით უთხრა...

- ა. ავთანდილი ატირდა და აცრემლებულმა უთხრა ვაზირს: ისეა საქმე, რომ დანას ვიცემდე გულში,
- ბ. ეპ, ვაზირო, გეტყობა, რომ არ იცი, თუ რა არის სიყვარული!
- გ. ანუ სხვა ნუთუ არ გინახავს არც მოყვრობა, არცა ფიცი.
- დ. და თუ გინახავს, უმისოდ (უმათოდ) როგორ განამტკიცებ ჩემს ლხინს.

748 (739) შეფე ანუ მისი სპანი...

ნეტარ ხელსა რასა მხდიან — ნეტავი გიყთან რა საქმე აქვთ, ან — ნეტავი რა ხელი აქვთ ჩემთან, რა საქმე აქვთ ჩემთან.

ჭირნი მისგან უნახავნი, კაცსა ვისმცა გარდუხდიან — ჭირი (მას) ტარიელს რომ არ ენახოს, შეუძლებელია სხვა ვისმე გარდაუხადოს.

- ა. შეფეს, ან მის ჯარს ჩემთან რა ხელი აქვთ!
- ბ. აწ როგორც უცნობოს, განუწყვეტლივ ცრემლი მდის!
- გ. სჯობს წავიდე და არ გავტეხო ფიცი, კაცს ფიცი გამოსცდის.
- დ. ჭირი, ტარიელს რომ არ ენახოს, შეუძლებელია სხვას ვისმეს გარდაუხადოს.

კაცსა ფიცნი გამოსცდიან — შდრ. „რამეთუ კაცთა უფროდსისა მიმართ ფუციან, და ყოვლისა ცილობისა მათისა დასაჭრულსა დასამტკიცებელად ფიცი არს“ (ებრ. 6,16).

749 (740) აწ, ვაზირო, მაგა პირსა...

მაგა პირსა — მაგ სიტყვას.

- ა. ახლა, ვაზირო, მაგი სიტყვა გულმა კრულმა როგორ მოითმინოს?
- ბ. ჩემ მაგიერ რომ რკინა იყოს, ისიც სახთლად, ცვილად გადაიქცევა, დადნება და არ გამაგრდება;
- გ. ვერ ავიტან, ვერ გადავიხდი მის (ტარიელის) ცრემლს, ჯეონიც რომ თვალთაგან მდინდეს;
- დ. მომეხმარე, ეგების შენც დაგჭირდეს ოდესმე ჩემი დახმარება.

750 (741) არ გამიშვებს, გავიპარვი...

შეუგებლად — გაუგებლად, შეუტყობინებლად.

ვითა მნუკეც — ვით მენუკის, ვით მეხვეწება.

ცეცხლთა მოსადებლად — ცეცხლის მოსაკიდებლად.

წაგეკიდოს — დაგემართოს.

ა. თუ არ გამიშვებს, გავიპარები, წავალ მის გაუფებლად;

ბ. როგორც მეხვეწება (ტარიელი), ეგრე დავრთო ჩემი გული ცეცხლ-
თა მოსაკიდებლად;

გ. ვიცი, რომ ჩემთვის არაფერს არ გიზამს, თუ არ უნდინხარ გასაძევებ-
ლად;

დ. თქვი, რაც უნდა დაგემართოს, თავი დადეგ საწამებლად.

751 (742) ვაზირმან თქვა: „შენი ცეცხლი...“

სოფელიცა გაქარდების — სოფელიც, ქვეყანაც მოოსპობა, გაქ-
რება.

არა მგამა — არას ვინაღვლი, არ მენაღვლება.

ჩემი მზემცა თქვენ მოგხედების — მზე სიცოცხლის ნა-
წალია, სიცოცხლეა, მოკვდება აღამიანი და მზეც მისი დაბნელდება. ნაადრე-
ვად მკვდარს სიცოცხლე, მზე გამოუყენებელი დარჩა, მზე დააკლდა; მაშა-
სადამე, ჩემი მზემცა თქვენ მოგხედების — უტოლდება ღღევანდელ ხალხურ
თქმას — რაც მას (მკვდარს) დააკლდა, იგი შენ შეგემატოს.

ა. ვაზირმა უბასუხა: შენი ცეცხლი, მეც ცეცხლად მედება;

ბ. აღარ შემიძლია შენი ცრემლების ჰვრეტა, ამით ქვეყანაც გაქრება,
მოოსპობა;

გ. ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდება

დ. და გადავწყვიტე: შენი გულისათვის რომ მოვკვდე, არას ვინაღვლი,
ჩემი მზეც თქვენ მოგხვდეს.

752 (743) რა ვაზირმან ესე უთხრა...

პირი მზეებრ ეწაღმართა — პირი მზესავით ეწაღმართებინა —
პირი საბუ წაღმართი, კეთილი ჰქონდა, ლამაზი შესახედავი იყო.

ვერ შექმართა — ვერ შეჰკადრა, ვერ გაუბედა.

დაყრით დადგა — დადრეკით, თავჩაღუნული დადგა.

ა. თქვა თუ არა ეს ვაზირმა, ადგა და სასახლეში წავიდა;

ბ. მეფე გამოწყობილი დახვდა, სახე მზესავით უნათებდა.

გ. ვაზირს შეეშინდა და საწყინარის მოხსენება ვერ გაუბედა.

დ. დადრეკით, თავჩაღუნული დადგა, ფიქრობდა არა საომარ საქმეებზე.

753 (744) მეფემან ნახა ვაზირი...

დადრეკით დაყმუნვებული — მოწყენით დაღუმებული.

დაყმუნვება — დაღუმება.

ვებული — ვაებული, ვაით შეპყრობილი, მოვალაღე.

ამბავი გაკვირვებული — გასაოცარი ამბავი.

ა. მეფემ დაინახა ვაზირი, რომელიც მოწყენილი და დაღუმებული იყო.

ბ. და ჰკითხა: რა გპირს, რად მოხვედი აგრე შეწუნებული?

ვ. ვაზირმა უპასუხა: არაფერი არ ვიცი, მართლაც რომ ვაებული ვარ, სავალალო მდგომარეობაში ვარ;

დ. მართალი იქნებით, თუ მომკლავთ, როდესაც გაიგონებთ გასაოცარ ამბავს.

754 (745) ჩემი ჭმუნვა ჭირსა ჩემსა...

ფ ე თ ხ ო ვ ე ბ ი ს — გეტხოვება, გშორდება.

ა. ჩემი მწუხარება ჩემს გაჭირვებას მთლიანად შეეფერება — არც მეტია, არც ნაკლები.

ბ. მეშინიან, თუმცა მოციქული შიშს არ უნდა ერიდებოდეს;

გ. ავთანდილი გეტხოვება ხევწნით და არა ჩხუბით;

დ. უმისყმისოდ, უტარიელოდ მთელი ეს ქვეყანა ჩემთვის ფუჭი და გამოუსადეგარიო.

755 (746) რაცა იცოდა, ყველაი...

რ ა მ ც ა ს ც ა ნ ს ი ტ ყ ვ ი თ ა ე ს ო დ ე ნ ი თ ა — რა სცნა ამდენი თქმით, ამდენი ლაპარაკით, რას გაიგებ ამდენი სიტყვით, თუ რა მდგომარეობაშია იგი.

რ ი ს ხ ვ ა ნ ი ჩ ე მ თ ვ ი ს ი ა ნ ა ზ დ ე ნ ი თ ა — რისხვა იანაზდეთ, — ანაზდად მოულოდნელად რისხვა თავს დამატებთ.

ა. რაც იცოდა, ყველაფერი მოწიწებით უთხრა;

ბ. შემდეგ მოახსენა: რა სცნა, რა გაიგო (როგორც კი გაიგებ) ამ ჩემი სიტყვებით,

გ. თუ რაგვარ მყოფი მინახავს, თუ როგორ ცრემლთა დენითაა იგი,

დ. მართალი იქნებით, თუ მოულოდნელად თავს რისხვას დამატებთ.

756 (747) რა მეფემან მოისმინა...

გ ა გ უ ლ ი ს დ ა, გ ა ა ვ ც ნ ო ბ დ ა — სინონიმებია: მეტად გაბრაზდა, ძალზე განრისხდა.

გ ა ს ა შ ი შ რ დ ა — საშიშრად გადაიქცა.

შ ე ა შ თ ო ბ დ ა — დაარჩობდა.

ა. ეს რომ მეფემ მოისმინა, ძალზე გაბრაზდა;

ბ. ფერი წაუვიდა და ისე საშიშრად გადაიქცა, გეგონებოდათ, შემხედველთ დაახრჩობსო;

გ. შეუყვირა: რა სთქვი შმაგო, მაგას სხვა ვინ მეტყოდა!

დ. ამიტომაც ავ კაცს ურჩევნია, რაც უფრო ადრე გაიგებს ის, მასზე დატეხილ სიავეს (რაც უფრო ადრე დავატებს მას სიავეს).

757 (748) ვითამც რამე სახარული...

ვ ი თ ა მ ც რ ა მ ე ს ა ხ ა რ უ ლ ი ს ა ქ მ ე — სახარული ძველი ფორმაა, მაგრამ ვამჯობინებ სახარელი ფორმას. საშუალო ქართული-სათვის ეს უფრო მისაღებია: სახარელი, გასახარელი.

მ უ ხ თ ლ ა დ, ლ ა დ რ ა დ — (მუხთალი, ლადარი) სინონიმებია.

ა. ვითომ რამე გასახარელი საქმე მითხარი საჩქაროდ.

ბ. მაგის მეტი რა უნდა მიყოს ვინმემ, თუ არ მომკლას მუხანათურად, ლალატით (მაგის ქმნას მერჩია მუხანათურად მოგვეკალი)

გ. ვიყო, როგორ დააბრუნე შენ ენა მაგის ჩემთვის საკადრებლად;

დ. ავრე შმაგი არც ვაზირად და არც არაფრად არ ვაჩვენებარ.

IV სტრიქონი საგულისხმოა ანაფორული ალიტერაციით, სადაც მეტობს მტკბარი ბგერა „რ“. ვაზირის თავს დატეხილი რისხვა განსაკუთრებულ ეფექტურობას იძლევა და ამასთანავე, რაკი მტკბარი ბგერა „რ“ ტემპს ანელებს, მკითხველის ყურადღებაც უფრო დიდხანს ჩერდება მასზე და მეფის რისხვის სიდიადე უფრო ხაზგასმულად გამოიყოფა.

858 (749) ხამსა კაცმან პატრონისა...

ხამსა — ა კითხვის გამომხატველი; ნუ თუ ხამს, ნუთუ შეპფერის.

საწყინარსა არ დახედნეს — საწყინარსა მხოლოდობითშია. მაგრამ დახედნეს უკვევირდება სიტყვას თვალნი — საწყინარსა თვალნი არ დახედნეს.

სიტყვა უმეცრული უაღაგოდ დაიყბედნეს — სიტყვა აქ გაგებულია კრებითად. ამიტომ დაიყბედნეს მრავლობითშია.

სისხლნი შენნი ჩემმან ქედმან მიიქედნეს — შენისისხლი ჩემს ქედზე, ჩემს კისერზე იყოს. — მე ვიყო პასუხისმგებელი.

ა. ნუთუ შეპფერის კაცს, რომ პატრონის (მეფის) საწყინარს არ დახედოს, არ დაუვირდეს.

ბ. და მხოლოდ უმეცრული სიტყვა უადგილოდ წამოროშოს?

გ. მე მაგის მოსმენამდის რატომ ყურები არ შემეპედა, არ დამეგუბა.

დ. და შენ თუ მოკლა, შენი სისხლი ჩემს კისერზე იყოს.

759 (750) კვლა უბრძანა: „თუმცა მისგან...“

თუმცა მისგან აწ არ იყავ მოგზავნილი — მისგან რომ არ იყო მოგზავნილი.

წა, უკუდეგ! — სინონიმებია.

ა. ისევ უბრძანა: მისგან რომ არ იყო მოგზავნილი;

ბ. ვფიცავ ჩემ თავს, უცილობლად თავს მოგვეთლი.

გ. წა, უკუდეგ! ავო, შმაგო, უმეცარო, შლეგო, წბილო!

დ. შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი — არაჩვეულებრივი ირონია, უდიდესი დაცინვა: ყოჩაღ სიტყვა, ყოჩაღ კაცი, ყოჩაღ საქმე...

760 (751) დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა...

დადრკა (დადრეკა) — დაიღუნა.

აალმასნა, არ აძეწნა — ალმასად გახადა (ე. ი. მაგრად, მტკიცედ) და არა ძეწნად (ე. ი. რბილად). ალმასი მკვეთრია, მავარია, ძეწნა მოქნილი, რბილი...

ვინ აღვისა მორჩი ხე წნა — ვინ ნორჩი აღვის ხე, დიდ ხედ გაიზარდა.

ლაწვნი თეთრი აახეწა — ლაწვი თეთრი აიხეწა — თეთრი ლაწვი (ლოყები) დასერა (სისხლით).

ა. დაილუნა, სკამი მოუქნია, ესროლა, დააცდინა, კედელს შეაღწეა.

ბ. მაგრამ რბილად კი არა, არამედ მეტისმეტად სასტიკად, მაგრად [უთხრა]:

გ. როგორ მიამბე მე მისი წასვლა, ვინც ალვა ნორჩი ხედ გაიზარდა.

დ. ვაზირის ცხელმა ცრემლმა თეთრი ლოყები დასერა.

761 (752) ვაზირმან, გლახ, გამოჰრიდნა...

ვერ იძრწივნებს — (ძრწნა, ძრწნა — შიში) — ვერ დაიშინებს თავს.

ირონიული თქმეა: ვაზირს ისეთი ამბავი დაემართა, რომ ამიერიდან ველარ შეშინდება.

შეისხარობს, გაისქუმობს — შესვლისას მხიარულია, გამოსვლისას მწყრალი.

ა. უბედურმა ვეზარმა თავი გამოარადა, მართლაც მეტი შიში შეუძლებელია;

ბ. გამოძრწა და მელასავით გამოიპარა, დაქრილ, დაკოდილ გულს მოიმტკივნებს;

გ. შესვლისას მხიარული იყო, გამოსვლისას მწყრალი, ენა თურმე ასრე შეარცხვენს.

დ. და [მართლაც] მეტერი მტერს იმდენს ვნებას ვერ მოუტანს, რამდენსაც კაცი თავის თავს ავნებს.

762 (753) თქვა: „ცოდვათა ჩემთა მსგავსი...“

ა. თქვა: ჩემი მსგავსი უბედურება (ამაზე მეტი უბედურება) ღმერთმა რაღა უნდა მიჩვენოს?

ბ. რატომ მოვსტყუვდი, რატომ დამიბნელდა (თვალები), ნეტა ვინ გამითენებს?

გ. ვინც პატრონს (მეფეს) კადნიერად, უზრდელად რამე მოახანოს.

დ. ჩემი დღე დაადგება მას, რაც ვინდა მოსვენებულად და მშვიდად იყოს.

763 (754) ვაზირი გაწბილებული...

დავაშავითა-და ვვაშ ავითა.

ა. გაწბილებული, ბედშავი ვაზირი მოდის.

ბ. და ავთანდილს ეუბნება მწყრალი და მწუხარის პირით:

გ. რა მადლობა გითხრა, არ ვიცი, ვაი, როგორ გავთამამდი,

დ. ვა, რა კარგი, უებარი დავკარგე და აი როგორ ვვაშ (ვვაშობ), როგორ ვწუხვარ ამის გამო.

764 (755) ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს,...

ა. ქრთამს სთხოვს და მხიარულობს, თუმცა ცრემლს ვერ იწურავს (ბევრი მოსდის);

ბ. მიკვირს, სად სცალია ენაწყლიანობისათვის, რატომ გულმეწუხებული არაა!

გ. ვინც დაარსებულს არ მისცემს, ის მოურავს მოიმდურებს

დ. და თქმულა: ქრთამი ჯოჯოხეთსაც კი მოისყიდის.

765 (756) ვით გამხადა, რა მიბრძანა...

რა სიავე, რა სირეგენე, რა შლეგობა, რა შმაგობა — როსტევეანის არაჩვეულებრივი სიფიცხე და სისასტიკე გადმოცემულია ანაფორული ალიტერაციით.

ა. როგორ გამხადა, რა მითხრა, ყოვლად შეუძლებელია ჩემგან თქმა:

ბ. რა სიავე, რა სირეგენე, რა შლეგობა, რა შმაგობა!

გ. ამიერიდან მე კაცად აღარ ვარგვარ, აღარა მაქვს თავში ცნობა;

დ. მიკვირს კი, რატომ არ მომკლა, ალბათ ღმერთმა მოათმენინა.

766 (757) მეცა ვიცოდი, რაცა ვქმენ...

ა. მეც ვიცოდი, რას ვშერებოდი, შეცდომით არ მომსგლია, შეცდომით არ დამმართია;

ბ. ვფიქრობდი გამიწყებოდა, ამიტომაცაა მეტად რომ ვწუხვარ;

გ. განგებით მოსულ რისხვას ვერავინ მოერიდება

დ. და შენთვის სიკვდილი ღმერთმა მიმანია, გაჭირვებას (ჭირს) ტყუილ-უბრალოდ არ ჩაუვლია.

767 (758) ყმამან უთხრა: „აღარ წასლვა“...

I — არ ოს — არასოდეს.

II აროს — არონინოს.

ა. ყმამ უთხრა: ჩემი წაუსვლელობა ყოვლად შეუძლებელია;

ბ. იადონი მაშინ მოკვდება, როდესაც ვარდი დაჰქენება;

გ. ამიტომ საჭიროა მოუნახოს მას ცვარი წყლისა და საამისოდ მიმოიაროს მთელი ქვეყანა;

დ. თუ არ უპოვა, რა ქმნას, ან გული რით, როგორ დაიწყნაროს.

768 (759) უმისოდ მყოფი ვერ გაჰძლებ...

ა. უმისოდ (უტარიელოდ) არ შემიძლია არც ჯდომა, არც წოლა.

ბ. უკეთესია ნადირივით გაეიჭრა და მათთან დავიწყო რბოლა;

გ. ამგვარ მდგომარეობაში მყოფს რად შეხვეწება მის (როსტევეანის) მებრძოლთ (მოწინააღმდეგეთ) ვებრძოლო?

დ. სჯობს უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა.

769 (760) მოვახსენებ ერთხელ კვლაცა...

ვით იწვის და ვით ენთების — პლეონასტური თქმა: ძლიერ იწვის.

ა. მიუხედავად იმისა, რომ შეფე წყრება, ერთხელ კიდევ მოვახსენებ:

- ბ. შეიძლება (ეგვების) გაიგოს, როგორ იწვის და ენთება ჩემი გული...
- გ. თუ არ გამიშვებს, იმედი გადამიწყდება და გავიპარები;
- დ. მე თუ მოვკვდები, ჩემი წილი ქვეყანაც გადაიფხვრას, მოისპოს.

770 (761) ნოიუბნეს. ვაზირმან ქმნა...

ყმა წავიდა, სახლად ჩადგეს მზისა წვერნი — ელიფსისია: ყმა წავიდა, როდესაც სახლად ჩადგეს მზისა წვერნი, ე. ი. ყმა წავიდა სალამოს.

ა. მოილაპარაკეს; ვაზირმა დიდი (მათი შესაფერი) მასპინძლობა გამოართა;

ბ. მშვენიერს მშვენიერი ძღვენი უძღვნა;

გ. ავთანდილის მზღებელნი აავსო, როგორც ყმა, ისე ბერი.

დ. გაიყარნენ, ყმა წავიდა, როცა დასალამოვდა.

772 (763) შესთვალა თუ: „რაცა გამართებს...“

ვით მოგცე და ვით გაქონო — სინონიმური თქმაა.

სიყვარული სიყვარულსა შეგიცალო, შეგიწონო — ჩემი სიყვარული შენს სიყვარულს ცალად გავუზადო, გავუთანაბრო (მისი წონის გავზადო).

ა. შეუთვალა: რაც გეკუთნის, როგორ მოგცე, როგორ გაქონო?

ბ. შენი ვალის გადასახდელად მაგიერი, სანაცვლო რა მოვიგონო?

გ. თუ დავრჩი, შენთვის მოვეკვდები, თავსა ჩემსა დავამონებ;

დ. ჩემი სიყვარული, შენს სიყვარულს ცალად, ტოლად გავუზადო, გავუთანაბრო.

773 (764) მე ვითა ვთქვა უებრობა...

ა. მე როგორ ვთქვა უებრობა (შეუღარებლობა), სიკეთე და ქება მისა (ვაზირისა);

ბ. ის იყო კაცი საქმის შესაფერი, შესატყვისი;

გ. აგრე უნდა მოხმარება, ვისაც ვისი დარდი, ნაღველი აქვს;

დ. ვინაიდან: ოდეს კაცსა გაუქირდეს, მაშინაა საჭირო ძმა და შეგობარი.

774 (765) შერმადინს ეტყვის, უბრძანებს...

ა. შერმადინს ეუბნება პირ-მზე, ნათლის მომფენი;

ბ. დღევანდელი დღე ჩემთვის საიმედოა, გულის მალხენი,

გ. შენცა შენი თავის საჩემოდ (ჩემთვის) გამომჩენი

დ. მათი ამბის (ავთანდილისა და შერმადინის) საქებრად საჭირონი არიან მკითხავი და მსმენელი.

775 (766) იტყვის „როსტან არ გამიშვა...“

რაცა საქმე უსამართლო, ღმერთმან ვისმცა შე-
არჩინა — ყველა გამოცემაში, საიუბილეოშიც, რაცა ერთად წერბი-
რაცა არაა სწორი, უნდა რაც ა. მაშინ იგი პირველ წინადადებაში შე-

მასმენელი იქნება. ე. ი. რაც არის საქმე უსამართლო, ღმერთმა ვისმცა შეარჩინა, ე. ი. უსამართლობას ღმერთი არავის შეარჩენს.

ლექსი შორეული ანარეკლია ბიბლიისა:

„უფალი სულგრძელ არს და ღიდად მოწყალე და ჰეშმარიტ, მიმტოვებელ უჭულოებათა, სიცრუვეთა და ცოდვათა, განწმედით არა განწმიდის თანამდები იგი, მიაგის ცოდვანი მამათანი შვლთა, ვიდრე სამად და ოთხად ნათესაუადმდე (რიცხვათა, 14,18).

ა. ამბობს: როსტევეანმა არ გამიშვა, სიტყვაც არ მომისმინა;

ბ. მან არ იცის, რა გაჭირვება მაქვს, ან ვისგან ვსულდგმულობ;

გ. უმისოდ (უტარიელოდ) ცოცხალიც ნუ ვიყო, ნურც გარე, ნურც შინ,
(ე. ი. არსად)

დ. და რაც უსამართლო საქმეა, ღმერთმა ვის შეარჩინოს, ვის აპატიოს.

777 (768) სამი არის მოყვრისაგან...

ნ დ ო მ ა ს ი ა ხ ლ ი ს ა, ს ი შ ო რ ი ს ა ვ ე რ მ ო თ მ ე ნ ა — ნდომა სიახლოვისა, სიშორის ვერ მოთმენა (ჰენდიადისი).

მ ი ს ა დ რ გ ე ბ ა დ — მის სასარგებლოდ.

ა. სამი რამ არის იმისათვის, რომ მეგობარმა მეგობრობა გამოიჩინოს:

ბ. პირველი — სურვილი, რომ მეგობართან ახლოს იყოს;

გ. მეორე — მიცემა და არაფრის დაშურება მეგობრისთვის;

დ. მესამე — განსაკუთრებული ყურადღება და მისთვის (თუ საჭირო შეიქნა) ველად გაჭრა.

778 (769) რადლა ვაგრძელებ სიტყვასა...

რ ა დ ლ ა ვ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ს ი ტ ყ ვ ა ს ა, მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ი — უ ა მ ი ა შე მო კ ლ ე ბ ი ს ა განამტკიცებს პირველ ნახევარს.

ა მ ა გ უ ლ ი ს ა ლ ე ბ ი ს ა — ამ დაღებებულის, ამ ნაცემი გულისა.

ვ ი რ ე დ რ ო გ ქ ო ნ დ ე ს ზ ლ ე ბ ი ს ა — ვიდრე შენ ჩემთან ხარ.

შ ე ნ გ ა ა მ ა გ რ ე დ ა ჭ ი რ ვ ა ჩ ე მ ი ს ა ნ ა ს წ ა ე ლ ე ბ ი ს ა — კარგად დაიმახსოვრე ჩემი ნასწავლები, ჩემი დარიგება. ცოტათი ხელოვნური თქმა სტრიქონის სათანადოდ გამართვის საჭიროებითაა გამოწვეული.

ა. რატომ ვაგრძელებ სიტყვას, დროა, რომ შევამოკლო!

ბ. ახლა ამ ჩემი დაღებებულის გულის წამალი მხოლოდ გაპარვაა;

გ. რასაც გუხვეწები, მოისმინე, სანამ ჩემთან ხარ

დ. და კარგად დაიმახსოვრე ჩემი ნასწავლები.

779 (770) აწ მეფეთა სამსახურად...

უ კ ლ ე ბ ლ ო ბ ა — სისრულე.

ს პ ა თ ა ჩ ე მ თ ა ე თ ა ვ ა დ ე — ჩემს ჯამს ეუფროსე, ესარდლე.

კ ვ ლ ა გ ა ვ ლ ე ნ ა გ ა ა კ ვ ლ ა დ ე — ტავტოლოგიური თქმაა აზრის გასაძლიერებლად, შენი გავლენა, შენი ყურადღება ისევ და ისევ განაგრძე, თუნდაც არ შეანელო.

ა. ახლა თავდაპირველად მეფის სამსახურისთვის მოამზადე თავი;

- ბ. შენი სიკეთე და სისრულე მთლიანად გამოაცხადე, გამოააშკარავე.
- გ. ჩემი სახლი შეინახე (კარგად მოუარე) ჩემს ჯარს ესარდლე
- დ. და დღემდე რომ მსახურებდი, იგი კიდევ უფრო გააძლიერე, არ გაწყვიტო, არ შეამცირო.

780 (771) მტერთა ჩემთა ენაპირე...

- ენაპირე — ბრძანებითია ნაპირობა ზმნისა, ხოლო ნაპირობა ზმნაა ნაპირ სიტყვისაგან. ნაპირი — აქ: საზღვარი.
- მტერთა ჩემთა ენაპირე — ჩემს მტერს საზღვარზე დაუხვდი, საზღვარზე შეებრძოლე, საზღვარში არ შემოუშვა.
- ა. ჩემს მტრებს ებრძოლე, ძალა არ მოგაკლდეს.
- ბ. ერთგულთათვის კარგს ნუ დაიშურებ, ხოლო ორგული შენი მოკვდეს (გაანადგურე);
- გ. თუ მოვბრუნდი, შენს ვალს უთუოდ კარგად გადავიხდი,
- დ. [ვინაიდან] შეფის სამსახური არასოდეს არ დაიკარგება.

781 (772) ესე ესმა, ცრემლი ცხელი...

- სდინდი — უწყვეტელია, ნახშირია ნაცვლად: სდინდისა.
- გინდი — ახლა ქართულით: გინდივარ.
- ა. ეს რომ გაიგონა, შერმადინს თვალთაგან ცხელი ცრემლი ჩამოსდინდა,
- ბ. მოახსენა: მარტობით კირს როგორ უნდა შევეუშინდე, კირს არ შევუშინდები,
- გ. მაგრამ რა ვქნა, რომ უშენობით გულს ბინდი, ბნელი ჩამომაწვება;
- დ. ამიტომ: წამიყვანე სამსახურად, რომ მოგეხმარო, რაშია დაგკირდები.

782 (773) ვის ასმია მარტოსაგან...

- ა. ვის გაუგონია მარტოხელას მიერ ასეთი დიდი მგზავრობა?
- ბ. ვის გაუგონია, რომ პატრონი კირში იმყოფებოდეს და ყმას ერიდებოდეს?
- გ. შენ დაკარგულს გიგონებდე რა ვიქმნები, რად ველირები მე აქ უსაქმური, გამოუღდეგარი?
- დ. ავთანდილმა უთხრა: ვერასგზით ვერ წაგიყვან, რამდენიც ცრემლი არ უნდა ჰღვარო.

783 (774) შენგან ჩემი სიყვარული...

- ვითამც არა დამეჭერა — როგორ თუ არ დავიჭერო!
- ვერ წაგიტან, ვერა, ვერა — ვერ წაყვანის კატეგორიულობა გამოხატულია ანაფორული ალიტერაციით.
- ა. შენგან ჩემი სიყვარული როგორ თუ არ დავიჭერო.
- ბ. მაგრამ დრო ისე გადამმტერა, რომ საქმე (შენი წაყვანა) არ მოხდებოდა.

გ. ვის მივანდო, ვის დაუტოვო ჩემი სახლი, შენ გარდა სხვა შესაფერი არაა; სხვა ვინ უნდა შემეფეროს? ვინ უნდა იყოს ჩემი შესაფერი?
დ. დაწყნარდი, გული დაღევი, დამიჯერე, ვერასგზით ვერ წაგიყვან.

784 (775) თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ...

ერთი ვხამ — ერთს შემეფერის.

ხელი მინდორსა მერებად — გიყი მინდორს რომ დავიარებოდე.

არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად? — ნუთუ გაჭრილი მარტო არ უნდა იყოს, რომ ცრემლს სისხლით იღებავდეს, რომ სისხლის ცრემლს ღვრიდეს?...

გაჭრა ხელია მიჯნურთა — გაჭრა საქმეა, ხელობა მიჯნურთა.

რად სცალს თავისა ფერებად — რატომ მოიცილს იგი, რომ თავის ფერება დაიწყოს.

ა. თუ მიჯნური ვარ, ერთს შემეფერის, რომ მინდორში ხელი დავდიოდე;

ბ. ნუთუ გაჭრილი მარტო არ უნდა იყოს და სისხლის ცრემლს ღვრიდეს, ცრემლს სისხლით იფერავდეს, იღებავდეს?

გ. გაჭრა მიჯნურის საქმეა, რად სცალია მას თავის მოსაფერებლად!

დ. ასეთია ეს სოფელი, დაიჯერე და დარწმუნდი.

785 (776) რა მოგშორდე, მახსენებდი...

ა. როდესაც მოგშორდები, ხშირად მახსენე, ჩემი სიყვარული გქონდეს;

ბ. არ მეშინია ჩემი მტრების, რადგან ჩემი თავი ჩემ ხელთაა;

გ. საჭიროა, რომ გაგულოვნდეს და ჭირში მტკიცედ იყოს, არ დაღონდეს;

დ. მძულს, როდესაც კაცი სასიარტხო, გასაკიცხს საქმეს არ შეითარდებს, არ მიიღებს.

786 (777) მე იგი ვარ, ვინ სოფელსა...

ვინ სოფელსა არ ამოგკრეფ კიტრად, ბერად — ვინც სოფელს (ქვეყანას) არ ჩავადებ, არ მივიჩნევ ბერ კიტრადაც.

თამაშად და მიჩანს მღერად — თამაშად მიმაჩნია მხოლოდ.

ა. მე ის ვარ, ვინც ამ სოფელს, ქვეყანას ბერ კიტრადაც არ ჩავადებს.

ბ. ვისაც სიკვდილი მოყვრისათვის (მეგობრისათვის) თამაშად და მხოლოდ თამაშად მიაჩნია.

გ. ჩემს მზეს (თინათინს) მოვშორდი, მან გამიშვა და რატომ უნდა დავღვე?

დ. მას თუ დავსთმობ, როგორ არ შემეძლია ჩემი სახლის დათმობა და დატოვება.

787 (778) აწ ანდერძსა ჩემსა მოგცემ...

ამას ზედა — ამას იქით.

იტირებდი, დაიღებდი — უწყვეტის ხოლმეობითია, იტირებდაიღე ხოლმე.

დაიდებდი თვალთა მილსა — დიდი ცრემლი ღვარე.

ა. ახლა მოგცემ ჩემს ანდერძს, როსტევანის წინაშე დაწერილს;

ბ. შენ გავედრებ მას, რომ დაგიჭიროს, როგორც შეეფერება ჩემს გაზრდილს;

გ. თუ ვინცობაა მოვკვდე, თავს ნუ მოიკლავ, ეშმაკის საქმეს ნუ იზამ!

დ. ამას იქით იტირე და დაიდე ხოლმე თვალთა მილი, მრავალი ცრემლი ღვარე.

788 (779) დაჯდა წერად ანდერძისად...

ა. დაჯდა ანდერძის დასაწერად, საბრალოს, სავალალოს სათქმელად:

ბ. ეჰ, შეფეო, გავიპარე, რომ ჩემი საქმეები ვძებნო,

გ. არ შემძლია დავდგე, გავჩერდე ჩემი ცეცხლის მომდების შეუურელად, შეუხვედრელად;

დ. [აზიტომ] შემინდე, მაპატიე და დაძლოცე და გამატანე ღვთაებრივი მოწყალება.

789 (780) ვიცი ბოლოდ არ დამიგმობ...

ა. ვიცი, საბოლოოდ არ დამიგმობ ჩემს ამ განზრახულს, ჩემს ამ საქციელს,

ბ. ვინაიდან კაცი ბრძენი — გონიერი ვერ გასწირავს საყვარელ მეგობარს;

გ. შე მოგახსენებ ერთ სიტყვას, პლატონ-ფილოსოფოსის თქმულსა:

დ. სიცრუე და ორპირობა თავდაპირველად ავნებს ხორცს, შემდეგ სულს.

790 (781) რათგან თავია სიცრუე...

ა. რადგან ყოვლის უბედურების სათავეა სიცრუე,

ბ. რატომ გავწირო შე მოყვარე — მეგობარი, რომელიც ყველა ძმის უმტკიცესია?

გ. თუ არ ვიქმთ, თუ არ გამოვიყენებთ ცხოვრებაში, მაშინ რად გვინდა, რას გვარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობა, ფილოსოფოსთა სწავლება.

დ. და სწორედ იმიტომ ვსწავლობთ, იმიტომ ვისწავლებით, რომ ზესთა მწყობრთა წყობას შევეერთო, შევუერთდე.

791 (782) წაგიკითხავს, სიყვარულსა...

ა. ზომ წაგიკითხავს, თუ როგორ სწერენ სიყვარულის შესახებ მოციქულნი?

ბ. როგორ იტყვიან, როგორ აქებენ? გაიგე სცან და ცნობა-გონება შესაფერად მოიხმე, შესაფერად შეუფარდე.

გ. სიყვარული აგვამადლებსო, როგორც ეყვანი ამას ედერენ, ამას ღაღადებენ.

დ. შენ თუ არ გჯერა, უსწავლელი ხალხი როგორ დავაჯერო.

სტროფში ისეა სიყვარული დახასიათებული, როგორც ეს აქვთ მოციქულთ, კერძოდ, პავლე მოციქულს თავის პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (იხ. 1 კორინ. 8, 13).

792 (783) ვინ დამბადა, შეძლებაცა...

ა. ვინც დამბადა, ვინც გამაჩინა, მანვე მომცა შეძლება მტერთა დასაძლევად,

ბ. ვინც უხილავი ძალა და შემწეა ყოველთა მიწიერთა;

გ. ვინც უმწესებს საზღვარს ყველას, ვინც უკედავი ზის ღმერთი ღმერთად,

დ. იგი ერთის წამის ყოფით ერთს ასად გადააქცევს და ასს ერთად.

ი გ ი გ ა ძ ხ დ ი ს წ ა მ ი ს-ყ ო ფ ი თ ე რ თ ს ა ა ს ა დ, ა ს ს ა ე რ თ ა დ — ამგვარ ლექსს ეწოდება ხიაზმისი. მას მაშინ მიმართავენ ხოლმე, როცა გაძლიერებული აზრის გადმოცემა უნდათ.

მღრ. მთლიანად სტროფი:

„და შექმნა ერთისაგან სისხლისა ყოველნი ნათესაენი კაცთანი დამკვდრებად ყოველსავე ზედა პირსა ქუეყანისასა, განაჩინა დაწესებულნი ჟამნი და საზღვრის დადებანი დამკვდრებისა მათისანი მოძიებად ღმერთისა (საქმე მოც. 17,26).

793 (784) რაცა ღმერთსა არა სწადდეს...

ა. რაც ღმერთს არ სურს, ის საქმე არ მოხდება;

ბ. უმზეოდ ია და ვარდი ჰქნება და ხმება.

გ. თვალებს ტურფა საკვრეტელი რამე საუცხოოდ შეენის, უხდება.

დ. და მე როგორ გავძლო უმისობა (უტარიელობა) ან სიცოცხლე როგორ იქნება ჩემთვის სათნო, მოსაწონი.

794 (785) რაზომცა სწყრები, შემინდევ...

ა. მიუხედავად იმისა, რომ სწყრები (რამდენადაც სწყრები) მაინც მპაპტიე შენი მცნების შეცვლა;

ბ. ტყვექმნილს, ძალა არ მქონდა, რომ მომეთმინა,

გ. ამიტომ ჩემი ანთებული ცეცხლის წამალია მხოლოდ წასვლა;

დ. სადაც უნდა ვიყო, არ ვინალელი, ოღონდ ჩემს ნებაზე ვიყო.

795 (786) არას გარგებს სიმძიმელი...

არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა — ჩვეულებრივი პარალელიზმია.

არ გარდავა გარდუვალად — არ ამორდება, არ ასცილდება (კაცს).

გარდავლენა — გადალახვა.

არვის ძალუც ხორციელსა განგებისა გარდავლენა — თავისებური გამოძახილია ახალი აღთქმის სიტყვებისა: „...ნებასა მისსა [ღმერთისა] ვინ-მე წინალუდგა?“ (რომ. 9,19).

ა. არაფრად არ გარგებს მწუხარება, უსარგებლო ცრემლთა დენა,

ბ. არ ასცილდება (კაცს), რაც ზეგარდმო მომავალია,

გ. წესია, რომ მამაკაცმა ჰირს გაუძლოს, ჰირს მოითმენდეს,

დ. რადგან არვის ხორციელს ძალუც აშორება იმისა, რაც განგებით დადგენილია.

796 (787) რაცა ღმერთსა გაუგია...

- ა. რაც ღმერთს დაუდგენია ჩემთვის გადასავლად.
- ბ. გადაჰხდეს და დაებრუნდეს და აღარ დამრჩეს გულში ფერფლად (ხენჯად, შწუხარებად);
- გ. თქვენ განახო მხიარულად, დიდებულად და მდიდრად;
- დ. მას თუ ვარგე, თუ მოვეხმარე, ეს ჩემთვის დიდება და სიკეთე იქნება.

797 (788) მეფეო, ესე თათბირი...

- ა. მეფეო, მომკალი, თუ ვინმემ დამიწუნოს ჩემი ეს მოსახრება!
- ბ. მეფეო, ნუთუ ჩემმა წასვლამ შენ დაგამწუხროს?
- გ. ვერ ვეცრუები, ვერ ვუმტყუნებ, ვერ ვუზამ სალაჩრო, საძაბუნო საქმეს;
- დ. აგრე რომ მოვიქცე, საიქიოს რომ მივალთ, — ორნივე, პირის-პირ შემარცხვენს (პირში წამიდგება და შემარცხვენს).

798 (789) არ დავიწყება მოყვრისა...

ვჭგმობ კაცსა აუგიანსა — ვგმობ კაცსა ძირცხვილიანსა. ძველ გამოცემებში და ზოგ ხელნაწერშია: ვჭგმობ კაცსა უაუგოსა. ე. ი. ვგმობ კაცსა უსირცხვილოსა. ეს ვარიანტი სჯობია. უაუგოს — შეცვალა აუგიანსა-თი მხოლოდ იმიტომ, რომ დალატიანსა — ფორმას ვართმევა, ჩემის აზრით არაა მიზანშეწონილი.

რა უარეამაცსა — უარე, უარესი მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას (არა უარეა მამაცისა). სულ-დიდსა (სულ-დიდი) უპირისპირდება სულმოკლეს — ე. ი. აჩქარებულს, სულწასულს, ე. ი. სულ-დიდი არის თავდაპირველად დინჯი, შემდეგ აუჩქარებელი, დასაარულ, ზარმაცი, რომელიც ყველგან იგვიანებს, მაშასადამე, სულ-დიდი იგივეა, რაც წასვლა გვიანს. აქ სულდიდი არასგზით არ შეიძლება გააზრიანდეს დადებითად, როგორც სულგრძელი.

- ა. მეგობრის არ დავიწყება ზიანს არასოდეს მოგვეიტანს;
- ბ. ვჭგმობ კაცს უსირცხვილოს, ცრუს და მოლაღატეს;
- გ. ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ (ცუდს) იმ მზიანს ხელმწიფეს.
- დ. შეიძლება იყოს უარესი იმ მამაცისა, რომ აუჩქარებელია და წასვლა გვიანს.

799 (790) რა უარეა მამაცისა...

პირის მხმეკელი — პირის მღმეკელი, რომელიც მარად იღმიჭება, იჭლანება.

შედრეკილ-შეშინებულსა — შემდრკალსა შეშინებულსა.
სიკვდილისა მეჭველსა — რომელიც მარად სიკვდილზე ფიქრობს.

ქ ს ლ ის ა მ ბ ე ჯ ვ ე ლ ს ა — ქსლის მბეჭავი. ქსოვა ამგვარად წარმო-
ებს: საქსელაზე გასწვრივ გაიბმება ქსელი (ლარი), შემდეგ განივ მისაქ-
ს ე ლ ი. მქსელავი (მქსოვი) მისაქსელს სპეციალური ხელსაწყოთი, რომელსაც
ეწოდება ბეჭი, მიაძვლარებს ქსელს ერთმანეთზე, რომ ნაქსოვი მტკიცე, მკვი-
დრი გამოვიდეს.

ა. რა არის უარესი იმ მამაცზე, რომელიც ომში მარად იღმიკება, მარად
ტირის,

ბ. რომელიც შედრეკილ-შეშინებულია და მარად სიკვდილზე ფიქრობს!

გ. ძაბუნი, მხდალი კაცი რით სჯობს ქსლის მბეჭავ დედაკაცს?

დ. ჯგობს სახელის მოხვეჭა, დამსახურება ყოველგვარ მოსახვეჭელს, ყო-
ველგვარ სიმდიდრეს!

801 (792) მერმე ვიშიშვი, მეფეო...

ა. მერმე ვშიშობ, მეფევე რომ გითხრა:

ბ. ცდება და ცდება ყოველი, რომელიც სიკვდილს არ მოელის ყოველ
წამს.

გ. მოვა ყოველთა ერთგან შემყრელი, შემოქმედი დღისა და ღამისა...

დ. და თუ ცოცხალმა ვერ გნახე, ასე იცოდე, რომ ყოფა მქონია ჟამიერი,
წუთიერი.

802 (793) თუ საწუთრომან დამამხოს,...

ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისან-
დობელმან უნდა: ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და
ვერცა მისანდობელთა. მხოლოდითი მისანდობელმან
რითმამ გამოიწვია: მ ლ ბ ო მ ე ლ მ ა ნ — ლ მ ო ბ ა სიტყვის მიმღეობა, შე-
ნატკივარი.

გ უ ლ ი მ ლ მ ო ბ ე ლ ი — გული შემატკივარი, გული შემბრაღე.

ა. თუ ყოველთა დამამხობელმა მომსაობმა საწუთრომ მომსაოს, დამამხოს,

ბ. თუ უცხოებაში (მოხეტიალე) მოვკვდი და მშობელმა ვერ დამიტირა,

გ. ვეღარ შენსუდრონ ჩემ მიერ დაზრდილებმა და ვერც მისანდობლებმა,

დ. მაშინ შემიწყალოს თქვენმავე მოწყალე და ლობიერმა გულმა.

804 (795) რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს...

ა. რაც თქვენთვის არ ვარგოდეს საგანძურში (სალაროში) დასადებლად:
შესაწახად.

ბ. ზოგი მიეც სამადლო სახლს, ზოგიც — ხიდთა ასაგებლად;

გ. არ დაიშურო ჩემი ქონება ჩემთვის დასახარჯავად, წასაბურავად.

დ. შენ გარდა მე არავინ მყავს, რომ ჩემი ცეცხლი (მწველი) დაავსოს.

805 (796) ამას იქით ჩემგან ჩემი...

ამ ბ ა ე ი ც ა არ გ ე ე ნ ე ვ ის — ამბის ცნობა არ მოგიფა, ამბავი არ
გეცნობა.

ა რ ა ს მ ა რ გ ე ბ ს, ე შ მ ა კ ის ა ს ა ქ მ ე თ ა გ ა ნ დ ა ე ძ ლ ე ვ ის

—წიგნი არას მარგებს, მხოლოდ ეშმაკის საქმეს დაეძლევის (ენიანი ვნებითა, მოქმედებითში იქნება — დასძლევს).

ა. „პერიდან შენ ჩემს ამბავს ვერ შეგატყობინებ,

ბ. ამიტომ გავედრებ ჩემ სულს, წიგნი მოგახსენებს, არ გეპირშოთნება,

გ. იგი არას მარგებს. [მხოლოდ] ეშმაკის საქმეებისგან დაძლევას მოგეცემს.

დ. მაპატიე და შემიწყალე, მკედარს რაღა მოეთხოვება, მკედარს რაღა უნდა გადამხდეს.

806 (797) გვედრებ, მეფეო, შერმადინს...

ა. გავედრებ, მეფეო, ჩემს რჩეულ მონას შერმადინს,

ბ. უბედურებად დაეკვება მას ჰირი ამ წრევანდელ წელიწადს,

გ. ნუგეში ეც წყალობით, ჩემგან წყალობა დაჩვეულს

დ. და ნუ დაადენ თვალებიდან სისხლიან ცრემლს.

807 (798) გასრულდა ჩემი ანდერძი...

ა. დასრულდა ჩემი ანდერძი ჩემი ხელით დაწერილი

ბ. აჰა, გამზრდელი, მოგშორდი, წაველ გახელებული გულით,

გ. ნუ დარდობთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ ბნელით (შავით) მოსილი.

დ. სუფევით (დღეგრძელი) იყავი, მტერთაგან მოსარიღებელი, მტერთაგან საკრძალავი.

808 (799) მისცა ანდერძი შერმადინს...

ს ა ქ მ ი თ ა მ ე ც ნ ი ე რ ი თ ა — გონივრულად, საქმის ცოდნით.

შ ე ნ დ ა გ ა მ ე ტ ე ბ ს ვ ე რ ა ვ ი ნ — შენ ვერავინ ვერ გაჯობებს.

ა. გაათავა ანდერძი, მისცა შერმადინს

ბ. და უთხრა, რომ მეფეს გონივრულად, საქმის ცოდნით მოახსენეო.

გ. შენ ვერავინ ვერ გაჯობებს ვერავითარი სამსახურით.

დ. მოეხვია და ატირდა, ცრემლითა სისხლის გვართა.

809 (800) ილოცავს, იტყვის: „მაღალო...“

ა. ილოცავს, ამბობს: მაღალო, ღმერთო ხმელთა და ცათაო

ბ. ზოგჯერ მომცემო ტანჯვათა, ზოგჯერ კი სიკეთისა

გ. უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო.

დ. მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის თქმათაო.

810 (801) ღმერთო, ღმერთო, გეაჯები...

ღ მ ე რ თ ო, ღ მ ე რ თ ო, გ ე ა ჯ ე ბ ი, რ ო მ ე ლ ი ჰ ფ ლ ო ბ ქ ე ე -
ყ ნ ა თ ზ ე ს ა — შდრ.

„უფალო ღმერთო, შენ ხარ, რომელმაც ჰქმენ ცაჲ და ქუეყანაჲ და ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს მათ შინა“ (საქმე მოციქულთა, 4,24).

აგრეთვე იოანე მტბევარის საგალობელში:

„რამეთუ მფლობელი ცათაჲ, შემოქმედი ზღუათაჲ და მპყრობელი ქუეყანისაჲ ... უფალი უფლებათაჲ, მთავარი ზეცისა მთავრობათაჲ“ (პ. ინგოროყვა, ძვ. ქართ. სას. პოეზია — გვ. 108).

საზოგადოდ მთელი ლოცვა ჰიმნოგრაფების შემოქმედებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ლოცვაში მოყვანილი ყველა ეპითეთი: „მაღალო ღმერთო, ხმელთა და ცათაო“, „უცნაურო და უთქმელო“, უთუოდ ქართული ჰიმნოგრაფიის ნაკითხობით შეიძლება მხოლოდ აიხსნას⁴⁸.

ა. ღმერთო, ღმერთო, გვევდრები შენ, რომელიც ჰფლობ მთელ სამყაროს (ქვენათ ზესა),

ბ. შენ შექმენ მიჯნურობა, შენ აწესებ მის წესს,

გ. მე საწუთრომ მომაშორა საუკეთესოს ჩემს მზეს,

დ. ნუ აღმოჰფხვრი სიყვარულსა, რომელიც მან (თინათინმა) ჩემთვის დათესა.

811 (802) ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო...

ა. ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო, არვინ მყავს შენ გარდა,

ბ. შენგან ვითხოვ დახმარებას, რამდენადაც გზაში ვიყო,

გ. მტერთა ძლევა (მტერზე გამარჯვება), ზღვათა ღელვა, ღამით მავნე (ბოროტი სული) მომაშორე!

დ. და თუ გადავრჩი, გემსახურები, თაყვანს გცემ და მსხვერპლს შემოგწირავ.

812 (803) რა ილოცა, ცხენსა შეჯდა...

ა. რა გაათავა ლოცვა, შეჯდა ცხენზე და მალულად კარები გავლო;

ბ. შერმადინი დააბრუნა, საბრალომ ცრემლი ღვარა.

გ. ტირის და მკერდსა იცემს, მისმა სისხლმა კლდენი დაღარა,

დ. [და მართლაც] პატრონის ვერ მპყვრეტელმა ყმამ როგორ უნდა გაიხაროს.

ყ მ ა მ ა ნ რ ა მ ც ა გ ა ი ხ ა რ ნ ა — უნდა: ყ მ ა მ ა ნ რ ა მ ც ა გ ა ი ხ ა რ ა . გ ა ი ხ ა რ ნ ა რ ი თ მ ი თ ა ა გ ა მ ო წ ე ე უ ლ ი .

813 (804) აწ ამბავი სხვა დავიწყო...

ა. ახლა დავიწყო სხვა ამბავი და ყმას წავეყვე წასულს:

ბ. იმ დღეს როსტევანი გულ-გამწყრალი იყო და დარბაზობა არ ჰქონია.

გ. გათენდა, მწყრალი ადგა, ასე გეგონებოდა, პირიდან ალს ადენსო, ალს აფრქვევსო.

დ. ბრძანა, ვაზირი მომიხმეთო და იმასაც მოიყვანდნენ მეტად შეშინებულს.

სტროფები 813—829 განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან სწორედ აქ, ამ სტროფებშია მოცემული წაწარმოების ტირილის მოტივი და მისი დანიშნულება.

ცნობილია: მეტად დიდი ადგილი უჭირავს ტირილს ვ.ტ-ში. ტირიან ყველანი, ტირიან მარად — როგორც გაჭირვებისას, ისე დაღონებისას. ვ.ტ-ში ცრემლთა წარღვნაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაგრამ იგი თავისთავად

⁴⁸ იხ. გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ლიტ. ძეგანი, 11, თბ., 1944, გვ. 197—218.

არაფრის მაჩვენებელია. საქმე ის არის, თუ რა განწყობა ამოძრავებს ადამიანს ცრემლთა ფრქვევისას, რისთვის აქვს ადამიანს ცრემლი მომარჯვებელი.

ცრემლი ვ.ტ-ში ოდნავადაც არ მოასწავებს მოქმედ პირთა სისუსტეს და სილაჩრეს. ვ.ტ-ში მტირალი ბევრია, მაგრამ ტირია არც ერთი ტირილი ვ.ტ-ში სიმტკიცისა და სიმაგრის მაუწყებელია, ცრემლთა ფრქვევას ნაწარმოებში სწორედ ეს მიზანი და ეგ დანიშნულება აქვს. ამგვარი გაგება ცრემლისა უთუოდ ხალხურია:

იტიროს, იტიროს, გულს მოიოხებს და გამაგრდებაო.

არა-მტირალი ბეჩავია, მოდუნებული, მტირალი კი მისთვის ტირის, რომ გულით ჭავრი ამოიყაროს და შემდეგ გაათქეცებული ენერგიით ეკვეთოს დაბრკოლებას.

როსტევეანი წინააღმდეგი იყო, რომ აეთანდილი მეორედ წასულიყო. აეთანდილი მაინც გაიპარა. აეთანდილის გაპარვა სიკვდილის შავგვისი საქმეა, მასასადამე, რეაქტიაც ასეთი უნდა მოჰყვეს მას, როგორც უძვირფასესი ადამიანის სიკვდილს მოჰყვება ზოლმე.

814 (805) რა ვაზირი მოწიწებით...

ვერ დავიღე დიდხანს სული — დიდხანს ვერ გავჩუმდი, დიდხანს ვერ დავწყნარდი.

გულის გული — უგულითადესია, უსაყვარლესი.

ა. როდესაც ვაზირი დაინახა, მოწიწებით დარბაზს შექოსული

ბ. როსტევეანმა უთხრა: აღარ მახსოვს გუშინდელი შენი ნათქვამი

გ. მეტად გაწყენინე, დიდხანს სული ვერ მოვითქვი, დიდხანს ვერ დავწყნარდი,

დ. ომდენად გაგლანძღე შენ, ჩემი გულითადი, უსაყვარლესი ვაზირი.

815 (806) თულა გახსოვს, რად უნდოდა...

წყენააო პირთა ბადე — უმჯობესია: წყენააო პირთა მბადე, ე. ი. წყენაა პირის წარმომშობი, პირის დამბადებელი.

საქმე ხოლე გაიცადე — საქმე ხოლმე განსკვრიტე, საქმეს წინასწარ შეხედე.

ა. თუ გახსოვს, რა უნდოდა (ავთანდილს) აგრე ცუდად რატომ გაგხადე?

ბ. მართლად (სწორად) უთქვამთ მეცნიერებს: წყენააო პირთა მბადე.

გ. ამგვარი რამ არასოდეს არ ჩაიღინო, საქმე წინასწარ გაარჩიე ხოლმე, საქმეს წინასწარ გახედე;

დ. ახლა კი მითხარი დაწვრილებით ყველაფერი.

816 (807) კვლა მოახსენა ვაზირმან...

ნაგუშინდელევი სიტყვა — გუშინ ნათქვამი სიტყვა.

შესთვალა პასუხი არ ნაგრძელევი — მოკლედ უპასუხა.

უშმაგო — არაშმაგი, ჭკუიანი.

ვარმცა ურია მე ლევი — ეს თქმა ბიბლიიდანაა, სახელდობრ, შესაქმეთა 34-ე თავში: ებრაელთა მამამთავრის ქალი დინა უპატიო ჰყო სვიქემ, ქორძეველმა მთავარმა; სვიმონმა და ლევამ შური იძიეს, შევიდენ შეურაცხმყოფელის სამეფოში და ამოწყვიტეს ყველა მამაკაცი, ე. ი. სასტიკად, დაუნდობლად მოიქცენენ — ე. ი. შენ თუ უშმაგო მგონიხარ, მაშინ მე ურია ლევი ვყოფილვარ.

თვარა მე სრულად გელევი — თორემ მე სრულიად, სავსებით შეგელევი, ე. ი. გაფწირავ, მოგსპობ. მოიპოვება სხვა ვარიანტიც: თვარა მე სულად გელევი — თორემ მე სულად გელევი — ე. ი. მოგკლავ, ან შემოგაკვდები.

ა. ვაზირმა ისევ მოახსენა გუშინ ნათქვამი.

ბ. გაიგონა თუ არა ეს როსტევეანმა, მოკლედ უპასუხა:

გ. შენ თუ შმაგი, გიჟი არ მეგონო, მაშინ ვიყო მე ურია ლევი;

დ. ამის მეტად არ მითხრა, არ გამაგონო თორემ მე სრულიად, სავსებით შეგელევი, მოგსპობ.

817 (808) რა გამოვიდა, ვაზირმან...

ა. ვაზირი გამოვიდა და დაუწყო ძებნა ავთანდილს;

ბ. მტრალი მონები უთხრობდნენ, რომ გაიპარაო,

გ. ვაზირმა თქვა: მე ღარბაზში ვერ შევალ, მახსოვს, რაც მე გაჭირვება ღამადგა,

დ. ვისაც უნდა, მან მოახსენოს, მე რაც ვთქვი, იმასაც ვნანობ.

მინანი — აჰ: ავთანდილი.

818 (809) რა ვაზირი არ შევიდა...

გზავნის — მრავალგზისია, უნდა: გაგზავნის: გზავნის რიტმმა გამოიწვია.

კმუნვა გაათავნის — კმუნვა გაათქეცა, გაამრავლა.

ვინ მარტომან ასთა ავნის — ის, ვინც მარტოდ მარტო ასს მოერევა: ავთანდილი.

ა. რაკი ვაზირი არ შევიდა, მეფემ ისევ კაცი გაგზავნა;

ბ. კაცმა გაიგო ყველაფერი და გარეთ დადგა, წასვლა ვერავინ გაამჯღავნა;

გ. როსტევეანს ექვი შეეპარა და ამის გამო კმუნვა, მწუხარება გაამრავლა.

დ. და თქვა: ავთანდილი უთუოდ გაიპარაო.

819 (810) თავდადრეკით იგონებდა...

ა. თავდადრეკით იგონებდა, (ანვთანდილს) გულში დიდი მწუხარება ჰქონდა,

ბ. ერთი ამოიოხრა და აიხედა და მონას უბრძანა: წადი,

გ. მოვიდეს ის ფლიდი (ვაზირი) და მიაშბოს, რაშია საქმე!

დ. ვაზირი შემოვიდა, ფერმკრთალი და მორიდებული.

820 (811) კვლა შევა დარბაზს ვაზირი...

დაღრეჯით, არ მხიარულად — პენდიადისია.

წასულა მზე დაუდგომლად, მთვარულად — დაუდგომელი — ერთ ადგილას ვერ მდგომი, გაუჩერებელი, სწრაფი ჩქარი. მთვარული — მთვარის მსგავსი. მთვარულად — ისე როგორც მთვარე გაიპარება, უჩინრად.

მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად — ანაფორული ალიტერაციითა და პარანომაზიული თქმით არაჩვეულებრივად ხაზგასმულია ავთანდილის გაპარვის ამბავი.

ა. ვაზირი მეტად მოწყენილი იყო,

ბ. მეფემ ჰკითხა: წასულა მზე (ავთანდილი) დაუდგომლად, მთვარესავით?

გ. ვაზირმაც მოახსენა ყველაფერი, თუ როგორ წასულიყო ფარულად,

დ. მზე აღარ მზეობს დღეს მზეებრ, დარი არ დარობს დარულად.

821 (812) რა მეფემან მოისმინა...

სინათლისა ეგე სვეტნი — ნათელი ტანი, იგულისხმება ავთანდილი.

ა. მეფემან მოისმინა და მეტისმეტად შეიკივლა;

ბ. მოთქვამს, ამბობს, ვაი ჩემო გაზრდილო, ამიერიდან ველარ განახვენ ჩემი გარეტიანებული თვალები;

გ. პირის ხოკით (კაწვრით), წვერების გლეჯით გააკვირვა ყველანი;

დ. რად წახვედი და სად დაკარგე შენ ეს ნათელი ტანი.

822 (813) თუ თავი შენი შენ გახლავს

აწ სახლად მმართვებს სენები — სენა თოხია ქვედა სართულში, ბნელი. ძველად მწუხარების ნიშნად მემგლოვი საცხოვრებელი ბინიდან სენაში გადადიოდა და იქ ერთ წელიწადს ცხოვრობდა.

ა. თუ თავი შენი შენ გახლავს (თუ ცოცხალი იქენი) ცხადია, მარტოდ, ობლად არ იქნები.

ბ. მაგრამ მე რა ვქმნა, ჩემო გაზრდილო, ამიერიდან სენაში (ბნელში) უნდა გადავსახლდე;

გ. გამაღარობე, დამტოვე, საწყალი ჩემი გული ვის უნდა ენებოს.

დ. და სანამ შენ განახვდე ჩემს ტანჯვას ვერავითარი ენა ვერ იტყვის.

823 (814) ოდეს განახავ მხიარულსა...

სასმენელად მემას რულსა — სასმენელად მემას რაულს, როგორს.

საჯდომსა და სრასა სრულსა — ტახტსა და სასახლეს.

სრულსა — სრული ზედსართავია სრა სახელისაგან.

824 (815) ვიცი, არ მოგკლავს შიმშილი...

- ა. ვიცი არ მოგკლავს შიმშილი, რამდენიც ბევრი არ იარო,
- ბ. შენ შენი მკლავი და შენი მშვილდისარი დაგარჩენს,
- გ. ეგების ღმერთმა წყალობა მოიღოს ჩვენზე და ჭირი გაგვიადვილდეს, ეგების დაბრუნდე!
- დ. მაგრამ, თუ მოვეკვდი, ჩემო გაზრდილო, ვისგანა დავიტირები, ვინ დამიტირებს?

825 (816) ზარი გაისმა, შემოკრბა...

- ა. გაისმა ზარი, მრავალი კაცი შემოკრბა,
- ბ. დარბაზში დიდებულნი წვერებზე ხელს იტაცებდნენ,
- გ. იგლეჯდნენ, ყველანი თავში იცემდნენ;
- დ. ამიერიდან გვმართებს, რომ სიბნელეში ვიყოთ, რადგან მზე ჩვენი (ავთანდილი) ჩაესვენა.

826 (817) რა მეფემან დიდებულნი...

- ა. როდესაც მეფემ დიდებულნი დაინახა, ამოიხრა და შესტირა:
- ბ. ხედავთ, მზემ შუქი როგორ სრულად გაგვიძვირა?
- გ. რა ვაწყენინეთ, რა შევცოდეთ, რატომ მიგვატოვა, რატომ გაგვწირა,
- დ. სპათა, მისგან ნაჭირნახულევს, მისგან ნაპატრონებს, ამიერიდან ვინ უჭირნახულოს, ვინ უპატრონოს?

827 (818) ყოვლნი ტიროდის, მოსთქმიდეს...

- ა. ყველანი ტიროდნენ, მოთქვამდნენ, შემდეგ დავგიანებით დაწყნარდნენ.

- ბ. მეფემ ბრძანა: აბა, იკითხეთ, მარტო წავიდა, თუ ყმა ახლავს?
- გ. მოვიდა შერმადინი მოშიშრად, სირცხვილიანად
- დ. ანდერძი მორათვა და ატირდა, სიცოცხლე ეზარებოდა.

რუსთაველი განსაკუთრებული ხელოვნებით, ადამიანის ფსიქოლოგიის იშვიათის ცოდნით გადმოგვცემს როსტევეანის თანდათან მზარდს მწუხარებას. ფსიქოლოგიურად აქ ისეთი მდგომარეობაა, თითქოს ესესაა ძვირფასი ადამიანი მომკვდარათ. ბუნებრივია, მაშინვე იგონებ გარდაცვლილის ცხოვრების სხვადასხვა მომენტს. ეს გახსენება იწვევს დიდ მწუხარებას („თავდადრეკით იგონებდა“), მაგრამ ამგვარი მდგომარეობა დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს: არ გჯერა სიკვდილი ახლობლისა, ცდილობ შეამოწმო სამწუხარო ამბავი („უში ქმნა და აიხედნა“, უბრძანებდა მონას: „მიდი, მოვიდეს და აწ მიაბზოს“). ვაზირი შემოვიდა დადრეკით. მაშასადამე, ვაზირის სახე ყველაფერს ამბობს. ამიტომ მეფემ კი არ ჰკითხა, სად არის ავთანდილიო, არამედ თავისთავს დაუდასტურა ავთანდილის გაპარვა („წასულა მზე დაუდგომლად“). პირველ შეცხადებას მოჰყვა მოთქმა-გოდება. აქ ყოველი დეტალი გადმოგვცემს ჩვენში გავრცელებულ ხალხურ რიტუალს.

საგულისხმოა ერთი დეტალი. ჩვენში წინათ, უკანასკნელ დრომდე განმტკიცებული იყო შემდეგი წესი: როდესაც ვისმე ძვირფასი ადამიანი მო-

უკვდებოდა, ჰირისუფალი, ნიშნად დიდი გლოვისა, თავის ბინას ტოვებდა განსაზღვრული დროის განმავლობაში სპეციალურად გაკეთებულ ბნელ სადგომში — სენაში გადადიოდა („აწ სახლად მმართებს სენები“).

ავთანდილის გაპარვის ამბავი სხვებმაც გაიგეს: მეგობრებმა, ნათესაებებმა („ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავალი კაცისა“).

მაგრამ მაღალი ტირილი მარად შეუძლებელია, ხმა თანდათან ეშვება, იწყება ტირილი („ყოველნი ტიროდეს, მოსთქმიდეს“).

828 (819) მოახსენა: „საწოლს ვპოვე“...

- ა. მოახსენა, ეს ანდერძი მისგან დანაწერი, საწოლში ვპოვე,
- ბ. მონები ნატირები იღვნენ, ყველას თმა და წვერი დაეგლიჯა,
- გ. იგი მართო გაპარულა, არავინ არ ახლავს,
- დ. და მე თუ მომკლავ, მემართლებით, სიცოცხლე ჩემთვის შეუფერებელია.

829 (820) რა ანდერძი წაიკითხეს...

- ა. წაიკითხეს ანდერძი და ისევ დიდხანს იტირეს.
- ბ. მერმე როსტევანმა ბრძანა: ჩემი ჯარი მხიარულს ნუ ჩაიცვამს,
- გ. ვამლოცველოთ დავდრომილნი, ობოლნი და ქვრივნი,
- დ. შევეწითოთ, ღმერთმა რომ მშვიდობის გზა მისცეს.

830 (821) მთვარე მზესა მოეშორვოს...

- ა. მთვარე მზეს რომ მოშორდეს (დასცილდეს), მას მოშორება გაანათლებს (სინათლეს მისცემს);
- ბ. თუ ეახლება (დაუახლოვდა), მუჭი დაწვავს, თუ გაეყრება, ვერ დაიბახლოვებს;
- გ. ვარდს უმზეობა გაანმობს და ფერს წაართმევს;
- დ. ჩვენც. საყვარლის ვერ ჰკრეტა (უნახველობა) ძველ ჰირს გაგვიახლებს.

831 (822) აწყა დავიწყებ ამბავსა...

- ა. ახლა დავიწყებ მიმავალი ყმის ამბავს.
- ბ. მიდის და მისტირის გულმდუღარედ, ვერ ვიტყვი, რომ ცოტა ცრემლს ღვრიდეს;
- გ. წამ-წამ მობრუნდებოდა ხოლმე, იხვეწებოდა, რომ მზე (თინათინი) მისთვის მზედ ყოფილიყო;
- დ. უჭკრეტდა ხოლმე, თვალს ვერ აშორებდა, თუ მოაშორებდა, ცნობა ეკარგებოდა.

832 (823) რა მიეახლის დაბნედალ...

- ა. როდესაც დაბნედალ უახლოვდებოდა, ვერ ახერხებდა ენის დაჭკრას,
- ბ. თვალებიდან ცრემლი მოსდიოდა, თითქოს დილაჯის დენაო.

გ. ზოგჯერ უკან დაბრუნდებოდა ხოლმე, რომ ტანჯვა დაეთმინა.
დ. და როდესაც გაემართებოდა, არ იცოდა, თუ სად არბევდა ხოლმე მას ცხენი.

833 (824) თქვა: „ჩემო, შენი შორს მყოფი...“

ა. შენგან შორს მყოფი, კრულ იყოს, ვინც გაჩუმდეს,
ბ. რადგან ჩემი გონება შენთან დარჩა, გულიც [ბარემ] შენკენვე დაბრუნდეს,
გ. ჩემს მტირალ თვალებს მხოლოდ შენი შეხედვა სწადდეს და უნდოდეს.
დ. სჯობს საყვარელს მეგობარი რამდენადაც არ დაუძაბუნდეს იგი.

834 (825) მე რა ვქმნა შენად შეყრამდის...

ა. მე რა ვქმნა შენთან შეხვედრამდე, ან როგორ ვიფიქრო ლხენა,
ბ. თავს მოვიკლავ, რომ ვიცოდე, შენ არ გეწყინება.
გ. მაგრამ შენ არ გაწყენინებ, როდესაც მოისმენ [გაიგებ] ჩემს არ სი-
ოცხლეს, სიკვდილს,
დ. [ამიტომ] მოდი ცოცხალმა ვიტურო და კვლავ ცრემლი ვღვარო.

836 (826) იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად...“

იმ ატრიბუტების მიხედვით, რომელიც აქ მზეს მიეწერება, უცილობელია, რომ აქ ღმერთზეა ლაპარაკი. „უფალი ღმერთი მზე არს და ფარი“ (ფს. 83,12). ე. ი. ერთარსება, ე. ი. სამპიროვნება მხოლოდ ერთი ღმერთია და არა სხვა ვინმე. ამასთანავე აქ სხვა ნიშნებიცაა იმისთანა, რომლის მიხედვით მზეში ღვთის ხატება და მსგავსება უნდა შევიცნოთ.

მზიანი დამე — აქ: ღმერთის ატრიბუტია, ღმერთია.

„ღმერთი ნათელ არს“ ე. ი. მზიანია. ამავე დროს „ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს“ (იოან. 1,5). ღმერთი ბნელია, გამოუცნობია, მაგრამ თვით ღმერთი გამოუცხადებს თავისთავს ადამიანს; ამდენად იგი ნათელია, დღეა, მზეა... ერთი სიტყვით, ღმერთი ნათელ-ბნელია, ე. ი. მზიანი დამეა („ვინ ხატად გთქვენს მზიანისა ღმერთად“). ღმერთი დაუსაბამოა, დროით განუსაზღვრელია, მარად არსია, ე. ი. უუამოა. რაღაა უამისად? — უამიერი, დროზე მოვლენილი.

837 (827) ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან...

ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან — აქ ქრისტიანადმი მიმართვა უნდა იყოს, ვინაიდან ხატად ღმრთისად სწორედ ქრისტია წოდებულნი. „რომელი-იგი ხატი ღმრთისაჲ იყო“ (ფილპ. მიმართ. 2,6).

ა. ვისაც ღვთის ხატად გთვლიან წინანდელი ფილოსოფოსები,
ბ. შენ მიშველე მე ტყვედ-ქმნილს, რომელსაც ჯაჭვი, რკინა მაბია,
გ. ბროლ-ბადახშის (ტარიელის) მძებნელმა, სათი, მინანქარი (თინათინი) დაკარგე,

დ. მაშინ (ამას წინეთ) ვერ გაველ სიახლოვე (თინათინისა), ახლა სი-
შორეს უნანობ.

838 (828) ამას მოთქმიდის, იწვოდის...

- ა. ამგვარად მოთქვამდა, იწვოდა, როგორც სანთელი დნებოდა,
- ბ. დაყოვნების უშინოდა, და ამიტომ მეტად ისწრაფოდა,
- გ. შეუღამდებოდა და ვარსკვლავთა ამოსვლა ეაშობოდა,
- დ. მას (თინათინს) ამსგავსებდა, ილხენდა, უჭკრეტდა, თითქოს ესაუბრე-
ბოდა.

839 (829) მთვარესა ეტყვის: „იფიცე...“

- ა. მთვარეს ეუბნება: იფიცე შენი ღვთის სახელი, იწამე ღმერთი,
- ბ. შენ ზარ, რომ მიჯნურთ მიჯნურობის სენს შეჰყრი,
- გ. [მაგრამ] შენვე გაქვს წამალი იმისა, რომ ჰირი დათმოს,
- დ. შემახვეწე, რომ შენ გამო, შენის წყალობით შენებრ მშვენს (თი-
ნათინს) შევეყარო.

840 (830) ღამე აღხენდის, ღღე სჯიდის...

- ა. ღამე აღხენდა ხოლმე, ღღე სჯიდა (აწუხებდა), ელოდებოდა მზის ჩას-
ვლას,
- ბ. წყალს რომ დაინახავდა, გადახტებოდა, უჭკრეტდა მის ჰაელს, მის
ჩქერს,
- გ. მას თან ურთავდა თავის სისხლის ცრემლთა ნაკადს.
- დ. და ისევ და ისევ მიისწრაფოდა თავის გზაზე.

841 (831) მარტო მოსთქმიდის, ტიროდის...

- მოკლის, შეწვის, ჰამის, წავიდის — ნამყო ხოლმეობითია,
მრავალგზისი საქმიანობაა გადმოცემული: კლავდა ხოლმე...
- გ უ ლ-მ ა რ ი ხ ი ა ნ ი — მ ა რ ი ხ ი ო მის ღმერთია, გულადი, შეუპო-
ვარი, აქედან გ უ ლ-მ ა რ ი ხ ი ა ნ ი — გულადი, მტკიცე, შეუპოვარი.
 - ა. მარტოდ-მარტო მოთქვამდა ხოლმე და ტიროდა ტანად აღვისა
ხიანი,
 - ბ. მინდორში თხას მოკლავდა ხოლმე, სადაც კლდიანი ადგილი დახე-
დებოდა,
 - გ. შეწვავდა, ჰამდა და მიდიოდა ხოლმე პირმზე გულ-მარხიანი.
 - დ. და ამბობდა ხოლმე: დავყარე, დავტოვე მე ვარდი და ია.

842 (832) აწ ვერ ვიტყვი მაშინდელსა...

- ა. ახლა ვერ ვიტყვი, ვერ გადმოვცემ იმ ყმის მაშინდელ ნაუბარს,
- ბ. რას ამბობდა, რას მოთქვამდა, როგორ ტურფას, როგორ გვარსა,
- გ. ზოგან თოვლი გაეწითლა ლოყას ბრქალით ნახოკარს,
- დ. დაინახა გამოქვამული, გაუხარდა ზე გამოვიდა გამოქვამულის კარს.

843 (833) რა ასმათმან დანახა...

- ა. ასმათმა რომ დანახა, მოეგება, ცრემლი სწვთებოდა,
- ბ. როგორ ეამა, სათანადო სიხარულს მართლაც ვერ მისწვდებოდა;
- გ. ყმა გადახდა, მოეხვია, აკოცა და ლაპარაკი დაუწყო,
- დ. კაცი კაცს რომ მოელოდეს, მოსვლა დიაღაც ეამება.

844 (834) ყმა ქალსა ეტყვის: „პატრონი...“

- ა. ყმა ქალს ეუბნება: სადაა და როგორ პატრონი (ტარიელი);
- ბ. ქალი მეტად ატირდა და უპასუხა;
- გ. შენ რა წახვედი, მას გაუჭირდა ქვაბში ყოფნა და გაიჭრა
- დ. და ახლა მისი არაფერი ვიცი არც ამბად და არც ნახვით.

845 (835) ყმა დაჭმუნდა, ვითამც რამე...

- ა. ყმა დამწუხრდა, თითქოს ლახვარი რამე ჰკრეს გულში;
- ბ. ქალს უთხრა: აპა, ჩემო დო, მაგისტანა კაცი არც უნდა იყოს ქვეყანაზე;
- გ. როგორ გატეხა ფიცი, მე არ ვეცრუვე, თვითონ როგორ მეცრუა,
- დ. თუ ვერ იქმოდა (ვერ შეასრულებდა), რატომ დამპირდა და თუ დამპირდა, რატომ მოიტყუა?

846 (836) მე უმისოდ სოფელს ყოფა...

- ა. რადგან უმისოდ ყოფნა ამ ქვეყნად ჩირადაც არ მიღირდა,
- ბ. რატომ დავეიწყდი, როგორც მოვშორდი, რატომ ვერ გაძლო, როგორც კი გაუჭირდა;
- გ. მან ფიცის გატეხა რატომ იკადრა, რადგან დამპირდა?
- დ. მაგრამ ჩემი ავი ბედისაგან როგორ უნდა გამიკვირდეს?

847 (837) კვლა ქალი ეტყვის: „მართალ ხარ...“

- ა. ისევ ქალი ეუბნება: მართალი ხარ, რომ მაგ ამბავმა შენ დაგამძიმა,
- ბ. მაგრამ თუ მართალი გაბრჭო, ე. ი. თუ მართალი გითხრა, ნუ იფიქრებ შენ, ნუ შეიტან ეჭვს, რომ მე ვპირმოთნეობ;
- გ. ნუთუ გული არ უნდა ფიცისა და პირობის შესრულებას;
- დ. იგი კი (ტარიელი) უგულოდაა და მართლაც მოელის დღეთა შემოკლებას, სიკვდილს.

848 (838) გული, ცნობა და გონება...

- კაცთაგან განაკიდია. უნდა: კაცთაგან განაკიდია.
- განაკიდია — რითმისთვისაა.
- ა. გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზეა დამოკიდებული;
- ბ. რა გული წავა, შეაჩერებს თავის მოქმედებას, ისინიც წავლენ და იმავე გზას დაადგებიან;

გ. კაცი [ასეთ დროს] ვერ კაცობს, ადამიანთაგან იგი გაკიდვანებულია.
დ. შენ არ გინახავს, არ იცი, მას რომ ცეცხლი სწვავდა.

849 (839) შენ უმართლე ხარ, ემდურვი...

- ა. შენ უფრო მართალი ხარ, ემდური, შენ გაეყარე ძმობილს;
- ბ. მაგრამ როგორ ითქმის, თუ როგორც ვახდა (მოიქცა), როგორ გიამბობ გონიერს;
- გ. ენა დაშვრება (დაიქანცება), გაცედება, გულს შეებრალება მტკივნეულს.
- დ. ამას იმიტომ ვფიქრობ აგრე, რომ მე, უბედურს, თავად მინახავს იგა [ავგვარ მდგომარეობაში].

850 (840) ჯეროთ მისი მსგავსი სასჯელი...

- ა. ჭერჭერობით მისი მსგავსი სასჯელი არვის ამბადაც არ გაუგონია;
- ბ. არამც თუ კაცს, ამგვარი სასჯელი ქვათაც კი შეაძრწუნებს;
- გ. დიჯლადაც იქმარებს, მას რომ თვალთაგან ცრემლი სდენია
- დ. და თვით თქვენ რასაც ბრძანებთ, მართალი იქნებით, ვინაიდან სხვა სხვის ომში ბრძენია.

851 (841) მას წამავალსა ვკითხვედი...

- ა. მას დამწვარს ცეცხლმოდებულს წასვლისას ვკითხავდი:
- ბ. მითხარი, რა ქმნას ავთანდილმა, რა მოვიდეს, დამაბარე ავთანდილის დობილს (ე. ი. შე);
- გ. მიბრძანა: მომნახოს სადმე, მე მისთვის გაცულებული, მისთვის დაკარგული;
- დ. ამ არე-მარეს არ დავყრი, არ დავაგდებ, არ გავტეხ დაპირებულს.

852 (842) მას ზენაარსა არ გავსტეხ...

- ა. მას ფიცს არ გავუტეხ, არ ვეცრუები;
- ბ. დანიშნულ, დაპირებულ დრომდე მოვიციდი, მიუხედავად იმისა, რომ ცრემლის რუ გამდის;
- გ. თუ მკვდარი მნახოს, დამმარხოს, ივაგლახოს
- დ. და თუ ცოცხალი დავხვდი, გაუკვირდეს, რადგან სიცოცხლე საეჭვოა.

853 (843) ჩემთვის გარდახდა მას აქათ...

- ა. მას აქეთ ჩემთვის დასრულდა მზის ჩასვენება, მას აქეთ მზე ჩემთვის ჩაესვენა;
- ბ. მარტოოდენ ცრემლებს ვღვრი, ველთა დასალამებელს,
- გ. ხელქმნილს მტანჯავს განუწყვეტელი ოხვრის გამრავლება.

დ.[ერთი სიტყვით], დავიწყებებარ სიკედლისა, ნახეთ ბედის უკუღ-
მართობა.

854 (844) ესე არაკი მართალი...

- ა. ეს მართალი ამბავი ჩინეთში ქვაზე სწერია;
- ბ. ვინც მოყვარეს (მეგობარს) არ ეძებს, იგი თავის მტერია;
- გ. ახლა ზაფრანაა, გაყვითლებულა, ვისაც უწინ ვერც ვარდი შეედრებო-
და, ვერც ია;
- დ. და თუ მონახავ, მონახე, ქმენ რაც შენ შეგეფერება.

855 (845) ყმამან უთხრა: „უმართლე ხარ...“

- ა. ყმამ უთხრა: მართალი ხარ, რომ არ მამართლებ მის სამდურავად,
- ბ. მაგრამ განსაჯე, რა სამსახური გამიწევია ტყვეს ტყვისთვის;
- გ. ჩემი სახლიდან წამოვსულვარ, როგორც ირემი წყლის საძებნად,
- დ. მას ვეძებ და ვერ მინახავს, დავდივარ ველიდან ველზე.
„ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სუ-
რინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო“ (ფს. 41,1).

856 (846) ბროლ-სადაფნი მარგალიტსა...

- ბ. თინათინს მოვმორდი. ვერ ვეახელი, ვერ ვისურვე (ჩემთვის) ვერ ვა-
სურვე (მას);
- გ. გამოპარვით წამოსულმა ღვთის სწორი (როსტევეანი) მოვიმდურვე
- დ. და იმის ნაცვლად, რომ მისგან წყალობანი მიმელო, მისი გული შე-
ვაწუხე, დავაღონე.

857 (847) პატრონი ჩემი გამზრდელი...

- ა. ჩემი გამზრდელი პატრონი, ღვთის წყალობით ცოცხალი,
- ბ. მშობლიური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობის გადმომთოვი;
- გ. მას ეუორგულე, წამოველ და დავივიწყე ყოველი;
- დ. მისი შემეცოდე ღმრთისაგან არავითარ სიკეთეს არ მოველი.

858 (848) ესე ყველაი ასრე მჭირს...

- ა. ეს ყველაფერი აგრე მჭირს მისი წყალობით;
- ბ. არ ვიტყუვე, და დღისით და ღამით ნამგზავრი, მოვედი;
- გ. ის კი, ვისი ცეცხლით ვიწვი, სხვაგან წასულა;
- დ. ტყუილებრალოდ დაქანცული, მტირალი, ვზივარ, მოწყენილი, მო-
ღუშული.

859 (849) დაო მეტსა საუბარსა...

- ა. დაო, ამის მეტს საუბარს დრო არ მაძლევეს;
- ბ. არ ვინანი გარდასრულს, რაც გარდამხდა, რომ ბრძენთა სიტყვა არ გა-
ვაწბილო;

გ. წავალ, ვძებნი, ან ვპოვებ, ან სიკვდილს მოვიადრებ,
დ. თორემ ბედი ამზომ თუ გადამიწყვეტს, მაშინ ღმერთს რაღა ვუთხ-
რა, რაღა ვჰკადრო.

860 (850) ამის მეტი აღარა თქვა...

- ა. ამის მეტი აღარაფერი თქვა, ატირდა და წამოვიდა;
- ბ. გამოქვამული ჩავლო, წყალი გარდაიარა, შამბი გავლო, ველს გავიდა;
- გ. ველიდან მონაქროლი ქარი მის ლალისფერ ლაწვეებს ყინავდა
- დ. და რად მიმეც ამისთანა ჰირსო, ბედს ამას ემდუროდა.

უქვევლია გამობრუნებული ავთანდილი აჩქარებულად წამოვიდოდა, რაც
პოეტს მეტი ექსპრესიისათვის იშვიათი უკავშირობით აქვს გადმოცემული.

861 (851) იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე...“

- ა. ამბობს: ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსებათ მხედველსა;
- ბ. რატომ გამყარე, მომამორე მოყვარეთ, რატომ შემასწარ ამისთანა
ბედს;
- გ. ერთი ორის მხსენებელი (თინათინისა და ტარიელის) სასიკვდილო,
დასაღუპავ საქმეში ვარ ჩავარდნილი;
- დ. ბარემ, მოვკვდე, თავი არ მებრალება, ჩემი სისხლი ჩემს კისერზე
იყოს.

862 (852) მოყვარემან ვარდის კონა...

- ა. მოყვარემ (მეგობარმა) ვარდის კონა გულში მკრა და დამიწყულულა,
- ბ. ფიცი, ჩემგან შესრულებულნი, მან აღარ შემისრულა;
- გ. მას თუ გამყრი, თუ მომამორებ, საწუთრო, მაშინ ჩემი ღბინი გათავე-
ბულა,
- დ. რადგან სხვა მეგობარი ჩემს გულში ფაკიცხულა, გაბასრულა.
გ ა კ ი ც ხ უ ლ ა , გ ა ბ ა ს რ უ ლ ა — სინონიმებია: გალანძლულა, შერცხვე-
ნილა.

863 (853) კელა იტყვის: „მიკვირს ნაფლელი...“

- ა. ასევე ამბობს: მიკვირს წუხილი ჰქუიანი კაცისაგან;
- ბ. რო მკმუნეარებდეს, რო დარდობდეს, რას არგებს, რად გამოადგება
ცრემლია დენა;
- გ. სჯობს გამოჩრევა, მოფიქრება შესაფერი საქმისა.
- დ. და ჩემთვისაც უკეთესი იქნება, რომ მოვნახო მზე ლერწამტანი (ტა-
რიელი).

864 (854) ყმა გაემართა საქებრად...

- ა. ყმა ავთანდილი გაემართა საქებრად, მტირალი, ცრემლთა მფრქვეველი;
- ბ. ეძებს, უძახის, უყივის ღამეებს დღესავით აიუნებდა.

გ. მესამე დღისთვის მან უკვე მოვლო მრავალი ხევი, შამბნარი, ტყე და ველი;

დ. ვერ ნახა, განაგრძობდა გზას მწუხარე, ვერავითარი ამბის გამგები.

865 (855) იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე...“

ა. ამბობს: ღმერთო, რა შეგცოდე, ასე დიდი რა გაწყენნე,

ბ. რატომ შემასწარ ამისთანა ბედს, სასჯელი რად მომივლინე,

გ. გამკითხველო (უზენაესო მოსამართლე!) გამიკითხე, სამართალი მოილე ჩემზე, ხვეწნა ჩემი შეისმინე.

დ. დაამოკლე ჩემი სიცოცხლე, ამით გამიქარვე ჭირი.

866 (856) მივიდოდა, მიუბნობდა...

სადავე უკუყრილი — აღვირახსნილი, სადავე აშვეებული.

ა. მიდოდა და მოლაპარაკობდა ყმა მტირალი, ფერშეცვლილი.

ბ. გადაადგა ერთს ქედს და გამოჩნდა მზიან-ჩრდილიანი ველი,

გ. დანახა, რომ შავი ცხენი დგას სადავე აშვეებული,

დ. თქვა უცილოდ იგია (ტარიელის ცხენია), არ უნდა ამას დავა, ლაპარაკი.

867 (857) რა შეხედნა, ყმასა გულმან...

რა შეხედნა — იგულისხმება თვალნი,

გულმან გაუფეთქნა — იგულისხმება ობიექტი მრავლობითში.

უათასდა, არ უათდა — გაძლიერებული სიხარული დაღმავალი გრადაციითაა გამოწვეული.

ვარდმან ფერი განანათლა — თავისთავად ეს თქმა მხატვრულია, მაგრამ სტრიქონის II ნახევარში პარანომაზიული თქმით გაძლიერებულია I ნახევრის მხატვრული სახე: ბროლი ბროლდა, სათი სათდა — ე. ი. ბროლი ბროლად, სათი (შავი გიმერი) სათად გადაიქცა.

ა. როგორც კი შეხედა, გულმა სიამოვნებით დაუწყუ ძგერა, გულიც გაუნათდა.

ბ. მანამდე მოწყენილს ღზინი არა ათად, არამედ ათასად გაუმრავლდა.

გ. ლოყებმა ფერი იცვალა, ბროლი კვლავ გაბროლდა სათიც სათად გადაიქცა.

დ. და როგორც კრიგალმა ჩაირბინა, თან თვალს არ ამორებდა ნახულს.

868 (858) რა ტარიელ დანახა...

განადამცა დაეღრიჯა — დილაც მოეწყინა.

პირი დაუბღნიჯა — პირი დაელმიჯა.

სოფლით გაღმა გაებიჯა — ამ ქვეყნიდან წასულიყო, მომკვდარიყო.

ა. დანახა ტარიელი, დილაც დაეღრიჯა, მოეწყინა:

ბ. სიკვდილს მოახლოვებული იჯდა და პირი დაელმიჯა,

გ. საყულო გადებია, თავი მთლიანად დაეკაწრა, დაეგლიჯა,
დ. მას უკვე აღარაფერი ესმოდა, მკედარივით იყო.

869 (859) ერთკერძ უც ლომი მოკლული...

ერთკერძ უც — ერთ მხარეზე უძევს.
უსულო, მკედარი, ქვედანარცხებული — პლეონასტური
თქმა სრულიადი სიკვდილის მაუწყებელი.

ცრემლი სდის გაფიცებული — ცხარე, ცხელო ცრემლი
სდის.

ცეცხლი მცხინვარე, ცხებული — მცხინვარე, ცხებული —
სინონიმებია.

ა. ერთ მხარეზე უძევს მოკლული ლომი და სისხლმოცხებული ხმალი,

ბ. მეორე ადგილას — დანარცხებული მკედარი ვეფხვი,

გ. თვალებიდან მას ცხარე ცრემლი სდის,

დ. მის გულში დანთებული იყო მცხინვარე ცეცხლი გაცხელებული.

870 (860) თვალთა ახმადცა ზარ-ედვა...

თვალთა ახმადცა ზარ-ედვა — თვლების გაღებაც, გახელაც
უჭირდა (ზარ-ედვა — ეზარებოდა).

სრულად მიჰხდოდა ცნობასა — სრულიად, სავსებით დაჰკარ-
გოდა ცნობა.

მიახლებოდა — მიახლოვებულობო.

მოჰშორებოდა თმობასა — თმენა დაჰკარგოდა.

სახელდებით უყვიის — სახელს (ტარიელს) უძახის.

ჰლამის სიტყვითა კრთობასა — ცდილობს, აპირებს სიტყვით
გამოფხიზლებას.

ა. თვლების გახელაც ეზარებოდა, სავსებით წასვლოდა ცნობა,

ბ. მიახლებოდა სიკვდილს, მოთმენა დაჰკარგოდა.

გ. ავთანდილი სახელდებით (ტარიელ) უყვიის, ცდილობს გამოაფხიზ-
ლოს სიტყვით.

დ. ვერაფერს გახდა, ვეღარ ასმინა, გადაიპრა ცხენიდან, ძმა გამოაჩენს
ძმობასა.

871 (861) ხელითა ცრემლსა უწურავს...

თვალთა ავლებდა სახელსა — თვლებს ავლებდა სახელს.

მას არა დია — მას დიადაც არა.

რეტსა, თვალდაუფახველსა — გარეთიანებულს, თვალბდაუ-
ხუქავს, თვალბგადატევებულს.

ა. ხელით ცრემლს უწურავს, თვალბზე სახელს ავლებდა. (თვალბს
სახელოთი უწმენდა),

ბ. ახლოს უზის და უძახის: ტარიელ, ტარიელ;

გ. ეუბნება: ვერ მიცნობ ავთანდილს, შენთვის გამოჰკრილს და ხელს?

დ. მას დიადაც არაფერი ესმოდა რეტსა და თვალდაუფახველს.

872 (862) ესე ყველაი ასრეა...

- ა. ეს ყველაფერი აგრეა, რაც ახლა ჩემგან თქმულა.
- ბ. ცრემლი მოსწურა თვალებიდან, ცოტათი გონს მოიყვანა.
- გ. მხოლოდ მაშინ იცნო ტარიელმა ავთანდილი, აკოცა, მოეხვია, მოეძმობილა,
- დ. მოწმად მყავს ღმერთი ცხოველი, რომ მათებრი არვინ შობილა.

873 (863) უთხრა: „ძმაო, არ გეტყუე...“

- ა. უთხრა ტარიელმა: ძმაო, არ გეტყუე, გიყავ რაც შემოგფიცე,
- ბ. ცოცხალმა გნახე, ჩემი ფიცი ამგვარად დავამტკიცე;
- გ. ახლა კი დამეხსენ, რომ სიკვდილამდის ვიტყრო და თავში ვიცე,
- დ. მხოლოდ გთხოვ დამარხვას, რომ მხეცების საქმელად არ გავხდე.

874 (864) ყმამან უთხრა: „რაშიგან ხარ...“

- ა. ავთანდილმა უპასუხა: რა მოგივიდა, რას შერები?
- ბ. ვინ არ ყოფილა შეყვარებული, ვინ არ დამწვარა სიყვარულის ცეცხლით,
- გ. ფის, რომელ კაცს უქმნია შენი მსგავსი საქმე!
- დ. რატომ წაუღიხარ ეშმაკს, რატომ იკლავ ნებით თავს?

875 (865) თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი...

- აპირებენ ამა პირსა — ასე დაუდგენიათ, ასე ფიქრობენ, ასე მსჯელობენ (შდრ. ასე და ამა პირსა ზედა), ასე ამბობენ.
- ა. თუ ბრძენი ხარ, ყველა ბრძენს ასე დაუდგენია, ყველა ბრძენი ასე ფიქრობს:
 - ბ. საჭიროა მამაცი მამაცურად იყოს, სჯობს რაც ნაკლებად ტირის;
 - გ. პირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტყირსა — გაჭირვებას, სიძნელეს ქვიტყირივით უნდა გაუძლო.
 - დ. თავისი საკუთარი გონებისგან (აზრისაგან) ჩავარდება ხოლმე კაცო გაჭირვებაში.

876 (866) ბრძენი ხარ და გამორჩევა...

- ვერ მიჰხვდები — ვერ მისწვდები, ვერ შეხვდები.
თავსა მრთელსა რად შეიკრავ — შდრ. ხალხ. უტივიარ თავს რად იტკივებ.
- ა. ბრძენი ხარ და საქმის მოგვარება არ იცი ბრძენთა თქმულებისამებრ,
 - ბ. შინდორში სტირ და მხეცებთან დადიხარ, რა სურვილს აისრულებ?
 - გ. ვისთვისაც შენ კვდები, მას ვერ მისწვდები, თუ ქვეყანას მოიძულე,
 - დ. უტივიარ თავს რად იტკივებ, წყლულს ახლად რად იწყლულებ.

877 (867) ვინ არ ყოფილა მიჯნური...

ვის არ უნახვან პატიენი — ვის არ უნახავს პატიეი, უნახვან პატიენი.

უსახო რაქმნილა — უმაგალითო რა ქმნილა, მაშასადამე, უსახო უმაგალითო ყოფილა. სახე-მაგალითი როგორ? თავდაპირველად სახე: პირის სახე, გამოხატულება, ხატება, მსგავსება, მაგალითი. მაგ. პავლე მოციქულის I ეპისტოლეში ტიმოთეს მიმართ ვკითხულობთ: „ნუშეცავი სიკბამუკესა შენსა შეურაცხყოფნ; არამედ სახე ექმნენ მორწმუნეთა მათ სიტყვთა, სლვითა, სიყუარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა“ (12).

ა. ვინ არ ყოფილა შეყვარებული, ვის არ მოსდებია სიყვარულის ცეცხლი,

ბ. ვის არ უნახავს ტანჯვა, ვის ვისთვის არ შეწუხებია გული?

გ. მითხარი, აბა, უსახო, უმაგალითო რა ქმნილა, შენისთანა მაგალითი ვის არ ჰქონია, სული რატომ ამოგხდება, სულს რატომ იხდი?

დ. ნუთუ არ იცი, რომ ვარდი უეკლოდ არავეს მოუტკრეფია!

878 (868) ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა“...

879 (869) რათგან ვარდი ამას იტყვის...

ეს ორი სტროფი ერთად უნდა განვიხილოთ. აქ ყველაზე მძაფრადაა გამოვლენილი წინააღმდეგობათა ერთიანობა: ეკალი|ვარდი; მწარე| ტკბილი; ჰირი|ლხინი, ბოროტი|სიკეთე. ყველა ეს დაპირისპირება კანონზომიერია. იგი ამტკიცებს, რომ ყოველი მოვლენა თავის წიაღში ატარებს თავის საწინააღმდეგო ელემენტს. ყველაფერი წინააღმდეგობათა მთლიანობას, ერთიანობას წარმოადგენს. დიდმა გაპირებებამ დიდი შეტევა უნდა გამოიწვიოს ჩვენში. ტარიელმა უნდა შეიგნოს, რომ ჰირი ლხინად შეიცვლება, ბოროტების წიაღში სიკეთე დაისადგურებს.

უასაკო — ასე განმარტავენ: მცირეწლოვანი, უღლეური, დღემოკლე, ეს განმარტება შეიძლება სწორი იყოს საერთოდ, მაგრამ აქ, ვ.ტ-ში უასაკო ნიშნავს არაცოცხალს. ამას ადასტურებს მისი პარალელური სიტყვა: უსულო... კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს ეს 898-ე სტროფში, სადაც უასაკო კვლად სინონიმურადაა წარმოდგენილი: „უასაკო და უსულო, არ სიტყვიერი, ცნობილი“, ე. ი. არაცოცხალი, უსულო, უტყვი. (არ) ცნობილი, ე. ი. უგონო.

879-გ. ამ სტრიქონს დღემდე ასე კითხულობდნენ:

„უბოროტო ვის ასშია, რაცა საქმე საეშმაკო“, ე. ი. როგორ შეიძლება უბოროტო არ იყოს ის, რაც არის საეშმაკო, ე. ი. ბოროტი.

ეს სტროფი საერთოდ ასე განიმარტება: არ არსებობს ვარდი უეკლოდ, ტკბილი მწარის გარეშე, ჰირი ლხინის უმისოდ. თუ ჰირი არ განიცადე, ისე ლხინს ვერ მოიმიკი. მაშასადამე, ჰირი და ლხინი აქ უპირისპირდება ერთმანეთს, ამიტომ ეს სტრიქონი ასე უნდა იქნას წაკითხული.

„უბოროტო ვის ასშია, რაც აკარგი, უეშმაკო“.

ე. ი. როგორ შეიძლება ბოროტება არ ახლდეს მას, რაც არის კარგი, მაშასადამე აქ ერთმანეთს კანონზომიერად უპირისპირდება ბოროტი და კარგი. ამგვარი სინონიმური წყვილები, როცა წყვილის ერთი წევრი მოცემულია და დებითი კონსტრუქციისა და მეორე უარყოფითი, ვ. ტ-ში ბევრია: 130,3 — დასტურია, არ ნაქორად; 162,1 — მართლად გითხრობ, არა კრელად; 169,4 — გლოვა გმართებ, არ სიცილი.

ამგვარივე მდგომარეობა გვაქვს აქაც. ამიტომ „კარგის“ სინონიმი იქნება „უეშმაკო“, და „საეშმაკოს“ ნაცვლად იგი უნდა დაიწეროს.

მაშინ ჩვენ გვექნება ერთის მხრივ — ბოროტი, მეორეს მხრივ — კარგი-უეშმაკო. გაფორმების მხრივაც: უსააკო, უმუშაკო, უეშმაკო, უარაკო — ჩამოსხმული იქნება. საბოლოოდ გვექნება შინაარსობრივად უტყუარი და ენობრივად სწორად გაფორმებული სტროფი.

880 (870) ისმინე ჩემი თხრობილი...

- ა. გაიგონე ჩემი ნათქვამი, შეჯექ, წავიდეთ ნელ-ნელა,
- ბ. ნუ აპყევები მხოლოდ საკუთარ რჩევა-დარიგებასა და მოსაზრებას.
- გ. რაც არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ მისდევ სურვილთა ნებას,
- დ. აგრე რომ არ სჯობდეს, არ გეტყვი, ნუ იფიქრებ, რომ მე შენ გეპირ-მოთნები.

881 (871) მან უთხრა: „ძმაო, რა გითხრა...“

- ა. ტარიელმა უთხრა: ძმაო, რა უნდა გითხრა, ენის დაძვრაც რომ არ შემიძლია,
- ბ. გაგიჟებულს ძალა არ მაქვს. რომ შენი სიტყვა მოვისმინო,
- გ. რა ადვილია შენთვის მოთმენა იმისა, მე რომ სასჯელს, ტანჯვას ვითმენ!
- დ. ახლა კი მივწურულვარ სიკვდილს, მაშასადამე, დროც მომიახლოვდა ლხენისა.

882 (872) ამას მოკვდავი ვილოცავ...

- ა. ამას მოკვდავი ვილოცავ, არასოდეს არ ვითხოვ ენით:
- ბ. აქ გაყრილნი მიჯნურები იქ შევიყარნეთ (შევიყაროთ),
- ბ. იქ ერთმანეთი კვლავ ვნახოთ, კვლავ გავიხაროთ;
- დ. მოდიოთ, მოყვრებმა დამმარტეთ და მიწა მომაყარეთ.

883 (873) საყვარელმან საყვარელი...

- ა. საყვარელმა საყვარელი როგორ არ უნდა ნახოს, როგორ გაწიროს!
- ბ. მე მისკენ მივალ მხიარული, შემდეგ მან ჩემკენ იაროს,
- გ. მივეგებები, მომეგებება, ატირდეს და მეც ამატიროს,
- დ. ჰკითხე ასს, მაგრამ შენ შენი გულის მიხედვით მოიქეცი, რაც გინდა ვინმემ გირჩიოს, გივაზიროს.

გეტყვი მართალსა პირასა—გეტყვი მართალ პირს, გეტყვი მართალ სიტყვას: პირას ნაცვლად პირისა რიჟისთვისაა. აქ აღნიშნავს სიტყვას.

მცირასა—მცირესა, მცირასა რითმამ გამოიწვია.

რას მაქნევ—რას მაქნევენებ. ე. ი. რა გინდა ჩემგან.

ხელსა მხდი რასა—ორგვარად შეიძლება გავიგოთ: რა ხელი გაქვს ჩემთან, ან—ვიყს რას მემართლები. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ პარალელიზმებს, ე. ი. ერთი აზრის ორი მხატვრული სახით გადმოცემას, უნდა ვიგულოთ, რომ „ხელსა მხდი რასა“ ნიშნავს: რა ხელი გაქვს ჩემთან, რაც სინონიმური პარალელი იქნება თქმისა: „რას მაქნევ“.

დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევერთვივარ სულთა სირასა—დაშლილა ჩემი შემადგენელი ნაწილები, შევერთებივარ სულთა კატეგორიას.

ა. მართლაც გადაწყვეტილად იცოდე, გეტყვი მართალ სიტყვას:

ბ. სიკვდილი მახლავს, მომშორდი, მცირე ხანს დავჰყოფ, დავრჩები ამ ქვეყნად.

გ. მოკვდე, რა გინდა ჩემგან, ცოცხალი დავრჩე, გიეთან რა ხელი გაქვს?

დ. დამშლია ჩემი კავშირნი, შევერთებივარ სულთა სირას (კატეგორიას).

885 (875) რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის...

რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის—ანაფორული ალიტერაციაა, რომლითაც გაკვირვება და ავთანდილის წინადადებების უარყოფა ნეტის კატეგორიულობითაა გადმოცემული.

აწ გამიარმდა სიცოცხლე—ახლა არმად შემექმნა სიცოცხლე—ცუდად წამივიდა საქმე.

მუნ მეცა მივალ, ცრემლისა მიწად სად გამდის ლამი, სად—სიტყვები მეტრის გამოა გადაადგილებული. უნდა: მუნ მეცა მივალ სად ცრემლისა ლამი გამდის მიწად. ე. ი. ახლა მეც იქ მივდივარ, სადაც ცრემლის ღვარი მიწად გამდის, სად.

ა. რა თქვი, რას ამბობ, არ მესმის, არც მცალია, მაგის მოსასმენად,

ბ. გაგიყებულს სიკვდილი მახლავს, სიცოცხლე კი დარჩენილა წამისა (ხანმოკლე);

გ. ახლა არმად წავიდა ჩემი სიცოცხლე ყოველი დროის უარესად,

დ. ახლა მეც იქ მივალ (მივდივარ), სადაც ცრემლის ლამი მიწად გამდის.

886 (876) ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი...

ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა—შეძახილია გამწარებული კაცისა, რომელსაც ხელი აუღია ბრძოლაზე და საერთოდ სიცოცხლეზე.

ა. ბრძენი, ვინ ბრძენი, გიყი როგორ იზამს ბრძნობას!

ბ. ეგ საუბარი მაშინ იქნებოდა კარგი, ცნობაზე რომ ვიყო;

გ. ვარდი ვერ გაძლებს უშეგოდ, თუ ღარჩა დაიწყებს ჰკნობას;

დ. მაწყენინებ, არა მცალია, თავი დამანებე, აღარც შემიძლია მეტის მოთ-
ქენა.

887 (877) კვლა ეუბნების ავთანდილ...

ნუ ხარ თავისა მტერთა — ნუ ხარ თავის მტერი. თა — თავი-
სა-ს პირველი მარცვლის განმეორებაა.

- ა. ავთანდილი ისევ ეუბნება მრავალფერი სიტყვით.
- ბ. თუ მოკვდები, რაღას არგებ შენი ცული საქციელით?
- გ. ნუ იზამ, საქმისათვის ეს არ ვარგა, ნუ ხარ თავის მტერი.
- დ. ვერ იქნა, კერავითარი სოტყვით ვერ წაიყვანა.

888 (878) მერმე უთხრა: „აჰა, რათგან...“

- ა. მერმე უთხრა რადგან არასგზით არ მომისმინე,
- ბ. ამიერიდან ჩემი ენაც აღარ გაწყენინებს, აქამდისაც ტყუილუბრალოდ მომცდარა;
- გ. თუ სიკვდილი გირჩეკნია, მოკვდი, რაც დასაქნობია, დაქენეს ბარემ;
- დ. მხოლოდ ერთს რასმე გეხვეწები, ქენი სიკეთე, — მდულარე ცრემლი გადმოჰყარა.

889 (879) სადა ინდონი ბროლ-ვარდსა...

- ა. სადაც თეთრ ყირმიზ პირისახეს (ბროლ ვარდს) შემოვლებული აქვს გიშროს სარები (წარბები და წამწამები),
- ბ. მას (თინათინს) მოეშორდი, სიჩქარით წამოველ;
- გ. მეფე მშობლურად მელაპარაკა, მაგრამ ვერ დამიჭირა,
- დ. და შენ თუ არ შემიყრი და გამშორდები (მომიძულე), მაშინ ჩემი ლხინი როგორ ვთქვა, როგორ ვილხინო.

890 (880) ნუ გამგზავნი გულმოკლულსა...

- ა. ნუ გამაბრუნებ გულმოკლულს, ერთი ნატვრა ამისრულე,
- ბ. ერთხელ შეჩექვი, ცხენოსანი დაგინახო ჩემი სულთა მხდელი,
- გ. ეგების მაშინ მოვიქარვო ახლანდელი ჩემი სევდა;
- დ. ბე წავალ და შენ დაგტოვებ, იქმნას, შესრულდეს შენი სურვილი.

891 (881) ეხვეწებოდა: „შეჯეო...“

ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარ-
გებდა — სტრიქონში გაუგებარია ტარიელზეა ლაპარაკი თუ ავთანდილზე.

შეიძლება ასეთი სურათი წარმოვიდგინოთ: ლომ-ვეფხვთან შეტაკების შემდეგ ტარიელი დამარცხებულია და ხელი აუღია ბრძოლაზე. მას თავზე აღგას ავთანდილი თავწაზრდილი — ლერწმისა სარსა დასდრეკდა, და შავ თვალ-წარბებს კარვად აფარებდა, კარვად უჩრდილებდა.

- ა. ეხვეწებოდა, შეჩექო, სათხოვარს მულარებით არვებდა,
- ბ. იცოდა, რომ შეჯდომა დარდს გააქარვებდა,

გ. ლერწმის სარს (ტარიელს) გამართავდა, წამწამებს, თვალებს ამოძრავებდა;

დ. [ტარიელი] დაემორჩილა, (მას) ეამა. (მან) არ ივაგლახა. არ ვაებდა.

892 (882) ცხადად უთხრა: „შევჯდებიო...“

ა. ცხადად, გარკვევით უთხრა: შევჯდები და ცხენი მომიყვანეო.

ბ. მანაც (ავთანდილმა) მოჰგვარა ცხენი და ზედ წყნარად შესვა;

გ. მინდვრისაკენ წაიყვანა, კოხტა ტანი ამოძრავებინა,

დ. გაიარეს რამდენიმე ხანს, სიარულმა მოჯობინება დაატყო.

893 (883) შეაქცევს და ეუბნების...

ა. ართობს და უმართავს მშვენიერ საუბარს,

ბ. მისთვის სძრავდა სასაუბროდ თავის ბაგეთ ძოწისფერთა;

გ. მისი მოსმენა გააახალგაზრდავებდა მსმენელის მოხუცებულ ყურს.

დ. და მოიშორა კაეშანი და დათმობაც მას შეუერთდა.

894 (884) რა შეატყო მოჯობება...

ა. რაკი შეატყო მოჯობინება მან, სევდის გამაქარებელმა,

ბ. მაშინვე გაანათლა პირი-ვარდი წარმოუდგენელმა სიხარულმა,

გ. გონიერთა ექიმმა, უგუნურთათვის შაობრელმა;

დ. ფონიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა რისამე მზრახველმან.

895 (885) შერასმეჰყვეს საუბარსა...

ა. შეჰყვეს რასმე საუბარს, ავთანდილმა ცხადად უთხრა:

ბ. ერთს რასმე მოგახსენებ და გამიცხადე დაფარული:

გ. ეს სამხრე (სამკლავე) იმისი, ვისგან შენ წყლული გაჩნია,

დ. როგორ გიყვარს, როგორ გიღირს? მხოლოდ ეს მითხარი და მერმე ხმას არ ამოვალე.

896 (886) მან უთხრა: „სახე რა გითხრა...“

ა. მან უთხრა: როგორ გითხრა რა სახისაა ეს უმაგალითო სახე!

ბ. ესეა ჩემი სიციოცხლე, ჩემი მომცემი ახისა,

გ. მჯობი ყოვლისა სოფლისა, წყლის, მიწის და ხისა (მთელი ქვეყნის მჯობი);

დ. და არ სასმენლისა მოსმენა არს უმეავესი წმახისა.

897 (887) ავთანდილ უთხრა: „ვლამოდი...“

ა. ავთანდილმა უთხრა: ვლამოდი, მინდოდა მაგის თქმევენება შენგან;

ბ. ახლა რადგან ვითქვამს (რადგან თქვი) პასუხს გკადრებ და ნუ იფიქრებ, რომ ვპირმოთნეობ;

გ. სჯობს ასმათის არ შელევა, მაგ სამხრის შელევას,

დ. ამიტომ არ ვისურვებ უარესი საქმის რჩევას შენთვის.

898 (888) სამხრე გაბია ოქროსა...

- ა. გაბია ოქროს სამხრე, ოქრომკედლის დნობილი, გაკეთებული,
- ბ. არა ცოცხალი, უსულო, უსიტყვო, უგონო,
- გ. ამავე დროს აღარად გინდა ასმათი, ნახე, გაიგონე მართალი განსჯილი.
- დ. [ასმათი] თავდაპირველად საბრალო, ნესტანის ნაჭერეტი და შემდეგ შენი დობილი.

იხ. 879-ე სტროფის განმარტება. მეორე სტრიქონი ასე გაიაზრება: გაბია ოქროს სამხრე, არა ცოცხალი, უსულო, უსიტყვო, უგონო. ყველაფერი ეს უპირისპირდება ცოცხალ ასმათს: რა საკადრისია, უსულო სამხრეს უპირატესობას აძლევ, ვინემ ცოცხალ ასმათს.

899 (889) თქვენს შუა მქმნელი საქმისა...

შენგან ღირს-ქმნილი ხმობისა — შენგან ღირსქმნილი, რომ მოხმობილი, მოწოდებული, მოწვეული იქნას.

- ა. თქვენ ორ შუა საქმის მომწყობი (გამკეთებელი), შენ მიერ დად წოდებული,
- ბ. თქვენი ერთად შემყრელი მოსამსახურე, შენგან ღირსი ხმობისა,
- გ. მისი (ნესტანის) გამზრდელი, ზრდილი, მისთვის (ნესტანისათვის) ცნობა მიხდილი,
- დ. საბრალო დაგივლია, არ ნახულობ, ყოჩად მართალსა ბჭობასა!

900 (890) მან უბრძანა, „რაცა გითქვამს...“

გვალე — იარე. აქ ჩართული სიტყვაა: მიდი, როგორც მაგ., სახარებაში: „მერმე ამისა შემდგომად ჰრქუა მოწაფეთა თვსთა: გულეთ წარვიდეთ კუალად ჰურიასტანად“ (იოან. 11,7. უღრ. აგრ. 11,16), რაც ნიშნავს: მოდი, კვალად წარვიდეთ ჰურიასტანად.

- ა. ტარიელმა უპასუხა: რაც გითქვამს, ყველაფერში მართალი ხარ მეტისმეტად;
- ბ. საბრალოა ასმათი მისი (ნესტანის) მგონებელი და ჩემი მკვრეტელი (ჩემი შემხედვარე),
- გ. მე სიცოცხლე არ მაგონდებოდა (არ მეგონა), შენ მომისწარ ცეცხლის შრეტად;
- დ. და რადგან [გა]დავრჩი, მოდი, ვნახოთ, თუმცა ჭერ კიდევ გარეტიანებული ვარ.

901 (891) დაჰმორჩილდა, გაემართნეს...

ვერ მიგია (გება — შეძლება, მოხერხება რისამე), ვერ მომიხერხებია.

ბაგე-ვარდი ნაკობარი — ბაგე-ვარდი პობილი, ვარდი გაშლილი.

ა. დაჰმორჩილდა, გაემართნენ ავთანდილი და ტარიელი;

ბ. ვერ მომიხერხებია, ვერ შემძლება მათი ვერავითარი ქება, სათანადო,

- გ. კბილები, როგორც მარგალიტი, ბაგე, როგორც ვარდი გაშლილი;
- დ. გველს ხვრელიდან ამოიყვანს ენა ტბილად მოუბარი.

902 (892) ამას ეტყვის: „შენთვის დავსდებ...“

- ა. ამას ეუბნება, შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა,
 - ბ. მაგრამ შენც ნუ ხარ აგრე, ნუ იწყლულებ ხელახლა წყლულს;
 - გ. არაფრად არ გამოგადგება სწავლა, თუ არ მოიქცევი ბრძენთა თქმულის თანახმად:
 - დ. თუ არ მოიხმარ, რად გინდა საუნჯე დაფარული.
- „სიბრძნე დაფარული და საუნჯე გამოუჩენელი რაჲ სარგებელ არს“ — (ისო ზირაქი, 20,30).

903 (893) არას გარგებს შეჭირვება...

- ა. არას გარგებს მწუხარება, რო სწუხდე, ამით რა სარგებლობა გექნება?
 - ბ. ნუთუ არ იცი, რომ უგანგებოდ არც ერთი კაცი არ მოკვდება?
 - გ. მზის შუქის მომლოდინე, ვარდი სამ დღეს არ დაქნება.
 - დ. ბედი ცდაა, გამარჯვება თუ ღმერთს უნდა შეგხვდება, გარგება კიდევ.
- მეოთხე სტრიქონს დღემდე ასე კითხულობდნენ: „ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცაგხვდების“. ვ.ტ-ში ფატალიზმის მაძიებელთ ამით ცოტაოდენი ღირებულები შექმონდათ ნაწარმოებში. ოდნავ ფატალიზმს ანელებდნენ „შენც ადამიანო, უნდა ეცადო“.
- სულ სხვაგვარ გაგებას იძლევა ამ სტრიქონის ახალი წაკითხვა, რომელსაც ივ. ვიგინი ეშვილმა მიაქცია ყურადღება ერთ ხელნაწერში: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცაგხვდების“. ამ წაკითხვით სავსებით უარყოფილია ბედი, როგორც ფატუმში, ე. ი. ბედის ცდაა. ბედი ისეა გაგებული, როგორც ეს ესმით განგების აღმსარებელთ, რომელნიც მთლიანად უარყოფენ ბედს, როგორც ფატუმს, როგორც წერას, როგორც ადამიანის ნების შემოქმედს და მის საქმიანობის საფუძვლად განგებას და მხოლოდ განგებას აღიარებენ. აქ განგებაში ღვთის ასე ვთქვათ, ხვედრითი წონა, სავსებით განსაზღვრულია: განგება გაგებულია როგორც ღვთაებრივი მზრუნველობა იმისათვის რაც არსებობს: ღმერთი ცდილობს, რათა „კაცი იყოს დასაბამ თვისთა საქმეთა და თვით ხელმწიფე“. აქ არა ჩანს ფატუმში, წერა.

ამით ფატალიზმი ვ.ტ-ში უთუოდ მოხსნილად უნდა ჩაითვალოს.

904 (894) მოახსენა: „ეგ სწავლა...“

- ა. ტარიელმა მოახსენა: ეგ სწავლა ჩემთვის მთელ ქვეყნად ღირს.
- ბ. გონიერს მწრთვნილი უყვარს, უგუნურს გულს უგმირავს.
- გ. მაგრამ რა ვქმნა, როგორ გავძლო, მეტის-მეტი რომ გამიჭირდეს!
- დ. შენც გჭირს ჩემი კირი, ჩემი უბედურება და რომ არ მამართლო,
- ე. ი. რომ გამამტყუნო არ გამიკვირდება.

905 (895) ცვილსა ცეცხლის სიმხურვალე...

- ა. ცვილს ცეცხლის სიმხურვალე ეგუება, ეწყობა, ამიტომ აენტება ზოლმე,
- ბ. მაგრამ წყალს, პირიქით, არავითარი განწყობა არა აქვს ცეცხლთან, ამიტომ ჩავარდება თუ არა ცეცხლი წყალში, იმ წამსვე დაიშრიტება;
- გ. რაც ვისმე საქმე თვით სჭირს, სხვისთვისაც ევარგება, სხვისთვისაც სავარგისოდ მიიჩნევს;
- დ. იმთავითვე რად არ იცი, ვისთვის დნება ჩემი გული!

906 (896) რა წამეკიდა, ყველაი...

- ა. რაც მომივიდა, ყველაფერს დაწვრილებით გიამბობ,
- ბ. მერმე შენ თვითონ განსაჯე შენი ბრძენი გულით;
- გ. შენ მოგელოდი, გამიჭირდა შენს მოლოდინში,
- დ. გამოქვაბულში ველარ გავტელ, მომინდა მინდორთა მოვლა ცხენითა.

907 (897) იმა ქედსა გარდავადეგ...

- ა. იმ ქედს გადავადეგ, ის შამბი მოვიარე;
- ბ. ერთმა ლომმა და ვეფხვმა თავი მოიყარეს,
- გ. გვანდნენ შეყვარებულთ, მათი ნახვა გამიხარდა,
- დ. მაგრამ თუ რა უყვეს ერთმანეთს, მეტად გამიკვირდა, შემეზარა, შემძაჟდა.

908 (...) ქედსა გარდავადეგ, ლომ-ვეფხი...

- ა. გადავადეგ ქედს, მოვიდნენ ლომ-ვეფხი ერთად ნასიარულევი,
- ბ. შესახედავად შეყვარებულთ ვამსგავსე, ცეცხლი დამევისო,
- გ. ერთად შეიყარნენ და შეიბნენ, გააწარებულად იბრძოდნენ,
- დ. ლომი სდევს, ვეფხი გაუბრბის, ჩემგან ქება ვერ დაიმსახურეს.

909 (898) პირველ ამოდ ილაღობეს...

დ ე დ ა თ ა მ ც ა გ ა მ ო ჰ რ ი დ ნ ე ს — დედათალა გამოჰრიდონ; გამოჰრიდნეს — კავშირებითისაა;

ი გ ი ვ ე რ ვ ი ნ დ ა ა მ შ ვ ი დ ნ ე ს — უნდა: იგი ვერვინ დაამშვიდა; დაამშვიდნეს — რითმისთვისაა.

ა. თავდაპირველად სასიამოვნოდ ლაღობდნენ, შემდეგ მედგრად წაიკიდნენ:

- ბ. თითო ტოტი ერთმანეთს ჰკრეს, სასიკვდილოდ არ მოერიდნენ;
- გ. ვეფხვმა გული (თავი) მოარიდა, ვეფხი გაუხტა (წესადაა), დედალი უნდა მოერიდოს,
- დ. მაგრამ ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერავინ დაამშვიდა.

910 (899) ლომსა დაუუგმე ნაქმარი...

- ა. ლომს დაუუგმე საქციელი, ვუთხარი, არ ხარ ცნობას,
- ბ. უგონოდ ხარ, შენ რატომ აწყენინებ საყვარელს, ფუ შენს ვაჟაკობას!
- გ. ხმალ-ამოღებული მიუუხტი და ლახვარი ჩავეც.
- დ. თავს გადავკარ, მოვკალი კიდეც, მოვაშორე ქვეყნის ტანჯვას.

911 (900) ხრმალი გასტყორცე. გარღვიჭერ...

მის გამოკოცნა მომინდა, ვინ მწვეავს ცეცხლითა ცხელითა — უნდა: მის გამო, ვინ მწვეავს ცეცხლითა ცხელითა, კოცნა მომინდა; სიტყვათა გადანაცვლება რიტმისთვისაა.

- ა. ხმალი გადავაგდე, გადავიჭერი და ვეფხი შევიპყარ ხელითა;
- ბ. ნესტანის გამო, ნესტანის მოგონებაზე მომინდა მისი კოცნა,
- გ. მიღრენდა და ბრჭყალებით მკაწრავდა,
- დ. ველარ გავუძელ და გახელებული გულით ისიც მოვკალი.

912 (901) რაზომსაცა ვამშვიდებდი...

- ა. რამდენსაც არ ვამშვიდებდი, ვეფხი ველარ დაეაშვიდე,
- ბ. გავგულისდი, მოვიქნიე, ვკარ და მიწას დავახეთქე;
- გ. მომაგონდა როდესაც ჩემს საყვარელს წავეკიდე.
- დ. და სული სრულად რომ არ ამომხდა და ცრემლს რომ ვღვრო, რატომ გიკვირს!

913 (902) აჰა, ძმაო, მითხრობია...

მითხრობია ჰირი ჩემი, რაცა მკირდა — მკირდა რითმისთვისაა.

- ა. აჰა, ძმაო, მითქვამს ჩემი ჰირი, რაც მკირს.
- ბ. სულსაც არ უნდა ვითქვაზდე და რატომ გაგიკვირდა ჩემი გასელა, გაკრა!
- გ. სიტოცხლეს გავეყარე, მაგრამ სიკვდილიც რომ არ მოდის, იგიც რომ დამიძვირდა.
- დ. დაასრულა სიტყვა ტარიელმა და დაიწყო ოხერა და ტირილი.

914 (903) ავთანდილცა მასთანავე...

პირველ ერთად არ შეგყრიდა — ახლა: პირველ ერთად არ შეგყრიდათ. ძველ და საშ. ქართულში ობიექტი ვერ ითანხმებდა შემასმენელს რიცხვში.

- ა. ავთანდილიც მასთან ერთად ტიროდა და ცრემლს ღვრიდა;
- ბ. უთხრა: დათმე, ნუ მოკვდეები, გულს მთლიანად, სავსებით ნუ დაიჭრი!
- გ. ღმერთი მოწყალეა, თუმცა ჭერჭერობით ჰირი არ მოგმორდა, ჰირმა თავი არ დაგანება;
- დ. მაგრამ რომ უნდოდეთ გასაყრელად, გასაშორებლად, თავდაპირველად ერთად არ შეგყრიდათ.

915 (904) სდევს მიჯნურსა ფათერაკი...

გ ა ს წ ა ვ ლ უ ლ ი — საეულისხმოა საშ. ქართულისათვის ეს ფორმა. გარდამავალ ხანაში, როდესაც რეფორმის სურვილი მკვეთრად აღინიშნება, ცდილობენ რაც შეიძლება ძველზე მეტად დაშორებული ფორმა იხმარონ. მხოლოდ შემდეგ ხანებში, როდესაც ახალმა ფორმებმა ფეხი მოიკიდა, სიმკვეთრე თანდათან ცხრება და ძველსაც იწყნარებენ.

ძველად იქნება — გ ა ნ ს წ ა ვ ლ უ ლ ი. გარდამავალ ხანაში — გ ა ს წ ა ვ ლ უ ლ ი, ახლა — გ ა ნ ს წ ა ვ ლ უ ლ ი.

ა. მიჯნურს ფათერაკი სდევს, ხშირად საწუთრო დაანადგულებს, სიცოცხლეს დააწყევლინებს,

ბ. მაგრამ საბოლოოდ ლხინს მისცემს მას, ვინც პირველად ჰირს გაუძლებს;

გ. მიჯნურობა საჭიროა (ჰირის მომგვრელია) ხშირად სიკვდილს მიგვაახლოვებს.

დ. განსწავლულს გააშმაგებს, ხოლო უსწავლელს გაასწავლებს.

916 (905) იტირეს და გაემართნეს...

რ ა ა ს მ ა თ მ ა ნ დ ა ი ნ ა ხ ა, გ ა ნ ა ლ ა მ ც ა გ ა ე ხ ა რ ნ ე ს — აქ ქვემდებარე მხოლობითია. (ასმათმან) მაშასადამე უნდა: განალამცა გაეხარნეს — როს, უმცანაწილაკოდ. დიალაც გაეხარა, დიალაც გაუხარდა.

ა. იტირეს და გაემართნენ გამოქვაბულისაკენ;

ბ. დაინახა ასმათმა და დიალაც გაუხარდა;

გ. ტირილით მიეგება, მისმა ცრემლმა კლდეც კი დაღარა,

დ. აკოცეს და ატირდნენ, საჩქაროდ მოიკითხეს ერთმანეთი.

917 (906) ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი...“

შ ე ნ ზ ა რ ს ა ვ ს ე ბ ა ყ ო ვ ე ლ თ ა, ა გ ვ ა ვ ს ე ბ მ ზ ე ე ბ რ ფ ე ნ ი თ ა — ღვთაების აქ მოცემული ბუნება და თვისება შორეული ანარეკლი უნდა იყოს პავლე მოციქულის ეპისტოლეს ერთი ადგილისა ეფესელთა მიმართ: „რომელი — იგი არს გუამი მისი, აღსავეებაჲ იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (ეფეს. 1,23).

ა. ასმათმა თქვა: ღმერთო, შენ, რომელიც არ შეიძლება ითქვა კაცთა ენით,

ბ. შენ ხარ სისრულე ყოველთა, აგვავესებ მზეებრ ფენით;

გ. გაქო, როგორ გაქო, რომ არ ხარ საქებელი სმენითა!

დ. დიდება შენდა, რადგან არ მომკალ ამათთვის ცრემლთა დენითა!

918 (907) ტარიელ ეტყვის: „ჰე დაო...“

ა. ტარიელი ეუბნება: ჰე, დაო, მით ცრემლი აქ მდენია,

ბ. საწუთრო გვატირებს იმის მაგიერ, რაც წინათ გაგვიცინია (ლხენა გვიწახავს).

გ. ეს ძველი წესია, ძველი თვისებაა ქვეყნისა და არა ახლად მოსასმენი.

დ. ვაი, შენი ბრალი, თორემ სიკვდილი ჩემთვის ლხინია!

კაცი უშმაგო. ცნობილი — არა გივი, გონიერი; ცნობილი — ცნობას მყოფი, გონიერი, მაშასადამე, უშმაგო და ცნობილი აბსოლუტური სინონიმებია.

უწყალობა ჰკლავს, წყალი სდის აროდეს არ გაბმობილი — უკანასკნელ გამოცემებშია — „უწყალობა ჰკლავს, წყალი სდის“, ე. ი. უწყლობა აწუხებს და ამავე დროს წყალი სდის.

სჯობია ძველი წაკითხვა: „უწყალობა ჰკლავს“ რადგან უწყალობა — უწყლობაცაა (რეალურად) და ამავე დროს შეუბრალებლობაცაა, არ მოწყალებაცაა. თუ ამას მივიღებთ, მაშინ გვექნება მეტაფორული თქმა, იშვიათი სიტყვათთაში.

უწყალობა, ე. ი. უმოწყალობა, შეუბრალებლობა ნესტანისა ჰკლავს თვალებს, რადგან იგი დაშორებულია ნესტანს და ამავე დროს წყალი დის შეუშრობელი. ე. ი. გამუდმებით ტირის, ე. ი. ცრემლითაა ლტობილი.

აქ რომ ნესტანზეა ლაპარაკი, ამას ადასტურებს მეოთხე სტრიქონი: ე, წარსდა ვარდი პობილი — ე. ი. დაიკარგა ვარდი. პობილი (ნესტანი).

ა. რომელი გონიერი კაცი დაღვრის წყალს, როცა მას სწყურია?

ბ. მე ჩემი თვალების მიკვირს, რატომ ვარ აგრე ცრემლით დასველებული!

გ. უწყალობა, შეუბრალებლობა ნესტანისა ჰკლავს თვალებს (რადგან დაშორებულია ტარიელს). და ამავე დროს ცრემლი სდის შეუშრობელი!

დ. ვაჰ, წახნა, დაიკარგა ნესტანი, ვაჰ, მარგალიტი წყობილი!

920 (909) ავთანდილსცა მოეგონა...

ვით ვეგები — როგორ ვიქნები. გება — ყოფნა, არსებობა. ჰგიე — ხარ, ჰგიეს — არის, ეგო — იყო, ეგოს — (იყოს), ეგების — იქმნება, არ ეგების — არ იქმნება. ვით ხრამცა ვინ — ვითხრას ვინმემ.

ა. ავთანდილსაც გაახსენდა თავისი მზე და საყვარელი;

ბ. ამბობს: ჩემო, როგორ ვიქმნები მე უშენოდ სულდგმული?

გ. შენ არ გახლავარ, შენთან არ ვარ, ჩემი სიცოცხლე ჩემთვის სანანებელია,

დ. ვითხრას ვინმემ, რა მკირს, ანუ როგორი ცხელი ცეცხლი მწვავს!

921 (410) ვარდი ამას ვით იაზრებს...

ა. ვარდი ამას როგორ მოიფიქრებს, როგორ მოისაზრებს, მზე მომშორდეს და არ დავქნეო,

ბ. ან ჩვენ, საბრალოთ, რა გვერგება, მთის გადაღმა მზე რომ ჩასვენდეს?

გ. გულო, გირჩევნია, გაუმაგრდე ჰირს და თავი სრულად, სავსებით გაიკლდეო,

დ. ეგების მოგზვდეს (გერგოს) მისი ნახვა და სულს ნუ დალევ, თავს ნუ მოიკლავ.

922 (911) სული დაიღეს, დადუმდეს...

- ა. დადუმდნენ, ორსავე ცეცხლი მოჰკიდებოდა;
- ბ. ასმათი შეჰყვა, მასაც მათებრ ცეცხლი ეკიდებოდა;
- გ. დაეგო ვეფხის ტყავი, რომელიც წინეთ მუდამ ეგო,
- დ. ორნივე დასხდნენ, უბნობდნენ, რაც მათ ეამებოდათ.

923 (912) მწვადი შეიწვეს, შეიქმნა...

მუნ უპურობა პუროსა — უპურობა პურობა იყო, დიდი პურობა არ ყოფილა, რასაც ადასტურებს სტრიქონის მეორე ნახევარი: არ სიდიადე ჯამისა. ჩვ. პარალელიზმი რუსთველისა. ცხადია, თუ ცოტა პურობა იყო, ჯამ-პურქელი ნაკლებად იქნებოდა.

- ა. მწვადი შეიწვეს, შეიქმნა პურობა ჟამის, დროის შესაფერი,
- ბ. იქ მცირედი პურობა იყო, ჯამ-პურქელი ბევრი არ ყოფილა.
- გ. შეეხვეწნენ ტარიელს „ჰამეო“, ჰამის ძალა არ ჰქონდა,
- დ. დაცოხნა, ლუკმა გამოაგდო, დრამის წონა ძლივს ჰამა.

924 (913) ამოა, რომე კაცი კაცს...

- ა. სასიამოვნოა, რომ კაცი კაცს სასიამოვნო რასმე ეუბნებოდეს;
- ბ. მან გაუგონოს, რაც თქვას, ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლიდეს,
- გ. ცოტათი მაინც დაუესებს ცეცხლს, რამდენიც არ უნდა ჰქონდეს ცეცხლი მოდებული.
- დ. დიდი ლხინია ჰირთა-თქმა, თუ კაცს შეემთხვევოდეს, ექნება ამის შემთხვევა.

925 (914) მას ღამესა ერთგან იყვნეს...

- ა. იმ ღამეს ერთად იყვნენ ის გმირები,
- ბ. ილაპარაკეს და გააცხადეს თითოეულმა თავის ჰირი.
- გ. რა გათენდა, ისევ დაიწყეს გაბმული ლაპარაკი;
- დ. ერთმანეთს მოუსმინეს პირველ დანაპირი ფიცი.

926 (915) ტარიელ ეტყვის: „რად უნდა...“

- ა. ტარიელი ეუბნება: რა საჭიროა მრავალი სიტყვის თქმა?
- ბ. რაც შენ ჩემთვის სიკეთე გიქმნია, ღმერთმა გიზღოს სამაგიერო;
- გ. საკმაოა ფიცი ფიცად, ყოველივე ეს არაა მთვრალის საქმე,
- დ. არ დავიწყება და მოყვრობა მიმავალი მოყვრისა.

927 (916) აწ შემიხვეწე, ნუ დამწვავ...

- ა. ახლა შემიხვეწე (მახვეწარი გამხადე), ნუ დამწვავ ისევ ცეცხლითა უცხელესითა.
- ბ. მე რომ ცეცხლი მედება, კვესით არაა დანთებული.

გ. ვერ დამშრეტ, ვერ ჩამაქრობ, შენც დაიწვები, როგორც ეს ქვეყანა-
დაა დადგენილი.

დ. და ამიტომ წადი, დაბრუნდი, შეიქეც იქითკენ, სადაც შენი მზეა.

928 (917) ვინ დამბადა, განკურნება...

ა. ვინც დამბადა (გამაჩინა) მასაც ჩემი განკურნება მეტად ეძნელება,

ბ. ვისაც გესმისთ, გაიგეთ, ამიტომ გაპრიღვარ ხელი ველად:

გ. რაც მართებს, რაც შეეფერება გონიერს, იყო დრო, მეც ვიქცეოდი
მაგგვარად,

გ. ახლა ჩემი ხელობის ჯერი დამდგარა და მიტომაც ვარ ხელად.

429 (918) ავთანდილ ეტყვის: „რა გითხრა...“

ა. ავთანდილი ეუბნება: რა უნდა გითხრა შენი თქმულის საპასუხოდ:

ბ. შენვე სთქვი ეგ სიტყვა ზრძენი კაცისა:

გ. ღმერთს როგორ არ შეუძლია წყლულის კვლავ განკურნება,

დ. იგია მზრდელი ყველაფრის დანერგულ-დათესულისა!

930 (919) ღმერთსამცა ესე რად ექმნა...

ა. ღმერთმა რატომ უნდა ქმნას, რომ ამგვარი დაებადეთ,

ბ. აღარ შეგყარათ, გააშორათ, გიყი გქმნა ცრემლთა დადენით!

გ. შეყვარებულს ფათერაკი სდევს, განკვირტეთ, კვლავ განკვირტეთ,

დ. და თუ თქვენ ერთმანეთს არ შეჰხვდეთ, მაშინ მე სული ამომხადეთ.

931 (920) ნეტარ მამაცი სხვა რაა...

ა. ნეტავი მამაცი სხვა რაა, არ გაძლოს რაცა ჭირია!

ბ. ჭირს შეშინება რად უნდა (ჭირს არ უნდა შეუშინდე) რა სალაპარაკოა ეს!

გ. ნუ გეშინია, ღმერთი დიდია, თუმცა სოფელი ძუნწია, მუხანათია,

დ. რაც დამირიგებიხარ, მიწვრთიხარ, გაიგონე, თორემ (უკაცრავად!) უწ-
ვრთელი, წვრთნას რომ არ იფერებს — ვირია.

932 (921) თუ რა გესმის, გაიგონე..

ა. თუ რა გესმის, გაიგონე; ეს სწავლა სწავლად კმარა;

ბ. ჩემს მზეს დავეთხოვე, რომ თქვენ წინაშე მოვსულიყავი,

გ. მოვახსენე თინათინს: რადგან მას ჩემი გული დაუფერფლავს (დაუწ-
ვავს),

დ. ვერას ირგებ (ჩემგან), არ დავდგები, არ მოვიცილი, მეტი რალა ვი-
ლაპარაკო?

933 (922) მან მიბრძანა: „მადლიერ ვარ...“

ა. მან (თინათინმა) მიბრძანა, მადლიერი ვარ, კარგად მოხველ, ნამაცუ-
რად,

ბ. შენგან ტარიელის გავლენას მე მივიჩნევ, როგორც ჩემთვის სამსახურს.

გ. მისი (თინათინის) კითხვით წამოსულეარ, მთვრალი არ ვარ, არც ზარბოში,

დ. და უკან დავბრუნდე, რა ვუთხრა, ხომ მკითხავს რად მოხვედი ჯან-მხლელურად?

934 (923) მაგ საუბარსა ესე სჯობს...

ა. ამ ლაპარაკს ეს სჯობს, ისმინე ჩემი თხრობილი:

ბ. ძნელი საქმის მქმნელი ყოველთვის გონიერი კაცი უნდა იყოს;

გ. ვერაფრითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს ვარდი უმზეოდ დამჰკნარო

დ. შენ ვერაფერს ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი.

935 (924) სადაცა გწადდეს, მუნ იყავ...

ა. სადაც გსურდეს, იქ იყავ იმავე წესით, როგორც ახლა ხარ,

ბ. გსურდეს ბრძენი გულით, (გონივრულად), გსურდეს — გაშმაგებული;

გ. ისე როგორც ახლა ხარ ქცევით ტურფა და აგებულებით კოხტა,

დ. მხოლოდ გამაგრდი, არ მოკვდე და ცეცხლით არ დაილაგო.

936 (925) ამის მეტსა არას გნუკევ...

ა. ამის მეტს არაფერს გეხვეწები: წლის თავზე (სწორზე),

ბ. სწორედ ამ ქვაბშივე დამხვედი (მომნახე) მე, მრავალ ადგილიდან ამბის მკრეფი;

გ. ნიშნად მოგცემ ვარდ-იეფობის, ვარდ-უხვობის, ვარდ-მრავლობის დროს, ვარდობისთვის.

დ. ვარდის ნახევა გაკვირვებდეს, ისე, თითქოს ძალდი ყეფდეს.

937 (926) ამა დროსა გარდავსცილდე...

ა. ამ დროს თუ გადავცილდი, აქ ქვაბს არ მოვედი,

ბ. გაიგე, რომ ცოცხალი აღარ ვარ, აუცილებლად მოვეკვდი;

გ. ნიშნად ჩემი სიკვდილისა ისიც კმარა, რომ შენ ცრემლებს ღვრიდე,

დ. მაშინ, გსურდეს გაიხარე, გსურდეს იმწუხარე.

938 (927) აწ, რაცა გკადრე, ამისთვის...

ა. ახლა, რაც გკადრე, ამის გამო შენ ნუ იმწუხარებ!

ბ. მალე მოგშორდები და არ ვიცი ცხენი გადმომაგდებს, თუ ნავი გადა-მბრუნებს;

გ. არა, უთქმელობა არ ივარგებდა, პირუტყვი ხომ არა ვარ, რომ უსიტყვოდ რასმე მიგახვედრო,

დ. არ ვიცი ღმერთი რას მიზამს, ან ცა მარად მბრუნავი.

939 (928) მან უბრძანა: „აღარ გაწყენ...“

- ა. ტარიელმა უთხრა: აღარ გაწყენინებ, სიტყვასაც მეტს არ ვეტყვი,
- ბ. რადგან არ მომისმენ, რამდენიც საუბარი არ გაეახშირო:
- გ. თუ საყვარელი არ მოგყვებს, შენ მიჰყევ მას, როგორც სწადდეს,
- დ. საბოლოოდ ყოველი დამალული საქმე ნათლად გამოცხადდეს.

940 (929) რა დაიჯერო, მაშინ სცნა...

შენ რაცა გითქვამს, მაგას ვიქმ, მრჯის რაზომც გინდა ხელობა — როგორც შენ მითხარი, მაგრე მოვიქცევი, რამდენადაც არ უნდა შემაწუხოს სიგიჟემ.

არ-ღია — ცოტა.

არ ღია დღეთა გრძელობა — ცოტა დღეთ გრძელობა, ცოტახანს სიცოცხლე.

ა. რა დაიჯერო, მაშინ გაიგებ ჩემი საქმის სიძნელეს.

ბ. ჩემთვის სულერთია: გაჭრა და გაუჭრელობა;

გ. შენ როგორც თქვი, მაგრე მოვიქცევი, რაზომამდეც გინდა შემაწუხოს ხელობამ,

დ. [მაგრამ] რა ვქმნა, თუ უშენოდ მოვეცდე!

941 (930) საუბარი გარდაწყვიდეს...

ა. საუბარი დაასკვნეს და დაადგინეს;

ბ. ცხენებზე შესხდნენ, მოვლეს შინდორი და თითო ნადირი მოკლეს;

გ. შემობრუნდნენ, ანატირი გული ისევ აატირეს,

დ. ხვალ გაშორების ფიქრმან კიდეე უმატა მათ ჭირი.

942 (931) ლექსთა მკითხველნო, თქვენიცა...

ა. ლექსთა მკითხველნო, თქვენც ღვართ მაგათთვის ცრემლი,

ბ. რა ქმნას საბრალო გულმა უგულოდ, თუ გული გულს შეეღევა, შიატოვებს;

გ. მოშორება და გაყრა კაცის მკვლელია,

დ. და ვინც ეს არ იცის, მას არ ესმის თუ რამდენად ძნელია გაყრის დღე.

943 (932) დილა გათენდა, შესხდეს და...

გაესალამნეს — გამოესალმნენ, გამოემშვიდობნენ.

თვალთაგან ცრემელი დალამნეს — თვალებიდან ცრემლი ღვარეს (დალამება — დანამება, დაცვარვა — დაღვრა).

არღვანი — ხე მოჭირებული წითელი ფერისა.

თავნი მხეცთავე ალამნეს — თავი მხეცებს მოასურვეს (ლამი, ლამვა — სურვილი).

ა. გათენდა დილა, შესხდნენ ცხენებზე და გამოესალმნენ, გამოემშვიდობნენ ასმათს.

- ბ. ტარიელმა, ასმათმა და აეთანდილმა ცრემლი თვალთაგან დადვარეს;
- გ. სამივემ დაწვთა ალამი (ლოყები) არღვენის ფერად ააფრიალეს, არღვენის ფერად გაიხადეს,
- დ. ლომებმა, მარად მხეც-ქმნილება თავიანთი თავი მხეცებს მოასურვეს.

944 (933) ქვაბი ჩაგლეს და წავიდეს...

- ა. გამოქვამული ჩაგლეს და წავიდნენ ყვირილით ცრემლთა მფრქვეველნი.
- ბ. ასმათი ტირის და მოთქვამას: ჰე, ლომებო ვისი როგორ გიტირებდნენა.
- გ. მზემ დაგწვთ და დაგდავთ თქვენ ზენა ცის მნათობნი,
- დ. ვაი, ჩემი ჭირი ამდენი, ვაი სიცოცხლის ამდენი დათმენა.

945 (934) მათ ყმათა, მუნით წასრულთა...

- ა. იქიდან წასულმა ყმებმა ის დღე ერთად იარეს,
- ბ. ზღვის პირს მოვიდნენ, იქ დადგნენ, ხმელეთის არე არ უვლიათ,
- გ. არ გაყრილან იმ ღამეს, ისევ ცეცხლი მწველი გაიზიარეს,
- დ. და ერთმანეთის მომავალი დაშორება იტირეს, იმგლოვიარეს.

946 (935) ტარელს ეტყვის აეთანდილ...

- ა. აეთანდილი ეუბნება ტარიელს: გახმა, გაშრა ცრემლის რუ, წყარო!
- ბ. რატომ მოიშორე შენ ფრიდონი, მაგ ცხენის მომცემი?
- გ. იქიდან შეიძლება ამბის გაგება, თუ რა ღონეა საჭირო, ნესტანის სალხენად,
- დ. მე წავალ იქ, მასწავლე გზა შენი ძმადნაფიცისა.

947 (936) ტარიელ სიტყვით ასწავლის...

- ა. ტარიელი ზეპირად (სიტყვიერად) ასწავლის ფრიდონის მხრის გზას,
- ბ. ყველაფერი აუხსნა, რაც კი შეიძლება ენას ეთქვა:
- გ. აღმოსავლეთით წადი, ზღვის პირს იარე
- დ. და თუ ნახო და გკითხოს ჩემი ამბავი, უამბე.

948 (937) თხა მოკლეს და მიითრიეს...

- ა. თხა მოკლეს, მიითრიეს, ცეცხლი დაანთეს ზღვის პირს,
- ბ. სვეს და ჭამეს, რაც საჭმელი მათ გაჰირვებას შეეფერებოდა;
- გ. იმ ღამეს ერთად იყვნენ, ერთად მიწვენენ ხის ძირს;
- დ. ვგმობ მოლაღატე ამქვეყანას ზოგჯერ სიუხვით მომმადლებელსა და ზოგჯერ მეტისმეტად ძვირისა, მწუხარების მომავლინებელს.

949 (938) ცისკრად ადგეს გასაყრელად...

- ა. გათენებისას ადგნენ გასაყრელად, მოეხვივნენ ერთმანეთს;
- ბ. მაშინ მათ ნაუბართ თუ ვინმე მოისმენდა აუცილებლად დადნებოდა;
- გ. თვალებიდან, როგორც წყაროს სათაეიდან, ცრემლი ველს მოადინეს,
- დ. და დიდხანს იყვნენ შებოქილნი, მკერდი მკერდსა შეარკინეს, შეადუღეს.

950 (939) გაიყარნეს ტირილითა...

- ა. გაიყარნენ ტირილით, პირის კაწვრით და თმის გლეჯით,
- ბ. ერთი აღმა, მეორე ჩაღმა, უგზოდ (მიხვეულ-მოხვეული გზით) შამბნარში მიდიოდნენ;
- გ. სანამ ერთმანეთი უჩნდათ, სანამ ერთმანეთს ხელავდნენ, ერთმანეთს უყვიროდნენ პირის დაღმეჭით,
- დ. ისე დაღრეჯილი იყვნენ, რომ მათის ღრეჯით (მოწყენით) მზეც კი მოიწყენდა, მზეც კი მოიღუშებოდა.

951 (940) ვა, სოფელი, რაშიგან ხარ...

- ა. ვა, ქვეყანა, რაშიგან ხარ, რას გვიშვები, რა ზნისა ხარ!
 - ბ. ყოველი, ვინც შენ მოგენდობა, მარად ჩემსავით უნდა ტიროდეს;
 - ბ. სად გადააგდებ ვისმე, ვინ იცის, სად მოკლავ მას!
 - დ. მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცს, შენგან განწირულს!
- საერთოდ აქ, ამ სტროფში მოცემულია ლეიტმოტივთაგანი, ვ.ტ“-სა; სახელდობრ, აქ უპირისპირდება სოფელი, ქვეყანა შემოქმედს: სოფელი, ქვეყანა უხანოა, გაუტანელია, გამწირავია, მაგრამ ღმერთი ყოველად მოწყალეა, კაცთა მფარველია, უზენაესი მზრუნველია.

952 (941) ავთანდილ მისი გაყრილი...

- ვით მაშინ შეყრა და ცამდის — გამოცემებში წერია: ვით მაშინ შეყრა და ცამდის. არაა სწორი; უნდა: შეყრა და ცამდის ე. ი. შეყრდამდისცა. სხვაგვარად: შეყრამდის გავეთილია. გვაქვს ე. წ. ტემისი: შეყრდამდის და შუაში ჩასმულია ცა. საბოლოოდ გვაქვს ჩვეულებრივი დაპირისპირება. ახლა, გაყრისას, ჩემთვის უფრო უარესი მდგომარეობაა, ვინემ წინათ, შეყრამდის იყო.
- ა. თინათინს გაყრილი ავთანდილი ტირის, მისი ხმა ცამდის სწვდება,
 - ბ. ამბობს: სისხლის ცრემლი კიდევაც მდინდა და კიდევაც მდის,
 - გ. ახლა გაყრა, გაშორება უფრო ძნელია ჩემთვის, ახლა უფრო უარეს მდგომარეობაში ვარ, ვინემ შეყრამდის ვიყავი, —
 - დ. ყველა კაცი არაა სწორი, დიდი მანძილია კაციდან კაცამდის.

953 (942) ველს მაშინ მხეცნი ძღებოდეს...

ვერ დაივსებდა სახმელსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა — სტრიქონის ორსავე ნახევარში ერთი და იგივე აზრია გამოხატული

ორგზის: ვერ დაივსებდა სახმილსა იგივეა, რაც — იწვის ცეცხლითა ხშირითა.

ბაგეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა — ბაგეთათ — გამოსვლითი ბრუნვაა. ბროლი ძოწისა ძირითა — ბროლი (კბილები) წიული ძირით, წითელი ღრძილით.

- ა. მაშინ ველზე მხეცები ჰღებოდნენ, იქ ნადენი სისხლით;
- ბ. ვერ ავსებდა, ვერ აქრობდა მოღებულ ცეცხლს;
- გ. კვლა თინათინის მოგონება უფრო უმატებდა ქირს;
- დ. ბაგეებიდან ვარდს, ლაწვებს ანათებდა ბროლი კბილები.

954 (943) ვარდი ჭნებოდა, ღრებოდა...

ქნებოდა, ღრებოდა — სინონიმებია, ღრება (ღრობა) დაჰკნობა. ღრებოდა, ჰკნებოდა.

ბროლი და ლალი გათლილი — პირისახე.

ა. ვარდი (ლოყები) ჰკნებოდა, ღრებოდა, ალვის შტო (ავთანდილის ტანი) შეირხეოდა;

ბ. ბროლი და ლალი გათლილი (პირისახე) ლაქვარდად გადიქტეოდა (ლურჯდებოდა);

გ. სიკვდილს გამაგრებოდა, ამიტომ მხნედ იყო და ამბობს:

დ. რა გასაკვირია, რომ ბნელში ვიყო, რადგანაც მზემ (თინათინმა) დამაგლო, დამტოვა.

955 (944) მზესა ეტყვის: „მზეო გიტყვი...“

ა. მზეს ეუბნება, მზეო, ვიტყვი შენს შესახებ, რომ შენ თინათინის ლაწვების შესადარი ხარ.

ბ. შენ მას ჰგავხარ, იგი შენ გგავს, თქვენ ანათებთ მთას და ბარს;

გ. გაგიჟებულს მართობს შენი ნახვა, ამიტომაც გიჰკვრეტ დაუმცდარად, განუწყვეტილად,

დ. მაგრამ სად დააგდე, რად დატოვე ჩემი გული, ცივად გაუმთბარად?

956 (945) თვე ერთისა მოშორება...

თვე ერთისა მოშორება მზე ზამთარსა გაგვიმცივნებს — ასეა საიუბილეო გამოცემაში, უმჯობესია ძველი წაკითხვა — თვე ერთისა მოშორება მზისა — ე. ი. მზის ერთი თვის მოშორება.

ა. მზის ერთი თვის მოშორება ზამთარს გაგვიცივებს.

ბ. მე საწყალს, ორი დამიტოვებია, ამიტომ გული რატომ არ ივნებს.

გ. მაგრამ კლდეს არ შეეფერება [მოწყენა], იგი არაოდეს არ იმტკივნებს (ტკივილს არ დაიმჩნევს);

დ. [რადგან] წყლულს დანა ვერ ჰკურნავს, ვერ მოარჩენს, გაჰკვეთს, ან გაასივებს.

957 (946) მიმავალი ცასა შესტირს...

ა. მიმავალი ცას შესტირის, მზეს ეუბნება:

ბ. აჰა, მზეო, გეხვეწები შენ უმძლესთა მძლესთა მძლესა,

გ. ვინც მდაბალთა აამალლებ, მეფობას მისცემ, ბედნიერებას.

დ. ნუ მომავორებ მე საყვარელს, დღეს ღამედ ნუ შემიცვლი.

მხატვრული სახეები შვიდ მნათობთადმი მიმართვაში რუსთაველს აღებული აქვს თავის დროინდელ ვარსკვლავთმრიცხველთაგან.

ამ დროს ჭერ კიდევ ძალაში იყო პტოლომაიოსის კოსმოგრაფია. რუსთველიც იზიარებს ასეთ შეხედულებას. მნათობთა რიგიც, მათი დედამიწიდან დაშორებით მისდევს პტოლომაიოსის სისტემას, რომლის მიხედვით პლანეტები ასეა განრიგებული: მთვარე, ოტარიდი (მერკური), ასპიროზ (ვენერა), მზე, მარიხი (მარსი), მუშთარი (იუპიტერი), ზუალ (სატურნი). ამ სისტემაში მეოთხე ადგილზეა მზე, მაგრამ შოთას იგი პირველ ადგილზე ჰყავს დასმული, რადგან მზე მნათობთა უკეთესია (ალსანიშნავია, ბერძნებიც მზეს პირველ ადგილზე აყენებდნენ).

958 (947) მო, ზუალო, მომიმატე...

ა. მოდი ზუალო (სატურნი), მომიმატე ცრემლი ცრემლს და ქირი ქირს,

ბ. გული შავად შემიღებე, სიბრძნეს მომეც,

გ. შემომყარე დარდი და შიშვე ტვირთი, როგორც ვირს,

დ. მას (თინათინს) უთხარი, რომ (ავთანდილი) შენია და შენთვის ტირის.

ასტროლოგიური სწავლების მიხედვით მნათობთ პირდაპირი, ნიეთიერი, ფიზიკური გავლენა აქვთ ადამიანის ბუნებასა და აგებულებაზე.

თითოეულ მნათობს თავისი საკუთარი ფერი, ბუნება, დანიშნულება და ხასიათი აქვს.

ასე: ზუალი ფერად შავია, ცრემლიანია, სევდიანთა ეტლად იტყვიან.

959 (948) ჰე, მუშთარო, გეაჯგები...

ა. ჰე, მუშთარო (იუპიტერი), გეხეწები შენ, მართალ, ღვთაებრივ მოსამართლეს;

ბ. მოდი და უყავ სამართალი (მოიღე სამართალი), გული გულს გაებრჭობა, გაეზიარება;

გ. ნუ ამრუდებ უმართლესს (ყველაზე უფრო მართალს), ნუ წაიწყმედ ამით სულს,

დ. მართალი ვარ და განმსაჯე, რატომ მაწყლულებ მისთვის (ისედაც) დაწყლულებულს!

ასტროლოგიური სწავლების მუშთარი (იუპიტერი) ფერად ლურჯია, ადამიანთა ბრჭყა, მოსამართლეთა ეტლად იტყვიან.

960 (949) მოდი, მარიხო, უწყალოდ...

ა. მოდი მარიხო (მარსი), უწყალოდ დამპყერ შენი ლახვრით,

ბ. შემღებე და შემსვარე კიდევ წითლად სისხლის დენით,

გ. მას უთხარი ჩემი ტანჯვა, მას გააგონე ენით,

დ. როგორ გამხდარვარ, რა დამმართია, გული აღარ არის ლხენით.

ასტროლოგიური სწავლებით მარხი (მარსი) წითელია, მესისხლეთა ეტლად იტყვიან.

961 (950) მოდი, ასპიროზ, მარგე რა...

- ა. მოდი ასპიროზ (ვენერა) მარგე რამე, მან დამწვა ცეცხლთა დაგით,
 - ბ. ვინც მარგალიტს (კბილებს) გარეშე მოსცავს წითელი ბაგით,
 - გ. შენ დააშენებ კეკლუცებს,
 - დ. და ვისმე უბედურს, ჩემებრ დააგდებ და გააშმაგებ.
- ასპიროზ (ვენერა) თეთრია, კეკლუცია, სიყვარულის ბატონია.

962 (951) ოტარიდო, შენგან კიდე...

- ა. ოტარიდო (მერკურ) შენ გარდა სხვას მე საქმე არ მიგავს,
 - ბ. მზე მაბრუნებს. არ გამიშვებს, შემიყრის და წვასა მიმცემს;
 - გ. დაქექი, ჩემი ჭირი რომ წერო. მეღნად მოგცემ ცრემლთა ტბას;
 - დ. კალმად გამოგიჭრი ჩემს ტანს, წერილს, როგორც თმას.
- ასტროლოგიური სწავლებით ოტარიდი (მერკური) ცისფერია, მწერალია, მწიგნობართა ეტლად იტყვიან, მზესთან ყველაზე უფრო ახლოა.

963 (952) მო, მთვარეო, შემობრალე...

- ა. მოდი, მთვარეო, შემობრალე, ვილევი და შენებრ ემკლევდები,
 - ბ. მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვილდები, ზოგჯერ ვწვრილდები;
 - გ. უამბე მას ჩემი ტანჯვა, რა მჭირს, ან როგორ ებნდები,
 - დ. მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები.
- მთვარე ვერცხლის ფერია, მოწყალეთა და სნეულთა ეტლად იტყვიან. მთვარის სიმცხრალე და სისავსე დამოკიდებულია მზეზე.

965 (954) აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა...“

- ა. ახლა გულს ეუბნება: ვითარმცა (ვითომ) ცრემლი მდის, არ გაგზმობია,
- ბ. რას გარგებს თავის მოკვლა, თურმე ეშმაკი დამგმობილებია,
- გ. მეც ვიცი, ჩემს გამაგიყებელს თმად ყორნის ბოლო გაუხდია.
- დ. მაგრამ თუ ჭირს არ დასთმობ ლხინი რა დასათმობია?

966 (955) თუ დავრჩეო, ესე მიჯობს...

- ა. თუ დავრჩი ეს მიჯობს, სიცოცხლის შესახებ იტყვის ეჭვით,
- ბ. იქნებ მზე ვნახო, ნუ ვიძახი მარად „უ“-ს (ნუ ვვაებ)
- გ. ტკბილად მიიმღერდა, ცრემლიანი ცრემლთა დენას ოდნავადაც არ წყვეტდა,
- დ. მის ხმასთან შედარებით ბულბულის ხმა ბუს ხმას ჰგავდა.

967 (956) რა ესმოდის მღერა ყმისა...

- ა. რა ესმოდა ყმის სიმღერა, სასმენად მხეცები მოდიოდნენ ხოლმე;
- ბ. მისი ხმის სიტკბოსაგან წყლიდან ქვებიც კი გამოდიოდნენ ხოლმე;
- გ. ისმენდნენ და უკვირდით ხოლმე, როდესაც ატირდებოდა, ატირდებოდნენ ხოლმე ისინიც,
- დ. იმღერის გულ-საკლავ, გულისამაჩუყებელ სიმღერებს, ცრემლი ღვარავით მოდის.

968 (...) მოვიდიან შესამკობლად...

- ა. მოდიოდა ხოლმე შესამკობლად ყველა სულიერი,
- ბ. კლდიდან — ნადირი, წყლიდან — თევზი, ზღვიდან — ნიანგი, ციდან — ფრინველი,
- გ. ინდოეთიდან, არაბეთიდან, საბერძნეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან,
- დ. რუსნი, სპარსნი, ფრანგნი და მისრეთიდან — ეკვიპტელნი.

969 (957) ყმა მტირალი სამოცდათ დღე...

ყველგან გამოცემებშია: ყმა მტირალი სამოცდათ დღე, რაც დიდ უხერხულობას ქმნის. ჯერ ერთი ის, რომ მასეილიც არაბუნებრივი გამოდის. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ მართალია, სამოცდათ არ არსებობს, მაგრამ მაგგვარი ხელოვნური სიტყვა რითმისა და რიტმისათვის შოთას ბევრი აქვს ნახმარიო. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პოეტს სხვა გამოსავალი არა აქვს — სამოცდათ — ერთ მარცვალს ზედმეტს იძლევა. ამიტომ მან იხმარა სრულიად კანონზომიერი სამოცდათ, რადც კიდევაც არის ზოგ ძველ ხელნაწერში.

შორით ნახნა — შეუძლებელია. თუ ნახნა მენავეებს გულისხმობს, მაშინ მის შემდეგ მძიმე არ უნდა. მაგრამ მენავენი აქ ქვემდებარეა და არა ობიექტი: მენავენი მოდიოდნენ. ამრიგად უნდა იყოს: შორით ნახნა (ე. ი. დაინახა), მენავენი მოდიოდეს შიგან ზღვასა.

- ა. მტირალი ყმა სამოცდათი დღის განმავლობაში მიდიოდა ზღვის პირს,
- ბ. შორიდან დაინახა, მენავენი მოდიოდნენ ზღვაში,
- გ. მოიცადა და ჰკითხა გთხოვთ მითხრათ ვინ ხართ,
- დ. ან ეს სამეფო ვისია, ვის მბრძანებლობას ემორჩილება.

970 (958) მათ მოახსენეს: „ტურფაო...“

- ა. მათ მოახსენეს (უბასუხეს): ტურფაო სახით და აგებულებით,
- ბ. უეცრად გვეჩვენე კეთილად, ამიტომაც ქებით გეუბნებით:
- გ. აქამდის თურქების საზღვარია, რომელსაც ფრიდონი ესაზღვრება,
- დ. ჩვენც გეტყვით ყველაფერს, თუ თქვენი ჰერეტიკით არ დავბნდით, თუ თქვენ თვალი გაგიმაგრეთ.

971 (959) ნურადინ ფრიდონ მეფეა...

- ა. ნურადინ ფრიდონ არის ჩვენი ქვეყნის მეფე,
- ბ. მხნე, უხვი, ძლიერი მოყმე, იშვიათი ცხენოსანი;
- გ. მისი ვნება არავის შეუძლია, მისი მზის სწორად მშვეენისა,
- დ. იგი არის ჩვენი პატრონი (მეფე) მსგავსი ცის მნათობისა.

972 (960) ყმამან უთხრა: „ძმანო ჩემო...“

- ა. ყმამ უთხრა: ძმებო, სწორედ რომ კარგ კაცებს შეგეყარეთ,
- ბ. შე ვეძებ თქვენს მეფეს, მასწავლეთ, თუ საითკენ წავიდე,
- გ. რამდენი უნდა ვიარო, როდის მივალ, ან გზას რა სიდიდე აქვს?
- დ. მენავეებმაც უწინამძღვრეს, ზღვის კიდეზე მიჰყვებოდნენ.

973 (961) მოახსენეს: „ეე გზაა...“

- მ შ ვ ი ლ დ- ფ ი ც ხ ე ლ ი — კარგი მოისარი.
მ ა ხ ვ ი ლ- ხ რ მ ა ლ ი — ხმლის იშვიათი მომხმარე.
ა ქ ა დ ა ლ მ ა — აქედან დაღმა — აქედღამა, აქედან.
და გ ვ წ ვ ე ნ — ენ პირდ. ობ. მრ. მაჩვენებელია.
ა. უთხრეს: ეს გზა მულღაზანზარს მიდის,
ბ. იქ დაგზვდება ჩვენი მეფე მშვილდ-ფიცხელი, მახვილ-ხმალი,
გ. აქედან ათ დღე მიხვალ, ნაკვთად სარო, ფერად ლალი,
დ. რატომ დაგვწვი უცხო მ უცხო, რატომ მოგვიკიდე ცეცხლებრ ალი!

974 (962) ყმამან უთხრა: „მიკვირს, ძმანო...“

- გ ე ნ ა ხ ე ნ ი თ — წყვეტილია — მე თქვენ.
და ვ ა შ ვ ე ნ ნ ი თ — II ხოლმეობითია — ჩვენ იგინი.
ს ხ დ ი ა ნ — ხოლმ. მრავალგზისი.
ა. ყმამ უთხრა: მიკვირს ძმებო, რატომ ხართ ევრე ჩემთვის გულ-
მოკლული.
ბ. ან როგორ მოგეწონათ ჩემი ზამთრის დაწვი ფერნაკლული?
გ. თქვენ მაშინ უნდა გენახათ, როდესაც ჩვენ ლალი, არ საპყარი, ვისხე-
ლით (ტახტზე),
დ. როდესაც ჩვენს მკვრეტელთ ვაშვენებლით და ჩვენთან ისხდნენ მხია-
რული.

975 (963) კაცნი წავიდეს: დაბრუნდა...

- ლ ხ ი ნ ა ს ა — რითმისთვისაა, უნდა: ლხინსა.
ნ ა რ გ ი ს ი — ყვავილია, მეტაფ: თვალი.
ნ ა რ გ ი ს ნ ი ქ უ ხ ა ნ — თვალთაგან ცრემლია მოდის.
ა. კაცები წავიდნენ, ყმა თავის გზაზე დაბრუნდა მარტოდ-მარტო,
ბ. ყმა, ვისი ცი ტანა საროს ჰგავს და ვისი გულიც რკინასა,
გ. მიაცორებებს (მსუბუქად არონინებს) ცხენს და მოთქვამს თავისსავე
ლხინზე,

დ. თვალთავან ცრემლი გამალებულად მოსდის, ისე რომ ჩამორეცხს ბროლსა და მინას, (პირისახეს).

976 (964) ვინცა გზას ნახნის უცხონი...

ზმნის ფორმები ამ სტროფში უწყვეტლის ხოლმეობითია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მოქმედება არ სრულდება. იგი განუწყვეტელია.

გზის ყოლაუზი მისციან; ჰკითხის რა, უამბობდიან — გზის მაჩვენებელს მისცემდნენ ხოლმე, რასაც შეეკითხებოდა ავთან-ლილი მას, იგი (ყოლაუზი) უამბობდა ხოლმე.

უკეთესი იყო ასე:

გზის ყოლაუზი მისციან, ჰკითხის რა, უამბობდიან.

ა. ვისაც გზაში ნახავდა უცხოს, ისინი მას ემსახურებოდნენ, ეყმობოდნენ ხოლმე,

ბ. მოდიოდნენ ხოლმე საქვრეტლად, მასზე ტრფიალებდნენ,

გ. ეძნელებოდათ ხოლმე გაშვება, ძლივ შორდებოდნენ,

დ. გზის მაჩვენებელს მისცემდნენ ხოლმე, თუ რასმე ჰკითხავდა, ის უამბობდა.

977 (965) მულაზანზარს მიეახლა...

ნადირთა ჰგვანდეს მსრველსა — ჰგავდნენ ნადირის მომხვერელს.

ა. მულაზანზარს მიუახლოვდა, ადრე მოილია გრძელი გზა.

ბ. მინდორში დაინახა დიდძალი ჯარი, რომელიც ნადირთა მსრველს (მკვლელს) ჰგავდა.

გ. ყოველმხრივ ალყა შემოერთყათ, ველს ირგვლივ მოსდგომოდნენ.

დ. ისროდნენ და იძახოდნენ, ნადირს ხოცავდნენ, თითქოს მკვლელს კრიანო.

978 (966) კაცი ემთხვია: „მას ჰკითხა...“

ისი — იგი, ის (დღეს დაცულია ზემოიმერულ თქმავში)

ზათქი და ზარი — დიდი ხმაურობა.

ა. კაცი შეხვდა და მას ჰკითხა ლაშქარის ამბავი,

ბ. რა ამბავია, ვინაა იქ რომ ხმაურობს?

გ. მან უპასუხა: იქ გახლავთ მულაზანზარის ხელმწიფე, ფრიდონ;

დ. იგი ნადირობს, ამიტომ მან შეკრა ნაპირი ველ-შამბნარისა.

979 (967) მათ ლაშქართაკე წავიდა...

უსახოთა ქცევითა — უმაგალითო ქცევითა.

შვენება მის ყმისა ვთქვიმცა მე ვითა — შეენება იმ ყმის, ვთქვა მე ვითა.

ა. ლაშქრისაკენ გაემართა თავისი უმაგალითო ქცევით;

ბ. ისე გამხიარულდა, რომ მისი შეენება არ ვიცი, როგორ ვთქვა!

გ. მის გაშორებულთ დააზრობს, გაყინავს, შემყრელთ (დაახლოვებულთ) დასწევას, როგორც მზე,

დ. მისი ნახვა მკვერტელთ აგიეებს, ტანი კობტაობს რხევითა.

980 (968) მათ ლაშქართა ყოლბსა შუა...

ყოლბი — ალყა.

ა. ლაშქრის შუაგულში საიდანღაც ორბი გადმოფრინდა;

ბ. ყმამ ცხენი შეუტია, ამაყად წავიდა, ოღნავადაც არ შეშინებულა,

გ. ესროლა და ჩამოაგდო, ისიც დაეცა და სისხლი სდინდა,

დ. ყმა გარდახდა და ფრთები დასკრა, წყნარად შეჯდა, არ აქშინდა.

სტროფი გაწყობილია მალალი შაირით, რაც განსაკუთრებულ ექსპრესიულობას იძლევა. ავთანდილის მოქმედება უნდა წარმოებდეს ჩქარი ტემპით, მაგრამ არა აფუსფუსებულად, არამედ ღინჯად, აუღელვებლად.

981 (969) იგი რა ნახეს მესროლთა...

ა. როგორც კი დაინახეს იგი მესროლებმა, სროლას თავი ანებეს,

ბ. ალყა დაშალეს, ახლოს მივიდნენ, ეხვეოდნენ, ბნდებოდნენ,

გ. იქით და აქით უვლიდნენ, ზოგიც უკან მიჰყვებოდა,

დ. ვერ ჰკადრებდნენ, ვინ ხარო, ერთი სიტყვით, ვერაფერს ეუბნებოდნენ.

982 (970) მინდორსა შიგანა გორი დგა...

ა. მინდორში გორი იდგა და მასზე ფრიდონი.

ბ. მას თან სროლის ღირსი ორმოცი კაცი ახლდა;

გ. იქ გაემართა ავთანდილი, მას თან ჯარის მთელი კრებული მიჰყვებოდა,

დ. ფრიდონი კი გაკვირვებული იყო, ჯარის მიმართ გამწყრალი იყო, რატომ მოიქცნენ აგრეთ.

983 (971) ფრიდონ მონა გამოგზავნა...

ა. ფრიდონმა მონა გამოგზავნა: წადა, ნახე ის ჯარი,

ბ. რა ქმნეს, ალყა რატომ მოშალეს, რატომ დადიან როგორც ბრმები?

გ. მონაც ფიცხლად მოეგება, ნახა ავთანდილი (სარო, მორჩი ტანი),

დ. დადგა, რეტი დაესხა, სიტყვის თქმა დაავიწყდა.

984 (972) ავთანდილ ცნა თუ ისია...

ა. ავთანდილი მიხვდა, რომ ის მონა გამოგზავნილი იყო მისი ამბის გასაგებად,

ბ. [და უთხრა]: წადი და მოახსენე შენ პატრონს ეს ჩემი დავედრებულნი.

გ. მე ვარ უცხო ვინმე ღარიბი, ჩემს სამყოფთაგან მოშორებული,

დ. ტარიელის ძმად-ფიცვი, თქვენ წინ მომგზავრებული.

985 (973) მონა წავიდა ფრიდონის...

შეყრად ფრიდონის მქისისად — მქისი აქ ფრიდონის ატრიბუტია. ამავე დროს მქისე ჩვეულებრივ მიღებული გაგებით ნიშნავს: მკაცრს, მოღუშულს, მოსაწყენს. არცერთი ამ გაგებათაგანი არ შეიძლება მივეუყენოთ ფრიდონს. ამ სიტყვას სხვა გაგება აქვს მთაში (არხოტში) — ჩქარი, სწრაფი, მკვირცხლი: „მქისე ყმაწვილია“, „გაიქე მქისეღ“.

მაშინ სტრიქონი მიიღებს შემდეგ აზრს:

— მე ვარ ტარიელის ძმა, მოსული მკვირცხლი ფრიდონის შესაყრელად.

- ა. მონა წავიდა, რომ ფრიდონისათვის ეთქვა ავთანდილის ამბავი;
- ბ. უთხრა, რომ მზე მოსულა და ჩანს დღის მანათობლად;
- გ. ვფიქრობ, რომ თუ ბრძენთა სადმე ნახეს, აუცილებლად ისინიც გაჟღერდებიან,
- დ. თქვა: ტარიელის ძმა ვარ, მკვირცხლი ფრიდონის შესაყრელად მოსულიო.

986 (974) რა ტარიელ მოისმინა...

არ გაუქდა — უქებრად არ დარჩენილა.

- ა. გაიგონა თუ არა ფრიდონმა, ტარიელის სახელი, მას ჰირი შეუმსუბუქდა,
- ბ. თვალთაგან ცრემლი გადმოსცივდა, გული აუჩუყდა,
- გ. მონაქროლმა ქარმა (იგულისხმება ცრემლები), ვარდი (ლაწვი) დაზრა, მოყინა, წამწამთაგან ცრემლი ლაპა-ლუპით მოდიოდა;
- დ. შეიყარნენ, ერთმანეთი შეაქეს, უქებრად არ დარჩენილან.

987 (975) ფიცხლად ჩავლო იგი ქედი...

- ა. ფრიდონმა ფიცხლად ჩავლო ქედი და ავთანდილს ჩაეგება,
- ბ. რა შეხედა თქვა: უთუოდ მზეა, აბა სხვა ვინ იქნებო?
- გ. იმასაც კი აღმატებოდა, რაც მონისაგან ქება მან მოისმინა;
- დ. ორნივე გადახდნენ ცხენებიდან, სიხარულმან ცრემლი აფრქვევინა.

988 (976) მოეხვივნეს ერთმანერთსა...

- ა. მოეხვივნენ ერთმანეთს, უცნობობით არ მოერიდნენ;
- ბ. მოეწონა ფრიდონს ავთანდილი და ავთანდილს ფრიდონი;
- გ. მკვკრეტელებს რომ ისინი ენახათ, უთუოდ მზეს მათთან შედარებით არაფრად ჩააგდებდნენ,
- დ. თავს მოვიკლავ, თუ ბაზარში სხვა მათებრი ან იყიდონ ან გაყიდონ.

989 (977) ფრიდონისებრნი მოყმენი...

ვინა — სად.

ეგებთან — გეზა — ყოფნა, არსებობა, ეგოს — იყოს.

ეგების — იქმნება; მოყმენი ეგებთან — მოყმენი იქმნებიან.

- ა. ფრიდონისებრი მოყმე სად შეიძლება ვინმე იყოს, არსებობდეს!
- ბ. მაგრამ მას რომ ქება ახლავს, მართლაც რომ მეტი არ შეიძლება სხვას შეხვდეს;
- გ. [თუმცა] მზე მნათობთ გააუჩინარებს, თუ მას მიუახლოვდებიან [მზე აკეთანდილია].
- დ. დღისით სანთელი ვერ ანათებს და ღამით კი შუქი კრთება.

990 (978) ცხენთა შესხდეს, გაემართნეს...

- ა. ცხენებზე შესხდნენ, გაემართნენ, მიდიან ფრიდონის სასახლეში,
- ბ. დაშალეს ნადირობა, მიატოვეს მხეცთა სრვა;
- გ. ავთანდილის საჭკრეტად ჯარი აქა-იქ ჯგუფდებოდა,
- დ. ამბობდნენ: ნეტავი ასეთი ხორციელი რას შეუქმნიაო.

991 (979) ყმა ფრიდონს ეტყვის: „ისწრაფვი...“

- ა. ავთანდილი ეუბნება ფრიდონს: ვიცი, ისწრაფვი ამბის ცნობას,
- ბ. თუ ვინ ვარ, საიდან მოვდივარ,
- გ. საიდან ვიცნობ ტარიელს, ან რატომ ვამბობ მის ძმობას,
- დ. ტარიელი ძმად მიწოდებს, ძმა ხარო, მეუბნება, თუმცა ძლივს ღირს ვარ მის ყმობას.

992 (980) მე ვარ ყმა როსტან მეფისა...

- ა. მე ყმა ვარ როსტევან მეფისა, მოყმე (რაინდი) არაბეთში გაზრდილი.
- ბ. დიდი სპასპეტი, სახელად ავთანდილი,
- გ. მე, დიდებულთა დიდგვართა, მეფის შვილობით გაზრდილი,
- დ. მოსარიდებელი და უკადრი, არვისგან ვარ ცილობით, ვერავინ ვერ შე-
მეცილება.

993 (981) დღესა ერთსა მეფე შეჯდა...

- ა. ერთ დღეს მეფე შეჯდა და გავიდა სანადიროდ;
- ბ. მინდორში დავინახეთ მტირალი ტარიელი,
- გ. გაგვიკვირდა, გვეუცხოვა, ვაწვიეთ და არ მოვიდა,
- დ. მეტად გვეწყინა, ჩვენ არ ვიცოდით თუ რა ცეცხლი სწვავდა მას.

994 (982) მეფემან სპანი შეპყრობად...

- ა. მეფემ ჯარს დაუძახა, შეიპყრეთო;
- ბ. მან ყველანი უჭირველდ, ადვილად დახოცა, ომი მას არ ეძნელებოდა,
- გ. ზოგს მხარ-თეძო დაუღლეწა, და ზოგს კი სული ხდებოდა;
- დ. მაშინ კი გავიფეთ, რომ ეტლი მთვარისა არ მობრუნდებოდა, რომ ცუ-
დად იყო ჩვენი საქმე.

995 (983) მათ სპათაგან ვერ შეპყრობა...

- ა. მეფემ გაიგო, რომ ჯარმა ყმა ვერ შეიპყრო, მეტად გაწყრა,
- ბ. თავად შეჯდა ცხენზე და შეუტია ამყსა და არამკრთალსა.

გ. მაგრამ ტარიელმა, გაიგო თუ არა, მეფეა ჩემი მღევნელიო, მოერიდა თავის ხმალს,

დ. მიუშვა ცხენი და თვალწინ დაგვეკარგა.

996 (984) ვძებნეთ და კვალი ვერ ვპოვეთ

ა. ვძებნეთ და კვალი ვერ ვპოვეთ, დავწამეთ მავნე სულობა.

ბ. მეფემ მოიწყინა, მიატოვა სმა, ნადირობა, პურობა.

გ. მე ველარ გავუძელ ტარიელის ამბის უტოდნელობას

დ. და გამოვიპარე საძებნელად, ცეცხლის ალი მედებოდა.

997 (985) იგი ვძებნე წელსა სამსა...

ა. იგი სამ წელიწადს ვძებნე, ძილიც არ მიმიკარებია თვალთათვის.

ბ. მისვან დაკოდილი ხატელები ვნახე და მათ მასწავლეს;

გ. ვპოვე ტარიელი (ვარდი მოყვითალო, შუქ-მკრთალი და ფერ-მიხდილი),

დ. მან შემიტებო და შემეყვარა, ვითა ძმა და ვითა შვილი.

998 (986) ქვაბნი წაუხმან დევთათვის...

ქვაბნი წაუხმან — ქვაბი წაუღია.

ს რ უ ლ ი ა დ გ ა მ ე ს ი ს ლ ე ბ ი ა — სავსებით მტრად გადაჰკიდებია.

მ ე ს ი ს ლ ე — სისხლის ამღები, მტერი.

ხ ლ ა — მანდილი.

შ ა ვ ი ხ ლ ა თ ა ვ ს ა ჰ ს ლ ე ბ ი ა — შავი მანდილი თავს ხლად გაუხდია, ან თავს მოუხევეია.

ჰ ს ლ ე ბ ი ა — შეიძლება ვაწარმოთ ხ ლ ა სიტყვისაგან, ან ხ ლ ე ბ ა სიტყვისაგან.

ა. გამოქვამული წაურთმევეია დევებისათვის, სავსებით მტრად გადაჰკიდებია,

ბ. იქ მარტოს ასმათი ახლავს, სხვა არავინ უახლებია,

გ. მას (ტარიელს) მარად ძველი ცეცხლი სწავეს (და არა ახალი).

დ. მის გაყრილს (გაშორებულს) მარად მწუხარება ჰმართებს, შეჰფერის, შავი მანდილი თავს უნდა ეხვიოს.

999 (987) ქალი მარტო ქვაბსა შიგან...

ა. ქალი მარტოდმარტო ზის გამოქვამულში, მარად მტირალი:

ბ. ყმას მოაქვს ნანადირევი

გ. მოართმევს ხოლმე ასმათს და იმით არჩენს იგი, ერთ ადგილას ვერ დამდგომი,

დ. მის გარდა (ასმათის გარდა) სანახავად არავინ არ უნდა, არავის არ იკარებს.

1000 (988) მე უცხოს უცხო მანატრა...

ა. მე უცხოს [ამიხდა] ნატვრა უცხო და სანატრელი [ამბის] მოსმენით,

ბ. მითხრა თავისი და თავის სასურველის ამბავი:

გ. რა ჭირი დათმო, ვერ იტყვის ჩემი ენა,
დ. ჰკლავს მიუცილებელი სურვილი და ვერ ნახვა თავისა დამმარხველისა
(ნესტანისა).

1001 (989) ვითა მთვარე, დაუდგრომლად...

- ა. როგორც მთვარე, დაუდგომლად დადის აქეთ-იქეთ;
- ბ. არ ჩერდება, შენეულ ცხენზე ზის, არასოდეს არ ჩამოხდება ხოლმე;
- გ. პირმეტყველს გაუბრბის, როგორც ნადირო, კაცებს ერიდება.
- დ. ვაი, მე, მის მგონებელს, ვაი მას, ვინც მისთვის კვდება.

1002 (990) მის ყმისა ცეცხლი შედების...

შე მ ე ბ რ ა ლ ნ ე ს — ტარიელი, ე. ი. შემებრალა.

- ა. იმ ყმის ცეცხლი შედება, ცხელი ცრემლით ვტირი,
- ბ. შემებრალა და გაეშმაგდი, რა დავინახე გახელებული გულით რომ იყო;
- გ. მოვიწოდო მისი წამლის ძებნა ყველგან, ზღვასა და ხმელეთზე,
- დ. დავბრუნდი, დამხვდნენ მეფენი დაბნელებული გულითა.

1003 (991) დავეთხოვე და გამიწყრა...

- ა. მეფეს დავეთხოვე, იგი გამიწყრა და მიეცა ჰმუნვას.
- ბ. დავტოვე ჩემი ლაშქარი, ამიტომ იძახიან ვაის;
- გ. გამოვეპარე, დავანებე თავი ტირილს,
- დ. ახლა ვეძებ მის (ტარიელის) წამალს, დავდივარ აქეთ-იქით.

1004 (992) შენი მან მითხრა ამბავი...

- ა. შენი ამბავი მან მითხრა, რომ შენ მისი ძმობილი ხარ,
- ბ. ახლა მიპოვინხარ შეუდარებელო, შენ საქებარი ენითა;
- გ. გამომიჩიე, საიდან შეიძლება იმ მზის მონახვა,
- დ. რომელიც მისთა მჭკრეტელთა ლხინია, ხოლო ვერ მჭკრეტელთათვის ამაზრზენია, ამაყრეოლებელი.

1005 (993) აწ ფრიდონ იწვის სიტყვითა...

მ ო ს თ ქ მ ი დ ე ს მ ო თ ქ მ ი თ ა — პარანომაზია.

მ უ ნ ვ ა რ დ ს ა წ ყ ლ ი თ ა ც ხ ე ლ ი თ ა რ წ ყ ვ ე ნ ტ ე ვ რ თ ა
ს ა გ უ ბ ა რ ი თ ა — ტ ე ვ რ ი — აქ წვერ-ულვაშია. წვერ-ულვაშებში დაგუბე-
ბული ცრემლები რწყავდნენ ლოყებს.

- ა. ახლა ფრიდონი დაიწვა ავთანდილის ნაუბარით,
- ბ. ორივე ერთად მოთქვამდა მოთქმითა საქებარითა,
- გ. გულამოსკენილი ტიროდნენ გულითა ვერ დამთობითა,
- დ. ლოყებს ცრემლებით რწყავენ წვერთაგან ნაგუბარითა.

1006 (994) ლაშქართა შიგან შეიქმნა...

- ა. ლაშქარში დიდი ტირილი შეიქნა,
- ბ. ზოგი პირს იხოკს, ზოგი რიდეს იხევს.
- გ. შეიდი წლის გაყრილი ფრიდონი ტირის და მოთქვამს ხმა-მალა.
- დ. ვაი, დაუნდობლობა და სიცრუეე საწუთროსა ფლიდისა.

1008 (996) რა მოგეშორე, მას აქათ...

1004 სტროფით დამთავრდა ავთანდილის თხრობა ტარიელისათვის, ამან კი ფრიდონი დაწვა „სიტყვითა მის —ყმისა ნაუბართა“ და ორივემ მოთქმა დაიწყო „მოთქმითა საქებართა“, რასაც მოჰყვა ლაშქართაგან ამოსკვნილი ტირილი, თავ-პირის კაწვრა და სამოსელის შემოძარცვა.

ლაშქრის ეს საქციელი გადაედო ფრიდონს, გული აუჩუყდა და განსაკუთრებული გრძნობა-მორევით დაიწყო მოთქმა-გოდება ტარიელისათვის.

ეს მოთქმა ერთი უმშვენიერესთაგანია მთელ ვეფხისტყაოსანში, თავისი ადამიანურობისა და მეგობრული სითბო-სილბოთი გამსჭვალული ტარიელის მიმართ. სიტყვებიც, მოთქმის გამომხატველი, შესაფერია მოხმობილი. თითოეული მათგანი თავის პოზიციაზე დგას და ზედმიწევნით ასრულებს თავის ფუნქციას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კულმინაცია: აქ გრძნობამ უმალდეს წერტილს მიაღწია და ეს ალტკინება გადმოცემულია დაპირისპირებით.

1009 (997) ფრიდონ თქვნა ესე სიტყვანი...

- ა. ფრიდონმა ეს სიტყვები მშვენიერი მოთქმით თქვა;
- ბ. დადუმდნენ, სიმღერით არ მიდიოდნენ.
- გ. ავთანდილი მკვრეტელთ ამშვენებს თავისი ლამაზი შესახედაობით,
- დ. მელნის თვალებს (შავ თვალებს) ბურავს ხშირი გიშრის ქერით, ხშირი გიშრის წამწამებით.

1010 (998) ქალაქს შევიდეს, მუნ დახვდა...

- ა. შევიდნენ ქალაქში, იქ დახვდათ სასახლე სასახლურად მოკაზმული,
- ბ. სავსებით მოწესრიგებული,
- გ. მონები ტურფად მოსილი, როგორ წესიერად იყვნენ,
- დ. ხოტბას შეასხამდნენ ხოლმე ავთანდილს გულით მოუთმენლითა.

1011 (999) შევიდეს და დიდი შექმნეს...

- ა. შევიდნენ და დიდი შეკრებილობა შექმნეს,
- ბ. აქეთ-იქით იყვნენ წარიგებით (როგორც წესი მოითხოვდა) დიდებულები ათჯერ -ათი.

გ. თვით ორივე ერთ ადგილას დაჯდა, ვინდა ვით, როგორ თქვას ქება მათი!

დ. ბროლ-ბადახშს, პირისახეს ამშვენებდა მინა (თეთრი კბილი) და შავი გიშერი (წვერულვაში).

1012 (1000) დასხდეს, შეიქმნა პურობა...

- ა. დასდნენ, შეიქმნა პურობა, გაამრავლეს ღვინის სმა,
- ბ. ავთანდილს უმასპინძლებოდნენ, როგორც მზახალი მზახალს,
- გ. მოიტანდნენ ხოლმე (მოჰქონდათ ხოლმე) სულ ახალ-ახალ ჭურჭელს (ყველაფერი ეს აგრე იყო),
- დ. მაგრამ ავთანდილის მკვრეტელთა გული მაინც მიეცა ალსა, ავთანდილმა მაინც ყველას გული დაატყვევა.

1013 (1001) მას დღე სვეს, ჭამეს, გარდახდა...

- ა. იმ დღეს სვეს, ჭამეს, გათავდა ნადიმი მსმელებისა,
- ბ. გათენდა, ავთანდილი დაბანეს. მოიტანეს მრავალი აბრეშუმ-ქსოვილი (ატლასი),
- გ. მოიტანეს შესამოსი ათი-ათასჯერ ათას დრაჰკანად ღირებული,
- დ. წელს ფასდაუდებელი სარტყელი შემოართყეს.

1014 (1002) ყმამან დაყენა დღენი რამე...

- ა. ავთანდილმა რამდენიმე დღე დაჰყო, თუმცა ვერ ჩერდებოდა,
- ბ. ფრიდონთან სანადიროდ დადიოდა და თამაშობდა,
- გ. ეროგვარად ზოცდა შორს და ახლოს, თუ რასმე კი ზღლს მიაპყრობდა,
- დ. მისი სროლა ყველა მშვილდოსანს აწბილებდა.

1015 (1003) ყმა ფრიდონს ეტყვის: „გესმოდეს...“

მე შენი გაყრა სიკვდილად მიჩნს და მით თავსა ევენები — აგრეა გამოცემებში. ამგვარი გაწყობა და წაკითხვა სტრიქონისა არ უნდა იყოს სწორი: მე შენი გაყრა სიკვდილად მიჩანს და ამიტომ ჩემს თავს ზიანს ვაძლევ, უაზრობაა და რითმაც ირღვევა: ენები||ვენები. უკეთესია მეორე წაკითხვა, რომელიც ქუთაისის ხელნაწერშია დაცული:

მე შენი გაყრა ეგრე მიჩნს გამრავლებოდეს სენები — შეიძლება იყოს ასეც:

მე შენი გაყრა სიკვდილად მიჩნს და მით თავსა ევენები: ვენები ენიანი ვნებითია, თავს ვენები, — თავს ნება მივეცი, რომ დავრჩენილიყავი, მაგრამ არა მცალს და სხვ.

- ა. ყმა ეუბნება ფრიდონს: ახლა მოისმინე ჩემი სიტყვა:
- ბ. მე შენი გაყრა ეგრე მიჩნს, თითქოს გამმრავლებოდეს სენი,
- გ. მაგრამ, მე უბედურს, არა მცალიან, ცეცხლი მწვავს მიუთმინები,
- დ. გრძელი გზა და ამავე დროს სასწრაფო საქმე მაქვს და დიდად მაგვიანდება.

1016 (1004) მართალ არს, შენი გამყრელი...

- ა. მართალი ვიქნები თუ შენი გამყრელი, თვალთაგან რომ ვღვრიდე ცრემლს,

ბ. დღეს წაუსვლელი არ შეიძლება ვიყო (ჩემი წაუსვლელობა დღეს შეუძლებელია, ამიტომ სხვა ცეცხლიც მწვავს);

გ. მგზავრის დგომა (გაჩერება) მოცდენაა, კარგს იზამს, რომ თავს სწვრთიდეს,

დ. სადაც ის მზე (ნესტანი) გინახავს, წამომყევ იმ ზღვის კიდეს.

1017 (1005) ფრიდონ უთხრა: „დასაშლელი...“

ა. ფრიდონმა უთხრა: დასაშლელი ჩემგან არაფერი არ გეთქმის;

ბ. ვიცი, რომ აღარ გცალია, შენ სხვა ლახვარი გესობა:

გ. წადი, ღმერთი გიწინამძღვრებს, ხოლო შენ: მტერი მოისპობა,

დ. მაგრამ ეს მითხარი, როგორ შეიძლება ჩემგან უშენობის დათმობა.

1018 (1006) ამას გაადრებ, არ ეგების...

ა. ამას მოგახსენებ, რომ ყოვლად შეუძლებელია მარტოდ შენი წასვლა;

ბ. თან ყმებს წაგატან, იმსახურე, იახლე,

გ. ამას გარდა, ერთ ჯორს და ერთ ცხენს დატვირთულთ აბჭრითა და საგებლით,

დ. თუ არ წაიტან, იცოდე, გაწვალდები — ლაწვი-ვარდი ცრემლ-ნადენი.

1019 (1007) მოასხნა ოთხნი მონანი...

ს რ უ ლ ი ა ბ ჭ ა რ ი ს ა კ ა ც ო , ქ ა ფ ი თ ა , ს ა ბ ა რ კ უ ლ ი თ ა — მე ვამჯობინებ: სრული აბჯარი საქარგემო. ქაფითა, საბარკულითა, როგორც ეს დაცულია ქუთაისის ხელნაწერში. მაშასადამე უბოძა: სრული აბჯარი კარგი ყმის შესაფერი, თავისი ჯაჭვ-ჭურითა და საბარკულით.

ა. მოიყვანა ოთხი მონა გულით მისანდონი,

ბ. სრული აბჯარი საქარგემო, ჯაჭვ-ჭურითა და საბარკულით,

გ. სამოცი ლიტრა ოქროს ფული აწონით, უნაკლულოდ.

დ. ერთიც ტაიჭი შეუღარებელი, სრულად აღაზმული.

1020 (1008) ერთსა ჯორსა წვივ-მაგარსა...

ა. ფრიდონმა აჰკიდა ერთ წვივ-მაგარ ჯორს საგებელი,

ბ. შეჯდა ცხენზე და ავთანდილთან ერთად გამოვიდა.

გ. გაყრის მომლოდინეს ცეცხლი ეკიდებოდა, ცეცხლი სწვავდა,

დ. მოთქევამს, მზე რომ გვხვდებოდა, ზამთარი ვერ დაგვზრავდა, ვერ დაგვსუსხავდა.

1021 (9009) ზარი მის ყმისა გაყრისა...

მ ო ქ ა ლ ა ქ ე — აქ ვაჭარი.

აღსანიშნავია: სვანურში ლა-ქელაქ დღესაც ნიშნავს სავაჭრო ადგილს, ხოლო მ უ ქ ა ლ ა ქ — ვაჭარს.

მ ზ ე ს ა მ ო ვ მ ო რ დ ი თ , მ ო , თ ვ ა ლ ნ ი მ ი ე ს ც ნ ე თ წ უ ხ ი ლ

ს ა — წუხვა თვალისა, ხუჟეა თვალისა. წუხვა რომ ხუჟეაა, ამას ადასტურებს ვ.ტ-ის შემდეგი ადგილი: „დავიწუნენ თვალნი, ყოლა ვერ შევადგენ ვითა მზესა (1132,3)⁴⁹.

- ა. გაისმა გაყრის მწუხარება, ყველა წუხილს მიეცა,
- ბ. მოატყდნენ ვაჰარნი, ლარის თუ ხილის გამყიდველნი,
- გ. მათი ყიყინა, ხმაურობა ჰაერის ქუხილს ჰგავდა,
- დ. ამბობდნენ: მზეს მოვშორდით და მოდით თვალნი დავხუჭოთო.

1022 (1010) ქალაქი გავლეს, მივიდეს...

- ა. ვავლეს ქალაქი, მივიდნენ ზღვის პირს,
- ბ. რომელიც მაშინ ფრიდონს ენახა და
- გ. სადაც მზე (ნესტანი) იჭდა;
- დ. ფრიდონი უამბობდა ავთანდილს ტყვე ნესტანის ამბავს.

1023 (1011) აქა მათ ზანგთა მონათა...

გ ა ვ ა გ ე წ ა გ ვ რ ა ხ რ მ ლ ი თ ა და მ კ ლ ა ვ ი თ ა — გადავწყვიტე მოტაცება ხმლითა და მკლავითა.

გ ა გ ე ბ ა — (ძვ. განგება) გადაწყვეტილება.

წ ა გ ვ რ ა — წაყვანა, მოტაცება.

- ა. აქ ზანგმა მონებმა ნავით მოიყვანეს ნესტანი;
- ბ. კბილ-თეთრი, ბაგე-ბადახში, შესახედდავად შავი;
- გ. ცხენი გაეჭუსლე, გადავწყვიტე, მოტაცება ჩემი ხმლითა და მკლავით;
- დ. შორიდან დამინახეს, ადრე გამეჭკნენ, ნავი ჩნდა, როგორც ფრინველი.

1024 (1012) მოეხვიენეს ერთმანერთსა...

- ა. მოეხვიენეს ერთმანეთს, გაამრავლეს ცრემლის დენა,
- ბ. აკოცეს ერთმანეთს, ორსავე გაუახლდა თავისი წვა,
- გ. გაიყარნენ გაუყრელნი, როგორც ძმად-ფიცნი და ძმანი.
- დ. ფრიდონი დარჩა, ავთანდილი წავიდა, შემხედველთა მკვლელი ტანი.

1027 (1015) ავთანდილ მარტო ზღვის პირსა...

- ა. ავთანდილი მარტოდ მიდის ზღვის პირს ოთხი მონის თანხლებით,
- ბ. რაც შეიძლება ყოველი ღონით ეძებს ტარიელის წამალს.
- გ. დღე და ღამე მტირალს ცრემლის ნაკადი გასდის,
- დ. მაგრამ მთელი ქვეყანა ჩალად, ჩალის წონად (არაფრად) მიაჩნია.

1028 (1016) სადაცა ნახნის, ეუბნის...

ლ ა რ ი — ქონება, სიმდიდრე.

ლ ა რ - კ ი დ ე ბ უ ლ ი — ლარით, ქონებით, ძვირფასით რითმე ტვირთული.

ღ ა ყ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — გაჩუმებული, მღუმარე.

ნ ა ხ ნ ის, ე უ ბ ნ ე ბ ა, ჰკითხის — უწყვეტლის ხოლმეობითა.

- ა. სადაც კი დაინახავდა ზღვის პირს მგზავრთ,

⁴⁹ შტ. ვ. დ. დ. დ. უ. ა. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი შესავალი სტროფის ლინგვისტიკური ანალიზისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე. 1943, ტ. მე-4, 9, გვ. 524.

- ბ. უთუოდ საუბარს გაუმართავდა ხოლმე, ჰკითხავდა ტარიელის ამბავს; ამ წესით ბევრი დღე (გაასებული) იარა.
- გ. ქედს გადაადგნენ, დაინახეს ლაკიდებული აქლემები;
- დ. ქარავნის პატრონნი დაყრიტ დაღვრემილი, თავჩაქინდრული, მღუმარედ აღგნენ.

1029 (1017) მუნ ქარავანი ურიცხვი...

შეიკირვებდეს, კმუნვიდეს — სინონიმებია — მეტად წუხდნენ.

ვინ (ვინა) — სად, სადაური.

საუბარი ჰკიდეს — საუბარი წამოიწყეს, საუბარი გამართეს.

ა. იქ, ზღვის პირს, ურიცხვი ქარავანი იდგა.

ბ. მეტად შეწუხებული იყვნენ: ვერც დადგომას (გაჩერებას) ახერხებდნენ და ვერც წინ მიდიოდნენ.

გ. ყმა (ავთანდილი) მიესალმა, ისინი ქებას ეტყოდნენ,

დ. ავთანდილმა ჰკითხა: სადაური ხართ თქვენ ვაჭრებო? მათ საუბარი გაუმართეს.

1030 (1018) უსამ იყო ქარავნისა...

ა. უსამ იყო ქარავნის უფროსი, მეთაური, კაცი მეტად ჰკვიანი,

ბ. მან ავთანდილს ხობტა შეასხა, დალოცა და ზნე, საქციელი უქო;

გ. მოახსენა: ხმელეთის სინათლევ, შენ ჩვენთვის ამოხვედ მალხენად,

დ. ჩამობრძანდით ცხენიდან, რომ მოგახსენოთ ჩვენი ამბავი და ჩვენი საქმე.

1031 (1019) გარდაჰხდა, ჰკადრეს: „ჩვენ ვართო...“

საქონელ-სრულნი, მდიდარნი — სინონიმებია.

არ ლარნი გვაქვან ნაჭარნი — ლარი (ქონება) არა გვაქვს დაჭრილი. ე. ი. ლარს ნაჭრობით არ ვყიდით, არამედ ბითუმად, ე. ი. დიდვაჭარნი ვართ.

ა. ჩამოხტა, მოახსენეს: ჩვენ ბაღდათის მკვიდრი ვაჭრები ვართ,

ბ. მაჰმადის სჯულის მიმდევარნი, არასოდეს ღვინო არ გვისვამს;

გ. ზღვათა მეფის ქალაქს სავაჭროდ წამოვედით, გადმოვიჭერით,

დ. საქონელ-სრული ვართ, მდიდარნი, ნაჭრობით არაფერს ვყიდით.

1032 (1020) ჩვენ აქა ეპოვეთ ზღვის პირსა...

სიტყვისა გამომგებარე — სიტყვის გამომღები

ღარიბი — უცხო.

ა. ჩვენ აქ ვნახეთ კაცი უსულოდ მღებარე,

ბ. დავეხმარეთ, ენა ამოიღო.

გ. ვკითხეთ: სადაური ხარ, მგზავრო, რა საქმეს ეძებ?

დ. გვიპასუხა: თუ შეხვალთ, დაგხოცავენ, თუმცა მე ჭერ კიდევ ცოცხალი ვარ.

1033 (1021) თქვა: „ქარავეანი ეგვიპტით...“

- ე რ ი — ძველად ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა: ხ ა ლ ხ ს ა ც
აღნიშნავდა და ჯ ა რ ს ა ც. აქ უცილობლად ჯარი უნდა იყოს, მცველი ჯარი.
ა. თქვა: ეგვიპტიდან წამოვედით ქარავეანი და თან ჯარი გვახლდა მცველი.
ბ. შევედით ზღვაში მრავალნაირი საქონლით დატვირთული.
გ. იქ დაგვესხნენ მეკობრენი და დაგვხოცეს, გვაძგერეს სახნისიანი (რკი-
ნის წვეტიანი) ძელი.
დ. ყველანი დაიღუპნენ, როგორ გადავრჩი მე, არ ვიცი.

1034 (1022) ლომო და მზეო, ესეა...

- ა. ლომო და მზეო, ეს არის მიზეზი ჩვენი აქ დგომის;
ბ. რომ დავბრუნდეთ, დიდი ზარალი მოგვეციმა;
გ. შევიდეთ (ზღვაში), ვაი თუ დაგვხოცონ, ომის (ბრძოლის) თავი არ
გვაქვს.
დ. [ერთი სიტყვით], ვერც გავჩერებულვართ, ვერც მივდივართ და
არც დარჩენის ძალა გვაქვს.

1035 (1023) ყმამან უთხრა: „ვინცა ჭმუნავს...“

- ც უ დ ი ა და ც უ და დ ც თ ე ბ ი ს — მჭმუნვართა ბუნება ალიტერა-
ციითა და სინონიმური თქმითაა ხაზგასმული:
ც უ დ ი ა ი ვ ი ვ ე ა, რ ა ც ც უ და დ ც თ ე ბ ი ს.
რ ა ც ა მ ო ვ ა ს ა ქ მ ე ზ ე ნ ა, მ ო მ ა ე ვ ა ლ ი ა რ ა გ ვ ც თ ე ბ ი ს —
აქ განგებაზეა ლაპარაკი, ვ.ტ-ში განგება, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნუ-
ლი, ადამიანის ძალის შემმატებელია, გამამხნევებელია, ჭირსა შიგან გამმაგ-
რებელია.
მ ბ რ ძ ო ლ ი, მ ე ბ რ ძ ო ლ ი — მტერი, მოწინააღმდეგე.
ა. ყმამ უთხრა: ვინც წუხს (მწუხარებას ეძლევა), ის ცუდია, ე. ი.
ტყუილუბრალოდ მომცდარა,
ბ. რაც მოსასვლელია, ის უნდა მოვიდეს, იგი არ აგვცდება,
გ. სისხლს, რომელიც ახლა დაიღვრება, ჩემს თავზე მივიღებ, დე დამეს-
ხას, დამეწვეთოს;
დ. ვინც თქვენ გებრძვისთ, ჩემი ხმალი თქვენს მებრძოლთ, მოწინააღმ-
დეგეთ დააცდება.

1036 (1024) მოქარავენნი აივსნეს...

- ა. მოქარავენნი დიდი სიხარულით აივსნენ (მოქარავენთ დიდად გაუხარ-
ლათ);
ბ. თქვეს: ვილაცაა მამაცი უნდა იყოს და არა ჩვენსავით მხდალი,
გ. წაყობა, თავის დიდი იმედი აქვს, ამიტომ მშვიდად ვიყოთ.
დ. შევიდნენ ზღვაში, ჩასხდნენ ხომალდში, ზღვის პირ-პირ გაემართნენ.

1037 (1025) სიამოვნისა დართა..

- ა. სასიამოვნო დართო, ადვილად იარეს.
- ბ. მათი მეგზური ავთანდილი მამაცად უძღოდა წინა.
- გ. გამოჩნდა მეკობრეთა ნაეი, რომელზედაც მეტად გრძელი ღროშა იყო,
- დ. ხოლო ნაეზე მოთავსებული იყო სახნისიანი ძელი.

1038 (1026) კიოდეს და მოდიოდეს...

ს ი ა ლ ფ ე — გმირობა, ვაჟკაცობა.

- ა. კიოდნენ და მოდიოდნენ, ყვიროდნენ და ბუკს უკრავდნენ,
- ბ. ქარავანმა დაინახა დიდი ლაშქარი და შეშინდა,
- გ. ყმამ უთხრა: ნუ გეშინიათ თქვენ მათი ვაჟკაცობის, მათი გმირობის:
- დ. ან დავხოც მათ ყველას, ან მოკვდები დღეს (სხვა გამოსავალი არ არის).

1039 (1027) უგანგებოდ ვერას მიზმენ...

- ა. უგანგებოდ ვერაფერს მიზამენ, მთელი ხმელეთის ჭარიც რომ შეშებას;
- ბ. და თუ განგება ინებებს, არ გადავრჩებით, ჩემთვის ლახვარი, მაშასადამე, უკვე შზად ყოფილა.
- გ. ვერ მიხსნის ვერც ციხე, ვერც მოყვარე, ვერც ძმა.
- დ. და ვისაც ეს აგრე აქვს შეგნებული, ის უთუოდ ჩემსავით გულოვანია.

განგება უზენაესი ძალაა, მასზე ბევრია დამოკიდებული, მაგრამ იგი არ სპობს პიროვნებას, არამედ ზრუნავს, რომ ადამიანი, რაც შეიძლება იყოს თვითხელმწიფე, იყოს გულოვანი. განგების ძლიერება გახაზულია მესამე სტრიქონში ანათორული ალიტერაციით: „ვერ მიხსნიან ვერც ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი“.

1040 (1028) თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ...

ჯ ა ბ ა ნ ი — მხდალი.

ო მ ის უ მ ე ც ა რ ი — ომის საქმის არ მცოდნე.

ლ ო მ ნ ი მ კ ლ ა ვ ნ ი — მამაცი მკლავები.

მ ე კ ო ბ რ ი ს ა ნ ა ვ ი ს ა ნ ი — რიტმისთვისაა, უნდა: მეკობრეთანი ნაგისა.

- ა. თქვენ ვაჭრები, მხდლები ხართ, ომისაც არაფერი გაგეგებათ.
- ბ. შორიდან ისრით ვერ დავხოცავენ, ჩაიკეტეთ კარები.
- გ. მე მარტო მნახეთ, როგორ შევება, როგორ ვიხმარო მამაცი მკლავები.
- დ. და ნაეში მსხდომთა მეკობრეთა სისხლი ნახოთ მონაღვარი.

1041 (1029) ჩაიცვა ტანსა აბჯარი...

მ კ რ ე ზ ა ლ ი — მიმღეობა სიტყვიდან — კ რ ჩ ხ ა.

კ რ ჩ ხ ა — იგივეა, რაც გრჯლა, კოპებიანი, წვეტებიანი რამ, მ კ რ ჩ ხ ა ლ ი — მწვეტავი, მჩხვლეტავი, მკაწრავი.

- ა. ტანს ჩაიცვა აბჯარი, ისე იქცეოდა როგორც ვეფხვი მკაწრავი;
- ბ. ცალ ხელში ჰქონდა რკინის კეტი;
- გ. წადგა ნავის პირს მტკიცედ, შიშვეუვალად;
- დ. როგორც მკვრეტელნი ჰკრებით, ისე მტერი დახოცა ხმლითა.

1042 (1030) კიოდეს იგი ლაშქარნი...

- ა. მტრები კიოდნენ გამუდმებით, მათი ხმა არ წყდებოდა;
- ბ. აჰღერეს სახნისიანი ძელი;
- გ. უმა ხავის პირს უშიშრად იღგა, ოდნავდაც არ შემკრთალა,
- დ. ჰკრა კეტი, ძელი გაუტეხა, ლომს მკლავი არ უდრკებოდა.

ომის, ბრძოლის დროს ჩვეულებრივია სიმღერა, მუსიკა, მაგრამ აქ აღსანიშნავია კვილი. ეს ერთგვარი მაგიური შეძახებაა, ძალის შემმატებელი ბრძოლის დროს. ახლაც ცნობილია ჩვენში მარულას დროს შეკვილება ცხენისადმი, როგორც გამამხნევებელი სიგნალი.

1043 (1031) ძელი მოსტეხა ავთანდილ...

- ა. ავთანდილმა გაუტეხა მათ ძელი და თვითონ გადაარჩა ნავდაულეწელი;
- ბ. მტერი შეშინდა და დაიწყეს გასაქცევი გზის ძებნა;
- გ. ველარ გაუსწრეს (ვერ დაადწიეს თავი), ავთანდილი გარდუხდა (გადაუხტა) და მტერი მილეწ-მოლეწა,
- დ. ასე რომ, არ დარჩენილა კაცი ცოცხალი, რომ მას არ დაეფრიწოს.

1044 (1032) მათ ლაშქართა გულ-უშიშრად...

- ა. მტერთა ლაშქარს ისე ხოცდა, როგორც თხას;
- ბ. ზოგს ნავს შეანარცხებდა ხოლმე, ზოგს კი ზღვაში ჰყრიდა;
- გ. ერთმანეთს შეახეტებდა ხოლმე რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა.
- დ. დაჭრილები მკვდრებს შორის იმალებოდნენ გასუსულნი.

1045 (1033) გაუმარჯვდა ომი მათი...

- ა. ომი გამარჯვებით გათავდა, როგორც ავთანდილის გულს სწაღდა;
- ბ. დამარცხებულებმა ფიცით სთხოვეს: ნუ დაგვხოცავთ, შენი რჯულის მაღლმაო.
- გ. არ დახოცა, მხოლოდ დაიმონა, ვინც ცოცხალი დარჩა.
- დ. მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“.

1046 (1034) კაცო, ძალსა ნუ იქადი...

- ა. კაცო, თავი ნუ მოგაქვს შენი ძალით, ნურც იკვებნი, როგორც მთვრალი:
 - ბ. არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწვეს ღვთის ძალა.
 - გ. დიდ ხეს მოერევა, დაწვავს მცირე, პატარა ნაპერწყალი;
 - დ. თუ ღმერთი ფფარავს, ერთგვარად გასჭრის, როგორც შეშა, ისე ხმალი.
- აქ, და საზოგადოდ ვ.ტ-ში ღმერთი უზენაესი ძალაა, რომელიც განაგებს

ყველაფერს, უღმრთოდ აჩაფერი არ კეთდება. ამ სტროფის შინაარსი ანარქი-
ლი უნდა იყოს იერემია წინასწარმეტყველის ერთი ადგილისა: „ნუ იქადინ
ბრძენი სიბრძნისა მიერ თვისისა და ნუ იქადინ ძლიერი ძლიერებისა მიერ
თვისისასა, აჩამედ ამას ზედა იქალოდენ მოქალდული..., რამეთუ მე ვარ უფა-
ლი მოქმედი წყალობისა და მსჯავრისა და სიმაართლისა ქვეყანასა ზედა, რამე-
თუ ამათ შინა არს ნება ჩემი“ (იერ. 9,23—24).

1047 (1035) მუნ ავთანდილ საჭურჭლენი...

გ ა ე ხ ა რ ნ ე ს, ა რ ი ა ხ ნ ა — გაუხარდა, არ იოხრა, სინონიმური
თქმაა.

ს ა ს ა ხ ა ე ი — ის რაც უნდა დასახო (რაც უნდა დაუსახო ვისმე), წარმო-
სადგენი.

ს ა ს ა ხ ა ე ნ ი დ ი დ ნ ი ს ა ხ ნ ა — დიდი რამე დაუსახა, დიდ რასმე და-
პირდა.

- ა. იქ ავთანდილმა ბევრი მათი განძეულობა ნახა;
- ბ. ნავი ნავს გადააბა, ქარავანს დაუძახა;
- გ. უსამმა ნახა მხიარული, გაუხარდა, არ იეგალა;
- დ. ხობა უთხრა (ავთანდილს), მეტად შეაქო სიტყვებით.

1048 (1036) ავთანდილის მაქებულად...

ე ნ დ ა (და არა უნდა) — ზმნა, ენა სიტყვისაგან ნაწარმოები,
ათასი მცა ენა ენდა — ათასი ენა უნდა ენობდეს.

ა. ავთანდილის მაქებულად ათასი ენა უნდა ენდეს (ათასი ენა უნდა ამოძ-
რავდეს),

ბ. მაგრამ ვერც მათ თქვან მისი ნაომრობა ისე, როგორც მას შეეფერება,
შეშვენის;

- გ. ქარავანმა იგრიალა: ღმერთო, მაღლი შენდა,
- დ. მზემ შუქი შემოგვანათა, ამიერიდან ბნელი გათენებულია.

1049 (1037) მოეგებნეს, აკოცებდეს...

ა. მოეგებნენ, აკოცებდნენ თავზე, პირზე, ფეხზე, ხელზე;

ბ. უსაზომო ქება უთხრეს ავთანდილს, ტურფა საქებელს.

გ. მისი ჰვრეტა ისე გახდის ბრძენს კაცს, როგორც ხელს;

დ. შენის წყალობით გადავრჩით ჩვენ ასე ძნელ ფათერაკს.

1050 (1038) ყმამან უთხრა: „მაღლი ღმერთსა...“

ა რ ს თ ა მ ხ ა დ ი — შემოქმედი

ქ მ ნ ა დ ი — რაც უნდა იქმნას, გასაკეთებელი, საქმნელი

ი გ ი ი ქ მ ა ნ — იფულისხმება ძალნი ზეციერინი, ამიტომაც შე-
მასმენელი მრავლობითში: იქმან.

მ ო წ ე ე ნ ა დ ი — ის რაც უნდა მოიწიოს, მომავალი, განგება⁵⁰.

⁵⁰ შტრ. ვისრ. „ღმრთისა განგებასა ნუფინ ემკლეების. ამით: როგელ მ ო წ ე ე ნ ა დ ს ა
ვერვინ შეაქტევს (ვისრ. 1962 წ. 66, 28) (46, 11) ე. ი. ლეთს განკებას ნუ ებრძვი, ენაიდან მას
ვერ შეაბრუნებ, ვერ შეაქტევს.

- ა. ყმამ უთხრა: მადლი ღმერთს, შემოქმედს, არსთა გამჩენს.
- ბ. ვისიც ზეციერი ძალა განაგებს აქაურ საქმეებს.
- გ. მისი საქმეა ყველაფერი, ზოგი იღუმალი, ზოგი ცხადი;
- დ. საჭიროა, გვმართებს ყველაფრის დაჯერება, ბრძენს სჯერა მომავალი, განგება.

1051 (1039) ღმერთმან სულსა ეგოდენსა...

- ა. ღმერთმა თქვენ გაპატივათ, თქვენ შეგარჩინათ თქვენი სისხლი;
- ბ. მე, საწყალი, რა ვარ, მიწა ვარ ცუდი, თვით ჩემი თავით რა უნდა მექნა?
- ბ. მე, საწყალი, რა ვარ, მიწა ვარ ცუდი, თვით ჩემი თავი რა ვქმნა?
- გ. მე დავხოცე თქვენი მტერი და შევასრულე, რასაც დაგპირდით;
- დ. ახლა საქონლით სავსე ნავი მიმიღია, როგორც ძღვენი.

1052 (1040) ამოა, კარგსა მოყმესა...

- წ ბ ლ ა — რიდი, სირცხვილი. მ ა თ ა გ რ ე მ ყ ო ფ თ ა ს წ ბ ე ბ ო — დ ე ს — მათ ამგვარ მდგომარეობაში რცხვენოდათ.
- ა. სასიამოვნოა, როდესაც კარგ მოყმეს ომი გაუმარჯვდება, ომი გაუმართლდება.
 - ბ. ამხანაგებს აჯობებს, ვინც მასთანაა ხლებულს,
 - გ. ისინიც ულოცავდნენ ხოლმე, აქებდნენ, მათ კი რცხვენოდეთ;
 - დ. [გამარჯვებულს] ჰშვენოდეს დაკოდლობა, ცოტა რამე ჰვენებოდეს.

1053 (1041) იგი ნავი მეკობრეთა...

- ა მ ა რ ი — რიცხვი; უამარი, უამარავი, უამრავი — ურიცხვი.
- ა მ ა რ ი მ ც ა ვ ი თ დ ა თ ვ ა ლ ე ს — რიცხვი (რაოდენობა) როგორ გაიგონ!
- ა. მეკობრეთა ნავი იმ დღესვე გადმოიღეს, ხვალისთვის არ გადადეს,
 - ბ. იქ დადებულ სიმდიდრეთა რიცხვი როგორ გაიგონ (დიდ-ძალი სიმდიდრე იყო!);
 - გ. თავიანთ ნავში გადმოიღეს, მტერთა ნავი სრულიად დაცალეს,
 - დ. დაღეწეს და ზოგიც დასწვეს, შეშა ღრამის ფასად არ უღირდათ (ე. ი. ბევრი იყო!).

1054 (1042) ავთანდილს უსამ მოართვა...

- ც ვ ი ლ ი — თაფლის სანთელი.
- ც ვ ი ლ ო ბ ა — სისუსტე.
- ა. უსამმა მოახსენა ავთანდილს ვაჭართა შემონათვალი;
 - ბ. ჩვენ შენგან ვართ გამაგრებული, განმტკიცებული, რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ ვიცით ჩვენი სისუსტე,
 - გ. რაცა გვაქვს, შენი იყოს, ეს არ არის სადავო, საცილობელი.
 - დ. რასაც მოგვეცემ, გვიბოძე, ამისთვის ვართ აქ შეკრებილი.

1055 (1043) ყმაძან შესთვალა: „ჰე ძმანო...“

- ა. ყმამ შეუთვალა: ჰე, ძმებო, წედანაც ხომ მოისმინეთ!
- ბ. ღმერთმა მიიღო, შეიწყნარა, რაც თქვენ ცრემლი გდენიათ;
- გ. მან დაგარჩინათ, მე რა ვარ, მე, საბრალოს, რა მომიღებნია!
- დ. რა გინდა მომცეთ, რად ჩავაგდებ? მე ვარ და ჩემი ცხენია.

1056 (1044) მე თუცა რამცა მინდოდა...

- ა. მე თუ რამე მინდომოდა საქურტლე დასადებელი,
- ბ. ჩემსასაც ბევრი მქონდა უმაგალითო, ძვირფასი საგებელი;
- გ. რად მინდა თქვენი რამე, მე მხოლოდ თქვენი მსლებელი ვარ.
- დ. მე სხვა საქმე მაქვს, თავის დასადები.

1057 (1045) აწ რაცა აქა ვიშოვე...

- ა. ახლა, რაც აქ ვიშოვე უთვალავი სიმდიდრე,
- ბ. ვისაც რა გინდათ, წაიღეთ, არვის ვიქნები მოშურნე;
- გ. ერთ რასმე გეხვეწებით, მოიღეთ ჩემი სახვეწელი არ სარიდი;
- დ. საქმე რამე მაქვს თქვენში თავის დასამალავი.

1058 (1046) ჟამამდის ჩემსა ნუ იტყვიტ...

ჯ უ ბ ა ჩ ო ბ ა — (სიტყვისაგან: ჯუბაჩი — შზა ტანისამოსის ვაჭარი), ვაჭრობა.

- ა. ღრმდღე ნუ იტყვიტ, რომ მე თქვენი პატრონი არა ვარ.
- ბ. თქვით ჩვენი უფროსია-თქო და არა ჭაბუკი ვინმე.
- გ. მე სავაჭრო ტანსაცმელს ჩავიცვამ, დავიწყებ ვაჭრობას,
- დ. და ასე შემიწახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა.

1059 (1047) ესე საქმე ქარავანსა...

- ა. ეს საქმე ქარავანს მეტად გაუხარდა;
- ბ. მივიდნენ, თაყვანი სცეს, მოახსენეს;
- გ. რაც სახვეწელი ჩვენ გვინდოდა, იგი თქვენვე გადაგიწყვეტიათ;
- დ. ამიტომ მას ვემსახურებით. ვისიც პირი მზისა პირად გვიხილავს.

1060 (1048) მუნით წავიდეს, იარეს...

- ა. იქიდან წავიდნენ, იარეს, დიდხანს არ ჩერდებოდნენ ხოლმე.
- ბ. კარგი ამინდი შეხვდათ, მარად სიამოვნებით მიდიოდნენ;
- გ. თვალეებში შესცქეროდნენ ავთანდილს, ქებას შეასხამდნენ ხოლმე;
- დ. ავთანდილს მიუძღვნიდნენ მისი კბილისვე ფერის მარგალიტს.

1061 (1049) ზღვა გაიარა ავთანდილ...

- ა. ავთანდილმა გაიარა ზღვა, მდის კობტა ტანით;
- ბ. ნახეს ქალაქი, გარემოცული ბაღების ტყით,

- გ. უცხო-უცხო მრავალფერი ყვავილები,
დ. არ ვიცი, იმ ქვეყნის სიტურფე როგორ გითხრა!

1062 (1050) მათ ბალთა პირსა დააბეს...

- ა. ბალის პირას დააბეს ნაეი სამი საბლით.
ბ. ავთანდილმა ტანს ჭუბა ჩაიცვა, სკამზე დაჯდა;
გ. მიიყვანეს მზიდავნი, საგანგებოდ დაქირავებულნი;
დ. ავთანდილი ვაჭრობს, უფროსობს და თავს ამით იმაღავს.

1063 (1051) მოვიდა მისი მებაღე...

- ა. მოვიდა მებაღე და
ბ. დაუწყო ავთანდილს გაშტერებით ქვრეტა;
გ. ავთანდილმა მოიხმო თავისთან და ჰკითხა მას, სიტყვა უცთომელს:
დ. ვისი ხართ, ვინ ხართ და რა ჰქვიათ აქაურ მეფეს?

1064 (1052) წერილად მითხარ ყველაკაი...

იე ფად რა იხსენებ ის — იაფად რა იყიდება, რა გაიშლება (ხსნა — გამოხსნა, გამოყიდვა).

მე მე ც ნ ე ბ ის — მე მე ც ნ ე ბ ა, მე ც ნ ა უ რ ე ბ ა.

გ ე მ ც ნ ე ბ ის — გ ე ც ნ ო ბ ე ბ ა.

- ა. დაწვრილებით მითხარ ყველაფერი, უთხრა ავთანდილმა კაცს.
ბ. რა საქონელი იყიდება უფრო ძვირად და რა შეიძლება იაფად გაიყიდოს?
გ. მოახსენა: ვხედავ თქვენს პირს, მზის ხატად მე ც ნ ა უ რ ე ბ ა, მე ჩ ვ ე ნ ე ბ ა;
დ. რაც ვიცი, ყველაფერს მართლად მოგახსენებ, მრული (ტყუილი) არ შეიძლება შენ გეცნობოს.

1065 (1053) ესეა ზღვათა სამეფო...

- ა. ეს არის ზღვათა სამეფო, ვრცელია, ათი თვის სავალი.
ბ. დედაქალაქი, გულანშარო სავსეა მრავალი ძვირფასეულით;
გ. აქ მოაქვთ ყოველგვარი განძეულობა ზღვა-ზღვა მავალ ნავებს;
დ. ამ ქვეყნის ხელმწიფეც მელიქ-სურხავე ბედნიერია და დავლა სრული.

1066 (1054) აქა მოსვლითა გაყმდების...

- ა. აქ მოსვლით გაახალგაზრდავდება კაცი, რაც გინდა ბებერი იყოს;
ბ. სმა, გახარება, თამაში, მარად სიმღერებია;
გ. ზამთარ-ზაფხულ მარად ფერად-ფერადი ყვავილები გვაქვს;
დ. ვინც გვიცნობს, ყველა შემოგვნატრის, წარმოიდგინეთ, მტერიც კი.

1067 (1055) დიდ-ვაჭარნი სარგებელსა...

- ა. დიდ ვაჭარნი ამის მეტს სარგებელს არ ეძებენ;
ბ. იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;

გ. ღარიბები ერთ თვეში გამდიდრდებიან, საქონელს ყოველი მხრიდან ჰკრებენ. ეზიდებიან;

დ. უქონელნი საქონელს დაიღებენ ერთი წელიწადის გასვლამდე (დამდიდრდებიან).

წვრილ ვაჭრებს არ შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ მსხვილებს და ამიტომაც „უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიღებენ“ [შესაძლოა ასეთი გაგებაც].

1068 (1056) მე ვარ მეზალე უსენის...

ა. მე უსენის, ვაჭართა უხუცესის, მეზალე ვარ,

ვ. ამასაც მოგახსენებ, თუ რა წესი აქვს მას:

გ. ეს ბალი სადაც დღეს თქვენი სადგომია,

დ. მისი გახლავთ და თავდაპირველად საქიროა, სწორედ მას უჩვენოთ, რაც რამე უძვირფასესი გაქვთ.

1069 (1057) რა შემოვლენ დიდ-ვაჭარნი...

ა. როგორც კი დიდვაჭარნი შემოვლენ, პირველად ვაჭართუხუცესს ნახავენ და ძღვენს მიუძღვნიან,

ბ. უჩვენებენ, რაც საქონელი აქვთ, სხვაგან საქონელს არ გახსნიან;

ბ. საუკეთესოს მეფისთვის დასდებენ, იქვე ფასს დაუთვლიან,

დ. ამის შემდეგ ვაჭართა უხუცესი ნებას აძლევს მათ, როგორც უნდათ, ისე გააყიდონ საქონელი.

1070 (1058) თქვენებრთა საბატოთა...

დ ა მ ყ ე ნ ე ბ ე ლ ი — განმკარგულელებელი.

გ ა მ ო გ ე ბ ა — განგება, განკარგულება.

ა. თქვენისთანა საბატო პირთა მათ ჰმართებს, რომ მოგისვენონ;

ბ. განმკარგულელებელთ უბრძანებს, თუ ვის როგორ ჰმართებს, როგორ ეკუთვნის მოსვენება.

გ. ახლა იგი აქ არ არის, ამიტომ არც გამოგვადგება მისი ხსენება;

დ. განკარგვა, წაყვანა და თქვენი წვევა მას ჰმართებს.

1071 (1059) ფატმან ხათუნ შინა არის...

ა. ფატმან ქალბატონი, უსენის ცოლი, შინ არის;

ბ. პურად კარგი მასპინძელი, მზიარული, არ ქუში;

გ. მას ვაცნობოთ თქვენი მოსვლა, რომ წაგიყვანოს, როგორც ნათესავი

დ. წინ კაცს შემოგაგებებს და ქალაქში შეხვალ ნათლივ, დღისით.

1072 (1060) ავთანდილ უთხრა: „წადიო...“

ა. ავთანდილმა უთხრა: წადი და ისე მოიქეც, როგორც გსურს.

ბ. მეზალე მირბის, იხარებს; ოფლი წურწურით ჩამოსდის

გ. ხათუნს უთხრა ამბავი: მე ეს დამიკვებია:

დ. ყმა მოვა იმისთანა, რომ მის მკვრეტელებს მისი შუქი მზედ უხილავც

1073 (1061) ვაჭარი ვინმე პატრონი...

- ა. დიდი ქარაენის პატრონია, ვინმე ვაჭარი,
- ბ. საროსა მჯობი ნაზარდი და მთვარე დღისა შეიღისა;
- გ. ჰშეენის, უხდება წითელი რიდის მოხვევა,
- დ. მიმიხმო და მკითხნა, რა საქონელი როგორ ფასობსო.

1074 (1062) ფატმან ხათუნს გაეხარნეს...

- ა. ფატმან ხათუნს გაუხარდა და ათი მონა გააგება,
- ბ. მოუკაზმა ქარვა-სრა (სადგომი), დააწყო მათი ბარგი,
- გ. შემოვიდა (ავთანდილი) ლაწვი-ვარდი, ბროლ-ბადანში, მინა, სათი;
- დ. მისმა მჭკრეტელებმა მიამსგავსეს მისი ძლიერება ვეფხის ტოტს და ლომის თათს.

1075 (1063) ზარი გახდა, შემოაკრფეს...

- ა. გავარდა ხმა და შემოჰკრბეს ქალაქის მოსახლეობა სრულად.
- ბ. იქით და აქით ეწყობოდნენ; როგორ ვუჭვრიტოთ ამასო?
- გ. ზოგი სურვილით, თავდაქერილად უყურებდა, ზოგიც სულწასული იყო.
- დ. ცოლებმა თავისი ქმრები მოიძულეს და ისინი დარჩნენ შერცხვენილად.

1076 (1064) ფატმან, ცოლი უსენისი...

- ა. ფატმანი, უსენის ცოლი, გაეგება კარებში;
- ბ. მხიარულად მოიკითხა და სიხარული დაიჩინა;
- გ. ერთმანეთი მოიკითხეს, შევიდნენ და შინ დასხდნენ;
- დ. ფატმანს, როგორც შევატყვე, მისი მისვლა არ ეწყინა.

1077 (1065) ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე...

- თვალად მარჯვე — შესახედავად კარგი, მოსაწონი.
მწმელი — ზმა სიტყვის მიმღეობა, მოქმედი. გადატ. მხიარული, ცოცხალი.
- პირ-მსუქანი, არპირხმელი — ჰენდიადისია.
სასალუქო — მოსახდენი, საკეკლუცო.
- ა. ფატმან-ხათუნ, შესახედავად მოსაწონი, არყმაწვილი, მაგრამ ცოცხალი, მხიარული,
 - ბ. ცქციტი, ნაკვთად კარგი, შავგვრემანი, პირმსუქანი, არპირხმელი,
 - გ. მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი.
 - დ. ბევრი ჰქონდა მოსახდენი, საკეკლუცო, დასაბურავ-ჩასაცმელი.

1078 (1066) მას ღამესა ფატმან ხათუნ...

- ა. იმ ღამეს ფატმან-ხათუნმა ავთანდილს მეტად კარგად უმასპინძლა:
- ბ. ყმამ უძღვნა ფატმანს ტურთა ძღვენი, მიმღებლებმა (ჩამომრთმევმა) თქვეს, რომ ვარგისიაო.

გ. ფატმანს მისი მასპინძლობა უღირს, ღმერთმანი, ტყუილად არ დაკარგულა;

დ. სვეს და ჭამეს, დასაწოლად ყმა კარში გავიდა.

1079 (1067) დილასა ლარი ყველაი...

ა. დილას საქონელი უჩვენა, ყველანი გაახსნენინა;

ბ. საუკეთესო მეფისათვის გადადო, ფასიც დაათვლევინა;

გ. ვაჭართ უთხრა: წაიღეთ, აპკიდა, წაალებინა;

დ. თქვენ როგორც გინდათ ივაჭრეთ, მხოლოდ მე ნუ გამამკლავებთ ვინა ვარ.

1080 (1068) ყმა ვაჭრულად იმოსების...

ა. ყმა ვაჭრულად იმოსება, არაფერს თავისას არ იცვამს;

ბ. ზოგჯერ ფატმან ისმობდა ხოლმე თავისთან, ზოგჯერ კი ფატმანთან მოდიოდა.

გ. ერთად სხდებოდნენ ხოლმე, საუბრობდნენ არა მქისად;

დ. ფატმანს კლავდა უაფთანდილობა ისე, როგორც რამინს უვისობა.

1081 (1069) სჯობს სიშორე დიაცისა...

გილიზღებს — გეპირფერება.

შეგიკვეთებს — შეგიჩვევს.

ა. სჯობს სიშორე დიაცისა, ვისაც შეუძლია მოითმინოს;

ბ. გეპირფერება, შეგიჩვევს, მიგინდობს და მოგენდობა;

გ. უეჭველად მოულოდნელად გილალატებს, გააკვეთს, რაცა დაესობის...

დ. ამიტომ დიაცს სამალავი, საიდუმლო არავისთან არ ეთხრობა, არ ეთქმის.

1082 (1070) ფატმან ხათუნს ავთანდილის...

რა მერგების — რა მეშველება.

ა. ფატმან-ხათუნს გულს შეუვიდა ავთანდილის ნდომა, სურვილი.

ბ. სიყვარული მეტის-მეტი მოემატა, ცეცხლებრ სწვიდა.

გ. ცდილობდა დაემალა, მაგრამ ჭირს ვერ მალავდა.

დ. თქვა: რა ვქნა, რა მეშველება! მწარედ ტიროდა.

1083 (1071) მიღმა ვუთხრა: „ვა თუ გაწყრეს...“

მიღმა ვუთხრა — იქით ვუთხრა.

ერთი რამე გამიპირდეს — ერთი რამე დამემართოს, ერთი რამე მეშველოს.

ა. იქით ვუთხრა, ვაი თუ გაწყრეს, შეხედვაც დამიძვიროს;

ბ. თუ არ ვუთხრა, როგორ გავძლო, ცეცხლი უფრო გამიძლიერდეს,

გ. ვთქვა და მოვკვდე, ან დაეჩრე, ერთი რამე მეშველოს...

დ. აბა, მკურნალმა როგორ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს.

1084 (1072) დაწერა წიგნი საბრალო...

- ა. დაწერა წერილი საბრალო ავთანდილის მისართმევი,
- ბ. თავის მიჯნურობის, თავის ტანჯვათა მცნეველი,
- გ. თავის მსმენელთა გულის შემძვრელი, შემარხეველი,
- დ. წერილი შესანახავი და არა უბრალოდ დასახვევი.

1085 (1073) ჰე მზეო, ღმერთსა ვინათგან...

ჭ ი რ თ ა, ა რ ლ ხ ი ნ თ ა — ჰენდიადისია.

- ა. ჰე მზეო, ვინაიდან შენ ღმერთს სწადდი დაებადებინე,
- ბ. ამიტომ შეგქმნა შენ შენზე დაშორებულთათვის ჭირის და არა ლხინის მოსურნედ;
- გ. ხოლო ახლოს შემყრელთათვის (დაახლოვებულთათვის) დამწველად, ცეცხლის მღებლად.
- დ. მნათობთ შენი შეხედვა ტკბილად უჩნს, სასიქადულოდ.

1086 (1074) შენ გტრფიალობენ მჭვრეტელნი...

- ა. შენ გეტრფიან მჭვრეტელნი, შენ გამო ბნედა მოსდით.
- ბ. ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი შენზე რად არ იკრიფებინან!
- გ. შენი შეენება ყვავილებს აქცნობს, ჩემი ყვავილიც (სიცოცხლე) ჭკნება;
- დ. მთლიანად დამწვარვარ, თუ მზის შუქი ღროზე არ მომესწრება.

1087 (1075) ღმერთი მყავს მოწმად, ვიშიშვი...

- ა. ღმერთი მყავს მოწმად, ვშიშობ თქვენთვის ამის თქმას,
- ბ. მაგრამ რა ვირგო უბედურმა, სრულად დამიკარგავს თმობა.
- გ. გული ვერ გაუძლებს მარად შავთა წამწამთა სობას;
- დ. თუ რამეს მიშველი, მიშველე, თორემ ცნობას დავკარგავ.

1088 (1076) მე ვირე ამა წიგნისა...

ნ ე ტ ა რ ძ ი — ნეტავი თუ.

- ა. მე ვიდრე ამ ჩემი წერილის პასუხი მომივიდოდეს,
- ბ. ვცნობდე, გინდივარ მოსაკლავად, ან ჩემსას დაიჯერებდე,
- გ. მანამდის გავძლებ სულთადგმას, რაზომცა გული მეტკინოს,
- დ. სიცოცხლე ან სიკვდილი ნეტავი თუ ოდესმე გადამიწყდეს

1089 (1077) ფატმან ხათუნ დაწერა და...

- ა. ფატმან-ხათუნმა დაწერა თავისი წიგნი და გაუგზავნა ავთანდილს;
- ბ. ყმამ ისე წაიკითხა, დაჟ თუ არის ვინმეო ან ახლობელი ნათესაევი
- გ. თქვა: არ იცი გული ჩემი, ვინ მეტრფის, ვის ვისი?
- დ. მე რომ მიმიჩნს სამიჯნურო (მე რომ მყავს სამიჯნურო), როგორ ვამს-გავსო მე მას ის (ფატმანი).

1090 (1078) თქვა: „ყვავი ვარდსა რას აქნევს...“

- ა. თქვა: ყვავი ვარდს რად მიიჩნევს რადმე, ანდა რა მისი შესაფერია!
- ბ. მაგრამ მასზე ბულბულს ჭერ ტყბილად არ უმღერია.
- გ. უმსგავსი საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია,
- დ. რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!

1091 (1079) ესეგვარი საზრახავი...

- ა. ამგვარი საზრახავი, სათაკილო გაიფიქრა (ფატმანის შესახებ) თავის გულში;
- ბ. შემდეგ თქვა: ჩემი შემწე ჩემ გარდა სხვა არავინ არის.
- გ. რადგან მინდა ძებნა მისი, ვისთვისაც გამოვკრილვარ,
- დ. რა საშუალებითაც არ უნდა ვპოვო, მას ვიქმ, გულმა სხვა რა ისმინოს, გული სხვაგვარად როგორ მოიქცეს.

1092 (1080) ისი დიაცი აქა ზის...

- მოსადგურე — სადგურის, ბინის მიმცემი.
რაზომცა ცეცხლი მწვავს ალთა — რაზომცა ცეცხლი ალთა მწვავს.
- ცეცხლი ალთა — დიდი ცეცხლი.
რაზომცა — რამდენადაც.
- მე მისი გარდახდა ჩემგან ვცნა ვალთა — მე მისი ვალთა გადახდა ჩემგან ვცნა, მე მისი ვალის გადახდა ჩემ მიერ ვცნა, სამაგიერო ვალი რომ გადაეუხადო.
- ა. ის დიაცი აქ ზის, მნახავია მრავალ კაცთა,
 - ბ. ყოველი მხრიდან მავალ მგზავრთა ბინის მიმცემი და მოყვარე;
 - გ. მოდი მივკყვე, მიაპბობს ყველაფერს, რაც უნდა დიდი ცეცხლი მწვავდეს;
 - დ. ეგების რამე მარგოს, რომ მისი ვალთა გარდახდა ჩემგან ვცნა (რომ სამაგიერო ვალი გადავიხადო).

1093 (1081) თქვა: „დიაცსა ვინცა უყვარს...“

- გაექსვის — გაექსოვის, გაექსოვება, შეუერთდება, დაუახლოვდება.
აუგი და მოყვინება — სინონიმებია.
არად შესწონს — არაფრად მიაჩნია.
ყოლა კრულსა — ყოვლად (სრულად) შეკრულს (სიყვარულით).
- ა. თქვა: დიაცს ვინც უყვარს, მას გაექსვის, მას დაუახლოვდება და მისცემს გულს;
 - ბ. აუგი და შერცხვენა არაფრად მიაჩნია ყოვლად კრულსა (სიყვარულით შეკრულს);
 - გ. რაც იცის, გაუცხადებს, გულის ნადებს სრულად ეტყვის;
 - დ. ამიტომ, სჯობს ჩემთვის, რომ მივკყვე, ბარემ ვსცნობ, გავიგებ დამალულ საქმეს.

1094 (1082) კვლა იტყვის: „ვერვინ ვერას იქმს...“

თუ ეტლი არ მოსთმინდებინს — თუ ეტლი არ მოუთმენს, თუ ეტლი არ შეეწევა, თუ ეტლი არ წარუშარებებს.

ბინდის გვარია სოფელი, ეს თურე ამად ბინდდების — ჩვეულებრივი მღურვაა გაუტანელი, უხანო, მუხანათი სოფლისადმი, რომელიც წითელ ზოლივით გაჰყვება მთელ ვ.ტ-ს.

ა. კლაჯ ამბობს: ვერავინ ვერაფერს იქმს (იზამს) თუ ბედი არ დაუთმობს, თუ ბედი არ წარუშარებებს.

ბ. რაც ბინდა, არა მაქვს, რაც მაქვს არ მომინდება;

გ. ბინდის მსგავსია ქვეყანა, ეს თურმე ამიტომ ბინდდება, ამიტომ მწუხრდება;

დ. კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდება.

1095 (1083) მიუწერა: „წავიკითხე“

ა. მისწერა პასუხი: წავიკითხე შენი წერილი, რომელშიაც ჩემი ქებაა დაწერილი;

ბ. შენ მომასწარ, თორემ შენ გამო უფრო მედება ცეცხლი,

გ. შენც გსურს, მეც მინდა განუწყვეტლად ერთად ვიყოთ,

დ. შეყრა არის პირიანი, ნამუსიანი, რადგან ორისავე ნებაა.

1096 (1084) ფატმანისსა ვერ გაიმბობ...

ა. ვერ ვიტყვი, რამდენი სიამოვნება მოემატა ფატმანს;

ბ. შეუთვალა: საკმაოა, რაც უშენომ ცრემლი ვიღინე;

ბ. ახლა ვიქნები მარტოდ-მარტო,

დ. როგორც კი შელამდეს, სასწრაფოდ მოდი.

1097 (1085) მას ღამითვე საწვეველი...

ა. ავთანდილს მიართვეს საწვეველი ბარათი.

ბ. და როგორც კი შელამდა, წავიდა; გზაზე ფატმანის სხვა კაცი შეხვდა;

გ. ამდამ ნუ მოხვალ, რადგან შენთვის მზად არ ვარო;

დ. ავთანდილს ეწყინა: ეს რას ჰგავს? ხან მოლი, ხან — ნუ მოხვალ! — და მაინც წავიდა.

1098 (1086) წვეული აღარ დაბრუნდა...

შესღვითა შე-ვითა — როგორც კი შევიდა.

ა. წვეული (ავთანდილი) უკუწვევით, უარის შეთვლით ნუ მოხვალო, აღარ დაბრუნდა.

ბ. ფატმანი ზის მოწყენით, ავთანდილ შევიდა ხესავით ტანყრილი,

გ. შესვლისთანავე ფატმანს წყენა შეატყო, მაგრამ

დ. ვერ დაიმჩნია ფატმანმა შიშითა და პატივისცემით.

1099 (1087) ერთგან დასხდეს და დაიწყეს...

დ ა რ ა კ ი — ფარი;

ა. ერთად დასხდნენ და დაიწყეს კოცნა, ლაღობა წყლიანი.

ბ. აარს მოადგა ვინმე ყმა, კეკლუცი, ტანნაკეთიანი.

გ. შემოვიდა, თან შემოჰყვა მონა ფარ-ხმლიანი;

დ. როგორც კი დაინახა ავთანდილი, შეჰკრთა: ჩანს, გზა კლდიანია, დიდი დაბრკოლება მელობებაო!

1100 (1088) ფატმან რა ნახა, შეშინდა...

ა. ფატმანმა დაინახა ყმა და მეტისმეტად შეშინდა, შეძრწოლდა.

ბ. ყმა კი გაკვირვებით უცქერდა მათ შექცევა-წოლას,

გ. უთხრა: არ გიშლი, დიაცო, ფერის მრავალგვარ კრთოლა-ციმციმს.

დ. მაგრამ, გათენდება თუ არა, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა.

1101 (1089) გამკიცხე, ბოზო დიაცო...

ა. გამკიცხე ბოზო დიაცო, და გამათრიე,

ბ. მაგრამ ხვალვე იქნები მაგ საქმის მოპასუხე მზღვეველი:

გ. შენ შენს შვილებს, შენივე კბილებით დაგაჰმევინებ,

დ. და თუ ეს დავიშალო, მაშინ წვერებზე მომაფურთხე და გიყი გავებოდე მე ველად.

1102 (1090) ესე თქვა და კაცმან წვერთა...

წ კ ა რ ი — იგივე წყალია; შემდეგ: წყლისგან გამოცემული

წ კ ა რ წ კ ა რ ი, ხმაური.

მ ო მ ა კ ა რ ნ ი — გამოცემებში ერთ სიტყვადაა გაგებული.

აგრე უნდა: — მ ო, მ ა კ ა რ ნ ი. მ ო (მოდით; მო-მადეგით) პირველი მარცვლის გამეორებაა; რაც შეეხება მ ა კ ა რ ნ ი სიტყვას, მისი მსოლო-ბითია მაკარი, ე. ი. მკვრელი, მყრელი, დამყრელი.

ა. თქვა ეს კაცმა, წვერები მოიზიდა და კარებში გავიდა:

ბ. ფატმანმა დაიწყო თავში ცემა და ლოყების კაწვრა;

გ. მის მონადენ ცრემლთაგან წყაროსებრი წყარუნი, ხმა ისმოდა;

დ. თქვა: დამქოლეთ, მოდით ქვითა, მომადეგით, მო, მაკარნი.

1103 (1091) მოსთქვამს: „მოვკალ, ჰაი ქმარი...“

ი ა ვ ა რ - ვ ყ ა ვ — მოვსპე, გავანადგურე.

უ ს ა ხ ო — უმაგალითო, ძვირფასი.

ბ ო ლ ო დ ვ ე ქ მ ე ნ ს ა ხ ლ ს ა ჩ ე მ ს ა — დასასრულად ვექმენ ჩემს სახლს, ვუღალატე ჩემს სახლს, გავანადგურე ჩემი სახლი.

ა. მოსთქვამს: მოვკალ, ამოვწყვიტე ქმარი და წვრილშვილი;

ბ. გავანადგურე საქონელი, უმაგალითო, ძვირფასი თლილი თვალი;

გ. გავეყარე, გავშორდი საყვარელთ, ვაი გამზრდელნო, ვაი გამზრდილნო!

დ. მოვსპე, გავანადგურე ჩემი სახლი; სიტყვა ჩემი შერცხვენილია, გაწ-ბილებულია:

გ ა ც ბ უ ნ ე ე ბ უ ლ ი — გაოცებული, შეშფოთებული.

ე ე ბ უ ლ ი — ვაებულო, ვაით შეპყრობილი.

შ ე ნ გ ა ნ კ ლ ე ბ უ ლ ი — შენგან, შენ მიერ დაკლებული, წახდენილი.

ა. ყველაფერს ამას ავთანდილი ისმენდა გაოცებული, შეშფოთებული;

ბ. უბრძანა: რა გჭირს, რას ამბობ, რატომ ხარ აგრე ვაებულო?

გ. რას დაგეჟადა ის კაცი, რა ნახა შენ მიერ კლებული, წახდენილი?

დ. დაღუმი, მითხარ, ვინ იყო და რა საქმისთვის შემოვიდა?

1105 (1093) დიაცმან უთხრა: ჰე, ლომო..."

ა. ქალმა უბასუხა: ჰე ლომო, ცრემლთა დენით გაგიჟებული ვარ,

ბ. ნურაფერს მკითხავ, ვერაფერს გეტყვი;

გ. ჩემი ხელით დავხოცე ჩემი შვილები, ამიტომაცაა, რომ არ ვარ ლხენით.

დ. შენი სიყვარულით მოუთმენლად მოვიკალ თავი.

1106 (1094) ესეგვარი დია მიხედეს...

ს ი ტ ყ ვ ა - მ ც დ ა რ ი — სიტყვა უქმი, სიტყვა-ფუჭი.

ე ნ ა - მ ე ტ ი — უპირისპირდება ენამოკლეს, — ენაგრძელი.

ა. ამგვარი ამბავი დილაღ დაემართოს სიტყვა-მცდარს და ენა-მეტს,

ბ. ვინც ხვაშიადს ვერ დამალავს, უჭკუოს, შმაგს, რეტს;

გ. ვაგლახით, ვაი უბედურებით მოღით ჩემთან, ყველაფერს ვეტყვი ჩემს მკვრეტელებს:

დ. მკურნალმაც ვერ განკურნოს თავისი სისხლის მწოველი.

1107 (1095) ორისაგან ერთი ქმენით...

ჰ ლ ა მ ი თ — (მე ვლამი — მსურს) ნ უ რ ა ს ჰ ლ ა მ ი თ — ნუ გსურთ, ნუ ინდომებთ.

მ ო - ვ ი თ ა - ჰ კ ლ ა ვ — როგორც ჰკლავ.

მ ე ვ ი თ ა ვ ა რ ც რ ე მ ლ თ ა ლ ა მ ი თ — მე ვითა ვარ ცრემლთა ნამვით, ცრემლთა ღვრით.

ა. ორისაგან ერთი ჰქენი, ამის მეტს ნურაფერს ინდომებ:

ბ. თუ მოჰკლავ იმ ყმას, წადი, მოკალ, მალვით, ღამით,

გ მე და სრულად ჩემი სახლი ამით განადგურებას გადაგვარჩინე!

დ. დაბრუნდები, ყველაფერს გეტყვი, თუ რატომ ვარ ცრემლთა ღვრით.

1108 (1096) თვარა ღამითვე ტვირთები...

მ ი კ რ ი ფ ე, მ ი, რ ი თ ა მიჰკრიფე, წაიღე რითაც გინდა.

მი მიკრიფეს პირველი მარცვალია, განმეორებაა აზრის გასაძლიერებელი: მიკრიფე, მიკრიფე.

ღ ა მ ა ჯ მ ე ვ ს — კაუზატივია — დამაჰმევიანებს.

ა. თუ არა და შენი ტვირთი ამალამვე წაიღე ვირით,

- ბ. დარტოვე ჩემი საზღვარი, სრულად მოჰკრიფე რითაც-ვინდა;
- გ. ვფიქრობ, რომ ჩემი ცოდვები შენც აგავსებენ ჭირითა...
- დ. თუ დარბაზს გამოცხადდება ის ყმა, შეილებს დამაჰმევიენებს ჩემი პირით.

1109 (1097) რა ესე ესმა ავთანდილს...

ბუნება-ზიარი, ანუ ბუნება-ზეარი — ე. ი. დიდ-ბუნებოვანი, მაღალ ბუნებოვანი. მე ვფიქრობ სრულიად არაა საჭირო არარსებული სიტყვის — ბუნებაზეარის მოგონება და აქედან ბუნება-ზიარის ახსნა, როგორც დიდბუნებოვანისა. თერთონ სიტყვა ბუნება-ზიარი იძლევა სიტყვის ნამდვილ შინა-არსს. სახელდობრ: ბუნება-ზიარი, ე. ი. ვისიც ბუნება სხეას ეზიარება, ვინც სხვისი აზრის, სულისკვეთების გამგებია, თანაზიარია, გულანდილი.

- ა. რა ესმა ეს ავთანდილს ლალსა, გულანდილს,
- ბ. ადგა და ლახტი აილო, რა ლამაზი რამე და მხნე არის!
- გ. ამ საქმის ვერ გაგება, ჩემი სიზანტე, ჩემი სიგლახეა.
- დ. ნუ იფიქრებ, რომ ქვეყანაზე სხვა მისებრი სულდგმული არის როგორმე.

1110 (1098) ფატმანს უთხრა: „კაცი მომეც...“

- ა. ფატმანს უთხრა: კაცი მომეცი, რომ გზა მასწავლოს,
- ბ. სწორად წამიყვანოს, თორემ დამხმარედ არ მინდა;
- გ. იმ კაცს ვერ ვამჩნევ, რომ იყოს მეომარი და ჩემი დარი;
- დ. რაც ვუყო, მოგახსენებ, მომიცადე, იყავ წყნარად.

1111 (1099) მას მისცა მონა დიაცმან...

ვინათგან ცეცხლი ცხელია აწ ნელად — ვინაიდან ცეცხლიც ცხელი აწ განელეზულია.

- ა. ფატმანმა მისცა ავთანდილს მონა გზის მაჩვენებლად;
- ბ. მანვე განუმეორა: ვინაიდან ცეცხლი ცხელი აწ განელეზულია,
- გ. როგორც კი მოკლავ იმ ყმას ჩემი გულის მოსაფხანად,
- დ. ჩემი ბეჭედი აცვია მას და გთხოვ ის მომიტანო.

1112 (1100) ავთანდილ გაკლო ქალაქი...

- ა. ავთანდილმა გაიარა ქალაქი თავისი უებრო ტანით,
- ბ. ზღვის პირს იდგა სახლი, ნაგები წითელ-მწვანე ქვით,
- გ. ქვეშ ტურფა სრა იყო, ზემოთ კი ბანის-ბანი,
- დ. რომელიც შემკული იყო მრავალი, ზედიზედ მიწყობილი ძვირფასეულით.

1113 (1101) მუნ მიჰყავს პირ-მზე ავთანდილ...

ბანი ზე-დაქვე მდგომი, ე. ი. ორსართულიანი ბანი, ბანის-ბანი.

- ა. იქ მიჰყავს პირ-მზე ავთანდილი მის წინამძღოლს;

- ბ. ხმა-დაბლა მოახსენებს: შენ რომ სასახლეს ეძებ, ის არის.
- გ. უჩვენებს და ეუბნება: ხედავ ბანს ორსართულიანს?
- დ. იქ უნდა იწვეს იგი, ან ქვევით კვოვებ მჯდომელს.

1114 (1102) კარსა წინა დარაჯანი...

- ა. კარების წინ ორი დარაჯი უწევს იმ საბრალეო ყმას,
- ბ. ავთანდილი გავიდა, გაეპარა დარაჯებს, ვინემ ისინი ხმას ამოიღებდნენ,
- გ. თითო ხელი თითოს მიჰყო და ორივე მოახრჩო,
- დ. თავი თავს შეუტაკა და ტვინი თმას გაურია.

1115 (1103) იგი ყმა საწოლს მარტო წვა...

- ა. ის ყმა მარტო იწვა გულ-ჯავრიანი,
- ბ. ხელსისხლიანი ავთანდილი შევიდა ჯანღონით სავსე;
- გ. ველარ აასწრო, ჩუმად მოკლა, ისე რომ ვერც კი გავიგეთ.
- დ. ხელი მოჰკიდა, მიწას დაანარცხა, დაკლა დანითა.

1116 (1104) მჭვრეტელთა მზე და მებრძოლთა...

- ა. მჭვრეტელთათვის მზემ, ხოლო მოწინააღმდეგეთათვის მხეცმა და საფრთხემ (ავთანდილმა),
- ბ-გ. თითი ბეჭდითურთ მოსპრა და მერე სარკმელიდან ზღვისკენ გასტყორცნა, ზღვის ქვიშას გაურია,
- დ. მისთვის არცა საღ სამარე, არცა სათხარად ბარია.

1117 (1105) ხმა მათისა დახოცისა...

- ა. მათი დახოცის ხმა არავის გაუგონია;
- ბ. წამოვიდა ავთანდილი (ვარდი ტყბილი), აბა, რამ უნდა გაამწაროს!
- გ. ეს კი მიკვირს, სისხლი მისი ასრე შეუმჩნევლად როგორ აიღო!
- დ. პირველად რომ გზა გამოეგლო, იმავე გზით წავიდა.

1118 (1106) რა ფატმანისსა შევიდა...

- ა. როგორც კი მივიდა ფატმანისას,
- ბ. უთხრა: მოკვალ, ამიერიდან იმ ყმამ დღე ველარ ნახოს მზიანი;
- გ. თვით შენი მონა მოწმად მყავს;
- დ. თანაც თითი და ბეჭედი და დანა სისხლიანი.

1119 (1107) აწ მითხარ, თუ რას იტყოდი...

- ა. ახლა მითხარი, რას ამბობდი, რას გაშმაგდი ასრე რეტად?
- ბ. რას გემუქრებოდა ის კაცი? მეჩქარება მეტის-მეტად.
- გ. ფატმანი ფეხებზე მოეწვია: არ ვარ ღირსი პირში გიჭვრეტდე,
- დ. გამიმრთელდა გული წყლული, ცეცხლი ჩემი დაიშრიტა.

1120 (1108) მე და უსენი შეილითურთ...

- ა. მე და უსენი შეილითურთ ახლა დავიბადეთ;
- ბ. ლომო, შენი ქება ჩვენ როგორ ვაღიადოთ!
- გ. რადგან მისი სისხლის დაღვრა თავიდან გადავწყვიტეთ,
- დ. თავიდან მოგიყვებით ყველაფერს, თქვენ კი სასმენლად მოემზადეთ.

1121 (1109) ამა ქალაქსა წესია...

ნ ა ვ რ ო ზ ო ბ ა — ახალი დღე, ახალი წელი, მოდიოდა ჩვეულებრივ პირველ მარტს.

პ უ რ ო ბ ა - დ ა რ ბ ა ზ ო ბ ა — ყოველ დღესასწაულის დროს მეფის კარზე წარმოებდა „მიღება“. სტუმრები მოდიოდნენ ძღვნითა და შესაწირავით. როდესაც მილოცვა და ძღვნობა დამთავრდებოდა, მაშინ მოიღონ სტუმართა წინაშე პური, ე. ი. იწყებოდა პურობა: „შეიქმნა პურობა, ნადირობა შესატყვისის უამთა და მის დღისა (ისტ. და აზმ. შარავანდ. კ. კეკელიძის გამ. გ. 108).

- ა. ჩვენს ქალაქში დაწესებულია, რომ ახალწლის დღეს
- ბ. არავინ არ ვაქრობს და არც ვინმე სადმე მიდის გზასა⁵¹;
- გ. ყველანი ერთგვარად ვიწყებთ კაზმასა და ლამაზობასა,
- დ. რაც შეეხება მეფეს, ის დიდ პურობა-დარბაზობას აწყობს.

1122 (1110) ჩვენ, დიდ-ვაჭართა, ზედა გვატ...

დიდ-ვაჭარი — ვაჭრებს სათანადო ორგანიზაცია ჰქონდათ. სათავეში იდგა ვაჭართაგან არჩეული ვაჭართუხუცესი. ვაჭარნი ორ ჯგუფად იყოფოდნენ: პირველ ჯგუფში იყო უმრავლესობა, რომელსაც ვაჭარი ეწოდებოდა, ხოლო მეორეში (უმცირესობა) დიდ-ვაჭარი. დიდ-ვაჭარნი, როგორც ეკონომიურად მძლავრნი, დიდი უფლებით სარგებლობდნენ, დაახლოებულნი იყვნენ სამეფო კართან და ხშირად პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას იღებდნენ.

დიდ-ვაჭარნი ქართული მოვლენა და მოხსენებულნი არიან „ისტ. და აზმ. შარ“-ში: ერთი მკვიდრთაგანი დიდ-ვაჭარი ზანქან-ზორაბაბელი თამარ მეფის საქმროს ჩამოსაყვანად გაიგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში (ე. კეკელიძის გამ. გვ. 81, 108).

მ ი ლ ე ბ ა — წაღება, მირთმევა.

წ ი ნ წ ი ლ ი — ლითონის თევზები.

მ დ ე რ ა — თამაში.

დ გ რ ი ა ლ ი — ცხენთა ფეხის ხმა.

დ გ ე ნ ა — მარულა, ქენება.

ა. ჩვენ, დიდ ვაჭართ ვალად გვაქვს დარბაზს ძღვნის წაღება;

⁵¹ ა-ბ: იშვიათი შემთხვევაა, როდესაც სტრიქონი აზრს ვერ ამთავრებს და ვადადის მეორე სტრიქონში. თავისებური Engembaient ამის თქმა საჭიროა, რადგან ითქვა და ბეჭდური სახეც მიიღო იმ შეხედულებაზე, თითქოს ეტ-ში ყოველი სტრიქონი დამოუკიდებელ, ერთ მთლიან წარმოადგენს: „არ არის შემთხვევა, რომ სტრიქონი სტრიქონში გადადიოდეს“ (პ. ბერაძე, ეტ-ის რიტმი, რუსთაველის კრებული, ტფ., 1938). ესა და კიდევ სხვა ადგილები ეტ-ისა, რომელთა შესახებ მე ბეჭდურად მაქვს გამოთქმული აზრი, პ. ბერაძის ამ მკვლევარ დებულებას საეხებით აბათილებს (იხ. იუკ. ბერიძე, ეტ-ის პროლოგის ერთი ნაწილის შედგენილობისათვის, უ. 2. 31-ე, 1947).

- ბ. მათ კი (მეფეთ) საბოძვარი უნდა გვიბოძონ ჩვენი შესაფერი,
- გ. ათი დღის განმავლობაში ყველგან წინწილისა და ებნის ხმა ისმის,
- დ. მოედანზე კი თამაში, ბურთობა და ცხენთა დგრიალი მარულისა.

1123 (1111) ქმარი ჩემი დიდ-ვაჭართა...

მაწვეველი — სპეციალური პიროვნება, რომელიც სტუმართ იპატიუებს, იწვევს, მაწვიერი.

- ა. ჩემი ქმარი უსენი დიდ-ვაჭართ წინ წაუძღვება,
- ბ. მე კი მათ ცოლებს წავიყვან პირადად, მაწვეველის უმისოდ;
- გ. დედოფალს ძღვენს მივართმევთ — მდიდარი და ღარიბი თავის კვალობაზე,
- დ. ღარბასს (სასახლეში) ვისიამოვნებთ და შინ მხიარული ვბრუნდებით.

1124 (1112) დღე მოვიდა ნავროზობა...

ქამიერად — თავის დროზე

უნებური — უმადური.

- ა. დადგა ნავროზობა და დედოფალს ძღვენი მივართვით;
- ბ. მათაც გვიბოძეს, ჩვენ ავაესეთ, იმათაც აგვავსეს,
- გ. თავის დროზე, ნებაყოფლობით, ნასიამოვნები შინ დავბრუნდით,
- დ. ისევ დავსხედით, ვიმხიარულეთ, კარგ გუნებაზე მყოფნი,

1125 (1113) ბაღსა შიგან თამაშობად...

გავიტანე ხათუნები — ახლა ვიტყვი: გავიყვანე, თუმცა დასავლეთში ახლაც ამბობენ: წავიტანე. ხათუნები — ქალები. იტყოდოიან — უწყო. ხოლმეობითია.

- ა. სალამო ეამს ბაღში ჩავალ სათამაშოდ.
- ბ. თანვე წავიყვანე ხათუნები, მე მმართვედა მათი კმევა.
- გ. ხათუნები მომყვებოდნენ და თან მღეროდნენ,
- დ. მეც ვთამაშობდი, ვმხიარულობდი, რიდე-თმას ვიცვლიდი.

1126 (1114) იქ ბაღსა შიგან ტურფანი...

ნატიფად გებულნი — ლამაზად აგებულნი, აშენებულნი.

ყოვლგნით მხედველნი — ყოველი მხრიდან დასანახავნი.

ზღვას ზედა წაკიდებულნი — ზღვაზე გადამდგარი.

დავიდევით ნადიმი — დავიწყეთ ნადიმი.

- ა. ბაღში იყო მრავალი სახლი, კოხტად აგებულნი,
- ბ. მაღალი, ყოველი მხრიდან დასანახავი, ზღვაზე გადამდგარი;
- გ. იქ შევიყვანე ხათუნები, რომლებიც მე მახლდნენ,
- დ. ისევ დავიწყეთ ნადიმობა, დავსხედით ნასიამოვნები.

1127 (1115) ვაჭრის ცოლთა ვუმასპინძლე...

დურად — როგორც დას შეეფერება.

- ა. ვაჭრის ცოლებს ვუმასპინძლე მხიარულად, ამოდ, დურად;

- ე. ქეიფის დროს სრულიად უმიზეზოდ ცუდ გუნებაზე დავდექი;
 ზ. შემატყვევებს თუ არა ეს, ხათუნები იმ წამსვე დაიშალნენ,
 გ. მარტო დავრჩი, სევდა, დარდი გულს შემომაწვა.

1128 (1116) უკმოვახვენ სარკმელნი და...

უკმოვახვენ — გავადღე.

შევაქცივე პირი გზასა — გზისკენ დავიწყე ყურება.

- ა. გამოვადღე სარკმელი და გზისკენ დავიწყე ყურება;
 ბ. ვიხედებოდი და მეზარდ კაეშანს ვიქარებდლი;
 გ. შორს დავინახე ცოტა რამე, რომელიც ზღვაში მიცურავდა,
 დ. ვთქვი: ფრინველია ანუ მხეცი, აბა სხვა რისთვისმე როგორ დამემს-
 გავესებია!

1129 (1117) მაშორვიდა, ვერად ვიცან...

მაშორვიდა — სანამ შორს იყო ჩემგან.

- ა. შორს რომ იყო, ვერ ვიცანი, მომიახლოვდა, შეიქნა ნავი;
 ბ. ორ კაცს ტანად შავს, პირიც შავი ჰქონდათ,
 გ. აქეთ იქიდან მოსდგომოდნენ, მხოლოდ თავი უჩნდა.
 დ. გამოვიდნენ, უცხო სანახავმა გამაკვირვა.

1130 (1118) გამოზიდეს იგი ნავი...

სულ-ღებული — გაჩუმებული.

- ა. გამოზიდეს ნავი და ბალის წინ დააყენეს,
 ბ. მიიხედ-მოიხედეს, ხომ არავინ გვიჰყრეტსო,
 გ. ვერაფერს ნახეს სულიერი, ვერც რამემ შეაშინა ისინი,
 დ. მე ჩუმად ვიხედებოდი, სულგანაბული ვიყავი ჩემთვის.

1131 (1119) მით ნავიდაღმა მათ რომე...

- ნავიდაღმა — ნავიდან, ნავიდან — ფორმას არავითარი კავშირი არა
 აქვს წავიდამ ფორმასთან: ნავითგან ∇ ნავიდაგან ∇ ნავიდან.
 იყოს მისითა გვანითა — იყოს მისითა ფერთა.

1132 (1120) რა მობრუნდა ქალი ჩემკე...

დავიწუხენ თვალნი, ყოლა ვერ შევადგენ, ვითა
 მზესა — დავხუტე თვალები, სრულიად ვერ გავუმაგრე როგორც მზეს. და-
 ვიწუხენ წარმოებს დაწუხვა სიტყვისაგან და არა დაწუხებ სიტყვისაგან, რო-
 გორც ეს ვ.ტ-ის ლექსიკონშია მოცემული.

დაწუხვა — დახუტვა — ასე აქვს ეს სიტყვები მოცემული საბას (უფ-
 რო აღრე იგი მოიპოვება საწყისი ფორმით თარგმანში: გრ. ნოსელის „კაცისა
 შესაქმისათვის“: „და მის გამო იქმნა ძეგრაჲ ხელისაჲ, მიმოდრეკაჲ თავისა,
 ჩქმეტაჲ დაწუთაჲ და დაწუხვაჲ და ახილვაჲ თუალთანი“. გვ. 10.
 მ. ჯანაშვილის გამოცემა).

- ა. რა მობრუნდა ქალი ჩემკენ, კლდეს სხივი შემოაღდა,

- ბ. მისი ლოყების ელვარება აბრწყინებდა მთელ ქვეყანას (ზეცას);
 გ. დავხუქე თვალები სრულიად ვერ გავუმაგრე, როგორც მზეს,
 დ. მოვიხურე კარები ჩემკენ, რომ მათი ქვერეტა არ დაენახათ.

1133 (1121) მოვიხმენ ოთხნი მონანი...

- ა. მოვიხმე ოთხი მონა, ჩემ წინ რომ იდგნენ;
 ბ. ეუჩვენე; ხედავთ, შავებს რა შუქი, ტურფა ვინმე დაუტყვევებიათ?
 გ. ჩაეპარეთ, ჩქარა, ხტუნვით, ხმაურით არ ჩახვიდეთ.
 დ. შეევაჭრეთ, თუ მოგყიდონ, რასაც მოითხოვენ მიეცით.

1134 (1122) თუ არ მოგცენ, ნულა მისცემთ...

- ა. თუ არ მოგცენ, არაფერი არ მისცეთ, მოსტაცეთ და ისინი კი დახო-
 ცეთ.
 ბ. მოიყვანეთ ის მთვარე, კარგად მოექეცით, აბა, თქვენ იცით, როგორ
 შეეცდებით.
 გ. ჩემი ყმები ზევიდან ფრენით ჩაეპარნეს,
 დ. შეევაჭრენ, იმათ მეტად იწყინეს, უარი უთხრეს, არ მიჰყიდეს.

1135 (1123) მე სარკმელთა გარდავადეგ...

- ა. როგორც დავრწმუნდი რომ არ ჰყიდიან, გარდავადეგ სარკმელს
 ბ. და შევეუზახე: აბა, დახოცეთ! წამსვე შეიპყრეს, თავები დასჭრეს,
 გ. ზღვაში გადაისროლეს. ირგვლივ შემოუდგნენ ქალს, იფარვიდნენ,
 დ. მე ჩავეგებე, გამოვართვი, ზღვის პირს ერთ წამს არ გაჩერებულან.

1136 (1124) რა გაიმბო ქება მისი...

- ა. როგორ ვითხრა მისი ქება, რა ტურფა იყო, რა ნაზი!
 ბ. გეფიცებით, ნამდვილი მზე ის იყო და არა მზე!
 გ. ვინ გაუმაგრებს მას თვალებს, ვინ დახატოს მისი სურათი!
 დ. მე თუ დამწვავს, აბა, მზად ვარ, აღარ უნდა მას მზადება, ყოყმანი.

1137 (1125) ესე სიტყვა დაასრულა...

ა ე ტ ი რ ნ ე ს — ენიანი ვნებიითია — ატირდა; ა ე ტ ი რ ნ ე ს — იგულის-
 ხმება თვალნი.

- ა. დაასრულა ეს სიტყვა და ფატმანმა პირს ხელი დაიშინა;
 ბ. ავთანდილსაც ტირილი მოუვიდა, გადმოყარა ცხელი ცრემლი;
 გ. დაავიწყდათ ერთმანეთი და ნესტანისათვის გახელდნენ,
 დ. მათგან მონადენმა ცრემლმა ჩამორეცხა ფიფქი თხელი.

1138 (1126) მოიტირნეს, ყმაშან უთხრა...

შ ე ვ ე კ ვ ე თ ე , გ ა ვ ე ს უ ლ ე — სინონიმებია, მის სულად გავხდი, სულ-
 ში ჩავუძვერი.

- ა. მოიტირნეს; ყმამ უთხრა: ნუ შეწყვეტ ლაპარაკს, დაასრულეო.
 ბ. ფატმანმა განაგრძო: მივეგებე, მისთვის გული ვაერთოვლე,

- გ. იმდენი ვეოცნე, რომ თავი მოვაძულე,
- დ. დავსვი ჩემს ტახტზე, ვუალერსე, სულში ჩავეუძვერი.

1139 (1127) ვაკადრუ „მითხარ, ვინ ხარ მზეო...“

ხო მ ი|| ხ ო მ ლ ი — ვარსკვლავთა კრებული, უაღრესი მშვენიერების აღსანიშნავად.

მ ე ს ი ტ ყ ე ა თ ა ე ს ე ზ ო მ თ ა — მე იმდენს მოლაპარაკეს.

მ ო ნ ა წ ო თ ო მ ი — მოდენილი.

- ა. ვაკადრე: მითხარი ვინ ხარ, მზეო, ვისი შვილი ხარ?
- ბ. იმ ზანგებს საიდან მოჰყავდი შენ, პატრონი ცის კრებულთა?
- გ. მან პასუხი არ გამცა მე, ამდენ მოლაპარაკეს
- დ. ასნაეცი წყარო ვნახე ცრემლთა მისთა მონადენტა.

1140 (1128) რა მივაჭირვე კითხვითა...

- ა. რა გავუჭირე ამდენი კითხვით საქმე,
- ბ. გულამოსკენილი ატირდა წყნარი, დაბალი ხმით,
- გ. შაჟი თვალეზიდან ცრემლის ღვარი მოსდიოდა;
- დ. მისი მნახველი დავიწვი, მოვეკედი.

1141 (1129) მითხრა: „შენ ჩემთვის, დედაო...“

- ა. მითხრა: შენ ჩემთვის დედის უფრო უმჯობესი დედა ხარ,
- ბ. რას ეძებ ჩემს ამბავს, ზღაპარი არის ყბედისა!
- გ. ვინმე ობოლი, გადმოხვეწილი უბედური ბედის ვარ;
- დ. და თუ ამიერიდან რამე მკითხო, ღვთის მგმობი იქნები.

1142 (1130) ვთქვი, უყამოდ არ წესია...

- ა. ვიფიქრე. უდროოდ არაა წესი ამისი მოყვანა და ხმობა;
- ბ. თვით მომყვანი გაშმაგდება, ერთობ ცნობა დაეკარგება (გაავცნობ-დება);
- გ. ხმობა (მიყვანა) და რაიმე სახვეწარის თხრობა თავის დროზე უნდა,
- დ. რატომ არ ვიცი, რომ არაა ახლა დრო, რომ მას საუბარი დავეუწყო?

1143 (1131) ავიყვანე იგი პირმზე...

- ა. ავიყვანე ის მზე ნაქები და მეტად საქები,
- ბ. ვფიცავ მის მზეს და სურვილს, ძლივს დავმალე მისი შუქი,
- გ. ჩამოვბურე მრავალკეცი ძვირფასი ქსოვილი, მეტად მძიმე, არ მსუბუქი,
- დ. ის კი ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოქრის ბუქი.

1144 (1132) მოვიყვანე შინა ჩემსა...

- ა. ჩემსას მოვიყვანე ის პირმზე,
- ბ. მოვეუკავმე ერთი სახლი და შიგ დავსვი მალულად;
- გ. არავის სულიერს არ ვუთხარი, შევიწინახე დაფარულად,

დ. მოსამსახურედ დაუწყენე ერთი ზანგი, მე მარტო შევდიოდი და ვნახულობდი ხოლმე.

1145 (1133) ვით გაიმბო საკვირველი...

- ა. როგორ გაიმბო მე, უბედურმა, მისი საკვირველი ყოფაქცევა,
- ბ. დღე და ღამე განუწყვეტლად ტიროდა და ცრემლს აფრქვევდა!
- გ. ვეხვეწებოდი ხოლმე დაწყნარდი-მეთქი, მსოლოდ ერთ წამს ჰქონდა ხოლმე ჩემი რიდი,
- დ. ახლა უმისოდ როგორ ვარ ცოცხალი, ვაიმე, ვაიმე!

1146 (1134) შინა შევედი, მას წინა...

რ უ ბ ი — თ ა ს ი არისო, ს ა ს მ ი ს ი, მაგრამ შეიძლება რ უ მ ბ ი იყოს, რომელშიც დიდი მოცულობის სითხეს ათავსებენ. ყოველ შემთხვევაში, რუბი — სათავსია.

ს ა თ ი — გიშერი. აქ: შავი ცრემლები, მწუხარების ცრემლები, შავი თვალებიდან შავი ცრემლები გადმოდის.

ძოწი — წითელი მარჯანია. აქ: წითელი.

აყიყი — ძვირფასი ქვაა. სარდიონი, რომელიც წითელი ფერისაა.

ძოწი და აყიყი ბაგეთა მეტაფორებია.

შუა ძოწსა და აყიყსა სქვირს მარგალიტი ტყუბები — წითელ ტუჩებს შორის გამოსქვივის წყვილ-წყვილად ჩამწყრივებული თეთრი კბილები.

1147 (1135) ყამი ვერ ვბოვე კითხვისა...

გ ა ს რ უ ლ ი — გალეული, გამოცვლილი.

კ ი დ ე ჯ ა ნ ი — კიდე.

თ უ ც ა — რომ.

ა. ვერ ვბოვე დრო, რომ მარად ცრემლთა მღვრელისათვის მეკითხა:

ბ. ვინ ხარ, აგრე გამოცვლილი, აგრე გალეული და რისგან?

გ. მჩქეფრად სისხლის ცრემლები მოსდის მისგან, ალვის ხისაგან,

დ. გარეშე ქვისა, სწვა ვინ გაუძლებს მას ხორციელი (ქვა უნდა იყოს ადამიანი, რომ გაუძლოს ამ სურათს).

1148 (1136) არად უნდის საბურავი...

ა. არაფრად უნდა საბურავი, არც საგებლით წოლა.

ბ. მარად იყოს რიდით და ერთი ყაბაჩით,

გ. თავის მკლავს სასთუმლად მიიდებდა და მიწვებოდა ხოლმე,

დ. ძლივს ვაჰმევედი ხოლმე ცოტას რასმე ათასის შეხვეწითა.

1149 (1137) სხვა გაიმბო საკვირველი...

ა. კიდევ გაიმბო საკვირველი რიდისა და ყაბაჩის შესახებ;

ბ. ბევრი რამე მინახავს უცხო და ძვირფასი,

გ. მაგრამ მისთანა რაზე არაფერი მიხილავს, რისგან იყო გაკეთებული და როგორ,

დ. სირბილე ნაქსოვის ჰქონდა, სიმტყიე კი ნაჭედისა.

1150 (1138) მან ტურფამან სახლსა ჩემსა...

ესე მეყო საგონებლად — ეს მქონდა საგონებლად.

ა. ასეთ მდგომარეობაში მან ჩემთან დიდი ხანი დაჰყო;

ბ. ვერ გავანდევი ჩემს ქმარს, მეშინოდა დამასმენდა;

გ. ვიფიქრე: რომ ვუთხრა, გამამელაენებს, სასახლეში მივა ის ფლიდი.

დ. ეს მქონდა საგონებლად ყოველთვის — შევდიოდი თუ გამოვდიოდი.

1151 (1139) ვთქვი: „თუ არ ვუთხრა, რა ვუყო...“

ა. ვიფიქრე: თუ არ ვუთხრა, რა ვუყო, რა მოეუხერხო, როგორ მოვაგვარო საქმე,

ბ. რომ არც ვიცი რა უნდა, ვის შეუძლია მისი მოხმარება;

გ. თუ გამიგო ქმარმა, კიდევაც მიმკლავს, ვერაფერი ვერ დამიფარავს,

დ. ანდა როგორ დავმალო ნათელი, რომელიც მზეს დაედარება.

1152 (1140) მე, გლახ, მარტომან რა ვუყო...

თუ მომცემს იმედებასა — თუ მომცემს იმედს, დამაიმედებს.

ა. მე, უბედურმა, მარტო რა ვუყო, ცეცხლი მწველი მემატება!

ბ. მოდი, ბარემ გავანდობ, ნუ შევალ უსენის ცოდვაში;

გ. ვაფიცებ, დამაიმედოს, რომ არ გამამელაენებს,

დ. ვფიქრობ, სულს არ წაიწყმედს, ფიცს არ გასტენს.

1153 (1141) მივე მარტო, ქმარსა ჩემსა...

ა. მიველ მარტო და ჩემ ქმარს დაეუწყე ლაღობა, ფერება,

ბ. მერმე ვუთხარი. ერთს რასმე გეტყვი, მაგრამ თავდაპირველად შემომფიცე,

გ. რომ არავის სულიერს არ ეტყვი,

დ. ფიცი მომცა საშინელი, თუ ვისმე ვუთხრა, კლდესაც თავი ვიცი, კლდეზე გადავვარდეთ.

1154 (1142) რაცა მითხრა, სიკვდილამდის...

ა. რასაც მეტყვი, სიკვდილამდის სულიერს არავის ვეტყვი,

ბ. არც ბერს, არც ახალგაზრდას, არც მტერს, არც მოყვარეს.

გ. შემდეგ უსენს, ლმობიერს, ყველაფერი მოვუყევი და ვუთხარი:

დ. მოდი, წამომყევი და მე გიჩვენებ მზეს მშვენიერს.

1155 (1143) ადგა, ამყვა და წავედით...

ა. ადგა წამომყვა, წავედით, შევიარეთ სასახლის კარები.

ბ. უსენი გაკვირდა, შეკრთა კიდეც, რა დაინახა შუქნი მზისა;

გ. თქვა: რა მიჩვენე, რა ვნახე, რანია, ნეტარ რისანი?
დ. ეს თუ ხორციელია, მართლაც დამრისხოს მე ღმერთმა!

1156 (1144) ვთქვი თუ: „არტარა მე ვიცი...“

- ა. ვთქვი: არც მე მგონია, რომ მაგ ხორციელი იყო.
- ბ. რაც მე არ ვითხარი, მის მეტი მე არაფერი ვიცი;
- გ. მოდი, მე და შენ ვკითხოთ, ვინ არის და ვისგანაა იგი გახელებული,
- დ. შეიძლება გვითხრას რამე, შევეხვეწოთ, იქნებ გამოიჩინოს დიდი ღმობიერება.

1157 (1145) მივედით. გვქონდა ორთავე...

- ა. მივედით, ორსავე დიდი კრძალვა და რიდი გვქონდა მისი,
- ბ. ვაკითხეთ: მზეო, ჩვენც ვიწვით შენი ცეცხლით,
- გ. გვითხარი, რა არის შენი მწუხარების წამალი,
- დ. რას შეუქმნიხარ ზაფრანად შენ, ფერად მსგავსი ლალისა?

1158 (1146) რაცა ვაკითხეთ. არა ვიცი...

- ეს მა ან უ არ ის მენდა — ესმოდა, თუ განგებ არ ისმენდა.
ვარდი ერთგან შეეწება მარგალიტსა არ აჩენდა — ტუჩები მოეკუმა, კბილებს არ აჩენდა.
- ა. რაც ვაკითხეთ არ ვიცი ესმოდა, თუ განგებ არ ისმენდა.
 - ბ. ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აჩენდა (პირი მოეკუმა და კბილებს არ აჩენდა);
 - გ. გველნი (კავები) გაეშალა და იგი შეღმა შეკეცილი იყო,
 - დ. მოკლედ: მზე ვეშაპსა დაეზნელებინა და რალას უნდა გაეთენებია ჩვენთვის!

1159 (1147) ვერა დავპყარეთ პასუხი...

- ა. ვერ დავაყრვეინეთ, ვერ ვათქმევეინეთ პასუხი ჩვენ ჩვენი საუბრით:
- ბ. როგორც ვეფხი-ავაზა პირ-ქუშად ზის, წყრომა ვერ ვაგრძნობინეთ.
- გ. ვაწყენინეთ, ატირდა, მჩქეფრად ცრემლი გადმოლვარა;
- დ. არაფერი არ ვიცი, თავი დამანებეთო, მხოლოდ ეს გვითხრა ენითა:

1160 (1148) დავსხედით და მას თანავე...

- ა. დავსხედით და მასთან ერთად ვიტირეთ და ცრემლი ვღვარეთ,
- ბ. რაც ვუთხარით, შევინანეთ, სხვა აბა რალა გვექნა!
- გ. ვეხვეწეთ დადუმება და ძლივს დავადუმეთ, დავამშვიდეთ,
- დ. ხილი რამე მივართვით, მაგრამ ვერასგზით ვერ ვაჭამეთ.

1161 (1149) უსენ იტყვის: „ბევრ-ათასნი...“

უ მ ა რ თ ლ ე — უმართლესი.
ი ა ს ო ც ნ ე ს — ასოცად გაიხადეს.

- ა. უსენმა თქვა: მრავალი ჰირი ამან გამიქარწყლა;
- ბ. ეს ლოყები მზისთვის კმარან, მზის შესაფერია, როგორ შეიძლება კაცისაგან იკოცნოს, როგორ შეუძლია კაცს აკოცოს მას,
- გ. სამართლიანია, თუ ვერ მკვრეტელმან პატივი, ტანჯვა [ამის გამო] გაასოცოს,
- დ. მე თუ შეილება მერჩიოს ამას, ღმერთმა ისინი დამიხოცოს!

1162 (1150) მას ვუჭვრიტეთ დიდი ხანი...

- ა. დიდხანს ვუჭვრიტეთ მას, უკან დაებრუნდით სულთქმით, ოხერით.
- ბ. მასთან შეყრა, შეხვედრა გვიჩნდა (მიგვაჩნდა) სიხარულად, გაყრა (გაშორება) მწუხარებად.
- გ. როგორც კი მოვიცილდით სავაჭრო საქმისაგან, მას ვნახავდით ხოლმე.
- დ. ჩვენი გული მას დაეტყვევებინა თავისი მახით.

1163 (1151) რა გამოხდა ხანი რამე...

- ა. გავიდა რამდენიმე ხანი, რამდენიმე დღე-ღამე,
- ბ. უსენმა მითხრა: კარგა ხანია არ მინახავს ჩვენი მეფე.
- გ. თუ მირჩევ, წავალ, რომ ვუდარბაზო და ძღვენი უეძღვნა.
- დ. ვუპასუხე: დიად, როგორც აქვენი გენებოსთ, როგორც თქვენი ბრძანება იყოს.

1164 (1152) უსენ ტაბაკსა დააწყო...

- ა. უსენმა დააწყო ტაბაკზე მარგალიტი და ლალი.
- ბ. შევევედრე: დარბაზს მთვრალი დარბაზის ერი იქნება;
- გ. მომკალ და ის იქნება, თუ ამ ქალის ამბავს არ მოერიდები.
- დ. კვლავ შემომფიცა: არ ვიტყვი, შენი ზრმალი და ჩემი კისერიო.

1165 (1153) უსენ მივიდა, ხელმწიფე...

- ა რ ი ფ ი — ტოლი, ამხანავი.
 ც ქ ა ფ ი, უ წ რ ფ ე ლ ი, მ ს წ რ ო ბ ე ლ ი — სინონიმებია.
- ა. უსენი მივიდა, ხელმწიფე დახვდა ნადიმად მკლამი
 - ბ. უსენი — მეფის დაახლოვებული, მეფეც მისი მოსურნე,
 - გ. წინ დაისვა, მიიღო ძღვენი მისგან მირთმეული,
 - დ. აბა, ნახეთ მთვრალი ვაჭარი, [რას ჩაიდენს] ცქაფი, უწრფელი, მსწრობელი.

1166 (1154) რა მეფემან უსენს წინა...

- დ ო ს ტ ა ქ ა ნ ი — ორ სტაქანი, ორ ჰიქა (გაერთიანებული დიდი სასმელი).
- ფ ა რ ჩ ა — სასმისია.
 - მ უ ს ა ფ ი — მაჰმადიანთა სჯულის წიგნი.
 - მ ა ქ ა — მაჰმადიანთა ქალაქი, საფიცარი.

- ა. რა მეფემ უსენის წინ სვა მრავალი დოსტაქანი,
- ბ. ისევ და ისევ აივსეს სხვადასხვა სასმისი.
- გ. დაავიწყდა უსენს ფიცი, რა მუსაფი, რა მაქანი!
- დ. მართლად თქმულა — არა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი — ე. ი. რა ყვავის საქმეა ვარდი და ვირისა კიდევ რქა — ფიცის შესრულება ლოთს როგორ შეუძლიათ.

1167 (1155) უთხრა დიდმა ხელმწიფემან...

- ა. უქკუოს და მთვრალს უსენს მეფემ ჰკითხა:
- ბ. დიდად მიკვირს, საიდან მოგაქვს შენ ჩემ საძღვროდ ამდენი თვალი,
- გ. დიდ-დიდი მარგალიტი და უმაგალითო, შესანიშნავი ლალი,
- დ. ვფიცავ ჩემ თავს, რომ შენი ძღვენის ნაათაღსაც ვერ გადავიხდი.

1168 (1156) თაყვანი სცა უსენ, ჰკადრა...

- ა. უსენმა თაყვანისცა და ჰკადრა: ჰე, მაღალო ხელმწიფეო,
- ბ. ზეციდან შუქის მომფენო, არსთა მარჩენელო, მზეო!
- გ. სხვა რაც მაქვს, ვისი არის? ოქრო, თუნდა სხვა სიმდიდრე,
- დ. დედის მუცლიდან არაფერი გამომყოლია, ყველაფერი შენგან მაქვს ნაბოძები.

1169 (1157) ამას გკადრებ, თავმან თქვენმან...

- ა. ამას მოგახსენებ, ვფიცავ თქვენს თავს, არაა საჭირო მადლობა ამ ძღვენისათვის;
- ბ. სხვა რამე მყავს სასძლო თქვენი ძისათვის;
- გ. იმას კი უთუოდ დამიმადლებთ, ოდეს კიდევ ნახავთ მზის მსგავსს,
- დ. მაშინ კი თქვენ ზშირად იტყვიან: ნეტარძი, ნეტარძი.

1170 (1158) რას ვაგრძელებდე, გატეხა...

- ა. რას ვაგრძელებ! გატეხა ფიცი და სჯულის სიმტკიცე,
- ბ. უამბო ქალის პოვნა, მჭვრეტთაგან მზედ დასახულისა.
- გ. მეფეს მებად ეამა, გამხიარულდა და ბრძანა,
- დ. დარბაზს მოიყვანეთ, უსენის თქმული შეასრულეთო.

1171 (1159) მე აქა ჩემსა ამოდ ვჯვი...

მონათუხუცესი — მონათა უფროსი იყო. ხოლო მონანი შეადგენდნენ მეფის პირად მცველ ჯარს. ამგვარი ჯარი პირველად დავით აღმაშენებელმა ჩამოაყალიბა: „ჰყვეს რჩეულნი — „ვითარ ხუთ ათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა“. (ცხ-ბა მეფის დავითისა).

„შემოდგა კარსა მეფისა მონათა უხუცესია, თანა ჰყვა მონა სამოცი, ვით ხელმწიფეთა წესია“, მაშასადამე, მონა და მონათუხუცესი საქართველოს კარის ორგანიზაცია იყო, ქართველი ხელმწიფის წესით იყო დადგენილი.

ამოდ — არ მიკვნესია — ერთი ორითაა.

ზესი — მაღალი, დიდი.

დია — დიდად, მეტად.

ა. მე აქ ვიჯექ ჩემსა ამოდ, არ მიკენსია.

ბ. კარებს მოადგა მონათუხუცესი,

გ. მას თან ახლდა სამოცი მონა, როგორც სახელმწიფო წესითაა დატუ-

ლი, დ. შემოვიდნენ, მე დიდად გავკვირდი. ვიფიქრე აქ რაღაცა დიდი საქმე უნდა იყოს.

1172 (1160) მისალამეს; „ფატმან“. მითხრეს...

მსგავსი მზეთა ორთა — ორი მზე, მეორე მზედ აქ იგულისხმება არა მარტო ნამდვილი მზე, არამედ მზის ირგვლივ სხივიერი რკალების პერიოდულად გამოჩენა, რომელსაც ცრუ მზე ეწოდება. ეს „ცრუ მზე“ ხალხს ნამდვილ მზედ მიაჩნდა. ხალხის რწმენით იგი ზოგჯერ მომცემია პატივთა, ზოგჯერ სიკეთის მომგვრელია, განსაკუთრებით მფარველია ახალდაბადებულთა. ეს სხივიერი რკალები მეტისმეტად კაშკაშაა და რუსთველს იგი მოჰყავს ნესტანის ბრწყინვალეების უაღრესობისათვის. ცრუ მზის მოვლენები რეალური ამბავია, განსაკუთრებით ხშირი იყო იგი შოთას დროს. შოთას შეეძლო ან უშუალოდ მისი განცდა ანდა მეტაფორა აელო ძველ სასულიერო პოეზიიდან (ი. მტბევაძე, ილარიონის დასდებელნი), ან კიდევ ხალხურ პოეზიაში (გ. იმედაშვილი — ორი მზე ვ.ტ.ში. ლიტ. ძიებანი, VI, გვ. 133).

ა. სალამი ქალბატონო ფატმან; მითხრეს, რომ ღვთისა სწორი, მეფე ბრძანებს:

ბ. დღეს რომ უსენმა მეფეს ქალი უძღვნა, მსგავსი მზისა ორისა,

გ. უნდა გადმოგვცეთ. რომ სასწრაფოდ წაიყვანოთ.

დ. ეს რომ გავიგონე, თითქოს ცა დამტეხოდეს თავზე და ღვთის რისხვა მთებს სცემოდეს.

1173 (1161) მე გაკვირვებით კვლა ვპკითხე...

ა. მე გაკვირვებით ისევ შევეკითხე: რა ქალი გინდათ, რომელი?

ბ. მათ მიპასუხეს, ის ქალი, დღეს რომ უსენმა მეფეს შემოსძღვნა პირი ელვათა მკრთომელი.

გ. არაფერი გამივიდოდა, სული რომ ამომხდომოდა, ის მერჩივნა,

დ. მეტად ავთრთოლდი. ველარც ადგომა მოვახერხე, ველარც დაჯდომა.

1174 (1162) შევე, ვნახე იგი ტურფა...

ვით მიმუხთლა ჰხედავ რულად? — როგორ მიმუხთლა, როგორ.

ვით-როგორ.

რულად — ე. ი. რაულად — როგორ.

ა. შევედი, იგი მტირალი და ცრემლთა მფრქვეველი დამიხვდა.

ბ. ვუთხარი: მზეო, ხედავ, შავმა ბედმა როგორ გვიმუხთლა?

გ. ცა რისხვით მობრუნდა ჩემკენ, იავარმყო, სრულად გამანადგურა,
დ. დავვასმინეს, გაგვეეს და ამიტომაც ვარ გულმოკლული.

1175 (1163) მან მითხრა: „დაო, ნუ გიკვირს...“

რ ა ზ ო მ ც ა — რამდენადაც არ.

მ ი წ ყ ი ე — მარად.

- ა. მან მითხრა: დაო, მიუხედავად იმისა, რომ ეს მეტად ძნელია,
- ბ. მაინც ნუ გიკვირს; ჩემი უბედური ბედი მარად ავის მქმნელია.
- გ. კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!
- დ. სხვადასხვა ქირი ჩემზედა არ ახალია, ძველია.

1176 (1164) თვალთათ, ვითა მარგალიტი...

თ ვ ა ლ თ ა თ — თვალებიდან.

ა ჭ ი ლ ი — ჩადრი, მოსაბურავი.

- ა. თვალებიდან, როგორც მარგალიტი, ხშირი ცრემლი გადმოყარა;
- ბ. თითქოს ვეფხი, ავრე ვინმე გმირი იყო, ისე გულუშიშრად ადგა,
- გ. არც ლხინი მიაჩნდა რაღამე, არც ქირი ქირად,
- დ. მთხოვა აჭილი და მით მოიბურა ტანი და პირი.

1177 (1165) შევე საჭურჭლეს, რომელსა...

- ა. შევედი ძვირფას სალაროში (რომელსაც ფასი არ დაედებოდა),
- ბ. ავიღე, რაც კი შეიძლებოდა თვალ-მარგალიტი,
- გ. თითო ქალაქის ფასისა,
- დ. დაებრუნდი და წელზე შევარტყი მას, ვისთვისაც შავგული კვდებოდა.

1178 (1166) ვარქვი „ჩემო, განლა სადმე...“

გ ა ნ ლ ა — იქნებ, ეგების.

ტ ა ბ ლ ა კ ი — დოლი.

გ ა ხ დ ა ზ ა რ ი — შეიქნა მხიარულება.

- ა. ვუთხარი: ჩემო, იქნება სადმე მოგეხმაროს, გამოგადგეს ეს.
- ბ. გადავეცი მონებს იგი პირი მზისა დარი.
- გ. გაიგო მეფემ, გამოეგება, ჰკრეს ტაბლაკსა, შეიქნა მხიარულება,
- დ. იგი კი (ნესტანი) მიდის თავმოდრეკილი, ჩუმად არას მოუბარი.

1179 (1167) ზედა მოატყდა მჭვრეტელი...

ზ ა თ ქ ი დ ა ზ ა რ ე ბ ი — დიდი ხმაური.

მ ო ა ტ ყ დ ა — მოაწყდა.

ნ ა რ ე ბ ი — ნასიარულევი.

- ა. მოაწყდა აუარებელი მჭვრეტელი, შეიქნა დიდი ხმაური, ყიჟინა.
- ბ. ვერ აკავებდნენ წესრიგის დამცველნი, არ იყო იქ სიწყნარე.
- გ. რა დაინახა მეფემ საროსა მსგავსი ნარები,

დ. გაკვირვებით ჰკითხვა: ჰე, მზეო, აქ როგორ მოივლინები, როგორ ეობრძანდები?

1180 (1168) ვით მზემან, მისი მნახველი...

მ თ ა ხ ე ე ლ ი — დამახამხამებელი.

- ა. როგორც მზემ, მისი მნახველი, მისი შემხედვარე თვალის დამფახველად გადააქცია;
- ბ. მეფემ ბრძანა: ამდენის მნახველი უნახავად გამხადაო.
- გ. ნეტავი ღეთის გარდა თუ ვინმე იყო მისი გამჩენი, დამბადებელი!
- დ. უეჭველად შეჰფერის მაგის მიჯნურს, რომ ხელი რბოდეს ველად.

1181 (1169) გვერდსა დაისვა, ეუბნა...

- ა. გვერდს დაისვა, ტკბილად ელაპარაკა,
- ბ. მითხარი, ვინ ხარ, ვისი ხარ, რა გვარის, წარმოშობის?
- გ. მან პასუხი არ გასცა თავისი ლამაზი პირით;
- დ. თავ-მოდრეკილი, მოწყენილი ზის გონება-დაწყნარებულად.

1182 (1170) არ ისმენდა მეფისასა...

- ა. არაფერს მეფისას ყურს არ უგდებდა, რაც უნდა ებრძანებია;
- ბ. სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე იგონებდა,
- გ. პირი მოეკუჟმა, კბილებს არ აჩენდა,
- დ. თავისი მჭკვრეტნი გააკვირვა, ვის რა უნდა ეაზრა, ვინ რას იაზრებდა, ვინ რას იტყოდა, ვის რა უნდა ეთქვა.

1183 (1171) მეფე ბრძანებს: „რა შევიგნათ...“

- ა. მეფე ბრძანებს: რა გავიგოთ, რას მივხვდეთ, ჩვენი გული რით გაიხსნას?
- ბ. ორი მოსაზრების გარდა სხვა შეუძლებელია:
- გ. ან ვისიმე მიჯნურია და იგი (საყვარელი) აგონდება,
- დ. მის გარეშე სხვისთვის არ სცალია და არცა სხვა ვისმე ეტყვის რასმე,

1184 (1172) ანუ არის ბრძენი ვინმე...

წინა სტროფის მესამე სტრიქონი პოეტმა მაპირისპირებელი კავშირით დაიწყო (ან). მომდევნო სტროფი მთლიანად მაპირისპირებელ დებულებათაგან შედგება, რათა დაიხატოს ნესტანის განურჩეველი დამოკიდებულება სიკეთისა თუ ბოროტისადმი.

გონება უც, ვითა ტრედი — ტრედი უმანკობის სიმბოლოა და მწერალთ დასაბამითვე ამგვარად წარმოუდგენიათ იგი... ამგვარია ტრედი ქებათა-ქებაში, ამგვარივეა სახარებაში.

- ა. ან ბრძენი ვინმეა, მაღალი და მაღლად მხედველი

- ბ. არცა ლხინი ლხინად მიაჩნია, არცა ჭირი ზედა-ზედი,
 ბ.
 დ. სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება აქვს როგორც მტრადი.

1185 (1173) ღმერთმან ქმნას, შინა მოვიდეს...

მე და ვახვედრო ესე მზე, და — მისთვის დამზადებულნი — ასეა საიუბილეო გამოცემაში. ე. ი. და ნაწევარი, შემდგომი სიტყვის დამზადებულნი-ს პირველი მარცვლის განმეორებადაა ნაგულისხმევი. ამგვარი წყობა არ უნდა იყოს სწორი. ეს იმას ემსავსებოდა, ჩვენ რომ გვეთქვა მოდი აქ, კაცო, მო-ს მაგიერ: მო, კაცო, აქ მოდი. ე. ი. ჯერ ნაწევარი და შემდეგ მთლიანი სიტყვა. აჯობებდა ასე:

- მე და ვახვედრო ესე მზე, დამისთვის დამზადებულნი.
 ა. ღმერთმა ქმნას, შინ დაბრუნდეს ჩემი ძე გამარჯვებული,
 ბ. მე და ვახვედრო ეს მზე სამისოდ დამზადებული;
 გ. შეიძლება მან ათქმევინოს რამე და ჩვენც გავიგოთ ცხადი რამ;
 დ. მანამ კი შუქ-კლებულად, ფერ-მკრთალად ჯდეს მთვარე, მზეს მოშორებულნი.

1186 (1174) ხელმწიფისა შეილსა გითხრობ...

- ა. ხელმწიფის შეილი კარგი ყმა იყო, გულოვანი,
 ბ. ზნეობრივად უებრო და თვალად, პირად და ტანად მშვენიერი;
 გ. იმ უმად ლაშქრად იყო წასული და იქ დიდხანს დაჰყოფდა,
 დ. მამამისი მისთვის ამზადებდა ქალს — მნათობის დასაგვანს.

1187 (1175) მოიღეს, ტანსა ჩააცვეს...

- ა. მოიტანეს და ტანს ჩააცვეს ქალის შესამოსელი,
 ბ. ტანისამოსი ძვირფასი თვლებით იყო შემკული,
 გ. თავს გვირგვინი დაადგეს მთლიანი ლალისა.
 დ. მის ლოყებს ამშვენებდა გამჭვირვალე ბროლის ფერი [თეთრი კბილები].

1188 (1176) მეფემან ბრძანა: „მოკაზმეთ...“

- ა. მეფემ ბრძანა: მოკაზმეთ (გააწყეთ) უფლისწულის საწოლი.
 ბ. დაუდგეს ოქროს ტახტი, წითელი, მადრიბული,
 გ. ადგა ხელმწიფე, სრული ტახტის მფლობელი.
 გ. და ზედ დასვა ქალი, მჭკრეტელთა გულის მალხენელი.

1189 (1177) უბრძანა ცხრაათა ხადუმთა...

- ა. უბრძანა ცხრა ხადუმს კარის მცველად დადგომა;
 ბ. თვითონ ნადიმად დაჯდა, როგორც მის გვარს შეჰფეროდა,
 გ. უსენს მრავალი საბოძვარი უბოძა სამაგიეროდ მზის შესადარი,
 დ. ბუკსა და დოლს სცემდნენ მხიარულების მოსამატებლად.

1190 (1178) გააგრძელეს ნადიმობა...

- ა. გააგრძელეს ნადიმობა,
- ბ. ქალი პირმზე თავის თავს ეუბნება: რა ბედი მაქვს ჩემი მკვლელი!
- გ. სადაური სად მოვსულვარ, ვის შევხვდები, ვისთვის გახვლებული,
- დ. რა ვქნა, რა ვყო, რა მეშველება, სიცოცხლეა ჩემი გრძელი.

1191 (1179) კვლაცა იტყვის: „ნუ დავაჰნობ...“

- ა. ისევ თქვა: ნუ დავაჰკნობ ჩემს შვენებას ვარდთა ფერსა;
- ბ. შევეცადო რასმე, იქნებ ღმერთმან მომპარიოს ჩემს მტერს;
- გ. სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
- დ. როდესაც გაჰირღება საქმე, მაშინ უნდა მოიხმაროს გონიერმა გონება!

1192 (1180) ჩადუმნი უხმნა, უბრძანა...

- ა. მოიხმო ჩადუმნი, უბრძანა: ისმინეთ, გონს მოდით!
- ბ. მოლორებულხართ, დამცდარხართ თუ თქვენ ჩემს პატრონობას ფიქრობთ,
- გ. დამცდარა თქვენი პატრონიც თუ მას ჩემი სძლობა სწადიან,
- დ. ტყუილა-უბრალოდ სცემს იგი ბუქსა და ნაღარას.

1193 (1181) არ ვარგ ვარ თქვენად დედოფლად...

- ა. არ ვარგვარ მე თქვენს დედოფლად, ჩემი გზა სხვაგანაა, გარეშეა;
- ბ. ღმერთმა გაშოროს სხვა მამაკაცი, თუნდაც პირად მზე და სარო ტანი!
- გ. სხვა რა გინდათ ჩემგან, ჩემი საქმე სულ სხვა არის,
- დ. თქვენთან ჩემი სიცოცხლე არაა ჩემი შესაფერი.

1194 (1182) უცილოდ თავსა მოვიკლავ...

- ა. აუცილებლად თავს მოვიკლავ, გულს დანას დავიციემ,
- ბ. თქვენ კი თქვენი პატრონი დაგზოცთ, ამ ქვეყანას ერთ წუთსაც ვერ დარჩებით.
- გ. ასე აჯობებს, რომ მე თქვენ მოგცეთ საქურჭლე (ქონება), რაც ტანზე მარტყია.
- დ. მე გამაპარეთ, გამიშვით, თორემ ბოლოს ინანებთ.

1195 (1183) შემოიხსნა მარგალიტი...

- ა. შემოიხსნა მარგალიტი, რაც ტანზე შემორტყმული თვალი ჰქონდა,
- ბ. გვირგვინიც მოიხნადა, გამკვირვალი მთლიანად ლალი;
- გ. მისცა მათ და უთხრა: წაიღეთ, გულ-მხურვალედ გეხვეწებით,
- დ. მე გამიშვით, ღმერთსა თქვენსა მიავალეთ ღიღი ვალი.

1196 (1184) მონათა მიჰხვდა სიხარბე...

- ა. მონები დახარბდნენ ძვირფას საქურჭლეს,
- ბ. დაავიწყდათ შიში მეფისა,

გ. გადაწყვიტეს გაპარება ქალისა,
დ. ნახეთ, თუ ოქრო რას იქმს, კვერთხი ეშმაკის ძირისა.

1197 (1185) ვა, ოქრო მისთა მოყვასთა.

ა. ოქრო, მის მოყვარულს არაოდეს ლხენას არ მისცემს.

.....

1198 (1186) რა ხადუმთა აუსრულეს...

ა. როდესაც ხადუმებმა აუსრულეს თავისი საქმე საწადელი,
ბ. ერთმა მათგანმა ტანს გიხადა და ქალს მისცა თავისი ჩასაცმელი,
გ. რადგან დარბაზს ბევრი ხალხი (მსმელი) იყო, სხვა კარებიდან გამოაპარეს,
დ. დარჩა მთვარე გავსებული გველისაგან ჩაუნთქმელი (ქალი გადაურჩა ტყვეობას).

1191—1198 სტროფებში მოთხრობილია გაპარვა ნესტანისა. ეს მოტივი ძველია. გავრცელებულია ყველგან, განსაკუთრებით ქართულ ზღაპრებში. გაპარულს მრავალი დაბრკოლება ეღობება წინ. ამავე ღროს მდევნელიც ბევრი ჰყავს. ზღაპრებში გაპარვას საფუძვლად უდევს არასასურველი ქორწინება — ან შესრულებული, ან მოსალოდნელი. ვ.ტ.-ში წარმოდგენილი გაპარვა ზღაპრებში გავრცელებული გაქცევა-გაპარვის და დადევნების ერთ-ერთი სახესხვაობათაგანია.

ზღვათა მეფე ნესტანს თავისი შვილისათვის ამზადებს საქორწინოდ. მაგრამ ნესტანი გადაწყვეტს გაპარვას. ქრთამი გაიღო და „დარჩა მთვარე გავსებული, გველისაგან ჩაუნთქმელი“.

1199 (1187) მონანიცა გარდიხვეწნეს...

ა. მონებიც გარდაიხვეწნენ, ქალთან ერთად გაიპარნენ.
ბ. ქალმა კარს დამირეკა: ფატმან, ფატმან, დამიძახა.
გ. გაველ, ვიცან, მოვეხეივ, ცხადია, გამიკვირდა.
დ. მაგრამ შინ არ შემომყვა, რად მიწვევო? შემეხვეწა.

1200 (1188) მიბრძანა: „თავი ვიყიდუ...“

ა. მითხრა: თავი გამოვისყიდე შენი მოცემულით,
ბ. ღმერთმა სამაგიერო გადაგიხადოს!
გ. მე ველარ დამმალავ, აბა, ჩქარა გამაგზავნე ცხენით,
დ. სანამ გაიგებდეს ხელმწიფე და კაცებს დამადევნებდეს.

1201 (1189) შვეე ფიცხლად საჯინიბოს...

ს ა ჟ ი ნ ი ბ ო — ცხენთ სადგომი, ექვემდებარებოდა მეჩინიბეთუხუცესს. ჰ გ ვ ა ნ დ ა, ო დ ე ს ლ ო მ ს ა შე ჯ დ ე ს მ ზ ე, მ ნ ა თ ო ბ თ ა უ კ ე თ ე ს ი — მზე ლომის ბურჯზე შედის ივლისში, როდესაც მას განსაკუთრებული მცხუნვარება აქვს, მაშასადამე, ნესტანი შედარებულია არა ყოველი

დროის მზესთან, არამედ ივლისის მზესთან. სიმშვენიერის უზღვევლობაა და-
ნატული.

ა. სასწრაფოდ შევედი საჯინბოში, ავხსენი საუკეთესო ცქენი

ბ. შევკაზმე და ზედ შევსვი მხიარული, არა მკენესაჩე.

გ. ჰგავდა მზეს, როდესაც იგი ლომის ბურჯნუა შემკვარი.

დ. წახდა, დაიკარგა ჩემი კირნახული, რაც დავეთსე ვერ მოვიძე, ე. ი.
დაიკარგა ნესტანი.

1202 (1190) დღე მიიყარა, ხმა გახდა...

შეიქმნა მოსაწევარი — დაიწყო ყვირია საღვენებელი.

სისხლთა მზღვევარი — ვისიმე დამალვისა ან გაპარებისათვის სა-
ქართველოს კანონების მიხედვით დამნაშავე სათანადოდ ისჯებოდა, სათანადო
სისხლს უზღვიდა დაზარალებულს.

ა. დღე მიიწურა, გავარდა ხმა, მოვიდა მისი მღვეარი,

ბ. მთელი ქალაქი მოიცვეს, შეიქმნა მოსაწევარი ყვირილი;

გ. მე მკითხეს, სად არის ქალიო, ვუბასუხე: თუ ჰპოვოთ ჩემს სახლში,

დ. მე ვიყო დამნაშავე მეფის წინაშე და სათანადო სისხლის მზღვევარი.

1203 (1191) ნონახეს, ვერა შეიგნეს...

ვერა შეიგნეს — ვერაფერი გაიგეს.

შეიქცეს დაწბილებულნი — უკან დაბრუნდნენ, გაწბილებულ-
ნი.

ისფრითა — უნდა იყოს იისფრითა, ისფრითა მარცვალთა სიმე-
ტემ გამოიწვია.

ისფრითა ღებილნი — იისფერი ტანისამოსის ჩაცმა ან იისფრად
თმის შეღებვა მწუხარების (არა ღრმა) ნიშანი უნდა ყოფილიყო.

მზე მოგვეშორვა, მას აქათ ჩვენ ვართ სინათლე-
კლებულნი — ჰენდიადისია.

ა. ეძებეს, ვერაფერი შეიტყვეს, გაწბილებულნი უკან დაბრუნდნენ,

ბ. მას აქეთ ხელმწიფე და მთელი მისი სახლი მგლოვიარედა.

გ. დარბაზის ერნი იისფრად არიან შეღებილნი,

დ. მზე მოგვეშორდა და მას აქეთ სინათლეს მოკლებულნი ვართ.

1204 (1192) მის მთვარისა სადაობა...

სადაობა — სადაურობა.

კვლაცი — კვლაცა.

კვლა გიამბო საქმე, (მძიმის ნიშანი) კვლაცი. საქმე —
სიტყვის შემდეგ მძიმე უნდა დაისვას — შემდეგ გიამბო საქმე, კვლავ.

უწინა — უწინ, აღრე, მანამ.

ა. ნესტანის სადაურობას კიდევ გიამბობ შემდეგ;

ბ. მანამ კი გეტყვი, რას მექადდა ის კაცი;

გ. მე, საწყალი ვიყავი მისი დედალი, ის კი ჩემი მამალი,

დ. კაცსა დასვრის უგულობა, ხოლო დიაცს ბოზი ნაცი.

1205 (1193) მით არ ვჯერვარ ქმარსა ჩემსა...

ნ ა ს ი — ნავსი.

ქ ა შ ნ ა გ ი რ ი — მექაშნიკე.

- ა. ამიტომ არ ვჯერვარ ჩემს ქმარს, რომ მკლეა და შესახედავად უშნო.
- ბ. რაც შეეხება ქაშნაგირს, ის მეტად დაახლოვებული იყო დარბაზს;
- გ. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, თუმცა, როგორც ხედავთ, შავი არ ჩამოცვამს მისი სიკვდილის გამო,
- დ. ახ ნეტავი მისი სისხლი დამალევინა ერთი თასი.

1206 (1194) ესე ამბავი მასთანა...

- ა. ეს ამბავი მას მოვუყევი მე დიაკურად, ხელურად:
- ბ. როგორ მოვიდა ჩემთან მზე (ნესტანი) და როგორ გვაპარე ეშმაკურად (მელურად).
- გ. გაგაცხადებო მექადდა არ მოყვარულად, მტერულად,
- დ. ახლა კი მკვდარია, იშ, როგორ დავინსენი თავი.

1207 (1195) დამექადის, რაზომჯერცა...

- ა. რამდენჯერ დამემუქრებოდა ხოლმე, როცა შინ მართოდ ვიყავით და წავიჩხუბებდით.
- ბ. როდესაც გიხმე, არ მეგონა, თუ ის შინ იყო;
- გ. მოსულიყო და ჩემთან მოსვლა განეზრახა; შენც უნდა მოსულიყავი, შემეშინდა,
- დ. და ამიტომ შემოგიტოვალე კაცის პირით: ნუ მოხვალ-მეთქი.

1208 (1196) აღარ დაპბრუნდით, მოხვედით...

- ა. შენ აღარ დაბრუნდი, მოხვედი,
- ბ. ორნივე შეიყარნეთ.
- გ. მეტად შევშინდი, ვერაფერი მოვაგვარე,
- დ. იმას, ვაი, ჩემი სიკვდილი ნამდვილად გულით უნდოდა და არა ენით.

1209 (1197) თუცა ისი არ მოგეკლა...

- ა. ის რომ არ მოგეკლა და დარბაზს მისულიყო,
- ბ. გაჯავრებული შემასმენდა მეფესთან,
- გ. მეფე მწყრალი გაანადგურებდა ჩემს სახლს
- დ. შეილებს დამაქმევიინებდა და მერმე ქვით დამქოლავდა!

1210 (1198) მუქაფა, ღმერთმან შემოგზღოს...

- ა. ღმერთმა სამაგიერო გადაგიხადოს, აბა მე რა მადლს გადაგიხდი, —
- ბ. შენ, რომელმაც მშვიდობით გამათავისუფლე იმ გველის მზერას!
- გ. ამიერიდან მადლიერი ვიყო ჩემი ბედისა, წერისა,
- დ. აღარ მეშინია სიკვდილის, არაფრად არ ვაგდებ მას.

1211 (1199) ავთანდილ უთხრა: „ნუ გეშის...“

- ა. ავთანდილმა უთხრა: ნუ გეშინია, წიგნშიაც აგრე სწერია:
- ბ. მტერი, მოყვრულად მოსული, ყოველ მტრის უფრო მტერია,
- გ. მას გულით არ მიენდობა, თუ კაცი გონიერია,
- დ. ნულარ გეშინიან ამიერიდან მისი, ახლა იგი მკვდარია.

1212 (1200) იგივე მითხარ, მას აქათ...

- ა. ის მითხარი, მას შემდეგ, რენ რომ ქალი გაგზავნე,
- ბ. თუ რამე ამბავი გაგიგია მისი, ან თუ რამე გსმენია.
- გ. ისევ თქვა ფატმანმა ტირილით, ისევ ცრემლები დაადინა:
- დ. ვაიმე, დაიკარგა შუქი (ნესტანი) რომელიც მზისაებრ ველს ეფინებოდა.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიმშელია
ტექნედაქტორი ნ. ოკუჩავა
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი მ. რამიშვილი

გადაეცა წარმოებას 2,8,1974; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.11.1974;
ქაღალდის ზომა 70 X 108; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 28.35;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 21.17;
უე 01075; ტირაჟი 1600; შეკვეთა № 2374;
ფასი 2 მან 35 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19